

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების  
გამოყენების სახელმძღვანელო მცირე  
და საშუალო საწარმოთა აუდიტში

ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები

მეორე გამოცემა



International Federation  
of Accountants

International Federation of Accountants  
545 Fifth Avenue, 14th Floor  
New York, NY 10017 USA

წინამდებარე გამოცემა მოამზადა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მისიაა, ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს, გააძლიეროს მთელს მსოფლიოში ბუღალტრის პროფესია და თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების საქმეში, უმაღლესი ხარისხის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებითა და მათი დაცვის სტანდარტებით, ამ სტანდარტების კონვერგენციის პროცესის ხელშეწყობით საერთაშორისო მასშტაბით და გამოეხმაუროს საზოგადოებისათვის საინტერესო პრობლემებს, როდესაც ყველაზე მეტად საჭირო იქნება ბუღალტრის პროფესიის კომპეტენცია.

უფრო დაწერილებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვწეროთ წერილი შემდეგ მისამართზე [paulthompson@ifac.org](mailto:paulthompson@ifac.org).

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში, მეორე გამოცემა, რომელიც მოამზადა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მცირე და საშუალო ფირმების კომიტეტმა და 2010 წლის ოქტომბერში ინგლისურ ენაზე გამოსცა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (ბსფ), ქართულ ენაზე თარგმა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფ) 2013 წლის დეკემბერში და გამოიყენება ბსფ-ის ნებართვით. ბსფ თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომელიც სახელმძღვანელოს გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ბსფ-ის ყველა პუბლიკაციის დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში, მეორე გამოცემა, ინგლისურნოვანი ტექსტი © 2010 წ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ). ყველა უფლება დაცულია.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში, მეორე გამოცემა, ქართულნოვანი ტექსტი © 2013 წ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ). ყველა უფლება დაცულია.

სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *Guide to Using International Standards on Auditing in the Audits of Small- and Medium-Sized Entities, Second Edition ISBN: 978-1-60815-076-2*

ამ პუბლიკაციის (ორიგინალური ვერსიის) გადმოწერა შესაძლებელია უფასოდ, ბსფ-ის ვებგვერდიდან: [www.ifac.org](http://www.ifac.org).

Copyright October 2010 by the International Federation of Accountants (IFAC). All rights reserved. Permission is granted to make copies of this work provided that such copies are for use in academic classrooms or for personal use and are not sold or disseminated and provided that each copy bears the following credit line: "Copyright © October 2010 by the International Federation of Accountants. All rights reserved. Used with permission." Otherwise, written permission from IFAC is required to reproduce, store, or transmit this document, except as permitted by law. Contact [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).

საავტორო უფლება@2010 წლის ოქტომბერი, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია. ყველა უფლება დაცულია. ნებადართულია ამ სამუშაოს ასლების გადაღება იმ პირობით, რომ ასლები გამოყენებული იქნება სასწავლო დაწესებულებებში, ან პირადი მიზნებისთვის და არ გაიყიდება ან არ გავრცელდება და ამავე დროს თითოეულ ეგზემპლარზე მითითებული იქნება პირველი წყარო: „საავტორო უფლება @ 2010 წლის ოქტომბერი, კუუთვნის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას. კულა უფლება დაცულია. გამოიყენება ბსფ-ის ნებართვით.“ სხვა დანარჩენ შემთხვევაში, კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევების გარდა, წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემისთვის მოითხოვება ბსფ-ის წერილობითი ნებართვა. ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).

## სარჩევი

I ტომი	ძირითადი ასს-ების მითითება	გვ.
<b>წინასიტყვაობა</b>		<b>5</b>
<b>თხოვნა კომენტარების გამოგზავნის შესახებ</b>		<b>6</b>
1. როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო		8
2. ახალი სტილით ფორმულირებული ასს-ები		14
<b>ძირითადი ცნებები</b>		
3. რისკზე დაფუძნებული აუდიტი – ზოგადი მიმოხილვა	ბევრი	21
4. ეთიკა, ასს-ები და ხარისხის კონტროლი	ხეს 1, 200, 220	40
5. შიდა კონტროლი – მიზანი და კომპონენტები	315	55
6. ფინანსური ანგარიშების მტკიცებები	315	84
7. არსებითობა და აუდიტორული რისკი	320	91
8. რისკის შესაფასებელი პროცედურები	240,315	102
9. შეფასებულ რისკზე რეაგირება	240, 300, 330, 500	112
10. დამატებითი აუდიტორული პროცედურები	330, 505, 520	125
11. სააღრიცხვო შეფასებები	540	150
12. დაკავშირებული მხარეები	550	160
13. შემდგომი მოვლენები	560	172
14. ფუნქციონირებადი საწარმო	570	181
15. სხვა ასს-ების მოთხოვნების მოკლე მიმოხილვა	250, 402, 501, 510, 600, 610, 620, 720	192
16. აუდიტის დოკუმენტაცია	ხეს 1, 220, 230, 240, 300, 315, 330	233
17. მოსაზრების ჩამოყალიბება ფინანსური ანგარიშების შესახებ	700	248

## სარჩევი

II ტომი	ძირითადი ასს-ების მითითება	გვ.
<b>წინასიტყვაობა</b>		5
<b>თხოვნა კომენტარების გამოგზავნის შესახებ</b>		6
1. როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო		8
2. შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის		14
<b>1-ლი ეტაპი: რისკის შეფასება</b>		
3. რისკის შეფასება – ზოგადი მიმოხილვა		26
<b>წინასწარი სამუშაოები</b>		
4. ახალ გარიგებაზე დათანხმება და არსებულის გაგრძელება	ხეს 1, 210, 220, 300	29
<b>აუდიტის დაგეგმვა</b>		
5. აუდიტის საერთო სტრატეგია	300	46
6. არსებითობის განსაზღვრა და გამოყენება	320, 450	57
7. განხილვა აუდიტის შემსრულებელ ჯგუფში	240, 300, 315	74
<b>რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება</b>		
8. თანდაყოლილი რისკები – იდენტიფიკაცია	240, 315	84
9. თანდაყოლილი რისკები – შეფასება	240, 315	111
10. მნიშვნელოვანი რისკები	240, 315, 300	123
11. შიდა კონტროლის შესწავლა	240, 315	134
12. შიდა კონტროლის შეფასება	315	149
13. ინფორმირება შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ	265	181
14. რისკის შეფასების ეტაპის დასრულება	315	194
<b>მე-2 ეტაპი: რეაგირება რისკზე</b>		
15. რისკზე რეაგირება – ზოგადი მიმოხილვა	–	204
16. საპასუხო აუდიტის გეგმა	260, 300, 330, 500	206
17. ტესტირების მოცულობის განსაზღვრა	330, 500, 530	230
18. შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირება	230, 500	262
19. ოფიციალური წერილები	580	267
<b>მე-3 ეტაპი: დასკვნის მომზადება</b>		
20. დასკვნის მომზადება – მიმოხილვა	–	280
21. აუდიტორული მტკიცებულებების შეფასება	220, 330, 450, 520, 540	282
22. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება	260,450	301
23. აუდიტორის დასკვნის მოდიფიკაციები	705	313
24. მნიშვნელოვან გარემოებათა და სწვა გარემოებათა ამსახველი აბზაცები	706	327
25. შესადარისი ინფორმაცია	710	333

## წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა ბსფ-ის მცირე და საშუალო ფირმების კომიტეტმა მოამზადა იმ მიზნით, რომ დახმარებოდა პრაქტიკოსებს მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტის ჩატარებასა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) სათანადო დონეზე გამოყენებაში.

მართალია, სახელმძღვანელო კონკრეტულად კანადის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტმა მოამზადა, მაგრამ სახელმძღვანელოზე სრული პასუხისმგებლობა აღებული აქვს ბსფ-ის მცირე და საშუალო ფირმების კომიტეტს. სახელმძღვანელოს განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პერსონალმა და საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფმა, რომლის წევრებიც არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების წევრები.

ეს სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ასს-ების გამოყენების საკითხებზე შექმნილ სავალდებულო დოკუმენტს. არ შეიძლება მისი გამოყენება ასს-ების შემცვლელად. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებმა უნდა გამოიყენონ, როგორც დამატებითი დამხმარე მასალა, რომლის მიზანია პრაქტიკოსების დახმარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების უკეთ გაგებასა და მათ სათანადოდ გამოყენებაში მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში. სახელმძღვანელო არ მოიცავს ასს-ების ყველა ასპექტს და პრაქტიკოსებმა ის არ უნდა გამოიყენონ ასს-ების მოთხოვნების სრულად დაცვის მტკიცების ან დემონსტრირებისთვის.

სახელმძღვანელოს მიზანია, კონკრეტული მაგალითების მეშვეობით პრაქტიკოსებისთვის უფრო ნათელი გახსაღოს, როგორ უნდა ჩატარდეს აუდიტი ასს-ების შესაბამისად. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებს სთავაზობს აუდიტის ჩატარების პრაქტიკულ მიღების „როგორ“, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ მცირე და საშუალო საწარმოებში რისკზე დაფუძნებული აუდიტის ჩატარებისას. საბოლოო ჯამში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსებს დახმარება მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტის მაღალ დონეზე და, დანახარვების თვალსაზრისით, უფრო უკეთ იმსახურონ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. კომიტეტის ვარაუდით, ამ სახელმძღვანელოს გამოიყენებენ წევრი ორგანიზაციები, აუდიტური ფირმები და სხვები, პროფესიონალი ბუღალტრებისა და სტუდენტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების საფუძვლად.

ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებსა და ფირმებს შეუძლიათ ამ სახელმძღვანელოს პირდაპირ გამოყენება, ან მათი ადაპტირება საკუთარი საჭიროებებისა და თავიანთი იურისდიქციის მოთხოვნების შესაბამისად. წევრ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სახელმძღვანელოს გამოყენება შეუძლიათ საფუძვლად, რომლის მიზედვითაც შექმნიან საკუთარი პროდუქციის, მაგალითად, სასწავლო მასალას, აუდიტის პროგრამულ უზრუნველყოფას, საკონტროლო კითხვარებსა და სამუშაო ფორმებს.

ბსფ-ის მცირე და საშუალო სამეურნეო სუბიექტების კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმძღვანელოს მკითხველებს, ესტუმრონ მცირე და საშუალო ფირმების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდს ([www.ifac.org/smp](http://www.ifac.org/smp)), სადაც შეუძლიათ ცენტრის სხვა გამოცემებისა და რესურსების გაცნობა.

### სილვი ვოგელი

ბსფ-ის მცირე და საშუალო ფირმების

კომიტეტის თავმჯდომარე.

2010 წლის ოქტომბერი

## თხოვნა კომენტარების გამოგზავნის შესახებ

ეს არის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა. მართალია, მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელო ამ სახითაც სასარგებლო და მაღალი ხარისხისაა, მაგრამ შესაძლებელია მისი გაუმჯობესება. ჩვენ მზად ვართ რეგულარულად განვაახლოთ სახელმძღვანელო, რათა ის მუდმივად ასახავდეს მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს და მაქსიმალურად სასარგებლო იყოს.

მოხარული ვიქებით, თუ მივიღებთ შენიშვნებს ეროვნული სტანდარტების შემმუშავებელი ორგანოებიდან, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებიდან, პრაქტიკოსებისა და სხვებისგან. ამ შენიშვნებს გამოვყენებთ სახელმძღვანელოს სარგებლიანობის შესაფასებლად და მის გასაუმჯობესებლად მესამე გამოცემის მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე.

კერძოდ, ჩვენ გვაინტერესებს მოსაზრებები შემდეგ საკითხებზე:

1. როგორ იყენებთ სახელმძღვანელოს? მაგალითად, პრაქტიკული წვრთნის მასალის საფუძვლად და/ან პრაქტიკული ცნობარის სახით, თუ რაიმე სხვა გზით?
2. მიგაჩნიათ, რომ სახელმძღვანელო საკმარის დონეზეა მისადაგებული მცირე და საშუალო სამეურნეო სუბიექტების აუდიტთან?
3. მიგაჩნიათ, რომ სახელმძღვანელოს სტრუქტურა ადვილად გამოყენებადია? თუ არა, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება?
4. კიდევ რა გზით შეიძლება სახელმძღვანელოს იმგვარად გაუმჯობესება, რომ უფრო სასარგებლო გახდეს?
5. ცნობილია თქვენთვის რაიმე სხვა პროდუქცია, რომელიც ამ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით არის დამუშავებული, მაგალითად, პრაქტიკოსების პრაქტიკული წვრთნის მასალები, სამუშაო ფორმები, საკონტროლო კითხვარები და სამუშაო პროგრამები. თუ ასეა, გთხოვთ ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ.

გთხოვთ თქვენი შენიშვნები გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

Email: [paulthompson@ifac.org](mailto:paulthompson@ifac.org)

Fax: +1 212-286-9570

Mail: Small and Medium Practices Committee  
International Federation of Accountants  
545 Fifth Avenue, 14th Floor New York,  
New York 10017, USA

## სამართლებრივი განცხადება

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა მცირე და საშუალო საწარმოთა აუდიტში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) გამოყენებაში პრაქტიკოსების დასახმარებლად, მაგრამ გამიზნული არა იმისთვის, რომ შეცვალოს თავად ასს-ები. გარდა ამისა, პრაქტიკოსმა წინამდებარე სახელმძღვანელო უნდა გამოიყენოს საკუთარი პროფესიული განსჯისა და თითოეული კონკრეტული აუდიტისთვის დამახასიათებელი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას, ან ვალდებულებას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოყენებაში.

# 1. როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებებით უზრუნველყოს ის აუდიტორი (აუდიტორი ფირმები), რომლებიც აუდიტს ატარებენ მცირე და საშუალო ბიზნესის სამეურნეო სუბიექტებში. ამასთან, ამ სახელმძღვანელოს არანაირი მასალის გამოყენება არ შეიძლება შემდეგის შემცვლელად:

- **ასს-ების გაცნობა და შესწავლა**

იგულისხმება, რომ პრაქტიკონი იცნობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) ტექსტს, რომელიც შეტანილია ბსფ-ის 2010 წლის ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარში (ბსფ-ის ცნობარი). ას 200.19-ში აღნიშნულია, რომ აუდიტორს უნდა ესმოდეს ასს-ების, მათ შორის, მისი განყოფილების – „გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა“ – მთლიანი ტექსტი, რათა კარგად გაიგოს თითოეული სტანდარტის მიზნები და სათანადო გამოიყენოს პრაქტიკაში მისი მოთხოვნები.

- **პროფესიული განხილვის გამოყენება**

პროფესიული განხილვა აუცილებელია მთელი აუდიტის განმავლობაში, ფირმისა და კონკრეტული დამკვეთის აუდიტორული გარიგებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით და ასევე მაშინაც, როდესაც მოთხოვება ამა თუ იმ სტანდარტის ინტერპრეტაცია.

მართალია, მოსალოდნელია, რომ სახელმძღვანელოს ძირითადი მომხმარებლები იქნებიან მცირე და საშუალო აუდიტური ფირმები, მაგრამ მოცემული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ყველა პრაქტიკონის დახმარებას, რომლებიც ატარებენ მცირე და საშუალო ბიზნესის სამეურნეო სუბიექტების აუდიტს.

სახელმძღვანელო დაგეხმარებათ:

- უფრო საფუძვლიანად გაერკვეთ, როგორ ტარდება აუდიტი ასს-ების შესაბამისად;
- შეიმუშაოთ პერსონალისთვის სახელმძღვანელო (როგორც ადგილობრივი მოთხოვნებისა და ფირმის პროცედურების შემავსებელი დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში), რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ყოველდღიურ საქმიანობაში ინსტრუქციების სახით და პერსონალის პრაქტიკული სწავლების, ინდივიდუალურად სწავლისა და განხილვის საფუძვლად; და
- უზრუნველყოთ იმის გარანტია, რომ პერსონალი აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარებისას იყენებს სათანადო მიღვომას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ხშირად ნახსენებია აუდიტის (შემსრულებელი) ჯგუფი, რაც გულისხმობს, რომ აუდიტის ჩატარებაში მონაწილეობს ერთზე მეტი პირი. თუმცა, იგივე პრინციპები გამოიყენება იმ აუდიტშიც, რომელსაც ერთი პიროვნება (ინდივიდუალური აუდიტორი – პრაქტიკონი) ატარებს.

## 1.1 სახელმძღვანელოს გამრავლება, თარგმნა და ადაპტირება

ბსფ მიესალმება და ხელს უწყობს ამ სახელმძღვანელოს გამრავლებას, თარგმნასა და ადაპტირებას. დაინტერესებულ შხარეებს სახელმძღვანელოს გამრავლების, თარგმნის, ან ადაპტირების უფლების მოსაპოვებლად შეუძლიათ მიმართონ ბსფ-ის ნებართვების განყოფილებას [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org)

## 1.2 შინაარსი და სტრუქტურა

სახელმძღვანელო შედგება ორი ტომისგან:

- 1-ლი ტომი – ძირითადი ცნებები;
- მე-2 ტომი – პრაქტიკული მითითებები.

## **აუდიტის სურამობრივის სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოს აუდიტი ტომი 2 – პრაქტიკული მოთხოვები**

ეს არის სახელმძღვანელოს მე-2 ტომი, სადაც აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ საკითხებზე, კერძოდ, როგორ უნდა გამოიყენოთ რეალურ სიტუაციაში 1-ელ ტომში განხილული ცნებები. აქ განხილულია ყველა ტიპური სტადია, რომელსაც აუდიტი მოიცავს: ახალი დამკვეთის აყვანა, დაგეგმვა და რისკის შეფასება და შემდეგ შეფასებულ რისკზე რეაგირება, შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შეფასება და შესაფერისი აუდიტორული მოსაზრების ჩამოყალიბება.

გამეორების თავიდან ასაცილებლად, მე-2 ტომში აღარ არის შეტანილი ასს-ების მოთხოვნები, რომლებიც აუდიტის სპეციფიკურ სფეროებს ეხება, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო შეფასებები, დაკავშირებული მხარეები, შემდგომი მოვლენები, ფუნქციონირებადი საწარმო და მრავალი სხვა სტანდარტის მოთხოვნები. 1-ელ ტომში ეს მოთხოვნები წარმოდგენილია ან ცალკეულ თავებში, ან მე-15 თავში, სახელწოდებით „სხვა ასს-ების მოთხოვნების მოკლე მიმოხილვა“.

### **სახელმძღვანელოს სტრუქტურის მიმოხილვა**

ორივე ტომის თითოეული თავი ფორმირებულია შემდეგი სტრუქტურით:

- **თავის სათაური**
- **აუდიტის პროცესის სქემა – ამონარიდი**

თავების უმეტესობა შეიცავს აუდიტის პროცესის ამსახველი სქემიდან ამონარიდს (საჭიროების შემთხვევაში), რათა უფრო ნათელი გახდეს მოცემულ თავში განხილული ძირითადი საკითხები (ქმედებები).

- **თავის შინაარსი**

ამ სათაურის ქვეშ მოცემულია თავის შინაარსისა და მიზნის მოკლე მიმოხილვა.

- **შესაბამისი ასს-ები**

სახელმძღვანელოს თავების უმეტესობა იწყება მოცემული თავის შინაარსის შესაფერისი ასს-ებიდან ამონარიდებით. ამონარიდები მოიცავს სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებს და, ზოგ შემთხვევაში, სტანდარტის მიზნებს (მიზნები ზოგჯერ ცალკეა გამოტანილი, როდესაც თავი, ძირითადად, რომელიმე ერთ ასს-ს ეხება), ზოგიერთ განმარტებასა და მასალას „გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა“ – განყოფილებიდან. ამ ამონარიდების ციტირება იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებელი არ არის შესაბამისი ასს-ის სხვა მასალის (რომელიც აქ არ არის მოტანილი), ან სხვა ასს-ების გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ თავში განხილულ საკითხებთან. სახელმძღვანელოში ციტირებული ამონარიდები ერთადერთ მიზანს ემსახურება – ავტორები იყენებენ მათ თითოეული თავის შინაარსის დასასაბუთებლად. მაგალითად, ას 200, ას 220 და ას 300-ის მოთხოვნები ეხება აუდიტორული შემოწმების მთელ პროცესს, მაგრამ სახელმძღვანელოში ციტირებულია მხოლოდ ერთ თუ ორ თავში.

- **ზოგადი მიმოხილვა და თავის შინაარსი**

თითოეული თავის ზოგადი მიმოხილვის ნაწილში მოცემულია:

- ამონარიდები შესაბამისი ასს-ებიდან; და
- მოცემული თავის თემატიკის მოკლე მიმოხილვა.

ზოგად მიმოხილვას მოჰყვება თავის საგნის უფრო დეტალური განხილვა და პრაქტიკული ეტ-აპობრივი სახელმძღვანელო მითითებები/მეთოდოლოგია იმის შესახებ, როგორ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში შესაბამისი ასს-ები. აქ შეიძლება მითითებული იყოს შესაფერისი ასს-ები. მართალია, სახელმძღვანელოს აქცენტი გადატანილია მხოლოდ იმ ასს-ებზე, რომლებიც გასული პერიოდების ფინანსურ ინფორმაციას ეხება, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მითითებული და

ციტირებულია ამონარიდები ბსფ-ის ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსიდან და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტ 1-დან (ჩვს 1), რომელიც ეხება იმ ფირმებს, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და აუდიტორი დაკავშირებულ მომსახურების გარიგებებს.

- **მნიშვნელოვანი რჩევები**

თითქმის მთელ სახელმძღვანელოში შეგხვდებათ მასალა შემდეგი სათაურით „მნიშვნელოვანი რჩევები“. ამ დასათაურების ქვეშ მოცემულია პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებები აუდიტის ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება ადვილად გამორჩეს პრაქტიკოსს, ან, სადაც პრაქტიკოსებს ხშირად უჭირო გარკვეული ცნებების გაგება (აღქმა) და გამოყენება.

- **საილუსტრაციო სასწავლო მაგალითები**

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნათ იმის შესახებ, როგორ გამოიყენება პრაქტიკაში ასს-ები, სახელმძღვანელოს მე-2 ტომში განხილულია ორი სასწავლო მაგალითი. მე-2 ტომში ბევრი თავის ბოლოს განხილულია ორი შესაძლო მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ასს-ების მოთხოვნების დოკუმენტირება. სასწავლო მაგალითების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ვთხოვთ გაუცნოთ მე-2 ტომის მე-2 თავს.

სასწავლო მაგალითები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც სახელმძღვანელოშია განხილული, მხოლოდ საილუსტრაციო მიზანს ემსახურება. ეს დოკუმენტაცია რეალური ტიპური აუდიტის ფაილის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია და ითვალისწინებს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ასს-ის მოთხოვნების დოკუმენტირების ერთ-ერთ შესაძლო გზას. აქ განხილული მონაცემები, ანალიზი და კომენტარები მოიცავს მხოლოდ მრავალი შესაძლო გარემოებიდან ერთ კონკრეტულ სიტუაციასა და მოსაზრებებს, რომლის გამოყენებაც აუდიტორს დასჭირდება კონკრეტულ აუდიტში. აუდიტორს ყოველთვის დასჭირდება პროფესიული განხილვა (განსჯა).

პირველი სასწავლო მაგალითი ეყრდნობა ფიქტიურ სამეურნეო ერთეულს, რომლის სახელწოდებაა „დეფტა ავეჯი“. ეს არის ოჯახის საკუთრებაში მყოფი ადგილობრივი ავეჯის მწარმოებელი კომპანია, რომელსაც ჰყავს სრულ განაკვეთზე მომუშავე 10 თანამშრომელი. სამეურნეო სუბიექტს მარტივი მმართველობითი სტრუქტურა, მართვის მცირე რაოდენობის დონეები და ოპერაციების დამუშავების მარტივი, ტიპური პროცესები აქვს. ბუღალტრული აღრიცხვის პერსონალი იყენებს მზა, სტანდარტულ პროგრამულ პაკეტს.

მეორე სასწავლო მაგალითი ეყრდნობა სხვა ფიქტიურ სამეურნეო სუბიექტს, რომლის სახელწოდებაა „კუმარი და კომპანია“ („კუმარი“). ეს არის ძალიან პატარა სამეურნეო სუბიექტი, რომელსაც ჰყავს სრულ განაკვეთზე მომუშავე 2 თანამშრომელი, პლუს მესაკუთრე და ერთი არასრულ განაკვეთზე მომუშავე ბუღალტერი.

### 1.3 ტერმინების გლოსარი

სახელმძღვანელოში გამოიყენება ბევრი ისეთი ტერმინი, რომელიც განმარტებულია ბსფ-ის ეთიკის კოდექსში, ტერმინების გლოსარში და ასს-ებში (რომლებიც შესულია ბსფ-ის 2010 წლის ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების (ცნობარში (ბსფ-ის ცნობარი)). ფირმის პარტნიორებიც და პერსონალიც კარგად უნდა ერკვეოდნენ ამ ცნებებში.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:

**თაღლითობის საწინააღმდეგო კონტროლის საშუალებები**

კონტროლის ზემოაღნიშნულ მექანიზმებს შეიძლება და ნერგავს ხელმძღვანელობა თაღლითობის თავიდან ასაცილებლად, ან გამოსავლენად და ჩადენილი თაღლითობის გამოსასწორებლად. ხელმძღვანელობის მხრიდან ამგვარი კონტროლის მექანიზმების იგნორირების შემთხვევაში, ეს მექანიზმები ვერ აღკვეთს თაღლითობის ფაქტებს, მაგრამ თაღლითობის ჩადენის ხელისშემსლელ როლს ითამაშებს და ჩადენილი თაღლითობა უფრო ძნელად დასამალი გახდება. ამგვარი კონტროლის მექანიზმების ტიპური მაგალითებია:

- პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც დამატებით ანგარიშვალდებულებას ამგვიდრებს, როგორიცაა, მაგალითად, საბუღალტრო გატარებების დამტკიცება ხელმოწერით;
- კონფიდენციალურ მონაცემებსა და ოპერაციებზე ხელმისაწვდომობის კონტროლის გამკაცრება;
- ვიზუალური (უხმაურო) სიგნალიზაციის სისტემის გამოყენება, რომელიც სისტემის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ვიზუალურად მისცემს ნიშანს, რომ სისტემაში უნებართვოდ შევიდნენ;
- განსხვავებებისა და გადახრების შესახებ ანგარიშების მომზადება;
- კვალის დატოვება აუდიტისთვის (სამეურნეო ოპერაციების ეტაპობრივი რეგისტრაცია, მისი შესრულების მომენტიდან ფინანსური შედეგის მიღებამდე, ან კომპიუტერულ სისტემებში საკონტროლო უწერნალის წარმოება, სადაც რეგისტრირდება ყველა ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერული სისტემის უსაფრთხოებასთან. გვიჩვენებს, ვინ შევიდა სისტემაში და მითითებულ პერიოდში რა ოპერაციები შესრულდა. ინციდენტის ანალიზის დროს შესაძლებელი ხდება მოვლენების ქრონოლოგის დადგენა);
- სამოქმედო გეგმები თაღლითობასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის;
- საკადრო რესურსების კონტროლის პროცედურები, როგორიცაა, მაგალითად, იმ პირთა გამოვლენა და მათზე მონიტორინგის განხორციელება, რომელიც საბუღალტრო თაღლითობის ჩადენის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ (მაგალითად, ზედმეტად გულუხვი, მფლანგველი ცხოვრების სტილი); და
- მექანიზმები იმისთვის, რომ პოტენციური თაღლითობის შესახებ ინფორმირება ანონიმურად ხდებოდეს.

**სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები**

სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის მექანიზმები მიმართულია მასშტაბური რისკებისკენ. ისინი ქმნიან მთელი ორგანიზაციის კულტურის „გენერალურ ხაზს“, საერთო ატმოსფეროს და განსაზღვრავენ კონტროლის გარემოს სავარაუდო ჩარჩოებსა და ასპექტებს. ამგვარი მექანიზმები ხშირად ნაკლებად მატერიალურია კონტროლის იმ მექანიზმებთან შედარებით, რომელიც საოპერაციო დონეზე მოქმედებს, მაგრამ ყოვლისმომცველ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა კონტროლის ყველა სხვა კონტროლის მექანიზმებები. სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის მექანიზმები, როგორც ასეთი, ქმნიან ყველაზე მნიშვნელოვან ფუნდამენტს, რომელიც უფრო ძნელად გამოიყენება კონტროლის სხვა საშუალებები. სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებების მაგალითებია: ხელმძღვანელობის ორიენტაცია და პოზიცია ეთიკურ ქმედებებთან და შიდა კონტროლთან მიმართებით, საკადრო პოლიტიკა და პროცედურები (რომელიც ეხება თანამშრომელთა დაქირავებასა და დაქირავებულ თანამშრომელთა კომპეტენციას), თაღლითობის პრევენციისა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურება. ამ ტიპის კონტროლის მექანიზმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის ყველა სხვა ბიზნესპროცესზე.

## ხელმძღვანელობა

პირ(ებ)ი, რომლებსაც გააჩნია(თ) აღმასრულებელი პასუხისმგებლობა სამეურნეო სუბიექტის საქმი-ანობის განხორციელებაზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ზოგიერთი სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვა-ნელობაში შედის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ცალკეული ან ყველა პირი, მაგალით-ად, მმართველი საბჭოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე-მმართველი.

### მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები

პირ(ებ)ი ან ორგანიზაცი(ები)ა (მაგ., კორპორაციული ორგანიზაცია, რომელიც მართავს მინდობილ ქონებას), რომლებსაც გააჩნია(თ) სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიულ მიმართულებაზე ზედამხედ-ვალობის პასუხისმგებლობა და სამეურნეო სუბიექტის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამაში შედის ზედამხედველობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე. ზოგიერთ იურისდიქციაში, ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტში მართვის უფლებამოსილებით აღჭურვ-ილ პირებში შეიძლება შედიოდეს ხელმძღვანელი პერსონალი, მაგალითად, კერძო ან საჯარო სექ-ტორის სამეურნეო სუბიექტის მმართველი ორგანოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე-მმა-რთველი.

### მესაკუთრე-მმართველი

ეს ტერმინი მოიცავს სამეურნეო სუბიექტის იმ მესაკუთრეებს, რომლებიც მონაწილეობენ სამეურ-ნეო სუბიექტის ყოველდღიური საქმიანობისა და მართვის პროცესში. ხშირად მესაკუთრე-მმართვე-ლი შეიძლება იმავდროულად იყოს სამეურნეო სუბიექტის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვი-ლი პირიც.

### მცირე და საშუალო აუდიტური ფირმები

ამ კატეგორიას მიეკუთვნება აუდიტური ფირმები, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი მახასიათებლები: მისი დამკვეთების უმეტესობა მცირე და საშუალო სამეურნეო სუბიექტებია; საკუთარი შეზღუდუ-ლი ტექნიკური რესურსები შევსების მიზნით დამატებით იყენებენ გარე რესურსებს და სადაც შე-დარებით მცირე (შეზღუდული) რაოდენობის პროფესიული პერსონალი მუშაობს. სხვადასხვა იურ-ისდიქციაში განსხვავებული იქნება მცირე და საშუალო აუდიტური ფირმების საკლასიფიკაციო კრიტერიუმები.

#### 1.4 სახელმძღვანელოში გამოყენებული აბრევიატურები

ასს	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი
ასპდ	აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება
აურ	არსებითი უზუსტობის რისკი
ბსფ	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
დასს	აუდიტან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი
თრ	თანდაყოლილი რისკი
კრ	კონტროლის რისკი
მასს	მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი
მისს	მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი
მტკიცებები:	
	ს სისრულე
	ა არსებობა
	▼ სისწორე
	მ შეფასება
სდ	სამუშაო დოკუმენტი
ს/ტ	საინფორმაციო ტექნოლოგიები
ფასს	ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტი
ფ/ა	ფინანსური ანგარიშება
შრ	შეუმჩნევლობის რისკი
ხკსს	ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი

## 2. შესავალი სასტავლო მაგალითებისთვის

იმის საჩვენებლად, როგორ შეიძლება აუდიტის პროცესის სხვადასხვა ასპექტების დოკუმენტირება პრაქტიკაში, შემუშავებულ იქნა ორი სასწავლო მაგალითი, ერთი ფიქტიური საშუალო ზომის სამეურნეო სუბიექტისა და მეორე ძალზე მცირე ზომის ფიქტიური სამეურნეო სუბიექტის საფუძველზე. პირველი სცენარი (სასწავლო მაგალითი) ეხება ავეჯის კომპანიას, სახელწოდებით „დეფტა ავეჯი“ („დეფტა“), სადაც მუშაობს 10 ადამიანი. მეორე სცენარი (სასწავლო მაგალითი) ეხება მცირე საწარმოს „კუმარი და კომპანია“ („კუმარი“), სადაც 2 ადამიანი მუშაობს. „კუმარი“ ძირითადად საქონლით ამარავებს „დეფტას“. ორივე საწარმომ ფინანსური ანგარიშების მოსამაშადებლად გადაწყვიტა ფასს-ების გამოყენება.

მკითხველებს ვაფრთხილებთ, რომ ეს სასწავლო მაგალითები მხოლოდ საილუსტრაციო მიზანს ემსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია პატარა ამონარიდია ტიპური აუდიტის ფაილიდან და გვიჩვენებს ასს-ების მოთხოვნების შესრულების ერთ შესაძლო გზას. მონაცემები, ანალიზი და კომენტარები არ მოიცავს ყველა გარემოებასა და ასპექტს, რომელიც აუდიტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ აუდიტში. როგორც წესი, აუდიტორმა ყოველთვის უნდა გამოიყენოს პროფესიული განსჯა.

### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

#### ისტორია

„დეფტა ავეჯი“ არის ოჯახის საკუთრებაში მყოფი ავეჯის მწარმოებელი კომპანია. იგი აწარმოებს სახლის სხვადასხვა სახეობის ხის ავეჯს, როგორც მზა სახით, სტანდარტულ ავეჯს, ისე შეკვეთით. „დეფტას“ გააჩნია ბრწყინვალე რეპუტაცია, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელ კომპანიას.

კომპანიას აქვს პროდუქციის 3 მთავარი ხაზი: საძინებლების კომპლექტები, სასადილო ოთახის კომპლექტები და ყველანაირი სახეობის მაგიდები. შესაძლებელია ასევე ავეჯის სტანდარტული ელემენტების შეკვეთით დამზადებაც შემკვეთის ინდივიდუალური მოთხოვნილებების შესაბამისად. ინტერნეტის საუცხოო შესაძლებლობების გამოსაყენებლად, კომპანიამ ცოტა ხნის წინ შექმნა ვებგვერდი, საიდანაც ხალხს ავეჯის შეძენა და გადახდა შეუძლია პირდაპირ, საკრედიტო ბარათის მეშვეობით. გასულ წელს კომპანიამ მომზარებლების შეკვეთების გადაზიდვა განახორციელა თითქმის 9 000 კილომეტრის მანძილზე.

ქარხანა მდებარეობს სურავის დეფტას სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე. ამასთან, სურავის სახლის დასავლეთის მიშენებული ნაწილი გამოიყენება, როგორც „დეფტა ავეჯის“ მაღაზია. კომპანიის მიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ხშირად სურავის სასადილო მაგიდასთან იღებენ (რომელიც სურავისა და მამამისის მიერ ერთად შექმნილი მაგიდა). სურავს მოსწონს იმ პროდუქტზე ტრაქტობის ტრადიციის სიმბოლიზმი, რომელიც მათი ოჯახის არსებობის წყაროს წარმოადგენს.

#### დარგის ტენდენციები

უკანასკნელ პერიოდამდე, „დეფტა“ სწრაფად იზრდებოდა. თუმცა, ამჟამად ავეჯის მრეწველობას რთული დრო დაუდგა, რაც განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- ქვეყნის ეკონომიკის დაღმასვლით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო მსოფლიო კრიზისით;
- პოტენციური კლიენტების მიერ ინდივიდუალურ შეკვეთებზე, მათ შორის ავეჯზე ხარჯების შემცირებით;
- კონკურენციით;
- პროდუქციის რეალიზაციის მოსაზიდად ფასების იძულებითი შემცირებით; და
- იმით, რომ ავეჯის ზოგიერთი დეტალის მწარმოებლები ტოვებენ ბიზნესს, რაც გარკვეულწილად წარმოების შეფერხებებს იწვევს.

## მართვის სისტემა

კომპანია 1952 წელს სურაჯის მამამ ჯივან დეფტამ დაარსა. ჯივანი პირველად ერთ სახარატო დაზგაზე ამზადებდა ხის შპინდელებსა და მოაჯირის სამაგრ ძელებს თავისი სახლის მახლობლად მდებარე პატარა სახელოსნოში.

კომპანიას არ გააჩნია მართვის ფორმალური სტრუქტურა. ჯივანი და სურაჯი ყოველ წელს ამზადებენ ბიზნესგეგმას; შემდეგ რეგულარულად, თვეში ერთხელ ხვდებიან ადგილობრივ წარმატებულ ბიზნესმენს რავი ჯაინს, გეგმის შესრულების მიმდინარეობის განსახილველად. გარდა ამისა, ისინი რავის ფულს უხდიან იმისთვისაც, რომ მან თავისი მოსაზრებები გამოიტევს იმის შესახებ, რამდენად პრაქტიკული და სასარგებლოვა მათი ახალი გეგმები და იდეები კომპანიისთვის; გაანალიზოს კომპანიის საქმიანობის შედეგები და ურჩიოს, როგორ უნდა მოაგვარონ წამოჭრილი კონკრეტული პრობლემები.

რავის ქალიშვილი, პარვინი (განათლებით იურისტი), როგორც წესი, თან ახლავს ხოლმე მამას სურაჯთან და ჯივანთან შეხვედრებზე. პარვინი უწევს მას კონსულტაციას გარკვეულ იურიდიულ საკითხებზე, მაგრამ მისი ნამდვილი მისწრაფება მარკეტინგი და სარეკლამო საქმიანობაა. სწორედ პარვინის იდეა იყო, რომ „დეფტას“ უნდა გაეფართოვებინა საქმიანობის საზღვრები და ინტერნეტით დაქტიფირებით თავისი პროდუქციის გაყიდვა. მას ასევე მიაჩნია, რომ კომპანიამ საქმიანობა უნდა გააფართოვოს თავიანთი ადგილობრივი რეგიონის ფარგლებს გარეთ და მეზობელ ქვეყნებშიც კი. მისი აზრით, დამატებით ბაზრებზე შესვლით, შესაძლოა, კომპანიამ მაინც შეძლოს რეალიზაციის დონის შენარჩუნება, ეკონომიკის ამჟამინდელი ვარდნის მიუხედავად.


## პრიონალი

„დეფტას“ პყავს სრულ განაკვეთზე მომუშავე 10 თანამშრომელი. აქედან დაახლოებით ექვსი თანამშრომელი ამა თუ იმ გზით დაკავშირებულია ოჯახთან. ოჯახის წევრების უმეტესობა, იმ ფუნქციების შესრულებასთან ერთად, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი, ჩართულია წარმოების პროცესშიც (საჭიროებისამებრ). კომპანიისთვის დატვირთულ პერიოდებში შეიძლება იქირაონ ორიდან ოთხამდე დროებითი მუშა, საჭიროებისამებრ. დროებითი მუშებიდან ზოგიერთი რეგულარულად ბრუნდება კომპანიაში, მაგრამ დასაქმების გარანტიის არასებობის გამო, დენადობის დონე საკმაოდ მაღალია.

სურაჯ დეფტა მმართველი დირექტორია. იგი ზედამხედველობას უწევს ბიზნესის ყველა ასპექტს. არჯან სინგი პასუხისმგებელია რეალიზაციაზე და მას ეხმარება 2 სრულ განაკვეთზე მომუშავე გამყიდველი. სურაჯის ძმა დამირი კურირებს წარმოებას და მის ფუნქციებში შედის ნედლეულის შეკვეთაც და მარაგის მართვაც. საოფისე ფართობის სიმცირის გამო, სურაჯი და დამირი არასოდეს არინ წარმოების პროცესისგან ძალიან შორს და ერთად ასრულებენ ორი თანამშრომლის ზედამხედველობის ფუნქციებს.

ჯავად კასაბი (სურაჯის ბიძაშვილი) პასუხისმგებელია ფინანსურ საკითხებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. მის გუნდშიც ორი თანამშრომელია.

ორგანიზაციული სქემა,  
„დეფტა ავეჯი“




## საკუთრების სტრუქტურა

ჯივანი 50%-იანი წილით კომპანიის მთავარი აქციონერია. იგი გეგმავს აქციების გადაცემას შეიძლის სურაჯისთვის, სანამ სურაჯი განაგრძობს კომპანიის მართვას სრულ განაკვეთზე და შედეგად კომპანია მოგებიანობას ინარჩუნებს.

სურაჯის და მის დას, კალიანის, 15-15% წილი აქვთ.

დარჩენილი 20% ოჯახის მეგობარ ვინჯე შარმას ეკუთვნის. ვინჯე მდიდარი ინვესტორია, რომელმაც ჩადო კომპანიის ზრდისთვის საჭირო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

### კომპანია „დეფტას“ საკუთრების სტრუქტურა



კალიანი ცნობილი მომღერალია, რომელიც ბევრს მოგზაურობს. იგი კომპანიის საქმიანობაში არ მონაწილეობს და სრულიად ენდობა მამას და ძმას თავისი ინტერესების დაცვის საკითხში.

ყოველ წელს ივნისში ჯივანი აწყობს უფრო ფორმალურ საქმიან შეზღვდრას. აქციონერები ერთმანეთს ხვდებიან დილით (უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ განიხილონ ფინანსური ანგარიშება) და შემდეგ შუა დღეს, რათა გამართონ თანამშრომელთავის წვეულება. სურაჯი ამ შემთხვევას იყენებს იმისთვის, რომ თანამშრომლებს მოუყვეს კომპანიის ბიზნესის წარმატებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

### ოპერაციები

კომპანიამ სკამების, მაგიდების, მოავირებისა და ღობეების შპინდელების წარმოებით დაიწყო. შემდეგ გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი და დაიწყო ბინის ავეჯის, კერძოდ, სამზარეულოს კარადების, ტანსაცმლის კარადებისა და გორკების წარმოებაც. „დეფტა“ მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი სტრატეგიული კურსის გამოყენებით:

- ადგილობრივი კლიენტების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის პროდუქციით სამართლიან, მისაღებ ფასად;
- დიდი შეკვეთების მიღება ეროვნული საცალო ვაჭრობის საწარმოებისგან. ამგვარ დიდ შეკვეთებს ახლავს მიწოდების ფიქსირებული თარიღი (რომლის დარღვევაც მნიშვნელოვან ჯარიმებს ითვალისწინებს) და მოგების მარები გაცილებით დაბალია, ვიდრე ინდივიდუალური მომზარებლების შეკვეთით დამზადებული ავეჯის შემთხვევაში;
- „დეფტა“ რეგიონში პირველი კომპანიაა, რომელიც ინტერნეტით ყიდის (შეზღუდული ასორტიმენტის) პროდუქციას; და
- ავეჯის მწარმოებელი სხვა ადგილობრივი კომპანიებისთვის აწარმოებს ისეთ დეტალებს, როგორიცაა ხის შპინდელები და მრგვალი მაგიდის ფეხები. ამან კომპანიას საშუალება მისცა, შეეძინა ძვირად ღირებული სახარატო დაზები და სპეციალიზებული ინსტრუმენტები, რისი ფინანსური საშუალებაც სხვა კომპანიებს არ გააჩნდათ.

„დეფტა“ ასევე ყიდის ავეჯისა და ხის მასალის ნარჩენებს ქარხნიდან (იმ ნაწილებს, რომელიც ხარისხის კონტროლის პროცესმა წუნდებულად მიიჩნია), მხოლოდ ნაღდ ფულზე.


კომპანიას ასევე გათვალისწინებული აქვს ავეჯის ექსპორტის დაწყება მეზობელ ქვეყნებში. სურაჯის გაცნობიერებული აქვს, რომ ამას მოჰყვება ტრანსპორტირების დიდი დანახარჯები, საქმე ექნება საბაჟოსთან, სავალუტო რისკთან და განჩდება ტრანსპორტირების დროს ავეჯის დაზიანების შესაძლებლობა. მართალია, მეზობელ ქვეყნებში პროდუქციის გაყიდვა კომპანიის დანახარჯებს გაზრდის, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ეს არის უმნიშვნელო მსხვერპლი, რომლის გაღებაც მოუწევს პოტენციურ ახალ კლიენტებზე გასვლის სანაცვლოდ. ამასთან, პარვინი ბევრ ადამიანს იცნობს ადგილობრივ მთავრობაში და სურაჯი ფიქრობს, რომ ის შეძლებს საქონლის ექსპორტთან დაკავშირებულ დამატებით ბიუროკრატიულ პროცედურებში დახმარებას.

### **რეალიზაცია**

პროდუქციის რეალიზაცია საქმიანობის სახეების მიხედვით დაახლოებით ასეა განაწილებული:

- სტანდარტული ავეჯი (კატალოგიდან), რომლის გაყიდვაზე შეთანხმება მაღაზიაში ხდება პირადად 40%
- რეალიზაცია ავეჯის საცალო ვაჭრობის საწარმოებზე 30%
- ინდივიდუალური შეკვეთით წარმოებული ავეჯი 15%
- რეალიზაცია ინტერნეტის მეშვეობით 12%
- ნარჩენების გაყიდვა ქარხნიდან 3%

### **რეალიზაციის სტრუქტურა**



არჯან სინგი მოლაპარაკებების დიდოსტატია. ის ძალიან დიდ სიმტკიცეს იჩენს კლიენტებთან მოლაპარაკებების დროს და, როგორც წესი, აღწევს ხოლმე გაყიდვას, თუმცა, მოგების მარჯები შეიძლება დიდი არ იყოს. მაუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, მან ახლახან ლამაზი სახლი შეიძინა ოჯახისთვის, რომელიც ხეობას გადაჰყურებს.

### **შენიშვნები რეალიზაციის სისტემის შესახებ**

- ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები მზადდება საცალო ვაჭრობის ობიექტებისა და ინდივიდუალური შეკვეთებისთვის. ყველა ინდივიდუალური შეკვეთისთვის სავალდებულოა შეკვეთის ღირებულების 15%-ის წინასწარ გადახდა, რაც მიღებისთანავე აისახება, როგორც რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები. ორი მსხვილი საცალო ვაჭრობის საწარმო „დეფტასგან“ მოითხოვს მათთვის მუდმივად 30-დღის მარაგის მზადყოფნას, რათა შეკვეთები მაღაზიებში შეუფერხებლად გაიგზავნოს საჭიროების შემთხვევაში. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს „დეფტასთვის“ საქონლის უკან დაბრუნებას, თუ ხელშეკრულებით დადგენილ პერიოდში მისი გაყიდვა ვერ მოხერხდება.
- ყველა შეკვეთის ფორმა ხელით ივსება გაყიდვის მომენტში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ავეჯის გაყიდვა პირდაპირ მაღაზიიდან ხდება, ან იყიდება სხვა მზა პატარა

- ზომის ნაკეთობები. 500 ევროზე მეტი ღირებულების ყველა შეკვეთა, ან, შეკვეთები, რომელთა სარეალიზაციო ფასი მინიმალურ გასაყიდ ფასზე ნაკლებია, უნდა დაამტკიცოს არჯანმა. ანგარიშ-ფაქტურებს მაშინ გამოწერენ, როდესაც საქონელი იტვირთება და კლიენტს ეგზაგნება.
- მაღაზიდან გაყიდული ყველა საქონლისთვის ანგარიშ-ფაქტურები გამოიწერება გაყიდვის მომენტში და შეიტანება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად ნომრავს რეალიზაციის ყველა ოპერაციას და გადახდის ქვითარს (სალაროს აპარატის ჩეკს) მხოლოდ მაშინ გასცემნა, თუ მყიდველი მოითხოვს.
  - ინტერნეტით რეალიზაციის ყოველდღიური მონაცემები ჩამოიტვირთება ვებგვერდიდან. მომზადება მონაცემები შეკვეთილი პროდუქციის შესახებ და გადაეცემა წარმოების ქვედანაყოფს. იმავრცოულად გამოიწერება ანგარიშ-ფაქტურა და თანხა აისახება ამონა-გებში, რადგან ავეჯის საფასური უკვე გადახდილია კლიენტის საკრედიტო ბარათის მეშვეობით. ანგარიშ-ფაქტურა წარწერით „სრულად გადახდილია“ თან ერთვის ყველა ინტერნეტ-შეკვეთას, რომელიც უკვე გაეგზაგნა კლიენტს.
  - არჯანი იშვიათად ამოწმებს კლიენტთა კრედიტუნარიანობას. იგი მათ უმეტესობას პირადად იცნობს. წარსულში კლიენტები ნაღდი ფულით იხდიდნენ საქონლის მიწოდების შემდეგ; ამჟამად საქონელი კრედიტით იყიდება, რათა „დეფტას“ გაყიდვის პირობები შეესაბამებოდეს იმ პირობებს, რომელსაც მისი კონტრუნტები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს. ამის გამო, „დეფტას“ სჭირდება საკრედიტო ხაზი ბანკიდან. ყოველ წელს უიმედო ვალების რაოდენობა მატულობს.
  - ყოველი თვის ბოლოს სურაჯი იხილავს რეალიზაციისა და დებიტორული დავალიანების ანგარიშების სიას. ამით ის ამოწმებს, რომ არ იყოს დაშვებული არანაირი აშენა შეცდომა და პირადად ურეკავს ყველა კლიენტს, რომლის ანგარიშიც აღემატება 90 დღეს.
  - რეალიზაციის განყოფილების ყველა თანამშრომელი (არჯანის ჩათვლით), მინიმალური ძირითადი ხელფასის გარდა, ყოველი გაყიდვიდან იღებს საკომისიოს 15%-ის ოდენობით. გამყიდველების სტიმულირების მიზნით, მათი ძირითადი ხელფასი მნიშვნელოვნად დაბალია მეტ-წილ სხვა თანამშრომელთა ხელფასთან შედარებით. კომპიუტერული სისტემა აფიქსირებს თითოეული გამყიდველის მიერ განხორციელებულ ყველა რეალიზაციას. ჯავადი კომპიუტერიდან ყოველთვიურად გამობეჭდავს გამყიდველების რეალიზაციის ანგარიშს და ამზადებს საკომისიო გადასახდელების სიას, რომელიც გაიცემა მომდევნო კვირის ხელფასებთან ერთად. სურაჯი ან დამირი აანალიზებენ საკომისიოებისა და რეალიზაციის ოპერაციების სიას, რათა უზრუნველყონ იმის გარანტია, რომ თანამშრომლებს სწორი რაოდენობის თანხას უხდიან. დღეისათვის არჯანი ყველაზე მეტი საკომისიოს იღებს.

## საინფორმაციო ტექნოლოგიები

სისტემა შედგება 6 პერსონალური კომპიუტერისგან და სერვერისგან, რომელიც კომპანიის ვებგვერდს ემსახურება. შიდა სისტემა, ძირითადად, გამოიყენება ელექტრონული ფოსტისთვის, შეკვეთების მისაღებად და ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

კომპანია ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ყოველკვირეულ სარეზერვო ასლებს მყარ დისკზე, რომელიც კომპიუტერის ოთახის გვერდით მდებარე სეიფში ინახება. ბოლო ორი საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში სისტემას დაუმატეს ქსელური დაცვის აპარატურული და პროგრამული საშუალებები და პაროლებით დაცვა. გასულ წელს ოფისიდან 2 კომპიუტერი მოიარეს. ოფისში შესავლელი ახლა უფრო კარგადა დაცული, პერსონალური კომპიუტერები მაგიდებზე მიმაგრებულია ჯაჭვით, ხოლო სერვერი ჩაკეტილია ცალკე, სპეციალურ გრილ ოთახში. ინტერნეტის მეშვეობით რეალიზაციას ჯავადი კურირებს. კომპანიას ბანკთან ხელშეკრულება აქვს დადებული საკრედიტო ბარათების დამუშავების შესახებ მანამ, სანამ შეკვეთა დამტკიცდება გასაგზავნად. კომპანია ბანკს უხდის თითოეული დამუშავებული შეკვეთის 7%-ს. ინტერნეტით რეალიზაციის კომპიუტერული პროგრამა უზრუნველყოფს ინფორმაციას თითოეული რეალიზაციის ოპერაციის შესახებ, მათ შორის კლიენტის სახელსა და გვარს, მისამართს და შეკვეთილ საქონელს. ინტერნეტით შესრულებული ოპერაციების ჩამოტვირთვა ვებგვერდიდან ყოველდღიურად ხდება; შემდეგ მომზადდება რეალიზაციის შეკვეთები და წარმოების ქვედანაყოფს გადაეცემა.

## შრომითი რესურსები და ხელფასები

თანამშრომელთა საშიახურში აყვანის ყველა გადაწყვეტილებას დამირი და სურაჯი იღებენ. მამის მსგავსად სურაჯი ცდილობს კომპეტენტური ადამიანების დაქირავებას და თავისი თანამშრომლებისგან მოელის ერთგულებას.

თანამშრომლებს ხელფასებს ნაღდი ფულით უხდიან ყოველი კვირის დასაწყისში. ჯავადის ერთერთი თანამშრომელი, კარლა ვინსტონი პასუხისმგებელია ხელფასებზე. მას აქვს თანამშრომელთა სია და ხელფასებსა და დასაკავებელ თანხებს ანგარიშობს სატაბელო აღრიცხვის ბარათების მონაცემების მიხედვით, რომელსაც მას დამირი აწვდის. სურაჯი სახელფასო უწყისებს ყველორშებათ დილას ამოწმებს, სანამ კარლას უფლებას მისცემს, რომ თანამშრომლებს ხელფასების კონვერტები დაურიგოს. კონვერტის მიღებისას ყველა თანამშრომელი ხელს აწერს უწყისში. კომპანია არ აწარმოებს პერსონალის ოფიციალურ ჩანაწერებს.

## შესყიდვები და წარმოება

შესყიდვებსა და წარმოებაზე პასუხისმგებელია დამირი. იმის გამო, რომ მარაგის კომპიუტერული სისტემა არ არის საკმაოდ გულმოდგინედ დამუშავებული, ხანდახან ის ზედმეტ მასალას უკვეთავს, რაც საწყობში მარაგის დიდი ხნით დაგროვებასა და დამტვერვას იწვევს. თუმცა, კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ეს უკეთესია, ვიდრე არასაკმარისი მასალის შეკვეთა, რაც წარმოების შეფერხებებს იწვევს.

- **შენიშვნები შესყიდვის სისტემის შესახებ**
  - მინიმუმ 2 სხვადასხვა ფასი მანიც უნდა იქნეს მოძიებული, სანამ 5,000 ევროზე მეტი ღირებულების საქონლის შესყიდვის დამტკიცება მოხდება. გამონაკლისია ხის მასალა, რომელსაც კომპანიას აწვდის ადგილობრივი ხის სახერხი ქარხანა, რომელთანაც „დეფასა“ 5-წლიანი ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულება აქვს დადგებული.
  - კომპანია შესყიდვის შეკვეთას ამზადებს ან ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის ერთად, ან კაპიტალური შესყიდვებისთვის, რომელთა ღირებულებაც 1,000 ევროს აღემატება.
  - დამირი ამტკიცებს ყველა ახალ მომწოდებელს და მათ შესახებ ინფორმაციას გადასცემს ჯავადს. ამის შემდეგ ჯავადს სისტემაში შეაქვს მომწოდებლების საიდენტიფიკაციო მონაცემები და მიღებული ანგარიშ-ფაქტურების მონაცემები.

## ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები

ჯავადმა ბუღალტრული აღრიცხვა უნივერსიტეტში შეისწავლა და კარგად ერკვევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ საკითხებში. როდესაც მან 2 წლის წინ „დეფასა“ დაიწყო მუშაობა, მაღლევე დანერგა „ონიონ კორპორეიშენის“ მიერ შექმნილი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტი „ჯანსაღი ბუღალტრული აღრიცხვა“, კრედიტორული დავალიანების, დებიტორული დაგალიანებისა და კაპიტალური აქტივების ანგარიშების ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად.

## შენიშვნები ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების სისტემის შესახებ

- ამჟამად კომპანიას არ გააჩნია მარაგის უწყვეტი აღრიცხვის სისტემა. მარაგის ინვენტარიზაცია ტარდება საანგარიშებო პერიოდში ორჯერ, ერთხელ პერიოდის ბოლოს და ერთხელ შუაში. ეს უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ შესაძლებელია რეალიზაციის მოგების მარჯების ზუსტად დათვლა სულ მცირე წელიწადში ორჯერ მანც.
- ჯავადი უკავშირობი იყო მარაგზე კონტროლის საშუალებების უქონლობით. მან სურაჯს შესთავაზა, რომ მარაგის ინვენტარიზაცია ჩატარებულიყო წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ მაინც, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მარჯებზე თვალ-ყურის დევნება მთელი პერიოდის განმავლობაში. სურაჯმა არ მიიღო მისი რეკომენდაცია და განაცხადა, რომ მარაგის ინვენტარიზაციის ასე ხშირად ჩატარებას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოპოლოდა და გამოეწვია კომპანიის მხრიდან შეკვეთების ჩაბარების ვადების დარღვევა.
- მართალია, „დეფასა“ რენტაბელური კომპანიაა, მაგრამ საერთო მოგების მარჯები შეუსაბამო იყო. ჯავადს ვერ აუხსნია, რატომ არ ხდება სასაქონლო-მატერიალური

- ფასეულობების (მარაგის) დანახარჯების თვალ-ყურის დევნება/აღწერა პროდუქციის ხაზების მიხედვით.
- სურაჯი ძალიან ღიზიანდება ნებისმიერი ფორმის მოგების გადასახადის ყოველი გადახდისას და, როგორც წესი, მოითხოვს ჯავადისგან, რომ დარიცხული გადასახადები „მაქსიმალურად ადეკვატური იყოს”.

**შენიშვნა:** შემდეგ დანართებში ნაჩვენები მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და ბალანსი მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები და ფულადი ნაკადების ანგარიშგება მოცემული არ არის.

**დანართი ა**

კომპანია „დეფტა ავეჯი“

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ფულად ერთეულებში (ევრო))

საანგარიშგებო თარიღი 31 დეკემბერი			
	20X2	20X1	20X0
რეალიზაცია	1,437,317 ევრო	1,034,322 ევრო	857,400 ევრო
რეალიზებული საქონლის თვითონირებულება	<u>879,933</u>	<u>689,732</u>	<u>528,653</u>
საერთო მოგება	<u>557,384</u>	<u>344,590</u>	<u>328,747</u>
კომერციული დანახარჯები	64,657	41,351	39,450
ადმინისტრაციული ხარჯები	323,283	206,754	197,248
ფინანსური დანახარჯი	19,471	19,279	15,829
ცვეთა	<u>23,499</u>	<u>21,054</u>	<u>10,343</u>
	<u>430,910</u>	<u>288,438</u>	<u>262,870</u>
მოგება დაბეგვრამდე	<u>126,474</u>	<u>56,152</u>	<u>65,877</u>
მოგების გადასახადი	<u>31,619</u>	<u>14,038</u>	<u>16,469</u>
წმინდა შემოსავალი	<u>94,855 ევრო</u>	<u>42,114 ევრო</u>	<u>49,408 ევრო</u>

## დანართი ბ

კომპანია „დეფტა ავეჯი“  
ბალანსი  
(ფულად ერთეულებში (ევრო))

	31 დეკემბრის მდგომარეობით		
	20X2	20X1	20X0
<b>აძლიერები</b>			
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეპივალენტები	22,246 ევრო	32,522 ევრო	22,947 ევრო
სავაჭრო და სხვა დებიტორული დაგალიანება	177,203	110,517	82,216
მარაგი	156,468	110,806	69,707
წინასწარი გადახდა და სხვა	12,789	10,876	23,877
	<u>368,706</u>	<u>264,721</u>	<u>198,747</u>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	<u>195,821</u>	<u>175,450</u>	<u>103,430</u>
	<u>564,527 ევრო</u>	<u>440,171 ევრო</u>	<u>302,177 ევრო</u>
<b>საკუთარი კაპიტალი და გალდებულებები</b>			
<b>მოკლევადიანი გალდებულებები</b>			
ბანკის დავალიანებები	123,016 ევრო	107,549 ევრო	55,876 ევრო
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დაგალიანება	113,641	107,188	50,549
მოგების გადასახადის დავალიანება	31,618	14,038	16,470
პროცენტიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10,000	10,000	10,000
	<u>278,275</u>	<u>238,775</u>	<u>132,895</u>
<b>გრძელვადიანი გალდებულებები</b>			
პროცენტიანი სესხი	70,000	80,000	90,000
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>			
გამოშვებული კაპიტალი	18,643	18,643	18,643
დაგროვილი (გაუნაწილებელი) მოგება	<u>197,609</u>	<u>102,753</u>	<u>60,639</u>
	<u>564,527 ევრო</u>	<u>440,171 ევრო</u>	<u>302,177 ევრო</u>

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“ („კუმარი“)

### ისტორია

„კუმარი და კომპანია“ 1990 წელს დაარსა რაჯი კუმარმა. „კუმარი“ სააქციო საზოგადოებაა, მაგრამ მისი პერსონალი ძალიან მცირერიცხოვანია: კომპანიაში დასაქმებულია მხოლოდ ორი თანამშრომელი წარმოებაში, რაჯი, როგორც მესაკუთრე-მმართველი და რამდენიმე არასრულ განაკვეთზე მომუშავე პირი, ბუღალტრულ აღრიცხვაში დამხმარე.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა რაჯმა მამის, სანჯაისგან შეისწავლა ხის ნაკეთობებით ვაჭრობა. როდესაც სანჯაიმ პირველად ჩართო სამუშაოში რაჯი, მან დაინახა, რომ მასაც ხის ნაკეთობებზე მუშაობის ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, რაც მისთვის საამაყო იყო.

1976 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, რაჯმა გადაწყვიტა, თავისი მცირედი დანაზოგი საკუთარი ავეჯის მაღაზის გახსნაში დაებანდებინა, რომელსაც „კუმარი და კომპანია“ დაარქვა.

### საქმიანი წინადადება

რაჯის ბიზნესი თავდაპირველად ორიენტირებული იყო სახლის მცირე ზომის ხის ავეჯის დამზადებაზე. თუმცა, ბიზნესის დაწყებიდან ცოტა ხანში, რაჯისთან საქმიანი წინადადებით მივიდა ბიძაშვილი სურაჯი („დეფტა ავეჯიდან“). სურაჯმა რაჯის სთხოვა, დროისა და ყურადღების უდიდესი ნაწილი დაეთმო ხის შპინდელებისა და მაგიდის ფეხების შექმნისთვის იმ ავეჯისთვის, რომელსაც ქარხანა „დეფტა“ აწარმოებდა. თანხა, რომლის გადახდასაც „დეფტა“ პპირდებოდა, რაჯის იმაზე დიდი მოგების მიღების საშუალებას აძლევდა, ვიდრე ის იღებდა სხვა ნებისმიერი საკუთარი ხელონაკეთი ავეჯის გაყიდვიდან. რაჯი დათანხმდა ამ წინადადებას.

რაჯის წასახალისებლად, რათა მას ემუშავა „დეფტას“ მომარაგების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, „დეფტამ“ შეიძინა კომპანია „კუმარის“ 15% წილი. ეს დაეხმარა კუმარს წარმოების ეფექტური ასამაღლებლად ახალი სახარატო დაზგებისა და ინსტრუმენტების შექმნაში.

### დარგის ტენდენციები

ავეჯის დარგი ამჟამად რთული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას და გარდნას განიცდის. კომპანია „კუმარი“ ჯანსაღ და სტაბილურ ზრდას განიცდიდა, მაგრამ თუ მის პროდუქტებზე „დეფტას“ მოთხოვნა დაუცემა, დაზარალდება „კუმარის“ რეალიზაციაც. რაჯი ჯერ კიდევ იღებს რაღაც რაოდენობის ინდივიდუალურ შეკვეთებს ავეჯზე, მაგრამ მისი ბიზნესის დახლოებით 90% „დეფტაზე“ მოდის.

### წარმოება

„კუმარი და კომპანია“ არის მესაკუთრის მიერ მართული კომპანია, რომლის აქციების 85%-ის მფლობელი რაჯია. რაჯის გარდა, კომპანიაში ორი სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელია დასაქმებული წარმოებაში. რაჯი მიჩვეულია გრძელ სამუშაო დღებს და ასევე მუშაობს თითქმის ყველა უქმედობაც, რათა სათანადოდ შეასრულოს „დეფტას“ შეკვეთები.

თუმცა, მიმდინარე პერიოდში რაჯი იშვიათად იმყოფება ოფისში თუ სახელოსნოში. იგი აკეთებს მხოლოდ იმ მინიმუმს, რაც საჭიროა კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ისე აქტიურად აღარ არის ჩართული შეკვეთების დამტკიცებაში, მასალის ყიდვაში, ან საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაში, როგორც წინათ. როგორც ჩანს, მას რაღაც ოჯახური პრობლემები აქვს. რაჯის თინეიჯერ ვაჟიშვილს ცოტა ხნის წინ ვანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რაც ოჯახის რეპუტაციას საფრთხეს უქმნიდა.

პერიოდის დასაწყისში, „კუმარმა“ ბანკიდან მიიღო ახალი დაფინანსება აუცილებელი ნედლეულის შესაძნად და ზოგიერთი მომველებული მოწყობილობის გამოსაცვლელად. სესხს თან ახლდა ბანკის პირობები, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას სესხს გააუქმებდნენ.

შეკვეთებთან დაკავშირებით „დეფტას“ პერსონალს უშუალოდ რაჯი უკავშირდება და თვითონ შეაქვს მონაცემები ლეპტოპში. შემდეგ ბულალტერი გამოწერს ანგარიშ-ფაქტურებს და ასევე ის იღებს გადახდილ თანხებსაც. რაჯი პირადად უკეთებს ორგანიზებას საქონლის გაგზავნას და აწარმოებს შეკვეთების/საქონლის გაგზავნის სარეგისტრაციო ჟურნალს.

რაჯი კარგად აწარმოებს ჩანაწერებს და რეგულარულად განაახლებს შემდეგ ინფორმაციას:

- შეკვეთების/საქონლის გაგზავნის ჩანაწერები (ჟურნალი): შეკვეთის განთავსების თარიღი, რაოდენობა, ტიპი, ფასი, შეკვეთის ჩაბარების შეთანხმებული თარიღი, მიწოდების მეთოდი, გაყიდული/გაგზავნილი საქონლის რაოდენობა, გაგზავნის თარიღი და განხორციელდა თუ არა გადახდა;
- რეალიზაციის ჟურნალი: კლიენტის სახელი, საქონლის გაგზავნის თარიღი, შეკვეთის დეტალები (პროდუქტის ტიპი, რაოდენობა, ხის მასალის ტიპი, განსაკუთრებული მოთხოვნები და ა.შ.) ფასი, გადახდილი თანხა; და
- შესყიდვების ჟურნალი: ცალ-ცალკე აისახება შეძნილი მასალა და სხვა ელემენტები.

რაჯი საქონლის გაგზავნის ჩანაწერებს ყოველ კვირას უდარებს რეალიზაციის ჩანაწერებს, რათა დარწმუნდეს, რომ არ არის გამორჩენილი არც ერთი გასაგზავნი შეკვეთა.

### **ბულალტრული აღრიცხვა**

კომპანია „კუმარის“ არასრულ განაკვეთზე მომუშავე ბულალტერი რუბი რაჯთან უკვე 10 წელზე მეტია მუშაობს და ძალიან კომპეტენტური მუშაკია. ის აწარმოებს საბულალტო ჩანაწერებს და ადგენს თვიურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. თუმცა, რუბის მიაჩნია, რომ რაჯი მის სამსახურს სათანადოდ არ აფასებს. ბოლო სამი წელია მას რუბისთვის ხელფასი არ მოუმატებია. რუბის ჰყავს ორი შეიძლი და სურს, რომ მათ კოლეჯში ასწავლოს, მაგრამ წუხს, არ იცის, როგორ უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური.

### **დანართი ა**

#### **კომპანია „კუმარი“**

**მოგებისა და ზარალის ანგარიშება – სელმძღვანელობის მიერ მომზადებული**

**საანგარიშებო თარიღი 31 დეკემბერი**

<b>20X2</b>	<b>20X1</b>	<b>20X0</b>
-------------	-------------	-------------


<b>რეალიზაცია</b>	231,540 ევრო	263,430 ევრო	212,818 ევრო
<b>რეალიზებული საქონლის თვითონირებულება</b>	<u>118,600</u>	<u>122,732</u>	<u>100,220</u>
<b>საერთო მოგება</b>	<u>112,940</u>	<u>140,698</u>	<u>112,598</u>
<b>კომერციული დანახარჯები</b>	13,002	19,450	12,890
<b>ადმინისტრაციული ხარჯები</b>	71,532	91,318	68,101
<b>ფინანსური დანახარჯი</b>	6,480	0	0
<b>ცვეთა</b>	<u>11,541</u>	<u>6,871</u>	<u>5,020</u>
	<u>102,555</u>	<u>117,639</u>	<u>86,011</u>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	10,385	23,059	26,587
<b>მოგების გადასახადი</b>	<u>5,765</u>	<u>6,420</u>	<u>8,988</u>
<b>წმინდა შემოსავალი</b>	<u>4,620 ევრო</u>	<u>16,639 ევრო</u>	<u>17,599 ევრო</u>

## დანართი ბ

კომპანია „კუმარი“  
ბალანსი – სელმძღვანელობის მიერ მომზადებული

	31 დეკემბრის მდგომარეობით		
	20X2	20X1	20X0
<b>აქტივები</b>			
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1,255 ევრო	10,822 ევრო	6,455 ევრო
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	67,750	65,110	34,100
მარაგი	34,613	15,445	12,607
	<u>103,618</u>	<u>91,377</u>	<u>53,162</u>
მირითადი საშუალებები	<u>54,430</u>	<u>22,468</u>	<u>20,216</u>
	<u><u>158,048 ევრო</u></u>	<u><u>113,845 ევრო</u></u>	<u><u>73,378 ევრო</u></u>
<b>საბუთარი პაპიტალი და გალდებულებები</b>			
<b>მოკლევადიანი გალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	53,100 ევრო	48,820 ევრო	36,500 ევრო
პროცენტიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	4,000	0	0
	<u>57,100</u>	<u>48,820</u>	<u>36,500</u>
გრძელვადიანი გალდებულებები			
პროცენტიანი სესხი	31,000	0	0
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>			
გამოშვებული კაპიტალი	10,580	10,580	10,580
დაგროვილი (გაუნაწილებელი)	59,368	54,445	26,298
მოვება	<u>158,048 ევრო</u>	<u>113,845 ევრო</u>	<u>73,378 ევრო</u>

### 3. რისკის შევასება – ზოგადი მიმოხილვა



- შემიშვნები:**
- გაეცანთ ას 230-ს, რათა გაივით იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
  - დაგეგმვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
  - აურ = არსებითი უზუსტობის რისკები

პუნქტი	ასს-ის მიზნები
315.3	აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეებზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რომელ უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისთვის.

შემდეგ სქემაზე ნაჩვენებია ერთ-ერთი მარტივი გზა, რომელიც გამოდგება ამ სამი ელემენტის დასახასიათებლად:


### სქემა 3.0-1



- \* „მოვლენა“ სიმარტივისთვის აღნიშნავს ბიზნესის ან თაღლითობის რისკის ფაქტორს (იხ. 1-ლი ტომის მე-3 თავი, ცხრილი 3.2-2), რამაც, თუ ნამდვილად მოხდება (მატერიალიზდება), უარყოფით გავლენა იქნიებს სამეურნეო სუბიექტის უნარზე, მაღლით თავის მიზანს – მოამზადოს ისეთი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც არ შეიცავს შეცდომითა და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ეს ასევე მოიცავს რისკებს, რომლებიც გამოწვეულია შიდა კონტროლის ისეთი პროცედურის უქონლობით, რომელიც შეასუსტებდა ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობას.

შემდეგ სქემაზე მოკლედ განხილულია აუდიტორული რისკის შეფასების ეტაპის ძირითადი საფეხურები ისეთი თანამიმდევრობით, როგორც პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს.

### სექტანტი 3.0-2



\*აურ – არსებითი უზუსტობის რისკი

ქვემოთ ცხრილში ჩამოთვლილია ძირითადი ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია რისკის შეფასების ეტაპთან.

რისკის შეფასების ეტაპის ძირითადი ცნებები	ტომი და თავები
შედა კონტროლი	ტ1 – 5
ფინანსური ანგარიშების მტკიცებები	ტ1 – 6
არსებითობა და აუდიტორული რისკი	ტ1 – 7
რისკის შესაფასებელი პროცედურები	ტ1 – 8

## 4. ახალ გარიგებაზე დათანხმება და არსებულის გაგრძელება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასე-ები/ზეს 1
<p>მითითებები პროცედურების შესახებ, რომელთა ჩატარებაც მოითხოვება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ისეთი რისკის ფაქტორების დასადგენად და შესაფასებლად, რომელებიც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს თუ არა ფირმა აუდიტორულ გარიგებას; და</li> <li>გარიგების პირობების შესათანხმებლად და დოკუმენტირებისთვის.</li> </ul>	210, 220, 300 და ზეს 1

სქემა 4.0-1



შემდეგ სქემაზე მოკლედ აღწერილია ძირითადი საფეხურები, რომლებსაც მოიცავს ახალ გარიგებაზე დათანხმების/არსებულის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სქემა 4.0-2

ახალ გარიგებაზე დათანხმების/არსებულის გაგრძელების შეფასების პროცესი



დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის 4.3 თავი.

პუნქტი	ასს-ის მიზნები
210.3	<p>აუდიტორის მიზანს წარმოადგენს ახალ აუდიტორულ გარიგებაზე დათანხმება ან ძველის გაგრძელება მხოლოდ მაშინ, როცა შეთანხმებული იქნება მისი ჩატარების საფუძველი:</p> <p>ა) იმის დადგენით, არსებობს თუ არა აუდიტის წინაპირობები; და</p> <p>ბ) იმის დადასტურებით, რომ აუდიტორული გარიგების პირობები ერთნაირად ესმით აუდიტორს და ხელმძღვანელობას და, სადაც შესაფერისია, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
სკსს 1.26	<p>ფირმამ უნდა დანერგოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები დამკვეთთან ურთიერთობის დასამყარებლად ან გასაგრძელებლად და კონკრეტული გარიგებისათვის, რომელიც მას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ფირმა დამყარებს ან გააგრძელებს მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს და ისეთ გარიგებებს შესრულებს, როდესაც:</p> <p>ა) ფირმას გააჩნია გარიგების შესრულების კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის, ამისთვის აუცილებელი დრო და რესურსები; (იხ.: პუნქტები გ18, გ23)</p> <p>ბ) ფირმას შეუძლია შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვა; და</p> <p>გ) ფირმა დამკვეთს პატიოსნად მიიჩნევს და არა აქვს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მას იმ დასკვნამდე მიიყვანდა, რომ დამკვეთი პატიოსნი არ არის. (იხ.: პუნქტები გ19-გ20, გ23)</p>
სკსს 1.27	<p>მსგავსი პოლიტიკა და პროცედურები უნდა მოითხოვდეს, რომ:</p> <p>ა) ფირმამ მოიპოვოს ისეთი ინფორმაცია, როგორსაც აუცილებლად მიიჩნევს კონკრეტულ გარემოებებში ახალ დამკვეთთან გარიგების გაფორმებამდე, როცა გადაწყვეტილებას იღებს, გააგრძელოს თუ არა არსებული გარიგება და როცა იხილავს არსებულ დამკვეთთან ახალი გარიგების გაფორმების საკითხს; (იხ.: პუნქტები გ21, გ23)</p> <p>ბ) ახალ ან არსებულ დამკვეთთან გარიგების გაფორმებისას მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის დაფიქსირების შემთხვევაში, ფირმამ განსაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა ამ გარიგების გაფორმება;</p> <p>გ) თუ გამოვლინდება პრობლემები და ფირმა გადაწყვეტს, დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას ან გაგრძელებას, ან კონკრეტული გარიგების აღებას, ან გაგრძელებას, ფირმამ დოკუმენტურად უნდა დააფიქსიროს ამ პრობლემების მოგვარების გზები.</p>
სკსს 1.28	<p>ფირმამ უნდა დანერგოს პოლიტიკა და პროცედურები ამა თუ იმ გარიგებისა და დამკვეთთან ურთიერთობის გაგრძელების შესახებ შემდეგ გარემოებებში: როცა ფირმა იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც გამოიწვევდა ამ გარიგებაზე უარის თქმას, თუ ეს ინფორმაცია მანამდე იქნებოდა ცნობილი. ასეთ პოლიტიკასა და პროცედურებში გათვალისწინებული უნდა იყოს:</p> <p>ა) მოცემული გარემოებების შესაფერისი პროფესიული და საკანონმდებლო პასუხისმგებლობების განხილვა, მათ შორის, არსებობს თუ არა იმის მოთხოვნა, რომ ფირმამ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ის პირი ან პირები, რომლებმაც ის აუდიტორად დანიშნეს, ან, ზოგ შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანოები; და</p> <p>ბ) გარიგებიდან გამოსვლის, ან როგორც გარიგებიდან გამოსვლის, ასევე დამკვეთთან ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობა (იხ.: პუნქტები გ22-გ23).</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
210.4	<p>ასს-ების მიზნებისთვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>აუდიტის წინაპირობები – ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს და ხელმძღვანელობის და, სადაც შესაფერისა, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების თანხმობა იმ საწყის პირობაზე, რომლის საფუძველზეც ტარდება ესა თუ ის აუდიტი</p>
220.12	გარიგების პარტნიორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაკმაყოფილებულია სა-თანადო მოთხოვნები, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას ან გაგრძელებას და კონკრეტული გარიგების აღებას, ან გაგრძელებას და უნდა განსაზღვროს, რომ ამ საკითხებთან მიმართებაში გამოტანილი დასკვნები აღეკვატურია. (იხ.: პუნქტები გ8-გ9)
220.13	თუ გარიგების პარტნიორი მოიპოვებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც გამოიწვევდა კონკრეტულ აუდიტორულ გარიგებაზე უარის თქმას ფირმის მხრიდან, მანამდე რომ ყოფილიყო ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ფირმას ეს ინფორმაცია, რათა ფირმამ და გარიგების პარტნიორმა შეძლონ აუცილებელი ზომის გატარება. (იხ.: პუნქტი გ9)
300.13	<p>პირველი აუდიტის დაწყებამდე აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შემდეგი სამუშაო:</p> <p>ა) ჩაატაროს ას 220-ით მოთხოვნილი პროცედურები, რომლებიც ეხება ახალი დამკვეთის აყვანას და კონკრეტულ აუდიტორულ გარიგებაზე თანხმობას; და</p> <p>ბ) დაუკავშირდეს წინამორბედ აუდიტორს სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც ადგილი ჰქონდა აუდიტორების შეცვლას. (იხ.: პუნქტი გ20) გ20)</p>

#### 4.1 ზოგადი მიმოხილვა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც ფირმას შეუძლია, არის იმის დადგენა, რომელ გარიგებებზე დათანხმდეს, ან რომელ დამკვეთთან შეინარჩუნოს ურთიერთობა. არასწორი გადაწყვეტილების შედეგად ფირმას შეიძლება მოუწიოს გაუთვალისწინებელი დროის დახარჯვა, არ გადაუხადონ მიმსახურების საზღაური, პარტნიორები და თანამშრომლები ზედმეტი დაბაძულობის ქვეშ მოექცნენ, ფირმას შეელახოს რეპუტაცია და, რაც ყველაზე უარესია, შეიძლება მის წინააღმდეგ სასამართლო საქმეც აღიძრას.

სკს 1 და ას 220 ფირმას აგალდებულებს ახალი დამკვეთის აყვანისა და არსებულის შენარჩუნების პოლიტიკასთან მიმართებით ხარისხის კონტროლის პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და დოკუმენტირებას. იდეალურ შემთხვევაში, ეს პოლიტიკა და პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს რისკის დონეს (დასაშვები რისკი) და დამკვეთის ისეთ მახასიათებლებს (როგორიცაა ხელმძღვანელობის უპატიონება, მაღალი რისკის მქონე დარგი, ან საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია), რომელიც მიუღებელი იქნება ფირმისთვის.

უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სკს 1 და ას 220 და პსფ-ის მიერ გამოცემული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ფირმებისთვის.

სანამ ფირმა გადაწყვეტს, უნდა დათანხმდეს თუ არა ახალ გარიგებას, ან შეინარჩუნოს თუ არა არსებული, აუდიტორს მოეთხოვება:

- განსაზღვროს, მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოსაყენებელი, შემოთავაზებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები;

- შეაფასოს, შეუძლია თუ არა ფირმას შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება;
  - ხელმძღვანელობისგან მოიპოვოს იმის თანხმობა, რომ ისინი აღიარებენ და ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა:
    - ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად;
    - შიდა კონტროლის განხორციელებაზე, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; და
    - აუდიტორის უზრუნველყოფაზე ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად საჭირო ყველანაირი ინფორმაციით და ასევე დამატებითი ინფორმაციით, რომელიც შეიძლება აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს; სამეურნეო სუბიექტში ისეთ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტით, ვისგანაც აუდიტორი აუცილებლად მიიჩნევს აუდიტორული მტკიცებულების მიღებას; და
  - ჩატაროს გარიგებაზე დათანხმების ან არსებული გარიგების გაგრძელებისთვის შესაფერისი სავალდებულო პროცედურები. ეს პროცედურები რისკის შესაფასებელი პროცედურების მსგავსი იქნება, რომელიც 1-ლი ტომის მე-8 თავშია განხილული. მათი შედეგები (თუ ფირმა დაეთანხმება გარიგებას) შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს რისკის შეფასების პროცესის ნაწილად.
- საწყისი და მომდევნო წლების გარიგების რისკის შეფასებები ფირმას ეწმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ:
- ფირმა იქნება დამოუკიდებელი და არ იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი;
  - ფირმას ექვება კომპეტენცია და იმის შესაძლებლობა, რომ სამუშაო შეასრულოს აუცილებელი რესურსებითა და ხელმისაწვდომი დროის ფარგლებში;
  - მზად იქნება, თავის თავზე აიღოს აუდიტისთვის დამახასიათებელი რისკები. ეს მოიცავს ხელმძღვანელობის პატიოსნებისა და შიდა კონტროლის მიმართ მისი დამოკიდებულების, დარგის ტენდენციების, შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების ხელმისაწვდომობისა და სხვა ფაქტორების შეფასებას, როგორიცაა, მაგალითად, დამკვეთის მიერ მომსახურების საზღაურის გადახდის უნარი; და
  - არსებული დამკვეთის შესახებ არ იარსებებს ისეთი ახალი ინფორმაცია, რაც გარიგებაზე უარის თქმის მიზეზი გახდებოდა, ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი.

## მინიჭებულოვანი რჩევები

სავარაუდოდ, ცოტაა ისეთი ძალიან მცირე ზომის სამეურნეო სუბიექტები, რომლებსაც მესაკუთრე-მმართველი მართავს, გააჩნიათ ძალიან ცოტა (თუ საერთოდ გააჩნიათ) ფორმალური დოკუმენტირებული კონტროლის პროცედურები და მოეთხოვებათ აუდიტის ჩატარება და, მაშასდამე, თითქმის ყველაფრის იგნორირება შეუძლიათ. ასეთ სიტუაციებში, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, კონტროლის პროცედურების, ან შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების არარსებობის გამო, შეუძლებელი ხომ არ იქნება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება. თუ ასეა, აუდიტორი მიმართავს პროფესიულ განსჯას, რათა გადაწყვიტოს, უარი უნდა თქვას გარიგებაზე, თუ მოდიფიცირებულ მოსაზრებას (დასკვნას) გასცემს.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- სამეურნეო სუბიექტის კონტროლის გარემო, მაგალითად, კეთილსინდისიერი და კომპეტენტური არის თუ არა მესაკუთრე-მმართველი და დადებითი დამოკიდებულება აქვს თუ არა მას შიდა კონტროლთან მიმართებით?
- შესაძლებელია თუ არა საერთო ხასიათის ღონისძიებების გატარება და ისეთი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რომლებიც სათანადო რეაგირებს შეფასებულ რისკის ფაქტორებზე? მაგალითად, შესაძლებელია ძირითადი პროცედურების გამოყენება იმის დასადგენად, რომ ყველანარი ამონაგები და ვალდებულებები სათანადოდ აისახა საბულალტრო ჩანაწერებში?

მას შემდეგ, რაც აუდიტორი გადაწყვეტს, ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას ან არსებულთან გაგრძელებას, შემდეგი ნაბიჯი იქნება:

- განსაზღვროთ, არსებობს თუ არა აუდიტის წინაპირობები; და
- მოიპოვოთ იმის დასტური, რომ აუდიტორული გარიგების პირობები ერთნაირად ესმით აუდიტორისა და ხელმძღვანელობას და, სადაც შესაფერისია, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

## **4.2 გარიგებაზე დათანხმება**

ახალი დამკვეთისთვის თანხმობის მიცემისა და არსებულთან ურთიერთობის გაგრძელების პროცესში ფირმამ, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს, შეუძლია თუ არა გარიგების შესრულება და შემდეგ შეაფასოს რისკები. მომდევნო ცხრილში ფირმის მიერ სათანადო ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე შესაძლო მიმართულება.

### **ცხრილი 4.2-1**

განიხილეთ	გამოკვლევის მიმართულებები
ფირმის ხარისხის კონტროლის მოთხოვნები	<p>რა (ფირმის და გარიგების დონის) პოლიტიკა და პროცედურები არსებობს ფირმაში დასაბუთებული რწმუნების უზრუნველსაყოფად იმის შესახებ, რომ ფირმა მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს დაამყარებს ან გააგრძელებს, სადაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ასს-ების მოთხოვნების შესრულება; და</li> <li>• გარიგების რისკები ფირმის მიერ დადგენილი რისკის დასაშვები დონის ფარგლებშია.</li> </ul>
რა სამუშაოა ჩასატარებელი?	<ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტის ხასიათი და მასშტაბი?</li> <li>• ბუღალტრული აღრიცხვის რომელი საფუძვლები იქნება გამოყენებული?</li> <li>• როგორ მოხდება აუდიტორის დასკვნისა და ფინანსური ანგარიშების გამოყენება?</li> <li>• აუდიტის დასრულების საბოლოო თარიღი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?</li> </ul>
გააჩნია ფირმას საჭირო კომპეტენცია, რესურსები და დრო?	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰყავს ფირმას აუცილებელი კომპეტენციისა და შესაძლებლობების (უნარების მქონე) საკმარისი პერსონალი?</li> <li>• გარიგებისთვის შერჩეულ ფირმის პერსონალს აქვს: <ul style="list-style-type: none"> <li>– შესაბამისი დარგის ან განსაზიდველი საგნის შესახებ ცოდნა;</li> <li>– შესაბამის მარეგულირებელ ან საანგარიშებო მოთხოვნებთან მუშაობის გამოცდილება; ან</li> <li>– იმის უნარი, ეფექტურად შეიძინოს აუცილებელი უნარები და ცოდნა?</li> </ul> </li> <li>• საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება ექსპერტები?</li> <li>• თუ მოცემული გარიგებისთვის მოითხოვება ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარება, ჰყავს ფირმას კვალიფიციური პირები მიმოხილვის ჩასატარებლად?</li> <li>• შეუძლია ფირმასა და მის თანამშრომლებს (სხვა დამკვეთთა დროის მოთხოვნების გათვალისწინებით) გარიგების შესრულება მოთხოვნილ დროში?</li> </ul>

განიხილეთ	გამოკვლევის მიმართულებები
დამოუკიდებელია ფირმა?	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ფირმას და გარიგების შემსრულებელ ჯგუფს ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვა?</li> <li>• იქ, სადაც ინტერესთა კონფლიქტი, დამოუკიდებლობის არარსებობა ან სხვა საფრთხეები გამოვლინდა: <ul style="list-style-type: none"> <li>– გატარდა შესაფერისი ზომები ამ საფრთხეების აღმოსაფხვრელად, ან მისაღებ დონეზე შესამცირებლად დამცავი ზომების გამოყენებით; ან</li> <li>– გატარდა რამები გარიგებიდან გამოსვლისთვის?</li> </ul> </li> <li>• თუ სამეურნეო სუბიექტი, რომელსაც აუდიტი უტარდება, უფრო დიდი ჯგუფის შემადგენელი ნაწილია, ჯგუფის გარიგების შემსრულებელ ჯგუფს უფლება აქვს, მოთხოვოს გარკვეული სამუშაოს შესრულება ამ კომპონენტის ფინანსურ ინფორმაციაზე. ასეთ შემთხვევებში, ჯგუფის გარიგების შემსრულებელმა ჯგუფმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლოს შემდეგი საკითხები: <ul style="list-style-type: none"> <li>– იცის თუ არა კომპონენტის აუდიტორმა და დაიცავს თუ არა იგი ჯგუფის აუდიტისთვის შესაფერის ეთიკის (მათ შორის, დამოუკიდებლობის) მოთხოვნებს;</li> <li>– კომპონენტის აუდიტორის პროფესიული კომპეტენცია;</li> <li>– შეძლებს თუ არა ჯგუფის გარიგების შემსრულებელი ჯგუფი კომპონენტის აუდიტორის მუშაობაში იმ დონეზე მონაწილეობას, რაც აუცილებელია საქმარისი და შესაფერის აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად; და</li> <li>– ხომ არ მუშაობს კომპონენტის აუდიტორი ისეთ მარეგულირებელ გარემოში, სადაც აუდიტორების საქმიანობას აქტიურ ზედამხედველობას უწევენ.</li> </ul> </li> </ul>
მისაღებია გამოვლენილი რისკები?	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი გარიგების შემთხვევაში – დაუკავშირდა ფირმა (ასე 300.13-ის მოთხოვნის შესაბამისად) წინამორბედ აუდიტორს იმის გასარკვევად, არსებობდა თუ არა გარიგებაზე უარის თქმის რამები მიზეზი?</li> <li>• ჩაატარა ფირმამ ინტერნეტის მეშვეობით ძიება და განიხილა ფირმის პერსონალთან და სხვა მესამე მხარეებთან (როგორიცაა ბანკები) მიზეზები იმისა, თუ რატომ არ უნდა დათანხმდეს ფირმა გარიგებას?</li> <li>• რა არის სამეურნეო სუბიექტის ღირებულებები („გენერალური ზაზი“) და სამომავლო მიზნები?</li> <li>• რამდენად კომპეტენტურია სამეურნეო სუბიექტის ზედა დონის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები?</li> <li>• განსახილველი იქნება რთული ან შრომატევადი საკითხები (სააღრიცხვო პოლიტიკა, კანონმდებლობასთან შესაბამისობა და ა.შ)?</li> <li>• რა ცვლილებები განხორციელდა ამ პერიოდში ისეთი, რაც გავლენას მოახდენს გარიგებაზე (ბიზნესის ტენდენციები და სიახლეები, პერსონალის ცვლილებები, ფინანსური ანგარიშება, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები, აქტივების შესყიდვა/გაყიდვა, კანონმდებლობა ა.შ)?</li> <li>• დამკვეთისა და მის საქმიანობასთან მიმართებით დიდია საზოგადოებისა და მედიის დაინტერესება?</li> <li>• სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და შესწევს ფირმის პროფესიული მომსახურების საზღაურის გადახდის უნარი?</li> <li>• დაეხმარება სამეურნეო სუბიექტი ფირმას ინფორმაციის მოძიებასა და ცხრილების მომზადებაში, ნაშთების ანალიზსა და მონაცემთა ფაილების უზრუნველყოფაში?</li> </ul>

განიხილეთ	გამოკვლევის მიმართულებები
შეიძლება დამკვეთის ნდობა?	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვები, როგორიცაა, მაგალითად, სამუშაოთა დასრულების არარეალური თარიღები, ან აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების უწარობა?</li> <li>არსებობს რამე მაზეზი (ან ახალი მოვლენა), რომელიც ეჭვს ბადებს მთავარი მესაკუთრების, უფროსი რანგის ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პატიოსნებაზე? გათვალისწინეთ სამეურნეო სუბიექტის ოპერაციები, მათ შორის საქმიანი ურთიერთობები, მისი რეპუტაცია და ნებისმიერი ეთიკური ან მარეგულირებელი ნომრების დარღვევის ფაქტები წარსულში.</li> <li>არსებობს რამე ინდიკატორები იმისა, რომ სამეურნეო სუბიექტი მონაწილეობს ფულის გათეთრების ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულში?</li> <li>ვინ არიან დაკავშირებული მხარეები და როგორია მათი საქმიანი რეპუტაცია?</li> <li>ხელმძღვანელობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს შიდა კონტროლის მიმართ და აგრესიული დამოკიდებულება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ინტერპრეტაციასთან მიმართებით? გათვალისწინეთ კორპორაციული კულტურა, ორგანიზაციული სტრუქტურა, რისკის მისაღებლობა, ოპერაციების სირთულე და ა.შ.</li> </ul>

### დამკვეთის ისტორიული მონაცემების შემოწმება

იმაში დასარწმუნებლად, რომ სამეურნეო სუბიექტიდან მოპოვებული ინფორმაცია სწორია, გათვალისწინეთ, მესამე მხარისგან რა ინფორმაციის მოპოვება შეიძლება რისკის შეფასების მთავარი ასპექტების განსამტკიცებლად. ეს მარტივი ქმედება მოგვიანებით პრობლემებს აგაცილებთ თავიდან. მაგალითად, ინფორმაცია შევიძლიათ მოიძიოთ ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშებები, საგადასახადო დეკლარაციები, საკრედიტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი ანგარიშები დამკვეთის საკრედიტო ისტორიის შესახებ და ასევე საკითხების განხილვის შესაძლებლობა (პოტენციური დამკვეთისგან ნებართვის მიღების შემდეგ) მთავარ კონსულტანტებთან, როგორიცაა ბანკები და ა.შ.

### მინიმუმის რჩევები

მესამე მხარეებთან დაკავშირებამდე და პოტენციური დამკვეთის შესახებ ინფორმაციის შეგროვებამდე მიიღეთ ზომები, რათა ყველა პარტნიორი და თანამშრომელი ინფორმირებული იყოს:

- იმის თაობაზე, რომ ფირმის პოლიტიკა, დაიცვას დამკვეთების ინფორმაციის კონფიდენციალობა;
- კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის თაობაზე;
- ეთიკის კოდექსის სათანადო მოთხოვნების შესახებ.

### 4.3 აუდიტის წინაპირობები

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
210.6	<p>იმისათვის, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა აუდიტისთვის საჭირო წინაპირობები, აუდიტორიმა უნდა:</p> <p>ა) განსაზღვროს, მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშების მომზადების დროს გამოსაყენებელი ფინანსური ანგარიშების წარდგენის საფუძვლები; და (იხ.: პუნქტები გ2-გ10)</p> <p>ბ) ხელმძღვანელობისგან მოიპოვოს იმის თანხმობა, რომ ისინი აღიარებენ და ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა: (იხ.: პუნქტები გ11-გ14, გ20)</p> <p>(i) ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად, მათ შორის, სადაც შესაფერისია, სამართლიან წარდგენაზე; (იხ.: პუნქტი გ15)</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
210.6 (გავრძე- ლება)	<p>(ii) შიდა კონტროლის განხორციელებაზე, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს ისე-თი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თა-დლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; და (იხ.: პუ-ნქტები გ16-გ19)</p> <p>(iii) აუდიტორის უზრუნველყოფაზე:</p> <p>ა. ყველა იმ ინფორმაციით, რომლის შესახებაც იცის ხელმძღვანელობამ, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაფერისა, კერძოდ, ჩა-ნაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;</p> <p>ბ. ისეთი დამატებითი ინფორმაციით, რომელიც აუდიტის მიზნებისთვის შეიძლება აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს; და</p> <p>გ. სამეურნეო სუბიექტში ისეთ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტით, ვის-განაც აუდიტორი აუცილებლად მიიჩნევს აუდიტორული მტკიცე-ბულების მიღებას.</p>

#### ცხრილი 4.3-1

განიხილეთ	გამოკვლევის მიმართულებები
არსებობს აუდიტის წინაპირობები?	<p>მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები (როგორიცაა ფასს-ები ან ადგილობრივი სტანდარტები)? ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი ფაქტორებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა (კერძო სექტორი, საჯარო სექტორი თუ არაკომერციული ორგანიზაცია);</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების მიზანი (საერთო დანიშნულებისაა თუ სპეციფიკური მომზარებლისთვის განკუთვნილი);</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების ხასიათი (ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტია თუ ერთი ფინანსური ანგარიშგება); და</li> <li>• კანონმდებლობა ადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლებს.</li> </ul> <p>ეთანამება და აცნობიერებს თუ არა ხელმძღვანელობა თავის პასუხისმგებლობას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად, მათ შორის (სადაც შესაფერისა) მის სამართლიან წარდგენაზე;</li> <li>• შიდა კონტროლის სისტემის დანერგვაზე, როგორსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; და</li> <li>• აუდიტორის უზრუნველყოფაზე: <ul style="list-style-type: none"> <li>- ყველანაირი მნიშვნელოვნი ინფორმაციით, როგორიცაა ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;</li> <li>- დამატებითი ინფორმაციით, რომელსაც ხელმძღვანელობისგან აუდიტორი მოითხოვს აუდიტის მიზნებისთვის (როგორიცაა, ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილები); და</li> <li>- შეუზღუდავი კონტაქტით სამეურნეო სუბიექტის თანამშრომლებთან, აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად?</li> </ul> </li> </ul>

განიხილეთ	გამოკვლევის მიმართულებები
ადგილი აქვს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას?	ხომ არ დააწესა ხელმძღვანელობამ ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ- მა პირებმა რაიმე სახის შეზღუდვა აუდიტის მასშტაბზე? ეს შეიძლება გულისხ- მობდეს სამუშაოს დასრულების არარეალურ გადებს, დავალების შესრულებაში ფირმის ზოგიერთი თანამშრომლის მონაწილეობაზე უარის თქმას, ტექნიკით, ან შესაბამისი ღოვეულებით სარგებლობის აკრძალვას, ან წამყვან პერსონალთან კონტაქტის აკრძალვას. როდესაც ასეთ შეზღუდვა აუდიტორულ დასკვნაში მო- საზრებაზე უარის თქმას გამოიწვევს, ფირმამ გარიგებაზე უარი უნდა თქვა, თუ კანონმდებლობით არ ევალება დავალების შესრულების გაგრძელება.

თუ ხელმძღვანელობას გაცნობიერებული არა აქვს თავისი პასუხისმგებლობა, ან არ თანხმდება ოფიციალური წერილების წარმოდგენაზე, აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდ- იტორული მტკიცებულებების მოაღვებას. ასეთ შემთხვევაში, ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული საფუძვლები მიუღებელია, აუდიტორს ასე 210.8 ავალდებულებს, უარი თქვას გარიგებაზე, თუ კანონმდებლობით არ ეკრძალება ამის გაკეთება.

#### 4.4 გარიგების პირობებზე დათანხმება

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
210.7	იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები აუდიტორული გარიგების შეთავაზებულ პირობებში აუდიტორის სამუშაოზე დაწესებენ რაიმე ისეთ შეზღუდვებს, რაც აუდიტორს დაარწმუნებს იმაში, რომ ეს შეზღუდვა გამოიწვევს აუდიტორის მხრიდან ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსა- ზრებაზე უარის თქმას, აუდიტორი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმოს ას- ეთ შეზღუდულ აუდიტორულ გარიგებას, თუკი ასეთი რამ მოთხოვნილი არ იქნება კანონმდებლობით.
210.9	აუდიტორმა აუდიტორული გარიგების პირობები უნდა შეათანხმოს ხელმძღვანე- ლობასთან ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან, როგორც შესაფე- რისია. (იხ.: პუნქტი გ21)
210.10	ექვემდებარება რა მე-11 პუნქტის მოთხოვნებს, აუდიტორული გარიგების შეთანხმებუ- ლი პირობები აუცილებლად უნდა ჩაიწეროს აუდიტორული გარიგების წერილში ან სხვა მიზანშეწონილი ფორმის წერილობით შეთანხმებაში და უნდა შეიცვდეს: (იხ.: პუნქტები გ22-გ25) <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანსა და მასშტაბს;</li> <li>ბ) აუდიტორის პასუხისმგებლობას;</li> <li>გ) ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას;</li> <li>დ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის შესაფერისი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების დადგენას; და</li> <li>ე) ნებისმიერი ანგარიშის (დასკვნის) სავარაუდო ფორმისა და შინაარსის მითითებას, რომელიც უნდა გასცეს აუდიტორმა და განაცხადს, რომ შეიძლება ადგილი ჰქო- ნდეს ისეთ გარემოებებს, რომელთა გამო გაცემული დასკვნა შეიძლება განსხვავ- დებოდეს მისი სავარაუდო ფორმისა და შინაარსისგან.</li> </ul>
210.11	თუკი კანონმდებლობა საქმარისად დეტალურად აღენის მე-10 პუნქტში ნახსენებ აუდი- ტორული გარიგების პირობებს, აუდიტორს აღარ დასჭირდება მათი ჩაწერა ამა თუ იმ წერილობით შეთანხმებაში, გარდა იმ ფაქტისა, როცა ამგვარი კანონი ან სხვა ნორ- მატიული აქტი მოქმედებს, ხელმძღვანელობას ესმის თავისი პასუხისმგებლობა და აღდა- რებს ამას, როგორც ეს აღნიშნულია 6(ბ) პუნქტში. (იხ.: პუნქტები გ22, გ26-გ27)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
210.12	თუკი კანონმდებლობა ადგენს ზელმძღვანელობის ისეთ პასუხისმგებლობებს, რომლებიც 6(ბ) პუნქტში აღწერილის მსგავსია, აუდიტორს შეუძლია მიიჩნიოს, რომ ეს კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი შეიცავს ისეთ პასუხისმგებლობებს, რომლებსაც, აუდიტორის მსჯელობით, ამ პუნქტში აღწერილი პასუხისმგებლობების ეკვივალენტური ძალა აქვს. ასეთი ეკვივალენტური პასუხისმგებლობების შემთხვევაში, აუდიტორმა წერილობით შეთანხმებაში მათი აღწერის მიზნით შეიძლება გამოიყენოს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის ფორმულირება. ისეთი პასუხისმგებლობების შემთხვევაში, რომლებიც კანონმდებლობით იმგვარად არ არის დადგენილი, რომ მათი ძალა ეკვივალენტური იყოს, წერილობით შეთანხმებაში გამოყენებული იქნება პუნქტი 6(ბ)-ში მოცემული აღწერილობა. (იხ.: პუნქტი გ26)
210.13	განმეორებითი აუდიტისთვის, აუდიტორმა უნდა შეაფასოს, აუცილებელია თუ არა არსებულ გარემოებებში აუდიტორული გარიგების პირობების გადახედვა და საჭიროა თუ არა სამეურნეო სუბიექტისთვის აუდიტორული გარიგების არსებული პირობების შესსენება. (იხ.: პუნქტი გ28)
210.14	აუდიტორი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათანხმდეს აუდიტორული გარიგების პირობებში ცვლილების შეტანაზე, თუკი ამას არ ექნება დასაბუთებული გამართლება. (იხ.: პ. გ29-გ31)
210.15	იმ შემთხვევაში, თუკი აუდიტორული გარიგების დასრულებამდე აუდიტორს სთხოვენ აუდიტორული გარიგების შეცვლას რომელიმე ისეთი გარიგებით, რომელიც შეიცავს რწმუნების უფრო დაბალ დონეს, აუდიტორმა თავდა უნდა დაადგინოს, დასაბუთებული გამართლება აქვს თუ არა ამგვარ თხოვნას. (იხ. პ. გ32-გ33)
210.16	აუდიტორული გარიგების პირობების შეცვლის შემთხვევაში, აუდიტორი და ზელმძღვანელობა უნდა შეთანხმდნენ გარიგების ახალ პირობებზე, რაც უნდა აისახოს გარიგების წერილში ან სხვა მიზანშეწონილი ფორმის წერილობით შეთანხმებაში.
210.17	იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი ვერ შეძლებს აუდიტორული გარიგების პირობებში რაიმე ცვლილების შეტანაზე შეთანხმებას, ხოლო ზელმძღვანელობა კი არ მისცემს მას თავდაპირველი აუდიტორული გარიგების გაგრძელების უფლებას, აუდიტორი უნდა: а) გამოვიდეს ასეთი აუდიტორული გარიგებიდან, სადაც ეს დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობით; და ბ) გაარკვიოს, არსებობს თუ არა რაიმე ისეთი მოთხოვნა, სახელშეკრულებო ან სხვაგარი, რომელიც ავალდებულებს ამგვარი გარემოებების შესახებ მესამე მსარეთა, მაგალითად, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, მესაკუთრეების ან მარეგულირებელი ორგანოების ინფორმირებას.

**შენიშვნა:** ას 210-ის 18-22 პუნქტებში მოცემულია დამატებითი მითითებები გარიგებაზე დათანხმების შესახებ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ფინანსური ანგარიშების სტანდარტების მოთხოვნებს ემატება კანონმდებლობის მოთხოვნები და მეორე, როდესაც ფინანსური ანგარიშების წარდგენის საფუძვლებს განსაზღვრავს კანონმდებლობა.

იმისათვის, რომ ზელმძღვანელობასა და აუდიტორს შორის ურთიერთგაგება დამყარდეს გარიგების პირობების შესახებ, უნდა მომზადდეს გარიგების წერილი (ან სხვა შესაფერისი ფორმის წერილობით შეთანხმება) და შეთანხმდეს უმაღლესი ზელმძღვანელობის სათანადო წარმომადგენელთან. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გარიგების წერილის მომზადება და ზელმოწერა უნდა მოხდეს დავალების შესრულების დაწყებამდე.

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც აუდიტის მიზანი, მასშტაბი და ვალდებულებები კანონმდებლობითაა განსაზღვრული, გარიგების წერილი შეიძლება მაინც სასარგებლო იყოს დამკვეთების ინფორმირებისთვის მათი სპეციფიკური როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

თავის ბოლოს, სასწავლო მაგალითების მასალაში შეგიძლიათ იხილოთ აუდიტორული გარიგების წერილის ნიმუში, რომელიც შედგენილია ას 210-ში მოცემული მაგალითის საფუძველზე.

შემდეგ ცხრილში განხილულია საკითხები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს გარიგების წერილი:

#### *ცხრილი 4.4-1*

პირობები	აღწერა
<b>მიზანი, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლი, აუდიტის მასშტაბი და აუდიტორის დასკვნის უნდა გაიცეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოსაყენებელი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები.</li> <li>ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი და აუდიტორის დასკვნის, ან აუდიტის შედეგების ინფორმირების სხვა დოკუმენტის სავარაუდო ფორმა. ასევე გარემოებები, რომლის დროსაც ანგარიში შეიძლება განსხვავდებოდეს მოსალოდნელი ფორმისა და შინაარსისგან.</li> <li>აუდიტის მასშტაბი, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობის, ასე-ებისა და პროფესიული ორგანოების ეთიკური და სხვა ისეთი ოფიციალური დოკუმენტების მითითება, რომელთა მოთხოვნებსაც ემორჩილება აუდიტორი.</li> <li>სხვა მხარეები, რომელთათვისაც მზადდება ანგარიში (მაგალითად, მარეგულირებელი ორგანო).</li> </ul>
<b>აუდიტორის პასუხისმგებლობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასე-ები) შესაბამისად.</li> <li>იმის აღიარება, რომ აუდიტისა და შიდა კონტროლისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვების გამო არსებობს იმის გარდაუვალი რისკი, რომ შეიძლება ვერ მოხერხდეს ზოგიერთი არსებითი უზუსტობის გამოვლენა, თუნდაც აუდიტი სათანადოდ იყოს დაგევმილი და ჩატარდეს ასე-ების შესაბამისად.</li> </ul>
<b>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და დანერგვაზე, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს ხელმძღვანელობა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც შეიძლება აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს.</li> <li>აუდიტორის უზრუნველყოფაზე სამეურნეო სუბიექტის თანამშრომლებთან შეუზღუდვავი კონტაქტით.</li> <li>იმის აღნიშვნა, რომ აუდიტორი მოელის, რომ ხელმძღვანელობისგან მიიღებს ოფიციალურ წერილობით ინფორმაციას აუდიტორ დაკავშირებით.</li> <li>ხელმძღვანელობის თანხმობა, აუდიტორს აცნობოს ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე და რომლებიც შეიძლება ხელმძღვანელობისთვის ცნობილი განდეს აუდიტორული დასკვნის თარიღსა და ფინანსურ ანგარიშგების გამოცემის თარიღს შორის პერიოდის განმავლობაში და.</li> </ul>

ქვემოთ განხილულია სხვა საკითხები, რომლებიც შეიძლება შევიდეს გარიგების წერილში:

#### ცხრილი 4.4-2

პირობები	აღწერა
როგორ ჩატარდება აუდიტი, როგორ გადაიჭრება სადაც საკითხები, ასევე ვალდებულებებთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული დებულებები.	<p>შეთანხმებები, რომლებიც ესება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას, მათ შორის აუდიტის შემსრულებელი ჯგუფის შემადგენლობას და რა დოკუმენტაციას მოამზადებს დამკვეთი: ფინანსური ანგარიშების პროექტს (არსებობის შემთხვევაში), თუ სხვა სამუშაო დოკუმენტებსაც, თარიღების მითითებით, როდესაც აუდიტორი მოითხოვს მათ.</li> <li>• სხვა აუდიტორთა და ექსპერტთა მონაწილეობა.</li> <li>• წინამორბედი აუდიტორის მონაწილეობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწყის ნაშთებთან დაკავშირებით; და</li> <li>• სხვა საკითხები: <ul style="list-style-type: none"> <li>– აუდიტორის პასუხისმგებლობის ნებისმიერი სახის შეზღუდვა, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს;</li> <li>– საფუძველი, რომლის მიხედვითაც გამოითვლება აუდიტის საზღაური და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებები;</li> <li>– ფირმის ვალდებულება, სხვა მხარეებს მიაწოდოს აუდიტის სამუშაო დოკუმენტები; და</li> <li>– მითითება აუდიტორს და დამკვეთს შორის დადებული ნებისმიერი სხვა დამატებითი შეთანხმების შესახებ;</li> <li>– ნებისმიერი სხვა წერილების, ან ანგარიშების აღწერა, რომლის გადაცემასაც ვარაუდობს აუდიტორი დამკვეთისთვის.</li> </ul> </li> </ul> <p>დამკვეთი გარიგების პირობებს ადასტურებს გარიგების წერილის ხელმოწერით.</p>

#### გარიგების წერილის განახლება

განმეორებითი აუდიტის დროს, თუ არაფერი შეცვლილა, აუდიტორმა უნდა შეაფასოს, საჭიროა თუ არა დამკვეთისთვის აუდიტორული გარიგების არსებული პირობების შექსნება. გარიგების პირობები შეიძლება კიდევ ერთხელ დადასტურდეს აუდიტორის ხელახლა დანიშნის დროს და აღარ გახდეს საჭირო ყოველ წელს ახალი გარიგების წერილის შედგენა.

როდესაც გარემოებები იცვლება, გარიგების წერილის გადახდევა საგალდებულოა. გარემოებების ცვლილებაში იგულისხმება შემდეგი საკითხები:

- გარიგების შეცვლილი ან განსაკუთრებული პირობები;
- ხელმძღვანელობის ზედა რგოლებში უკანასკნელ ხანს მომზდარი ცვლილება;
- მნიშვნელოვანი ცვლილება მესკუთრეთა შემადგენლობაში;
- სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ხასიათში ან მასშტაბებში მომზდარი მნიშვნელოვანი ცვლილება;
- ცვლილება საკანონმდებლო ან მარგულირებელ მოთხოვნებში;
- ცვლილება ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოყენებულ ფინანსური ანგარიშების წარდგენის საფუძვლებში;
- სხვა საანგარიშებო მოთხოვნების ცვლილება; და
- ნებისმიერი სიმპტომი იმისა, რომ დამკვეთს მცდარად აქვს გაგებული აუდიტის მიზანი და მასტაბი.

### აუდიტორული გარიგების პირობების შეცვლა

თუ ხელმძღვანელობა მოთხოვს აუდიტორული გარიგების პირობების შეცვლას, აუდიტორმა უნდა განიხილოს, აქვს თუ არა ამ თხოვნას დასაბუთებული საფუძველი და გამართლება და რა გავლენას იქონიებს ეს აუდიტორული გარიგების მასშტაბზე. დასაბუთებულ საფუძვლად შეიძლება ჩათვალოს დამკვეთის გარემო პირობების შეცვლა, ან თავდაპირველად მოთხოვნილი მომსახურების ხასიათის არასწორად გაგება დამკვეთის მხრიდან.

აუდიტორული გარიგების პირობების შეცვლა არ მიიჩნევა დასაბუთებულად, თუ ცვლილება მოტივირებულია აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილი სადავო საკითხებით. ეს შეიძლება გულისხმობდებს: აუდიტის მსვლელობისას აუდიტორების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც ეწინააღმდეგება ხელმძღვანელობის მტკიცებებს, ან გარკვეული ინფორმაციის მოძიების შეუძლებლობას (რაც, ფაქტობრივად, შეზღუდავს აუდიტის მასშტაბს), ან მტკიცებულებას, რომელიც სხვა მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის მაგალითია სიტუაცია, როდესაც აუდიტორი ვერ ახერხებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) ნაშთების შესახებ და სამეურნეო სუბიექტი თხოვს აუდიტის შეცვლას მიმოხილვის გარიგებით, რათა თავიდან აიცილოს პირობითი მოსაზრება, ან აუდიტორის დასკვნაში მოსაზრებაზე უარის თქმა.

თუ პირობების შეცვლა დასაბუთებულია, შეთანხმდება შეცვლილი გარიგების წერილი ან სხვა შესაფერისი წერილობითი შეთანხმება. მაგრამ, თუ აუდიტორი ვერ შეძლებს აუდიტორული გარიგების პირობებში რაიმე ცვლილების შეტანაზე შეთანხმებას, ხოლო ხელმძღვანელობა კი არ მისცემს მას თავდაპირველი აუდიტორული გარიგების გაგრძელების უფლებას, აუდიტორი ვალდებულია:

- გამოვიდეს ასეთი აუდიტორული გარიგებიდან, თუ ეს დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით; და
- გაარკვიოს, არსებობს თუ არა რაიმე ისეთი მოთხოვნა, სახელშეკრულებო ან სხვაგვარი, რომელიც ავალდებულებს ამგვარი გარემოებების შესახებ მესამე მხარეთა, მაგალითად, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, მესაკუთრეების ან მარეგულირებელი ორგანოების ინფორმირებას.

### 4.5 სასწავლო მაგალითები – ახალი დამკვეთების აყვანა და არსებულთან ურთიერთობის გაცრძელება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს არის განგრძობითი (განმეორებითი) აუდიტორული გარიგება, აუდიტური ფირმის პარტნიორი ან უფროსი მენეჯერი ჩაატარებენ გამოკითხვებს ნებისმიერი ახალი თუ შეცვლილი რისკის ფაქტორების გამოსავლენად და შესაფასებლად, რათა ფირმამ მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, უნდა გააგრძელოს თუ არა აუდიტორული გარიგება. გამოკითხვებში გათვალისწინეთ შემდეგი ტიპის კითხვები.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

### ახალი დამკვეთობის აყვანა და არსებულთან ურთიერთობის გავრძელება

შესაძლებელია შემდეგი ტიპის კითხვარის გამოყენება.

<ul style="list-style-type: none"> <li>დაქმაყოფილებულია აუდიტის წინაპირობები?</li> </ul>	<p>„დეფტას“ ფინანსურ ანგარიშებას ხელმძღვანელობა მოამზადებს ფასს-ების გამოყენებით. გარეგნების წერილი ხელმოწერილია და ხელმძღვანელობამ სცნო თავისი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ყველანაირი მოთხოვნილი ინფორმაცია გახადოს ხელმისაწვდომი ჩვენთვის;</li> <li>უზრუნველყოს აუდიტორების შეუზღუდავი კონტაქტი პერსონალთან;</li> <li>უნდა შეიმუშაოს და დახერგოს შადა კონტროლის სისტემა, როგორსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამადგებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობათ ან შეკვეთით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>შესრულდა ფირმის ხარისხის კონტროლის სახლმძღვანელოთი (ინსტრუქციებით) გათვალისწინებული მოთხოვნები დამკვეთონ ურთიერთობის დამყარების/გაგრძელების შესახებ?</li> </ul>	დიახ. იხილეთ ჩვენი ხარისხის კონტროლის სახლმძღვანელოს XX და YY პოლიტიკა.
<ul style="list-style-type: none"> <li>შეიცვალა აუდიტორული გარიგების პირობები ან მოთხოვნები?</li> </ul>	არა.
<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემა ან ინტერესთა კონფლიქტი? გათვალისწინეთ: ოჯახური/პირადი ურთიერთობები დამკვეთის მთავარ პერსონალთან, დამკვეთისთვის არაუდიტორული მომსახურების (როგორიცაა ბუღალტრული აღრიცხვა) შესრულება, ფინანსური ინტერესები და სხვა საქმიანი ურთიერთობები.</li> </ul>	მხოლოდ ერთადერთი საკითხი გამოვლინდა: ერთ-ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა „დეფტასგან“ შეიძინა საძინებელი თავაზის ბევრი ავეჯი, მაგრამ მან გადაისადა კატალოგის ფასი. ეს შემთხვევა მიჩნეული არ არის ჩვენი დამოუკიდებლობის საფრთხედ.
<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს ისეთი გარემოებები, რაც ეჭვს ბადებს დამკვეთის მესაკუთრეთა პატიოსნების შესახებ? გათვალისწინეთ ნებისმიერი შეფასებები, მარეგულირებელი პროცედურები/სანქციები, უკანონო ქმედებების ან თაღლითობის ეჭვი, ან დადასტურებული ფაქტები, გამოძიება და ასევე ნებისმიერი სახის უარყოფითი საზოგადოებრივი რეზონანსი.</li> </ul>	არა. თუმცა, პარვინს (დამკვეთის ბიზნესკონსულტანტის ქალიშვილი) ივლისის თვეში საზოგადოების თვალში რეპუტაცია შეეღარი. ივი იყო მრჩეველი მნის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში, რომლისთვისაც საკარო სამსახურის თანამდებობის პირები მშენებლებისგან ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. ამასთან, ეს საკითხი შევიტანეთ აუდიტის რისკის ფაქტორების რეჟისურში.
<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს ისეთი სფეროები, სადაც სპეციალური ცოდნის გამოყენებაა აუცილებელი?</li> </ul>	ინტერნეტის მეშვეობით რეალიზაციასთან დაკავშირებული კონტროლის საშუალებების მიმოხილვისთვის გამოვიყენებთ დევიდს, ჩვენ პოვერამისტს (რომელიც კარგად ერკვევა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში).
<ul style="list-style-type: none"> <li>გააჩნია ფირმას დრო, კომპეტენცია და რესურსები იმისა, რომ გარიგება შეასრულოს პროფესიულ დონეზე და ფირმის სტანდარტების დაცვით?</li> </ul>	დიახ. იხილეთ დაგეგმილი ბიუჯეტი.

• წინა პერიოდების აუდიტში და სხვა გარიგებებში გამოვლინდა ისეთი საკითხები, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს?	საჭიროა საინფორმაციო ტექნილოგიების საერთო კონტროლის საშუალებების მიმოხილვა ინტერნეტის მეშვეობით რეალიზაციის შეკვეთების მიღების გადაწყვეტილების ფონზე.
• არსებობს ახალი გარემოებები, რომლებიც ზრდის ჩვენი გარიგების რისკს?	არა. სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობას შედარებული მიმართულობა სათანადო დამოკიდებულება აქვს.
• შეუძლია დამკვეთს ჩვენი მომსახურების საზღაურის გადახდა ისევ?	დაახ.

### დასკვნა

გარიგების რისკის მთლიანი შეფასება – რისკი დაბალია

უნდა გავაგრძელოთ ამ დამკვეთთან ურთიერთობა.

სენზ ჩენ ლი

გარიგების პირობები უნდა აისახოს ქვემოთ განხილული ნიმუშის მსგავს წერილში:



Jamel, Woodwind & Wing LLP  
55 Kingston St., Cabetown, United Territories 123-53004

20X2 წ. 15 ოქტომბერი

ბატონ სურაჯ დევტას, მმართველ დირექტორს

შპს „დევტა ავეჯი“

2255 West Street

North Cabetown

United Territories

123-50214

ბატონო დევტა,

თქვენ გვთხოვთ „დევტა ავეჯის“ ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარება, რომელიც შედგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსისა და იმ წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშებისგან, რომელიც მთავრდება მოცემული თარიღით, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პილიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან. მოხარული ვართ, ამ წერილით დავადასტუროთ ჩვენი თანხმობა ამ აუდიტორულ გარიგებაზე. აუდიტი ჩატარდება იმ მიზნით, რომ გამოვთქმათ ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშების შესახებ და გაცემ დასკვნა.

### ჩვენი პასუხისმგებლობა

აუდიტს ჩატარებთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, ასევე აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშების თანხმობისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლივ საჭირო პროცედურების ჩატარებას. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, ან შეცდომით. აუდიტი ასევე ითვალისწინებს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მართებულობისა და ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობის, ასევე მოლიანად ფინანსური ანგარიშების წარდგენის შეფასებას.

აუდიტისა და აგრეთვე შედა კონტროლის სისტემისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, არსებობს გარდაუვალი რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ გამოვლინდეს ზოგიერთი არსებითი უზუსტობა, თუნდაც აუდიტი სათანადოდ დაიგეგმოს და ასე-ბის შესაბამისად ჩატარდეს.

რისკების შეფასების დროს ჩვენ ვიზილავთ სამეცნიერო სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესთან დაკავშირებულ შიდა კონტროლს, რათა დავვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამეცნიერო სუბიექტის შიდა კონტროლის ეფექტისანობის შესახებ. თუმცა, წერილობით შეგატყობინებთ ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებულ შიდა კონტროლში აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელ სირთულეებს არ წავაწყდებით, ჩვენი დასკვნა იქნება შემდეგი ფორმის: *[სურიტორის დასკვნის ფორმა და შენარჩის აქ არ მოვიყვანეთ]*.

აუდიტის შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო გახდეს ჩვენი დასკვნის ფორმისა და შენარჩის შეცვლა.

### სელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტს ჩავატარებთ იმის საფუძველზე, რომ სელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები აღიარებენ და ესმით, რომ აკსრიათ პასუხისმგებლობა:

- ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- იმგვარი შიდა კონტროლის ფუნქციონირებაზე, როგორსაც სელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; და
- აუდიტორის უზრუნველყოფაზე:
  - ყველანაირი ინფორმაციით, რომლის შესახებაც თქვენ იცით, რომ საჭიროა ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, კერძოდ, საბუღალტრო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
  - დამატებითი ინფორმაციით, რომელიც შეიძლება მოვითხოვოთ თქვენგან აუდიტის მიზნებისთვის; და
  - კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტით, ვისგანაც აუდიტორული მტკიცებულების მიღებას ჩავთვლით აუცილებლად.

აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ მოვთხოვთ სელმძღვანელობას და, სადაც შესაფერისია, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს, აუდიტთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაციის წერილობით დადასტურებას, ვინაიდან ამას ითვალისწინებს აუდიტის პროცესი.

აუდიტის პროცესში თქვენი პერსონალის სრული თანადგომის იმედი გვაქვს.

### საზღაური

ჩვენი მომსახურების გასამრჯელო, რომლის შესახებაც გაცნობებთ ანგარიშ-ფაქტურის სახით სამუშაოს მიმდინარეობასთან ერთად, დამოკიდებული იქნება იმ დროზე, რომელიც დასჭირდება აუდიტში დაკავებულ ცალკეულ პირებს, აგრეთვე იმ ყოველდღიურ ხარჯებზე, რომლებსაც ნაღდ ფულზე გავწევთ. ცალკეული სათობრივი განაკვეთები განსხვავდება პერსონალის პასუხისმგებლობის ხარისხის, აგრეთვე მათი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ეს წერილი ძალაში დარჩება მომავალშიც, თუ იგი არ გაუქმდება, შესწორდება ან გამოიცვლება. გთხოვთ ხელი მოაწეროთ წერილს და დაგვიბრუნოთ თანდართული ასლი იმის დასტურად, რომ იგი შესაბამება თქვენს თვალსაზრისს იმ შეთანხმებების შესახებ, რომლებსაც მივაღწიეთ ჩვენ მიერ ჩასატარებელ ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

სენზ ჩენ ლი

შპს „ჯამელი, კუდვინდი და კინგი“

ვადასტურებ „დეფტა ავეჯის“ სახელით

სურაჯ დეფტა

მმართველი დირექტორი

20X2 წლის 1 ნოემბრი

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### ახალი დამკვეთების აუვანა და არსებულთან ურთიერთობის გაგრძელება

თუ ვიგულის სტანდარტი, რომ ეს არის განგრძობითი (განმეორებითი) აუდიტორული გარიგება, ახალი ან შეცვლილი რისკის ფაქტორების გამოსავლენად და შესაფასებლად ჩატარებული გამოკითხვები უნდა გაფორმდეს შემდეგი ტიპის მემორანდუმის (მემო) სახით:

#### დამკვეთან ურთიერთობის გაგრძელების მემო – „კუმარი და კომპანია“

20X2 წლის 15 ოქტომბერი

20X2 წლის 15 სექტემბერს ჩვენ ვესაუბრეთ დამკვეთს რაჯი კუმარს, რათა განგვესაზღვრა, დავთანხმებულიყავით თუ არა ამ გარიგებას.

წამოჭრილი საკითხები:

- რაჯი მოითხოვს „კუმარის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორულ მოსაზრებას ფასს-ების შესაბამისად;
- ვერ გამოვავლინეთ ჩვენი დამოუკიდებლობის საფრთხეები;
- ისეთი არაფერი მომხდარი ახალი, რაც მესაკუთრის პატიოსნებაში ეჭვს შეგვატანინებდა;
- მიმდინარე ოპერაციები წინა პერიოდების მსგავსია, თუმცა, იმის გამო, რომ რაჯი არ მონაწილეობს კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციებში, ეს თაღლითობის ჩადენის მეტ შესაძლებლობას ქმნის. მიმდინარე საანგარიშგებო წელს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ძირითადი პროცედურების გაფართოება, რათა რეაგირება მოვახდინოთ თაღლითობის პოტენციურ რისკებზე;
- აუცილებელი არ არის დამატებითი სპეციალისტების მონაწილეობა აუდიტში და აუდიტის ჩატარება იმავე პიროვნებებს შეუძლიათ, ვინც წინა პერიოდის აუდიტში მონაწილეობდნენ.

ორი პოტენციური პრობლემა მოცემული პერიოდის:

- კომპანიის პროდუქციაზე შემცირდა მთავარი კლიენტის „დეფტას“ მოთხოვნა.
- რაჯმა მიმდინარე წელს თავისი ყურადღების დიდი ნაწილი ოჯახურ საკითხებზე გადაიტანა. აუდიტის დროს უნდა დავრწმუნდეთ, რომ კომპანიის საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები განახლებულია მიმდინარე პერიოდის შესაბამისად და არ არსებობს გამოუვლენელი შეცდომები, რამაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობის რისკი.

გარიგების რისკის მთლიანი შეფასება = საშუალო.

ჩვენ ვთანხმდებით მიმდინარე პერიოდის აუდიტის ჩატარებაზე.


სენგ ჩეხ ლი

გარიგების პირობები გათვალისწინებული უნდა იყოს წერილში, რომელიც ძალიან მსგავსი იქნება „დეფტა ავეჯის“ სასწავლო მაგალითისთვის მომზადებული წერილის.

## 5. აუდიტის სამრთო სტრატეგია

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
აუდიტის საერთო გეგმისა და სტრატეგიის განსაზღვრის ეტაპების მიმოხილვა.	300

სქემა 5.0-1



### შენიშვნები:

- გაუცანთ ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგვეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.

პუნქტი	ასს-ის მიზნები
300.4	აუდიტორის მიზანია, იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
300.5	გარიგების პარტნიორი და გარიგების შემსრულებელი ჯგუფის სხვა წამყვანი წევ- რები გალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ აუდიტის დაგეგმვაში, მათ შორის, უნდა მონაწილეობდნენ გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის განხი- ლვების დაგეგმვასა და განხილვებში. (იხ.: პუნქტი გ4)
300.7	აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის საერთო სტრატეგია, რომელიც განსაზღვრ- ავს აუდიტის მასშტაბებს, ვადებსა და მიმართულებებს და სახელმძღვანელო მითი- თებებს აუდიტის დეტალური გეგმის შესადგენად.

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
300.8	<p>აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავებისას, აუდიტორმა უნდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) დაადგინოს გარიგების ისეთი თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავს მის მასშტაბებს;</li> <li>ბ) დააზუსტოს მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, რათა დაგეგმოს აუდიტის ვალები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;</li> <li>გ) განიხილოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული განსჯით, განსაზღვრავს გარიგების შემსრულებელი ჯგუფის საქმიანობის მიმართულებას;</li> <li>დ) განიხილოს გარიგების დადებამდე ჩატარებული წინასწარი სამუშაოების შედეგები და ასევე, თუ შესაძლებელია, შესაფერისია თუ არა გარიგების პარტნიორის მიერ სამურნეო სუბიექტისთვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა; და</li> <li>ე) დააზუსტოს მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მათი გამოყენების ვალები და მოცულობა. (იხ.: პუნქტი გ8-გ11)</li> </ul>
300.9	<p>აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხების აღწერას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) რისკის შესაფასებელად დაგეგმილი პროცედურების ხასიათი, ვალები და მოცულობა, ასს 315-ის თანახმად;</li> <li>ბ) მტკიცების დონეზე დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვალები და მოცულობა, ასს 330-ის თანახმად;</li> <li>გ) სხვა დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები, რომელთა ჩატარება აუცილებელია, რათა გარიგება შესრულდეს ასს-ების შესაბამისად. (იხ.: პუნქტი გ12)</li> </ul>
300.10	აუდიტორმა აუდიტის მსვლელობისას, საჭიროებისამებრ, უნდა განაახლოს და შეცვალოს აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა. (იხ.: პუნქტი გ13)
300.11	აუდიტორმა უნდა დაგეგმოს გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წელმდღვანელობისა და ზედამხედველობის და მათი სამუშაოს მიმოხილვის ხასიათი, ვალები და მოცულობა. (იხ.: პუნქტი გ14-გ15)
300.15	აუდიტორმა აუდიტი უნდა დაგეგმოს და ჩატაროს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით, იმის გაცნობიერებით, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომლებიც იწვევს არსებით უზუსტობას ფინანსურ ანგარიშგებაში. (იხ.: პ.გ18-გ22)

## 5.1. ზოგადი მიმოხილვა

დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარიგება შესრულდეს ეფექტურად და პროდუქტულად და აუდიტორული რისკი შეცირდეს მისაღებ დაბალ დონემდე.

აუდიტის დაგეგმვა არ წარმოადგენს აუდიტის რაღაც იზოლირებულ ეტაპს. ეს არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც იწყება წინა აუდიტის დასრულებიდან ცოტა ხანში და გრძელდება მანამ, სანამ მიმდინარე აუდიტი არ დასრულდება.

შემდეგ ცხრილში ჩამოთვლილია აუდიტის დაგეგმვის დადებითი მხარეები.

### ცხრილი 5.1-1

<b>აუდიტის დაგეგმვის დადებითი შარეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის წევრები სწავლობენ პარტნიორისა და სხვა მთავარი პერსონალის გამოცდილებიდან/გამჭრიასობიდან.</li> <li>გარიგება სათანადოდ არის ორგანიზებული, თანამშრომლებით დაკომპლექტებული და იმართება, როგორც წესი.</li> <li>წინა პერიოდების აუდიტიდან და სხვა დავალებებიდან მიღებული გამოცდილება სათანადოდ გამოიყენება.</li> <li>სათანადო ყურადღება ეთმობა აუდიტის მნიშვნელოვან სფეროებს.</li> <li>დროულად ხდება პოტენციური პრობლემების გამოვლენა და გადაჭრა.</li> <li>დროულად ხდება აუდიტის ფაილის დოკუმენტაციის მიმოხილვა.</li> <li>კორდინირებულია სხვების მიერ (სხვა აუდიტორები, ექსპერტები, ა.შ.) შესრულებული სამუშაო.</li> </ul>
---	---

არსებობს აუდიტის დაგეგმვის ორი დონე, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ სქემაზე.

### სქემა 5.1-2

#### აუდიტის დაგეგმვა

რისკის შეფასება

რეაგირება რისკზე

დასკვნის მომზადება

#### აუდიტის საერთო სტრატეგია

გარიგების მახასიათებლები

ანგარიშის (დასკვნის) მიზნები

მნიშვნელოვანი ფაქტორები და გამოცდილება (არსებითობა, რისკის ფაქტორები და ა.შ.)

აუცილებელი რესურსების ზასიათი, გამოყენების დრო და მოცულობა.

მუდმივად განაახლეთ და შეცვალეთ აუდიტის გეგმა, საჭიროებისამებრ.

#### აუდიტის დეტალური გეგმა

დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ზასიათი, ვადები და მოცულობა.

რისკის შესაფასებელი პროცედურები.

დამატებითი აუდიტორული პროცედურები.

ხელმძღვანელობის/მართვის უფლებამოსილებით  
აღჭურვილ პირთა ინფორმირება

#### მიმღებელობა რჩევები

ხშირად ამბობენ, რომ დაგეგმვაზე დახარჯულმა ერთმა საათმა შეიძლება დაგვიზოგოს 5 საათი დავალების შესრულებაში. კარგად დაგეგმილი აუდიტი უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ აუდიტის სამუშაოები მიმართული იქნება მაღალი რისკის მქონე სფეროებზე, არ ჩატარდება უსარგებლო აუდიტორული პროცედურები და აუდიტის შემსრულებელ პერსონალს ეცოდნება, რას მოელიან მათგან.

**აუდიტის სერთო სტრატეგიის ცვლილების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

აუდიტის სერთო სტრატეგიის შემუშავება იწყება დავალების საწყის ეტაპზე და მთავრდება და შემდგომში განახლდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე:

- სამეურნეო სუბიექტთან მუშაობის ადრინდელი გამოცდილება;
- წინასწარი (ახალი დამკვეთის აყვანა და არსებულთან ურთიერთობის გაგრძელება) პროცედურები;
- დამკვეთთან ერთად ბოლო პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებებისა და წინა წლის საოპერაციო შედეგების განხილვა;
- მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში დამკვეთისთვის შესრულებული სხვა გარიგებები;
- აუდიტის შემსრულებელი ჯგუფის წევრების შეხვედრები და ჯგუფში ჩატარებული განხილვები;
- სხვა გარე წყაროები, როგორიცაა გაზეთები, ინტერნეტის სტატიები; და
- მოპოვებული ახალი ინფორმაცია, წარუმატებელი აუდიტორული პროცედურები, ან აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილი ახალი გარემოებები, რომელიც შეცვლის ადრე დაგემილ სტრატეგიას.

აუდიტის დეტალური გეგმის შედგენა დაიწყება ცოტა მოგვიანებით, როდესაც დაიგეგმება რისკის შესაფასებელი კონკრეტული პროცედურები და აუდიტორებს ხელო ექნებათ საქმარისი ინფორმაცია შეფასებული რისკების შესახებ, რათა შემუშავდეს შესაფერისი საპასუხო პროცედურები. აუდიტის დეტალური გეგმის შემუშავების მოთხოვნები განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში.

აუდიტის სერთო სტრატეგიის განსაზღვრისთვის საჭირო დრო სხვადასხვანაირი იქნება:

- სამეურნეო სუბიექტის ზომისა და სირთულის მიხედვით;
- აუდიტის შემსრულებელი ჯგუფის სიდიდისა და შემადგენლობისა მიხედვით. მცირე სამეურნეო სუბიექტების აუდიტს, შესაბამისად, მცირერიცხოვნი ჯგუფები ატარებენ, რაც უფრო აადვილებს დაგეგმვას, კოორდინაციასა და კომუნიკაციას;
- სამეურნეო სუბიექტთან ურთიერთობის ადრინდელი გამოცდილება; და
- აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილი გარემოებები.

### **მნიშვნელოვანი რჩევები**

მცირე სამეურნეო სუბიექტების აუდიტს ხშირად ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფები ატარებენ. ეს აადვილებს ჯგუფის წევრებს შორის კოორდინაციასა და კომუნიკაციას და შეიძლება უფრო გამარტივდეს აუდიტის სერთო სტრატეგიის განსაზღვრის პროცესი. მცირე სამეურნეო სუბიექტებისთვის დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი დოკუმენტის, მოკლე მემორანდუმის (შეიძლება სახით ჩანაწერების) სახით, რომელიც შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- გარიგების ხასიათი და სამუშაოთა ვადები;
- წინა აუდიტში გამოვლენილი პრობლემები;
- რა შეიცვალა მიმდინარე პერიოდში;
- რა სახის ცვლილების შეტანა არის საჭირო აუდიტის სერთო სტრატეგიაში, ან აუდიტის დეტალურ გეგმაში;
- აუდიტის ჯგუფის თითოეული წევრის კონკრეტული პასუხისმგებლობა.

მიმდინარე პერიოდის აუდიტის დაგეგმვა შეიძლება დაიწყოს მოკლე მემორანდუმიდან, რომელიც მომზადდა წინა აუდიტის დასრულებისას. თუმცა, მიმდინარე პერიოდში საჭირო იქნება მისი განახლება მესაკუთრე-მმართველთან გამართული განხილვებისა და აუდიტის ჯგუფის შეხვედრებზე ჩატარებული განხილვების შედეგების საფუძველზე.

## 5.2 აუდიტის ჩატარების საერთო სტრატეგიის შემუშავება

აუდიტის საერთო სტრატეგია წარმოადგენს იმ მთავარი გადაწყვეტილებების ამსახველ დოკუმენტს, რომლებიც აუცილებლად იქნა მიჩნეული აუდიტის დასაგეგმად და აუდიტის შემსრულებელი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ინფორმირებისთვის. სტრატეგიის დოკუმენტში აისახება დაგემოვის ეტაპებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აღწერილია შემდეგ ცხრილში.

**გათვალისწინეთ:** რისკის შეფასებასთან დაკავშირებული კონკრეტული დეტალები და ჩასატარებელი დამატებითი აუდიტორული პროცედურები აუდიტის დეტალურ გეგმაში აისახება.

### ცხრილი 5.2-1

ძირითადი საფეხურები	აღწერა
დაწყება	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩატარეთ წინასწარი სამუშაოები (ახალ გარიგებაზე დათანხმების/არსებულის გაგრძელების პროცედურები და გარიგების პირობების განსაზღვრა.)</li> <li>შეაგროვეთ სამუშაო სუბიექტის შესახებ შესაფერისი ინფორმაცია, როგორიცაა მიმდინარე საოპერაციო შედეგები, წინა გარიგებების შედეგები და მიმდინარე პერიოდში მომზღარი მნიშვნელოვანი ცვლილებები.</li> <li>შეარჩიეთ და დანიშნეთ გარიგების შემსრულებელი პერსონალი, მათ შორის, სადაც საჭიროა, ხარისხის კონტროლის მიმომხილველი და საჭირო ექსპერტები.</li> <li>დაგეგმეთ აუდიტის ჯგუფის შეხვედრები (მათ შორის, გარიგების პარტნიორთან), რათა განიხილოთ ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობა არსებითი უზუსტობების (მათ შორის, თაღლითობის) მიმართ.</li> <li>განსაზღვრეთ შესაფერისი ვადები (თარიღები), როდესაც უნდა ჩატარდეს აუდიტის ცალკეული სამუშაო (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) ინვენტარიზაცია, რისკის შესაფასებელი პროცედურები, გარეშე მხარეთა დადასტურების პროცედურები, კომპანიაში ადგილზე მისვლა პერიოდის ბოლოს და აუდიტის შედეგების განსახილველი შეხვედრები).</li> </ul>
რისკების შეფასება და საპასუხო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> <li>განსაზღვრეთ არსებითობა როგორც მთლიანი ფინანსური ანგარიშების, დონის, ისე სამუშაო არსებითობა.</li> <li>განსაზღვრეთ აუცილებელი რისკის შესაფასებელი პროცედურების ხასიათი და მოცულობა და ვინ შესარულებს მათ.</li> <li>მას შემდეგ, რაც შეაფასებთ რისკს ფინანსური ანგარიშების დონეზე, შეიმუშავეთ საერთო საპასუხო ღონისძიებები (იხ. 1-ლი ტომის მე-9 თავი). ასევე გაითვალისწინეთ ჩასატარებელ დამატებით აუდიტორულ პროცედურებზე გავლენა.</li> <li>აცნობეთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბებისა და ვადების შესახებ.</li> <li>აუცილებლობის შემთხვევაში განაახლეთ და შეცვალეთ სტრატეგია და აუდიტის გეგმა, ახალი გარემოებების გათვალისწინებით.</li> </ul>

მას შემდეგ, რაც დაადგენთ და შეაფასებთ არსებითი უზუსტობის რისკებს, შესაძლებელია საბოლოო სახე მისცეთ აუდიტის საერთო სტრატეგიას (მათ შორის, სამუშაოთა შესრულების ვადები, ჯგუფის დაკომპლექტება და ზედამხედველობა) და შეიმუშაოთ აუდიტის დეტალური გეგმა. დეტალურ გეგმაში ჩამოყალიბებული იქნება მტკიცების დონეზე ჩასატარებელი დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია გამოვლენილ და შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის.

მუშაობის დაწყებისას შესაძლოა საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა საერთო სტრატეგიასა და დეტალურ გეგმაში, ახალ გარემოებებზე რეაგირების მიზნით, აუდიტის შედეგებისა და სხვა მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ნებისმიერი ასეთი ცვლილება მის გამომწვევ მიზეზებთან

ერთად უნდა აისახოს აუდიტის დოკუმენტაციაში, როგორიცაა აუდიტის საერთო სტრატეგია ან აუდიტის გეგმა.

აუდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტებში აისახება შემდეგი ინფორმაცია:

### *ცხრილი 5.2-2*

დოკუმენტირება	აღწერა
გარიგების მახასიათებლები	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოსაყენებელი საფუძვლები.</li> <li>დამატებითი ანგარიშების მოთხოვნა, როგორიცაა სპეციფიკური ფინანსური და დარგისთვის სპეციფიკური მოთხოვნები (დადგენილი მარეგულირებლების მიერ და ა.შ.).</li> <li>ნებისმიერი სპეციალური ცოდნის ან საექსპერტო შეფასების საჭიროება რთული, სპეციფიკური და მაღალი რისკის მქონე სფეროების აუდიტის ჩასატარებლად.</li> <li>მტკიცებულებების მიღების საჭიროება მომსახურე ორგანიზაციებიდან.</li> <li>წინა პერიოდების აუდიტში მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება (როგორიცაა, რისკის შესაფასებელი პროცედურები და კონტროლის ტესტები).</li> <li>საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე (მონაცემების ხელმისაწვდომობა და აუდიტორული პროგრამული უზრუნველყოფის (კომპიუტერული აუდიტის) გამოყენება აუდიტის ჩასატარებლად).</li> <li>აუდიტორული პროცედურების ჩატარებაში არაპროგნოზირებადობის ელემენტის გათვალისწინების საჭიროება.</li> <li>სამეურნეო სუბიექტის პერსონალისა და მონაცემების ხელმისაწვდომობა.</li> </ul>
აუდიტორის საანგარიშებო მიზნები	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო სუბიექტისთვის ანგარიშების წარდგენის დროის განრიგი (მაგალითად, შეალედური და საბოლოო სტადია).</li> <li>ხელმძღვანელობასთან და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან შეხვედრების თარიღების დადგენა, შემდეგი საკითხების განსახილველად: <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტის ხასიათი, ვადები და მასშტაბები. ამან შეიძლება მოიცვას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) ინვენტარიზაციის, გარე დადასტურების პროცედურების, შეალედური აუდიტისა და სხვა აუცილებელი პროცედურების თარიღები;</li> <li>აუდიტორული შემოწმების სამუშაოთა მიმდინარეობა და მდგომარეობა; და</li> <li>აუდიტორის დასკვნა და სხვა საკომუნიკაციო დოკუმენტები, როგორიცაა, ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილები.</li> </ul> </li> <li>გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრების შეხვედრების/ინფორმირების თარიღები, შემდეგი საკითხების განსახილველად: <ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო სუბიექტის რისკის (ბიზნესისა და თაღლითობის) ფაქტორები;</li> <li>ჩასატარებელი სამუშაოს ხასიათი, ვადები და მოცულობა;</li> <li>შესრულებული სამუშაოს მიმოზილვა;</li> <li>მესამე მხარეთა ინფორმირება.</li> </ul> </li> </ul>

დოკუმენტირება	აღწერა
<b>მნიშვნელოვანი ფაქტორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებითობა (საერთო, ფინანსური ანგარიშგების ცალკეული სფეროებისთვის და სამუშაო არსებითობა.).</li> <li>მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე რისკისა და აუდიტზე მისი გავლენის წინასწარი შეფასება.</li> <li>წინასწარი იდენტიფიკაცია: <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი და არსებითი კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშების ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების; და</li> <li>სფეროების, სადაც არსებითი უზუსტობის რისკი შესაძლოა ჩვეულებრივზე უფრო მაღალი იყოს.</li> </ul> </li> <li>როგორ მოხდება გარიგების შესრულების ჯგუფის შეხსენება, რომ უნდა შეინარჩუნოს კრიტიკული აზროვნება და პროფესიული სკეპტიციზმი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებისა და შეფასების დროს.</li> <li>წინა პერიოდების აუდიტის ყურადსალები შედეგები, მათ შორის გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზები და მათ გამოსასწორებლად ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები.</li> <li>საკითხების განხილვა ფირმის იმ პერსონალთან, რომლებიც სხვა სახის მომსახურებას უწევენ სამეურნეო სუბიექტს.</li> <li>შიდა კონტროლის მიმართ ხელმძღვანელობის დამოკიდებულების მტკიცებულება და შიდა კონტროლის მნიშვნელობა ზოგადად სამეურნეო სუბიექტისთვის.</li> <li>ოპერაციების მოცულობა, რის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს, უფრო ეფექტიანი იქნება თუ არა აუდიტორის მხრიდან შიდა კონტროლზე დაყრდნობა.</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოვლენები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები ბიზნესის სფეროში, რაც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტზე, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ბიზნესპროცესებში მომხდარი ცვლილებები, ცვლილებები წამყვან ხელმძღვანელ პერსონალში, კომპანიების შემწირების შემწირების შემცირების შეკვეცა (ამოღება).</li> <li>მნიშვნელოვანი ცვლილებები დარგში, როგორიცაა ცვლილებები დარგის მარეგულირებელ ნორმებში და ახალი სანგარიშებო მოთხოვნები.</li> <li>მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, როგორიცაა ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში.</li> <li>სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ცვლილება საკანონმდებლო გარემოში, რაც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტზე.</li> </ul>
<b>საჭირო რესურსების ხასიათი, გამოყენების გადები და მასშტაბი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>გარიგების შესრულების ჯგუფის წევრების (მათ შორის, სადაც საჭიროა, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის) შერჩევა.</li> <li>ჯგუფის წევრებზე სამუშაოს განაწილება, მათ შორის, სათანადო გამოცდილების მქონე პერსონალის ჩართვა ისეთი სფეროების აუდიტში, სადაც შეიძლება შედარებით მაღალი იყოს არსებითი უზუსტობის რისკი.</li> <li>დავალების ბიუჯეტს შედგენა, მათ შორის, სათანადო დროის გამოყოფა არსებითი უზუსტობის მაღალი რისკის მქონე სფეროებისთვის.</li> </ul>

თუ სამეურნეო სუბიექტს გააჩნია კომპონენტები (როგორიცაა შვილობილი კომპანიები, და/ან საოპერაციო ქვედანაყოფები), სტრატეგიის დაგეგმვისას, ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით გათვალისწინებული უნდა იყოს საკითხები, რომლებიც აღწერილია ასე 300-ის დანართში და ასე 600-ის მოთხოვნებში.

მცირე სამუშაონ სუბიექტებისთვის აუდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტის ფუნქცია შეიძლება შესარულოს მოკლე მემორანდუმში. აუდიტის გეგმისთვის შეიძლება გამოვიყენოთ აუდიტის სტანდარტული პროგრამები, ან საკონტროლო კითხვარები, იმ პირობით, თუ სამეურნეო სუბიექტში არსებობს რამდენიმე შესაფერისი კონტროლის მექანიზმი და სამუშაო პროგრამები შექმნილია მოცემული გარიგების კონკრეტული გარემოების, მათ შორის აუდიტორული რისკის შეფასებების გათვალისწინებით.

### **5.3 აუდიტის გეგმის გაცნობა ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთათვის**

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
260.15	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ზოგადი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების შესახებ (იხ.: პუნქტები გ11-გ15)

აუდიტის დაგეგმვის პროცესში შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მუდმივია, ორმხრივია დიალოგია ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან. ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების აღეკვატური ინფორმირება აუდიტის დაგეგმილი მასშტაბებისა და ვადების შესახებ შეიძლება დაეხმაროს მათ:

- აუდიტორული შემოწმების სამუშაოს შედეგების უკეთ გაგებაში;
- რისკთან დაკავშირებული საკითხებისა და არსებითობის კონცეფციის განხილვაში აუდიტორთან ერთად; და
- ისეთი სფეროების დადგენაში, სადაც შეიძლება აუდიტორს მოსთხოვონ დამატებითი პროცედურების ჩატარება.

ამგვარი დიალოგი აუდიტორს შეიძლება დაეხმაროს სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს უკეთ გაგებაში.

თუმცა, ფრთხილად იყავით: არ მოახდინოთ აუდიტის ეფექტიანობის კომპრომეტირება. მაგალითად, დეტალური აუდიტორული პროცედურების ზუსტი ხასიათისა და ჩატარების ვადების შესახებ ინფორმირებამ შესაძლოა ამ პროცედურების ეფექტიანობა შეამციროს, კერძოდ, ადვილად პროგნოზირებადი გახადოს.

აუდიტორმა ინფორმირებისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- როგორ აპირებს აუდიტორი თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირებას;
- აუდიტორის მიღვომა აუდიტისთვის მნიშვნელოვანი შიდა კონტროლის პროცედურების მიმართ; და
- არსებითობის გამოყენება აუდიტში.

დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, მოიცავს:

- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა შეხედულებებს შემდეგ საკითხებთან მიმართებით:
  - პასუხისმგებლობის განაწილება ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა შორის;
  - სამეურნეო სუბიექტის მიზნები და სტრატეგიები და დაკავშირებული ბიზნესის რისკები, რომლებმაც შეიძლება არსებითი უზუსტობები გამოიწვიოს;
  - საკითხები, რომლებიც მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნიათ აუდიტის დროს და ნებისმიერი სფეროები, სადაც ისინი დამატებითი პროცედურების ჩატარებას ითხოვენ;

- მარეგულირებელ ორგანოებთან მნიშვნელოვანი კომუნიკაცია (ინფორმაციის გაცვლა/გა-დაცემა); და
- სხვა საკითხები, რომლებმაც, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების აზრით, შეიძლება გავლენა იქნიოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პოზიციას, ინფორმირებულობასა და ქმედებებს, რომლებიც შეეხება:

  - სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლსა და მის მნიშვნელობას სამეურნეო სუბიექტში, მათ შორის, როგორ ახორციელებენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები შიდა კონტროლის ეფექტურობაზე ზედამხედველობას; და
  - თაღლითობის გამოვლენას, ან მისი ჩადენის შესაძლებლობას.

- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ქმედებებს, რომლებიც ეხება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში, კორპორაციული მართვის პროცესებსა და სხვა დაკავშირებულ საკითხებში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებას; და
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა რეაგირებას აუდიტორის მიერ ადრე ინფორმირებულ საკითხებზე.

**შენიშვნა:** ორმხრივი კომუნიკაცია არ ცვლის აუდიტორის ერთადერთ პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა, მათ შორის, განსაზღვროს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო აუცილებელი პროცედურების ხასიათი, ვადები და მასშტაბები.

დამატებით სხვა საკითხების ინფორმირება შეიძლება მოითხოვებოდეს კანონმდებლობით, სამეურნეო სუბიექტთან დადებული ხელშეკრულებით ან მოცემული გარიგების შესაფერისი დამატებითი ნორმებით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ას 265 ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების ინფორმირების შესახებ.

## 5.4 დოკუმენტირება

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ას-ებიდან
300.12	<p>აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს:</p> <p>ა) აუდიტის საერთო სტრატეგია;</p> <p>ბ) აუდიტის გეგმა; და</p> <p>გ) აუდიტორული გარიგების მსვლელობისას აუდიტის საერთო სტრატეგიაში ან აუდიტის გეგმაში შეტანილი ნიბისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებები და ასეთი ცვლილებების მიზეზები. (იხ.: პუნქტები გ16-გ19)</p>

სამუშაო დოკუმენტებში უნდა აისახოს აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის დეტალური გეგმა, მათ შორის აუდიტის მიმდინარეობისას მათში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ მიზნით აუდიტორს შეუძლია გამოიყენოს მემორანდუმის ფორმატის დოკუმენტი, აუდიტის სტანდარტული პროგრამები ან აუდიტის დასრულების შესაფასებელი საკონტროლო კითხვარები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მორგებულია კონკრეტული გარიგების გარემოებს.

## 5.5 სასწავლო მაგალითები – აუდიტის საერთო სტრატეგია

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

მას შემდეგ, რაც უკვე მიიღებთ გადაწყვეტილებას მოცემულ დამკვეთთან მუშაობის გაგრძელებისა და აუდიტის ჩატარების შესახებ, შემდეგი ნაბიჯი იქნება გარიგების შესასრულებლად აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავება ან განახლება. მისი დოკუმენტირება შეიძლება დაგეგმვის საკონტროლო კითხვარის, ან მოკლე სტრუქტურული მემორანდუმის ფორმით (იხ. ზემოთ მნიშვნელოვანი რჩევები), როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ განხილულ მაგალითებში.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

### კომპანია „დეფტა ავეჯი“

საერთო სტრატეგიის მემორანდუმი

კომპანიის საანგარიშებო თარიღი: 20X2 წლის 31 დეკემბერი.

#### აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბი ამ პერიოდში არ შეცვლილა. უნდა ჩავატაროთ ფასს-ების მოთხოვნებით მომზადებული ფინანსური ანგარიშების აუდიტი ასს-ების შესაბამისად. ფასს-ებში არ მომხდარა ისეთი ცვლილება, რაც „დეფტაზე“ იმოქმედდება ამ წელს.

#### სამუშაო სუბიექტის ცვლილებები

„დეფტა“ გეგმავს გაფართოებას და რეალიზაციას საზღვარგარეთ, უცხოურ ვალუტაში.

ასევე იზრდება რეალიზაცია ინტერნეტის მეშვეობით და, შესაბამისად, გაფართოვდება „დეფტას“ შესაძლებლობები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

„დეფტა“ ამჟამად პროდუქციას ყიდის „ფრანგავა მერჩენდიზინგზე“. ეს კომპანია ცნობილია იმით, რომ მუშაობს მსხვილ შეკვეთებზე, მომწოდებლების დაბალი მოგების მარტების ხარჯზე. ის ასევე მოითხოვს, რომ მომწოდებლებმა შეინარჩუნონ ზოგიერთი პროდუქტის დამატებითი მარაგი, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის პროდუქციის დაუყოვნებლივ მიწოდების უზრუნველსაყოფად.

#### რისკი

ფინანსური ანგარიშების დონეზე ჩვენ მიერ რისკი შეფასებულია, როგორც დაბალი (იხ. სდ #). თვითონ ხელმძღვანელობა არ არის მაინცდამაინც მცოდნე, მაგრამ ჩანს, რომ ძალიან აფასებენ კომპეტენციას; მათ შემოღებული აქვთ ეთიკის კოდექსი და, საზოგადოდ, სწორი პოზიცია უკავიათ შიდა კონტროლთან მიმართებით.

#### საერთო სტრატეგია

- მოცემულ პერიოდში არსებითობა მთლიანი ფინანსური ანგარიშებისთვის 8,000 ევროდან 10,000 ევრომდე გაიზრდება, რათა აისახოს გასული პერიოდის რეალიზაციისა და მოგებიანობის (რენტაბელობის) ზრდა. ფინანსური ანგარიშების დონის არსებითობის გამოთვლისას შემოსავალს დაემატა ხელმძღვანელობის პრემიები, დაახლოებით 70,000 ევრო [არსებითობის განსაზღვრის ამსახველი სამუშაო დოკუმენტი იხილეთ მე-2 ტომის მე-6 თავში]. სამუშაო არსებითობა (რომელიც ეფუძნება აუდიტორული რისკის ჩვენ მიერ განსაზღვრულ შეფასებას) განისაზღვრა 7,000 ევროს ოდენობით, გარდა გარკვეული ანგარიშების ნაშთებისა, როგორც ეს აღწერილია სდ #-ში.
- გამოვიყენებთ იმავე უფროს პერსონალს, რომლებიც გასული პერიოდის აუდიტში მონაწილეობდნენ და სამუშაო შესრულება იმავე დროს.
- რისკის შესაფასებელ პროცედურებს ჩავატარებთ აგვისტოს ბოლოს. კომპანიაში ამჟამად არ იგემუნა რომელიმე არსებული სისტემის შეცვლა.
- ჩვენი ჯგუფის საგეგმო შეხვედრაზე, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება, უნდა:
  - განვიხილოთ ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობა თაღლითობის მიმართ;
  - ყურადღება გავამახვილოთ ჩვენი პერსონალის მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების აუცილებლობაზე;
  - დაგადგინოთ თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან თაღლითობის ჩადენის სცენარები; და
  - ყურადღება გავამახვილოთ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების გამოვლენაზე, რაც გაზრდის და გაფართოებს ჩვენ მიერ ჩასატარებელ ტესტებს.
- დავესწრებით პერიოდის ბოლოს მარაგის ინვენტარიზაციას. ჯერ კიდევ არ არსებობს კომპანიაში მარაგის უწყვეტი კონტროლის პროცედურები.
- გამოვიყენებთ დევიდს (რომელიც კარგად ერკვევა საინფორმაციო ტექნოლოგიებში), რათა გამოვავლინოთ ინტერნეტით რეალიზაციასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკი და დავადგინოთ, არსებობს თუ არა შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები ამ რისკების შესამცირებლად. დევიდი ასევე შეაფასებს საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებებს.

აუდიტის პარტნიორი (ხელმოწერა): სენგ ჩენ ლო.

თარიღი: 20X2 წლის 20 ოქტომბერი.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### „კუმარი და კომპანია“

საერთო სტრატეგიის მემო

კომპანიის საანგარიშებო თარიღი: 20X2 წლის 31 დეკემბერი.

#### მასშტაბი

- სავალდებულო აუდიტის ჩატარება
- ხელმძღვანელობას სურს ფასე-ების გამოყენება.

#### რისკი

- ფინანსური ანგარიშების დონეზე ზომიერია (საშუალო). (იხ. სდ #)

#### ცვლილებები

- რეალიზაცია შემცირებულია, რაც გამოწვეულია „დეფტას“ შეკვეთების შემცირებით.
- ამან შეიძლება გამოიწვიოს არამოთხოვნადი მზა პროდუქციის მარაგის არსებობა (რომელიც არ გაიყიდება) და გაყიდული საქონლის დაბრუნება.
- რაჯი ისე აქტიურად აღარ მონაწილეობს ბიზნესში, როგორც წინა პერიოდში, რამაც შესაძლოა გაზარდოს თაღლითობის რისკი.
- კომპანიამ მოიპოვა ბანკიდან ახალი დაფინანსება, რაც გამოიწვევს ბანკის ახალი სახელშეკრულებო პირობების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

#### საერთო სტრატეგია


- მთლიანი ფინანსური ანგარიშებისთვის არსებითობას შევამცირებთ 3,000 ევროდან 2,500 ევრომდე, რეალიზაციისა და მოგებიანობის (რენტაბელობის) დონის შემცირების გამო. სამუშაო არსებითობა (რომელიც ეფუძნება აუდიტორული რისკის ჩვენ მიერ განსაზღვრულ შეფასებას) დავადგინეთ 1,800 ევროს ოდენობით, გარდა გარკვეული ანგარიშების ნაშთებისა, როგორც ეს აღწერილია სდ #-ში.
- ჩვენი სამუშაოს უწყვეტობისა და აუდიტის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გამოვიყენებთ იმავე პერსონალს, რომელიც მუშაობდა წინა აუდიტში.
- რისკის შესაფასებელ პროცედურებს ჩავატარებთ დეკემბრის ბოლოს.
- ჩვენი ჯგუფის საგეგმო შეხვედრაზე, რომელიც 30 ნოემბერს გაიმართება, უნდა:
  - განვიხილოთ ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობა თაღლითობის მიმართ;
  - განვიხილოთ თანამშრომელთა მხრიდან თაღლითობის ჩადენისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლის გვერდის ავლის შესაძლებლობა. ბუღალტერი უკმაყოფილო, გაღიზინებული ჩანს და შესაძლოა ჰქონდეს თაღლითობის ჩადენის მოტივაცია და შესაძლებლობაც, რადგან რაჯი ფინანსური ანგარიშების მიმოხილვაში აღარ მონაწილეობს ისე, როგორც უწინ; და
  - ყურადღება გავამახვილოთ „დეფტასთან“ შესრულებულ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების გაზრდაზე;
- პერიოდის ბოლოს დავესწრებით მარაგის ინვენტარიზაციას;
- გავაფართოებთ ტესტირებას დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებთან მიმართებაში.

აუდიტის პარტნიორი (ხელმოწერა): სენგ ჩენ ლი.

თარიღი: 20X2 წლის 20 ოქტომბერი

## 6. არსებითობის განსაზღვრა და გამოყენება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
არსებითობის განსაზღვრა და გამოყენება აუდიტი.	320, 450



### შენიშვნები:

- გაუცანით ას 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგეგმვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.

### სქემა 6.0-2

ფინანსური ანგარიშების  
დონე

ანგარიშის ნაშთის,  
ოპერაციების კატეგორიისა  
და განმარტებითი  
შენიშვნების დონე

„საერთო“ არსებითობა  
(მოლანი ფინანსური ანგარიშებისთვის)

„საერთო“ სამუშაო არსებითობა

„სპეციფიკური“ არსებითობა  
(ფ/ა-ის ცალკეული ნაწილებისთვის)

„სპეციფიკური“ სამუშაო არსებითობა

რაოდენობრივი სიდიდე →

**შენიშვნა:** ტერმინები „საერთო“ და „სპეციფიკური“ არსებითობა, რომლებიც ამ სქემაში და შემდგომში სახელმძღვანელოს ტექსტშიც გამოიყენება, მხოლოდ ამ სახელმძღვანელოს მიზანს ემსახურება და არ გამოიყენება ასს-ებში. საერთო არსებითობა ეხება მთელ ფინანსურ ანგარიშებას, ხოლო სპეციფიკური არსებითობა – ცალკეული კატეგორიების ოპერაციებს, ანგარიშების ნაშთებს, ან განმარტებით შენიშვნებს.

პუნქტი		ასე-ის მიზნები
320.8		აუდიტორის მიზანია, სათანადოდ გამოიყენოს არსებითობის კონცეფცია აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში.
450.3		აუდიტორის მიზანია, შეაფასოს:
	a)	გამოვლენილი უზუსტობების გავლენა აუდიტზე; და
	b)	შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა, თუ ასეთი არსებობს, ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პუნქტი		შესაბამისი ამონარიდები ასე-ებიდან
320.9		ასე-ების მიზნებისთვის, სამუშაო არსებითობა აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილ არსებითობის დონეზე და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისაღებ დონემდე შემცირდეს იმის აღბათობა, რომ შეუსწორებელი და გამოვლენელი უზუსტობების ჯამური სიდიდე გადააჭარბებს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილ არსებითობას. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო არსებითობა ასევე აღნიშნავს აუდიტორის მიერ დადგენილ სიდიდეს (თანხას) ან სიდიდეებს (თანხებს), რომელიც ნაკლებია კონკრეტული კატეგორიების ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის დადგენილ არსებითობის დონეზე ან დონებზე.
320.10		როდესაც აუდიტორი ადგენს აუდიტის საერთო სტრატეგიას, მან არსებითობა უნდა განსაზღვროს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე. თუ ამა თუ სამურნეო სუბიექტის კონკრეტულ გარემოებებში არსებობს ერთი ან მეტი ისეთი კატეგორიის ოპერაციები, ანგარიშთა ნაშთები ან განმარტებითი შენიშვნები, რომელთათვისაც, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ უფრო ნაკლები სიდიდის უზუსტობები იქნიებს გავლენას მოშბარებელთა გადაწყვეტილებებზე, მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილ არსებითობის დონესთან შედარებით, მაშინ აუდიტორმა ასევე უნდა განსაზღვროს არსებითობის ის დონე ან დონები, რომელსაც გამოიყენებს ამ კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის. (იხ. პ. გ2-გ11)
320.11		აუდიტორმა სამუშაო არსებითობის დონე უნდა განსაზღვროს არსებითი უზუსტობის რისკების შესაფასებლად და დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დასადგენად. (იხ. პ. გ12)
320.12		აუდიტორმა უნდა შეასწოროს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის განსაზღვრული არსებითობის დონე (და, სადაც შესაფერისია, კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის განსაზღვრული არსებითობის დონე ან დონეები) იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის მსვლელობისას მისთვის ცნობილი გახდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავიდან რომ სცოდნოდა, სხვა სიდიდის (სიდიდეების) არსებითობას განსაზღვრავდა (იხ. პ. გ13).
320.13		თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის მისაღებია არსებითობის უფრო დაბალი დონე (და, სადაც შესაფერისია, უფრო დაბალი დონის არსებითობის დონე ან დონეები კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის) თავდაპირველად განსაზღვრულ სიდიდესთან შედარებით, მან უნდა გადაწყვეტოს, აუცილებელია თუ არა სამუშაო არსებითობის შესწორება და ისევ შესაფერისი რჩება თუ არა ადრე განსაზღვრული დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
320.14	<p>აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს შემდეგი თანხები და ფაქტორები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) არსებითობა მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისათვის (იხ. პ.10);</li> <li>ბ) სადაც შესაფერისია, არსებითობის დონე ან დონეები კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის (იხ. პ.10);</li> <li>გ) სამუშაო არსებითობა (იხ. პ.11); და</li> <li>დ) აუდიტის მსვლელობისას (ა)-(გ) ინფორმაციაში შეტანილი ნებისმიერი შესწორება (იხ. პ.პ. 12-13).</li> </ul>
450.6	<p>აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის შესწორება, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და გარემოებები, რომლებშიც უზუსტობები განხორციელდა, იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება სხვა უზუსტობებიც არსებობდეს და აუდიტის პროცესში დაგროვილ უზუსტობებთან ერთად, შეიძლება არსებითი იყოს; ან (იხ. პ. გ4)</li> <li>ბ) აუდიტის პროცესში დაგროვილი უზუსტობების ჯამური სიდიდე უახლოვდება ასს 320-ის შესაბამისად განსაზღვრულ არსებითობის დონეს. (იხ. პ. გ5)</li> </ul>

## 6.1 ზოგადი მიმოხილვა

არსებითობის შესახებ აუდიტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შექმნის საფუძველს რისკის შესაფასებლად და საჭირო აუდიტორული პროცედურების მოცულობის დასადგენად.

არსებითობის სიდიდის განსაზღვრა პროფესიული განსჯის საგანია. აუდიტორი არსებითობას განსაზღვრავს იმის მიხედვით, როგორ ესმის მას თვითონ მომხმარებლების, როგორც ერთიანი ჯამუფის, საერთო მოთხოვნილებები ფინანსური ინფორმაციაზე. საერთო არსებითობა (ტერმინი, რომელიც ამ სახელმძღვანელოში გამოიყენება მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითობის ჯამური სიდიდის აღსანიშნავად) წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ყველა უზუსტობის, მათ შორის გამოტოვებული თანხების ჯამურ სიდიდეს, რომლის გადაჭარბება, გონიერულობის ფარგლებში მიიჩნევა, რომ იმოქმედებს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. იგი განსხვავდება აუდიტორული რისკისგან, რომელიც დაკავშირებულია არააღეკვატური მოსაზრების (დასკვნის) გაცემასთან ისეთი ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც არსებითად მცდარია.

წინამდებარე თავი ეხება საერთო და სპეციფიკური არსებითობის განსაზღვრას და აუდიტორის მიერ სამუშაო არსებითობის გამოყენებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. არსებითობის კონცეფცია გამოიყენება აუდიტის ყველა ეტაპზე: აუდიტის დაგეგმვის, რისკის შეფასების, შეფასებულ რისკზე რეაგირებისა და დასკვნის მომზადების დროს. არსებითობისა და აუდიტორული რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ სახელმძღვანელოს 1-ლი ტომის მე-7 თავში.

აუდიტორი იხილავს (ითვალისწინებს) არსებითობის ორ დონეს – საერთო არსებითობა და სპეციფიკური არსებითობა, როგორც აღწერილია შემდეგ ცხრილში.

## ცხრილი 6.1-1

აღწერა	
<b>საერთო არსებითობა (მთელი ფინანსური ანგარიშგებისთვის)</b>	<p>არსებითობა მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის (საერთო არსებითობა) ეფუძნება აუდიტორის პროფესიულ განსჯას და გადაწყვეტილების მიღებას უზუსტობების მაქსიმალური სიდიდის განსაზღვრაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ იმოქმედოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. თუ შეუსწორებელი უზუსტობების ოდენობა, ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში, აღმოატება საერთო არსებითობას, რომელიც მოცემული კონკრეტული გარიგებისთვის არის დადგენილი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარია.</p> <p>საერთო არსებითობა ეფუძნება ფინანსურ ინფორმაციაზე მომხმარებლების, როგორც ერთიანი ჯგუფის, საერთო მოთხოვნილებების გათვალისწინებას. შესაბამისად, ამ კონტექსტში არ განიხილება უზუსტობების შესაძლო გავლენა კონკრეტულ ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, რომელთა მოთხოვნილებები შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს.</p>
<b>სპეციფიკური არსებითობა (არსებითობის დონე ან დონეები გარკვეული კატეგორიის ოპერაციების, ანგა- რიშების ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის)</b>	<p>ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს საერთო არსებითობაზე უფრო ნაკლები ოდენობის უზუსტობების განსაზღვრა, რომელსაც აუდიტორი მიიჩნევს, რომ გავლენას იქნიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ეს ეხება ისეთ დელიკატურ (მნიშვნელოვან) სფეროებს, როგორიცაა კონკრეტული ტიპის განმარტებითი შენიშვნები (ე.ი. ხელმძღვანელობის ანაზღაურება, ან მოცემული დარგის სპეციფიკური მონაცემები), კანონმდებლობასთან ან ამა თუ იმ ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, ან ოპერაციები, რომლებსაც პრემიები ეფუძნება. სპეციფიკური არსებითობა ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს პოტენციური უზუსტობის ხასიათის.</p>

### უზუსტობების ხასიათი

ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის შეფასების დროს აუდიტორმა, უზუსტობის სიდიდის გარდა, უნდა გაითვალისწინოს პიტენციური უზუსტობების ხასიათი და მათი მოხდენის კონკრეტული გარემოებები. ზოგიერთ უზუსტობასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა აუდიტორი შეიძლება აიძულოს, რომ უზუსტობა მიიჩნიოს არსებითად მაშინაც კი, როდესაც ის არსებითობის დონეზე ნაკლებია. ამის მაგალითები შეიძლება იყოს უკანონო ქმედებები, სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევა, საკანონმდებლო/მარკეტულირებელი მოიხოვნების დარღვევა. თუმცა, პრაქტიკულად არ მიიჩნევა სპეციალურად აუდიტორული პროცედურების დაგეგმვა (განსაზღვრა) ისეთი უზუსტობების გამოსავლენად, რომლებიც მხოლოდ მათი ხასიათის გამო შეიძლება იყოს არსებითი.

### სამუშაო არსებითობა

სამუშაო არსებითობას აუდიტორი იყენებს იმისთვის, რომ მისაღებ დაბალ დონემდე შეამციროს იმის რისკი (ალბათობა), რომ შეუსწორებელი და გამოუვლენელი უზუსტობები ერთობლიობაში გადააჭარბებს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილ არსებითობას (საერთო არსებითობა), ან არსებითობის დონეებს, რომლებიც დადგენილია კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშგების ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნებისთვის (სპეციფიკური არსებითობა).

სამუშაო არსებითობის სიდიდე (სიდიდეები) უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე საერთო ან სპეციფიკური არსებითობის. ამის მიზანია, ჩატარდეს იმაზე უფრო მეტი სამუშაო, რაც საჭირო იქნებოდა საერთო, ან სპეციფიკური არსებითობის დონის გათვალისწინებით, რათა:

- აუდიტორმა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ გამოვლინდება საერთო ან სპეციფიკურ არსებითობაზე ნაკლები უზუსტობები; და
- განსაზღვროს ზღვარი ანუ „უსაფრთხოების დიაპაზონი“ შესაძლო გამოუვლენელი უზუსტობებისთვის. ზემოაღნიშნული დიაპაზონი (სიდიდე) მოხვდება გამოვლენილ, მაგრამ შეუსწო-

რებელი უზუსტობების აგრეგირებულ სიდიდესა და საერთო ან სპეციფიკურ არსებითობას შორის.

აღნიშნული ზღვარი აუდიტორს უზრუნველყოფს გარკვეული დონის რწმუნებით იმის შესახებ, რომ გამოუვლენელი უზუსტობები, ყველა შეუსტორებელ უზუსტობასთან ერთად, საკარაულოდ, აღარ იქნება ისეთი სიდიდის, რომ გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობა.

სამუშაო არსებითობის განსაზღვრა არ არის უბრალო მექანიკური გამოთვლების ჩატარება. იგი გულისხმობს პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და გადაწყვეტილების მიღებას გამოვლენილ კონკრეტულ რისკის ფაქტორებზე დაყრდნობით, აუდიტორის მიერ სამუშაო სუბიექტის შესწავლით მიღებული ინფორმაციისა და ნებისმიერი საკითხის გათვალისწინებით, რაც აუდიტორმა წინა წლების აუდიტში გამოავლინა.

სამუშაო არსებითობა განისაზღვრება საერთო ან სპეციფიკურ არსებითობასთან მიმართებაში. მაგალითად, სარემონტო და ტექმომსახურების (საექსპლუატაციო) ხარჯების ტესტირებისთვის სპეციფიკური სამუშაო არსებითობა შესაძლოა განისაზღვროს უფრო დაბალი ოდენობით, ვიდრე საერთო სამუშაო არსებითობა, თუ მაღალია იმის რისკი, რომ აქტივები არ იქნება კაპიტალიზებული. სპეციფიკური სამუშაო არსებითობის გამოყენება ასევე შესაძლებელია დამატებითი სამუშაოს შესასრულებლად ისეთ სფეროებში, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს პოტენციური უზუსტობის ხასიათისა და მისი მოხდენის გარემოებების და არა უზუსტობის ფულადი სიდიდის გამო.

## 6.2 როგორ განვსაზღვროთ არსებითობა

ეს ქვეთავი საერთო და სპეციფიკური არსებითობის განსაზღვრასა და გამოყენებას.

### საერთო არსებითობა

საერთო არსებითობა ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის მოთხოვნილებების აუდიტორისულ აღქმას. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის შესახებ აუდიტორებს შეუძლიათ იგულისხმონ შემდეგი:

#### ცხრილი 6.2-1

დაშვებები	
<b>ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები</b>	<ul style="list-style-type: none"><li>აქვთ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების სათანადო ცოდნა;</li><li>აქვთ სურვილი, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია გამოიკვლიონ სათანადო გულმოდგინებით;</li><li>ესმით, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წარდგენა და მისი აუდიტორული შემოწმება ეყრდნობა არსებითობის დონეებს;</li><li>გაცნობიერებული აქვთ ის განუსაზღვრელობები, რომლებიც ახლავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების განსაზღვრას: სააღრიცხვო შეფასებების (მიახლოებითი სიღილეების) გამოყენება, ხელმძღვანელობის სუბიექტური განსჯა და მომავლის მოვლენების გათვალისწინება; და</li><li>გონიგრულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.</li></ul>

არსებითობის განსაზღვრის ამოსავალ წერტილად ხშირად გამოიყენება პროცენტული რიცხობრივი ზღვარი (ანუ კრიტერიუმი). კრიტერიუმის ხასიათისა და პროცენტული სიღილის განსაზღვრა ეფუძნება აუდიტორის პროფესიულ მსჯელობას. მაგალითად, მესაკუთრე-მმართველის კომპანიაში, სადაც მესაკუთრე იღებს დაბეგვრამდელი მოგების უდიდეს ნაწილს ანაზღაურების ფორმით, შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს, ანაზღაურების აღებამდე არსებული მოგების მიჩნევა კრიტერიუმად, ხოლო გადასახადის გათვალისწინება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი.

## მიზანები რჩევები

ერთგვაროვნებისა და თავსებადობის უზრუნველსაყოფად აუდიტურმა ფირმებმა შესაძლოა მოისურვონ ფირმაში გარკვეული ინსტრუქციების შემოღება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება თავდაპირველად არსებითობის განსაზღვრა, მათ შორის შესაფერისი კრიტერიუმის გამოყენება. თუმცა, გამოსაყენებელი რეალური კრიტერიუმი უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას სამეურნეო სუბიექტის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ეს ეხება სამუშაო არსებითობასაც, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელსაც აუდიტორი იყენებს არსებითი უზუსტობის რისკზე რეაგირებისთვის, კონკრეტულ ზღვარს (ნიშნულს) ქვემოთ მოხვედრილი უზუსტობების „დაჭრის“ გზით.

როდესაც აუდიტორი ადგენს შესაფერის კრიტერიუმს, იგი ითვალისწინებს ქვემოთ ცხრილში განხილულ საკითხებს და იგებს ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მოსაზრებებს და მოლოდინებს.

### ცხრილი 6.2-2

გათვალისწინეთ	
<b>სწორი კრიტერიუმის შერჩევა კონკრეტული აუდიტისთვის</b>	<p><b>მომზარებლები</b></p> <p>განსაზღვრეთ, ვინ არიან ფინანსური ანგარიშების სავარაუდო მომზარებლები. აქ იგულისხმება სამეურნეო სუბიექტის მესაკუთრეები (და სხვა აქციონერები) და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები, საფინანსო დაწესებულებები, ფრანშიზის გამცემები, მთავარი დამფინანსებლები, დაქირავებული მუშაკები, კლიენტები (კომპანიის მომზარებლები), კრედიტორები და სხვადასხვა სამთავრობო უწყებები.</p> <p><b>მომზარებელთა სპეციფიკური მოლოდინები</b></p> <p>გამოავლინეთ მომზარებლების სპეციფიკური მოლოდინები, როგორიცაა მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"><li>ისეთი მუხლების შეფასება ან განმარტება, როგორიცაა: დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, ხელმძღვანელობის ანაზღაურება და სამეურნეო სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვა;</li><li>დარგისთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნება, როგორიცაა მინერალური რესურსების მარაგის ძიების დანახარჯების შეფასება სამთო-მომპოვებელი მრეწველობის კომპანიაში და სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯები – ზუსტი ტექნოლოგიების, ან ფარმაცევტულ კომპანიაში;</li><li>მნიშვნელოვანი ან გაუთვალისწინებელი მოვლენები. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთი მოვლენების გამჟღავნებას, როგორიცაა კომპანიის შეძენა, ინვესტიციების შეკვეცა, რესტრუქტურიზაცია, ან სამეურნეო სუბიექტის წინააღმდეგ აღძრული მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეები; და</li><li>სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული შეთანხმებების არსებობა, განსაკუთრებით იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც სამეურნეო სუბიექტი ამ შეთანხმების დარღვევის ზღვარზეა. თუ პატარა შეუსწორებელი შეცდომა იმას ნიშნავს, რომ შეთანხმება დარღვეულია, ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქნიოს ფინანსურ ანგარიშებაზე და, უარეს შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების მოსამართლებულიად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობაზე.</li></ul> <p><b>ფინანსური ანგარიშების მნიშვნელოვანი ელემენტები</b></p> <p>რა არის ფინანსური ანგარიშების მთავარი ელემენტები, რომლებიც მომზარებლებს დააინტერესებთ (მაგალითად, აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები)?</p>

გათვალისწინეთ	
<p><b>სწორი კრიტერიუმის შერჩევა კონკრეტული აუდიტისთვის (გავრძელება)</b></p>	<p><b>სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა</b> გათვალისწინეთ სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა, სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება (ზრდა, სიმწიფე, დაცემა, ა.შ.) და დარგობრივი და ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ფუნქციონირებს.</p> <p><b>კორექტირების აუცილებლობა</b> საჭიროა კორექტირების შეტანა კრიტერიუმის ბაზის „ნორმალიზებისთვის”? მაგალითად, განგრძობითი ოპერაციების შემოსავლები შეიძლება გაკორექტირდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უჩვეულო ან არაგანმეორებადი ამონაგების/ხარჯების მუხლებით; და</li> <li>• ისეთი მუხლებით, როგორიცაა ხელმძღვანელობის პრემია, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს სამეურნეო სუბიექტის მოგებას (პრემიებამდე), ან უბრალოდ გადაიხდებოდეს კომპანიაში დარჩენილი მოგების შესამცირებლად.</li> </ul> <p><b>მომზარებელთა ძირითადი აქცენტი</b> ფინანსური ანგარიშგებიდან რომელი მუხლები მიიქცევს მომზარებელთა უმეტესობის ყურადღებას? მაგალითად, მომზარებელები, რომელთაც აინტერესებთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური შედეგების შეფასება – ყურადღებას გაამახვილებენ მოგებაზე, ამონაგებზე, ან წმინდა აქტივებზე; და</li> <li>• გარკვეული მიზნების ან შედეგის მისაღწევად გამოყენებული რესურსები – ყურადღებას მიაქცევენ ამონაგებისა და დანახარჯების ხასიათსა და სიდიდეს.</li> </ul> <p><b>დაფინანსება</b> როგორ ფინანსდება სამეურნეო სუბიექტი? თუ დაფინანსება ზორციელდება მხოლოდ ვალის ხარჯზე (და არა საკუთარი კაპიტალიდან), მომზარებლებმა შეიძლება უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ დაგირავებულ აქტივებს და ნებისმიერი სხვა მოთხოვნის არსებობას, ვიდრე სამეურნეო სუბიექტის შემოსავლებს.</p> <p><b>ცვალებადობა</b> რამდენად ცვალებადია გამოსაყენებლად განსაზღვრული კრიტერიუმი? მაგალითად, შემოსავლებზე დაფუძნებული კრიტერიუმი შეიძლება ჩვეულებრივ შესაფერისი იყოს, მაგრამ თუ სამეურნეო სუბიექტი ყოველ პერიოდში ახლოს არის წაუგებლობის წერტილთან (როგორიცაა მცირე მოგება, ან ზარალი), ან მისი შედეგები ძალიან მერყეობს, შეიძლება შემოსავალი არ იყოს შესაფერისი ბაზა არსებითობის განსაზღვრისთვის.</p> <p><b>ალტერნატიული კრიტერიუმები</b> არსებობს ალტერნატიული კრიტერიუმის გამოყენების აუცილებლობა სპეციფიკური გარემოებების გასათვალისწინებლად? ალტერნატიული კრიტერიუმები შეიძლება იყოს მოკლევადიანი აქტივები, წმინდა საბრუნავი კაპიტალი, მთლიანი აქტივები, მთლიანი ამონაგები, ბრუტო (საერთო) მოგება, მთლიანი საკუთარი კაპიტალი და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.</p>

### სამუშაო არსებითობა

ვინაიდან საერთო და სპეციფიკური არსებითობა დგინდება ფინანსური ანგარიშგების მომზარებელთა მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში, სამუშაო არსებითობა უნდა იყოს უფრო ნაკლები სიდიდის. შედეგად უფრო მეტი სამუშაო იქნება შესასრულებელი აუდიტში (შესაძლოა გამოვლინდეს უფრო მცირე უზუსტობები) და აუდიტორული რისკი შემცირდება მისაღებ დაბალ დონეზე.

თუ აუდიტი დაიგეგმება მხოლოდ ცალკეული არსებითი უზუსტობების გამოსავლენად, დასადგენი არ იქნება შეცდომის ზღვარი და არ მოხდება არაარსებითი უზუსტობების გათვალისწინება, რომელშიც შეიძლება არსებობდეს. შედეგად შესაძლებელია, რომ ინდივიდუალურად არაარსებითი უზუსტობების ერთობლიობამ გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობა.

სამუშაო არსებითობა განისაზღვრება:

- იმის უზრუნველასყოფად, რომ გამოვლინდეს საერთო ან სპეციფიკურ არსებითობაზე ნაკლები არაარსებითი უზუსტობები; და
- აუდიტორს პქნოდეს ზღვარი ან „უსაფრთხოების დიაპაზონი“ შესაძლო გამოუვლენელი უზუსტობებისთვის. უსაფრთხოების დიაპაზონი თავსდება გამოვლენილ, მაგრამ შეუსწორებელი უზუსტობების აგრეგირებულ სიდიდესა და საერთო ან სპეციფიკურ არსებითობას შორის.

სამუშაო არსებითობის განსაზღვრა არ არის მარტივი მექანიკური გამოთვლა, ასე მაგალითად, საერთო არსებითობის 80%. ასეთი გამარტივების შემთხვევაში მოხდებოდა სამეურნეო სუბიექტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკის ფაქტორების იგნორირება. მაგალითად, თუ მარაგის ფასებში მაღალი იყო შეცდომის რისკი, სამუშაო არსებითობა შეიძლება შეცირდეს ისე, რომ დამატებითი სამუშაო ჩატარდეს უზუსტობების სიდიდის გამოსავლენად; და პირიქით, თუ უზუსტობის რისკი დებიტორული დავალიანების ნაშთთან მიმართებით შეფასებულია, როგორც დაბალი, შეიძლება სამუშაო არსებითობის გაზრდა, რის შედეგადაც ამ ნაშთთან მიმართებით ნაკლები ძირითადი პროცედურები იქნება ჩასატარებელი.

სამუშაო არსებითობის განსაზღვრა აუდიტორისგან მოითხოვს პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და მის გადაწყვეტილებაზე გავლენას მოახდენს:

- სამეურნეო სუბიექტის შესახებ აუდიტორის ინფორმირებულობის დონე, რომელიც განახლდება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარებისას; და
- წინა აუდიტის დროს გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და სიდიდე.

## მნიშვნელოვანი რჩევები

არ შეამციროთ საერთო არსებითობის დონე მაღალი აუდიტორული რისკების საფუძველზე არ შეცდეთ და საერთო (ფინანსური ანგარიშგების) არსებითობის დონე არ შეამციროთ იმის გამო, რომ აუდიტორული რისკი შეფასებულია როგორც მაღალი. საერთო არსებითობა ეფუძნება მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნილებებს და არა იმას, რამდენად სარისკოა კონკრეტული ნაშთი აუდიტისთვის. საერთო არსებითობის ზღვრის შეცირება იმას გულისხმობს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს აუდიტორული რისკი და არა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია; და
- აუდიტორს დამატებითი სამუშაოს შესრულება მოუწევს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არსებობს ისეთი უზუსტობები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში გადააჭარბებს საერთო არსებითობის ზღვარს.

უკეთესი მიდგომა იქნება აუდიტორულ რისკზე რეაგირება მოხდეს სამუშაო არსებითობის დაბალი დონის დადგენით ოპერაციების კატეგორიებისთვის, ან ანგარიშის ნაშთის დონეზე. ეს უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ საკმარისი სამუშაო შესრულდება ნებისმიერი უზუსტობის გამოსავლენად ისე, რომ არ მოხდება საერთო არსებითობის დონის შეცირება. გარდა ამისა, ამით შეიქმნება უსაფრთხოების დიაპაზონი, რომლის მეშვეობითაც შესრულებულ სამუშაოში მოხდება გამოუგლენელი უზუსტობების გათვალისწინებაც.

საერთო არსებითობის დონე განსაზღვრეთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებთან მიმართებაში, ხოლო შემდეგ განსაზღვრეთ სამუშაო არსებითობა დამატებითი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად.

ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი (არსებითი უზუსტობების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე) განმარტებითი შენიშვნები, ნაშთები და საკითხები

გამოიყენეთ სპეციფიკური სამუშაო არსებითობა ისეთი დამატებითი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად, რომლებიც განკუთვნილია აუდიტის პოზიციიდან მნიშვნელოვანი (არსებითი უზუსტობების მიმართ მგრძნობიარე) სფეროების კონკრეტულ რისკებსა და ნაშთებზე რეაგირებისთვის.

### რეზიუმე

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია არსებითობის დონეებთან და სამუშაო არსებითობის გამოყენებას-  
თან დაკავშირებული საკითხები.

#### ცხრილი 6.2-3

	საერთო	სპეციფიკური	სამუშაო
მიზანი	ზღვრის განსაზღვრა იმის დასა- დგენად, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსე- ბით უზუსტობას.	ზღვრის (ზღვრებ- ის) დადგენა (საერ- თო არსებითობაზე ნაკლები) კონკრე- ტული კატეგორიის ოპერაციებთან, ან- გარიშების ნაშთებ- თან ან განმარტებ- ით შენიშვნებთან მიმართებით, სადაც, გონივრულობის ფა- რგლებში, მოსალ- ოდნელია, რომ მო- მხმარებელთა ეკო- ნომიკურ გადაწ- ყვეტილებებზე გავ- ლენას იქონიებს მთლიანი ფინანსუ- რი ანგარიშგების- თვის განსაზღვრულ საერთო არსებითო- ბაზე უფრო ნაკლე- ბი სიღიღის უზუს- ტობა.	ზღვრის (ზღვრების) დადგენა (საერთო ან სპეციფიკურ არსები- თობაზე ნაკლები), რო- მლის მეშვეობით გამო- ვლინდება არაარსებითი (საერთო ან სპეცი- ფიკურ არსებითობაზე ნაკლები) უზუსტობები და აუდიტორი უზრუნ- ველყოფილი იქნება უსაფრთხოების ზღვრით (დიაპაზონით).
გამოთვლების საფუძველი	უზუსტობის რა დონე იქნება მი- საღები (დასაშვები) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის (ე.ი. არ იმოქმედებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის მი- ერ მიღებულ ეკონომიკურ გადა- წყვეტილებებზე)?	გონივრულობის ფარგლებში, უზუს- ტობის რა დონე არის მოსალოდნე- ლი, რომ გავლენას იქონიებს მომხმარე- ბელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე კონკრეტული კატე- გორიის ოპერა- ციებთან, ანგარიშე- ბის ნაშთებთან ან განმარტებით შენიშვნებთან და- კავშირებული სპე- ციფიკური გარემო- ებების გათვალის- წინებით?	რა მოცულობის აუდი- ტორული შემოწმების სამუშაოს შესრულება იქნება საჭირო იმისა- თვის, რომ: <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოვლინდეს უზ- უსტობები საერთო ან სპეციფიკური არსებითობის ზღვარს ქვემოთ; და</li> <li>• დარჩეს უსაფრთ- ხობის დიაპაზონი გმოუგლენელი უზ- უსტობებისთვის?</li> </ul>

საერთო	სპეციფიკური	სამუშაო	
პრაქტიკული კრიტერიუმი (რომელიც გამოყენება როგორც საწყისი წერტილი)	<p>არსებითობის განსაზღვრა პროფესიული განსჯის საგანია და არა რაღაც მექანიკური სამუშაო. მის გამო, ასე-ებში არ არის მოცემული რაიმე კონკრეტული საზელმძღვანელო მითითებები. თუმცა, ხშირად პრაქტიკაში კრიტერიუმის სახით გამოიყენება განვრძობითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი (3-დან 7%-მდე), რადგან ამ მაჩვენებელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისთვის. თუ შემოსავალი არ არის სასარგებლო საზომი (კრიტერიუმი), (მაგალითად, არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, ან როდესაც სამეურნეო სუბიექტის შემოსავალი არ არის სტაბილური), მაშინ განიხილეთ სხვა საფუძვლების გამოყენება, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამონაგების, ან დანახარჯების 1-დან 3%-მდე; ან</li> <li>• აქტივების 1-დან 3%-მდე; ან</li> <li>• საკუთარი კაპიტალის 3-დან 5%-მდე.</li> </ul>	<p>ფინანსური ანგარიშების სპეციფიკური ან უზუსტობის მიმართ მგრძნობიარე სფეროების აუდიტისთვის განსაზღვრულ ნაკლები სიდიდის სპეციფიკური არსებითობა (პროფესიული განსჯის საფუძვლზე).</p>	
აუდიტში გამოყენება	იმის დადგენა, აჭარბებს თუ არა საერთო არსებითობას შეუსწორებელი უზუსტობები, ინდივიდუალურად, ან ერთობლიობაში.	იმის დადგენა, აჭარბებს თუ არა სპეციფიკურ არსებითობას შეუსწორებელი უზუსტობები, ინდივიდუალურად, ან ერთობლიობაში.	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება; და</li> <li>• დამატებითი აუდიტორული პროცედურების შემუშავება შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით.</li> </ul>
არსებითობის შესწორება აუდიტის შევლელობისას	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოებების შეცვლა აუდიტის მიზნიარებისას, როგორიცაა ბიზნესის (კომპანიის) ნაწილის გაყიდვა;</li> <li>• ახალი ინფორმაცია; ან</li> <li>• ცვლილება სამეურნეო სუბიექტისა და მისი ოპერაციების შესახებ აუდიტორის წარმოდგენაში, რაც გამოიწვევს დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებას (მაგალითად, როდესაც ფაქტობრივი საოპერაციო შედეგები ძალიან განსხვავდება მოსალოდნელისგან).</li> </ul>	სპეციფიკური გარემოებების შეცვლა.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასებულ რისკებში ცვლილებები;</li> <li>• დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და სიდიდე; ან</li> <li>• ცვლილება სამეურნეო სუბიექტისა და მისი ოპერაციების შესახებ აუდიტორის წარმოდგენაში.</li> </ul>

### 6.3 არსებითობის გამოყენება დაგეგმვისა და რისკის შეფასებისას

დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია არსებითობის სხვადასხვა დონეების განსაზღვრა. დაგეგმვა არ არის აუდიტის რომელიმე იზოლირებული ფაზა, არამედ არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი. შემდეგ ცხრილში შეჯამებულია არსებითობის გამოყენება დაგეგმვისა და რისკის შეფასების დროს.

**ცხრილი 6.3-1**

არსებითობა	
<b>დაგეგმვა (საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმები)</b>	<p>გამოიყენეთ არსებითობა, რათა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვროთ, ფინანსური ანგარიშგების რომელი ნაწილები საჭიროებს აუდიტის ჩატარებას;</li> <li>• დაადგინოთ, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრისთვის შესაფერისი კონკრეტული გარემო პირობები;</li> <li>• დაგეგმოთ ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა;</li> <li>• განსაზღვროთ სპეციფიკური არსებითობა კონკრეტული კატეგორიების ოპერაციებისთვის, ანგარიშების ნაშთების, ან განმარტებითი შენიშვნებისთვის, სადაც, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენას იქინიებს საერთო ან სამუშაო არსებითობაზე უფრო ნაკლები სიდიდის უზუსტობა;</li> <li>• განსაზღვროთ სამუშაო არსებითობა სპეციფიკური არსებითობის თითოეული დონისთვის, ამ მუხლთან დაკავშირებული რისკის დონეზე დაყრდნობით, რადგან ეს შეიძლება აუდიტორს დასჭირდეს ოპერაციების კონკრეტული კატეგორიების, ანგარიშების ნაშთების ან განმარტებითი შენიშვნების აუდიტის დროს;</li> <li>• შეაფასოთ უახლესი მტკიცებულებები და დაადგინოთ, საჭიროა თუ არა არსებითობის დონეების შეცვლა. თუ ამის გაკეთება საჭიროა, აუდიტორი შესაბამისად შეცვლის პროცედურების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას.</li> </ul>
<b>რისკის შესაფასებელი პროცედურები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაადგინეთ, რისკის შესაფასებელი რომელი პროცედურებია საჭირო.</li> <li>• მოპოვებული ინფორმაციის შეფასებისას გაითვალისწინეთ კონკრეტული გარემოებები.</li> <li>• შეაფასეთ გამოვლენილი რისკების მნიშვნელობა (გავლენა).</li> <li>• შეაფასეთ რისკის შესაფასებელი პროცედურების შედეგები.</li> </ul>
<b>ჯგუფის შესვედრები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დარწმუნდით, რომ ჯგუფის წევრებმა გაიგეს, ვინ არიან მომხმარებლები და, სავარაუდოდ, რამ შეიძლება შეცვალოს მათი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ასეთი შეხვედრა განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის წევრი აუდიტის მსვლელობისას შეიტყობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თავდაპირველადვე რომ ყოფილიყო ცნობილი, არსებითობის განსხვავებულ სიდიდეს დაადგენდა. ასეთი საკითხების მაგალითებია: <ul style="list-style-type: none"> <li>– გადაწყვეტილება სამეურნეო სუბიექტის ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისების შესახებ;</li> <li>– ახალი ინფორმაცია ან რისკის ფაქტორები, რომლებიც გავლენას მოახდენდა არსებითობის თავდაპირველ შეფასებაზე; და</li> <li>– სამეურნეო სუბიექტისა და მისი ოპერაციების შესახებ აუდიტორის წარმოდგენის შეცვლა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარების შედეგად, მაგალითად, როდესაც ფაქტორივი ფინანსური შედეგები არსებითად განსხვავდება მოსალოდნელისგან.</li> </ul> </li> <li>• განსაზღვრეთ აუდიტის საერთო სტრატეგია.</li> <li>• განსაზღვრეთ ტესტირების მოცულობა: <ul style="list-style-type: none"> <li>– სამუშაო არსებითობასთან მიმართებაში; და</li> <li>– სპეციფიკურ სამუშაო არსებითობასთან მიმართებაში.</li> </ul> </li> <li>• გამოავლინეთ აუდიტის პოზიციიდნ მნიშვნელოვანი საკითხები და სფეროები, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუდიტში.</li> </ul>

## მიზანები რჩევები

საერთო სამუშაო და სპეციფიკური სამუშაო არსებითობის დონეების განსაზღვრა მოითხოვს პროფესიულ განსვას. ოქონომნდებულია (მაგრამ სავალდებული არ არის), რომ არსებითობის დონეების დასადგენად გამოყენებული მსჯელობა და მიღებული გადაწყვეტილება ჯგუფმა განიხილოს გარიგების პარტნიორთან ერთად და მოიპოვოს მისი თანხმობა. დასასრულ, აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში საკმარისად დეტალურად ასზეთ არსებითობის განსაზღვრისას გამოყენებული მსჯელობა და რის საფუძველზე მიღეთ გადაწყვეტილება.

### 6.4 არსებითობის გამოყენება აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას

აუდიტორმა არსებითობა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში.

#### ცხრილი 6.4-1

არსებითობა	
<b>აუდიტორული პროცედურების ჩატარება</b>	<p>გამოიყენეთ არსებითობა, რათა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაადგინოთ, რა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება არის საჭირო;</li> <li>• განსაზღვროთ, რომელი მუხლები უნდა შეირჩეს ტესტირებისთვის და უნდა გამოიყენოთ თუ არა აუდიტორული შერჩევის ტექნიკა;</li> <li>• განსაზღვროთ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა (მაგალითად, შერჩევის ინტერვალი = სიზუსტე (არსებითობა <math>\div</math> საიმედოობის ფაქტორი (კოეფიციენტი)));</li> <li>• რეპრეზენტაციული შერჩევითი ერთობლიობის შეცდომები შეაფასეთ გენერალურ ერთობლიობაზე გავრცელებით, „სავარაუდო“ უზუსტობების დასადგენად;</li> <li>• შეაფასეთ შეცდომების ერთობლიობის ჯამური სიდიდე ანგარიშის დონეზე და განავრცეთ ფინანსური ანგარიშების დონემდე;</li> <li>• შეაფასეთ შეცდომების ერთობლიობის ჯამური სიდიდე, მათ შორის შეუსწორებელი უზუსტობების წმინდა გავლენა გაუზარილებელი მოგების საწყის ნაშთზე;</li> <li>• შეაფასეთ პროცედურების შედეგები.</li> </ul>

**შენიშვნა:** აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა შეცვლას საჭიროებს მაშინ, როდესაც:

- გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და მათი გამომწვევი გარემოებები მიგვანიშნებს, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა უზუსტობებიც, რომლებიც აუდიტის დროს დაგროვილ უზუსტობებთან ერთად შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს; ან
- აუდიტის დროს დაგროვილი უზუსტობების ჯამური სიდიდე უახლოვდება არსებითობას.

## მიზანები რჩევები

ნაკლებად მოსალოდნელია საერთო არსებითობის ხშირი ცვლილება. თუმცა, შეიძლება საჭირო გახდეს მისი შეცვლა, როდესაც აუდიტორი იღებს ახალ ინფორმაციას, ან მას ეცვლება წარმოდგენა სამუშაო სუბიექტისა და მისი ოპერაციების შესახებ. თუ ასეთი ცვლილება აუცილებელია, დარწმუნდით, რომ აუდიტის შემსრულებელი ჯგუფი ინფორმირებულია ამის შესახებ და აფასებს ამ ცვლილების გავლენას აუდიტის გეგმაზე.

სამუშაო არსებითობა შეიძლება შეიცვალოს ახალი რისკის ფაქტორების, ან აუდიტის ახალი შედეგების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გავლენას არ ახდენდეს საერთო არსებითობაზე. სამუშაო არსებითობის ცვლილება გამოიწვევს აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის ცვლილებას. ცხადია, თუ საერთო არსებითობა შეიცვლება, საჭირო გახდება შესაბამისი ცვლილების შეტანა სამუშაო არსებითობაშიც.

## **6.5 არსებითობა ანგარიშგებაში**

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
450.11	<p>აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, არსებითია თუ არა შეუსწორებელი უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში. ამისათვის აუდიტორმა უნდა განიხილოს:</p> <p>ა) უზუსტობების სიდიდე და ხასიათი, როგორც კონკრეტული კატეგორიის ოპერაციებთან, ანგარიშების ნაშთებთან ან განმარტებით შენიშვნებთან მიმართებით, ასევე მთლიან ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით, ასევე კონკრეტული გარემოებები, რომლებშიც უზუსტობა განხორციელდა; და (იხ. პ. გ13-გ17, გ19-გ20);</p> <p>ბ) წინა პერიოდების შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა შესაფერისი კატეგორიის ოპერაციებზე, ანგარიშთა ნაშთებზე ან განმარტებით შენიშვნებზე და მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე. (იხ. პ. გ18)</p>
450.12	<p>აუდიტორმა მართვაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შეუსწორებელი უზუსტობებისა და იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ უზუსტობებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, აუდიტორულ დასკვნაში მოცემულ აუდიტორის მოსაზრებაზე, თუ ამას არ კრძალავს კანონმდებლობა. აუდიტორის საინფორმაციო წერილში არსებითი ხასიათის შეუსწორებელი უზუსტობები ცალ-ცალკე უნდა იყოს იდენტიფიცირებული. აუდიტორმა უნდა მოითხოვოს შეუსწორებელი უზუსტობების გასწორება. (იხ. პ. გ21-გ23)</p>

უზუსტობების შეფასებაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-2 ტომის 21-ე თავი.

სანამ აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას, მან უნდა:

- დაადასტუროს მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის განსაზღვრული არსებითობის მართებულობა;
- შეაფასოს გამოვლენილი შეუსწორებელი უზუსტობების ხასიათი და ჯამური სიდიდე; და
- საერთო შეფასება მისცეს, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი.

### **ცხრილი 6.5-1**

არსებითობა	არსებითობა
ანგარიშგება	<p>აუდიტორი არსებითობას გამოიყენებს, რათა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეაფასოს შეცდომების ერთობლიობის ჯამური სიდიდე ანგარიშის დონეზე და განავრცოს ფინანსური ანგარიშგების დონეზდე;</li> <li>• შეაფასოს შეცდომების ერთობლიობის ჯამური სიდიდე, მათ შორის შეუსწორებელი უზუსტობების წმინდა გავლენა გაუნაწილებელი მოვების საწყის ნაშთზე;</li> <li>• განსაზღვროს, უნდა ჩაატაროს თუ არა დამატებითი აუდიტორული პროცედურები, როდესაც უზუსტობების ჯამური სიდიდე უახლოვდება საერთო ან სპეციფიკურ არსებითობას;</li> <li>• მოსთხოვოს ხელმძღვანელობას ყველა გამოვლენილი უზუსტობის გასწორება;</li> <li>• გაითვალისწინოს ყველაზე მაღალი უზუსტობის პოტენციალის მქონე სფეროების გადამოწმება;</li> <li>• იმსჯელოს გამოვლენილი უზუსტობების ხასიათსა და მნიშვნელობაზე, ასევე მათ სიდიდეზე;</li> <li>• განსაზღვროს, საჭიროა თუ არა აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირება შეუსწორებელი არსებითი უზუსტობების გამო.</li> </ul>

უზუსტობების ერთობლიობა შედგება:

- აუდიტორის მიერ აუდიტორული ტესტირების შედეგად გამოვლენილი კონკრეტული უზუსტობებისგან; და
- გამოვლენილი სხვა უზუსტობების შეფასებისგან (მიახლოებითი სიდიდისგან), რომელთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა რაიმე გზით შეუძლებელია.

აუდიტორი შემდეგ ხელმძღვანელობას სთხოვს ყველა გამოვლენილი უზუსტობის დოკუმენტირებას. მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის 21-ე თავი.

## 6.6 სხვა მოსაზრებები

სხვა გასათვალისწინებელი საკითხებია:

- ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება;
- არსებითობის განახლება; და
- წინა პერიოდის არსებითობის დონის შემცირება.

### ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება

ხელმძღვანელობამ და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა უნდა იცოდნენ ის შეზღუდვები, რომლებიც აუდიტის შედეგების მოსალოდნელ სიზუსტის ხარისხს ეხება. მათ ასევე უნდა იცოდნენ, რომ ეკონომიკურად შეუძლებელია ისეთი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშება არ არის არსებითად მცდარი. აუდიტი უზრუნველყოფს მხოლოდ ზემოაღნიშნულის შესახებ დასაბუთებულ რწმუნებას.

როდესაც აუდიტის მსვლელობისას აუდიტორი უზუსტობებს გამოავლენს, პირველ რიგში, მას ევალება, მოსთხოვოს ხელმძღვანელობას ყველა შეუსწორებელი უზუსტობის გასწორება. თუ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ არ გაასწოროს ისინი, მაშინ აუდიტორი ვალდებულია, აცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შემდეგი საკითხები:

- შეუსწორებელი უზუსტობების დეტალები და რა გავლენას იქნიებს ისინი, ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აუდიტორის დასკვნაში გამოთქმულ აუდიტორის მოსაზრებაზე (თუ ამგვარი ინფორმირება კანონმდებლობით არ იკრძალება);
- არსებითი შეუსწორებელი უზუსტობები ინდივიდუალურად; და
- წინა პერიოდებთან დაკავშირებული შეუსწორებელი უზუსტობების გაცლენა მიმდინარე პერიოდის შესაფერისი კატეგორიების ოპერაციებზე, ანგარიშების ნაშთებზე, ან განმარტებით შენიშვნებზე და ასევე მოლიანად ფინანსურ ანგარიშებაზე.

### არსებითობის განახლება

საერთო და სამუშაო არსებითობის წინასწარი შეფასება შეიძლება შეიცვალოს აუდიტის დაგეგმვის ეტაპის შემდეგ, აუდიტორული პროცედურების შედეგების შეფასების შედეგად. ეს შეიძლება გამოიწვიოს გარემოებების ცვლილებამ, ან აუდიტორული პროცედურების ჩატარების შედეგად სამეურნეო სუბიექტისა და მისი ოპერაციების შესახებ აუდიტორის წარმოდგენის ცვლილებამ. მაგალითად, თუ აუდიტორული პროცედურები ტარდება საანგარიშებო პერიოდის დამთავრებამდე, აუდიტორი ანგარიშობს ოპერაციების მოსალოდნელ შედეგებსა და სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას. თუ ოპერაციების ფაქტობრივი შედეგები და ფინანსური მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია მოსალოდნელისგან, შეიძლება შეიცვალოს არსებითობისა და აუდიტორული რისკის შეფასებები.

### არსებითობის დონის შემცირება წინა პერიოდთან შედარებით

როდესაც გარემოებები იცვლება წინა პერიოდთან შედარებით, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი უზუსტობის გავლენა საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთზე მაგალითად, როდესაც რეალიზაციისა და შემოსავლის მაჩვენებლები არსებითად ნაკლებია წინა პერიოდის მაჩვენებლებზე,

საჭიროა არსებითობის უფრო ნაკლები დონის დადგენა. ვინაიდან წინა აუდიტი ჩატარდა უფრო მაღალი არსებითობის დონის გამოყენებით, შესაძლოა შეცდომები არსებობდეს საწყის ნაშთებში. საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში არსებითი შეცდომის რისკის შესამცირებლად აუდიტორს შეუძლია დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება აქტივებისა და ვალდებულებების საწყის ნაშთებზე.

## **მნიშვნელოვანი რჩევები**

### **ახალი გარიგებები**

როდესაც ახალ აუდიტორულ გარიგებაზე განაცხადებთ თანხმობას, წინამორბედი აუდიტორისგან გაიგეთ, საერთო არსებითობისთვის რა დონე გამოიყენა. თუ ამის გაკეთება შესაძლებელია, ეს დაგეხმარებათ დამატებითი აუდიტორული პროცედურების დადგენაში, რომელთა ჩატარება შეიძლება გახდეს საჭირო აქტივებისა და ვალდებულებების საწყის ნაშთებზე.

### **ხელმძღვანელობის ექსპერტის გამოყენება**

დარწმუნდით, რომ სამეურნეო სუბიექტის დაქირავებული ექსპერტი (ანუ სამეურნეო სუბიექტის თანამშრომელი ექსპერტი), რომელიც დაეხმარა მას ფინანსური ანგარიშების მომზადებაში, ან აუდიტის შემსრულებელი ჯგუფის მიერ გამოყენებული ექსპერტი სათანადოდ არის ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის შესაფერისი დონე იმ სამუშაოსთან მიმართებით, რომელსაც ისინი ასრულებენ.

## **6.7 დოკუმენტაცია**

სამუშაო დოკუმენტებში ასახეთ, როგორ განსაზღვრეთ შემდეგი საკითხები და რა ფაქტორები განიხილეთ:

- საერთო არსებითობა;
- თუ შესაფერისია, სპეციფიკური არსებითობის დონე (დონეები) კონკრეტული კატეგორიების ოპერაციების, ანგარიშების ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის;
- სამუშაო არსებითობა; და
- ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის შესწორება აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

## **6.8 სასწავლო მაგალითები – არსებითობის განსაზღვრა და გამოყენება**

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

არსებითობის დოკუმენტირება ხშირად ხდება სპეციალურ სამუშაო ცხრილში, რომელშიც აისახება სამუშაოს შედეგები და დატოვებულია ცარიელი ადგილი არსებითობასთან დაკავშირებული სხვა ისეთი საკითხების კომენტარებისთვის, როგორიცაა თვისებრივი (ხარისხობრივი) ფაქტორები.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

### „დეფტა ავეჯი“

(ამონარიზი)

#### არსებითობის შეფასება

ფინანსური ანგარიშების მთავარი მომხმარებლები არიან ბანკი და აქციონერები. წინა პერიოდში გამოყენებული არსებითობის ციფრი შეადგინდა 8,000 ევროს.

ისილეთ სდ# არსებითობის შესაძლო სიდიდეების გასაცნობად, რომლებიც ეყრდნობა განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე ამონაგებს. პროფესიული მსჯელობის შედეგად გადავწყვიტეთ, არსებითობა განვესაზღვრა 5%-ის ოდენობით დაბეგვრამდელი მოგების მიმართ, რომელსაც დავუმატეთ ხელმძღვანელობის პრემიის თანხა 70,000 ევრო. ასევე განვიხილეთ არსებითობის სხვა საფუძვლები, როგორიცაა ამონაგები, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ დაბეგვრამდელი მოგება იყო ყველაზე საზრიანი და მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ამ ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისთვის.

მოცემული პერიოდისთვის დავგეგმეთ, რომ საერთო არსებითობის სახით გამოვიყენებთ 1,000 ევროს. დამკვეთოან ერთად ზოგადად განვიხილეთ არსებითობის კონცეფცია და როგორ ხდება მისი გამოყენება აუდიტში.

პროფესიული მსჯელობის შედეგად და წინა პერიოდების აუდიტის დროს გამოვლენილი უზუსტობების ტიპების გათვალისწინებით, საერთო სამუშაო არსებითობა განვსაზღვრეთ 7,500 ევროს სიდიდის.

კომპანიის მიერ გადახდილი ადგილობრივი დღგ-სთვის სპეციფიკური არსებითობა განვსაზღვრეთ 1,000 ევროს ოდენობით, რადგან ჩვენ მოგვეთხოვება ამ თანხის აუდიტის ჩატარება და დასკვნის სახით შედეგის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი ანალიზის გასაცნობად ასევე იხილეთ სდ 615...

მოამზადა: კვ თარიღი: 20X2 წლის 8 დეკემბერი.

განვიხილა ლვ თარიღი: 20X3 წლის 5 იანვარი.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### „კუმარი და კომპანია“

(ამონარიზი)

#### არსებითობის შეფასება

ფინანსური ანგარიშების მთავარი მომხმარებლები არიან ბანკი და მესაკუთრეები.

წინა პერიოდში გამოყენებული არსებითობის ციფრი შეადგინდა 3,000 ევროს.

მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინების საფუძველზე გადავწყვიტეთ, არსებითობა განგვესაზღვრა რეალიზაციის დაახლოებით 1%-ის ოდენობით. პროფესიული მსჯელობის შედეგად მივიჩნიეთ, რომ კომპანიისთვის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები უფრო სტაბილურ ბაზას წარმოადგენს არსებითობის დასადგენად, ვიდრე დაბეგვრამდელი მოგება. მიმდინარე პერიოდისთვის ვვეგმავთ, რომ საერთო არსებითობის სახით გამოვიყენოთ 2,500 ევრო. დამკვეთან ერთად ზოგადად განვიხილოთ არსებითობის კონცეფცია და როგორ ხდება მისი გამოყენება აუდიტში.

პროფესიული მსჯელობის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ეხებოდა წინა პერიოდების აუდიტში გამოვლენილ შეცდომებს, საერთო სამუშაო არსებითობა განვსაზღვრეთ 1,800 ევროს ოდენობით.

#### სხვა საკითხები

იხილეთ სდ 615... გასაცნობად


მოამზადა: ჯფ თარიღი: 20X2 წლის 8 დეკემბერი.

განიხილა: ლფ თარიღი: 20X3 წლის 5 იანვარი.

## 7. განხილვა აუდიტის შემსრულებელ ჯგუფი

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
აუდიტის შემსრულებელ ჯგუფის წევრებს შორის არსებითი უზუსტობების მიმართ სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძნობელობის საკითხის განხილვის მიზანი და არსი.	240, 300, 315

სქემა 7.0-1



### შენიშვნები:

- გაეცათ ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგვგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და ოტერაციული პროცესი, რომელიც მოელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
240.15	315 მოითხოვს, რომ ჩატარდეს განხილვა გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის და გარიგების პარტნიორმა გადაწყვეტოს, რომელი საკითხები უნდა ეცნობოს ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც არ მონაწილეობენ განხილვაში. განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ და რა მხრივ შეიძლება იყოს ფინანსური ანგარიშგება მგრძნობიარე თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ, თაღლითობის ჩადენის ხერხის ჩათვლით. მსჯელობისას დროებით უნდა დაივიწყონ, რომ გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შეიძლება სჯეროდათ ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების. (იხ.: პუნქტი გ10-გ11)
240.44	აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლისა და არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებასთან დაკავშირებულ აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა შეიტანოს შემდეგი საკითხები, როგორც ამას მოითხოვს ასს 315: <ol style="list-style-type: none"> <li>გარიგების შემსრულებელ ჯგუფის წევრებს შორის ჩატარებული განხილვის დროს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძნობელობას თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ; და</li> <li>თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის გამოვლენილი და შეფასებული რისკები ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეზე.</li> </ol>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.10	გარიგების პარტნიორმა და გარიგების შემსრულებელმა ჯგუფის სხვა წამყვანმა წევრებმა უნდა იმსკელონ არსებითი უზუსტობის მიმართ სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძნობელობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების გამოყენების შესახებ მოცემული სამეურნეო სუბიექტის ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. გარიგების პარტნიორმა უნდა განსაზღვროს, რომელი საკითხების შესახებ უნდა აცნობოს გარიგების შემსრულებელი ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც არ მონაწილეობენ განხილვაში. (იხ.: პუნქტები გ14-გ16)

## 7.1 ზოგადი მიმოხილვა

ნებისმიერი აუდიტის წარმატების უმნიშვნელოვანების ელემენტია აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის კარგი კომუნიკაცია. კომუნიკაცია იწყება ჯგუფის წევრების დაკამბლექტებით, ჯგუფის შესვედრის მოწყობით დავალების დასაგეგმად და შემდგომშიც გრძელდება მთელი აუდიტის მანძილზე. კარგი კომუნიკაციის უპირატესობები განხილულია შემდეგ ცხრილში:

### ცხრილი 7.1-1

	<b>აუდიტის მწარმოებლურობა</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფის ყველა წევრს ექნება ნათელი წარმოდგენა აუდიტს დაქვემდებარებული სამეურნეო სუბიექტისა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოსაყენებელი საფუძვლების შესახებ; ეცოდინება, კონკრეტულად რა ევალება პირადად მას აუდიტში და, სავარაუდოდ, როგორ და როდის უნდა შეასრულოს ეს სამუშაო.</li> <li>• მნიშვნელოვნად შემცირდება აუდიტში ზედმეტი და ნაკლები (არასაკმარისი) სამუშაოების შესრულების აღბათობა.</li> </ul>
	<b>აუდიტის ეფექტიანობა</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომლები დამკვეთის სპეციფიკისა და აუდიტის მოლოდინების შესახებ ინფორმირებულნი იქნებიან უშუალოდ უფროსი პერსონალის, კერძოდ, გარიგების პარტნიორის მიერ.</li> <li>• ჯგუფში ჩატარებული განხილვა, არსებითი უზუსტობების მიმართ სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძნობიარობასთან დაკავშირებით, აუდიტორებს დაეხმარება ბიზნესისა და თაღლითობის ისეთი რისკების გამოვლენაში, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს.</li> <li>• ჯგუფი უკეთეს გადაწყვეტილებებს მიიღებს შესაფასებელი რისკისა და ჩასატარებელი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას.</li> <li>• ღია კომუნიკაცია სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა ისეთ სფეროებში გამოვლენილ ახალ ინფორმაციაზე, როგორიცაა უჩვეულო ოპერაციები/მოვლენები, დაკავშირებული მხარეები და ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.</li> </ul>
	<b>თანამშრომელთა განვითარება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტის ჩატარების საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკული მიღვომები პარტნიორებისგან გადაეცემა თანამშრომლებს.</li> <li>• თანამშრომლებს ექნებათ სტიმული, დასვან კითხვები და ხელახლა გაანალიზონ წინა პერიოდში შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის ჩატარებული პროცედურების ეფექტიანობა.</li> </ul>

## კვექტური მუდმივი კომუნიკაცია საჭიროებს:

- გარიგების პარტიისა და უფროსის პერსონალის ჩართულობას (და მათი მხრიდან სრული ყურადღების გამოჩენას); და
- უფროსი პერსონალის სურვილს, მოუსმინოს უმცროსი რანგის თანამშრომლებს, რაც გულისხმობს დავალების აღქმას უმცროსი თანამშრომლების თვალთანედვიდან, მათი შეკითხვებისა და წინადადებების წახალისებასა და შემდეგ სათანადო პასუხის გაცემას.

შემდეგ სქემაზე შეჯამებულია საკითხები, რომელთა განხილვაც და ინფორმირებაც უნდა მოხდეს აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის.

### სქემა 7.1-2

### კომუნიკაცია აუდიტის ჯგუფში

#### ჯგუფის წევრებისა და მათი ფუნქციების დამტკიცება

გათვალისწინეთ:

- უნარ-ჩვევები და გამოცდილება;
- ექსპერტების საჭიროება;
- გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის საჭიროება.

#### ჯგუფის საგეგმო შეხვედრა განიხილეთ:

- არსებითობა;
- სპეციფიკური ინფორმაცია სამეცნიერო სუბიექტის შესახებ შეძენილი ცოდნის საფუძველზე;
- ბიზნესისა და თაღლითობის რისკების შესაძლებლობა;
- როგორ/სად შეიძლება იყოს ფინანსური ანგარიშებია მგრძნობიარე არსებოთი უზუსტობის მიმართ;
- აუდიტის გეგმა, მათ შორის ვინ, რას, სად და როდის გააკეთებს;
- ზედამხედველობა და მიმოხილვა.

#### აუდიტის მსვლელობისას და მის შემდეგ

განიხილეთ:

- აუდიტის შედეგები, გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გამოვლენილი პრიბლებები;
- აუდიტის გეგმის შეცვლის საჭიროება;
- ახალი ინფორმაცია;
- უჩვეულო მოვლენები/ოპერაციები;
- რჩევები/მითითებები მომდევნო პერიოდის აუდიტისთვის.

## ანიშვნელოვანი რჩევები

აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის განხილვების ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტის ეფექტურობისთვის. ამით თავიდან აიცილებთ დღის წესრიგიდან გადახვევისა და, ზოგ პერიოდში, „სიზარმაცის“ ცოტნებას, სხვა დროს ზედმეტი დატვირთვის ხარჯზე. ამგვარი განხილვა შესაძლებლობას იძლევა, იმსჯელოთ აუდიტორულ რისკებზე, თაღლითობის შესაძლო სცენარებზე და დაგეგმოთ შესაძლო საპასუხო ქმედებები. გარდა ამისა, პერსონალს შესაძლებლობა ეძღვევა, წარმოდგენა შეიქმნას სამეცნიერო სუბიექტისა და მისი ბიზნესის შესახებ და რას მოელიან მათგან აუდიტის შედეგად. პერსონალს ასევე ექვება სტიმული, წამოაყენონ თავიანთი მოსაზრებები აუდიტის გაუმჯობესების შესაძლებლობების შესახებ.

## 7.2 აუდიტის ჯგუფის საგეგმო შეხვედრა

მსხვილი სამეცნიერო სუბიექტების აუდიტში საგეგმო შეხვედრა კარგა წნით ადრე უნდა დაიგეგმოს, ადგილზე მუშაობის დაწყებამდე. ასეთ შემთხვევაში გექნებათ საჭირო დრო აუდიტის დეტალური გეგმის მოსამართებლად, ან მასში ცვლილებების შესატანად. ძალიან მცირე ზომის სამეცნიერო სუბიექტების აუდიტის დაგეგმვის საუკეთესო საშუალებაა ხანმოკლე განხილვების ჩატარება დაგალების საწყისს ეტაპზე და ასევე აუდიტის მიმდინარეობისას.

ჯგუფის წევრებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სტიმული, რომ შეხვედრებზე კრიტიკულად იაზროვნონ, მზად იყვნენ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და ინფორმაციის გასაზიარებლად

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით. მათ უნდა დაივიწყონ იმის რწმენა, რომ ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პატიოსნები და კეთილსინდისიერები არიან. განხილვაში მონაწილეობის ხარისხშე გავლენას უნდა ახდენდეს აუდიტის ჯგუფის წევრების როლი (ფუნქციები), გამოცდილება და მათი საინფორმაციო მოთხოვნილებები.

შემდეგ ცხრილში განხილულია სამი მთავარი სფერო, რომელიც შეიძლება გახდეს განხილვის საგანი:

**ცხრილი 7.2-1**

მიზანი: დია განხილვა	მიზანი: დია განხილვა
<p><b>ძირითადი განხილვები სფეროები</b></p> <p><b>სამეურნეო სუბიექტის შესახებ ცნობილი სპეციფიკური ინფორმაციის გაზიარება, როგორიცაა ადამიანები, ოპერაციები და მიზნები</b></p>	<p><b>სამეურნეო სუბიექტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ისტორია და მისი საქმიანობის მიზნები.</li> <li>• კორპორაციული კულტურა.</li> <li>• ოპერაციებში, პრესონალში ან სისტემებში მომხდარი ცვლილებები.</li> <li>• ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მოთხოვნების მისადაგება სამეურნეო სუბიექტის ფაქტებსა და გარემოებებთან.</li> </ul> <p><b>ხელმძღვანელობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამეურნეო სუბიექტისა და მისი მართვის სპეციფიკა/სტრუქტურა.</li> <li>• ხელმძღვანელობის დამოკიდებულება შიდა კონტროლის მიმართ.</li> <li>• თაღლითობის ჩადენის მოტივები.</li> <li>• მთავარი თანამშრომლების ცხოვრების სტილისა და ქცევის მოულოდნელი ცვლილებები.</li> <li>• ხელმძღვანელობის მიკერძოებულობის ნებისმიერი ნიშნები.</li> </ul> <p><b>ცნობილი რისკის ფაქტორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წინა პერიოდების აუდიტიდან მიღებული გამოცდილება.</li> <li>• მნიშვნელოვანი ბიზნესის რისკის ფაქტორები.</li> <li>• თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობა.</li> </ul>

<p><b>ძირითადი განხილვები სფეროები</b></p> <p><b>იერიში გონიერებები (შემოქმედებითი იდეებისა და აუდიტის შესაძლო მიღვომების მიება პრობლემების ჯგუფური მეთოდი)</b></p>	<p><b>მიზანი:</b> შემოქმედებითი იდეებისა და აუდიტის შესაძლო მიღვომების მიება პრობლემების ჯგუფური განხილვით</p> <p><b>შეცდომებისა და თაღლითობის შესაძლებლობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფინანსური ანგარიშების რომელი სფეროებია მგრძნობიარე არსებითი უზუსტობის მიმართ (შეცდომა და თაღლითობა)? ეს ეტაპი ყველა აუდიტისთვის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს.</li> <li>• როგორ შეუძლია ხელმძღვანელობას ფინანსური ანგარიშების გაყალბება და მისი დაფარვა? ამის გავება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს თაღლითობის სხვადასხვა სცნარის დასამუშავებლად, ან, სადაც შესაძლებელია, ექსპერტიბულალტრის მომსახურების გამოსაყენებლად. განხილეთ ურნალის ჩანაწერები (საბუღალტრო გატარებები), ხელმძღვანელობის მიკერძოებულობა სააღრიცხვო შეფასებებში/ანარიცხებში, სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა და ა.შ.</li> <li>• როგორ შეიძლება აქტივების უკანონოდ მითვისება, ან პირადი მიზნებისთვის გამოყენება?</li> <li>• არსებობს ფინანსური ანგარიშების გაყალბებისთვის არაპირადი მოტივები (როგორიცაა, მაგალითად დაფინანსების წყაროს შენარჩუნება არაკომერციული სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში)?</li> </ul>
---	--

ძირითადი განსახილველი სფეროები	მიზანი: შემოქმედებითი იდეებისა და აუდიტის შესაძლო მიღების ძიება პრობლემების ჯგუფური განხილვით
იერიში გონიერზე (გავრძელება)	<p><b>რეაგირება რისკებზე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რომელი აუდიტორული პროცედურების/მიდგომების გამოყენება არის შესაძლებელი გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის?</li> <li>გათვალისწინეთ არაპროგნოზირებადობის ელემენტი ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას.</li> </ul>

ძირითადი განსახილველი სფეროები	მიზანი: მიმართულების მიცემა ჯგუფის წევრთათვის
აუდიტის დაგეგმვა	<p><b>რეაგირების სპეციფიკური სფეროები:</b></p> <p>უზრუნველყავით, რომ მოცემული აუდიტისთვის მნიშვნელოვანი ყველა ასეს-ის მოთხოვნები სათანადოდ იყოს გათვალისწინებული აუდიტის გეგმაში. შემდეგი ასე-ები ითვალისწინებს სპეციფიკურ პროცედურებს:</p> <p>ას 240 – „აუდიტორის პასუხისმგებლივა ფინანსური ანგარიშების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“;</p> <p>ას 402 – „აუდიტორული მოსაზრებები სამუშაოების მიერ მომსახურე ორგანიზაციის გამოყენებაზე“;</p> <p>ას 540 – „სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი“;</p> <p>ას 550 – „დაკავშირებული მხარეები“;</p> <p>ას 600 – „სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)“.</p> <p>აუდიტის ჯგუფისთვის მიმართულების მიცემა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>არსებითობის დონეების განსაზღვრა;</li> <li>როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება;</li> <li>წევრებისთვის აუდიტის იმ ნაწილების გაცნობა, რომელთა შესრულებაზეც ისინი არიან პასუხისმგებელი. მიმოიხილეთ საჭირო მიღები, სპეციფიკური მოსაზრებები, პროცედურების ვადები, დოკუმენტირების მოთხოვნები, ზედამხედველობის ხარისხი, ფაილის მიმოხილვა და სხვა მოლოდინები;</li> <li>ყურადღება გაამახვილეთ პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნების აუცილებლობაზე მთელი აუდიტის განმავლობაში.</li> </ul>

**შენიშვნა:** თუ აუდიტის ჯგუფის რომელიმე (უმცროსი) წევრი ვერ შეძლებს (ან არ იქნება მოწვევული) შეხვედრაზე დასწრებას, გარიგების პარტნიორი განსაზღვრავს, შეხვედრაზე წამოჭრილი რომელი საკითხები ეცნობებათ მათ.

მიმართულოვანი რჩევები
ყურადღება გაამახვილეთ თანამშრომელთა სიფრთხილით ყოფნის მნიშვნელობაზე, შენიშვნონ უპატიოსნობის ნიშნები, მაგრამ ისინი ასევე ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ არ გამოიტანონ ნაჩქარევი დასკვნები, განსაკუთრებით სამუშაოების სუბიექტის ხელმძღვანელობასთან ან თანამშრომლებთან ერთად აუდიტის შედეგების განხილვის დროს. განსაზღვრეთ საფრთხის, პრობლემის შესაძლო სიმპტომები, რომლებსაც, თუ ჯგუფის წევრები წააწყდებიან, იცოდნენ, რომ შეიძლება თაღლითობის შესაძლებლობაზე მიანიშნებდეს.

### მიმღებელოვანი რჩევები (ფაგრძელება)

საზოგადოდ, თაღლითობის გამოვლენა ხდება ოპერაციებსა და მოვლენებში რაიმე გამონაკლისების, ან უცნაურობების გამოვლენით. მაგალითად, ხარჯების ანგარიშში ასახული ცრუ მოთხოვნა (საპრეტეზიო თანხა) ფინანსური ანგარიშგებისთვის უმნიშვნელო იქნება, მაგრამ, თავისთავად, შეიძლება მიანიშნებდეს გაცილებით დიდ პრობლემაზე, როგორიცაა ხელმძღვანელობის უპატიოსნობა.

### 7.3. კომუნიკაცია აუდიტის მიმღინარეობისა და მისი დასრულების დროს

აუდიტის ჯგუფის თითოეულ წევრს ოდნავ განსხვავებული შეხედულება ექნება სამეურნეო სუბიექტზე. ზოგიერთი წევრის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შესაძლოა აზრი არც კი ჰქონდეს, სანამ არ მოხდება მისი გაერთიანება და შეჯერება სხვა წევრების მიერ მოძიებულ ინფორმაციასთან. ეს განსაკუთრებით ეხება თაღლითობას, სადაც სწორედ უმნიშვნელო გამონაკლისების, ან უცნაურობების გამოვლენამ შეიძლება მიგვიყვანოს თაღლითობის საბოლოო გამოაშკარავებამდე.

ამის მარტივი ანალოგია სურათებიანი თავსატეხი, რომლის ცალკეული ნაწილი ადამიანს მთლიანი სურათის დანახვის საშუალებას არ აძლევს; მხოლოდ მისი ყველა ნაწილის შეგროვების შემდეგ ხდება შესაძლებელი მთლიანი სურათის დანახვა. ასევეა აუდიტის შემთხვევაშიც, მხოლოდ ყველა აუდიტორის ინდივიდუალური ცოდნის/მიღებული შედეგების შეჯერების შემდეგ იკვეთება საერთო სურათი. ეს მოსაზრება იღუსტრირებულია შემდეგ ნახაზზე.

ნახაზი 7.3-1

შედეგების გაზიარება



აუცილებელი არ არის, რომ ჯგუფში განხილვების ორგანიზება შეზღუდული იყოს მხოლოდ საგეგმო შეხვედრით. აუდიტის ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ აუდიტის დროს ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე მოპოვებული ინფორმაცია, განსაკუთრებით, თუ ეს ინფორმაცია გავლენას ახდენს რისკის შეფასებასა და დაგეგმილ აუდიტორულ პროცედურებზე.

### მიმღებელოვანი რჩევები

გამართეთ შეხვედრები ხანმოკლე დეტალური განხილვების ორგანიზებისთვის აუდიტის მიმღინარეობისას სტრატეგიულ დროს

გარიგების საწყის ეტაპზე აუდიტის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის გარდა, შეიძლება აუდიტის ჯგუფისთვის (რამდენადაც მცირე ზომის არ უნდა იყოს იგი) სასარგებლო იყოს (მაგრამ არ არის სავალდებულო) შეხვედრა (ან სელექტორული (ტელე) კონფერენციის მოწყობა) და აუდიტის შედეგების განხილვა აუდიტის ცალკეული ეტაპების შემდეგ.

## მნიშვნელოვანი რჩევები (ფაზრძლება)

ჩატარეთ რისკის შესაფასებელი პროცედურები და დამატებითი აუდიტორული პროცედურები ზემოაღნიშნულ დეტალურ განხილვებს არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არც ისაა აუცილებელი, რომ ხანგრძლივი იყოს, მაგრამ ჯგუფის წევრებს საშუალებას უნდა აძლევდეს, სიტყვიერად მოახსენონ მათი გამოკვლევის შედეგების, გამოვლენილი გამონაკლისებისა (გადახრების) და პრობლემების შესახებ. მათ ასევე შეეძლებათ ინფორმირება ნებისმიერი საკითხის (რამდენადც უმნიშვნელო არ უნდა იყოს იგი), რომელიც მათ უცნაურად მიიჩნიეს ან ვერ გაიგეს. ეს ხშირად წვრილმანი საკითხები იქნება, რომელთა გაერთიანება და განხილვა ჯგუფის სხვა წევრების მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ერთად, შესაძლოა რისკის ფაქტორებზე მიუთითებდეს (როგორიცაა, თაღლითობა) და შეიძლება დამატებითი სამუშაოს შესრულებას მოითხოვდეს. მაშინაც კი, როდესაც აუდიტის ჯგუფი მხოლოდ 2 წევრისგან შედგება, ასეთმა შეხვედრებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღოს.

### აუდიტის დასრულება

როგორც კი ერთი აუდიტი დასრულდება, ყოველთვის მაშინვე ჩნდება სხვა ახალი დავალების დაწყების ცდუნება. ამის გამო, შეიძლება დაიკარგოს იმ ცოდნის დიდი ნაწილი, რომელიც შემდგომი პერიოდების აუდიტშიც გამოდგება. ყოველი აუდიტის დასრულების შემდეგ შესაძლებელია ხანმოკლე შეხვედრის ან სელექტორული კონფერენციის მოწყობა ჩატარებული აუდიტის შესახებ ჯგუფის წევრების მოსაზრებების გასაგებად და იმის დასადგენად, რა საჭიროებს გაუმჯობესებას. ეს გულისხმობს:

- აუდიტის ისეთი სფეროების დაგენერას, რომლებიც შესაძლოა დამატებით, ან უფრო ნაკლებ ყურადღებას ითხოვდეს მომავალში;
- ნებისმიერი სხვა მოულოდნელი შედეგების, უჩვეულო ოპერაციების გამოვლენას, ან აუდიტის პერსონალზე ფინანსური ზეწოლის მცდელობას, რაც შესაძლოა თაღლითობაზე, ან თაღლითობის ჩადენის მოტივაციის არსებობაზე მიანიშნებდეს;
- სამუშრნეო სუბიექტის წესისმიერ დაგეგმილ ცვლილებებს, რომლებიც გავლენას იქნიებს სამომავლო გარიგებებზე, როგორიცაა მთავარი პერსონალის შეცვლა, ახალი დაფინანსება, კომპანიის (ბიზნესის) შესყიდვა, ახალი პროდუქტები ან მოსაზრება, ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სისტემის დამოტავება, ან შედა კონტროლის ცვლილები;
- სფეროებს, სადაც შეიძლება დამატებით დახმარება გახდეს საჭირო სამუშრნეო სუბიექტის მხრიდან, როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების გარკვეული ნაწილების ანალიზი; და
- როდესაც მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორები არსებობს, შეხვედრაზე შესაძლოა განხილულ იქნეს აგრეთვე შემდეგი საკითხიც: ფირმას სურს თუ არა თანამშრომლობის გაგრძელება ამ დამკვეთთან მომდევნო პერიოდში. თუ ფირმა აუდიტორობიდან „გადადგება“ აუდიტის დამთავრებისთანავე, ამის მიზეზე ყველას ეხსომება და სამუშრნეო სუბიექტსაც მეტი დრო ექნება სხვა აუდიტორის მოსაძებნად.

ამგვარი ხანმოკლე შეხვედრების დროისა და თარიღის დაგეგმვა შესაძლებელია ჯგუფის პირველ, საგეგმო შეხვედრაზე.

## 7.4 სასწავლო მაგალითი – განხილვა აუდიტის ჯგუფში

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

ჯგუფის წევრების შეხვედრაზე შეიძლება სასარგებლო იყოს უახლესი (წინა პერიოდის) ფინანსური ანგარიშგების, წინა პერიოდებისთვის განსაზღვრული (ან მოცემული პერიოდისთვის განახლებული) შეფასებული რისკების ჩამონათვალისა და მათზე რეაგირებისთვის ჩატარებული აუდიტორული პროცედურების გაცნობა. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეთ პროფესიული სკატიციტმისა და ნებისმიერი საეჭვო სიტუაციის, ან შესაძლო თაღლითობის მიმანიშნებელი ნიშნების შესახებ დაუყოვნებლივ ინფორმირების აუცილებლობაზე.

დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს სტანდარტული დღის წესრიგის, ან მემოს სახით.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

შესვედრის თარიღი: 20X2 წლის 8 დეკემბერი

დღის წესრიგის საკითხი	შესვედრის ოქმები
1. არსებითობა და მნიშვნელოვანი ანგარიშების ნაშთები	საერთო არსებითობის გაზრდა <b>10,000</b> ევრომდე, მოგებიანობისა და რეალიზაციის ზრდაზე დაყრდნობით, ხოლო სამუშაო არსებითობის – <b>7,500</b> ევრომდე.
• შესრულების ვადები, მთავარი თარიღები და დატვეთის პერსონალის დახმარების ხელმისაწვდომობა.	დადასტურდა, რომ წინა პერიოდში შერჩეული ვადები და თარიღები შესავერისთვის და ხელმძღვანელობისთვის ჩვენი მხრიდან დახმარების თხოვნა გარკვეული ცხრილების მომზადებაში – გონივრულია.
3. რა შეგვიძლია ვისწავლოთ წარსული გამოცდილებიდან, როგორიცაა საკითხები/მოვლენები, რომლებმაც შეფერხებები გამოიწვია და რომელ სფეროებში შესრულდა ზედმეტი/არასაკმარისი სამუშაოები?	წინა წელს მარაგის შიდა კონტროლი არადამაქმაყოფილებული იყო, რის გამოცდამატებითი სამუშაოს შესრულება გახდა აუცილებელი. დამკვეთმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს ძრავებულება მოცემული პერიოდის დასრულებამდე.
• არსებობს რაიმე ახალი პრობლემა (საკითხი) ხელმძღვანელობის პატიოსნების, ფუნქციონირებადი საწარმოს, სასამართლო პროცესისა და ა.შ. შესახებ?	იხილეთ ამონარიდი გაზეთში პარვინის შესახებ გამოქვეყნებული სტატიიდან. ეს შეიძლება ერთჯერადი შემთხვევა იყოს, მაგრამ სიურთხილის გამოჩენა მაინც გვმართებს.
5. ცვლილებები მოცემული პერიოდის სამუშაოების მიმართ ან/და ფინანსურ მდგომარეობაში, დარგის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში, გამოყენებულ სააღრიცვო პოლიტიკასა და თანამშრომლებში.	ამჟამად ინტერნეტით რეალიზაცია მოული რეალიზაციის 12%-ს შეადგენს. ასევე იგვენება კომპანიის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს, გარკვეულწილად, ტკირთად დააწვება ფულადი სახსრების რესურსებს, შიდა კონტროლსა და საოპერაციო სისტემებს. გარდა ამისა, ეკონომიკის ამჟამინდებული კარდნა დამატებითი ზეწოლაა კომპანიაზე, იმ თვალსაზრისით, რომ მან შეძლოს რეალიზაციის დონეების შენარჩენება მოთხოვნისა და სარეალიზაციო ფასების შემცირებას მიუწყდავად.
• ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობა თაღლითობის მიმართ. რა მეთოდებით შეიძლება იყოს ჩადენილი მაქინაციები სამუშაოების სუბიექტში? დამუშავეთ რამდენიმე შესაძლო სცნარი და შემდეგ დაგემოვთ პროცედურები, რომლებიც დადასტურებს, ან გააქარწყლებს თქვენს ეჭვებს.	სავსებით შესაძლებელია, ადვილი პქნდეს ხელმძღვანელობის მიკერძოებასა და შიდა კონტროლის გეერდის აქლას გადასახადების გადახდის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. მანიპულაციას ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი სააღრიცვო შეფასებები, საბუღალტრო გატარებები და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები. გასათვალისწინებულია ისიც, რომ არჯანი (რეალიზაციის განყოფილების უფროსი) ძირიდრულად ცხოვრობს. ჩვენ ასევე უნდა გავეცნოთ პრემიებისა და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების გამოთვლებს.

	7. მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.	შეიძლება კერ შესრულდეს საბანკო ხელ-შეკრულებების პირობები. სურაჯი აცხადებს, რომ აპირებს ბანკთან სესხის პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებას, რათა უფრო ძოქნილი გახადოს.
•	აუდიტორის შესაფერისი რეაგირება გამოვლენილ რისკებზე.	დეტალური აუდიტის გეგმა საკმაოდ დაწვრილებით იქნა განხილული ჯგუფის პასუხისმგებელ წევრთან ერთად და დადგინდა მისი ქმედუნარიანობა.
9.	განსახილველი საკითხები: სპეციალური უნარების, ან კონსულტანტების საჭი-როება, შიდა კონტროლის საშუალებების ტესტირების საჭიროება, ძირითადი პრო-ცედურების ჩატარების ნაცვლად, აუდიტის ზოგიერთ ტესტში არაპროგნოზირებადობის ელემტების გათვალისწინების აუცილებლობა და სამუშაოები, რომლის შესრულებაც დამკვეთს შეუძლია.	დაგვჭირდება საინფორმაციო ტექნოლო-გიების სპეციალისტი, რომელიც შეის-წავლის ინტერნეტით რეალიზაციას და ზოგადად საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლის საშუალებებს. მისი ვიზიტი დაგვემოლია ამ საანგარიშებო პერიოდის დაკამატერში.
•	აუდიტის ჯგუფის წევრების პასუხისმგ-ებლობა (ფუნქციები), სამუშაოთა განრიგის შედგენა და ფაილის მიმოხილვა.	განვახლეთ აუდიტის საერთო და დეტალური გეგმები.
მოამზადა:	ფჯ თარიღი: 8/12/20X2 წ.	
მიმოიხილა:	ლფ თარიღი: 5/01/20X3 წ.	

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### მემო ფაილისთვის: „კუმარი და კომპანია“

20X2 წლის 8 დეკემბერს აუდიტის ჯგუფი (პარტნიორი და უფროსი აუდიტორი) შეიკრიბნენ „კუმარი და კომპანია“ აუდიტის დასაგეგმად.

განვიხილავთ შემდეგი საკითხები:

- მოგებიანობისა და რეალიზაციის შემცირების გათვალისწინებით საერთო არსებითობა შევამცირეთ 2,500 ევრომდე, ხოლო სამუშაო არსებითობა განვსაზღვრეთ 1,800 ევროს ოდენობით;
- რავმა ბოლო პერიოდში ყურადღება გადაიტანა პირად ოჯახურ პრობლემებზე. შეიძლება ბუღალტრის სამუშაოს განხილვა ადეკვატურად ვერ ხდებოდა, რაც რუბის საანგარიშგებო ციფრების მართვის დიდ შესაძლებლობას აძლევს. შეიძლება ვერ გამოვლინდეს რუბის მიერ უწებლიერ ან განზრახ დაშვებული ყველა შეცდომა, რაც უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან თაღლითობის რისკად მოცემულ აუდიტში;
- შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელმძღვანელობის მიერობებას და შიდა კონტროლიდან გადახვევას გადასახადის, ან საბანკო ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი სააღრიცხვო შეფასებები ტრადიციულად კონსერვატიულია. აუდიტის ჯგუფის წევრებს შეახსენეს, რომ ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა არ გამორჩეთ რაიმე უჩვეულო მოვლენა;
- ჩვენ დიდ ყურადღებას მივაქცევთ დაკავშირებულ მხარე „დეფტასთან“ შესრულებულ ოპერაციებსა და მისთვის მიყიდული პროდუქციის ფასებს.

### აუდიტის გეგმა:

- დადასტურდა, რომ წინა პერიოდში აუდიტორული პროცედურებისთვის შერჩეული ვადები და თარიღები შესაფერისია; ამასთან, ჩვენ ამ წელსაც მოვთხოვთ ხელმძღვანელობას დახმარებას გარკვეული ცხრილების მომზადებაში. თუმცა, ვინაიდან გასულ პერიოდში „კუმარს“ გაუჭირდა მოთხოვნილი ცხრილების ჩვენთვის დროულად მოწოდება, ამ აუდიტში თადარიგს დავიჰქმოთ და რუბის წინასწარ მივაწვდით ცხრილების ნიმუშებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ მან კარგად გაიგო, რა არის საჭირო და როდისთვის არის საჭირო ეს ინფორმაცია.
- საკმაოდ დაწვრილებით განვიხილავთ აუდიტის დეტალური გეგმა. ზოგიერთ სფეროში გავაფართოვეთ პროცედურები შეფასებული რისკის საფუძველზე, ხოლო იქ, სადაც რისკის შეფასება დაბალი იყო, რამდენიმე სხვა პროცედურა გავაუქმეთ.
- გადავწყვიტეთ, რომ უფრო ეფექტური იქნება მირითადი პროცედურების ჩატარება, ვიდრე კონტროლის ტესტების, რადგან არ არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ მხოლოდ მირითადი პროცედურების ჩატარებით ვერ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

მოამზადა: უკ

თარიღი: 20X2 წლის 8 დეკემბერი


მიმოიხილა: ლფ

თარიღი: 20X3 წლის 5 იანვარი

## 8. თანდაყოლილი რისკები – იდენტიფიკაცია

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა დავადგინოთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკები.	240,315

სქემა 8.0-1



### შენიშვნები

- გაეცანთ ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მიითხოვება.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები

პუნქტი	ასს-ის მიზნები
240.10	<p>აუდიტორის მიზანია:</p> <p>ა) ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება;</p> <p>ბ) ისეთი საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც ეხება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებს, სათანადო საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელების გზით; და</p> <p>გ) სათანადო საპასუხო ქმედების განხორციელება აუდიტის განმავლობაში გამოვლენილ თაღლითობაზე ან საეჭვო თაღლითობაზე.</p>
315.3	<p>აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეზე;</p> <p>სამუშაო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რითიც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისთვის.</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
200.13	<p>ასს-ების მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:</p> <p>ნ) არსებითი უზუსტობის რისკი – რისკი იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის ჩატარებამდე. მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობის რისკი შედგება ორი კომპონენტისგან, როგორც ქვემოთაა აღწერილი:</p> <p>(i) თანდაყოლილი რისკი – რომელიმე კატეგორიის ოპერაციის, ანგარიშის ნაშთის ან განმარტებითი შენიშვნის შესახებ არსებული მტკიცების მიღრეკილება ისეთი უზუსტობისაკენ, რომელიც შეიძლება, ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად, არსებითი იყოს შესაბამისი კონტროლის პროცედურების გაუთვალისწინებლად;</p> <p>(ii) კონტროლის რისკი – რისკი იმისა, რომ უზუსტობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ კატეგორიის ოპერაციის, ანგარიშის ნაშთის ან განმარტებითი შენიშვნის შესახებ მტკიცებაში და შეიძლება არსებითი იყოს ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად, თავიდან ვერ აიცილებს, ან დროულად ვერ გამოავლენს და შეასწორებს სამუშაო სუბიექტის შიდა კონტროლი.</p>
240.11	<p>ა) თაღლითობა – ხელმძღვანელობის, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, თანამშრომლების, ან მესამე მსარეების ერთი ან მეტი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი წინასწარგანზრახული ქმედება, რომელიც გულისხმობს მოტყუებას, უსამართლო ან უკანონო სარგებლის მიღების მიზნით.</p> <p>ბ) თაღლითობის რისკის ფაქტორები – ისეთი მოვლენები ან პირებები, რომლებიც უბიძებებს ან აიძულებს თაღლითობის ჩადენას, ან ქმნის თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობას.</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
240.12	ას 200-ის შესაბამისად, აუდიტორმა მთელი აუდიტის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული სკეპტიციზმი, იმის აღიარებით, რომ შეიძლება არსებობდეს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, მოუხდავად სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების შესახებ აუდიტორის შეხედულებისა, რომელიც ჩამოცდილიბდა წარსული გამოცდილებიდან. (იხ.: პუნქტები გ7-გ8)	
240.13	გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუდიტორს გააჩნია საწინააღმდეგოში დარწმუნების მიზეზი, აუდიტორს უფლება აქვს, ჩანაწერები და დოკუმენტები მიიჩნიოს ნამდვილად. თუ აუდიტის განმავლობაში გამოვლენილი პირობები აუდიტორს დაარწმუნებს, რომ ესა თუ ის დოკუმენტი შეიძლება არ იყოს ნამდვილი, ან დოკუმენტში მოცემული პირობები შესწორდა, მაგრამ არ გაუმჯდავნდა აუდიტორს, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შემდგომი გამოკვლევა. (იხ.: პუნქტი გ9)	
240.15	ას 315 მოითხოვს, რომ ჩატარდეს განხილვა გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის და გარიგების პარტნიორმა გადაწყვეტოს, რომელი საკითხები უნდა ეცნობოს ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც არ მონაწილეობენ განხილვაში. ამ მსჯელობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ და რა მხრივ შეიძლება ფინანსური ანგარიშგება იყოს მგრძნობიარე თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ, თაღლითობის ჩადენის ხერხის ჩათვლით. მსჯელობისას დროებით უნდა დაივიწყონ, რომ გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შეიძლება სჯეროდათ ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების. (იხ.: პუნქტები გ10-გ11)	
240.17	აუდიტორმა უნდა ჩაატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) ხელმძღვანელობის მიერ იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის მიზეზით, მათ შორის, ასეთი შეფასებების ხასიათი, მოცულობა და სიხშირე; (იხ.: პუნქტები გ12-გ13)</li> <li>ბ) ხელმძღვანელობის მიერ სამეურნეო სუბიექტში თაღლითობის რისკების გამოსავლენად და მათზე საპასუხო ქმედების განხორციელების მიზნით ჩატარებული პროცესი, მათ შორის თაღლითობის ნებასმიერი სპეციფიკური რისკები, რომლებიც მათ ყურადღე მივიდა, ან იმ ოპერაციათა კატეგორიები, ან ანგარიშთა ნაშთები, ან განმარტებითი შენიშვნები, რომლებსაც, სავარაუდოდ, უკავშირდება თაღლითობის რისკი; (იხ.: პუნქტი გ14)</li> <li>გ) ხელმძღვანელობის მიერ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირება, თუკი ასეთი იქნება, მის მიერ სამეურნეო სუბიექტში თაღლითობის რისკების გამოსავლენად და მათზე საპასუხო ქმედების განხორციელების მიზნით ჩატარებულ პროცესთან დაკავშირებით; და</li> <li>დ) ხელმძღვანელობის მიერ პერსონალის ინფორმირება, თუკი ასეთი იქნება, ეთიკური ქცევის შესახებ მის შეხედულებებთან დაკავშირებით.</li> </ul>
240.18	აუდიტორმა უნდა გამოკითხოს ხელმძღვანელობასა და სხვა პირებს სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში, გარემოებისდა მიხედვით, იმის დასადგენად, იციან თუ არა მათ რამე ისეთი რეალური, საეჭვო ან სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელიც ზემოქმედებს სამეურნეო სუბიექტზე. (იხ.: პუნქტები გ15-გ17)	

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
240.22	აუდიტორმა უნდა შეაფასოს, შეიძლება თუ არა, რომ ანალიზური პროცედურების ჩატარების დროს გამოვლენილი არაორდინარული ან მოულოდნელი თანაფარდობები, მათ შორის, ამონაგების ანგარიშებთან დაკავშირებული, მიუთითებდეს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებზე.
240.23	აუდიტორმა უნდა განიხილოს, შეიძლება თუ არა, რომ აუდიტორის მიერ მოპოვებული სხვა ინფორმაცია მიუთითებდეს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებზე. (იხ.: პუნქტი გ22)
240.24	აუდიტორმა უნდა შეაფასოს, ჩატარებული რისკის შესაფასებელი სხვა პროცედურებისა და დაკავშირებული ქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს თუ არა, რომ სახეზეა თაღლითობის რისკის ერთი ან მეტი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის რისკის ფაქტორები შეიძლება სულაც არ ადასტურებდეს თაღლითობის არსებობას, ისინი ხშირად არსებობს ისეთ გარემოებებში, სადაც ადგილი ჰქონდა თაღლითობას და ამის გამო, შეიძლება მიუთითებდეს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებზე. (იხ.: პუნქტი გ23-გ27)
240.44	აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლისა და არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებასთან დაკავშირებულ აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა შეიტანოს შემდეგი საკითხები, როგორც ამას მოითხოვს ასს 315: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გარიგების შემსრულებელ ჯგუფს შორის ჩატარებული განხილვის დროს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობას თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ; და</li> <li>ბ) ფინანსური ანგარიშებისა და მტკიცების დონეზე გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკები თაღლითობით გამოწვეული.</li> </ul>
315.11	აუდიტორმა უნდა შეისწავლოს: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) შესაფერისი დარგობრივი, მარეგულირებელი და სხვა გარე ფაქტორები, მათ შორის, ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლები; (იხ.: პუნქტი გ17-გ22)</li> <li>ბ) სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკა, მათ შორის:           <ul style="list-style-type: none"> <li>(i) მისი სამეურნეო ოპერაციები;</li> <li>(ii) მისი მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურები;</li> <li>(iii) იმ ინვესტიციების ტიპები, რომლებსაც დებს და რომელთა ჩადებასაც აპირებს სამეურნეო სუბიექტი, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების სამეურნეო სუბიექტებში ჩადებული ინვესტიციები; და</li> <li>(iv) როგორ არის ჩამოყალიბებული სამეურნეო სუბიექტის სტრუქტურა და რა მეთოდებით ხდება მისი დაგინანსება, რათა აუდიტორმა შეძლოს ფინანსური ანგარიშების ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების კატეგორიებში გარკვევა. (იხ.: პუნქტი გ23-გ27)</li> </ul> </li> <li>გ) როგორ არჩევს და იყენებს სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკას, მათ შორის, მასში შეტანილი ცვლილებების მიზეზები. აუდიტორმა უნდა შეაფასოს, არის თუ არა სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკა მისი კომერციული საქმიანობის შესაფერისი და შესაბამის დარგში გამოყენებული ანგარიშების წარდგენის საფუძვლებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი; (იხ.: პუნქტი გ28)</li> <li>დ) სამეურნეო სუბიექტის მიზნები და სტრატეგია, ასევე მასთან დაკავშირებული ბიზნესის ისეთი რისკები, რომლებიც შეიძლება გადაიზარდოს არსებითი უზუსტობის რისკებში; (იხ.: პუნქტი გ29-გ35)</li> <li>ე) როგორ ხდება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგების გაზომვა და მიმოხილვა. (იხ.: პუნქტი გ36-გ41)</li> </ul>

## 8.1 ზოგადი მიმოხილვა

აუდიტის საფუძველთა საფუძველია რისკის გამოვლენა. რისკის გამოვლენა ხდება იმ აუდიტორული პროცედურების მეშვეობით, რომლებიც განკუთვნილია სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესასწავლად და, ამასთან, რისკის გამოვლენის პროცესი ამ პროცედურების განუყოფელი ნაწილია. სამეურნეო სუბიექტის შესახებ საფუძვლიანი წარმოდგენის შექმნის გარეშე, აუდიტორს შეიძლება გარკვეული რისკის ფაქტორები გამორჩის. მაგალითად, თუ დამკვეთის რეალიზაცია იზრდებოდა, აუდიტორისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის ცოდნა, თუ, მთლიანობაში, მოცემულ დარგში გაყიდვები სინამდვილეში მკვეთრად დაეცა.

აუდიტში რისკის შეფასების ეტაპის მიზანი რისკის წყაროს გამოვლენა და შემდეგ იმის შეფასებაა, შეუძლია თუ არა ამ რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის გამოწვევა. ეს აუდიტორს უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციით, რომლის გათვალისწინებით აუდიტში მთელ ძალისხმევას მიმართავს ისეთ სფეროებზე, სადაც არსებითი უზუსტობის რისკი ყველაზე მაღალია და დრო არ დაიხარჯება ფინანსური ანგარიშგების დაბალი რისკის მქონე ნაწილების აუდიტზე.


რისკის შეფასების პროცესი 2 ნაწილისგან შედგება:

- რისკის გამოვლენა (კითხვა: „რა შეიძლება იყოს მცდარი“); და
- რისკის შეფასება (თითოეული რისკის მნიშვნელობის განსაზღვრა).

რისკის შეფასება განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში.

რისკის გამოვლენის პროცესი შემდეგ სქემაზე.

### ნახაზი 8.1-1



### მიმოხილვის რჩევები

#### პირველ რიგში, რისკები დაადგინეთ

თქვენ ვერ შეძლეთ რისკის შეფასებას, თუ ჯერ არ გამოავლენთ მათ. არ შეცდეთ და არ იფიქროთ, რომ, ვინაიდან სამეურნეო სუბიექტი მცირე ზომისაა, იქ არ შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი რისკები, ან არსებითი უზუსტობის რისკები იგივე იქნება, რაც წინა პერიოდში. შესაძლებელია, მიმდინარე პერიოდში ახალი რისკები არსებობდეს და შესაძლოა შეცვლილი იყოს წინა პერიოდში გამოვლენილი რისკების ხასიათი და მნიშვნელობაც.

პირველი გარიგების შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რა შეიცვალა წინა პერიოდის შემდეგ

პირველი გარიგების შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რა შეიცვალა რისკის ექვსი წყაროდან თითოეულში (ე.ი. სამეურნეო სუბიექტის გარე ფაქტორები ა.შ.), იმის მაგივრად, რომ თავიდან დაიწყოთ ყველაფერი. ამით დროს დაზოგავთ და საშუალება მოგეცემათ, აქცენტი გადაიტანოთ ახალი რისკების ხასიათსა და გავლენაზე და შეასწოროთ ადრე გამოვლენილი რისკების სია.


## 8.2 რისკის სახეები

არსებობს რისკის ორი ძირითადი კატეგორია:

- ბიზნესის რისკი; და
- თაღლითობის რისკი.

განსხვავება ბიზნესის რისკსა და თაღლითობის რისკს შორის იმაში მდგომარეობს, რომ თაღლითობის რისკის შედეგები მომდინარეობს პიროვნების წინასწარგანზრახული ქმედებებიდან, რაც ასახულია შემდეგ ნახაზზე.

**ნახაზი 8.2-1**



**შენიშვნა:** ბევრ შემთხვევაში, რისკი შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც ბიზნესის რისკი, ისე თაღლითობის. მაგალითად, ახალი სააღრიცხვო სისტემის დანერგვა იწვევს ეჭვსა და გაურკვევლობას (შეიძლება პერსონალმა შეცდომები დაუშვას, რადგან სწავლობს ახალ სისტემას) და ეს იქნება ბიზნესის რისკი. თუმცა, აღნიშნული რისკი შეიძლება კლასიფიცირებული იყოს თაღლითობის რისკად, რადგან ამ გაურკვევლობით შეიძლება ვინმეტ ისარგებლოს და მითვისოს აქტივები, ან მოახდინოს ფინანსური ანგარიშების მანიპულაცია.

## ბიზნესის რისკი

ტერმინი „ბიზნესის რისკი“ მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებია. ბიზნესის რისკები წარმოიშობა მნიშვნელოვანი პირობებისგან, მოვლენებისგან, გარემოებებისგან, მოქმედებისგან ან უმოქმედობისგან, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ სამურნეო სუბიექტის უნარზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და განახორციელოს დასახული სტრატეგია. იგი შეიძლება გულისხმობდეს შეუფერებული მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრას.

გარდა ამისა, ბიზნესის რისკი მოიცავს ისეთ მოვლენებსაც, რომლებსაც იწვევს ცვლილებები, ოპერაციების სირთულე, ან ცვლილების აუცილებლობის გაუცნობიერებლობა. მაგალითად, ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს:

- ახალი პროდუქტების შექმნამ, რომელიც შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს;
- არაადეკვატურმა ბაზარმა, მაშინაც კი, თუ ახალი პროდუქტების შექმნა წარმატებული აღმოჩნდება;
- პროდუქციის ნაკლმა, რასაც შეიძლება მოჰყვეს სამეურნეო სუბიექტის ვალდებულებების წარმქნა და რეპუტაციის შელახვა.

## თაღლითობის რისკი

თაღლითობის რისკი უკავშირდება ისეთ მოვლენებსა და პირობებს, რომლებიც მიგვანიშნებს თაღლითობის ჩადენის მოტივაციის, ან ზეწოლის (იმულების) ფაქტორების არსებობაზე, ან ქმნას თაღლითობის ჩადენის ხელსაყრელ შესაძლებლობას.

აუდიტორის მიერ ბიზნესისა და თაღლითობის რისკების შეცნობა ზრდის არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენის აღბათობას. თუმცა, აუდიტორს არ ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა, გამოავლინოს ან შეაფასოს ყველა შესაძლო ბიზნესის რისკი.

### 8.3. სამეურნეო სუბიექტის შესახებ ინფორმაციის წყაროები

რისკის შეფასების პროცესში პირველი ნაბიჯია, რაც შეიძლება მეტი შესავერისი ინფორმაციის შეგროვება (ან განახლება) სამეურნეო სუბიექტის შესახებ. ეს ინფორმაცია აუდიტორს აძლევს შესაძლო რისკის ფაქტორების გამოვლენისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვან ჩარჩოებს.

სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. ბევრ შემთხვევაში, აუდიტორი, პირველ რიგში, ინფორმაციის შიდა წყაროებს ეცნობა, ხოლო შემდეგ შიდა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის აღეკვატურობა შეიძლება გადამოწმდეს გარე წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციით, როგორიცაა, მაგალითად, მეწარმეთა დარგობრივი ასოციაციის მონაცემები და მონაცემები საერთო ეკონომიკური მდგრამარების შესახებ, რაც, ხშირ შემთხვევებში, ინტერნეტის საშუალებით მოიპოვება. შემდეგი ნახაზი გვიჩვენებს ინფორმაციის ზოგიერთ პოტენციურ წყაროს:

ნახაზი 8.3-1

	შიდა წყაროები	გარე წყაროები
არაფინანსური ანფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>- ფინანსური ანგარიშება</li> <li>- ბიუჯეტები</li> <li>- ანგარიშები</li> <li>- ეფექტიანობის მაჩვენებლები</li> <li>- საგადასახადო დეკლარაციები</li> <li>- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა</li> <li>- კორექტირებები და სააღრიცხვო შეფასებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ინტერნეტში არსებული ინფორმაცია</li> <li>- დარგობრივი ინფორმაცია</li> <li>- ინფორმაცია კონკურენტების შესახებ</li> <li>- საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების ინფორმაცია</li> <li>- კრედიტორები</li> <li>- სახელმწიფო უწყებები</li> <li>- მასედია და სხვა გარე მხარეები</li> </ul>
არაფინანსური ანფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>- ხედვა, ღირებულებები, მიზნები და სტრატეგიები</li> <li>- ორგანიზაციული სტრუქტურა</li> <li>- სამუშაოთა აღწერილობები</li> <li>- პერსონალის პირადი საქმეები</li> <li>- ეფექტიანობის მაჩვენებლები</li> <li>- პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელოები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ინტერნეტში არსებული ინფორმაცია</li> <li>- დარგობრივი ასოციაციების მონაცემები</li> <li>- დარგის პროგნოზები</li> <li>- სახელმწიფო უწყებები</li> <li>- ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები</li> </ul>

#### მიმღებელოვანი რჩევები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო, რომლის არსებობაც აუდიტორებს ხშირად ავიწყდებათ ხოლმე, არის წინა პერიოდების აუდიტორის სამუშაო დოკუმენტების ფაილები. აუდიტის ფაილი ხშირად ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- მოსაზრებები, ან საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია მიმდინარე პერიოდის აუდიტის დაგეგმვისას;
- შესაძლო კორექტირებებისა და შეუსწორებელი შეცდომების შეფასება და წყარო;
- ფინანსური ანგარიშების ნაწილები, სადაც მუდმივად უთანხმოება არსებობს, მაგალითად, სააღრიცხვო შეფასებებში გამოყენებული დაშვებები;
- ფინანსური ანგარიშების ნაწილები, რომლებსაც შეცდომებისადმი მიღრეკილება ახასიათებს; და

### მითითებების რჩევები (გავრძელება)

- საკითხები, რომლებიც წამოიჭრა ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილების აღჭურვილ პირებთან აუდიტორის ურთიერთობის დროს.

ახალ გარიგებაზე, ან გარიგების გაგრძელებაზე დათანხმებამდე ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურებიდან მოპოვებული ინფორმაცია აუდიტის შემსრულებელ ჯგუფს შეიძლება გამოადგეს სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში.

### 8.4 რისკის შესაფასებელი პროცედურები

მას შემდეგ, რაც მოიპოვებს ინფორმაციას სამეურნეო სუბიექტის შესახებ, აუდიტორს უკვე შეეძლება რისკის შესაფასებელი პროცედურების განსაზღვრა, რაც განხილულია 1-ლი ტომის მე-8 თაგმი. რისკის შესაფასებელი პროცედურები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესახებ.

რისკების გამოსავლენად სამეურნეო სუბიექტის შესწავლის სავალდებულო მოთხოვნა ეხება ექვს ძირითად სფეროს, როგორც შემდეგ ნახაზზეა ნაჩვენები.

#### ნახაზი 8.4-1

##### ა. გარე ფაქტორები

- დარგის თავისებურებები
- მარეგულირებელი გარემო
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

##### ბ. სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა

- ოპერაციები და ძირითადი პერსონალი
- საკუთრების ფორმა და მართვა
- ინვესტიცია, სტრუქტურა და დაფინანსება

##### გ. სააღრიცხვო პოლიტიკა

- შერჩევა და გამოყენება
- ცვლილების მიზეზები
- სამეურნეო სუბიექტისთვის მიზანშეწონილობა

##### დ. სამეურნეო სუბიექტის მიზნები და სტრატეგია

- ბიზნესგეგმები და სტრატეგიები
- ფინანსური შედეგები და საკუთარ თავზე აღებული რისკები

##### ე. ფინანსური შედეგების გაზომვა/ანალიზი

- რისი გაზომვა სდება
- კინ იხილავს ფინანსურ შედეგებს

##### ვ. აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლი

- პროცესები და რისკების შესამცირებლად განკუთვნილი შესაბამისი კონტროლის პროცედურები, სამეურნეო სუბიექტის დონის და საოპერაციო დონის

იმ ინფორმაციის საკმარისობა (ცოდნის სიღრმე), რომლის მოპოვებაც აუდიტორს მოეთხოვება, პროფესიული განსჯების საგანია. ეს ინფორმაცია იმაზე ნაკლებია, რაც ხელმძღვანელობას სჭირდება სამეურნეო სუბიექტის მართვის პროცესში. ზემოთ ნახაზის ბოლო განყოფილება („ვ“ ნაწილი),

რომელიც აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის პროცედურებს ეხება, განხილულია 1-ლი ტომის ნე-5 თავში და მე-2 ტომის მე-4, მე-11 და მე-12 თავებში.  
სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესწავლას რამდენიმე დადებითი მხარე გააჩნია, რაც განხილულია შემდეგ ცხრილში.

#### ცხრილი 8.4-2

უზრუნველყოფის აუდიტორის მოქმედების ჩარჩოებს	
რა სარგებლობის მოტანა შეუძლია აუდიტორისთვის სამეურნეო სუბიექტის შესწავლას	<p>რისკების გამოვლენა და საპასუხო მოქმედებების (პროცედურების) განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გადაწყვეტილების მიღება რისკების შეფასებების შესახებ;</li> <li>• შესაფერისი საპასუხო პროცედურების განსაზღვრა, ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობების გამოსავლენად;</li> <li>• არსებითობის დონის განსაზღვრა (იხ. მე-2 ტომის მე-6 თავი);</li> <li>• ანალიზური პროცედურების ჩასატარებლად საჭირო მოსალოდნელი შედეგების (მონაცემების) გამოთვლა;</li> <li>• დამატებითი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრა/ჩატარება აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად;</li> <li>• მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასება (მაგ., გამოყენებული დაშვებებისა და ხელმძღვანელობის სიტყვიერი და წერილობითი განმარტებითი ინფორმაციის მიზანშეწონილობის შეფასება);</li> </ul> <p>ფინანსური ანგარიშების მიმოხილვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასება;</li> <li>• ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნების აღეკვატურობის განხილვა;</li> <li>• აუდიტის ისეთი სფეროების დადგენა, რომლებიც სპეციალურ განხილვას საჭიროებს (მაგ., დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, უწევეულო, ან რთული სახელშეკრულებო შეთანხმებები, ფუნქციონირებადი საწარმოს დამვება, ან არაორდინარული ოპერაციები).</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი რჩევები</b>	<p>სამეურნეო სუბიექტის შესწავლა არ არის იზოლირებული ამოცანა, რომელიც უნდა შესრულდეს აუდიტის დასაწყისში და შემდეგ „გვერდზე უნდა გადავდოთ“. მნიშვნელოვანია, რომ სამეურნეო სუბიექტის შესწავლით მიღებული ინფორმაცია გვახსოვდეს მთელი აუდიტის განმავლობაში და მუდამ ფხიზლად ვიყოთ რისკის ისეთ ფაქტორებთან მიმართებით, რომლებიც აღრე არ გამოვლენილა, ან როდესაც რისკის თავდაპირველი შეფასება განახლებას საჭიროებს.</p>

#### 8.5 რისკის წაროები

ფინანსურ ანგარიშებაში თაღლითობა და შეცდომა წარმოიშობა ისეთი რისკის ფაქტორებიდან, რომლებიც მომდინარეობს ერთი ან მეტი ზემოთ განხილული ექვსი სფეროდან, რომლის შესწავლაც აუდიტორს ევალება ას-ებით (იხ. ნახატი 8.4-1).


ამის ერთ-ერთი მაგალითია ახალი და რთული გადასახადის შემოღება, რომელიც ეხება სამეურნეო სუბიექტს. ეს იქნება გარე რისკის ფაქტორი. ფინანსური ანგარიშების უზუსტობის რისკი შეიძლება იყოს ახალი კანონის (მოთხოვნების) არასწორად გაგება, რაც გამოიწვევს გადასახდელი

**აუდიტის სურათის შემთხვევის გამოყენების საჯელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

გადასახადის არასწორად გამოთვლას და ვალდებულების წარმოქმნას. მიაქციეთ ფურადღება: რისკის წყარო (ან მიზეზი) ახალი გადასახადია, რომელიც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტზე. ახალი გადასახადის შედეგად გამოთვლების შეცდომის რისკი იზრდება.

შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია აუდიტორის მიერ შესასწავლი ექვსი სფერო, რომლებიც რისკის პოტენციურ წყაროებს წარმოადგენს.

ნახაზი 8.5-1



აურ\* = არსებითი უზუსტობის რისკები

შემდეგ ცხრილში განხილულია რისკის წყაროების მაგალითები (მაგრამ არა მათი გავლენა ფინანსური ანგარიშგების სპეციფიკურ სფეროებზე).

ცხრილი 8.5-2

ბიზნესისა და თაღლითობის რისკების წყაროები	
<b>კომპანიის მიზნები და სტრატეგიები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო სუბიექტის არაადეკვატური, არარეალური და ზედმეტად აგრე-სიული მიზნები და სტრატეგიები.</li> <li>ახალი პროდუქტები ან მომსახურება, ან ბიზნესის სხვა სფეროებში გადას-ვლა.</li> <li>ბიზნესის ისეთ სფეროებში გადასვლა/ისეთი ხელშეკრულებების დადება, სადაც სამეურნეო სუბიექტს მწირი გამოცდილება გააჩნია.</li> <li>შეუსაბამობა საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიებს შორის.</li> <li>რეაგირება გაყიდვების სწრაფ ზრდაზე ან დაცემაზე, რამაც შესაძლოა პრობლემა შეუქმნას შიდა კონტროლს სისტემებსა და თანამშრომელთა უნ-არებს.</li> <li>როგორი ფინანსური შეთანხმებების გამოყენება.</li> <li>კორპორაციული რესტრუქტურიზაცია.</li> <li>მნიშვნელოვანი გარიგებები (ოპერაციები) დაკავშირებულ მხარეებთან.</li> </ul>

ბიზნესისა და თაღლითობის რისკების წყაროები	
გარე ფაქტორები	<ul style="list-style-type: none"> <li>ეკონომიკის მდგომარეობა და ცვლილებები სახელმწიფო მარეგულირებელ გარემოში;</li> <li>სამეურნეო სუბიექტის პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება;</li> <li>ძალიან რთული მარეგულირებელი გარემო;</li> <li>ცვლილებები დარგში;</li> <li>საჭირო რესურსების (მასალები და კვალიტეიციური პერსონალი) მოპოვების უზარობა;</li> <li>სამეურნეო სუბიექტის პროდუქციისა და მომსახურების მიმართ წინასწარგანზრახული საბოტაჟი;</li> <li>კპიტალსა და კრედიტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.</li> </ul>
სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>არადამაკმაყოფილებელი კორპორაციული კულტურა და მართვა;</li> <li>მთავარ თანამდებობებზე არაკომპეტენტური პერსონალის ყოფნა;</li> <li>ცვლილებები მთავარ პერსონალში, მათ შორის მთავარი აღმასრულებელი პირების განთავისუფლება;</li> <li>ოპერაციების, ორგანიზაციული სტრუქტურის ან პროდუქტების სირთულე (კომპლექსურობა);</li> <li>პროდუქტის ან მომსახურების ნაკლი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გალდებულებების წარმოქმნა და სამეურნეო სუბიექტის რეპუტაციის შეღახვა;</li> <li>ცვლილებების (საჭირო უნარების, ან ტექნოლოგიის) განხორციელების აუცილებლობის გაუცნობიერებლობა;</li> <li>შიდა კონტროლის სისუსტე, განსაკუთრებით იმ კონტროლის საშუალებების, რომელზეც ხელმძღვანელობა არ ახდენს რეაგირებას;</li> <li>ცუდი ურთიერთობა გარე დამფინანსებლებთან, როგორიც ბანკია;</li> <li>ფუნქციონირებადი საწარმოსა და ლიკვიდაციის პრობლემები, მათ შორის მნიშვნელოვანი მომზარებლების დაკარგვა;</li> <li>ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ახალი სისტემების დანერგვა.</li> </ul>
ეფექტიანობის მაჩვენებლები	<ul style="list-style-type: none"> <li>საქმიანობის მაჩვენებლები, რომლებსაც ხელმძღვანელობა არ იყენებს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგებისა და მიზნების მიღწევის მდგომარეობის შესაფასებლად;</li> <li>მაჩვენებლები, რომლებიც არ გამოიყენება ოპერაციების გასაუმჯობესებლად, ან გამოსასწორებელი ზომების გასატარებლად.</li> </ul>
სააღრიცხვო პოლიტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>სააღრიცხვო პოლიტიკის არგამოყენება უცვლელად;</li> <li>სააღრიცხვო პოლიტიკის არასწორად გამოყენება;</li> </ul>
შიდა კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> <li>ყოველდღიური ოპერაციების არაადეკვატური ზედამხედველობა ხელმძღვანელობის მხრიდან;</li> <li>არადამაკმაყოფილებელი კონტროლი, ან კონტროლის უქონლობა სამეურნეო სუბიექტის დონის საქმიანობებზე, როგორიცაა კადრების მართვა, თაღლითობა და სააღრიცხვო ინფორმაციის მომზადება, როგორიცაა, სააღრიცხვო შეფასებები და ფინანსური ანგარიშები;</li> <li>არადამაკმაყოფილებელი კონტროლი, ან კონტროლის უქონლობა ოპერაციებზე, როგორიცაა ამონაგები, შესყიდვები, ხარჯები და ხელფასები.</li> <li>აქტივების არადამაკმაყოფილებელი დაცვა.</li> </ul>

## 8.6 თაღლითობის რისკი

ტერმინი „თაღლითობა“ აღნიშნავს ხელმძღვანელობის, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, თანამშრომლების, ან მესამე მხარეების ერთი ან მეტი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი წინასწარგანზრახულ ქმედებას, რომელიც გულისხმობს მოტყუებას უსამართლო ან უკანონო სარგებლის მიღების მიზნით.

თაღლითობას, რომელშიც მონაწილეობს ხელმძღვანელობის, ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ერთი ან მეტი წარმომადგენელი პირი „ხელმძღვანელობის თაღლითობას“ უწოდებენ, ხოლო თაღლითობას, რომელშიც მონაწილეობენ შხოლოდ სამეურნეო სუბიექტის თანამშრომლები, ეწოდება „თანამშრომელთა თაღლითობა“. ორივე შემთხვევაში შესაძლოა აღილი ჰქონდეს შეთქმულებას, როგორც სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში, ისე გარეშე მესამე მხარეებთან.

შემდეგი ნახაზი ასახავს თაღლითობის სახეებსა და მახასიათებლებს.

### ნახაზი 8.6-1

	ფინანსური ანგარიშების მანიპულაცია (ფაქტობრივზე მეტი ან ნაკლები შემოსავლების წარდგენა)	აქტივების მანიპულაცია (აქტივების გამოყენება პირადი მიზნებისთვის)
ვინ?	მესაკუთრეები და ხელმძღვანელობა	თანამშრომლები
რატომ?	პირადი სარგებელი (გადასახადების შემ- ცირკება, კომპანიის გაყიდვა გაბერილ ფა- სად, ან პრემიების გადახდა)	პირადი სარგებელი (შედეგებზე დაფუძნებული პრემიების მიღება, ზარალის დამალვა, ან მოპარული აქტივების დამალვა)
როგორ?	შიდა კონტროლის იგნორირება, ფიქტური/არასწორი იმპრაციები, შეოქ- მულება, სააღრიცხვო პოლიტიკის მანიპულაცია, შიდა კონტროლის სუსტი მხარეების გამოყენება.	ფიქტური, ან არასწორად აღრიცხული ოპერაციები, შეთქმულება, სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელაცია, შიდა კონტროლის სუსტი მხარეების გამოყენება.
რამდენი?	სმირად დიდი თანხა, სამეურნეო სუბიექ- ტში ხელმძღვანელო- ბის თანამდებობრივი მდგომარეობისა და შიდა კონტროლის შესახებ მათი ციფრის წყალობით.	სმირად პატარა თანხა, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს დროთა განმავლობაში, თუ კერ გამოვლინდება.

## მიზანების რჩევები

თითოეული გამოვლენილი რისკის ფაქტორისთვის, გაითვალისწინეთ ბიზნესის რისკია, თუ თაღლითობის, თუ ორივე. რისკის ბევრ წყაროს შეუძლია როგორც ბიზნესის, ისე თაღლითობის რისკი გამოწვევა. მაგალითად, საბუღალტრო პერსონალში მომხდარმა ცვლილებებმა შესაძლოა შეცდომების დაშვება გამოიწვიოს (ბიზნესის რისკი), მაგრამ ასევე შეიძლება ვინმეს თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობაც მისცეს.

## 8.7 თაღლითობის სახეები და მახასიათებლები

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობა შესაძლოა ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე განხორციელდეს, მას უფრო სერიოზული ხასიათი აქვს (და ესება უფრო დიდ ფულად თანხებს), როცა მასში უფროსი რანგის ხელმძღვანელობა მონაწილეობს.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მთავარი პირობა, რომელიც თაღლითობის ჩადენის გარემოს ქმნის:

- არაეფექტური კორპორაციული მართვა;
- ხელმძღვანელობა არ იჩენს ლიდერობას და ცუდია ორგანიზაციის „გენერალური ხაზი”;
- მაღალი პრემიების გაცემა ფინანსური შედეგების მიხედვით;
- ძალიან მაღალი გადასახადები ან სხვა ხარჯები;
- სამეურნეო სუბიექტის წესების, მარეგულირებელი ნორმებისა და პოლიტიკის სირთულე;
- არარგალური მოლოდინი ბანკებისგან, ინვესტორებისგან, ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან;
- მოგებიანობის (რენტაბელობის) დონის მოულოდნელი ცვლილება ან დაცემა;
- არაადეკვატური შიდა კონტროლი, განსაკუთრებით ორგანიზაციული ცვლილებების პირობებში.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, თაღლითობის საწინააღმდეგო ყველაზე უფექტური შიდა კონტროლის საშუალება იქნებოდა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა და უფროსი რანგის ხელმძღვანელთა მიერ სწორი ნაბიჯების გადადგმა, რაც გამოიხატება სამეურნეო სუბიექტის ღირებულებებისადმი ერთგულებასა და ეთიკის ნორმების დაცვაში, რისი დემონსტრირებაც ყოველდღიურად მოხდება. ზემოაღნიშნული ეხება ნებისმიერი ზომის ორგანიზაციას.

## 8.8 თაღლითობის სამკუთხევი

არსებობს 3 პირობა, რომელიც ხშირად თაღლითობის არსებობაზე მიგვანიშნებს. ექსპერტი-ბუღალტერები ამას ხშირად „თაღლითობის სამკუთხევს” (იხ. ქვემოთ) უწოდებენ, რადგან ზემოხსენებული სამივე პირობის არსებობისას, ძალიან მაღალია თაღლითობის მოხდენის აღბათობა.

ეს სამი პირობაა:

- **ზეწოლა** – ზეწოლა ხშირად გამოწვეულია ისეთი გადაუდებელი მოთხოვნილებებით (როგორც ცაა მნიშვნელოვანი პირადი ვალები, ან მოგებასთან დაკავშირებით ანალიტიკოსებისა თუ ბანკის მოლოდინების დაკმაყოფილება), რისი გაზიარებაც სხვებთან რთულია;
- **ხელსაყრელი შესაძლებლობა** – არადამატაყოფილებელმა კორპორაციულმა კულტურამ და ადექვატური შიდა კონტროლის პროცედურების უქონლობამ ხშირად შეიძლება პოტენციურ დამნაშავეს შეუქმნას იმის თავდაჯერებულობა, რომ თაღლითობა ვერ გამოვლინდება;
- **ქმედების რაციონალური ახსნა** – რაციონალური ახსნა არის დამნაშავეს რწმენა იმისა, რომ რეალურად თაღლითობა არ ჩაუდენია, ასე, მაგალითად, დამნაშავე შეველობს: „დიდი არაფერი მომხდარა,” ან „იმას ვიღებ, რასაც ვიმსახურებ.”

### ნახაზი 8.8-1



მაგალითად, სამშენებლო ბიზნესში მესაკუთრე-მმართველს შეიძლება შესთავაზონ სამუშაო – მეგობრის სახლის მიშენება, ვინაიდან ეს არის მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაცია და დოკუმენტაცია არ იქნება გასაფორმებელი კომპანიაში. განვიხილოთ „სამკუთხედის“ სამი პირობა:

- „ზემოთ“ შეიძლება იყოს მესაკუთრე-მმართველის სურვილი, შეამციროს გადასახადები რომელსაც სხვა შემთხვევაში გადაიხდიდა;
- „ხელსაყრელი შესაძლებლობა“ არის მესაკუთრე-მმართველის მიერ ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის საშუალებებისთვის გვერდის ავლა და რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ბუღალტრულად არასახვა;
- „რაციონალური აზნა“ შეიძლება იყოს მესაკუთრე-მმართველის მოსაზრება, რომ ის ისედაც მეტისმეტად ბევრ გადასახადს იხდის.

**შენიშვნა:** თუ ერთ-ერთი პირობა მაინც არ არსებობს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნაღდი ფულით გაყიდვა განხორციელდეს.

რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარებისას, აუდიტის ჯგუფის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ სამივე პირობის არსებობა და არა მხოლოდ თაღლითობის შესაძლებლობა. შემდეგ ცხრილში განხილულია თაღლითობის რისკის წყაროები.

### ცხრილი 8.8-2

თაღლითობის რისკის წყაროები	
<b>მოტივაცია და ზეწოლა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფინანსურ სტაბილურობას ან რენტაბელობას საფრთხეს უქმნის ეკონომიკური, დარღობრივი ან სამურნეო სუბიექტის სამუშაო პირობები.</li> <li>ხელმძღვანელობა განიცდის გადაჭარბებულ ზეწოლას, რათა დააკმაყოფილოს მესამე მხარეთა ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მოთხოვნები ან მოლოდინი (როგორიცაა შემოსავლების დასახული დონეების მიღწევა, ან გარემოს დაცვის მკაცრი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულება და ა.შ.).</li> <li>პირადმა ფინანსურმა ვალებულებებმა შეიძლება ხელმძღვანელობა ან თანამშრომლები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ნაღდ ფულზე ან სხვა აქტივებზე, აიმულოს (ზეწოლა მოახდინოს) ამ აქტივების მოპარვა (უკანონოდ მითვისება).</li> <li>მტრული დამოკიდებულება სამურნეო სუბიექტსა და იმ თანამშრომლებს შორის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ნაღდ ფულზე ან სხვა აქტივებზე. მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>თანამშრომელთა (ცნობილი ან სავარაუდო) დროებითი დათხოვნა;</li> <li>ბოლო პერიოდში მომზდარი, ან მოსალოდნელი ცვლილებები თანამშრომელთა ანაზღაურებაში, ან მატერიალური სტიმულირების პროგრამებში; და</li> <li>პრემიები, კომპენსაცია ან სხვა ჯილდოები, რომლებიც მოლოდინებს არ შეესაბამება.</li> </ul> </li> </ul> <p>ხელმძღვანელობის ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პირადი ფინანსური მდგომარეობა, რამაც შეიძლება სამურნეო სუბიექტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებს (როგორიცაა, ფინანსური ინტერესები, კომპენსაცია, გარანტიები ა.შ.) საფრთხე შეუქმნას.</p>

თაღლითობის რისკის წყაროები	
<b>პოზიცია და რაციონალური აჩვნა</b>	<p><b>რაციონალური აჩვნა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, მიზანშეუწონელი საშუალებების გამოყენებით: <ul style="list-style-type: none"> <li>მინიმუმადე დაიყვანოს საანგარიშგებო შემოსავლები გადასახადების შესამცირებლად; და</li> <li>გაზარდოს საანგარიშგებო შემოსავლები, ბანკის ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.</li> </ul> </li> <li>თანამშრომელთა საქციელიდან ჩანს მათი უკმაყოფილება სამურნეო სუბიექტით.</li> <li>ზედა რგოლების ხელმძღვანელებისთვის დამახასიათებელი დაბალი ზნეობა.</li> <li>ხელმძღვანელობა ითმენს თანამშრომლების მიერ ჩადენილ ქურდობას. მაგალითად, არ ისჯება თანამშრომელი, თუ ქურდობაში გამოიჭერენ.</li> <li>ხელმძღვანელობა არავის აიძულებს სამურნეო სუბიექტის ღირებულებებისადმი ერთგულებას, ან ეთივის სტანდარტების დაცვას.</li> <li>ხელმძღვანელობა მნიშვნელობას არ ანიჭებს აქტივების უკანონო მითვისებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ან მათზე მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობას.</li> </ul>
<b>პოზიცია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცნობილია ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის, ან მათთვის თაღლითობის ბრალდების წაყენების ისტორია.</li> <li>ხელმძღვანელობის ქცევის, ან ცხოვრების სტილის შეცვლა, რაც შეიძლება იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ადგილი ჰქონდა აქტივების უკანონოდ მითვისებას.</li> <li>ზედა რგოლების ხელმძღვანელები არაეთიკური საქციელის მაგალითს იძლევიან (მაგალითად, ხარჯების ანგარიშების „გაბერვა“ და წვრილმანი ქურდობის ჩადენა და ა.შ.).</li> <li>ხელმძღვანელობა თვითონ გვერდს უვლის კონტროლის პროცედურებს.</li> <li>ხელმძღვანელობა დროულად არ ატარებს შიდა კონტროლში არსებული მისთვის ცნობილი ხარვეზების გამოსასწორებელ ზომებს.</li> <li>მესაკუთრე-მმართველი ერთმანეთისგან არ ასწვავებს პირად და კომერციულ (კომპანიის) ოპერაციებს.</li> <li>უთანხმოება არსებობს აქციონერებს შორის, არაკოტირებულ (დახურულ სააქციო საზოგადოებაში) სამურნეო სუბიექტში.</li> <li>ხელმძღვანელობას არაერთხელ უცდია არასათანადო ბუღალტრული აღრიცხვის გამართლება არსებითობის საფუძველზე.</li> <li>ხელმძღვანელობასა და ახლანდელ, ან წინამორბედ აუდიტორებს შორის ურთიერთობა დაძაბულია.</li> </ul>
<b>ხელსაყრელი შესაძლებლობები</b>	<p><b>უკანონო მითვისებისთვის ხელსაყრელი აქტივები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დიდი ოდენობის ნაღდი ფული სალაროში ან გზაში;</li> <li>სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც მცირე ზომისაა, მაღალი ღირებულების მქონეა ან ძალიან მოთხოვნადია;</li> <li>იოლად კონვერტირებადი აქტივები, როგორიცაა, ობლიგაცია წარმომდგენზე, ბრილიანტები ან კომპიუტერული ჩიპები;</li> <li>ძირითადი საშუალებები, რომლებიც მცირე ზომისაა, ადგილად რეალიზებადია ან არა აქვს შესამჩნევი, საკუთრების უფლების საიდენტიფიკაციო ნიშანი.</li> </ul>

## თაღლითობის რისკის წყაროები

<b>ხელსაყრელი შესაძლებლობები (გამოყენება)</b>	<p><b>არაადეკვატური შიდა კონტროლის საშუალებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა არაადეკვატური ზედამხედველობა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ პროცესებზე, რომელთა მიზანია თაღლითობის რისკების გამოვლენა და მათზე რეაგირება.</li> <li>• მოვალეობების არასათანადო დანაწილება ან არასათანადო დამოუკიდებელი შემოწმებები.</li> <li>• არასათანადო ზედამხედველობა ზედა რგოლების ხელმძღვანელობის დანაშარვებზე.</li> <li>• არაადეკვატური ზედამხედველობა ხელმძღვანელობის მხრიდან იმ თანამშრომლებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აქტივებზე.</li> <li>• ისეთ თანამდებობებზე თანამშრომელთა შერჩევის სათანადო პროცედურების უქონლობა, რომელზეც პერსონალს ხელი მიუწვდება აქტივებზე.</li> <li>• აქტივებთან დაკავშირებით არაადეკვატური ჩანაწერების წარმოება.</li> <li>• ოპერაციების შესრულების ნებართვის გაცემისა (სანქცირების) და დამტკიცების არაადეკვატური სისტემა.</li> <li>• სალაროს, ინგენიერიულის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან ძირითადი საშუალებების არასათანადო ფიზიკური დაცვა.</li> <li>• აქტივების დროული და სრულყოფილი შეჯერების პროცედურების უქონლობა.</li> <li>• ოპერაციების დროული და სათანადო დოკუმენტირების პროცედურების უქონლობა (მაგალითად, უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურების).</li> <li>• შიდა კონტროლის ძირითადი ფუნქციების შემსრულებელი თანამშრომლებისთვის სავალდებულო (კუთვნილი) შვებულების არქონა.</li> <li>• ხელმძღვანელობის არასათანადო წარმოდგენა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მომუშავე თანამშრომლებს უკანონო მითვისების შესაძლებლობას აძლევს.</li> <li>• ავტომატიზებულ ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობის არაადეკვატური კონტროლის არსებობა, მათ შორის, კომპიუტერული სისტემების სარეგისტრაციო უურნალებსა და მათ შემოწმებაზე კონტროლი.</li> </ul> <p><b>სპეციფიკური სუსტი ადგილები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობის შეფასებები, ამონაგების აღიარება, საბუღალტრო გატარებების გამოყენება, ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან და ა.შ.</li> </ul>
---	--

## მნიშვნელოვანი რჩევები

თაღლითობა ყოველთვის განზრახული ქმედება. იგი მოცავს აუდიტორისგან განზრახ ინფორმაციის დაფარვას და არასწორი ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისად, თაღლითობის გამოვლენა ხდება გამონაკლისებისა და უცნაურობების ძიების გზით, რომელთა ფულადი რაოდენობა ხშირად ძალზე მცირება.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ თაღლითობის გამოვლენა მოხდეს მხოლოდ ასებითი პროცედურების მეშვეობით. მაგალითად, აუდიტორი ვერ გამოავლენს ოპერაციას, რომელიც ასახული არ არის ფინანსურ ანგარიშებაში, ან ვერ დაადგენს, რომ ოპერაცია „უკანონო“ (არ არის რეალური), თუ ის არ არის დამატებით ინფორმირებული სამეურნეო სუბიექტის შესახებ (ანუ „სამეურნეო სუბიექტის შესწავლის“ შედეგად), რასაც გამოიყენებს, როგორც სამოქმედო ჩარჩოებს.

აუდიტორებმა, აუდიტის ჯგუფში მათი როლისა და პოზიციის მიხედვით, შეიძლება გამოავლინონ თაღლითობის რისკის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სამკუთხედის ერთ ან მეტ ელემენტთან. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აუდიტორი გამოვლენს სამივე პირობის არსებობას (ხელსაყრელი შესაძლებლობა, ზეწოლა და რაციონალური აჩსნა). ამის გამო, მნიშვნელოვანია, რომ გარიგების მსვლელობისას აუდიტის ჯგუფში მუდმივად იხილავდნენ მიმდინარე შედეგებს.

შემდეგ ნახაზზე განხილულია, რა სარგებლის მოტანა შეუძლია აუდიტის ჯგუფის წევრებისთვის აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი ფაქტების ერთმანეთში განხილვას.

### ნახაზი 8.8-3



რთული იქნება საერთო სურათის დანახვა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციის არარსებობის შემთხვევაში. აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის მუდმივი განხილვების ჩატარება, აუდიტის ჯგუფს საშუალებას აძლევს, ერთად მოუყარონ თავი ინფორმაციის პატარ-პატარა ნაწილებს და შეძლონ საერთო სურათის დანახვა.

### 8.9 პროფესიული სკეპტიკიზმი

აუდიტორს ევალება, ყოველთვის შეინარჩუნოს პროფესიული სკეპტიკიზმის განწყობა/პოზიცია აუდიტის მსვლელობისას. შემდეგ ცხრილში განხილულია საკითხები, რომლებსაც მოიცავს პროფესიული სკეპტიკიზმის პოზიცია.

#### ცხრილი 8.9-1

სკეპტიკიზმი მოიცავს:	
იმის გაცნობიერებას, რომ ხელმძღვანელობას ყოველთვის აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადაუხვიოს შიდა კონტროლის ეფექტურ პროცედურებს.	გარიგების ჯგუფის წევრებმა არასდროს უნდა ირწმუნონ, რომ ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები კეთილსინდისიერები და პატიოსნები არიან, თუნდაც სამეურნეო სუბიექტთან ურთიერთობის წარსული გამოცდილება მათ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაზე მეტყველებდეს.
კრიტიკულ აზროვნებას	კრიტიკულად შეაფასეთ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საიმედობა.
სიფხიზლეს	ეწინააღმდეგება, ან კითხვის ქვეშ აყენებს აუდიტორული მტკიცებულება: <ul style="list-style-type: none"> <li>• დოკუმენტებისა და გამოკითხვების პასუხების საიმედოობას?</li> <li>• ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების-გან მოპოვებული სხვა ინფორმაციის საიმედოობას?</li> </ul>

## სკეპტიციზმი მოიცავს:

სიფრთხილეს	<p>არ დაუშვათ:</p> <ul style="list-style-type: none"><li>უჩვეულო გარემოებების ვერშემჩნევა;</li><li>აუდიტორული დაკვირვებებიდან გამოტანილი დასკვნების ზედმეტად განზოგადება;</li><li>მცდარი დაშვებების გამოყენება აუდიტორული პროცედურების, ხასიათისა და ვალების განსაზღვრისას და, შესაბამისად, მათი შედეგების შეფასებისას;</li><li>ნაკლებად სარწმუნო მტკიცებულებით დაკმაყოფილება იმის იმედით, რომ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პატიოსნები და მოუკერძოებლები არიან;</li><li>საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მაგივრად ზელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ინფორმაციით დაკმაყოფილება;</li></ul>
------------	---

## მინიჭებულობა რჩევები

აუდიტში პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით მოქმედება ყოველთვის რთულია, როდესაც დამგვევთს იცნობ და ენდობი. ადამიანის ბუნებრივი თვისებაა ადამიანების ნდობა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებოს საწინააღმდეგო ინფორმაცია. შესაბამისად, პარტნიორებსა და თანამშრომლებს რეგულარულად აუცილებლად უნდა შევახსენოთ, რომ იმოქმედონ პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით. ამ კონცეფციის გამოყენებასთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა:

- წარმოსახვაში შექმნით ფიქტიური პერსონაჟი (და სახელი), რომელსაც ცუდი დამოკიდებულება აქვს კონტროლის მიმართ და ასევე არაეთიკური ქმედებები. როდესაც იხილავთ თაღლითობის შესაძლო სცენარს და ფინანსური ანგარიშგების სუსტ მხარეებს, ეს პიროვნება (და არა თქვენი დამკვეთი) წარმოიდგინეთ თქვენს დამკვეთად, ან უფროს პასუხისმგებელ ზელმძღვანელად;
- თაღლითობის განხილვის დაგეგმვაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეთ ვინმე (იდეალურ შემთხვევაში, ის, ვისაც გააჩნია სასამართლო აუდიტში მონაწილეობის გამოცდილება), ვინც არ იცნობს სამეურნეო სუბიექტს.

## 8.10 როგორ ამოვიცნოთ თანდაყოლილი რისკის ფაქტორები

ყველაზე ეფექტური გზა იმისა, რომ არ გამოგვრჩეს მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორი, იმაში მდგომარეობს, რომ რისკის გამოვლენა უნდა გახდეს სამეურნეო სუბიექტის შესწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილი. რაც უფრო მეტი იცის აუდიტორმა ზემოაღნიშნული განსახილველი 6 სფეროს შესახებ, უფრო ადვილად შეძლებს რისკის ფაქტორების გამოვლენას. სამეურნეო სუბიექტის შესწავლა ასევე დაეხმარება მას თაღლითობის შესაძლო სცენარის გამოვლენასა და შედევომში მასზე რეაგირების პროცედურების განსაზღვრაში. დამახსოვრეთ, რომ ყოველთვის არის შესაძლებელი ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლის იგნორირება, ისევე, როგორც თაღლითობის დამალვა (განსაკუთრებით აუდიტორისგან).

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება (ან განახლება) ხდება თითოეული მოთხოვნილი სფეროს შესახებ, გაითვალისწინება ბიზნესისა და თაღლითობის მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორების არსებობა. ბევრი გამოვლენილი ბიზნესის რისკისთვის შეიძლება საჭირო იყოს თაღლითობის რისკის განხილვაც. ამის გამო, რეკომენდებულია, რომ, საღაც შესაძლებელია, თაღლითობის რისკებისა და ბიზნესის რისკების სია ცალ-ცალკე შეადგინოთ და თაღლითობის რისკები ცალკე შეაფასოთ. მაგალითად, თუ სამეურნეო სუბიექტის პროდუქციის გაყიდვების პერსპექტივა არადამაკმაყოფილებელი იყო (რისკის გარე წყარო), გაითვალისწინეთ, რა შეიძლება იყოს მცდარი ფინანსურ ანგარიშგებაში. არადამაკმაყოფილებელმა გაყიდვებმა შეიძლება გამოიწვიოს ჭარბი მარაგის არსებობა, რომელიც უნდა ჩამოიწეროს, მაგრამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობის რისკიც, იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველს უწინება მოტივაცია, „გაბეროს“ რეალიზაციის მონაცემები პრემიის მისაღებად.

## მიზანები რჩევები

ბიზნესისა და თაღლითობის რისკების (თანდაყოლილი რისკები) გამოვლენა ხდება ნებისმიერი ისეთი შიდა კონტროლის საშუალების გათვალისწინებამდე, რომელსაც შეუძლია ამგვარი რისკების შემცირება. რისკების შესამცირებლად განკუთვნილი შიდა კონტროლის საშუალებები განხილულია მე-2 ტომის მე-11 და მე-12 თავებში. ასევე მნიშვნელოვანია ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკის არსებობის დადგენაც (იხილეთ მე-ტომის მე-10 თავი).

ზოგიერთი გამოვლენილი რისკის ფაქტორი ზემოქმედებს ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროზე, მაგრამ სხვებს შეიძლება ყოვლისმომცველი ხასიათი ჰქონდეს და დაკავშირებული იყოს ფინანსური ანგარიშგების ბევრ სფეროსთან. მაგალითად, თუ უფროსი ბუღალტერი არაკომპეტენტურია, სავარაუდოდ, მის მიერ დაშვებული შეცდომები მარტო ფინანსური ანგარიშგების ერთი ნაწილით არ შემოიფარგლება. გარდა ამისა, თუ ვინმე თაღლითობის ჩასადენად ამ სიტუაციით ისარგებლებს, უზუსტობები შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი რაოდენობის აქტივების ან ვალდებულებების ნაშთებში და მათი გადაფარვა (დამალვა) მოხდება სხვა უზუსტობებით, კერძოდ ამონაგებისა და ხარჯების ოპერაციების განზრახ დამახინჯებით.

ყოვლისმომცველი რისკი ხშირად გამომდინარეობს სუსტი კონტროლის გარემოდან და პოტენციურად გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების ბევრ სფეროზე, განმარტებით ინფორმაციასა და მტკიცებაზე. ყოვლისმომცველი რისკი, სავარაუდოდ, ასევე გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების დონეზე რისკის შეფასებაზე. ფინანსური ანგარიშგების დონის რისკებზე რეაგირება მოხდება აუდიტორის საერთო ხასიათის დონისძიებებით (როგორიცაა, მაგალითად, უფრო მეტი სამუშაოს შესრულება აუდიტში, უფრო გამოცდილი თანამშრომლების ჩართვა ჯგუფში და ა.შ.).

აუდიტის მიმდინარეობისას შეიძლება გამოვლინდეს სხვა რისკის ფაქტორებიც, რომლებიც უნდა დაემატოს უკვე გამოვლენილი რისკების სიას და სათანადო მოხდეს მათი შეფასება, სანამ აუდიტორი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს იმის შესახებ, რა გავლენას იქონიებს ისინი აუდიტის სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაზე, კერძოდ, საჭირო დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე. ასეთი მიღომით შემდგომი პერიოდის აუდიტის დაგეგმვისას რისკის გამოვლენა და შეფასება სრულყოფილი იქნება.

შემდეგ ცხრილში განხილულია რისკის გამოვლენის პროცესის რეკომენდებული სამსაფეხურიანი მიღომა.

### ცხრილი 8.10-1

რისკის დადგენა	
<b>1-ლი საფეხური შეაგროვეთ ძირითადი ინფორმაცია სამუშაო სუბიექტის შესახებ</b>	<p>საწყისი ეტაპი არის ძირითადი ინფორმაციის მოპოვება სამეურნეო სუბიექტის შესახებ, ანუ რისკის შესაფასებლად სამოქმედო ჩარჩოების განსაზღვრა, რათა აუდიტორმა განსაზღვროს (დაგეგმოს) რისკის შესაფასებელი პროცედურები. ამის გარეშე როგორი იქნება (თუ არა შეუძლებელი) იმ შეცდომებისა და თაღლითობის გამოვლენა, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ფინანსურ ანგარიშგებაში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოიძიეთ (ან განაახლეთ) სამეურნეო სუბიექტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, მისი მიზნები, კულტურა, ოპერაციები, ძირითადი პერიოდი, შიდა ორგანიზაციული პრინციპები და კონტროლი.</li> </ul>
<b>მე-2 საფეხური განსაზღვრეთ, ჩაატარეთ და დოკუმენტებში ასახეთ რისკის შესაფასებელი პროცედურები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>რისკის შესაფასებელი პროცედურები/ქმედებები (იხილეთ 1-ლი ტომის მე-8 თავი) იმგვარად უნდა შესრულდეს, რომ: <ul style="list-style-type: none"> <li>გამოვლინდეს არსებითი უზუსტობის რისკების წყაროები;</li> <li>აუდიტორმა სათანადო ინფორმაცია მოიპოვოს სამეურნეო სუბიექტის შესახებ; და</li> <li>მოპოვებულ იქნეს აუცილებელი მხარდამჭერი აუდიტორული მტკიცებულებები.</li> </ul> </li> </ul>

## რისკის დადგენა

	<ul style="list-style-type: none"> <li>რისკის შესაფასებელი პროცედურები და სხვა შესაფერისი ქმედებები უნდა განსაზღვროთ და შესრულოთ სამეურნეო სუბიექტის შესახებ 1-ელ საფეხურზე მოპოვებული ძირითადი ინფორმაციის გათვალისწინებით.</li> <li>აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის უნდა ჩატარდეს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მგრძნობელობის საკითხის განხილვა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ. (იხილეთ მე-2 ტომის მე-7 თავი).</li> <li>გამოპყითხეთ ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, როგორ ავლენენ ან მართავენ რისკის ფაქტორებს (განსაკუთრებით თაღლითობას რისკს) და, ფაქტობრივად, რომელი რისკის ფაქტორები გამოვლინდა და რომელზე მოხდა რეაგირება. ასევე ჰკითხეთ ხელმძღვანელობას, ფაქტობრივად, თუ გამოვლინდა შეცდომები ან თაღლითობა.</li> <li>დოკუმენტებში ასახეთ ყველა გამოვლენილი რისკის ფაქტორი.</li> </ul>
მე-3 საფეხური გამოვლენილი რისკები დააკავშირეთ ფინანსური ანგარიშების არსებით სფეროებთან	<p>ყოველი გამოვლენილი რისკის ფაქტორისთვის (რისკის მიზეზი) დაადგინეთ, მისი პოტენციური გავლენა (კონკრეტული უზუსტობა, როგორიცაა თაღლითობა და შეცდომა) ფინანსურ ანგარიშებაზე. გაითვალისწინეთ, რისკის ერთ ფაქტორს შეუძლია სხვადასხვა სახის უზუსტობების გამოწვევა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქნიოს ფინანსური ანგარიშების ერთზე მეტ სფეროზე. (მაგალითებისთვის იხილეთ „მნიშვნელოვანი რჩევები“, ქვემოთ).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაადგინეთ არსებითი ანგარიშების ნაშთები, ოპერაციების კატეგორიები და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები.</li> <li>გამოვლენილი რისკები დააკავშირეთ ფინანსური ანგარიშების კონკრეტულ სფეროებთან, განმარტებით შენიშვნებთან და მტკიცებებთან. თუ გამოვლენილი რისკი ყოვლისმომცველი ხასიათისაა, მაშინ დაუკავშირეთ მთლიან ფინანსურ ანგარიშებას. რისკების გავლენის დადგენა ფინანსური ანგარიშების ცალკეული სფეროს მიხედვით, დაგეხმარებათ მტკიცების დონეზე რისკების შეფასებაში, ხოლო ყოვლისმომცველი რისკების გავლენის დადგენა კი – ფინანსური ანგარიშების დონის რისკების შეფასებაში.</li> </ul>

## მნიშვნელოვანი რჩევები

აუდიტორებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ქმედებაა, რისკების გამოსავლენად დაეყრდნონ ფინანსურ ანგარიშებას. მაგალითად, მარავი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაღალრისკიან სეგმენტად წინა პერიოდებში აღმოჩენილი შეცდომების გამო. თუმცა, ეს იგივეა, რაც რისკის გავლენის დადგენა, მაგრამ არა მისი გამომწვევი მიზეზის დადგენა. მარავი მაღალრისკიანი სფერო რომ არის, ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა; თუმცა, უკეთესა რისკის მიზეზის ცოდნა. თუ ვერ მოხერხდა რისკის მიზეზის დადგენა, შესაძლებელია გამოგრჩეთ ზოგიერთი რისკის ფაქტორი. გაითვალისწინეთ შემდეგი:

### გამოტოვებული ნაშთები ან ოპერაციები

ფინანსურ ანგარიშებაში აისახება მხოლოდ ბუნდალტრულად ასახული ბიზნესგადაწყვეტილებებისა და ოპერაციების ჯამური შედეგები. თუ ოპერაცია ბუნდალტრულად არ აისახა, ან აქტივები უკნონოდ იქნა მითვისებული, ან არ გამჟღავნდა პირობითი მოვლენები (აქტივები და ვალდებულებები), სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ გამოტოვებულ თანხებთან ან ინფორმაციასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები ვერ გამოვლინდეს და, ცხადია, ვერ შეფასდება.

### ფაქტების შეგროვება და რისკის გამოვლენა

სამეურნეო სუბიექტის შესწავლის პროცესში ადვილია ფურადღების გადატანა მოხდეს სამეურნეო სუბიექტის შესახებ ფაქტების შეგროვებაზე და არა რისკის წყაროების გამოვლენაზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება საერთოდ მხედველობიდან გამოგრჩეთ ახალი რისკის ფაქტორები, მოვლენები, ოპერაციები და თაღლითობის რისკები.

## მიზანები რჩევები (გავრძელება)

### უზუსტობების მიზეზი და გავლენა ფინანსურ ანგარიშებაზე

გარკვეული რისკების წყაროების მნიშვნელობა შეიძლება გამოგრჩეთ, თუ ფურადლებას აქცევთ რისკის ფაქტორის გავლენას ან შედევს (მაგალითად, ყურადღების გამახვილება მარაგის ნაშთში არსებულ შეცდომებზე და არა, პირველ რიგში, მათ გამომწვევ მიზეზებზე). რისკის წყარო არის მოვლენა ან მოვლენები, რომლებიც იწვევს შეცდომებს. მარაგის ნაშთში დაშვებული შეცდომების წყარო შეიძლება იყოს არაადეკვატური კვალიფიკაციის, ან არაკვალიფიციური თანამშრომლები, შიდა კონტროლის მოძველებული სისტემა, სააღრიცხვო პოლიტიკის, მაგალითად, ამონაგების აღიარების პოლიტიკის არასწორი გამოყენება, მარაგის უსაფრთხოების დაუცველობა, ან თანამშრომელთა მიერ ჩადენილი თაღლითობა და ა.შ.

### მიზეზი, რომელიც რამდენიმე უზუსტობას იწვევს

ცალკეულმა რისკის წყარომ შეიძლება ხშირად გავლენა იქნიოს ფინანსური ანგარიშების ბევრ ნაშთზე. მაგალითად, ეკონომიკის ვარდნაშ შეიძლება გავლენა იქნიოს მარაგის შეფასებაზე, მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) თანხების ამოღების შესაძლებლობაზე, ბანკის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რეალიზაციის ოპერაციების მანიპულაციაზე პრემიების მისაღებად საჭირო ზღვრის მისაღწევად და შეიძლება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობაზეც კი.

### ყოვლისმომცველი რისკები

ფინანსური ანგარიშების თითო სფეროზე ცალ-ცალკე ყურადღების კონცენტრაციით გარკვეული ყოვლისმომცველი რისკები და თაღლითობის რისკები შეიძლება ვერ გამოვლინდეს. მაგალითად, ახალი სააღრიცხვო სისტემის დაწერგვამ შეიძლება შეცდომები გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშების ბევრ ნაშთში. გარდა ამისა, შესაძლებელია ვინმეტ ისარგებლოს ახალი სისტემით გამოწვეული გაურკვევლობით და თაღლითობა ჩაიდინოს.

## 8.11 რისკის გამოვლენის პროცესის დოკუმენტირება

კონკრეტულად როგორ მოხდება ზემოთ განხილული საკითხების დოკუმენტირება აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში, ეს აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია. მაგალითად, რისკების გამოვლენის პროცესის ზემოთ განხილული სამსაფეხურიანი მიღების შესაფერისი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- სამეურნეო სუბიექტის შესახებ ინფორმაციას;
- რისკის შესაფასებელი პროცედურების აღწერას; და
- გამოვლენილი რისკების დაკავშირებას ფინანსური ანგარიშების შესაძლო შეცდომებთან და თაღლითობასთან.

### ცხრილი 8.11-1

დოკუმენტაცია	აღწერა
ინფორმაცია სამეურნეო სუბიექტის შესახებ	<p>მოპოვებული ინფორმაციის დოკუმენტირება მოახდინეთ ცალკეული (სავალდებულო) სფეროს მიხედვით, როგორიცაა სამეურნეო სუბიექტის მიზნები, გარე ფაქტორები, სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა და ა.შ. სამეურნეო სუბიექტის ზომის მიხედვით, დოკუმენტაცია შეიძლება იყოს როგორც ძალიან მარტივი, ისე როგორ და კომპლექსური და შეიძლება მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"><li>დამკვეთის მიერ მომზადებულ ინფორმაციას (როგორიცაა ბიზნესგეგმა და ანალიზი); გარე მონაცემებს (დარგის სტატისტიკური ანგარიშები, თანამშრომელთა შიდა საინფორმაციო დოკუმენტაცია, სამეურნეო სუბიექტის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები);</li><li>შესაფერის კორესპონდენციებს (იურიდიულ, სახელმწიფო ორგანოებთან და ა.შ.), ელექტრონულ წერილებს, კონსულტანტების ანგარიშებს, მოხსენებით ბარათებს (მემორანდუმებს); და</li><li>ფირმის საკონტროლო კითხვარებს.</li></ul>

დოკუმენტაცია	აღწერა
რისკის შესაფასებელი პროცედურები	<p>სამუშაო დოკუმენტებში ასახეთ ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურების დეტალები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისადმი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მერმნობელობის საკითხის განხილვა აუდიტის ჯეფში;</li> <li>სამეურნეო სუბიექტის შესახებ მოპოვებული ძირითადი ონფორმაცია, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> <li>სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს თითოეული ასპექტი, რაც ზემოთ განვიხილეთ;</li> <li>შიდა კონტროლის ხუთივე კომპონენტი, რაც განხილულია 1-ლი ტომის მე-5 თავში; და</li> <li>წყაროები, საიდანაც მოიპოვეთ ონფორმაცია; და</li> </ul> </li> <li>ფინანსური ანგარიშებისა და მტკიცების დონეებზე გამოვლენილი არსებითი უზუსტობის რისკი და მათი შეფასება.</li> </ul>
გამოვლენილი რისკების დაკავშირება ფინანსური ანგარიშების შესაძლო შეცდომებთან და თაღლითობასთან	<p>დოკუმენტებში ასახეთ არსებითი ანგარიშის ნაშთები, ოპერაციების კატეგორიები და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები და შემდეგ თითოეული გამოვლენილი რისკის წყაროსთვის მიუთითეთ, არის თუ არა იგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ყოვლისმომცველი მთლიანად ფინანსური ანგარიშებისთვის; თუ</li> <li>დაკავშირებულია მხოლოდ ფინანსური ანგარიშების სპეციფიკურ სფეროებთან, განმარტებით შენიშვნებთან და მტკიცებებთან.</li> </ul>

გამოვლენილი რისკების დოკუმენტირების რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ილუსტრირებულია შემდეგ ცხრილში. ცხრილი გვიჩვენებს რისკის წყაროს თითოეული შესასწავლი სფეროს მიხედვით (გარე ფაქტორები, სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა და ა.შ), ამ რისკის გავლენას ან შესაძლო შედეგს და ფინანსური ანგარიშების რომელ ნაწილებზე ახდენს გავლენას.

#### ცხრილი 8.11-2

რისკის წყარო	რისკის გავლენა ფინანსურ ანგარიშებაზე (შეცდომები, ან თაღლითობა)	ვ/პ-ის სფერო, რომელზეც ზემოქმედებს, ან ყოვლისმომცველი რისკი
--------------	---	---

#### სამეურნეო სუბიექტის მიზნები

წლის განმავლობაში ახალი პროდუქტის შემოღება	შეცდომები დანახარჯების მიკუთვნებასა და მარაგის შეფასებაში.	მარაგის შეფასება
	ახალი პროდუქტის თვითღირებულებისა და ფასის განსაზღვრის მეთოდებმა ან სისტემებმა შეიძლება შექმნას თაღლითობის ჩაღენის შესაძლებლობა.	მარაგის სისწორე
	ახალი დაფინანსების მოპოვების საჭიროება გაართულებს ბანკთან ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებას. თუ სამეურნეო სუბიექტი დაარღვევს ხელშეკრულებას, სესხი შეიძლება გადასახდელი განხდეს მოთხოვნისთანავე.	განიხილეთ განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება დაფინანსებას, სესხის სახელშეკრულებო პირობებსა და სესხის კლასიფიკაციას.
	ხელშეძლვანელობას შეიძლება გაუზრდეს ცდუნება, გააყალბოს ფინანსური ანგარიშება, რათა უზრუნველყოს ბანკის ხელშეკრულების პირობების დაცვა.	ყოვლისმომცველი რისკი

#### სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა

უფროსი ბუღალტრის არასათანადო პარალიფიკაცია	შეცდომები ფინანსურ ანგარიშებაში.	ყოვლისმომცველი რისკი
	შესაძლებლობა თაღლითობის ჩასადენად.	ყოვლისმომცველი რისკი

## მნიშვნელოვანი რჩევები

### ერთი ადგილი რისკების დოკუმენტირებისთვის

ყველა გამოვლენილი რისკის ფაქტორი ჩაწერეთ ერთ დოკუმენტში, ერთ ადგილას ან სამუშაო დოკუმენტების ფასების დოკუმენტების პირობითი აღნიშვნების (საერთო ნუმერაციის) მიხედვით. ამგვარ მიღომას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია:

- მიმოხილვის სიმარტივე. ყველა გამოვლენილი რისკის ფაქტორის პოვნა შესაძლებელია ერთ ადგილს;
- შეფასების თავსებადობა. როდესაც აუდიტორი ერთად იხილავს რისკებს, უფრო აშკარად გამოჩენდება კონკრეტული რისკი, რომელიც სხვა რისკებისგან განსხვავებულად შეფასდა;
- შესაძლებელია რისკების დახარისხება (ელექტრონული ცხრილების გამოყენებით), რის შედეგადაც სიაში ფურცლის (გვერდის) თავში აღმოჩენდება ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი. ამ გზით ფასების მიმოშობლელი შეძლებს იმის შემოწმებას, ყველა გამოვლენილ ძირითად რისკზე მოხდა თუ არა რეაგირება შესაფერისი აუდიტორული პროცედურებით.

### ცალ-ცალკე აწარმოეთ ბიზნესისა და თაღლითობის რისკების სია (რეესტრი)

თაღლითობის რისკები ბიზნესის რისკის ფაქტორებისგან განცალკევებით ჩამოწერეთ და ცალკე შეაფასეთ. ბევრი ბიზნესის რისკი, იმავდროულად, თაღლითობის შესაძლებლობასაც ქმნის. თუ ცალკე არ შეაფასებთ თაღლითობის რისკებს, ზოგიერთი თაღლითობის რისკის ფაქტორი შეიძლება გამოგრჩეთ. მაგალითად, ახალმა სააღრიცხვო სისტემამ შეიძლება შექმნას შეცდომების დაშვების შესაძლებლობა (ბიზნესის რისკი), მაგრამ ასევე შეიძლება წარმოქმნას იმის შესაძლებლობა, რომ ვიღაცამ განახორციელოს ფინანსური შედევების მანიპულაცია ან აქტივების უკანონოდ მითვისება (თაღლითობის რისკი). გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც აუცილებელია თაღლითობის რისკების რეესტრის ცალკე წარმოება. კერძოდ, აუდიტორული პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია თაღლითობის რისკებზე რეაგირებისთვის (თაღლითობის ტიპის, გამონაკლისებისა და უცნაურობებისა გამოვლენა) შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს დაკავშირებულ ბიზნესის რისკთან მიმართებით ჩასატარებელი პროცედურებისგან.

### რისკის შეფასება ცოტა ზნით გადადეთ

არ შეცდეთ და მხოლოდ ისეთი რისკების სია არ შეადგინოთ, რაც, სავარაუდოდ, არსებითი ან მნიშვნელოვანი იქნება. რისკის ან მოვლენის დადგენის ეტაპზე მთავარია რისკის ფაქტორების შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სიის შექმნა. ყოველთვის შეიძლება უმნიშვნელო რისკის ფაქტორების სიიდან ამოღება, მას შემდეგ, რაც თითოეულ რისკს სათანადოდ შეაფასებთ. ეს დაგეხმარებათ დარწმუნდეთ, რომ მართლაც გამოვლინდა ყველა მნიშვნელოვანი რისკი.

### ხელახლა გამოიყენეთ დოკუმენტაცია, შეძლებისდაგვარად

თავი აარიდეთ გამოვლენილი რისკის ფაქტორებისა და სამეცნიერო სუბიექტის შესწავლით მოპოვებული ინფორმაციის თავიდან დოკუმენტირებას ყოველ პერიოდში. თუ ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურებისა და გამოვლენილი რისკების შესახებ ინფორმაცია სტრუქტურულად არის ასახული (იხილეთ ზემოთ „ერთი ადგილი რისკების დოკუმენტირებისთვის“), შესაძლებელია უბრალოდ განაახლოთ ეს ინფორმაცია ყოველ მომდევნო პერიოდში. თავდაპირველად ასეთი სტრუქტურული დოკუმენტის მომზადებას შეიძლება ბევრი დრო დასჭირდეს (პირველ პერიოდში), მაგრამ შემდგომ პერიოდებში დრო დაგეზოგებათ. ამასთან, დარწმუნდით, რომ რისკის შესაფასებლად სათანადო პროცედურები ტარდება და დოკუმენტირდება ყოველ პერიოდში და შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილების გამოვლენა. ასევე უზრუნველყოფავით, რომ ყოველი დოკუმენტი შეიცავდეს ჩანაწერს ინფორმაციის განახლების ფაქტის შესახებ.

### რისკების გავლენა

უმნიშვნელოვანები, მაგრამ ამავე დროს ურთულესი შესავსები სვეტი არის „რისკის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე“ (იხილეთ ნახაზი 8.11-2). ამ სვეტში აუდიტორი ასახავს გამოვლენილი რისკის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. რეალიზაციის შემცირება რისკის ფაქტორია, მაგრამ

### მიზანები რჩევები (გავრძელება)

თუ სამეურნეო სუბიექტი ამას ბუღალტრულად სწორად ასახავს, ცხადია, ეს არ გამოიწვევს ფინანსური ანგარიშების რისკებს. თუმცა, მეორე მხრივ, რეალიზაციის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მარაგის დაბველება ან საჭიროზე მეტი თანხებით შეფასება, ხოლო მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) თანხების ამოღება შეიძლება გაძნელდეს. ასეთია თითოეული რისკის ფაქტორის გავლენა (და შედეგი), რაც აუდიტორმა უნდა გამოავლინოს, რათა შესაძლებელი გახდეს სათანადო საპასუხო აუდიტორული პროცედურების განსაზღვრა და ჩატარება.

**შენიშვნა:** ამ მაგალითში გამოვლენილი რისკის წყაროები ფინანსური ანგარიშების რამდენიმე ელემენტზე ახდენდა გავლენას, რომლებიც ცალ-ცალკე იყო განხილული. თუ აუდიტორი რისკის წყაროების გავლენას (და შედეგს) არ დაშლის შემადგენელ ელემენტებად, რისკის შეფასების პროცესი არათუ გართულდება, არამედ აუდიტორს შეიძლება ადვილად გამორჩეს საერთოდ ზოგიერთი რისკის შედეგი (როგორიცაა თაღლითობა).

### 8.12 სასწავლო მაგალითები – თანხაყოფლივ რისკები – იდენტიფიკაცია

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

- სამეურნეო სუბიექტის შესწავლა**  
სამეურნეო სუბიექტის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის დოკუმენტირება შესაძლებელია იმ მემორანდუმის ანალოგიურად, რომელიც განხილული იყო მე-2 ტომის მე-2 თავში (სადაც აღწერილია ორი სასწავლო მაგალითის დეტალები).
- რისკის ფაქტორების გამოვლენა**  
გამოვლენილი რისკის ფაქტორების (როგორც ბიზნესის, ისე თაღლითობის) გამომწვევი მიზეზებისა და შედეგის დოკუმენტირების ერთ-ერთი გზაა მათი სიის შედგენა რაიმე სტრუქტურული ფორმატით, მაგალითად რისკის შეფასების ფორმის სახით, რაც ქვემოთ არის ილუსტრირებული. ამგვარი მიღვომით ყველა რისკი ერთ ადგილას იქნება დოკუმენტირებული და რისკების შეფასებები ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნება. მეორე მიღვომაა რიკსების სიის შედგენა მემორანდუმის ფორმატით. არ შეცდეთ და ერთ ფორმაში არა ასახოთ ბიზნესისა და თაღლითობის რისკები. ბიზნესისა და თაღლითობის რისკების შეფასება და მათზე რეაგირება სრულიად განსხვავებული პროცესებია.

### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

ბიზნესის რისკები	რისკის ზემოქმედების შედეგი	მტკიცებები
რისკის მოვლენა/წყარო	რისკის ზემოქმედების შედეგი ფინანსური ანგარიშების რომელი ნაწილები შეიძლება იყოს მცდარი და რა სახით?	კრ სტაპ
ეკონომიკის კარგი.	შეძლება გაძნელდეს მოთხოვნების თანხების ამოღება.	გ
ეკონომიკის კარგი.	შეძლება საჭირო იყოს მარაგის ჩამოწერა.	გ
ცნობილია, რომ მარაგზე პასუხისმგებელი პირი შეცდომებს უშევბს.	შეიძლება გადიდებული/შემცირებული იყოს მარაგის ნაშთები და შეიძლება მარაგის შეფასებაც.	სტაპ
კომპანიის ზრდა (ეკონომიკის კარგის მიუხედავად) და მარაგის არადამატყოდებული კონტროლი.	სესხის ხელშეკრულებების პირობების დარღვევა.	კრ
საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები სუსტია რამდენიმე სუვერო.	შეიძლება საფრთხე შეექმნას მონაცემთა საიმუშოობას, ან შეიძლება დაიკარგოს კიდეც მონაცემები.	კრ
რეალიზაციის ახალი არხების მიება სხვა ქვეყნებში.	სავალუტო რისკები მოთხოვნების ანგარიშებში.	ც

თაღლითობის რისკი	რისკის ზემოქმედების შედეგი	მტკიცებები
რისკის მოვლენა/წყარო	ფინანსური ანგარიშების რომელი ნაწილები შეიძლება იყოს მცდარი და რა სახით?	ყო სრაჟ
ზეწოლა		
გადასახადის მაქსიმალურად შემცირება.	ხელმძღვანელობის მიკერძოება სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლაში (როგორიცაა, მარაგის შეფასება), შემოსავლის შესაძლებლად.	სრაჟ
გადასახადის მაქსიმალურად შემცირება.	არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები/ფინანსური ანგარიშების მანიპულაცია (ვაყალბება).	ყო
სწრაფი ზრდა უარყოფითად მოქმედებს დაფინანსებაზე.	ფინანსური ანგარიშების მანიპულაცია, ბანკის ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან ასცილებლად.	ყო
გამყიდველის პრემია ეყრდნობა გარკვეულ ზღვარს ზემოთ რეალიზაციის დონეს.	რეალიზაციის მონაცემების გაბერვა, საპრემიო ზღვრის მისაღწევად.	ა
ქრისტიანის გადახდა ხელშეკრულებების მოსაპოვებლად.	რეალიზაციის შელაპავა, ხარჯების გადიდება, აღურიცხვი ჯარიმები.	სრაჟ
შესაძლებლობა		
მარავის არადამაკმაყოფილებელი კონტროლი.	მარავიდან საქონლის მოპარვა.	ა
ნაღდი ანგარიშსწორებით რეალიზაციის არადამაკმაყოფილებელი კონტროლი.	საქონლის/ნაღდი ფულის მოპარვა.	ა
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.	გაყიდვების/შესყიდვების ოპერაციები შეიძლება არ იყოს სრული, სათანადოდ შეფასებული, ან გამუდავნებული ფინანსურ ანგარიშებაში.	ყო
დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მნიშვნელოვანი გაფართოება.	გაყიდვების/შესყიდვების ოპერაციები შეიძლება გადიდებული/შემცირებული იყოს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ნაშთები შეიძლება არ იყოს ამოღებადი. შესაძლებელია ფინანსური ანგარიშების მანიპულაცია, „რისკიანი“ ნაშთების „გადატანით“ დაკავშირებულ მხარეებზე. ამით რისკიანი ნაშთი გახდება დაკავშირებული მხარის ნაშთი.	გ
რაციონალური ასსნა		
დროებითი მუშების არადამაკმაყოფილებელი სულიერი ძღვომარჯობა.	საქონლის ან ფულის მოპარვა.	ა

პირობითი ნიშნები:

ყო = ყოვლისმომცველი (ყველა მტკიცება)

ს = სისრულე

ს = სისწორე

ა = არსებობა

გ = შეფასება

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

მემო ფაილისთვის – „კუმარი და კომპანია“

თანდაყოლილი რისკის იდენტიფიკაცია

რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარების შედეგად, რომლებიც ესება გამოსაკვლევ 6 სეფეროსთან დაკავშირებულ პოტენციური რისკის წყაროებს და ასახულია X.X სამუშაო დოკუმენტში, გამოვავლინეთ შემდეგი რისკის ფაქტორები:

ბიზნესის რისკები

რაჯის არყოფნა და ოპერაციებში მონაწილეობის არმიღება – ყოვლისმომცველი რისკი

- სააღრიცხვო ჩანაწერების ხარისხი და სისწორე შეიძლება არადამაკმაყოფილებელი იყოს იმის გამო, რომ რაჯიმ ყურადღება ოჯახურ პრობლემებზე გადაიტანა. ფინანსური ანგარიშება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს.

რისკის შეფასება: (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

რეაგირება რისკზე: (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

- რაჯი საქონლის ხარისხს გაგზავნის წინ ამოწმებს. გაყიდული საქონლის ხარისხი შეიძლება კომპრომეტირებული იყოს, რასაც მოპყვება დიდი ოდენობის საქონლის დაბრუნება და/ან ისეთი მარაგის არსებობა, რაც ვერ გაიყიდება. (შეფასება)

რისკის შეფასება: (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

რეაგირება რისკზე: (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

ეკონომიკის ვარდნა და ეკონომიკური დამოკიდებულება

- „კუმარი და კომპანია“ დამოკიდებულია მის მთავარ კლიენტზე, „დეფტა ავეჯზე“, რომელზეც მოდის მისი რეალიზაციის დაახლოებით 90%. დარგის ახლანდელ კრიზისულ სიტუაციაში „დეფტამ“ შეძლება გააუქმოს შეკვეთები, რის გამოც შეიძლება ბანკის ხელშეკრუნების პირობები დარღვეული იყოს, ხოლო აქტივების შეფასება – გადიდებული იყოს.

- რეალიზაციის შემცირებისა და ლიკვიდობის დონეზე ზეწოლის გამო შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსური ანგარიშებით მანიპულაციას, რათა კომპანიამ თავი დააღწიოს ბანკის ხელშეკრუნების პირობების დარღვევას.

- თუ ბანკი სესხის ვადაზე აღრე დაბრუნებას მოითხოვს, კომპანია ველარ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამან შეიძლება არსებითი განუსაზღვრელობა წარმოქმნას, რაც უნდა განიმარტოს ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში; ამავე დროს შესაფასებელი გვექნება ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოყენებული საფუძვლის (ე.ი. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების) მართებულობა. ეს გავლენას იქონიებს ყველა მტკიცებაზე.

რისკის შეფასება: (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

რეაგირება რისკზე: (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

თაღლითობის რისკები

გადასახადების მაქსიმალურად შემცირება

- შეიძლება ხელმძღვანელობამ მიკერძოებულობა გამოიჩინოს გადასახადების ტვირთის შესამსუბუქებლად. შეიძლება სააღრიცხვო შეფასებები იყოს მიკერძოებული, ან არსებობდეს არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები. (სისრულე, სისწორე).

რისკის შეფასება: (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

რეაგირება რისკზე: (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

**რაჯის არყოფნა და ოპერაციებში მონაწილეობის არმიღება – ყოვლისმომცველი რისკი**

- რაჯის არყოფნის გამო რუბის სამუშაოზე მინიმალური ზედამხედველობა ხორციელება. გარდა ამისა, როგორც ჩანს, რუბის არადამაკმაყოფილებელი სულიერი მდგომარეობა და პირადი ფინანსური პრობლემები აქვს. ეს წარმოქმნის საქონლის/ფულის მოპარვის (არსებობა) და/ან ფინანსური ანგარიშების გაყალბების მოტივაციას, ხელსაყრელ შესაძლებლობასა და რაციონალური ახსნის შესაძლებლობას. ეს უნდა მივიჩნიოთ თაღლითობის რისკად.

**რისკის შეფასება:** (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

**რეაგირება რისკზე:** (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

**დაკავშირებული მხარეები**

- შესაძლოა გაყალბებული იყოს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, რაც გამოიწვევს რეალიზაციის ციფრის გადიდებას (შეფასება). გარდა ამისა, ყურადღება უნდა გავაძახვილოთ სხვა დაკავშირებული მხარეების შესაძლო არსებობაზე და ასევე დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საბოლოო ნაშთების შეფასებაზე/სისწორეზე.

**რისკის შეფასება:** (განხილულია მე-2 ტომის მე-9 თავში)

**რეაგირება რისკზე:** (განხილულია მე-2 ტომის მე-16 თავში)

**მოამზადა:** კფ

**თარიღი:** 20X2 წლის 8 დეკემბერი.


**მიმოიხილა:** ლფ

**თარიღი:** 20X3 წლის 5 იანვარი.

## 9. თანდაყოლილი რისკები – გევასება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
როგორ უნდა შეფასდეს გამოვლენილი ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკები.	240, 315

სქემა 9.0-1



### შენიშვნები:

- გაუცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
240.25	ას 315-ის შესაბამისად, აუდიტორმა დაადგინოს და შეაფასოს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკები ფინანსური ანგარიშებისა და მტკიცების დონეებზე ოპერაციების კატეგორიებისთვის, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის.
240.26	თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების დადგენისა და შეფასებისას, აუდიტორმა უნდა იგულისხომოს, რომ არსებობს თაღლითობის რისკები ამონა-გების აღიარებასთან დაკავშირებით, შეაფასოს, რა ტიპის ამონაგები, შემოსავლების მომტანი ოპერაციები ან მტკიცებები წარმოშობს ასეთ რისკებს. 47-ე პუნქტის თანახმად, თუკი აუდიტორი დაასკვნის, რომ ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის არსებობის შესახებ მისი ვარაუდი არ არის გამართლებული მოცემული გარიგების კონკრეტულ გარემოებებში, აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს ასეთი დასკვნის გამოტანის მიზეზები. (იხ.: პუნქტები გ28-გ30)
240.27	აუდიტორმა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკები უნდა მიიჩნიოს მნიშვნელოვან რისკებად და, მაშასადამე, უნდა გაერკვეს სამეურნეო სუბიექტის შესაბამის კონტროლის საშუალებებში, მათ შორის, ასეთ რისკებთან და-კავშირებულ მაკონტროლებელ საქმიანობებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთება (იხ.: პუნქტები გ31-გ32)
315.25	აუდიტორმა უნდა დაადგინოს და შეაფასოს არსებითი უზუსტობის რისკები: ა) ფინანსური ანგარიშების დონეზე; და (იხ.: პუნქტები გ105-გ108) ბ) მტკიცების დონეზე ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების მიხედვით; (იხ.: პუნქტები გ109-გ113) რათა შეიქმნას საფუძველი დამატებითი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრისა და ჩატარებისთვის.
315.26	ამ მიზნით, აუდიტორმა უნდა: ა) გამოავლინოს რისკები სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, რისკებთან დაკავშირებული, შესაბამისი კონტროლის პროცედურების შესწავლითა და ფინანსურ ანგარიშებაში ასახული გარკვეული კატეგორიების ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით; (იხ.: პუნქტები გ114-გ115) ბ) შეაფასოს გამოვლენილი რისკები და გაარკვიოს, ყოვლისმომცველი ხომ არ არის ეს რისკები მთლიანად ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებაში და, სავარაუდოდ, ახდენს თუ არა გავლენას ბევრ მტკიცებაზე; გ) დააკავშიროს გამოვლენილი რისკები სავარაუდო შეცდომასთან მტკიცების დონეზე, აუდიტორის მიერ ტესტირების ჩასატარებლად გამიზნული შესაბამისი კონტროლის პროცედურების გათვალისწინებით; და (იხ.: პუნქტები გ116-გ118) დ) განიხილოს უზუსტობის აღბათობა, მათ შორის, მრავალჯერადი უზუსტობების დაშვების შესაძლებლობა და არის თუ არა სავარაუდო უზუსტობა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს.

## 9.1 ზოგადი მიმოხილვა

რისკის იდენტიფიკაცია, რაც წინა თავში განვიხილეთ, მოიცავს:

- რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარებას, რათა გამოვლინდეს რისკის წყაროები (მიზეზები) სამეურნეო სუბიექტის შესწავლის გზით;
- გამოვლენილი რისკის წყაროების შესაძლო გავლენის (ფინანსური ანგარიშების პოტენციური უზუსტობები), მათ შორის თაღლითობის ალბათობის (შესაძლებლობის) განსაზღვრას; და
- რისკების გავლენის (შედეგის) დაკავშირებას ფინანსური ანგარიშების შესაბამის სფეროებთან და მტკიცებებთან, ან იმის დადგენას, რომ რისკები ყოვლისმომცველი სასიათისაა მთლიან ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებით და პოტენციურად ბევრ მტკიცებაზე ახდენს გავლენას.

შემდეგი ნაბიჯია გამოვლენილი რისკების შეფასება და ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის მათი მნიშვნელობის დადგენა. ისევ შეგახსენებთ, რომ უფრო მიზანშეწონილია ჯერ თანდაყოლილი რისკების შეფასება, სანამ განიხილავთ შიდა კონტროლის იმ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება ამ რისკების შემცირებას ემსახურებოდეს.

რისკის შეფასება მოიცავს რისკის მახასიათებელი ორი ნიშნის გათვალისწინებას:

- რამდენია რისკით განპირობებული უზუსტობის ხდომილობის ალბათობა?
- რისკის მატერიალიზების შემთხვევაში, როგორი იქნება მისი სიდიდე (ფულადი გავლენა)?

### უზუსტობის ხდომილობის ალბათობა

რამდენია იმის ალბათობა, რომ რისკი მატერიალიზდება? აუდიტორმა ალბათობა შეიძლება შეაფასოს როგორც მაღალი, საშუალო ან დაბალი, ან განსაზღვროს რიცხობრივი შეფასების სისტემა, მაგალითად, 1-დან 5 ქულამდე, რაც ოდნავ უფრო ზუსტ შეფასებას იძლევა. რაც უფრო დიდია მინიჭებული ქულა, უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ რისკი მატერიალიზდება.

### სიდიდე (ფულადი გავლენა) რისკის მატერიალიზების შემთხვევაში

თუ რისკი მატერიალიზდება, როგორი იქნება მისი ფულადი გავლენა? ამ საკითხის განსჯა გულისხმობს შეფასებას სამუშაო არსებითობისთვის დადგენილ ფულად სიდიდესთან მიმართებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ადამიანები (რომლებმაც შეიძლება არსებითობის განსხვავებულ სიდიდეებზე გააკეთონ აქცენტი) განსხვავებულ დასკვნებს გამოიტანენ. აუდიტის მიზნებისთვის, ზემოაღნიშნული დადგენილი სიდიდე დაუკავშირდება იმას, რაც მიიჩნევა არსებით უზუსტობად მთლიანი ფინანსური ანგარიშებისთვის. ეს შეფასება შეიძლება გაკეთდეს უფრო მარტივად, როგორც მაღალი, საშუალო ან დაბალი, ან ხუთქულიანი შეფასების სისტემის მეშვეობით. რაც უფრო დიდია მინიჭებული ქულა, მით უფრო დიდია რისკის სიდიდე.

## მნიშვნელოვანი რჩევები

თუ ქულების (რიცხობრივ) სიტემას გამოიყენებთ რისკის ალბათობის ან სიდიდის შესაფასებლად, რისკის შეფასების კომბინირებული ან ერთიანი ქულების რაოდენობის მისაღებად შესაძლებელია ციფრების გამრავლება. ამგვარი გამოთვლა სასარგებლოა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი რისკები. გარდა ამისა, თუ ელექტრონულ ცხრილებს გამოიყენებთ, შესაძლებელი იქნება რისკების კატეგორიებად დაყოფა და იმგვარად დახარისხება, რომ გამოვლენილი რისკებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები ყოველთვის მოექცევა რისკების სიის სათავეში. ეს შეიძლება სასარგებლო ინფორმაცია იყოს ფაილის განხილვისთვის და იმის დასადგენად, რომ შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის სათანადო ზომები გატარდა.

მცირე სამეურნეო სუბიექტებში, სადაც რისკის ფაქტორების რიცხვი მცირეა და საპასუხო აუდიტორული პროცედურებიც უკეთ შემუშავებულია, შესაძლებელია ორი შეფასების (ალბათობის და სიდიდის) ცალ-ცალკე განხილვა, მაგრამ მათი დოკუმენტირება უნდა მოხდეს ერთი კომბინირებული შეფასების სახით.

შემდეგ სქემაზე ნაჩვენებია რისკის შეფასების საფეხურები მაღალი, საშუალო ან დაბალი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.

### სქემა 9.1-1


#### რისკის შეფასება

ჩამოთვალეთ გამოვლენილი ბიზნესისა და თაღლითობის რისკის ფაქტორები

მოსალოდნელია, რომ მატერიალიზდება გამოვლენილი რისკი (უზუსტობა) (მაღალი, საშუალო, დაბალი)?


თუ რისკი (უზუსტობა) მატერიალიზდება, რამდენად არსებითი იქნება ეს ფასტვის (მაღალი, საშუალო, დაბალი)?

რისკის შეფასებული დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი)



რისკის შეფასების პროცესის შედეგები შეიძლება გამოისახოს დიაგრამის სახით, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ. ზოგიერთი კომერციული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი იძლევა დიაგრამების შესაძლებლობას.

### დიაგრამა 9.1-2



რისკები, რომლებიც დიაგრამაზე მოხვდება „მაღალი გავლენა (სიდიდე), მაღალი ალბათობა“ კატეგორიაში, აშკარად საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან რეაგირებას, მათ შესასუსტებლად. გარდა ამისა, ამ რისკებს, სავარაუდოდ, მიენიჭება მნიშვნელოვანი რისკის სტატუსი, რაც ასს-ების თანახმად განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს (იხ. მე-2 ტომის მე-10 თავი).

## მითითებულოვანი რჩევები

### განხილვა ხელმძღვანელობასთან

როდესაც აუდიტორი დოკუმენტურად დააფიქსირებს რისკის ფაქტორებს და შეაფასებს, მნიშვნელოვანია, რომ შედეგები განიხილოს სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობასთან ერთად. ამგვარი განხილვა ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ აუდიტორს არ გამორჩება რისკის ფაქტორები და აუდიტორისეული რისკების შეფასებები (აღბათობის და გავლენის) გონივრული იქნება. ამასთან, ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორმა იმოქმედოს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით, როდესაც აფასებს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ ამოსავალ ინფორმაციას და გატარებულ საპასუხო ზომებს.

### 9.2 სამეურნეო სუბიექტის მიერ განხორციელებული რისკის შეფასებები

რისკის შეფასება შიდა კონტროლის იმ 5 კომპონენტიდან ერთ-ერთია (იხ. 1-ლი ტომის მე-5 თავი), რომლის შესრულება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობას ევალება.

მცირე სამეურნეო სუბიექტებში რისკის შეფასების პროცესს, სავარაუდოდ, უფრო არაფორმალური და არაორგანიზებული ხასიათი აქვს. მცირე სამეურნეო სუბიექტებში რისკის გამოვლენა ხშირად არაპირდაპირ ხდება და არა გამიზნულად. ხელმძღვანელობამ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ შესაძლოა გაიგოს თანამშრომლებთან და გარეშე მხარეებთან პირადი ურთიერთობიდან. ამის გამო, აუდიტორმა უნდა ჩატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვა იმის თაობაზე, როგორ ადგენს რისკებს და როგორ მართავს და შემდეგ, კონკრეტულად რა რისკები იქნა გამოვლენილი და როგორ მოხდა მათზე რეაგირება. აუდიტორს ევალება შედეგების დოკუმენტირება.

ვინაიდან ხელმძღვანელობა აცნობიერებს რისკის შეფასების ფორმალიზებული პროცესის სარგებლიანობას, მან შეიძლება გადაწყვიტოს საკუთარი პროცესების შემუშავება, დანერგვა და დოკუმენტირება. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორმა უნდა შეაფილოს:

- ხელმძღვანელობის პროცესებზე კონტროლის განსახორციელებლად დანერგილი პროცედურები;
- გამოვლენილი ბიზნესისა და თაღლითობის რისკების სისრულე. ხშირად აღნიშნული რისკები დოკუმენტირდება ეწ. „რისკების შურნალში“;
- რისკების სიდიდისა და მათი ხდომილობის აღბათობის ხელმძღვანელობისეული შეფასება; და
- ხელმძღვანელობის მიერ შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის გატარებული ზომები.

თუ ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო მთავარი რისკების გამოვლენა, აუდიტორმა უნდა გაარკვიოს, ხომ არ აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვნება სამეურნეო სუბიექტში დანერგილ რისკის შეფასების პროცესს.

### 9.3 შეფასებების დოკუმენტირება

რისკის ფაქტორების შესაფასებლად გამოსაყენებელი მეთოდის შერჩევისას აუდიტორმა უნდა მიმართოს პროფესიულ განსჯას.

არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება ხდება:

- ფინანსური ანგარიშგების დონეზე; და
- ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშების ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების დონეზე.

დოკუმენტაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მემურანდუმის (მოკლე ჩანაწერების), ან რისკების სის სახით (თაღლითობისთვის), როგორც ეს 9.3-1 ცხრილშია მოცემული. გათვალისწინეთ შემდეგი:

- ცხრილის პირველი ორი სვეტი უნდა შეივსოს რისკის გამოვლენის პროცესში, რაც განხილულ იყო მე-2 ტომის მე-8 თავში.
- მტკიცებების სვეტი ეხება:

**აუდიტის საქმიანობის სტანდარტების გამოყენების სახლმძღვანელო მცავ და სშესახვა სწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მთათებები**

- კონკრეტული მტკიცებების შეფასებას, რომლებიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშების კონკრეტულ სფეროს, ან განმარტებით შენიშვნას, რომელზეც მოცემული რისკი ახდენას გავლენას. ეს დაგეხმარებათ მტკიცების დონეზე რისკების შეფასებაში; და
- ყოვლისმომცველ რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბევრ მტკიცებაზე და, სავარაუდოდ, გავლენას იქნიებს ფინანსური ანგარიშების დონეზე რისკის შეფასებაზე.
- ზემოაღნიშნული შესაფასებელი რისკები თანდაყოლილი რისკებია. კონტროლის რისკი განხილულია მე-2 ტომის მე-11 და მე-12 თავებში.
- ალბათობისა და სიდიდის (გავლენის) შეფასებებისთვის გამოყენებულია რიცხობრივი შკალა, სადაც 1 = დაბალი ალბათობა/სიდიდე და 5 = მაღალი ალბათობა/სიდიდე. შესაძლებელია ამ ქულების გადამრავლება საერთო, კომბინირებული ციფრის მისაღებად. თუმცა, ამ რისკების შეფასება შესაძლებელია უფრო მარტივადაც, როგორც მაღალი, საშუალო ან დაბალი.

### **ცხრილი 9.3-1**

სანგარიშებო თარიღი: <u>20X2 წლის 31 დეკემბერი</u> არსებითობა <u>50,000 ევრო</u>		თანდაყოლილი რიკის შეფასება			
რისკის მოვლენა/წყარო	რისკის ფაქტორის გავლენა	მტკიცებები ყოვლისმომცველი, სისრულე, სისწორე, არსებობა, შეფასება	ხდომილობის ალბათობა	გავლენა ევროში	კომბინირებული ქულა
გამყიდველების ანაზღაურება ეფუძნება რეალიზეციის საკომისიოებს.	რეალიზაცია შეიძლება იყოს ფიქტიური, არასწორ პერიოდში ასახული, გადიდებული, ან საპრემიო ოდენობის მიღწვის მიზნით სტანდარტული ვადებისა და პირობებისგან განსხვავებული პირობებით იყოს განხორცილებული.	არსებობა სისწორე	4	4	16
სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის დამაღვა ბანკის გამოკვლევის თავიდან უცილების მიზნით.	არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები, რომელთა მათხანა ხარჯის შეცვლა, ხელმძღვანელობის მიერთებულობა საღრიცხვო შეფასებებში და ა.შ.	ყოვლისმომცველი	2	5	10
თანმაშრომელთა მიერ სისტემაში შევანილი ფიქტიური მომწოდებლები.	ზედმეტი ხარჯების გადახდა გაბერილი ფასებით, ან ისეთი ხარჯების ასახვა, რომლის შესაბამისი მომსახურების/საქონლის მიწოდება არ მომხდარა.	არსებობა სისწორე	2	4	8
არ არის დადგენილი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები. ის აქციონერები, ვინც ბიზნესში არ მოაწილეობენ, შეიძლება დაზარალოდეს.	ამონაგები და ხარჯები არ არის ასაწელი რეალური საბაზრო ღირებულებით.	ყოვლისმომცველი	3	5	15
სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ნაღდ ფულზე გაყიდვა შეიძლება არ იყოს ბუღალტრულად ასახული და ბანკში დეპონირებული.	ამონაგები და აქტივები შემცირებულია.	სისრულე სისწორე არსებობა	4	1	4

## მითითებების რჩვები

რისკის ფაქტორების დოკუმენტირების დროს გაითვალისწინეთ, როგორ განაახლებთ და გამოიყენებთ ამ ინფორმაციას შემდგომ პერიოდებში.

მთელი ინფორმაციის ერთ ადგილას და სისტემური ფორმატით (როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები) დოკუმენტირებას შესაძლოა თავდაპირველად ცოტა ბევრი დრო დასჭირდეს, მაგრამ მომავალში მათი განახლება გაცილებით მარტივად იქნება შესაძლებელი. სისტემური ფორმატი ასევე დაგეხმარებათ იმაში, რომ:

- არ მოხდეს რისკებზე ერთზე მეტჯერ რეაგირება (რაც შესაძლებელია, თუ აუდიტის ფაილში სხვადასხვა დოკუმენტში აისახება);
- თითოეული რისკის შეფასება ერთმანეთის შესაბამისი იყოს;
- გამოვლინდეს მნიშვნელოვანი რისკები;
- მიმოხილვა გაადვილდება. ელექტრონული ცხრილები საშუალებას იძლევა, რისკები (რაოდენობრივად შეფასებული) დახარისხდეს კომბინირებული ქულის მიხედვით, ან ალბათობის ან გავლენის მიხედვით; და
- შესაძლებელი იქნება რისკების სიის გაცნობა დამკვეთისთვის (მათგან ინფორმაციის მოპოვების მიზნით), ან იმის მოთხოვნა, რომ დამკვეთმა თვითონ მოამზადოს რისკის ფაქტორების სია აუდიტორისთვის განსახილველად.

### 9.4. სასწავლო მაგალითი – თანდაყოლილი რისკები – შეფასება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

თუ რისკების შეფასების დოკუმენტირებისთვის სისტემურ ფორმატს გამოიყენებთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ იგივე ფორმა, რომლის შევსებაც დაწყებულია მე-2 ტომის მე-8 თავში. ასევე შევიძლიათ გამოიყენოთ აუდიტორული რეაგირების სეტი, რათა რისკის ფაქტორები დააკავშიროთ კონკრეტულ აუდიტორულ პროცედურებთან, ან აუდიტის პროგრამებთან, რომლებიც გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვისაა განკუთვნილი.

თუ აპირებთ მეტოს ფორმატის გამოყენებას, რისკის შეფასება და რისკზე რეაგირება შეგიძლიათ დაამატოთ მე-2 ტომის მე-8 თავში დაწყებულ მეტოს.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

ბიზნესის რისკები						
რისკის მოვლენა/წყარო	რისკის ზემოქმედების შედეგი	მტკი- ცებები	თანდაყოლილი რისკის შეფასება			მნიშვნე- ლოვანია რისკი? დას/არა
	ფინანსური ანგარიშგების რომელი ნაწილები შეიძლება იყოს მცდარი და რა სახით?	ყვ, სფაშ	ხდომი-ლობის ალბა-თობა	გავლენა ევროში	კომბინირებული ქულა	
კომპანიის უწყვეტი ზრდა (ეკონომიკის კარგის მიუხედავად) და მარავის არადამატებული დენა კონტროლი.	სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევა.	შრ	4	5	20	დაახ
ცნობილია, რომ მარავ ზე პასუხისმგებელი პირი შეცდომებს უშვებს.	მარავის ნაშთები შეიძლება გადიდებული იყოს.	ა	5	3	15	არა
საინფორმაციო ტექნიკური გენერიკული მონაცემთა სამუშაოების სუსტიანული რამდენიმე სუვერენიტეტი.	შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა სამუშაოობას, ან შეიძლება დაიკარგოს კიდევ.	შრ	3	5	15	არა
ეკონომიკის კარგი.	შეიძლება საჭირო იყოს მარავის ჩამოწერა.	გ	3	3	9	არა
რეალიზაციის ახალი არხების ძიება სხვა ქვეყნებში.	სავალუტო რისკები დებიტორული დავალიანების ნაშთებში.	ნ	2	2	4	არა
ეკონომიკის კარგი.	შეიძლება გაძნელდეს მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) თანხების ამოდება (ე.ი. შეიძლება გადიდებული იყოს).	გ	1	3	3	არა

პირობითი ნიშები:

ყვ = ყოვლისმომცველი (ყველა მტკიცება)

ს = სისრულე

ნ = სისწორე

ა = არსებობა

შ = შეფასება

ხდომილობის ალბათობის შეფასება 1-5 ქულიანი შეალის მიხედვით:

- 1 – უმნიშვნელო
- 2 – ნაკლებად მოსალოდნელი
- 3 – შესაძლო
- 4 – დიდი ალბათობით მოსალოდნელი
- 5 – თითქმის უდავო

სიდიდის (ფულადი გავლენის) შეფასება არსებითობასთან მიმართებაში 1-5 ქულიანი შეალის მიხედვით:

- 1 – არარსებითი
- 2 – მცირე
- 3 – საშუალო
- 4 – მაღალი
- 5 – არსებითი

(ინსტრუქციის სახით: რისკის ფაქტორი, რომლის კომბინირებული შეფასება (ალბათობა × გავლენაზე) 20-ია ან მეტი, მიჩნეულ უნდა იქნეს „მნიშვნელოვანი“ თაღლითობის რისკად.)

**შენიშვნა:** ბანკის ხელშეკრულების პირობების შესაძლო დარღვევისთვის რისკის კომბინირებული შეფასება 20-ია და, შესაბამისად, მიიჩნევა მნიშვნელოვან რისკად. მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით აუდიტორს მოეთხოვება სპეციალური პროცედურების ჩატარება, მათ შორის ამგვარი რისკების შესამცირებლად სამეურნეო სუბიექტში არსებული კონტროლის მექანიზმების დადგენა.

**აუდიტის სურამითობის სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

თაღლითობის რისკები						
რისკის მოვლენა/წყარო	რისკის ზემოქმედების შედეგი	მტკი-ცებები	თანდაყოლილი რისკის შეფასება			მნიშვნელოვანია რისკი? დის/არა
	ფინანსური ანგარიშგების რომელი ნაწილები შეიძლება იყოს მცდარი და რა სახით?	შო, სტაშ	ხდომილობის ალბა-თობა	გავლენა ევრო-ში	კომბინირებული ქულა	
<b>ზეწოლა</b>						
გადასახადის მაქსიმალურად შემცირება.	არასანქცირებული საბუღალოტრო გატარებები/ფინანსური ანგარიშგების მანიპულაცია.	ს შ გ	4	5	20	დიახ
სწრაფი ზრდა უარყოფითად მოქმედებს დაფინანსებაზე.	ფინანსური ანგარიშგების მანიპულაცია, ბანკის ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.	შო	4	5	20	დიახ
გადასახადის მაქსიმალურად შემცირება.	ხელმძღვანელობის მიკერძოებულობა სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლაში, შემოსავლის შესატცირებლად.	ს შ	4	4	16	დიახ
გამყიდველების პრემია ეყრდნობა გარკვეულ ზღვარს ზემოთ რეალიზების დონეს.	რეალიზაციის მონაცემების გაბერვა საპრემიო ზღვრის (კრიტერიუმის) დასაკმაყოფილებლად. თუმცა, პრემიების სიდიდე მცირეა.	პ	3	2	6	არა
ხელშეკრულებების მოსაპოვებლად ქრომის გადახდა.	რეპუტაციის შელახვა, ხარჯების გადიდება, აღურიცხვი ჯარიმები.	ს შ პ	2	2	4	არა
<b>შესაძლებლობა</b>						
ამონაგების აღიარება.	სააღრიცხვო პოლიტიკის არასათანადოდ გამოყენება.	ს შ პ	3	4	12	დიახ
დაკაშირებულ მხარეთა ოპერაციების მნიშვნელოვანი გაფართოება.	გაყიდვების/შესყიდვების თანხები შეიძლება გადიდებული/შემცირებული იყოს.	გ	4	5	20	დიახ
მარავის არადა-მაქსიმალურებული კონტროლი.	მარავიდან საქონლის მოპარვა.	პ	4	3	12	არა

ნაღდი ანგარიშსწორებით რეალიზაციის არადამაქმაყოფილებული კონტროლი	საქონლის ან ნაღდი ფულის მოპარვა.	5	4	3	12	არა
ოპერაციები და კავშირებულ მხარეებთან.	გაფიდვების/შესფიდვების ოპერაციები შეიძლება არ იყოს სრული, სათანადოდ შეფასებული, ან გამუღავნებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.	ყვ	3	4	12	არა
<b>რაცონალური აზნა</b>						
დროებითი მუშების არადამაქმაყოფილებული სულიერი მდგრადი არადამარეობა.	საქონლის ან ნაღდი ფულის მოპარვა.	5	3	2	6	არა

პირობითი ნიშები:

ყვ = ყოვლისმომცველი  
(ცველა მტკიცება)

ს = სისრულე

ვ = სისწორე

პ = არსებობა

შ = შეფასება

ნდომილობის აღბათობის შეფასება

1-5 ქულიანი შკალის მიხედვით:

1 – უმნიშვნელო

2 – ნაკლებად მოსალოდნელი

3 – შესაძლო

4 – დიდი აღბათობით მოსალოდნელი

5 – თითქმის უდავო

სიდიდის (ფულადი გავლენის) შეფასება არსებითობასთან მიმართებაში 1-5 ქულიანი შკალის მიხედვით:

1 – არაარსებითი

2 – მცირე

3 – საშუალო

4 – მაღალი

5 – არსებითი

(ინსტრუქციის სახით: რისკის ფაქტორი, რომლის კომბინირებული შეფასება (აღბათობა × გავლენაზე) 20-ია ან მეტი, მიჩნეულ უნდა იქნეს „მნიშვნელოვანი“ თაღლითობის რისკად.)

**შენიშვნა:** სააღრიცხვო შეფასებებში ზელმდვანელობის შესაძლო მიკერძოებულობა, არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები, დაფინანსებაზე სწრაფი ზრდის ზემოქმედება (ზეწოლა) და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შეფასდება როგორც მნიშვნელოვანი რისკები (სადაც კომბინირებული ქულა 20-ს აღემატება.) მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით აუდიტორს მოეთხოვება სპეციალური პროცედურების ჩატარება, მათ შორის ამგრანი რისკების შესაბარებლად სამეურნეო სუბიექტში არსებული კონტროლის მექანიზმების დადგენა. თუ ასეთი კონტროლის საშუალებები არ არსებობს, მაშინ, სავარაუდოდ, შიდა კონტროლს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გააჩნია. გაითვალისწინეთ, რომ ამონაგების აღიარებასთნ დაკავშირებული კომბინირებული ქულა 16-ზე ნაკლებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან რისკად მიიჩნევა. (იხ. ას 240.26)

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### მემო ფაილისთვის – „კუმარი და კომპანია“

#### თანდაყოლილი რისკის იდენტიფიკაცია

არსებითობა = 3,000 ევრო

რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარების შედეგად, რომლებიც ესება გამოსაპოვლევ 6 სეფეროსთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკს წყაროებს და ასახულია X.X სამუშაო დოკუმენტში, გამოვავლინეთ შემდეგი რისკის ფაქტორები:

#### ბიზნესის რისკები

#### რაჯის არყოფნა და ოპერაციებში მონაწილეობის არმიღება – ყოვლისმომცველი რისკი

- სააღრიცხვო ჩანაწერების ხარისხი და სისწორე შეიძლება არადამაკმაყოფილებელი იყოს იმის გამო, რომ რაჯიმ ყურადღება ოჯახურ პრობლემებზე გადაიტანა. ფინანსური ანგარიშება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს.

**რისკის შეფასება:** მაღალი ალბათობა/მაღალი სიდიდე (არსებითობასთან მიმართებაში) = მაღალი რისკი და ასევე მნიშვნელოვანი რისკი. იხ. სდ № X.X.

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

- რაჯი საქონლის ხარისხს გაგზავნის წინ ამოწებს. გაყიდული საქონლის ხარისხი შეიძლება კომპრომეტირებული იყოს, რასაც მოჰყვება დიდი ოდენობის საქონლის დაბრუნება და/ან ისეთი მარაგის არსებობა, რაც ვერ გაიყიდება. (შეფასება).

**რისკის შეფასება** დაბალი ალბათობა/დაბალი სიდიდე = დაბალი რისკი.

**რეაგირება რისკზე:** (განვიხილავთ მოგვიანებით)

#### ეკონომიკის ვარდნა და ეკონომიკური დამოკიდებულება

- „კუმარი და კომპანია“ დამოკიდებულია მის მთავარ კლიენტზე, „დეფტა ავეჯზე“, რომელზეც მოდის მისი რეალიზაციის დაახლოებით 90% მოდის. დარგის ახლანდელ კრიზისულ სიტუაციაში „დეფტაზე“ შეძლება გააუქმოს შეკვეთები, რის გამოც შეიძლება ბანკის ხელშეკრულების პირობები დარღვევული იყოს და აქტივების შეფასება გადიდებული იყოს. თუ ბანკი სესხის დაბრუნებას მოითხოვს, კომპანია ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას. (შეფასება)

**რისკის შეფასება:** საშუალო ალბათობა/საშუალო სიდიდე = საშუალო რისკი

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

#### თაღლითობის რისკები

#### ამონაგების აღიარება

- სააღრიცხვო პოლიტიკის არამართებულად გამოყენების შესაძლებლობა.

**რისკის შეფასება:** საშუალო ალბათობა/საშუალო სიდიდე = საშუალო რისკი, მაგრამ ას 240.26-ის თანახმად ეს მიზნევა მნიშვნელოვან რისკად და რეაგირებაც ამის მიხედვით უნდა მოხდეს.

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

#### გადასახადის მაქსიმალურად შემცირება

- შეიძლება ხელმძღვანელობამ მიკერძოებულობა გამოიჩინოს გადასახადების ტვირთის შესამსუბუქებლად. შეიძლება სააღრიცხვო შეფასებები იყოს მიკერძოებული, ან არსებობდეს არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები. (სისრულე, სისწორე).

**რისკის შეფასება:** მაღალი ალბათობა/საშუალო სიღიდე (არსებითობასთან მიმართებაში)  
= რისკი საშუალოსა და მაღალს შორის და უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან რისკად.

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

#### ეკონომიკის ვარდნა და ეკონომიკური დამოკიდებულება

- რეალიზაციის შემცირებისა და ლიკვიდობის დონეზე ზეწოლის გამო შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგებით მანიპულაციას, რათა კომპანიამ თავი დააღწიოს ბანკის ხელშეკრულების პირობების დარღვევას. (ყველა მტკიცება)

**რისკის შეფასება:** საშუალო ალბათობა/მაღალი სიღიდე = რისკი საშუალოსა და მაღალს შორის და უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან რისკად.

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

#### რაჯის არყოფნა და ოპერაციებში მონაწილეობის არმიღება – ყოვლისმომცველი რისკი

- რაჯის არყოფნის გამო რუბის სამუშაოზე მინიმალური ზედამხედველობა ხორცილება. გარდა ამისა, როგორც ჩანს, რუბის დაბალი ზნეობა და პირადი ფინანსური პრობლემები აქვს. ეს წარმოქმნის საქონლის/ფულის მოპარავის (არსებობა) და/ან ფინანსური ანგარიშგების გაყალბების მოტივაციას, ხელსაყრელ შესაძლებლობასა და რაციონალური ახსნის შესაძლებლობას.

**რისკის შეფასება:** საშუალო ალბათობა/საშუალო სიღიდე = საშუალო რისკი

**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

#### დაკავშირებული მხარეები

- შესაძლოა გაყალბებული იყოს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, რაც გამოიწვევს რეალიზაციის ციფრის გადიდებას. (შეფასება)

**რისკის შეფასება:** საშუალო ალბათობა/საშუალო სიღიდე = საშუალო რისკი და უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან რისკად.


**რეაგირება რისკზე:** (განხილული იქნება მე-2 ტომის მე-16 თავში)

**შენიშვნა:** მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით აუდიტორს მოეთხოვება სპეციალური პროცედურების ჩატარება, მათ შორის ამგვარი რისკების შესამცირებლად სამეურნეო სუბიექტში არსებული კონტროლის მექანიზმების დადგენა. თუ ასეთი კონტროლის საშუალებები არ არსებობს, მაშინ, საგარაუდოდ, შიდა კონტროლს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გააჩნია.

## 10. მნიშვნელოვანი რისკები

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები მნიშვნელოვანი რისკებისა სასიათის, მათი განსაზღვრისა და აუდიტები მათი გავლენის შეფასების შესახებ.	240, 315, 330

სქემა 10.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

**აუდიტის საქმიანობის სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცავ და სშესახლო საწარმოს აუდიტი  
ტომი 2 – პრაქტიკული მთათებები**

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
240.26	თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების დადგენისა და შეფასებისას, აუდიტორმა უნდა იგულისხომოს, რომ არსებობს თაღლითობის რისკები ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, შეაფასოს, რა ტიპის ამონაგები, შემოსავლების მოტრანსპორტის მიზნით ან მტკიცებები წარმოშობს ასეთ რისკებს. 47-ე პუნქტის თანახმად, თუკი აუდიტორი დაასკვინს, რომ ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის არსებობის შესახებ მისი ვარაუდი არ არის გამართლებული მოცემული გარიგების კონკრეტულ გარემოებებში, აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს ასეთი დასკვნის გამოტანის მიზეზები. (იხ.: პუნქტები გ28-გ30)
315.4	ასს-ების მიზნებისთვის, ქეემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდევი მნიშვნელობები:
	ე) მნიშვნელოვანი რისკი – გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც, აუდიტორის აზრით, სპეციალურ აუდიტორულ განხილვას საჭიროებს.
315.25	აუდიტორმა უნდა დაადგინოს და შეაფასოს არსებითი უზუსტობის რისკები:
	ა) ფინანსური ანგარიშგების დონეზე; და (იხ.: პუნქტები გ105-გ108)
	ბ) მტკიცების დონეზე ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების მიხედვით; (იხ.: პუნქტები გ109-გ113)
	რათა შეიქმნას საფუძველი დამატებითი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრისა და ჩატარებისთვის.
315.27	როგორც 25-ე პუნქტშია აღწერილი, რისკის შეფასების პროცესში აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, გამოვლენილი რისკებიდან, მისი აზრით, არის თუ არა რომელიმე მნიშვნელოვანი რისკი. მსჯელობისას აუდიტორმა უნდა გამორიცხოს ამ რისკთან დაკავშირებული დადგენილი კონტროლის პროცედურების ზეგავლენა.
315.28	მნიშვნელოვანი რისკების დასადგენად მსჯელობისას, აუდიტორმა უნდა განიხილოს, სულ მცირე, ქეემოთ ჩამოთვლილი საკითხები მაინც:
	ა) არის თუ არა მოცემული რისკი თაღლითობის რისკი;
	ბ) დაკავშირებულია თუ არა მოცემული რისკი ბოლოდროონდელ მნიშვნელოვან მოვლენებთან ეკონომიკის, ბუღალტრული აღრიცხვის, ან სხვა სფეროებში და, მაშასადამე, მოითხოვს თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას;
	გ) ოპერაციების სირთულე;
	დ) უკავშირდება თუ არა მოცემული რისკი დაკავშირებულ მსარეებთან შესრულებულ მნიშვნელოვან ოპერაციებს;
	ე) მოცემულ რისკთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შეფასების სუბიექტურობის ხარისხი, განსაკუთრებით ისეთ შეფასებებში, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის განუსაზღვრელობას; და
	ვ) დაკავშირებულია თუ არა მოცემული რისკი ისეთ მნიშვნელოვან ოპერაციებთან, რომლებიც სცილდება სამეურნეო სუბიექტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს, ან, რომლებიც სხვა მხრივ ჩანს არაორდინარული. (იხ.: პუნქტები გ119-გ123)
315.29	თუ აუდიტორმა დაადგინა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, მან უნდა შეისწავლოს ამ რისკთან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებები, მათ შორის, მაკონტროლებელი საქმიანობები. (იხ.: პუნქტები გ124-გ126)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
330.21	თუ აუდიტორი დაადგენს, რომ ამა თუ იმ მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი მნიშვნელოვანია, მან უნდა ჩატაროს ძირითადი პროცედურები, რომლებიც სპეციალურად ამ რისკზე რეაგირებისათვის იქნება განკუთვნილი. როდესაც აუდიტორი ირჩევს მნიშვნელოვანი რისკების მიმართ მხოლოდ ძირითადი პროცედურების ჩატარების მიდგომას, მნიშვნელოვან რისკებზე მიმართულმა აუდიტორულმა პროცედურებმა უნდა მოიცვას ელემენტების ტესტები (იხ. პ. გ53)
550.18	ას 315-ში მოცემული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნის შესრულებისას, აუდიტორმა უნდა განახორციელოს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება; ამასთან, უნდა განსაზღვროს, აღნიშნული რისკებიდან რომელიმე მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს თუ არა. ამის დასადგენად აუდიტორმა გამოვლილი დაკავშირებულ მხარეთა მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომელიც სცილდება სამურნეო სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, უნდა მიიჩნიოს მნიშვნელოვანი რისკების წარმომქმნელ ოპერაციებად.
550.19	თუ აუდიტორი თაღლითობის რისკის ფაქტორებს აღმოაჩენს (იმ გარემოებების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია დომინანტური გავლენის ქონების დაკავშირებული მხარის არსებობასთან) დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში რისკის შესაფასებელი პროცედურებისა და სხვა შესაბამისი ქმედებების განახორციელებისას, აუდიტორმა ამგვარი ინფორმაცია უნდა გაითვალისწინოს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებისა და შეფასებისას ას 240-ის შესაბამისად. (იხ. პუნქტი გ6 და პუნქტები გ29-გ30)

## 10.1 ზოგადი მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც აუდიტორი გამოავლენს და შეაფასებს ბიზნესისა და თაღლითობის რისკებს, უკვე შეიძლება მნიშვნელოვანი რისკების დადგენა. მნიშვნელოვანი რისკი მაშინ არსებობს, როდესაც შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი იმდენად მაღალია, რომ აუდიტორის გადაწყვეტილებით საჭიროებს სპეციალურ განხილვას.

მნიშვნელოვანი რისკების შეფასება ხდება რისკის შესამცირებლად განკუთვნილი კონტროლის საშუალებების გათვალისწინებამდე. რისკის მნიშვნელოვნების შეფასება ყრდნობა თანდაყოლილ რისკს (შიდა კონტროლის შესაბამისი პროცედურის გათვალისწინებამდე) და არა კომბინირებულ რისკს (თანდაყოლილი და შიდა კონტროლის რისკების გათვალისწინებას). მაგალითად, ბრილიანტების დიდი მარაგის ქონების ქურდობის მაღალი თანდაყოლილი რისკი ექნება. ამ რისკისგან თავდაცვის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს მათი უსაფრთხოდ შენახვის სამუალებები. არსებითი უზუსტობის კომბინირებული რისკები შესაბამისად მინიმალური იქნება. თუმცა, დანაკარგის რისკი (შიდა კონტროლის გათვალისწინებამდე) მაღალია და მისი სიდიდე არსებით გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე. მაშასადამე რისკი შეფასდება, როგორც „მნიშვნელოვანი“.

## მიმოხილვაზე რჩევები

როდესაც ვიხილავთ მნიშვნელოვანი რისკის არსებობას, შესაძლოა გაგვიჭირდეს რისკის შესასუსტებლად განკუთვნილი შიდა კონტროლის შესაბამისი მექანიზმების ეფექტის იგნორირება. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ სიტუაციას, როცა აუდიტორი კარგად იცნობს იმ ადამიანებს, რომლებიც კონტროლის დანერგვას ახორციელებენ და, სავარაუდოდ, ძალიან კომპეტენტურები არიან იმაში, რასაც აკეთებენ.

## მიზანების რჩევები (გავრძელება)

აუცილებელია თანდაყოლილი რისკის განცალკევება არსებული კონტროლის საშუალებებისგან. მაგალითად, მოზრდილი, სრულწლოვანი ადამიანი მანქანებით დატვირთულ ქუჩაზე გადასვლას არ მიიჩნევს ძალიან სარისკოდ, რადგან ფიქრობს, რომ გამოიყენებს თვალებს, ყურებს და ქუჩაზე გადასვლის წინა გამოცდილებას, რათა ქუჩა უსაფრთხოდ გადაკვეთოს. მაგრამ რისკის ასეთი შეფასება თავის თავში აერთიანებს თანდაყოლილ რისკს, რომელიც ახლავს ქუჩის მეორე მსარეს გადასვლას და რამდენიმე კონტროლის საშუალებას (თვალების, ყურებისა და წინა გამოცდილების გამოყენება). იმის შესაფასებლად, არის თუ არა ქუჩის გადაკვეთა მნიშვნელოვანი რისკი (ე.ი. ნებისმიერი კონტროლის საშუალების გაუთვალისწინებლად), პიროვნებას თვალები უნდა ავუზვიოთ, ყურები დავუცვათ და ისე ვთხოვოთ ქუჩაზე გადასვლა.

### 10.2 მაგალითები

შემდეგ ცხრილში განხილულია მნიშვნელოვანი რისკის მაგალითები:

#### ცხრილი 10.2-1


წყაროები	მაგალითები
მაღალრისკიანი საქმიანობები	მოიცავს ოპერაციებსა და მოვლენებს, სადაც არსებითი უზუსტობა შეიძლება მარტივად წარმოიშვას. მაგალითად, იუვილერის ხელთ არსებული მაღალი ღირებულების ბრილიანტებისა და ოქროს ზოდების მარაგი, ან ახალი/როტული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის დანერგვა.
დიდი (ზომა ან ხასიათი) არასტანდარტული ოპერაციები	გამოვლენილი მნიშვნელოვანი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, რომლებიც სცილდება სამეურნეო სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, უნდა მიიჩნიოთ მნიშვნელოვანი რისკის წყაროდ. მოიცავს იშვიათ და დიდ ოპერაციებს. მაგალითად: <ul style="list-style-type: none"><li>• დაკავშირებულ მხარესთან შესრულებული უჩვეულო მოცულობის სტანდარტული, შაბლონური ოპერაციები;</li><li>• გაყიდვების ან მიწოდების დიდი ხელშეკრულება;</li><li>• მნიშვნელოვანი საწარმოო აქტივების ან ბიზნესის სეგმენტების შეძენა ან გაყიდვა; და</li><li>• მესამე მხარისთვის კომპანიის მიყიდვა.</li></ul> შაბლონური მარტივი ოპერაციები, რომლებიც სისტემურ დამუშავებას ეჭვმდებარება, სავარაუდოდ, არ წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს.
საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯას, ან ხელმძღვანელობის მხრიდან ჩარევას	მაგალითად: <ul style="list-style-type: none"><li>• ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრისთვის გამოყენებული დაშვებები და გამოთვლები;</li><li>• როტული გამოთვლები, ან სააღრიცხვო პრინციპები;</li><li>• ამონაგების აღიარება (სავარაუდო, მნიშვნელოვანი რისკის მქონე), რომელიც განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება;</li><li>• მონაცემების შეგროვება და დამუშავება მეტწილად ხელით; და</li><li>• როდესაც საჭიროა ხელმძღვანელობის მხრიდან ჩარევა, გამოსაყენებელი სააღრიცხვო მიღვომის განსაზღვრისთვის.</li></ul>

წყაროები	მაგალითები
თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობა	<p>თაღლითობით გამოწვეული (რომელიც, განზრახ ჩადენილი და განზრახ დაფარული ქმედება) არსებითი უზუსტობის ვერგამოვლენის რისკი უფრო მაღალია ვიდრე, შეცდომის ვერგამოვლენის რისკი.</p> <p>როდესაც აფასებთ, მნიშვნელოვანი რისკები გამოწვეულია თუ არა გამოვლენილი თაღლითობის რისკის ფაქტორებით და ჯგუფში იხილავთ გამოვლენილი თაღლითობის შესაძლო სცენარებსა და სქემებს (იხ. მე-2 ტომის მე-7 თავი), გაითვალისწინეთ შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოტენციური დამნაშავის მოხერხებულობა;</li> <li>• გაყალბებული ცალკეული თანხების შედარებითი სიდიდე;</li> <li>• ხელმძღვანელობის ან თანამშრომლის უფლებამოსილების დონე, რომელიც საშუალებას აძლევთ მათ: <ul style="list-style-type: none"> <li>– პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინონ სააღრიცხვო ჩანაწერების გაყალბება; და</li> <li>– გადაუხვიონ კონტროლის პროცედურებს.</li> </ul> </li> <li>• მანიპულაციის სიხშირე და ფარგლები;</li> <li>• ფარული შეთქმულების შესაძლო დონე;</li> <li>• აუდიტორისთვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება; და</li> <li>• წინა აუდიტის გამოცდილება ან სხვა პიროვნებების მიერ გამოხატული შემფოთება.</li> </ul> <p>მნიშვნელოვანი თაღლითობების რისკები შესაძლოა გამოვლინდეს აუდიტის ნებისმიერ სტადიაზე, მოპოვებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე.</p>

### 10.3 მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენა

თუ არსებითი უზუსტობის რისკები უკვე გამოვლენილი და შეფასებულია, აუდიტორს ევალება შედეგების მიმოხილვა და შემდეგ (პროფესიული განსჯის საფუძველზე) იმ რისკების შერჩევა, რომლებიც რეალურად მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუ რისკების შეფასება დიაგრამის სახით იყო წარმოდგენილი, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები (ვარსკვლავები მიუთითებს შეფასებულ რისკებზე), ორი რისკი იქნება ისეთი (დიდი სიდიდის და მაღალი ალბათობის მქონე), რომლებიც მიიჩნევა არსებით რისკად უპირველეს ყოვლისა.

ნახაზი 10.3-1



როდესაც იხილავს, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი რისკები, აუდიტორი ითვალისწინებს შემდეგ ცხრილში განხილულ საკითხებს:

განხილვა	
ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს შესაძლო „მნიშვნელოვან რისკებზე”	თაღლითობის რისკი.
	რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენებთან ეკონომიკის, ბუღალტრული აღრიცხვისა და სხვა სფეროებში და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.
	ოპერაციების სირთულე.
	დაკავშირებულ მხარეებთან შესრულებული მნიშვნელოვანი ოპერაციები.
	რისკთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შეფასებისთვის საჭირო სუბიექტურობის ხარისხი, განსაკუთრებით ისეთ შეფასებებში, რომლებიც მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის განუსაზღვრელობას.
	მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომლებიც სცილდება სამეურნეო სუბიექტის ჩვეულებრივი საქმინობის ფარგლებს, ან სხვა მხრივ ჩანს უჩვეულო.

მცირე სამეურნეო სუბიექტებში მნიშვნელოვანი რისკები ხშირად დაკავშირებულია ქვემოთ განხილულ საკითხებთან:

#### ცხრილი 10.3-2

განხილველი საკითხი/ინფორმაცია	მახასიათებლები
მნიშვნელოვანი არაშაბლონური ოპერაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>მაღალი თანდაყოლილი რისკი (ალბათობა და გავლენა (სიდიდე)).</li> <li>ოპერაციები, რომლებიც იშვიათად სრულდება და არ ექვემდებარება სისტემატურ დამუშავებას.</li> <li>უჩვეულოა მათი ხასიათის ან სიდიდის გამო (მაგალითად, სხვა სამეურნეო სუბიექტის შეძენა).</li> <li>ხელმძღვანელობის ჩარევის საჭიროება: <ul style="list-style-type: none"> <li>სააღრიცხვო მიდგომის დასადგენად;</li> <li>მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავებისთვის.</li> </ul> </li> <li>მოიცავს რთულ გამოთვლებს ან სააღრიცხვო პრინციპებს.</li> <li>ოპერაციების ხასიათის გამო, სამეურნეო სუბიექტს უჭირს რისკებზე ეფექტური შიდა კონტროლის საშუალებების დაწერვა.</li> </ul>
საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს	<ul style="list-style-type: none"> <li>მაღალი თანდაყოლილი რისკი.</li> <li>მოიცავს შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას (როგორიცაა სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლა).</li> <li>სააღრიცხვო პრინციპები შეიძლება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას ექვემდებარებოდეს (როგორიცაა, სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა ან ამონაგების აღიარება).</li> <li>ხელმძღვანელობის მიერ განსახორციელებელი მსჯელობა შეიძლება იყოს სუბიექტური, კომპლექსური, ან სამომავლო მოვლენების შედეგების მისაღებად საჭიროებდეს გარკვეული დაშვებების განსაზღვრას და გამოყენებას (როგორიცაა, მაგალითად, მსჯელობა რეალური ღირებულების შესახებ, ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება, რომელიც შეიძლება სწრაფად მოძველდეს და ა.შ.).</li> </ul>

განსახილველი საკითხი/ინფორმაცია	მასასიათებლები
მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკები	<ul style="list-style-type: none"> <li>შესაძლებელია არსებობდეს ძირითად ბიზნესპროცესებთან დაკავშირებული მცირე რაოდენობის საოპერაციო რისკები (მაგალითად, გაგზავნილი საქონელი, რომელზეც არ გამოიწერა ანგარიშ-ფაქტურა და არ აისახა რეალიზაციის სისტემაში), რომლებიც თუ არ შემცირდება, გამოიწვევს არსებით უზუსტობას ფინანსურ ანგარიშგებაში. როდესაც ზემოაღნიშნული რისკები საჭიროებს აუდიტორის მხრიდან სპეციალურ განხილვას, ისინი მიიჩნევა მნიშვნელოვან რისკებად. გარდა ამისა, თუ დამკვეთს არა აქვს ასეთი რისკების შემცირების კონტროლის მექანიზმები, მაშინ აუდიტორს ევალება, ხელმძღვანელობას აცნობოს, რომ შიდა კონტროლს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გააჩნია.</li> </ul>
თაღლითობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ამონაგების აღიარება. ეს არის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი რისკი.</li> <li>ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის გვერდის ავლა ან მიკერძოებულობა სააღრიცხვო შეფასებებში და ა.შ.</li> <li>ძირითად დაკავშირებულ მხარეებთან შესრულებული ოპერაციები, რომლებიც შესყიდვების ან გაყიდვების გასაზრდელად გამოიყენება.</li> <li>ფარული შეთანხმება მომწოდებლებთან ან მომხმარებლებთან (მაგალითად, არასამართლიან ფასზე).</li> <li>აღურიცხავი ან ფიქტიური ოპერაციები.</li> </ul>

#### 10.4. არსებით რისკებზე რეაგირება

როდესაც რისკი კლასიფიცირდება, როგორც „მნიშვნელოვანი“, აუდიტორს ევალება შემდეგი ზომების გატარება:

ცხრილი 10.4-1

მოქმედებები	აღწერა
შეაფასეთ თითოეულ მნიშვნე- ლოვან რისკზე რეაგირებისთვის განკუთვნილი შიდა კონტროლის საშუალების სტრუქტურა და როგორ მუშაობს პრაქტიკაში	<p>ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და დანერგა მნიშვნელოვანი რისკების შესამცირებელი შიდა კონტროლის მექანიზმები? გაითვალისწინეთ ისეთი პირდაპირი კონტროლის საშუალებების არსებობა, როგორიცაა კონტროლის პროცედურები და არაპირდაპირი (ყოვლისმომცველი, სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებები, რომლებიც შეიძლება იყოს კონტროლის გარემოს, რისკის შესაფასებელი პროცესის, საინფორმაციო სისტემებისა და მონიტორინგის პროცესის ნაწილი. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ გამოვლენილ რისკებზე ეფექტური რეაგირებისთვის სათანადო აუდიტორული პროცედურების განსაზღვრაში.</p> <p>როდესაც მნიშვნელოვანი არასტანდარტული საკითხები, ან საკითხები, რომლებიც განსჯას და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს, არ ექვემდებარება ტრადიციული, ტიპური შიდა კონტროლის მექანიზმებით კონტროლს (როგორიცაა, მაგალითად, რამე ერთჯერადი ან წლიური მოვლენა), აუდიტორი ადგენს, ცნობილია თუ არა ხელმძღვანელობისთვის ამ რისკების შესახებ და აფასებს რეაგირების მიზნით გატარებული ზომების აღმენების ტურობას. მაგალითად, თუ სამეურნეო სუბიექტმა შეიძინა სხვა საწარმოს აქტივები, მისი რეაგირება (კონტროლი) შეიძლება მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>დამოუკიდებელი შემფასებლის დაქირავებას შეძენილი აქტივების შესაფასებლად;</li> <li>შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების გამოყენებას; და</li> <li>ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციების სათანადო გამჟღავნებას.</li> </ul>

აუდიტის ეტაპები	აღწერა
(გავრძელება)	როდესაც აუდიტორი მიიჩნევს, რომ სელმბლგანელობამ არ მოახდინა სათანადო რეაგირება (მნიშვნელოვანი რისკების შესასუსტებლად შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვით), ეს ნიშნავს, რომ სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გააჩნია, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს (შეძლების-დაგვარად სწრაფად).
განსაზღვრეთ აუდიტორული პროცედურები გამოვლენილ მნიშვნელოვან რისკებზე რეაგირებისთვის	<p>მიესადაგება დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურები კონკრეტულად ამ მნიშვნელოვან რისკს? ეს პროცედურები იმგვარი უნდა იყოს, რომ აუდიტორმა მოიპოვოს მაღალი სანდოობის მქონე აუდიტორული მტკიცებულებები და შეიძლება მოიცავდეს კონტროლის ტესტებსა და მირითად პროცედურებს.</p> <p>ბევრ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული აუდიტორული პროცედურები შეიძლება მხოლოდ იმ პროცედურების გაფართოებას წარმოადგენდეს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში ტარდება. მაგალითად, თუ მნიშვნელოვანი რისკი ხელმძღვანელობის პოტენციურ მიკერძოებლობას უკავშირდება, მაგალითად, სააღრიცხვო შეფასების მომზადებაში, გაფართოებული მირითადი პროცედურები იქნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოყენებული დაშვებების დასაბუთებულობის (საიმედოობის) შეფასება;</li> <li>• საინფორმაციო წყაროებისა და გამოყენებული ინფორმაციის (როგორც შიდა, ისე გარე) სანდოობის დადგენა;</li> <li>• წინა პერიოდის სააღრიცხვო შეფასებებში მიკერძოებულობის არსებობის განხილვა რეალურ ფაქტებთან შედარებით; და</li> <li>• სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლებში გამოყენებული მეთოდების მიმხილვა (მათ შორის, ელექტრონულ ცხრილებში გამოყენებული ალგორითმების).</li> </ul>
არ დაეყრდნოთ წინა პერიოდებში მოპოვებულ მტკიცებულებებს	როდესაც აუდიტორი გეგმავს მნიშვნელოვანი რისკის შესაცირებლად განკუთვნილი კონტროლის პროცედურის ფუნქციონირების ეფექტიანობის შესამოწმებლად ტესტს, აუდიტორი შეიძლება არ დაეყრდნოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ წინა პერიოდში მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.
მხოლოდ ანალიზური მირითადი პროცედურების ჩატარება საქმარისი არ არის	<p>მხოლოდ ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარება არ მიიჩნევა მნიშვნელოვან რისკზე სათანადო რეაგირებად. როდესაც მნიშვნელოვანი რისკის მიმართ აუდიტორის მიერ გამოყენებული მიდგომა მხოლოდ ძირითადი პროცედურების ჩატარებას გულისხმობს, აუდიტორული პროცედურები შეიძლება შედგებოდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მხოლოდ ოპერაციებისა და ნაშთების ელემენტების ტესტებისგან; ან</li> <li>• ელემენტების ტესტებისა და ანალიზური ძირითადი პროცედურებისგან.</li> </ul>

## 10.5 მნიშვნელოვანი რისკების დოკუმენტირება

სამუშაო დოკუმენტებში უნდა აისახოს გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკები და დაგეგმილი საპასუხო ქმედებები (პროცედურები). თუ ყველა რისკის დოკუმენტირება ერთ ადგილზე მოხდება, მაშინ მნიშვნელოვანი რისკების დოკუმენტირება შეიძლება იყოს უკვე დოკუმენტირებული ინფორმაციის გაგრძელება.

**შენიშვნა:** თუ აუდიტორი დასაკვნის, რომ ამონაგების აღიარება არ წარმოადგენს თაღლითობით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშების არსებით რისკს, ასეთი დასკვნის არგუმენტებიც უნდა აისახოს აუდიტის დოკუმენტაციაში.

## 10.6 სასწავლო მაგალითები – მნიშვნელოვანი რისკები

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – „შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის“.

მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენა შესაძლებელია რისკის ფაქტორების სიდან (რესტრიდან) და მათი შეფასებებიდან. იხილეთ მეორე ტომის მე-8 და მე-9 თავებში სასწავლო მაგალითების განხილვაში მოცემული ფორმები. ასეთი ფორმების გამოყენება შესაძლებელია თითოეული მნიშვნელოვანი რისკის დასაკავშირებლად დეტალურ აუდიტის გეგმასთან. ყოველი გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკისთვის სამუშაო დოკუმენტებში უნდა აისახოს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები და რა აუდიტორული პროცედურები დაიგეგმა კონკრეტულ რისკზე რეაგირებისთვის.

### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

(ამონარიდი)

მნიშვნელოვანი რისკი	ხელმძღვანელობის რეაგირება	აუდიტორის რეაგირება	სდ-ის მითითება
შესაძლებელია ბანკის დაფინანსების პირობების დარღვევა?	უკლადი სახსრების პროცენტების მომზადება და მონიტორინგი. დაფინანსების თანხის სიდიდისა და ვადების შესახებ ხელახალი მოლაპარაკება.	<p>გავეცნობით კომპანიის ზრდის გეგმებს და შევაფასებთ, რეალისტურია თუ არა გამოთვლილი ფულადი სახსრების პროცენტები.</p> <p>გავაანალიზებთ და ერთმანეთს შევდარებით ფაქტობრივ შედევებსა და ფულადი სახსრების პროცენტებს.</p> <p>დავრწმუნდებით, რომ დებიტორული დავალიანებისა და მარაგის შეფასებები (სესხების უზრუნველყოფა) გონივრულია.</p> <p>განვიხილავთ კომპანიის მიერ ბანკისთვის წარდგენილ სესხის რეფინანსირების განაცხადს.</p> <p>გავეცნობით ბანკიდან მიღებულ ნებისმიერ პასუხს/კორესპონდენციას.</p>	(არ არის შეტანილი)
შეიძლება გაყალბებული იყოს ფინანსური ანგარიშებება, ბანკის სახელშეკრულებით პირობების დარღვევის თავითან ასაცილებლად?	არანაირი. ხელმძღვანელობა საერთოდ არ მიიჩნევს ამას რისკად.	<p>შერადღებით განვიხილავთ ფულადი სახსრების პროცენტების გამოსათვალეად გამოყენებულ დაშვებებსა და საფუძველის, რომლის მიხედვითაც ფაქტობრივი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშები მზადდება (ხელმძღვანელობისთვის).</p> <p>დავრწმუნდებით, რომ დებიტორული დავალიანებისა და მარაგის შეფასების საფუძველი გონივრული და სწორია. ყურადღებით ჩავატარებთ რეალიზაციის არსებობისა და სისწორის ტესტებს, რადგან არსებობს ზეწოლა რეალიზაციის დონეების შენარჩუნებასა და გაზრდაზე, რომელი გონიმიკური გარემოს მიუხდავთ.</p>	

მნიშვნელოვანი რისკი	ხელმძღვანელობის რეაგირება	აუდიტორის რეაგირება	სდ-ის მითითება
ამონაგების არასათანადოდ აღიარება (სავარაუდო თაღლითობის რისკი)	500 კვრობზე მეტი ღირე- ბულების რეალიზაციის ხელშეკრულებებს იხილავს რეალიზაციის განყოფილების უფროსი.	გაცეცხობით ძირითად (მსხვილ) ხელშეკრულებებს (და პატარა ხე- ლშეკრულებების შერჩევით ერთო- ბლიობას) და რეალიზაციის გან- ყოფილების უფროსთან ერთად გა- ნვიხილავთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამონაგები სათანადოდ იყო აღიარებული მოცემულ პერიოდში.	
არასანქცირე- ბული საბუღალტრო გატარებები	ხელმძღვანელობა დაუ- თანხმა ისეთი პოლიტიკის შემოღებას, რომელიც ით- ვალისწინებს ყველა საბუ- ღალტრო გატარების დამ- ტკიცებას, მაგრამ ჯერ ეს არ გაქოთებულა.	გამოვავლენთ და განვიხილავთ ყველა საბუღალტრო გატარებას, რომელიც 1,500 კვროს აღემატება და ასევე საანგარიშგებო თარიღის წინა და მომდევნო ერთი თვის ყველა გატარებას.	
დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების გაფართოება	კომპანიის ოპლიტიკის თანახმად დაკავშირებულ მხარეთა ყველა ოპერაცია კლასიფიცირდება ასეთად და რეალიზაციის ოპერა- ცია სრულდება რეალიზა- ციის სტანდარტული პი- რობებით. აქ იგულისხმება ნებისმიერი კორპორა- ციული აქტივი ან მომსა- ხურება, რომელიც ხელმ- ძღვანელობის ან თანამ- შრომელთა პირადი მიზნებისთვის გამოიყენება.	გამოკითხვისა და დათვალიერების პროცედურების მეშვეობით გავარკ- ვეთ, ცნობილია თუ არა თანამშ- რომელებისთვის აღნიშნული პოლი- ტიკა.  დავრწმუნდებით, რომ ხელმძღვანე- ლობას გამოვლენილი აქს დაკავ- შირებულ მხარეთა ყველა ოპერა- ცია და რეალიზაციის პირობები, ოპერაციების ხასიათი და თარიღუ- ბი ნამდვილად შესაფერისია.	

მოამზადა: ფქ  
მიმოიხილა: ლფ

თარიღი: 20X2 წ. 9 დეკემბერი  
თარიღი: 20X3 წ. 5 იანვარი

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

მემო ფაილისთვის: „კუმარი და კომპანია“

მნიშვნელოვანი რისკის გამოვლენა

ქვემოთ განხილულია გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკის მქონე სფეროები, მათ შორის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები და რისკებზე რეაგირების მიზნით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები.

ეკონომიკის ვარდის

ეკონომიკის ვარდის გამო, კომპანია ძალიან არ დაზარალებულა. თუმცა, რაჯმა პერიოდულად უნდა განიხილოს ბანკის სახელშეკრულებო პირობების გამოთვლები, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს ამას მიმდინარე პერიოდში, რომლის აუდიტსაც ვატარებთ. ჩვენ თვითონ ხელახლა გამოვთვლით ყველა კოეფიციენტს, რათა დავინახოთ, რა მდგომარეობაშია სახელშეკრულებო პირობების შესრულება. გარდა ამისა, ჩვენ უფრო მეტ აუდიტორულ პროცედურებს ჩავატარებთ იმ სფეროების აუდიტის დროს, რომლებიც ზემოაღნიშნულ გამოთვლებში მონაწილეობს. რისკი უფრო იზრდება იმის გამო, რომ კომპანია ახლოსაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის ზღვართან და შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფინანსური ანგარიშების მანიპულაციას.

გადასახადების მაქსიმალურად შემცირება

ხელმძღვანელობას არა აქვს დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონკრეტულად ამ საკითხს შეეხება. ზემოაღნიშნულ რისკზე რეაგირების მიზნით, ყურადღებით შევამოწმებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილ შეფასებებსა და საბუღალტრო გატარებებს (იხილეთ ქვემოთ).

არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები

რაჯმა უნდა გასცეს ნებართვა ყველა საბუღალტრო გატარებაზე, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. ჩვენ გამოვავლენთ და მიმოვინარებოთ ყველა საბუღალტრო გატარებას, რომელიც აღემატება 500 ევროს და ასევე საანგარიშგებო თარიღის წინა და მომდევნო ერთი თვის ყველა გატარებას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, დაკავშირებულ მხარეთა ყველა ოპერაცია კლასიფიცირდება ასე-თად და მათზე ვრცელდება რეალიზაციის ჩვეულებრივი პირობები. გამოკითხვისა და დათვალიერების გზით გავარკვევთ, ცნობილია თუ არა რაჯისა და რუბისთვის აღნიშნული პოლიტიკა. დავრწმუნდებით, რომ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ოპერაცია, რეალიზაციის პირობები, ოპერაციების ხასიათი და თარიღები ნამდვილად შესაფერისია. აუდიტის მსვლელობისას ასევე ყურადღებით ვიქენებით, რათა გამოვავლინოთ ისეთი ოპერაციები, რომლებიც სცილდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს და დავრწმუნდეთ, რომ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ოპერაცია ნამდვილად გამოვლენილია.

ამონაგების აღიარება

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების აღიარების პოლიტიკა საკმაოდ მარტივია; ამასთან, „კუმარის“ პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია ხორციელდება „დეფტა ავეჯზე“. დროში გამიჯვნის მტკიცებასა და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მიმართული იყო ამონაგების არსწორი აღიარებით თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობის გამოვლენაზე.

მოამზადა: უკ

თარიღი: 20X2 წ. 9 დეკემბერი


მიმოიხილა: ლუ

თარიღი: 20X3 წ. 5 იანვარი

# 11. შიდა კონტროლის მესტაპლა

თავის შინარსი	შესაბამისი ასს-ები
<p>მითითებები აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის შესწავლის ეტაპების შესახებ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონტროლის სტრუქტურისა და მუშაობის შეფასება; და</li> <li>• დოკუმენტირება ორი შესაძლო მეთოდით.</li> </ul>	315

სქემა 11.0-1



## შენაშენები:

1. გაეცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საჭითების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოიხოვება.
2. დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
3. აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.4	<p>ასს-ების მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მტკიცებები – სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მკაფიოდ ან სხვაგვარად წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში და აუდიტორი იყენებს სხვადასხვა ტიპის პოტენციური უზუსტობების განსახილევლად;</li> <li>ბ) ბიზნესის რისკი – მნიშვნელოვანი პირობებით, მოვლენებით, გარემოებებით, ქმედებებით ან უმოქმედობით განპირობებული რისკი, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს სამეურნეო სუბიექტის უნარზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და განახორციელოს თავისი სტრატეგია, ან არასათანადო მიზნებისა და სტრატეგიის განსაზღვრით განპირობებული რისკი;</li> <li>გ) შიდა კონტროლი – პროცედურული პროცესი, რომელიც დააპროექტეს, დანერგეს და ამჟავებენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები, ხელმძღვანელობა და სხვა პერსონალი, რათა უზრუნველყონ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ მიღწეულია სამეურნეო სუბიექტის მიზნები, რომელიც ეხება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საიმედოობას, ოპერაციების მწარმოებლურობასა და ეფექტიანობას, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას. ტერმინი „კონტროლი“ ეხება შიდა კონტროლის ერთი ან მეტი კომპონენტის ნებისმიერ ასპექტს.</li> </ul>
315.12	<p>აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნას აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლზე. მართალია, აუდიტისთვის შესაფერისი კონტროლის პროცედურების უმეტესობა, სავარაუდოდ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ კონტროლის პროცედურებიდან ყველა არ არის აუდიტისთვის შესაფერისი. იმის დადგენა, ესა თუ ის კონტროლის პროცედურა, ინდივიდუალურად თუ სხვა პროცედურებთან ერთად, არის თუ არა აუდიტისთვის შესაფერისი, აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია. (იხ.: პუნქტი გ42-გ65)</p>
315.14	<p>აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას კონტროლის გარემოზე. ამ მიზნით, სხვასთან ერთად, აუდიტორმა უნდა შეაფასოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ხელმძღვანელობამ, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობით, ჩამოაყალიბა და ინარჩუნებს თუ არა პატიოსნების კულტურასა და ეთიკურ ქცევას; და</li> <li>ბ) კონტროლის გარემოს ელემენტების ძლიერი შხარები ერთობლივად უზრუნველყოფს თუ არა სათანადო საფუძველს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებისთვის და ამ სხვა კომპონენტებს ზიანს ხომ არ აყენებს კონტროლის გარემოში არსებული ნაკლოვანებები. (იხ.: პუნქტი გ69-გ78)</li> </ul>
315.15	<p>აუდიტორმა უნდა გაარკვიოს, არსებობს თუ არა სამეურნეო სუბიექტში პროცედურული პროცესი, რომელიც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გამოავლენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნების შესაბამის ბიზნესის რისკებს;</li> <li>ბ) შეაფასებს ამ რისკების მნიშვნელობას;</li> <li>გ) შეაფასებს მათი ხდომილობის აღბათობას; და</li> <li>დ) გადაწყვეტილებას მიღებს ამ რისკების მართვისთვის საჭირო ზომების შესახებ. (იხ.: პუნქტი გ79)</li> </ul>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.18	<p>აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნას ფინანსური ანგარიშების შესაფერისი საინფორმაციო სისტემის შესახებ, შესაბამისი ბიზნესპროცესების ჩათვლით, მათ შორის, შემდეგ სფეროებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) სამეურნეო სუბიექტის ოპერაციებიდან ისეთი კატეგორიის სამეურნეო ოპერაციებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშებისთვის;</li> <li>ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიური და მანუალური სისტემების პროცედურებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ სამეურნეო ოპერაციების ინიცირება, დოკუმენტირება, დამუშავება, საჭიროების მიხედვით შესწორება, მთავარ წიგნში გადატანა და ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენა;</li> <li>გ) დაკავშირებულ სააღრიცხვო ჩანაწერებზე, დამხმარე ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშებაში ასახულ კონტრეტულ ანგარიშებზე, რომლებიც გამოიყენება სამეურნეო ოპერაციების ინიცირების, დოკუმენტირების, დამუშავებისა და ანგარიშების მიზნით; ამაში შედის არასწორი ინფორმაციის შესწორება და როგორ არის ეს ინფორმაცია გადატანილი მთავარ წიგნში. ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს ხელით მომზადებული, ან ელექტრონული ფორმის;</li> <li>დ) როგორ რეაგირებს საინფორმაციო სისტემა ოპერაციების კატეგორიების გარდა სხვა მოვლენებსა და პირობებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშებისთვის;</li> <li>ე) ფინანსურ ანგარიშების წარდგენის პროცესზე, რომელიც გამოიყენება სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშების, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაცია მოსამზადებლად; და</li> <li>ვ) საბუღალტო გატარებებთან, მათ შორის, არასტანდარტულ გატარებებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ერთჯერადი ან არაორდინარული ოპერაციების, ან კორექტირებების ჩასაწერად.</li> </ul> <p>(იხ.: პუნქტები გ81-გ85)</p>
315.19	<p>აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას, როგორ ახორციელებს სამეურნეო სუბიექტი ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის, ასევე ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების ინფორმირებას, მათ შორის: (იხ.: პუნქტები გ86-გ87)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის კომუნიკაციისა; და</li> <li>ბ) გარეშე მხარეებთან, მაგალითად, მარეგულირებელ ორგანოებთან კომუნიკაციის შესახებ.</li> </ul>
315.20	<p>აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას აუდიტისთვის შესაფერისი ისეთი მაკონტროლებელი საქმიანობის შესახებ, რომლის შესწავლასაც აუდიტორი აუცილებლად მიიჩნევს არსებითი უზუსტობის რისკების შესაფასებლად მტკიცების დონეზე და ისეთი დამატებითი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრისთვის, რომლებიც განკუთვნილია შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის. აუდიტი არ მოითხოვს ყველა ისეთი სახის მაკონტროლებელი საქმიანობის შესწავლას, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშებაში ასახულ სამეურნეო ოპერაციების თითოეულ მნიშვნელოვან კატეგორიასთან, ანგარიშის ნაშთთან და განმარტებით შენიშვნასთან, ან ამ მაკონტროლებელი საქმიანობის შესაბამის თითოეულ მტკიცებასთან. (იხ.: პუნქტები გ88-გ94)</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.21	სამეურნეო სუბიექტის მაკონტროლებელი საქმიანობის შესწავლისას, აუდიტორმა უნდა გაარკვიოს, როგორი რეგისტრაცია მოახდინა სამეურნეო სუბიექტმა საინფორმაციო ტექნოლოგით გამოწვეულ რისკებზე. (იხ.: პუნქტები გ95-გ97)
315.22	აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას იმ ძირითად საქმიანობაზე, რომელსაც იყენებს სამეურნეო სუბიექტი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მონიტორინგის დროს, მათ შორის, ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია აუდიტისთვის შესაფერის მაკონტროლებელ საქმიანობასთან, ასევე იმაზე, როგორ ახდენს სამეურნეო სუბიექტი კონტროლის პროცედურებში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებელი ზომების ინიცირებას. (იხ.: პუნქტები გ98-გ100)

## 11.1 ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში განვიხილავთ, რა სამუშაო უნდა ჩატარდეს აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის შესასწავლად. 1-ლი ტომის მე-5 თავში ჩვენ გავეცანით შიდა კონტროლის არსებ და დეტალურად განვიხილავთ შიდა კონტროლის 5 კომპონენტი. მე-2 ტომის მე-12 თავში გავეცნობით შიდა კონტროლის შეფასების ოთხსაფეხურიან მიდგომას.

შიდა კონტროლი აღნიშნავს პროცესებს, პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებსაც ხელმძღვანელობა ქმნის სანდო ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად. შიდა კონტროლი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შიდა კონტროლისადმი ხელმძღვანელობის დამოკიდებულება, სამეურნეო სუბიექტის წამყვანი პერსონალის კომპეტენცია, რისკის შეფასება, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა ფინანსური საინფორმაციო სისტემები, ასევე ტრადიციულ კონტროლის საშუალებებს.

აუდიტორი ყველა აუდიტში ვალდებულია ნათელი წარმოდგენა შეიქმნას დამკეთის შიდა კონტროლის შესახებ. ეს ეხება ნებისმიერი ზომის სამეურნეო სუბიექტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ აუდიტორს უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ არსებით უზუსტობის რისკებზე რეგისტრირებისთვის მიზანმეტნილია არსებითობის შემოწმების მიდგომის (მხოლოდ ძირითადი პროცედურების ჩატარება) გამოყენება.

აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის სათანადო დონეზე შესწავლა მოიცავს რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარებას, რომლის მიზანია გამოვლინდეს კონტროლის საშუალებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ამცირებს არსებით უზუსტობებს. მოპოვებული ინფორმაცია აუდიტორს დაეხმარება:

- შეაფასოს არსებითი უზუსტობის ნარჩენი რისკი (თანდაყოლილი და კონტროლის რისკი) ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეზე;
- განსაზღვროს დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია შეფასებულ რისკებზე რეგისტრირებისთვის.

თუმცა, ყველა კონტროლის მექანიზმი შესაფერისი არ არის აუდიტის თვალსაზრისით და, შესაბამისად, არ საჭიროებს შესწავლას. აუდიტორი მხოლოდ აფასებს კონტროლის ისეთ საშუალებებს, რომლებიც ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკს. კონტროლის ისეთი საშუალებები, რომლებიც აუდიტისთვის შესაფერისი არ არის, შეიძლება საერთოდ არ იქნეს გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმების სამუშაოებში.

## 11.2 რისკი და კონტროლი

რისკისა და კონტროლის შორის დამოკიდებულება ნაჩვენებია შემდეგ სქემაზე.

სქემა 11.2-1

### სამეურნეო სუბიექტის მიზანი

ისეთი ფინანსური ანგარიშების მომზადება, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობას



თანდაყოლილი ბიზნესისა და თაღლითობის რისკების გამოვლენა ხდება რისკის იდენტიფიკაციისა და რისკის შეფასების ეტაპზე. ხელმძღვანელობა ასეთ რისკებს ამცირებს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავებითა და დანერგვით, რომლებიც მისაღებ დაბალ დონემდე ამცირებს ამგვარ რისკებს. შიდა კონტროლის მექანიზმების განსაზღვრისა და დანერგვის შემდეგ დარჩენილი რისკი არის არსებითი უზუსტობის რისკი (ზოგჯერ უწოდებენ ნარჩენ რისკს).

იდეალურ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ უნდა დანერგოს საკმარისი კონტროლის საშუალებები, რათა უზრუნველყოს ნარჩენი რისკის შემცირება მისაღებ დაბალ დონემდე, როგორც შიდა მმართველობითი მიზნების, ისე გარე აუდიტის მიზნებისთვის. პრაქტიკაში ზოგი ხელმძღვანელი დასაშენებად მიიჩნევს მაღალ რისკს (ე.ი. ნაკლებ კონტროლის საშუალებებს ნერგავს, რაც იწვევს უფრო მაღალ ნარჩენ რისკს), ხოლო სხვები (ხშირად საჯარო სექტორში) უფრო კონსერვატორები არიან და ნერგავნებ ისეთი კონტროლის საშუალებებს, რომლებიც რისკს თითქმის ნულამდე შეამცირებს.


### მიზანების რჩევაზე

შიდა კონტროლის ერთადერთი მიზანი რისკის შემცირებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტროლის ნებისმიერ მექანიზმს აზრი ეკარგება და ზედმეტია. მაშასადამე, ჯერ რისკი უნდა არსებობდეს, სანამ ხელმძღვანელობა მის შესამცირებლად ზომებს მიიღებს კონტროლის რომელიმე მექანიზმის დანერგვით. თუმცა, ზოგიერთი აუდიტორი ამ ფაქტს უგულებელყოფს. ისინი შიდა კონტროლის შეფასებას იწყებენ სისტემისა და არსებული კონტროლის საშუალებების დოკუმენტირებით იქამდე, სანამ დაადგენენ, სინამდვილეში რომელი რისკები საჭიროებს შემცირებას. ასეთმა მიდგომამ შეიძლება არასაჭირო სამუშაოს შესრულება გამოიწვიოს ისეთი პროცესებისა და კონტროლის საშუალებების დოკუმენტირებისას, რაც მოვაინებით აუდიტის მიზნებისთვის შეიძლება სრულიად გამოისადეგარი აღმოჩნდეს.

## 11.3 ყოვლისმომცველი და სპეციფიკური შიდა კონტროლის საშუალებები

შიდა კონტროლის საშუალებები შეიძლება ზოგადად დაიყოს ყოვლისმომცველ (ანუ სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებებად, რომლებიც რეაგირებს ყოვლისმომცველ რისკებზე და სპეციფიკურ (საოპერაციო) კონტროლის საშუალებებად, რომლებიც რეაგირებს კონკრეტულ რისკებზე. შემდეგ სქემაზე იღუსტრირებულია ამგვარ კონტროლის საშუალებებს შორის განსხვავებები.

სქემა 11.3-1



ცხრილი 11.3-2

	აღწერა
ყოვლისმომცველი (სამურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებები	<p>ყოვლისმომცველი (სამურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებები მიმართულია სამურნეო სუბიექტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობისა და მმართველობით პროცესებზე და ემსახურება ერთიანი კონტროლის გარემოს, ანუ სამურნეო სუბიექტის „გენერალური ხაზის“ ჩამოყალიბებას. ტიპური კონტროლის პროცესები მოიცავს შრომით რესურსებს, თაღლითობას, რისკის შეფასებას (ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის გვერდის ავლა), საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო მართვას, ფინანსური ინფორმაციის მომზადებას (მათ შორის, ფინანსური ანგარიშგებისა და სააღრიცხვო შეფასებების, ა.შ) და ოპერაციების უწყვეტ მონიტორინგს. მცირე სამურნეო სუბიექტებში ზემოაღნიშნული კონტროლის საშუალებები, ძირითადად, მიმართული იქნება ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე პატიოსნებისა და შიდა კონტროლის მიმართ.</p> <p>შიდა კონტროლის ყოვლისმომცველი ელემენტების (საშუალებების) საკმარის დონეზე შესწავლა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის აუდიტისთვის შესავარისი, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული საოპერაციო დონის (ბიზნესპროცესი) კონტროლის საშუალებების შეფასებისთვის. მაგალითად, თუ სამურნეო სუბიექტის დონეზე მონაცემთა სამეცნიერო კონტროლის საშუალებები არადამატაყოფილებელია, ეს გავლენას იქონიებს ისეთი სისტემების მიერ შექმნილ მთელი ინფორმაციის სანდობაზე, როგორიცაა გაყიდვები, შესყიდვები და ხელფასები.</p>

აღწერა
<p><b>სპეციფიკური (საოპერაციო) კონტროლის საშუალებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერაციები სათანადო აისახებოდეს ბუღალტრულად ფინანსური ანგარიშების მომზადების მიზნით;</li> <li>• სააღრიცხვო ჩანაწერები დეტალურად იწარმოებოდეს იმ დონეზე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ზესტად და სამართლიანად აისახოს ყველა ოპერაცია და აქტივების გასვლა;</li> <li>• ფულადი სახსრების მიღება და დანახარჯების გაწევა ხდებოდეს მხოლოდ ხელმძღვანელობის ნებართვით; და</li> <li>• ადგილი არ ჰქონდეს აქტივების არასანქცირებულ შემცნას, გამოყენებას ან გასხვისებას, ან ამგვარი ფაქტები დროულად გამოვლინდეს.</li> </ul> <p>საოპერაციო დონის კონტროლის პროცედურები მოიცავს სტანდარტულ, ტიპურ ოპერაციებს (როგორიცაა ამონაგება, შესყიდვები და ხელფასები) და ასევე არასტანდარტულ ოპერაციებსაც (როგორიცაა, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შესყიდვა და ბიზნესის ახალი მიმართულების დაწყებასთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა).</p>


#### 11.4 შედა კონტროლის ზუთი კომპონენტი

სამურნეო სუბიექტში არსებული სხვადასხვა სახის შიდა კონტროლის მექანიზმი დაყოფილია 5 კომპონენტად, როგორც ნაჩვენებია შემდეგ სქემაზე.

თთოეულ ამ კომპონენტზე:

- აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის შესწავლის სავალდებულო პროცედურის ფარგლებში; და
- მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით დაადგინოს, რა გავლენის მოხდენა შეუძლია აუდიტზე შიდა კონტროლის სხვადასხვა ასპექტს.

სქემა 11.4-1




**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯლმდევნელო მცირე და საშუალო საწარმოთ აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

შემდეგ სქემაზე იღუსტრირებულია შიდა კონტროლის 5 კომპონენტის ურთიერთდამოკიდებულება ყოვლისმომცველ (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებებსა და სპეციფიკურ საოპერაციო (ბიზნესპროცესის) კონტროლის საშუალებებში.

**სქემა 11.4-2**

**ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ანგარიშები და განმარტებითი შენიშვნები**



**სამეურნეო ოპერაციები**

ყოვლისმომცველი, სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები ერთობლიობაში უზრუნველყოფს შესაფერის საფუძველს შიდა კონტროლის ყველა სხვა კომპონენტისთვის, რადგან სამეურნეო სუბიექტის დონის არადამაკმაყოფილებელ კონტროლის საშუალებებს შეუძლია ბიზნესპროცესების საუკეთესო კონტროლის საშუალებებიც კი არაუფექტური გახადოს, მაგალითად, სამეურნეო სუბიექტს შეიძლება გააჩნდეს ეფექტური შესყიდვების სისტემა, მაგრამ თუ ბუღალტერი არაკომპეტენტურია (ე.ი. კონტროლის გარემო ცუდია), შეიძლება მრავალი შეცდომა იქნეს დაშვებული, რაც, სავარაუდოდ, არსებით უზუსტონას გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში. ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის გვერდის ავლა და არადამაკმაყოფილებელი „გენერალური საზი“ (რაც, ძირითადად, სამეურნეო სუბიექტის დონეზე გვხვდება) არადამაკმაყოფილებელი კორპორაციული ქცევის ტიპური მაგალითებია.

**მიმღებელობაზე რჩევები**

სამეურნეო სუბიექტის ზომისა და სირთულის მიხედვით განსხვავებული იქნება ის გზები, რომლითაც სამეურნეო სუბიექტი განსაზღვრავს და ნერგავს მისთვის საჭირო შიდა კონტროლის საშუალებებს. მცირე სამეურნეო სუბიექტებში შეიძლება მესაკუთრე-მმართველმა შეასრულოს ისეთი ფუნქციები, რომლებიც მიმართულია შიდა კონტროლის რამდენიმე კომპონენტზე.

## 11.5 შიდა კონტროლი მცირე სამეურნეო სუბიექტებში

მცირე სამეურნეო სუბიექტებში ხშირად ცოტა თანამშრომელი მუშაობს, რამაც შეიძლება შეზღუდოს:

- მოვალეობების დანაწილების შესაძლებლობა; და
- დოკუმენტაციის სახით არსებული შესაფერისი კვალის მიგნება.

ასეთ სამეურნეო სუბიექტებში შიდა კონტროლი ხშირად წარმოდგენილია კონტროლის გარემოს სახით (ხელმძღვანელობის ერთგულება ეთიკური ღირებულებებისადმი, მისი კომპეტენცია, კონტროლის მიმართ დამოკიდებულება და ყოველდღიური ქმედებები), საოპერაციო დონის სპეციფიკური კონტროლის საშუალებების ნაცვლად. კონტროლის გარემოს შეფასების პროცესი საკმაოდ განსხვავდება ტრადიციული კონტროლის პროცედურების შეფასებისგან, რადგან მოიცავს ხელმძღვანელობის ქცევის, დამოკიდებულების (პოზიციის), კომპეტენციისა და მოქმედებების შეფასებას. ასეთი შეფასებების დოკუმენტირებისთვის ხშირად გამოიყენება მემორანდუმის ფორმატი, ან კითხვარი.

მესაკუთრე-მმართველის მაღალი ხარისხის ჩართულობა ხშირად შიდა კონტროლის სიძლიერისა და სისუსტის მაჩვნებელია. კონტროლის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნებას (მისი კომპეტენციის გათვალისწინებით) ეცოდინება ოპერაციების ყველა ასპექტი და ძალიან მცირეა არსებითი უზუსტობის გამორჩენის აღღათობა. კონტროლის სისუსტე გამოიხატება იმ შესაძლებლობაში, რომელიც პიროვნებას უქნება იმისათვის, რომ გადაუხვიოს დადგენილ შიდა კონტროლს პირადი ინტერესებისთვის.

### მნიშვნელოვანი რჩევები

#### დადგინეთ ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებები

მცირე სამეურნეო სუბიექტების აუდიტს უკავშირდება გარკვეული ცდურება: აუდიტორმა შეიძლება იგულისხმოს, რომ არ არსებობს შიდა კონტროლი და, შესაბამისად, არ საჭიროებს შესწავლას. თუმცა, ნებისმიერ სამეურნეო სუბიექტს, რომელსაც სურს საქმიანობის გაგრძელება, რაღაც ფორმით მაიც ექნება შიდა კონტროლი. მაგალითად, კომპანიის რომელ ხელმძღვანელს არ ანალებს, შემოსული ფული დეპონირდება თუ არა ბანკში, ან გამოიწერა თუ არა გაგზავნილ საქონელზე ანგარიშ-ფაქტურები?

#### განიხილეთ, როგორ უნდა მოიპოვოთ მტკიცებულებები ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებების არსებობაზე

იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე-მმართველი ან ანალოგიური თანამდებობის პირი ამტკიცებს ოპერაციებს და ყურადღებით მიმოიხილავს ფინანსურ შედეგებს, კონტროლს შეიძლება გააჩნდეს მტკიცების დონეზე უზუსტობების თავიდან აცილების ან გამოვლენის ეფექტი. თუ ასეთი ტიპის კონტროლის სანდოობა შეამცირებს სხვა ძირითადი პროცედურების ჩატარების საჭიროებას, განიხილეთ, შესაძლებელია თუ არა ამგვარი კონტროლის საშუალებების არსებობაზე მტკიცებულებების მოძიება, როგორიცაა, მაგალითად, ამა თუ იმ ანგარიშზე, ან შეჯერების მასალებზე (უწყისებზე) ხელმოწერა, რაც ამ სამუშაოს მიმოხილვის ან დამტკიცების მაჩვნებელია. შემდგომში ასეთი მტკიცებულების გამოყენება შესაძლებელია კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირებისთვის.

## 11.6 შიდა კონტროლის არარსებობა

თეორიულად ყველა სამეურნეო სუბიექტს გააჩნია შიდა კონტროლი ამა თუ იმ ფორმით, როგორიცაა, მაგალითად მესაკუთრე-მმართველის კომპეტენცია (კონტროლის გარემო). იგი შეიძლება იყოს არაფორმალური და მარტივი, მაგრამ მაინც შიდა კონტროლია. სამეურნეო სუბიექტი, რომელიც არ ზრუნავს მის ბიზნესთან დაკავშირებული ძირითადი რისკების შემცირებაზე (კონტროლის ისეთი კომპანენტების გამოყენებით, როგორიცაა, კონტროლის გარემო, რისკის შეფასება, საინფორმაციო სისტემები, მაკონტროლებელი საქმიანობა, ან მონიტორინგი) საეჭვოა, რომ ბიზნესში დიდ ხანს დარჩეს.

როდესაც სამეურნეო სუბიექტში არ არსებობს ბევრი კონტროლის საშუალება, აუდიტორმა უნდა გათვალისწინოს:

- შესაძლებელია თუ არა განსახილველ მტკიცებებზე რეაგირება დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, რომლებიც, არსებითად, ძირითადი პროცედურები იქნება; ან
- მაკონტროლებელი საქმიანობების, ან კონტროლის სხვა კომპონენტების არარსებობა (იშვიათ შემთხვევებში) შეუძლებელს ხომ არ ხდის საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას.

სხვა საკითხები, რომლებიც კითხვებს ბადებს იმის თაობაზე, უნდა ჩატარდეს თუ არა აუდიტი:

- ხელმძღვანელობის პატიოსნება, არაეთიკური ქცევა ან შიდა კონტროლის მიმართ ცუდი დამოკიდებულება. კონტროლის გარემოს ნაკლი ძირს უთხრის კონტროლის სხვა კომპონენტებში არსებულ კონტროლის საშუალებებს. გარდა ამისა, წარმოშობს ხელმძღვანელობის თაღლითობის რისკსა და იმის რისკს, რომ ხელმძღვანელობა არასწორ ინფორმაციას მიაწვდის აუდიტორებს; და
- სამეურნეო სუბიექტის ჩანაწერების მდგომარეობა და სანდოობა, რაც საეჭვოს ხდის საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების არსებობას, რომელიც საფუძვლად ედება უპირობო აუდიტორულ მოსაზრებას.

თუ ამგვარი ან მსგავსი პრობლემები არსებობს, აუდიტორმა უნდა განიხილოს, საჭირო იქნება თუ არა აუდიტორის დასკნის მოლიტიცირება, ან საერთოდ გარიგებიდან გამოსვლა. თუ აუდიტორი გარიგებიდან გამოსვლას აირჩევს, მან უნდა გათვალისწინოს პროფესიული და სამართლებრივი პასუხისმგებლობები, მათ შორის, ვალდებულება იმისა, რომ ამის შესახებ უნდა აცნობოს იმ პირებს, რომლებმაც დანიშნეს სამეურნეო სუბიექტის აუდიტორად და ასევე მარეგულირებელ ორგანოებს. გარდა ამისა, დავალების შესრულების შეწყვეტის საკითხი და მისი მიზეზები აუდიტორმა უნდა განიხილოს სათანადო დონის ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან.

## 11.7 კონტროლის საშუალებები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს თაღლითობას (თაღლითობის საწინააღმდევო კონტროლის საშუალებები)

მცირე სამეურნეო სუბიექტებში ხელმძღვანელობის მხრიდნ შიდა კონტროლის იგნორირების შემთხვევების შემცირება ან შეფერხება ხშირად შესაძლებელია ძირითადი პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრითა და შემდეგ მათი დოკუმენტირებით. მაგალითად, წერილობითი პოლიტიკა, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა არასტანდარტული საბუღალტრო გატარება მოითხოვს დამტკიცებას, სამეურნეო სუბიექტის ბუღალტერს ოფიციალურ უფლებამოსილებას აძლევს, ყოველთვის მოსთხოვის მენეჯერს (რომელიც საბუღალტრო გატარებას ითხოვს) ახსნა-განმარტების დაწერა და ხელმოწერით დამტკიცება. ამან შეიძლება ყოველთვის ხელი ვერ შეუშალოს უფროს მენეჯერს შეუსაბამო საბუღალტრო გატარების მოთხოვნაში, მაგრამ შეიძლება მისი თაღლითორი ქმედების საკმარისი შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. თუ სამეურნეო სუბიექტში თაღლითობით საწინააღმდევო პოლიტიკა და პროცედურები არ მოქმედებს, ხელმძღვანელობის მხრიდნ შიდა კონტროლის იგნორირების რისკზე რეაგირება აუდიტორს მოუწევს სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებით.


**შენიშვნა:** კონტროლის საშუალებები, რომლებიც ეხება ისეთი მარეგულირებელი წესების დაცვას, რომლებიც შესაფერისი არ არის აუდიტისთვის (ანუ, როდესაც დარღვევა არ გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებით უზუსტობას) არ საჭიროებს აუდიტის პროცესში რეაგირებას.

## 11.8 აუდიტისთვის შესაფერისი შედა კონტროლის საშუალებები (გამოკვლევის სიღრმე)

ყველა კონტროლის საშუალება არ არის შესაფერისი აუდიტისთვის და არ საჭიროებს შესწავლას. აუდიტორს აინტერესებს მხოლოდ ისეთი კონტროლის საშუალებების შესწავლა და შეფასება, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობების რისკს შეამცირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიდა კონტროლის გარკვეული საშუალებები შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული აუდიტის სამუშაოებში, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ სქემაზე. ეს ისეთი კონტროლის საშუალებებია, რომლებიც:

- დაკავშირებული არ არის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან (როგორიცაა, მაგალითად, საოპერაციო დონის კონტროლის საშუალებები და კონტროლის საშუალებები, რომლებიც არე-გულირებს მარეგულირებელი ნორმების დაცვას); და
- არარსებობის შემთხვევაშიც კი, ნაკლებად სარწმუნოა, რომ გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგე-ბაში არსებით უზუსტობას.

### სქემა 11.8-1



ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს ფინანსური კონტროლის საშუალებებისა და ოპერაციებთან და შესაბამისობის მიზნებთან დაკავშირებული კონტროლის საშუალებების ნაწილობრივი თანხვედრა. ამის მაგალითია კონტროლის საშუალებები, დაკავშირებული მონაცემებთან, რომლებსაც აუდიტორი აფასებს, ან იყენებს სხვა აუდიტორულ პროცედურებში, კერძოდ:

- ანალიზური პროცედურებისთვის საჭირო მონაცემები (მაგალითად, წარმოების სტატისტიკური მონაცემები);
- კონტროლის საშუალებები, რომლებიც ავლენს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას;
- აქტივების დაცვის კონტროლის საშუალებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას განეკუთვნება; და
- სამურნეო სუბიექტში შექმნილი ისეთი ინფორმაციის სისტორისა და სისრულის კონტროლის საშუალებები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სამურნეო სუბიექტის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გამოთვლების საფუძველს.

კონტროლის საშუალებები, რომლებიც ყოველთვის აუდიტის შესაფერისია, მოიცავს ისეთ კონტროლის საშუალებებს, რომლებიც ამცირებს შემდეგ ცხრილში განხილულ რისკებს:

### ცხრილი 11.8-2

	აღწერა
მნიშვნელოვანი რისკები	მნიშვნელოვანი რისკები არის გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკები, რომელთა მიმართ მხოლოდ ძირითადი პროცედურების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.
რისკები, რომლებზეც ძირითადი პროცედურებით აღვილად რეაგირება შეუძლებელია	ეს არის გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკები, რომელთა მიმართ მხოლოდ ძირითადი პროცედურების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.
არსებითი უზუსტობის სხვა რისკები	ეს არის გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკები, რომლებმაც, აუდიტორის პროფესიული მისაზრებით, შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს არსებითი უზუსტობები.

აუდიტორის მსჯელობაზე, არის თუ არა კონკრეტული კონტროლის პროცედურა აუდიტისთვის შესაფერისი, გავლენას ახდენს:

- აუდიტორის ცოდნა შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებში კონტროლის საშუალებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. თუ კონკრეტულ რისკზე უკვე მოხდა რეაგირება (მაგალითად, კონტროლის გარემოს, საინფორმაციო სისტემის და ა.შ. მეშვეობით), მაშინ აღარ არის საჭირო დამატებითი კონტროლის საშუალებების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება არსებობდეს;
- რამდენიმე კონტროლის პროცედურის არსებობა, რომლებიც ერთი მიზნის მიღწევას ემსახურება. აუცილებელი არ არის ასეთ მიზანთან დაკავშირებული ყველა კონტროლის პროცედურის შესწავლა;
- გარევეული მთავარი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ფუნქციონირების ეფექტურობის შემოწმების საჭიროება. მაგალითად, თუ არ არსებობს რეალიზაციის ოპერაციების სისრულის ტესტირების პრაქტიკული საშუალება (ე.ი. ძირითადი პროცედურების შესრულებით), საჭირო გახდება არსებული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ფუნქციონირების ეფექტიანობის შემოწმება; და
- ასევე რა გავლენას იქნიებს კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირება ჩასატარებელი ძირითადი პროცედურების მოცულობაზე (ე.ი. მათ შემცირებაზე).

პროფესიული მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება არის საჭირო იმის დასადგენად, შიდა კონტროლის ესა თუ ის პროცედურა ინდივიდუალურად, ან სხვებთან ერთობლიობაში არის თუ არა ნამდვილად აუდიტისთვის შესაფერისი.

## მნიშვნელოვანი რჩევები

### ზემოდან ქვემოთ და რისკზე დაფუძნებული მიღვომა აუდიტში

აუდიტორის მიერ შიდა კონტროლის შესწავლა უნდა განხორციელდეს „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომით. პირველი ნაბიჯი იქნება შესაფერისი სამეურნეო სუბიექტის დონისა და საოპერაციო რისკების გამოვლენა, ხოლო შემდეგ იმის დადგენა, ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ზომები არის თუ არა აღეკვატური.

სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებების საფუძვლიანად შესწავლა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ფუნდამენტს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული, აუდიტისთვის შესაფერისი, საოპერაციო (ბიზნესპროცესის) დონის კონტროლის საშუალებების შეფასებისთვის. მაგალითად, თუ სუსტია მონაცემთა საიმედოობის უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები, ეს გავლენას მოახდენს მაგალითად, გაყიდვების, შესყიდვებისა და ხელფასების სისტემების მიერ შექმნილი ყველანაირი ინფორმაციის სანდოობაზე.

### მაგალითი

შიდა კონტროლის შესწავლის „ზემოდან ქვემოთ“ და რისკზე დაფუძნებული მიღვომები მოიცავს:

- თითოეული მნიშვნელოვანი ანგარიშის ნაშთისთვის შესაფერისი ბიზნესპროცესების (მათ შორის სააღრიცხვო) გამოვლენას;
- ყოველი გამოვლენილი პროცესისთვის იმის განსაზღვრას, შესაძლებელია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზრუნველყოფის გამოწვევა, ან არსებობს თუ არა სხვა ფაქტორები, რომლებიც მას აუდიტისთვის შესაფერისს გახდის; და
- აუდიტის სამუშაოებიდან ისეთი პროცესებისა და კონტროლის საშუალებების გამორიცხვა, რომლებიც არ არის აუდიტისთვის შესაფერისი.

მაგალითად, ორცხობილის მწარმოებელ კომპანიას შეიძლება გააჩნდეს შემდეგი პროცესები, რომლებიც განსაზღვრავს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ციფრს:

- რეალიზაციის შეკვეთების მთავარი სისტემა ტელეფონით იღებს ინფორმაციას შეკვეთების შესახებ და ახორციელებს ზედამხედველობას ყოველი მიღებული შეკვეთის შესრულების მდგომარეობაზე. სატელეფონო გაყიდვები მოლიანი რეალიზაციის 70%-ს შეადგენს;

### მიზანების რჩევები (გავრძელება)

- „ფანჯრის გაყიდვები“ ხდება მაშინ, როცა დაფშვნილ ორცხობილას კლიენტები ყიდულობენ ქარხნის უკანა მხარეს მდებარე პატარა მაღაზიდან. მაღაზიდან რეალიზაცია შეადგენს მთლიანი რეალიზაციის 2%-ს;
- ინტერნეტგაყიდვები – შეკვეთების განთავსება ხდება ონლაინ რეჟიმში და გადახდა წარმოებს საკრედიტო ბარათებით. ინტერნეტგაყიდვები შეადგენს მთლიანი რეალიზაციის 28%-ს;
- სააღრიცხვო სისტემა აფიქსირებს ინფორმაციას ყველანაირი ტიპის რეალიზაციის შესახებ. ასეთ სიტუაციებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ფანჯრის გაყიდვებმა“ გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა ფინანსურ ანგარიშგებაში და, შესაბამისად, შეიძლება გამოირიცხოს აუდიტში ჩასატარებელი სამუშაოდან. თუმცა, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს აუდიტორი, მაინც გონივრული იქნება:
- გამოკითხვის ჩატარება „ფანჯრის გაყიდვებთან“ დაკავშირებული შიდა კონტროლის საშუალებების არსებობის თაობაზე იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ამგვარი რეალიზაცია ბუღალტრულად აისახება და არ ხდება ორცხობილის განზრას დამტკრევა, რათა დაკავშირებულ მხარეს დაბალ ფასად მიჰყიდონ; ან
- ჩატაროთ ორცხობილის ნამტკრევების რეალიზაციის ანალიზური მიმოხილვა, რათა დარწმუნდეთ, რომ „ფანჯრის გაყიდვები“ არ აჭარბებს მთლიანი რეალიზაციის მოსალოდნელ 2%-ს.

### 11.9 სასწავლო მაგალითები – აუდიტისთვის შესაფერისი კონტროლის საშუალებების გამოვლენა

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ 1-ლი ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

ვინაიდან ყველა ბიზნესპროცესი და კონტროლის საშუალება არ არის აუდიტისთვის შესაფერისი, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ფინანსური ანგარიშგების რომელი სფეროები და რომელი კონტროლის საშუალებები იქნიებან არსებით გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

იმის დასადგენად, ფინანსური ანგარიშგების რომელი ნაწილები და მასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესები უნდა დაექვემდებაროს აუდიტს, სახელმძღვანელოდ გამოიყენეთ საერთო არსებითობა, რათა განსაზღვროთ:

- ფინანსური ანგარიშგების რომელი ნაწილები არის ან შეიძლება იყოს არსებითი; და
- სამეურნეო სუბიექტის დონის რომელი კონტროლის საშუალებები და ბიზნესპროცესები არის აუდიტისთვის შესაფერისი.

შეგიძლიათ აღარ გააგრძელოთ არაარსებითი ნაშთების, ოპერაციების, ბიზნესპროცესებისა და კონტროლის საშუალებების შემდგომი განხილვა, სადაც, სავარაუდოდ, ადგილი არ ექნება არსებითი უზუსტობის წარმოქმნას. თუმცა, სანამ ამ საკითხებს გამორიცხავთ აუდიტში ჩასატარებელი სამუშაოებიდან, გაითვალისწინეთ:

- არაარსებითი უზუსტობების შესაძლო დაგროვება, რამაც ერთობლიობაში შეიძლება არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს; და
- არის თუ არა ფინანსური ანგარიშგების ესა თუ ის ნაწილი (შესაბამისი თანხები) შემცირებული თაღლითობის ან შეცდომის გამო.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

<b>ფინანსური ანგარიშგების დონე</b> გამოვლენილი ყოვლისმომცემელი რისკები	გამოავლინეთ ნებისმიერი პროცესი, რომელიც რისკებს ამცირებს
სამეურნეო სუბიექტის დონის და საინფორმაციო ტექნიკოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები	ბიზნესის დაგეგმვის წლიური ციკლი, ხელმძღვანელობის/მესაკუთრის ყოველთვიური შეხვედრები, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, საინფორმაციო ტექნიკოლოგიების ბიუჯეტები, ხელმძღვანელობის ყოველდღიური მონაწილეობა ოპერაციებში.
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანებები, ფულადი სახსრების მიღების პროცესი, მოკლევადიანი ინვესტიცია (30-დან 60 დღემდე), დეპოზიტები ბანკში, ბანკის ამონაწერების შეჯერება და ფულადი სახსრების მართვა.
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	ამონაგები, დებიტორული დავალიანებები, ფულადი სახსრების მიღების პროცესი, ვადაგადაცილებული ანგარიშების შეფასება, აქტივების გაყიდვა.
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგი)	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, გადახდის პროცესი, მარაგის მართვა, ინვენტარიზაცია, დაძველებული მარაგის შეფასება.
ძირითადი საშუალებები	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, გადახდის პროცესი, ამორტიზაციის გამოთვლა, აქტივების კაპიტალიზაცია, აქტივების გაყიდვა.
ბანკის დავალიანებები	დებიტორული დავალიანებები, ფულადი სახსრების მიღების პროცესი, ბანკის ამონაწერების შეჯერება და ფულადი სახსრების მართვა.
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, ხელფასები, გადახდის პროცესი, გამოთვლა ან ჩამოწერა, კაპიტალიზაცია ან აქტივები.
მოგების გადასახადის დავალიანება	მოგების გადასახადის ანარიცხის შექმნა.
პროცენტიანი სესხი	ფინანსური ხარჯები, ბანკის ამონაწერების შეჯერების პროცესი.
კაპიტალი და რეზერვები	კაპიტალის (აქციების) ემისია/გამოსყიდვა, დივიდენდები
რეალიზაცია	ამონაგები, დებიტორული დავალიანებები, ფულადი სახსრების მიღების პროცესი (მათ შორის, ნარჩენების გაყიდვა ნაღდ ფულზე, ინტერნეტით რეალიზაცია, სტანდარტული ავეჯის (კატალოგით გაყიდვა) და რეალიზაცია ინდივიდუალური შეკვეთებით).
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, ხელფასები, გადახდის პროცესი, მარაგის კორექტირება.
კომერციული დანახარჯები	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, ხელფასები, გადახდა.
ადმინისტრაციული დანახარჯები	შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები, ხელფასები, გადახდა.
ცვეთა	ცვეთისა და ამორტიზაციის გამოთვლა.
ფინანსური დანახარჯი	ფინანსური ხარჯები, ბანკის ამონაწერების შეჯერების პროცესი.
მოგების გადასახადები	მოგების გადასახადის ანარიცხის შექმნა.

მომზადა: ფას თარიღი: 20X3 წლის 18 თებერვალი.

მიმოზიდა: ლფ თარიღი: 20X3 წლის 5 მარტი.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

მემო ფაილისთვის: ფინანსური ანგარიშგების არსებითი ნაწილებისა და პროცესების შეფასება  
სამეცნიერო სუბიექტის დონისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის  
საშუალებები

- რაჯი ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ბანკისთვის ამზადებს წლიურ ბიუჯეტს.
- რაჯი ბანკის მენეჯერს უკავშირდება კვარტალში ერთხელ, როდესაც ფინანსური ანგარიშგება ბანკში იგზავნება.
- რაჯი, როგორც წესი, ფინანსურ ანგარიშგებას იხილავს სურაჯთან და ჯავადთან ერთად, რადგან „დეფტა“ აქციონერია და ასევე იმიტომ, რომ რაჯი აფასებს მათ წვლილს და ჯავადის ცოდნას ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსებში.

არ არსებობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ფორმალური სტრუქტურა და პროცესი. რაჯი საჭიროებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას, რომელი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფა უნდა შეიცვალოს. მართალია, რაჯი უზრუნველყოფს, რომ რუბიმ კვირაში ერთხელ შექმნას სააღრიცხვო მონაცემების სარეზერვო ასლები, მაგრამ არ არსებობს სისტემის მწყობრიდან გამოსვლის (ავარიული) შემთხვევისთვის სარეზერვო გეგმა, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების დოკუმენტირებული პროცესი.

### ფინანსური ანგარიშგების არსებითი ნაწილები

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების გარდა, რომელთა სიდიდე იცვლება პერიოდიდან პერიოდამდე, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა ნაწილი არსებითია. შესაბამისად, აუდიტში უნდა მოვიცვათ შემდეგი ბიზნესპროცესები:

ბიზნესპროცესი	ფინანსური ანგარიშგების არსებითი სფეროები, რომელზეც ზემოქმედებს ბიზნესპროცესი
დებიტორული დავალიანებები/ფულადი სახსრების მიღება.	ამონაგები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.
ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების ანგარიშების შეფასება.	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და უიმედო ვალების ხარჯი.
რეალიზაციის პროცესი (ნაღდ ფულზე რეალიზაცია, შეკვეთებით რეალიზაცია).	ამონაგები.
შესყიდვები, კრედიტორული დავალიანებები და გადახდა.	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, ძირითადი საშუალებები, მარაგი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ხარჯების მუხლები (კატეგორიები).
ხელფასები.	ხელფასების ხარჯი.
გადასახადების დარიცხვა და გადახდა.	შემოსავალი, ხელფასები და დღგ.
მარაგის შეფასება და მართვა.	შესყიდვები და მარაგი.
ბანკის ამონაწერების (ანგარიშების) შეჯერება.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, პროცენტიანი სესხი, საპროცენტო ხარჯი.
ცვეთისა და ამორტიზაციის გამოთვლა.	ძირითადი საშუალებები და ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი.


მოამზადა: უკ თარიღი: 20X3 წლის 18 ოქტომბერი.

მიმოიხილა: ლუ თარიღი: 20X3 წლის 5 მარტი.

## 12. შიდა კონტროლის შევასება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები კონტროლის სტრუქტურისა და მუშაობის შეფასების ოთხი ძირითადი საფეხურისა და შედეგების დოკუმენტირების შესახებ.	315

სქემა 12.0-1



### შენაშენები:

- გაცენით ასს 230-ს, რათა გააგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მოელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
315.13	აუდიტისთვის შესაფერისი კონტროლის პროცედურების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა, სამეურნეო სუბიექტის პერსონალის გამოკითხვასთან ერთად, სხვა პროცედურებიც უნდა ჩაატაროს, რათა შეაფასოს კონტროლის პროცედურების სტრუქტურა და განსაზღვროს, დანერგილია თუ არა ისინი. (იხ.: პუნქტები გ66-გ68)
315.29	თუ აუდიტორმა დაადგინა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, მან უნდა შეისწავლოს ამ რისკთან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებები, მათ შორის, მაკონტროლებელი საქმიანობები. (იხ.: პუნქტები გ124-გ126)

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
315.32	<p>აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს:</p> <p>ა) გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის ჩატარებული განხილვა იმ საკითხების, რომელსაც მოითხოვს მე-10 პუნქტი და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები;</p> <p>ბ) შეძენილი ინფორმაციის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ეხება მე-11 პუნქტში მითითებულ სამეცნიერო სუბიექტისა და მისი გარემოს თითოეულ ასპექტს, ასევე მე-14-24-ე პუნქტებში მითითებულ შიდა კონტროლის თითოეულ კომპონენტს; საინფორმაციო წყაროები, რომლის საფუძველზეც აუდიტორმა შეისწავლა ეს საკითხები, ასევე ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურები;</p> <p>გ) ფინანსური ანგარიშებისა და კონკრეტული მტკიცების დონეზე გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი, როგორც მოითხოვება 25-ე პუნქტით; და</p> <p>დ) გამოვლენილი რისკები და დაკავშირებული კონტროლის პროცედურები, რომელთა შესახებაც აუდიტორმა წარმოდგენა შეიქმნა 27-30-ე პუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე. (იხ.: პუნქტები გ131-გ134)</p>

## 12.1 ზოგადი მიმოხილვა

იმის მიუხედავად, ჩატარდება თუ არა კონტროლის ტესტები აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად, მანც აუცილებელია, რომ აუდიტორმა ყოველ გარიგებაში შეაფასოს შიდა კონტროლის სისტემის სტრუქტურა და ფაქტობრივი მუშაობა. ეს არის ოთხსაფეხურიანი პროცესი, რომელიც მოკლედ განხილულია შემდეგ ცხრილში.

### ცხრილი 12.1-1

აღწერა	
1-ლი საფეხური – რომელი რისკები საჭიროებს შემცირებას?	გამოვლინეთ არსებითი უზუსტობის თანდაყოლილი რისკები (ბიზნესისა და თაღლითობის რისკები) და დაადგინეთ, ყოვლისმომცველი რისკებია ისინ (რომლებიც გავლენას ახდენს ყველა მტკიცებაზე), თუ სპეციფიკური რისკები (რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშების კონკრეტულ სფეროებსა და მტკიცებებზე).
მე-2 საფეხური – ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული კონტროლის საშუალებები ამცირებს რისკს?	<p>გამოვლინეთ, რომელი ბიზნესპროცესები არსებობს (თუკი საერთოდ არსებობს):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაესაუბრეთ სამეცნიერო სუბიექტის პერსონალს, რათა დაადგინოთ, რომელი კონტროლის საშუალებები ამცირებს 1-ელ საფეხურზე გამოვლენილ რისკებს.</li> <li>• გაანალიზეთ შედეგები და შეაფასეთ, ნამდვილად ამცირებს თუ არა კონტროლის საშუალებები ამ რისკებს;</li> <li>• აცნობეთ ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს სამეცნიერო სუბიექტის შიდა კონტროლში გამოვლენილი წებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.</li> </ul> <p>მსხვილ სამეცნიერო სუბიექტებში ამ ეტაპზე შეიძლება საჭირო იყოს ზოგიერთი სისტემის დოკუმენტაციის მომზადება ან მასზე მითითება (თუ ხელმძღვანელობას აქვს მომზადებული) (იხილეთ მე-3 საფეხური), რათა გამოჩნდეს კონტროლის საშუალებების მოქმედების გარკვეული ასპექტები.</p>
მე-3 საფეხური – რეალურად მოქმედებს კონტროლის საშუალებები, რომლებიც ამცირებს რისკის ფაქტორებს?	<p>დაკვირვების, ან დათვალიერების მეშვეობით შეამოწმეთ შესაბამისი შიდა კონტროლის საშუალებების მუშაობა, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი მართლაც დანერგილია. გაითვალისწინეთ, ხელმძღვანელობის გამოკითხვა საკმარისი არ არის იმის შესაფასებლად, ნამდვილად მოქმედებს თუ არა განსახილველი კონტროლის პროცედურა.</p> <p>ეს საფეხური ხშირად შეიძლება გაერთიანდეს მე-2 საფეხურთან.</p>

აღწერა
<p><b>მე-4 საფეხური – დოკუმენტირებულია შესაბამისი კონტროლის საშუალებების ფუნქციონირება?</b></p> <p>ეს ეტაპი შეიძლება გულისხმობდეს მირითადი პროცესების მარტივი თხრობითი აღწერილობის (რომელიც მომზადებულია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის ან აუდიტორის მიერ) დოკუმენტირებას, რომელიც მოიცავს გამოვლენილი შესაბამისი შიდა კონტროლის საშუალებების მუშაობის დასასიათებას.</p> <p>ეს დოკუმენტაცია <b>არ</b> მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესპროცესის ან სამეურნეო სუბიექტის დოკუმენტბრუნვის დეტალურ აღწერას; ან</li> <li>• შიდა კონტროლის ისეთ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება არსებობს, მაგრამ არ არის აუდიტისთვის შესაფერისი.</li> </ul>

ნახაზი 12.1-2

### 1-ლი საფეხური – რისკის იდენტიფიკაცია

რომელ რისკებს შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის გამოწვევა, თუ მათ არ შეამცირებს შიდა კონტროლის საშუალებები?

### მე-2 საფეხური – შიდა კონტროლის სტრუქტურის შეფასება

არსებობს ისეთი კონტროლის საშუალებები, რომლებსაც ეფექტურად შეუძლია 1-ელ საფეხურზე გამოვლენილი არსებითი უზუსტობების თავიდან აცილება, ან გამოვლენა და გასწორება?

დიახ არა

**მე-3 და 4 საფეხურები**  
შიდა კონტროლის მუშაობის  
შეფასება და დოკუმენტირება  
არსებობს კონტროლის პროცედურები და  
იყენებს სამეურნეო სუბიექტი მათ?

ხელმძღვანელობისა და მართვის  
უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა  
ინფორმირება შიდა კონტროლის  
სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სამუშაო დოკუმენტებში დააფიქსირეთ შედეგები და გამოტანილი დასკვნები

**შენიშვნა:** რამდენად კარგადაც არ უნდა იყოს შიდა კონტროლი დაპროექტებული და დანერგილი, გარკვეული თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, მას შეუძლია მხოლოდ მოგვცეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, მიღწეულია თუ არა სამეურნეო სუბიექტის მიზნები საიმედო ფინანსური ან გარიშების მომზადების თაობაზე.


ცხრილი 12.1-3

აღწერა
<p><b>შიდა კონტროლის შეზღუდვები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის მსჯელობისა და ვადაწყვეტილების მიღების საჭიროება და მარტივი ადამიანური შეცდომების დაშვების შესაძლებლობა.</li> <li>• შიდა კონტროლის ჩაშლა ორი ან მეტი პირის ფარული შეთქმულებით.</li> <li>• შიდა კონტროლის გვერდის ავლა ხელმძღვანელობის მიერ, მაგალითად, რეალიზაციის ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ან მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტის არგათვალისწინება.</li> </ul>

მე-2 ტომის მე-11 თავში განხილულია შიდა კონტროლის შესწავლის სავალდებულო მოთხოვნის შესრულების ასპექტები. 1-ლი ტომის მე-5 თავში აღწერილია შიდა კონტროლის არსი და დეტა-ლურად დახასიათებულია შიდა კონტროლის ხეთივე კომპონენტი.

## 12.2 1-ლი საფეხური – რომელი რისკები საჭიროებს შემცირებას?

### სქემა 12.2-1



სანამ აუდიტორი დაიწყებს შიდა კონტროლის იმ საშუალებების დოკუმენტირებას, რომლებიც შეიძლება არსებოდეს, მან ჯერ უნდა დაადგინოს და შემდეგ შეაფასოს არსებული მნიშვნელოვანი რისკები და სხვა რისკის ფაქტორები. სხვა შემთხვევაში, აუდიტორი შიდა კონტროლს ისე შეაფასებს, რომ არ ეცოდინება, რომელი რისკები საჭიროებს შემცირებას შიდა კონტროლის მიერ.

რისკების იდენტიფიკაცია (გამოვლენა) განხილული იყო მე-2 ტომის მე-8 თავში. რისკები, რომლებიც შემცირებას საჭიროებს, შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი და უკავშირდებოდეს ფინანსური ანგარიშების ბევრ სფეროსა და მტკიცებას, ან სპეციფიკური, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშების კონკრეტულ სფეროებსა და მტკიცებებს.

შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია რისკის ზოგიერთი ტიპური წყარო და კონტროლის ტიპური საშუალებები, რომლებსაც შეუძლია ამგვარი რისკების შემცირება.

### სქემა 12.2-2

რა შეიძლება იყოს მცდარი?	რისკის წყარო	რისკის შესამცირებელი კონტროლის საშუალებები
<b>არასამედო ფინანსური ანგარიშები (ყოვლისმომცველი რისკები)</b>	გარე დარგობრივი ფაქტორები; სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა; სააღრიცხვო პოლიტიკა; მიზნები და ამოცანები; ეფექტურობის მაჩვენებლები; თაღლითობა.	სამეურნეო სუბიექტის დონის კონტ-როლის საშუალებები და პროცესები; საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები; საოპერაციო კონტროლის საშუალებები.
<b>ფინანსური ანგარიშების მომზადებისას წარმოქმნილი უზუსტობები (ყოვლისმომცველი რისკები)</b>	სააღრიცხვო შეფასებები; ანარიცხები; სააღრიცხვო პოლიტიკა; ელექტრონული ცხრილების გამოყენება; არასტანდარტული ოპერაციები; საბუღალტრო გატარებები, შეკვერებები; ფ/ა-ის განმარტებითი შენიშვნების მისამზადებლად საჭირო ინფორმაცია.	სამეურნეო სუბიექტის დონის კონტ-როლის საშუალებები; საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები; საოპერაციო კონტროლის საშუალებები.
<b>ოპერაციები, რომლებიც არ დამუშავდა, ან სათანადოდ არ აისახა ბუღალტრულად (სპეციფიკური რისკები)</b>	ნებადართული ოპერაციების იდენტიფი-კაცია/აღრიცხვა; ოპერაციის კლასიფიკაცია; შეფასება, დროში გამივინა; აქტივების დაცვა.	საოპერაციო კონტროლის საშუალებები; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებითი კონტროლის საშუალებები; სამეურნეო სუბიექტის დონის ზოგიერთი კონტროლის საშუალება.

როდესაც უკვე მომზადებული გექნებათ ბიზნესპროცესის შესაფერისი რისკის ფაქტორების სია, სა-სარგებლო იქნება (მაგრამ არა სავალდებული):

- სიიდან ამოიღოთ ნებისმიერი რისკის ფაქტორი, რომელიც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გა-მოიწვევს არსებით უზუსტობას მაშინაც კი, თუ მისი შემცირება არააირი შიდა კონტროლის საშუალებით არ მოხდარა. კონტროლის საშუალებები, რომლებიც ასეთ რისკებზე რეაგირებს, აუდიტისთვის შესაფერისი არ არის;
- რისკის ფაქტორების აღწერა შეცვალოთ და ისეთი სიტყვებით აღწეროთ, როგორც შეეფერება კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის კონკრეტულ გარემოებებს;
- უზრუნველყოთ, რომ ყველა მნიშვნელოვან მტკიცებაზე მოხდეს რეაგირება;
- განიზიღოთ, არსებობს თუ არა კიდევ სხვა ისეთი რისკები (სამეურნეო სუბიექტის და საოპერა-ციონ დონის), რომელსაც შეუძლია არსებითი უზუსტობის გამოწვევა, თუ ისინი არ შემცირდება.

### მიზანების რჩევები

ზოგიერთი სამეურნეო სუბიექტი შეიძლება იყენებდეს სპონსორი ორგანიზაციების კომიტეტის (COSO) მიერ გამოკვეთებულ დოკუმენტს „შიდა კონტროლის საფუძვლები“, სადაც აღწერილია შიდა კონტროლის ტიპური მიზნები და პროცედურები. თუ აუდიტში ამგვარ მიღობას გამოიყენ-ებთ, ზემოთ აღწერილ საფეხურებს მოჰყვება შემდეგი საფეხურები:

- სიიდან ამოიღეთ კონტროლის ისეთი მიზნები (ან რისკის ფაქტორები), რომლებიც ნაკლებ-ად საგარაუდოა, რომ გამოიწვევს არსებით უზუსტობას შიდა კონტროლის არასებობის შემთხვევაშიც კი;
- სიას დაუმატეთ ნებისმიერი სხვა კონტროლის მიზნები (რისკის ფაქტორები), რომელმაც მოცემული სამეურნეო სუბიექტისთვის შეიძლება გამოიწვიოს უზუსტობა, თუ არ შემცირ-დება; და
- გამოვლინეთ ფინანსური ანგარიშების ისეთი სფეროები და მტკიცებები, რომლებზეც გავ-ლენას ახდენს რისკის ფაქტორები.

### 12.3 მე-2 საფეხური – ხელმძღვანელობის მიერ შემუშვებული კონტროლის საშუალებები ამცირებს რისკს?

სქემა 12.3-1



იმისათვის რომ შეაფასოთ, სათანადოდ შეიმუშავა თუ არა ხელმძღვანელობამ შიდა კონტროლის სტრუქტურა, უნდა დაადგინოთ, გამოვლენილი კონტროლის საშუალებები (ინდივიდუალურად ან სხვა კონტროლის საშუალებებთან ერთად) რეალურად შეამცირებს თუ არა რისკის ფაქტორს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა განიხილოთ, შეუძლია თუ არა შიდა კონტროლს ეფექტურად:

- აღკვეთოს არსებითი უზუსტობები, პირველ რიგში; ან
- გამოვლინოს უკვე მომხდარი არსებითი უზუსტობა და შემდეგ გაასწოროს.

რეკომენდებულია, რომ შიდა კონტროლის სტრუქტურის შეფასება ყოვლისმომცველი კონტროლის საშუალებებით დაიწყოთ. ასეთი ტიპის კონტროლის საშუალებები ქმნის მნიშვნელოვან ფუნდამენტს სპეციფიკური (საოპერაციო) კონტროლის საშუალებების სტრუქტურისა და ფუნქცი-ონირების ეფექტიანობის შესაფასებლად.

ამ ეტაპზე ზოგიერთმა აუდიტორმა (განსაკუთრებით მსხვილი და ორგანიზაციულად რთული სამეურნეო სუბიექტის შემოწმების შემთხვევაში) შესაძლოა სასარგებლოდ მიჩნიოს სამეურნეო სუბიექტის მიერ მომზადებული ინფორმაციის მოპოვება, სადაც აღწერილია ბიზნესპროცესი, სამეურნეო სუბიექტის დუკუმენტბრუნვის პროცესი და რომელი კონტროლის საშუალებები არსებობს. თუმცა, ეს არ არის ასეს-ების სპეციალური მოთხოვნა.

პრაქტიკში, რისკის შესამცირებელი შეიდა კონტროლის საშუალებების რისკის ფაქტორებთან (ან კონტროლის მიზნებთან) დასაკავშირებლად, ძირითადად, გამოიყენება ორი გზა. წინამდებარე სახელმძღვანელოში ამ მიდგომების დასახასიათებლად გამოიყენებთ შემდეგ ტერმინებს:

- ერთი რისკი – ბევრი კონტროლის საშუალება; და
- ბევრი რისკი – ბევრი კონტროლის საშუალება.

### **ერთი რისკი – ბევრი კონტროლის საშუალება**

ამ მიდგომაში, თითოეული რისკის ფაქტორი ცალკე განიხილება. გამოვლინდება ყველა კონტროლის საშუალება, რომელიც რეაგირებს ამ კონკრეტულ რისკზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით სასარგებლო კონტროლის საშუალებებთან ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) რისკის ფაქტორების დასაკავშირებლად. აღნიშნული მიდგომა ილუსტრირებულია შემდეგ ცხრილში.

#### **ცხრილი 12.3-2**

რისკი/კონტროლის მიზანი	მტკიცება	რისკის შემამცირებელი კონტროლის პროცედურები
1. რისკის ფაქტორი	სისრულე	კონტროლის პროცედურა ა კონტროლის პროცედურა ბ კონტროლის პროცედურა გ კონტროლის პროცედურა დ
2. რისკის ფაქტორი	არსებობა სისწორე	კონტროლის პროცედურა ე კონტროლის პროცედურა ვ კონტროლის პროცედურა ზ კონტროლის პროცედურა თ
3. რისკის ფაქტორი	სისწორე	კონტროლის პროცედურა ი კონტროლის პროცედურა პ კონტროლის პროცედურა ლ კონტროლის პროცედურა მ
4. რისკის ფაქტორი	სისრულე სისწორე	კონტროლის პროცედურა ნ კონტროლის პროცედურა ო კონტროლის პროცედურა პ კონტროლის პროცედურა ჟ

„ერთი რისკი – ბევრი კონტროლის საშუალება“ მიდგომა წმინდა გამოიყენება ყველა ტიპის კონტროლის საშუალების გამოსაკვლევად, მათ შორის საოპერაციო კონტროლის საშუალებებისთვის. თუმცა, ვინაიდან ერთი საოპერაციო კონტროლის საშუალება ზშესაძლოა ერთზე მეტ რისკზე რეაგირებდეს (და, შესაბამისად, რამდენჯერმე გამოირდება ამ მიდგომაში), საზოგადოდ, „ბევრი-ბევრზე“ მატრიცა (იხ. ნახაზი 12.3-4) უფრო ეფექტურად არის მიჩნეული საოპერაციო კონტროლის საშუალებებისთვის.

შემდეგ დანართში ნაჩვენებია, თუ როგორ მუშაობს „ერთი რისკი-ბევრი კონტროლის საშუალება“ მიდგომა. კონტროლის გარემოს მიზანია, ხელმძღვანელობის საჭიროებისთვის, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ზედამხედველობით, პატიოსნებისა და ეთიკური ქცევის კულტურის შექმნა და შენარჩუნება. ამ მიზნის მიზნევა რისკის ფაქტორად შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო პატიოსნებისა და ეთიკური ქცევის კულტურის შექმნა და შენარჩუნება.

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთ აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

კონტროლის საშუალებები, რომლებიც ხელმძღვანელობას შეიძლება შემუშავებული და დანერგილი ჰქონდეს ყოვლისმომცველ რისკზე რეაგირებისთვის, შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ხელმძღვანელობა თვითონ სიტყვიერად ან ქცევით მუდმივად ახდენს მაღალი ეთიკური სტანდარტებისადმი ერთგულების დემონსტრირებას;
- ხელმძღვანელობა აღკვეთს ან ამცირებს ისეთ სტიმულებს ან ცდუნებებს რომლებმაც შესაძლოა პერსონალს აიძულოს უპატიონო ან არაეთიკური საქციელის ჩადენა;
- არსებობს ქცევის კოდექსი ან ანალოგიური დოკუმენტი, რომელიც ადგენს ეთიკური და ზნეობრივი ქცევის სტანდარტებს;
- თანამშრომლებს ნათლად ესმით, როგორი ქცევა არის მისაღები და როგორი არა და იციან, რა უნდა გააკეთონ, როდესაც სხვის მიუღებელ ქცევას აწყდებიან; და
- თანამშრომლები მიუღებელი ქცევისთვის ყოველთვის სათანადოდ ისჯებიან.

აუდიტორი (სავარაუდოდ, ზემოაღნიშნულის მსგავსი სიიდან, თუ ასეთი არსებობს), პირველ რიგში, გაეცნობა რისკს, ან კონტროლის მიზანს და შემდეგ ადგენს, რა სახის კონტროლის საშუალებები არსებობს რისკის შესამცირებლად. რისკის დოკუმენტირება შესაძლებელია ქვემოთ ნაჩვენები ფორმით.

**შენიშვნა:** კონტროლის სტრუქტურის სვეტი გვიჩვენებს, რა უნდა მოიმოქმედოს აუდიტორმა კონტროლის სტრუქტურის შესაფასებლად.

### ცხრილი 12.3-3

შიდა კონტ- როლის (შპ) კომპონენტი	რისკის ფაქტორი	გამოვლენილი კონტროლი	კონტროლის სტრუქტურა
კონტროლის გარემო	არანაირი აქცენტი არ კეთდება პატიოს- ნებაზე ან ეთიკაზე.	უთიკის კოდექსზე თანა- მშრომლები ხელს აწე- რებ ყოველწლიურად და მისი შესრულების უზრუნველყოფა თანამ- შრომელთა დისკიპლი- ნარული საჯელის მე- შვერბით ხდება.	გავლენით კოდექსს, საიდანაც ჩანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული პატიოსნებისა და ეთიკური ქცევის აუცილებლობაზე.
	არაკომპეტენტური თანამშრომლების დაქტირავება სამსახურში.	თანამშრომლის ყოველი თანამდებობისთვის მო- თხოვება გარკვეული ცოდნა და უნარები.	გავლენით ძირითადი თანამდებო- ბისთვის, მათ შორის ბუღალტ- რული აღრიცხვის სფეროში, დაღვენილ სამსახურებრივ სტ- ციფრული ციფრული და ისინი მისაღები ჩანს.
რისკის შეფასება	ხელმძღვანელობას ხშირად უკვირს პროგნოზირებადი მოვლენები.	ბიზნესის რისკების გა- მოვლენა და შეფასება ყოველ წელს ხდება, კომპანიის საქმიანობის დაგეგმვის დროს.	განვიხილავთ ბიზნესგებმა და რისკების სია, საიდანაც ჩანს, რომ რისკები გამოვლენილია, რისკების სია განახლებული და შეფასებულია.

მას შემდეგ, რაც კონტროლის საშუალებებს დაადგენს, აუდიტორი მიმართავს პროფესიულ მსჯელობას, რათა დაასკვნას, საკმარისია თუ არა არსებული კონტროლის სტრუქტურა (აგებულება) რისკის ფაქტორზე რეაგირებისთვის.

კონტროლის გარემოზე დასკვნის გამოტანისას აუდიტორს ას 315.14 ავალდებულებს, რომ შეფასოს:

- ხელმძღვანელობამ, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობით, ჩამოაყალიბა და ინარჩუნებს თუ არა პატიოსნებისა და ეთიკური ქცევის კულტურას; და

- კონტროლის გარემოს ელემენტების ძლიერი მხარეები ერთობლივად უზრუნველყოფს თუ არა სათანადო საფუძველს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებისთვის და ამ სხვა კომპონენტებს ხომ არ მიაყენეს ზიანი კონტროლის გარემოში არსებულმა ნაკლოვანებებმა.

ეს ფორმულირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აუდიტორის საბოლოო დასკვნად სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებების შეფასებისას. ასეთი დასკვნა ასევე დიდ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშების დონეზე რისკის აუდიტორისეულ შეფასებაზე.

### **ბევრი რისკი – ბევრი კონტროლის საშუალება**

სპეციფიკური და საოპერაციო რისკების სტრუქტურის შესაფასებლად ყველაზე გავრცელებული მიღვომაა ეწ. „კონტროლის სტრუქტურის მატრიცის“ გამოყენება, რაც აუდიტორს საშუალებას აძლევს, ერთი შესედევით დაინახოს:

- „ბევრი-ბევრზე“ კავშირ-ურთიერთობები, რომლებიც არსებობს რისკებსა და კონტროლის საშუალებებს შორის;
- სად არის შიდა კონტროლი ძლიერი;
- სად არის შიდა კონტროლი სუსტი; და
- ძირითადი კონტროლის საშუალებები, რომლებიც ბევრ რისკზე/მტკიცებაზე რეაგირებს და შეიძლება ჩატარდეს მათი ფაქტობრივი ფუნქციონირების ეფექტიანობის ტესტირება.

კონტროლის სტრუქტურის მარტივი მატრიცის მაგალითი განხილულია შემდეგ ცხრილში.

### **ცხრილი 12.3-4**

პროცესი = რეალიზაცია						
არსებოთი რისკის ფაქტორები	რისკი ა	რისკი ბ	რისკი გ	რისკი დ	ძირითადი კონტროლის საშუალებები	
	მტკიცებული	სისრულე	არსებობა სისწორე	სისწორე სისრულე	სისრულე არსებობა	
კონტროლის საშუალებები	შიდა კონტროლის კომპონენტი					
პროცედურა №1	კონტროლის გარემო	აღ				
პროცედურა №2	საინფორმაციო სისტემები		აღ			
პროცედურა №3	მაკონტროლებელი საქმიანობა	პრ	პრ		პრ	დიას
პროცედურა №4	მონიტორინგი	აღ				
პროცედურა №5	მაკონტროლებელი საქმიანობა		პრ		პრ	დიას
პროცედურა №6	მაკონტროლებელი საქმიანობა					
პროცედურა №7	საინფორმაციო სისტემები	აღ	აღ		აღ	
მისაღებად შექმნილი კონტროლის მექანიზმი, გამოვლენილი კონტროლის საშუალებები შემცირებს რისკის ფაქტორებს?	დიას	დიას	არა	დიას		

პირობითი ნიშნები:

პრ = პრევენციული კონტროლის პროცედურა

აღ = აღმომჩენი და გამოსასწორებელი კონტროლის პროცედურა

**შენიშვნა:** ზემოთ მოცემული მატრიცა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- რისკის ფაქტორები, რომლებმაც, თუ არ შემცირდება, შეიძლება გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მტკიცებები, რომლებზეც ზემოქმედებს რისკის ფაქტორები; და
- იქ, სადაც შიდა კონტროლის პროცედურა რეაგირებს რისკზე, მატრიცაში მათი გადაკვეთის უჯრაში ჩაიწერება, რომ ეს არის უზუსტობის პრევენციული (ხელის შემშლელი) კონტროლის პროცედურა, ან უზუსტობის აღმომჩენი (აღ) და შემდეგ მისი გამოსასწორებელი პროცედურა.

შესაძლებელია ასეთი მატრიცის გაფართოება და სხვა ინფორმაციის შეტანაც, მათ შორის:

- კონტროლის პროცედურის გამოყენების სიხშირე, მაგალითად, მუდმივად, ყოველკვირეულად ან თვიურად;
- კონტროლის პროცედურა ავტომატიზებულია თუ მანუალური; და
- შიდა კონტროლის მოსალოდნებული სანდოობა დროის გარკვეულ პერიოდში. ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, იმ პიროვნების კომპეტენციის (და სხვა ფუნქციებისგან დამოუკიდებლობის) შეფასებას, ვინც კონტროლის პროცედურას ასრულებს; დროულად სრულდება თუ არა კონტროლის პროცედურა და როგორია შეცდომების დაშვების ისტორია.

## მნიშვნელოვანი რჩევები

### რამდენიმე კონტროლის პროცედურა

გაითვალისწინეთ, რომ ვერც ერთი კონტროლის პროცედურა, სავარაუდოდ, მარტო ვერ შეამცირებს ძირითად რისკის ფაქტორს. ამისთვის სშირად საჭიროა კონტროლის პროცედურების გარკვეული კომბინაცია, რომელიც შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებთან ერთად (როგორიცაა კონტროლის გარემო) იმოქმედებს და საკმარისი იქნება რისკის ფაქტორზე რეაგირებისთვის.

### დაიწყეთ რისკებით

არ შეცდეთ და არ ჩამოწეროთ ყველა ცნობილი კონტროლის საშუალება და შემდეგ არ დაიწყოთ მათი დაკავშირება რისკებთან. ჯერ რისკები უნდა ჩამოწეროთ და შემდეგ ამ რისკების შესამცირებელი კონტროლის საშუალებები. უფრო ეფექტურია, თითოეულ რისკზე (ან კონტროლის მიზანზე) რიგრიგობით „მიუმართ“ და შემდეგ დაადგინოთ, რომელი კონტროლის საშუალებები არსებობს ამ რისკის შესამცირებლად. როგორც კი რისკზე რეაგირებისთვის საქმარისი რაოდენობის კონტროლის საშუალებებს გამოავლენთ, აზრი არა აქვს ზედმეტი დროის დახარჯვას სხვა კონტროლის საშუალებების გამოვლენასა და ჩამოწერაზე.

კონტროლის საშუალებების რისკებთან დაკავშირება აუდიტორს ეხმარება არა მარტო კონტროლის სტრუქტურის შეფასებაში, არამედ ამით აუდიტორი გამოავლენს ძირითად კონტროლის საშუალებებსაც (განსაზიდველი მტკიცებებისთვის), რომელთა ტესტირებასაც შემდგომში, სავარაუდოდ, ჩაატარებს. გარდა ამისა, ეს აუდიტორს ეხმარება კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამოვლენაშიც, რომელთა შესახებაც მოეთხოვება, რომ:

- დროულად აცნობოს ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, რათა შესაძლებელი იყოს გამოსასწორებელი ზომების გატარება; და
- განსაზღვროს შესაფერისი აუდიტორული პროცედურები ამ ნაკლოვანებების გათვალისწინებით და მათზე რეაგირებისთვის.

კონტროლის სტრუქტურის მატრიცის (იხ. ცხრილი 12.3-4) გამოყენება შესაძლებელია როგორც შიდა კონტროლის ძლიერი მხარეების, ისე მისი ნაკლოვანებების გამოსავლენად. ეს პროცესი აღწერილია შემდეგ ცხრილში.

### ცხრილი 12.3-5

გამოავლინეთ	აღწერა – კონტროლის სტრუქტურის მატრიცის გამოყენებით
შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	<p>ზემოთ მოცემულ კონტროლის სტრუქტურის მატრიცაში დააკვირდით თითოეული რისკის სევტს, რათა დაინახოთ რისკების შესაძლებლად რომელი შიდა კონტროლის პროცედურები არსებობს. თუ საკმარისი კონტროლის საშუალებები არსებობს, მაშასადამე, არ იარსებებს კონტროლის ნაკლოვანება.</p> <p>იქ, სადაც რისკების შესაძლებელი კონტროლის საშუალებები ცოტაა ან საერთოდ არ არსებობს, შეიძლება არსებობდეს შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანება. შეხედეთ ზემოთ მატრიცაში „გ“ რისკს, სადაც ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ნაკლოვანება არსებობს. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ატარებს გამოკითხვას, არსებობს თუ არა რომელიმე სხვა შიდა კონტროლის პროცედურები, ან კომპენსაციური შიდა კონტროლის პროცედურები. თუ არ არსებობს, ეს ნაშავს, რომ შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, შეძლებისდაგვარად სწრაფად, რათა შესაძლებელი იყოს გამოსასწორებელი ზომების გატარება; და</li> <li>• განიხილავს, რომელი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება იქნება აუცილებელი გამოვლენილ რისკზე რეაგირებისთვის.</li> </ul> <p>კომპენსაციური კონტროლის პროცედურები შეიძლება იყოს მოქმედებები, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს რისკის ფაქტორზე. მაგალითად, საქონლის გაგზავნისას მასზე ანგარიშ-ფაქტურის არგამოწერის რისკი შეიძლება გამოვლინოს გაყიდვების მენეჯერმა, როდესაც ის აანალიზებს რეალიზაციის შედეგებს ყოველ კვარტალში. ცხადია, თავისთვალი, მარტო ასეთი კონტროლის პროცედურა საკმარისი არ იქნება რისკის შესაძლებლად.</p>
შიდა კონტროლის ძლიერი მხარეები	<p>დააკვირდით კონტროლის სტრუქტურის მატრიცის სტრიქონებს, რათა გამოავლინოთ შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც ხელს შეუშლის ან გამოვლენს და შეასწორებს რამდენიმე რისკის ფაქტორიდან წარმოშობილ უზუსტობებს. გაითვალისწინეთ, რომ მოცემულ სანიმუშო მატრიცაში კონტროლის №3 პროცედურა ეხება სამ რისკს და სამ მტკიცებას. ეს არის ისეთი ტიპის კონტროლის პროცედურის მაგალითი (ხშირად ძირითად კონტროლის პროცედურას უწოდებენ), რომლისთვისაც, თუ საიმედოდ მიზნევა, შეიძლება ჩატარდეს ფაქტობრივი ეფექტინობის ტესტი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი ტესტირება შეიძლება გამოიყენოს აუდიტორმა სხვა უფრო დეტალური ტესტების (ელემენტების ტესტების) რაოდენობის შესაძლებლად.</p>

### 12.4 როგორ უნდა დაგადგინოთ შიდა კონტროლის საშუალებები

როგორც წესი, მოქმედი კონტროლის საშუალებების დადგენა ხდება იმ პირ(ებ)თან განხილვის (გასაუბრების) გზით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რისკის ან კონკრეტული პროცესის მართვაზე. მცირე სამეურნეო სუბიექტებში ეს პირი ხშირად არის მესაკუთრე-მმართველი, ან უფროსი მენეჯერი. შემდეგ ცხრილში ილუსტრირებულია კონტროლის საშუალებების იდენტიფიკაციის ტიპური მიღვომა:

### ცხრილი 12.4-1

მოქმედება	აღწერა
<b>გამოავლინეთ თანდაყოლილი რისკები</b>	გამოავლინეთ ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) და სპეციფიკური (საოპერაციო) რისკები, რომლებიც შიდა კონტროლის მეშვეობით შემცირებას საჭიროებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული, ან გამოვლინდეს და გასწორდეს არსებითი უზუსტობები.
<b>გამოკითხეთ შიდა კონტრო- ლის პროცედუ- რების შესახებ, რომლებიც რეაგირებს თანდაყოლილ რისკზე (თითოეულ რისკის ფაქტორ- ზე ცალ-ცალკე „იმუშავეთ“)</b>	ჰკითხეთ მესაკუთრე-მმართველს, ან პასუხისმგებელ პირს, რომელი შიდა კონტროლის პროცედურები არსებობს სამეურნეო სუბიექტში თითოეული კონტრეტული რისკის ფაქტორის სათითაოდ შესამცირებლად. გამოვლენილი კონტროლის საშუალებების დოკუმენტირებისას კონტროლის პროცედურა აღწერეთ გამოკითხული პიროვნების სიტყვებით. როდესაც პროფესიული მსჯელობის შედეგად დაადგენთ საკმარისი რაოდენობის კონტროლის საშუალებებს, რომლებიც უფექტურად შემცირებს რისკს, ნუდარ გააგრძელებთ სხვა კონტროლის საშუალებების შესახებ გამოკითხვას. აუცილებელი არ არის ყველა სხვა კონტროლის საშუალების სის შედგენა, რომლებიც შეიძლება არსებობდეს რისკის შესამცირებლად, თუ ეს არ გჭირდებათ რამე სხვა მიზნისთვის.
<b>შედეგები ასახეთ სამუშაო დოკუმენტებში</b>	გამოვლენილი კონტროლის საშუალებები დოკუმენტებში შეიძლება აისახოს რამდენიმე გზით. შეგიძლიათ კონტროლის საშუალებები ჩამოწეროთ თითოეული რისკის ქვეშ, რომლებზეც ისინი რეაგირებს, ან ჩაწეროთ კონტროლის მატრიცაში და დაუკავშიროთ ყველა რისკს, რომლებზეც ისინი რეაგირებს. მთავარია დარწმუნდეთ, რომ ყველა გამოვლენილი კონტროლის პროცედურა დააკავშირეთ რისკთან, რომლის შესამცირებლადც იგი შეიქმნა. თუ კონტროლის მატრიცას გამოიყენეთ: <ul style="list-style-type: none"><li>• გამოვლენილი შიდა კონტროლის პროცედურები პირდაპირ ჩაწერეთ მატრიცაში და რისკის გადაკვეთის უჯრაში მიუთითეთ, რა ტიპის კონტროლის პროცედურაა მოცემული რისკისთვის – პოტენციური არსებითი უზუსტობების პრევენციული, თუ აღმომჩენი და გამოსასწორებელი; და</li><li>• განიხილეთ, მოცემული კონტროლის პროცედურა უფექტური იქნება თუ არა სხვა რისკების შესამცირებლადაც. სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგმა შიდა კონტროლის პროცედურამ თავიდან აიცილოს ან გამოავლინოს რამდენიმე რისკის ფაქტორი.</li></ul> თუ აუდიტორი ვერ გამოავლენს რისკზე რეაგირებისთვის განკუთვნილ კონტროლის საშუალებებს, ის დაუყოვნებლივ აფრთხილებს ხელმძღვანელობას გამოვლენილი კონტროლის ნაკლოვანების (სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ნაკლოვანების) თაობაზე, რომელიც შეიძლება რეაგირებას საჭიროებდეს.

### მნიშვნელოვანი რჩევები

#### თავი აარიდეთ ტიპური (ზოგადი) კონტროლის საშუალებების დოკუმენტირებას

არ შეცდეთ და არ ჩამოწეროთ შიდა კონტროლის ყველა პროცედურა, რომელიც შესაფერისია ე.წ. „ტიპური“ სამეურნეო სუბიექტისთვის. „სტანდარტული“ ან „ტიპური“ კონტროლის საშუალებების სის წაკითხვასა და გაგებას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს; გარდა ამისა, ისინი ხშირად მეტისმეტად რთული, ან უბრალოდ შეუფერებელია მცირე სამეურნეო სუბიექტისთვის. ამის მაგივრად, გამოიყენეთ ისინი დამატებით სახელმძღვანელო წყაროდ, მაგრამ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. გაცილებით უკეთესია, თუ გამოვლენილ კონტროლის საშუალებას სამუშაო დოკუმენტში აღწერთ თვითონ დამკვეთისეული ფორმულირების გამოყენებით.

## მნიშვნელოვანი რჩევები (გავრძელება)

### რამდენიმე ამოცანის გაერთიანება

კონტროლის სტრუქტურის შეფასება შეიძლება გაერთიანდეს კონტროლის დოკუმენტირებასთან (იხილეთ მე-3 საფეხური ქვემოთ) და იმ დოკუმენტების დათვალიერებასთან/დაკვირვებასთან, რომლებიც ასაბუთებს კონტროლის დანერგვას/მოქმედებას (იხილეთ მე-4 საფეხური ქვემოთ). მაგალითად, თუ სამეურნეო სუბიექტში არსებობს პოლიტიკა იმის შესახებ, რომ სპეციალური ნებართვის გარეშე არ შეიძლება არასტანდარტული საბუღალტრო გატარებების გაკეთება უერნალში, მოითხოვეთ თვითონ ამ პოლიტიკის დამტკიცებული დოკუმენტისა (კონტროლის სტრუქტურის შეფასება) და ზოგიერთი საბუღალტრო ჩანაწერის ნახვა, საბუღალტრო გატარების დამტკიცებაზე მტკიცებულების მოსაპოვებლად (კონტროლის დანერგვა/მოქმედება).

### რისკის მართვა

ბევრი სამეურნეო სუბიექტი რისკის მართვაზე პასუხისმგებლობას რისკების ნაცვლად პროცესების მიხედვით აწესებს (როგორიცაა, გაყიდვები ან შესყიდვები). ამის გამო, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორი, რომელიც სხვადასხვა განყოფილებებს შორის მოხვდება (როგორიცაა, მაგალითად, გაყიდვები, შესყიდვები და აღრიცხვა) და არავინ იქნება მასზე პირდაპირ პასუხისმგებელი (ანგარიშგალდებული). თუ არ მოხდა კონკრეტული რისკების გამოვლენა და მათ მართვის პასუხისმგებლობის დაკისრება კონკრეტულ პირზე, მაშინ პრობლემების წარმოქმნის დროს ხშირად გაურკვევლობას ექნება აღვილი. თანამშრომლებმა შეიძლება ერთმანეთს გადააბრალონ დანაშაული, ვთქვათ ასე: „მე მეგონა რისკს მერი ან ჯერ მართავდა, ან ბუღალტერია, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ან რეალიზაციის განყოფილება” და ა.შ.

### დასკვნა კონტროლის სტრუქტურის შესახებ

კონტროლის სტრუქტურის შეფასების ბოლო ეტაპია დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, გამოვლენილი კონტროლის საშუალებები რეალურად ამცირებს თუ არა კონკრეტულ რისკის ფაქტორს. ეს მოითხოვს პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და გადაწყვეტილების მიღებას. ყოველი მნიშვნელოვანი მტკიცების ან რისკის ფაქტორისთვის გაითვალისწინეთ, ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი ღონისძიება საკმარისია თუ არა არსებოთი უზუსტობის რისკის შესამცირებლად მისაღებ დაბალ დონემდე. თუ მატრიცის მიღვომას იყენებთ, მატრიცის ბოლო სტრიქონის გამოყენება შეგიძლიათ თქვენი დასკვნის დოკუმენტირებისთვის, სადაც აღნიშნავთ, საკმარისია თუ არა კონტროლის საშუალებები თითოეული რისკის ფაქტორის შესამცირებლად.

ქვემოთ მოცემულია შიდა კონტროლის საერთო შეფასების შემაჯამებელი ცხრილის ფორმა (რომელიც ეხება შიდა კონტროლის ხუთივე კომპონენტს):

## სექტა 12.4-2

	სამეცნიერო სუბიექტის დონის პროცესები	გაყიდვების პროცესი	შესყიდვების პროცესი	ხელფასების პროცესი
გამოვლინდა ფინანსური ანგარიშების ძირითადი რისკები.				
სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად.				
პერსონალი კომპეტენტურად და მცოდნე.				
ნათლად არის განსაზღვრული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობების იერარქია.				
მაკონტროლებელი საქმიანობები სათანადოდ არის სტრუქტურირებული და დანერგილი.				
თაღლითობის რისკებზე რეაგირებისათვის არსებობს თაღლითობის საწინააღმდეგო კონტროლის პროცედურები.				
საინფორმაციო სისტემები საიმედო მონაცემებს ქმნის.				
ტარდება შიდა კონტროლის საშუალებების მონიტორინგი.				

### პირობითი ნიშნები:

მწვანე = შესაბამისი რისკები ადეკვატურად არის შემცირებული.

ყვითელი = შეიძლება რაღაც პრობლემები არსებობდეს.

წითელი = პოტენციური მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

## მიზანები რჩევები

არსებობს უფრო მარტივი გზა მცირე სამეცნიერო სუბიექტების საოპერაციო კონტროლის საშუალებების შეფასებისთვის. ჯერ გამოავლინეთ რისკის ფაქტორები (იხილეთ 1-ლი საფეხური ზემოთ) და მტკიცება (მტკიცებები), რომლებზეც რისკი ზემოქმედდებს. შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები დაუკავშიროთ თითოეულ რისკის ფაქტორს, დაადგინეთ კონტროლის საშუალებები, რომლებიც რეაგირებს იმ მტკიცებებზე, რომლებზეც რისკი ზემოქმედებს.

თუ კონკრეტული მტკიცებისთვის ვერ მოხერხდა კონტროლის საშუალებების გამოვლენა, მაშინ არსებითობის შემოწმების მიღეომა უნდა დაგევმოთ. თუ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები, სავარაუდოდ, საიმედოდ უნდა მუშაობდეს, საპასუხო აუდიტორულ პროცედურებში უნდა გაითვალისწინოთ შესაბამისი ძირითადი კონტროლის საშუალებების ტესტირება. მაგალითად, აღურიცხავი რეალიზაციის ოპერაციების ხდომილობის აღბათობა – რისკი, ზემოქმედდებს სისრულის მტკიცებაზე. შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ ისეთი კონტროლის საშუალებების გამოვლენა, რომლებიც ზოგადად რეაგირებს სისრულის მტკიცებაზე და არა რომელიმე კონკრეტულ რისკზე.

## 12.5 მე-3 საფეხური – რეალურად მოქმედებს კონტროლის საშუალებები, რომლებიც ამცირებს რისკის ფაქტორებს?

სქემა 12.5-1



მხოლოდ ხელმძღვანელობის გამოკითხვა საკმარისი არ არის შიდა კონტროლის პროცედურების სტრუქტურის შესაფასებლად, ან იმის დასადგენად, დანერგილია/მოქმედებს თუ არა ისინი. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანებს შეიძლება ნამდვილად სჯეროდეთ, ან იმედოვნებდენ, რომ გარკვეული კონტროლის საშუალებები არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყოს. ისეთი კონტროლის საშუალებების დოკუმენტირებული აღწერილობა (რამდენადაც კარგი არ უნდა იყოს), რომლებიც არ არსებობს ან არ მოქმედებს, აუდიტისთვის გამოუსადეგარის.

შიდა კონტროლის მუშაობაზე დაკვირვების აუცილებლობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

- **პროცესების ცვლილება**

დროთა განმავლობაში პროცესები იცვლება, რასაც იწვევს ახალი/მოდიფიცირებული პროდუქტები ან მომსახურება, საქმიანობის ეფექტუანობა, პერსონალის ცვლილება და საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი პროგრამების დანერგვა.

- **სასურველის რეალობად წარმოდგენა**

სამეურნეო სუბიექტის პერსონალმა აუდიტორს შესაძლოა აუხსნას, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს სისტემა და არა ის, როგორ ფუნქციონირებს სინამდვილეში; და

- **უცოდინრობა**

შიდა კონტროლის შესწავლის პროცესში სისტემის ზოგიერთი ასპექტი შესაძლოა აუდიტორს უნებლივ გამორჩეოს.

### მიზანები რჩევები

თუ არსებობს რამე ეჭვი, რომ მეორე საფეხურზე გამოვლენილი კონტროლის საშუალებები სინამდვილეში არ დაინერგა/არ მოქმედებს, ნუ შეაფასებთ კონტროლის სტრუქტურას და კონტროლის საშუალებების მოქმედებას ნუ ჩაწერეთ სამუშაო დოკუმენტში მანამ, სანამ გარკვეულ სამუშაოს არ ჩატარებოთ იმის დასადგენად, რომ ეს კონტროლის საშუალებები არსებობს და ფუნქციონირებს. ასევე, დროს ნუ დაკარგავთ ისეთი კონტროლის საშუალებების შეფასებაზე, რომლებიც, საგარაულოდ, შესაფერისი არ იქნება აუდიტისთვის, ან არაადეკვატურად იყო შემუშავებული.

რისკის შესაფასებელი პროცედურები საჭიროებს კონტროლის დანერგვის (მოქმედების) შესახებ აუდიტორული მტკიცებულების მოძიებას და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ცხრილი 12.5-2

	აღწერა
კონტროლის პროცედურების ფუნქციონირების შეფასება	<ul style="list-style-type: none"><li>• სამეურნეო სუბიექტის პერსონალის გამოკითხვა;</li><li>• სპეციფიკური კონტროლის საშუალებების გამოყენებაზე დაკვირვება ან თავიდან შესრულება (აუდიტორის მიერ);</li><li>• დოკუმენტებისა და ანგარიშების დათვალიერება; და</li><li>• ფინანსური ანგარიშებისთვის შესაფერისი ერთი ან ორი ოპერაციის დამუშავებაზე დაკვირვება მთელი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. ამ პროცედურას ხშირად თავიდან ბოლომდე გავლის ტესტს უწოდებენ.</li></ul>

შენიშვნა: თავიდან ბოლომდე გავლის ტესტი არ წარმოადგენს კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ფუნქციონირების ეფექტუანობის ტესტს.

კონტროლის საშუალებების ფუნქციონირება მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმის შესახებ, დროის კონკრეტულ მონაკვეთში ნამდვილად მოქმედებდა თუ არა კონტროლის ესა თუ ის პროცედურა. ეს არ არის მტკიცებულება კონტროლის საშუალებების ფუნქციონირების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ, აუდიტს დაქვემდებარებული მთლი პერიოდის განმავლობაში. კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი (ფუნქციონირების) ეფექტიანობის შესახებ მტკიცებულებების მოპოვება შესაძლებელია კონტროლის ტესტებით (თუ ამის გაკეთებას თვალისწინებს აუდიტის სტრატეგია), რომლის მეშვეობით აუდიტორი მტკიცებულებებს შეაგროვებს კონტროლის ფუნქციონირების შესახებ დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგალითად, წლის მანძილზე.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუდიტორი დაადგენს, რომ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის პროცედურა სათანადოდ არის შექმნილი და დანერგილი, მან უნდა განიხილოს:

- კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ეფექტიანობის რომელი ტესტები შეამცირებს სხვა ძირითადი ტესტირების საჭიროებას; და
- კონტროლის რომელი საშუალებები საჭიროებს ტესტირებას იმის გამო, რომ არ არსებობს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოძიების სხვა გზა.

## ანიშვნელოვანი რჩევები

დარწმუნდით, რომ აუდიტის ჯგუფის წევრებს კარგად ესმით, რა განსხვავებაა შიდა კონტროლის სტრუქტურას, მის მუშაობასა (დანერგვას) და კონტროლის ტესტებს შორის. ეს საკითხები შეჯამებულია ქვემოთ:

### კონტროლის სტრუქტურა

კონტროლის საშუალებები იმგვარად არის შემუშავებული, რომ თანდაყოლილ რისკებს შეამცირებს?

### კონტროლის ფუნქციონირება

რეალურად მოქმედებს შექმნილი კონტროლის საშუალებები? კონტროლის ფუნქციონირების შემოწმების პროცედურები ყოველ პერიოდში უნდა შესრულდეს, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი სისტემური ცვლილება.

### კონტროლის ტესტები

დროის ამა თუ იმ კონკრეტულ მონაკვეთში ეფექტურად მოქმედებდა კონტროლის საშუალებები? სავალდებულო არ არის კონტროლის საშუალებების ფუნქციონირების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს სხვა გზა (როგორიცაა, მაგალითად, მაღალ დონეზე ავტომატიზებული და ელექტრონული („უქაღალდო“) სისტემა) აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ამგვარად, გადაწყვეტილების მიღება კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირების ჩატარების შესახებ, პროფესიული განსჯის საგანია.

### ამ უგულგებლენო კონტროლის სტრუქტურასა და კონტროლის ფუნქციონირებას შორის კავშირი

თუ არსებობს ეჭვი, რომ მე-2 საფეხურზე გამოვლენილი ზოგიერთი კონტროლის საშუალება ნამდვილად დაინერგა და მუშაობს, ნუ შეაფასებთ კონტროლის სტრუქტურას, სანამ გარკვეულ სამუშაოს არ ჩატარებთ იმის დასადგენად, რომ ეს კონტროლის საშუალებები არსებობს და ფუნქციონირებს. ასევე, თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ კონტროლის სტრუქტურა არაადეკვატურია, აზრი არა აქვს კონტროლის ფუნქციონირების შეფასებას. ეს, სავარაუდოდ, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მნიშვნელოვანი ნაკლოვანება არსებობს.

### კონტროლის საშუალებების ფუნქციონირება ყოველ პერიოდში შეაფასეთ

პირველი აუდიტის შემდეგ, პირველ რიგში, შეაფასეთ კონტროლის ფუნქციონირება, რათა დაადგინოთ, რა შეიცვალა წინა პერიოდის შემდეგ. გამოიყენეთ წინა პერიოდის აუდიტის საწყის ეტაპზე მოპოვებული კონტროლის აგებულების დოკუმენტაცია. თუ შიდა კონტროლში ცვლილებას გამოავლენთ, განიხილეთ, შეცვლილი ან ახალი კონტროლის საშუალებები ისევ ისე ამცირებენ თუ არა რისკის ფაქტორს, ან ხომ არ წარმოიშვა ახალი რისკები, რომლებიც შემცირებას საჭიროებს.

## 12.6 მე-4 საფეხური – დოკუმენტირებულია შესაბამისი კონტროლის საშუალებების ფუნქციონირება?

სქემა 12.6-1

დოკუმენტებში ასახეთ  
შესაბამისი კონტროლის  
საშუალებები



სამუშაო დოკუმენტებში ასახეთ შესაბამისი კონტროლის საშუალებების ფუნქციონირება კონტროლის საშუალებების მუშაობის ასპექტები აღწერეთ დასაწყისიდან ფინანსური ანგარიშების მომზადებამდე.

ამ ეტაპის მიზანია ინფორმაციის მოპოვება მე-2 საფეხურზე გამოვლენილი შესაფერისი კონტროლის საშუალებების ფუნქციონირების შესახებ. საჭირო დოკუმენტაციის მოცულობის განსაზღვრა აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია.

დოკუმენტაცია აუდიტორს დაეხმარება:

- გაერკვეს გამოვლენილი კონტროლის საშუალებების ხასიათში, მუშაობასა (დაწყება, დამუშავება, ჩაწერა, ა.შ.) და მისი შესრულების კონტექსტში (მაგალითად, ვინ ასრულებს ამ პროცედურას, სად სრულდება, რა სიხშირით და როგორია შესაბამისი დოკუმენტაცია); და
- განსაზღვროს, სავარაუდოდ, სანდოა თუ არა კონტროლის საშუალებები და თუ ფუნქციონირებს ეფექტურად. თუ ასეა, უნდა ჩატარდეს მათი ტესტირება შეფასებულ რისკებზე რეაგირების სამუშაოების ფარგლებში. თუ გადაწყდება კონტროლის საშუალებების ფუნქციონირების ეფექტურობის ტესტირება, ეს დოკუმენტაცია აუდიტორს ასევე დაეხმარება ტესტის შემუშავებაში, კერძოდ, რომელი გენერალური ერთობლიობის გამოყენება იქნება საჭირო შერჩევითი ერთობლიობის შესარჩევად, კონტროლის რომელი ატრიბუტებია (ნიშნები) შესამოწმებელი, ვინ ასრულებს კონტროლის პროცედურას და სად შეიძლება ინახოს საჭირო დოკუმენტაცია.

### მნიშვნელოვანი რჩევები

კონტროლის საშუალებების შესახებ დოკუმენტაცია არ უნდა იყოს რთული და ამომწურავი. აუდიტორს არ მოეთხოვება მთლიანი ბიზნესპროცესის დოკუმენტირება, არც ისეთი კონტროლის საშუალებების მოქმედების აღწერა, რომელიც აუდიტისთვის შესაფერისი არ არის.

ქვემოთ განხილულია აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებების დოკუმენტირების დროს გასათვალისწინებელი საკითხები:

ცხრილი 12.6-2

#### შიდა კონტროლის საშუალებების დოკუმენტირება

- როგორ ხდება მნიშვნელოვანი ოპერაციების ინიცირება, სანქცირება, ბუღალტრულად ასახვა, დამუშავება და ანგარიშგებაში წარდგენა;
- ოპერაციების მიმდინარეობის საგმარისად დეტალურად აღწერა, რათა გამოვლინდეს ის ადგილები, სადაც შეიძლება არსებობდეს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზრუნველყობა;
- პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის საშუალებები, მათ შორის სააღრიცხვო შეფასებებთან და განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული.

ხელმძღვანელობის ან აუდიტორის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- თხრობითი აღწერილობა, ან მემორანდუმი (მოკლე ჩანაწერები, შენიშვნების სახით);
- ბლოკსქემები;
- ბლოკსქემებისა და თხრობითი აღწერილობის კომბინაცია;
- შიდა კონტროლის შესაფასებელი ანკეტები და საკონტროლო კითხვარები.

აუცილებელი დოკუმენტაციის ხასიათი და მოცულობა პროფესიული განსჯის საგანია. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

- სამეურნეო სუბიექტისა და მისი შიდა კონტროლის სისტემის ხასიათი, ზომა და სირთულე;
- სამეურნეო სუბიექტისგან მისაღები ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; და
- აუდიტის მსვლელობისას გამოყენებული აუდიტის მეთოდოლოგია და მეთოდები.

დოკუმენტაციის მოცულობა ასევე შეიძლება ასახავდეს აუდიტის ჯგუფის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს. ნაკლებად კვალიფიციური აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებულ აუდიტს შეიძლება დასჭირდეს უფრო დეტალური დოკუმენტაცია, რომელიც მათ დაეხმარება სამეურნეო სუბიექტის შესახებ სათანადო წარმოდგენის შექმნაში, ვიდრു უფრო გამოცდილი პირებისგან შემდგარ ჯგუფს დასჭირდებოდა.

## **12.7 შიდა კონტროლის დოკუმენტაციის განახლება შემდგომ პერიოდებში**

აუდიტორმა შემდგომი პერიოდის აუდიტის დაგეგმვის დროს შეიძლება გამოიყენოს დოკუმენტაცია, რომელიც მოამზადა, ან მოიპოვა წინა პერიოდის აუდიტის დროს. ეს იქნება შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

### **ცხრილი 12.7-1**

<b>აღწერა</b>	
<b>წინა პერიოდებში მომზადებული დოკუმენტაციის განახლება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიმდინარე წელს დოკუმენტაციის განახლების დაწყების წინ გადაიღეთ წინა პერიოდში კონტროლის საშუალებების შესახებ მომზადებული სამუშაო დოკუმენტების ასლები. თუ არაფერი შეცვლილა, სტრუქტურის შეფასებამდე, კონტროლის ფუნქციონირება შეაფასეთ. თუ კონტროლი დანერგილია (მოქმედებს) და რისკი არ შეცვლილა, სტრუქტურა მისაღები იქნება;</li> <li>• განაახლეთ იმ რისკების რეესტრი, რომლებიც კონტროლის მეშვეობით შემცირებას საჭიროებს;</li> <li>• გამოავლინეთ შიდა კონტროლის ცვლილებები სამეურნეო სუბიექტისა და საოპერაციო დონეებზე. ამისათვის ჩატარეთ პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია კონტროლის ფუნქციონირების ტესტირებისთვის;</li> <li>• სადაც ცვლილებები გამოვლინდება (რისკებში ან კონტროლის საშუალებებში), დაადგინეთ, შეტემპავებული და დანერგილია თუ არა აზალი შიდა კონტროლის პროცედურები;</li> <li>• განაახლეთ შიდა კონტროლის საშუალებების კავშირები შესაბამის რისკის ფაქტორთან; და</li> <li>• განაახლეთ კონტროლის რისკის შესახებ გამოტანილი დასკვნები.</li> </ul>

თუ აუდიტის სტრატეგია, სავარაუდოდ, ითვალისწინებს გარკვეული კონტროლის საშუალებების ეფექტურ მოქმედებაზე დაყრდნობას (კონტროლის ტესტების მეშვეობით) და შიდა კონტროლმა ცვლილება განიცადა, აუცილებელი იქნება მთელი სისტემის მეშვეობით ოპერაციების დამუშავების ანალიზის ჩატარება როგორც ცვლილებამდე, ისე ცვლილების შემდეგ (თავიდან ბოლომდე გავლის ტესტები).

## მიზანების რჩევები

ცვლილები ყოვლისმომცველ (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებებში

კონტროლის დოკუმენტაციის განახლებისას ყურადღებით განიხილეთ ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებების ცვლილებები. ამ ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სხვა სპეციფიკური (საოპერაციო) კონტროლის საშუალებების ეფექტიანობასა და შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილ აუდიტორულ პროცედურებზეც. მაგალითად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, დაიქირავოს კვალიფიციური პერსონალი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ფინანსურ ინფორმაციაში შეცდომების რისკი და გაზარდოს საოპერაციო კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა, რომლებიც შეიძლება ადრე უსარგებლო ყოფილიყო. ალტერნატიულად, თუ ხელმძღვანელობა არ შეცვლის არაკომპეტენტურ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერს, ან არ გამოყოფს საკმარის რესურსებს საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების რისკებისთვის, ამით საფრთხის ქვეშ დააყენებს სხვა მოქმედ შიდა კონტროლის პროცედურებს. ორივე შემთხვევაში, ამგარმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად შეცვალოს შესაფერისი საპასუხო აუდიტორული პროცედურები.

## 12.8 ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილი შიდა კონტროლის შესახებ

ხელმძღვანელობისგან აუდიტორმა უნდა მოიპოვოს ოფიციალური წერილი, სადაც ის ადასტურებს, რომ აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ისეთი შიდა კონტროლის საშუალებების განსაზღვრასა და ფუნქციონირებაზე, რომლებიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობას.

## 12.9 სასწავლო მაგალითები – შიდა კონტროლის შეფასება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

ახლა განვიხილავთ შიდა კონტროლის დოკუმენტაციის ამონარიდებს, რომელიც იმ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითა, რომლის მოპოვებაც ზემოთ განხილული 4-საფეხურიანი პროცესის მეშემობით მოხდება.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

### სამუშაონეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები

ეს ფორმა ზემოთ აღწერილ ოთხივე საფეხურს ეხება. იგი ასახავს რისკებს, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს და უზრუნველყოფს გამოვლენილი კონტროლის საშუალებების დოკუმენტაციას, გვიჩვენებს, როგორ მოქმედებს კონტროლის საშუალებები და როგორ არის დანერგილი.

კონტროლის გარემო	არსებობს კონტროლი?	აღწერეთ დამადასტურებელი ნებისმიმდღვანელობის ქმედებები	აღწერეთ გამოკითხვები/დაკირვებები, რითიც დარწმუნდთ, რომ თქვენ მიერ გამოვლენილი კონტროლის პროცედურები დანერგილი იყო
<b>1. რისკი: აქცენტი არ კეთდება პატიოსნებისა და ეთიკური დირექტულებების აუცილებლობაზე</b>			
შესაძლო კონტროლის საშუალებები (აირჩიეთ ისინი, რომლებიც გამოიყენება);			
a) სელმძღვანელობა თვითონ სიტყვიერდ ან ქცევით მუდმივად ახდენს მაღალი ეთიკური სტანდარტებისადმი ერთგულების დემონსტრირებას.	დიას	სურაჯი და სელმძღვანელი კვლევით მუდმივად ამტკიცებს უსაფრთხოებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის აუცილებლობას თანამშრომლუბრივ ურთიერთობებში.	გავესაუბრეთ ორ თანამშრომელს, კონის და ამადის, რომლებმაც ეს დაადასტურეს.
ბ) სელმძღვანელობა აღკვეთს ან ამცირებს იმ სტიმულებს ან ცდურებებს, რომლებმაც შეიძლება პერსონალს აიძულოს უპატიოსნო ან არაეთიკური საქციელის ჩადენა.	დიას	სურაჯი დათანხმდა წინა პერიოდში მიცემულ ჩვენს რეკომენდაციას და მთამზადა ქცევის კოდექსი, რომელშიც აღწერილია თანამშრომლებისგან მოსალოდნელი ქცევის სტანდარტები.	თანამშრომლებს გადაეცათ ქცევის კოდექსის ასლი და ისინი დაესწრენ 13 მაისის შეხვედრას, სადაც მათ განუმარტეს კოდექსის სახელმძღვანელო მითითებები.
გ) არსებობს ქცევის კოდექსი ან ანალოგიური დოკუმენტი, რომელიც ადგენს ეთიკური და ზნეობრივი ქცევის სტანდარტებს.	დიას	ის. (გ) პუნქტის პასუხი	გავუკანით ქცევის კოდექსს.
დ) თანამშრომლებს ნათლად ესმით, როგორი ქცევა არის მისაღები და როგორი არა და იციან, რა უნდა გააკეთონ, როდესაც მიუღებელ ქცევას აწყდებიან.	დიას	წარსულში თანამშრომლები დაისაჯნენ შეუფერებელი ქცევისთვის.	სურაჯი დაუყოვნებლივ ათავისუფლებს თანამშრომლებს სამსახურიდან, თუ მათ ქურდობაში ან არაეთიკურ ქცევაში გამოიჭერენ. გასულ წელს ორი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა დარღვებით მუშებთან მიმართებაში.
ე) თანამშრომლები მიუღებელი ქცევისთვის ყოველთვის სათანადო ისჯებიან.	დიას	სურაჯი არ მოითმენს (დაუშვებს) თანამშრომლების, კლიენტების ან მომწოდებლების უკანონო ან არაეთიკურ ქცევას.	გამოვლინდა, რომ ახალი თანამშრომელი სწრაფად დაითხოვეს მას შეძლება, რაც საკანცელარიო საქმის ქურდობაში გამოიჭირება.
ვ) სხვა (ახსენით)	არა		

<p><b>კონტროლის გარემო</b></p> <p><b>არსებობს კონტროლი?</b></p>	<p><b>აღწერეთ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან ხელმძღვანელობის ქმედებები</b></p>	<p><b>აღწერეთ გამოკითხვები/დაკვირვებები, რითიც დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ გამოვლენილი კონტროლის პროცედურები დანერგილი იყო</b></p>	
<b>2. რისკი: არაკომპეტენტური თანამშრომლების დაქირავება ან შენარჩუნება</b>			
<p>შესაძლო კონტროლის საშუალებები (აირჩიეთ ისინი, რომლებიც გამოიყენება):</p> <p>a) კომპანიის პერსონალს გააჩნია და დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენცია და კვალიფიკაცია.</p> <p>b) ხელმძღვანელობა ზუსტად განსაზღვრავს საჭირო ცოდნისა და უნარების მახასიათებლებს თანამშრომლების თანამდებობებისთვის.</p> <p>c) არსებობს სამუშაოთა აღწერილობები და ეფექტურად გამოიყენება.</p> <p>d) ხელმძღვანელობა ხელს უწყობს თანამშრომლებს შესაფერის საკითხებზე გადამზადების პროგრამებში ჩართვაში.</p> <p>e) საჭირო დაგალებების ეფექტურად შესრულების მიზნით შენარჩუნებულია აღეკვატური დონის თანამშრომლები.</p> <p>f) თანამშრომლების უნარებისა და მათი სამუშაოს აღწერილობის შეზრუნველყოფა თავდაპირველად და მუდმივად.</p> <p>g) კარგი მუშაობისთვის თანამშრომლებს აჯილდოებენ და კომპენსაციას აძლევენ.</p> <p>h) სხვა (ახსენით).</p>	<p>დიახ</p> <p>დიახ</p> <p>არა</p> <p>არა</p> <p>დიახ</p> <p>არა</p> <p>არა</p> <p>არა</p>	<p>აღვიღ ზე ხდება ყველა თანამშრომლის მომზადება/კვალიფიკაციას აძლებება და აღეკვატური ზედამხედველობის გაწევა.</p> <p>ხელმძღვანელობა დახურვნებულია წარმოების, გაყიდვებისა და ადმინისტრირების საკითხებში. რაცი და პარვინი იძლევან რჩევებსა და რეკომენდაციებს ბიზნესის, მორგეტინგისა და იურიდიულ საკითხებზე.</p> <p>წლის განმავლობაში ფინანსური ანვარიშებისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი თანამდებობა არ იყო კაუნტური.</p> <p>კარგად შესრულებული სამუშაოსთვის თანამშრომლებს აქვთ. გამოიდველების გარდა სხვებზე პრემიების სისტემა არ ვრცელდება.</p>	<p>გავესაუბრეთ ორ თანამშრომელს, ჯონის და ამადის, რომლებიც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნათლად აცნობიერებენ მათ როლისა და პასუხისმგებლობებს სამუშაოს წერილობითი აღწერილობის არქინის პირობებში.</li> <li>• ადასტურებენ, რომ მანქანა-დანადგარის ან პროცესის ცვლილების შემთხვევაში, ისინი იღებენ სათანადო ინსტრუქციებს.</li> <li>• იღებენ შექმანის, როცა საჭმე იმაზე კარვად მიდის, ვიდრე მისალოდნელი იყო, მაგრამ მაშინვე აძლევენ შენიშვნას ცუდად შესრულებული სამუშაოსთვის.</li> </ul> <p>ადმინისტრაციული პერსონალის (მირელისა და კლიენტის) გამოკითხვამ აჩვენა, რომ პერიოდის განმავლობაში თანამშრომელთა რიცხოვნობა არ შეცვლილა.</p>

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების სახლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

კონტროლის გარემო	არსებობს კონტროლი?	აღწერეთ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან ხელმძღვანელობის ქმედებები	აღწერეთ გამოკითხვები/და- კვირვებები, რითიც დარ- წმუნდით, რომ თქვენს მიერ გამოვლენილი კონ- ტროლის პროცედურები დანერგილი იყო
<b>3. რისკი: ხელმძღვანელობას არასათანადო დამოკიდებულება აქვს შიდა კონტროლის სისტემის და/ან ბიზნესის რისკების მართვისადმი</b>			
შესაძლო კონტროლის საშუალებები (აირჩიეთ ისინი, რომლებიც გამოიყენება):			
ხელმძღვანელობა დადებით დამოკი- დებულებასა და მოქმედებებს ავ- ლენს შემდეგი საკითხების მიმართ: ა) ფინანსურ ანგარიშგებაზე საიმედო კონტროლის პროცედურების დანერგვა და შენარჩუნება (მათ შორის, ხელმძღვანელობის მსრიდან შიდა კონტროლის გვერდის ავლა და სხვა თაღლითობები): – შესაფერისი სადრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება; – ინფორმაციის დამუშავე- ბასთან დაკავშირებული კონტროლის საშუალებები; და – საკადრო პოლიტიკა საბუღალტრო პერსონალის მიმართ.	დიას	ხელმძღვანელობა ითვა- ლიანისტინებს რეკომენდა- ციებს, რომელია განხორციელება დად დანახულებებს არ ძოთხოვს, ან არ იწვევს კომპანიის საქმიანობის ჩატარას და სათანადო დამოკიდებულებას ავლენს შიდა კონტროლის მიმართ.	გავუკანით ბიზნესგეგმას რომელიც მოიცავდა: <ul style="list-style-type: none"><li>• რეალიზაციისა და ფულა- დი ნაკადების პროგნოზე;</li><li>• მოსალოდნელ კაპიტალურ დანახულებებს;</li><li>• იმის განხილვას, როგორ იძიულებებს ეკონომიკის რეცესია მათ ბიზნესზე, კერძოდ რეალიზაციაზე და ასევე ერთ-ერთი ძომ- წოდებლის გაკოტრების შესაძლებლობას;</li></ul> კომპანია ყოველთვის ითვა- ლიანისტინება ხელმძღვანელო- ბისვის მომზადებულ ანგა- რიშში ჩვენ მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, შეძლების- დაგვარად.
ბ) ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალის შესაფერის ქცევას.	დიას	ისილუთ ზემოთ მოცემული კომენტარები შიდა კონტროლისადმი დამოკიდებულებისა და ქცევის კოდექსის შესახებ.	თანამშრომლებთან გასაუბ- რებისას (იხ. მე-2 საჯებური) დავადგინეთ, რომ თანამშრ- ომლებს ესმით, რა მოუთხო- ვებათ და რა წესები უნდა დაიკვანოთ.
გ) ხელმძღვანელობამ შემოიღო პროცედურები, რათა თავიდან აიცილოს აქტივების, დოკუმენტებისა და ჩანაწერების უნებაროვო წვდომა ან განადგურება.	დიას		
დ) ხელმძღვანელობა აანალიზებს ბიზნესის რისკებს და ატარებს ესაფერის ზომებს.	ზოგი- ერთი	მაუხედავად იმისა, რომ რისკის მართვის პროცესი არაფორმალური ხასიათისაა, ხელმძღვა- ნელობის შეხვედრებზე განიხილება ბიზნესის რისკები და ეს რისკები ბიზნესგეგმაშიც აისახება.	ჯავადთან გასაუბრების დროს, მან აღნიშნა, რომ სურაჯი მზად იყო საკითხების/პრობ- ლემების განხილველად და იყო არ განიცდიდა ზეწოლას მისი მხრიდან, რომ ფინან- სური ანგარიშების მანი- პულაცია მოუხდინა. სურაჯის სიტყვებით: „ციფრული ისეთია, როგორიც არის, იმის მაუხე- დავად, ცუდია თუ კარგი ამ ოვეში.“

პირობითი ნიშნები: მტკიცებები		შიდა კონტროლის კომპინენტი		რისკის ფაქტორები: რა შეიძლება იყოს მცდარი	
ს = სისრულე	შიდა კონტროლის კომპინენტი	არსებობა	არსებობა	არსებობა	არსებობა
ა = არსებობა	კონტროლის გარემო	არსებობა	არსებობა	არსებობა	არსებობა
წ = სისწორე	მაკონტროლებელი საქმიანობა;	არსებობა	არსებობა	არსებობა	არსებობა
შ = შეფასება	ინფორმაცია და კომუნიკაცია	არსებობა	არსებობა	არსებობა	არსებობა
<b>კონტროლის ტიპი</b>		<b>შედა კონტროლის კომპინენტი</b>		<b>რისკის ფაქტორები: რა შეიძლება იყოს მცდარი</b>	
შა = პრევენციული	არ დასჭირდება ან აუცილებელი.	სწა	სწა	სწა	სწა
აღ = აღმომჩენი და გამოსასწორებელი	ნაზარ უწევს რეიგისტრაციას ნაწილობრივ ან აუცილებელი.	სწა	სწა	სწა	სწა
გა = გამოსასწორებელი	არის უცხოური დოკუმენტი, ან აღმომჩენი და უწევს აუცილებელი.	სწა	სწა	სწა	სწა
შა = შედა კონტროლის კომპინენტი	ნებავს ასახობა განვითარებულ მოთხოვნებზე რეგისტრაციას ან აუცილებელი.	შა	შა	შა	შა
გარდა ამზადებს ბანკში ფულის შესატან ქვითოვებს, მაგრამ ჯავადს შეაქვს ფული ბანკში, ფუნქციების დანაწილების უზრუნველსაყოფად.		სწ			
როდესაც ფოსტას სწორი, ჩეკებს არტყობენ ბეჭედს „მხოლოდ დეპოზიტზე შესატანად“, „დეფტას“ ანგარიშის ნომერთან ერთად. ბანკს მიცემული აქვს ინსტრუქცია, რომ არ გაანადდოს ჩეკები.		სწ			
ადგენენ მიღებული ჩეკების სიას, აჯამებენ და აანალიზებენ ბანკში შეტანამდე.		სწ			
90 დღეზე მეტი წელის ანგარიშებს იკვლევენ სურაჯი და ჯავადი, ხოლო გატარებულ ზომებს დოკუმენტურად აფორმებენ.		სწ		აღ	
არსებობს დროში გამიჯვნის პროცედურები, რათა გარანტირებული იყოს, რომ შემოსული ფული სათანადო (სწორ) საანგარიშებო პერიოდში აისახება.		სწ		პრ	
რეგულარულად მზადდება მოთხოვნების ანგარიშების სია გადახდის ვადების მიხედვით და სურაჯსა და ჯავადს გადაეცემა ყოველთვიურად.		იპ		აღ	
გადახდის ვადების მიხედვით დალაგბულ მოთხოვნების ანგარიშების სიას რეგულარულად აანალიზებენ და ვალაგადაცილებულ დაგვალინებებთან დაკავშირებით ზომებს სურაჯი ატარებს. ადგენენ ვალაგადაცილებული ნაშთების მქონე კლიენტების სიას, რომელებსაც ახალი საქონლისთვის გადანდა უკვე მიწოდებისანავე მოეთხოვებათ.		გ		პრ	
კონტროლის პროცედურები ამცირებს რისკის ფაქტორს?			არა	არა	
პირობითი ნიშნები:					
შ = რისკი შემცირებულია;					
ც = ცოტათი შემცირებულია.					
არა = არსებითი ნაკლიკება არსებობს.					
გამოვლენილი ნაკლოვანებები					
ვინაიდნ ყოველთვიური ანგარიშები არ ეგზანტით მომხმარებლებს, მიღდა კონტროლში არსებობს ნაკლიკებება, რადგან დაგვალინება შეიძლება არასწორი მომხმარებლების ანგარიშის კრედიტში აისახოს.					
ვინაიდნ მაღაზიიდან გაყიდვების უმეტესობა ნალე ფულზე ხორციელდება და საღარის აპარატის ჩეკს მთხოვდ მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში გასცემნ, არსებობს რისკი იმისა, რომ ბუღალტრულად არ აისახება ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებული შველა რეალიზაციის ოპერაცია.					

კონტროლის ტესტი ჩატარა (ა/3).  
სარაოგის მოთხოვება.

### ძიშნესპროცესის დონის ანუ საოპერაციო კონტროლის საშუალებები

ზემოთ ნაჩვენები შიდა კონტროლის სტრუქტურის მატრიცა ეხება 4 საფეხურიდან ორს. მატრიცაში ერთმანეთთან დაკავშირებულია საოპერაციო რისკები და შესაბამისი გამოვლენილი კონტროლის საშუალებები. მისი გამოყენება ასევე შეიძლება კონტროლის საშუალებების დანერგვის/მოქმედების შესამოწმებლად ჩატარებულ სამუშაოსთან შესადარებლად.

### მუ-3 საფეხური – კონტროლის მუშაობის შეფასება (განხილულია ქვემოთ)

ამონარიდი ამონაგების/მოთხოვნების ანალიზიდან

ოპერაციის დამუშავებაზე მომუშავე პერსონალის გამოკითხვა.

გამოკითხული პირები:

<u>კარლა</u>	თარიღი	<u>20X3 წლის 16 თებერვალი</u>
<u>დამირი</u>	თარიღი	<u>20X3 წლის 17 თებერვალი</u>
<u>მარია ჰოუ</u>	თარიღი	<u>20X3 წლის 17 თებერვალი</u>

აღწერეთ მოცემულ ოპერაციისთვის დაკავშირებით ჩატარებული პროცედურები. შეეხეთ ოპერაციის ინცირებას, სანქცირებას, ბუღალტრულად ასახვას და ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენას.	სისტემა ისე მუშაობს, როგორც სისტემების დოკუმენტაციაშია აღწერილი. ის. სდ 530, სადაც ინახება დოკუმენტების ასლები, რომელმაც აღწერილია მოქმედი შიდა კონტროლის საშუალებები. თუმცა, ჩვენ შევიტყვეთ, რომ მართა ჰოუ ახალი თანამშრომელია და ბევრი არაფერი იცის არსებული სისტემის შესახებ.
აღწერეთ ნებისმიერი ინფორმაციის ერთი პირიდან (პროცესის მენეჯერი) მეორეზე გადაცემის პროცესი.	ინფორმაციის გადაცემა ხდება რეალიზაციის განყოფილებიდან ბუღალტერიაში. „თავიდან ბოლომდე გავლის ტესტის“ ჩატარებიდან გამოიჩნდა, რომ ინფორმაციის გადაცემა კარგად მუშაობს.
ჩაწერეთ განხორციელებული შიდა კონტროლის პროცედურების სისტემები და ჩატარების დრო.	აღნიშნულია კონტროლის სტრუქტურის მატრიცაში.
დაადგინეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები, რომლებიც საჭიროა ოპერაციების მონაცემთა ფაილების დასაცავად და გამოყენებითი შიდა კონტროლის საშუალებების (პროგრამების) სათანადო დონეზე ფუნქციონირებისთვის.	საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები მინიმალურია, სამუშარეო სუბიექტის მცირე ზომის გამო.
აღწერეთ, რა პროცედურები არსებობს პერსონალის ავადმყოფობის ან შეგებულების დროს მათი არყოფნის კომპენსაციისთვის. თუ შეგებულება არ არის აღებული ბოლო 12 თვეს მანძილზე, მიუთითეთ მიზეზი.	პერიოდის განმავლობაში ოთხი თვეს მანძილზე გამყიდველის აღვიდო თავისუფალი იყოს, სანამ მართა დაიქირვებდნენ. ეს იმას ნიშავს, რომ ამ პერიოდში მოვალეობები ნაკლებად იყო დანაწილებული.
იკითხეთ და გაარკვიეთ წინა პერიოდში დაშვებული შეცდომების ხასიათი და სიდიდე.	შეცდომების უმეტესობა დაშვებული იყო ფასებთან დაკავშირებით, რაც ამჟამად, მირითადად, ხელით შესასრულებელი პროცესია.
იკითხეთ, იძულებული იყო თუ არა ვინმე გადატენა დოკუმენტირებული (დადგენილი) პროცედურებისგან.	ერთხელ გაყიდვების მენეჯერმა ითხოვა ფასის მნიშვნელოვნაზე შემცირება საძინებლის კომპლექტზე, თავისი მევობრისთვის, რაზეც უარი მიიღო.

#### მე-4 საფეხური – შპრა კონტროლის დოკუმენტაცია (განხილულია ქვემოთ)

ამონარიდი ბიზნესპროცესის დოკუმენტაციიდან, რომელიც მომზადებული თხრობითი აღწერილობის მეთოდით.

##### „დეფა ავაჯი“

შენიშვნა: გამოვლენილი კონტროლის საშუალებები შავი შრიფტითაა ჩაწერილი.

ბიზნესპროცესი – ამონაგების/მოთხოვნების/ფულადი სახსრების მიღების სისტემა

##### რეალიზაციის ხელშეკრულებები

რეალიზაციის ხელშეკრულებებს საცალო და ინდივიდუალური შეკვეთებისთვის ამზადებს არჯანი, რადგან ეს შრომატევადი სამუშაოა. ყველა ხელშეკრულება ეყრდნობა გარკვეულ ტრაფარეტს, რომელიც მოიცავს სავარაუდო რაოდენობას, ავეჯის სახეობას, სპეციალურ მოთხოვნებს, ასევე მიწოდებისა და ანგარიშსწორების სტანდარტულ ვადებსა და პირობებს. ანგარიშსწორების ვადები და პირობები შეიძლება სხვადასხვა მომზმარებლისთვის სხვადასხვანაირი იყოს. ყველა მომზმარებლის შეკვეთისთვის მოითხოვება პროდუქტის ღირებულების 15%-ის წინასწარ გადახდა და ეს თანხა აისახება როგორც ამონაგები, გაყიდვის მომენტისთვის.

ყველა ხელშეკრულებას იხილავს და დამტკიცების ნიშნად ხელს აწერს სურაჯი, სანამ ხელმოსაწერად გადაეცემა მომზმარებელს. როდესაც მომზმარებელი ხელშეკრულებას ხელს მოაწერს დამტკიცების ნიშნად, შეკვეთა შეიტანება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს შეკვეთას რიგით ნომერს. როდესაც საქონელი გასაგზავნად მზად იქნება, გამოიწერება გასავლის სატრანსპორტო ზედდებული, შეიტანება სისტემაში და შეუდარდება შეკვეთას. შემდეგ კარლა ამზადებს ანგარიშ-ფაქტურას (ინვოისს) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საფუძვლზე, რომელიც ავტომატურად ანიჭებს მას რიგით ნომერს. მკაცრად იკრძალება საქონლის გაგზავნა კლიენტისთვის საქონლის გასავლის სატრანსპორტო ზედდებულის ნომრის სისტემაში შეტანის გარეშე. მიწოდების თარიღების მიხედვით სისტემას შეუძლია იმის დადგენა, რომელი შეკვეთები შესრულდა და რომლები დარჩა შეუსრულებელი მიწოდების თარიღის მიხედვით.

##### რეგულარული რეალიზაციის შეკვეთები

რეალიზაციის შეკვეთებს ამზადებნ თითოეული მიღებული შეკვეთისთვის და შეიტანენ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს შეკვეთას რიგით ნომერს. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია ავეჯი, რომელიც პირდაპირ მაღაზიდან იყიდება, ან სხვა პატარა ზომის პროდუქტების გაყიდვა, რომლებიც მარაგში არსებობს.

ყველა შეკვეთა, რომლის ღირებულება 500 ევროს აღემატება, ან რომლის სარეალიზაციო ფასი მინიმალურ გასაყიდ ფასზე ნაკლებია, უნდა დაამტკიცოს არჯანმა.

როდესაც პროდუქტების აწყობა დამთავრდება და მზად იქნება გასაყიდად, კარლა ამზადებს ანგარიშ-ფაქტურას (ინვოისს), რომელიც მომზმარებელს ეგზავნება შეკვეთასთან ერთად.

არჯანი არ აწარმოებს მომზმარებლების კრედიტურარიანობის შემოწმებას თუ იცნობს მათ, ან თუ შეკვეთა დიდი არ არის. კრედიტის მიცემის დროს, ის, ძირითადად, ეყრდნობა ამ მომზმარებელთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებას.

##### საცალო გაყიდვები

მაღაზიდან გაყიდული ყველა საქონლისთვის, ანგარიშ-ფაქტურები (ინვოისები) გაყიდვისთანავე გამოიწერება და შეიტანება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში.

სისტემა თითოეული გაყიდული საქონლისთვის ავტომატურად ანიჭებს ანგარიშ-ფაქტურას ნომერს. როგორ წესი, ანგარიშ-ფაქტურები ეძლევათ მომზმარებლებს.

საცალო გაყიდვების უმეტესობა ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება, ამიტომ აქ მცირეა საკრედიტო რისკი.

## ონტერნეტით გაყიდვები

ინტერნეტით გაყიდვების ყოველდღიურ შედეგებს ვებგვერდიდან გადმოტვირთავს კარლა. ის ამზადებს რეალიზაციის შეკვეთებს, რომელიც გადაეცემა საწარმოო ქვედანაყოფს. მაშინვე გამოწერენ ანგარიშ-ფაქტურას და ბუღალტრულად ატარებენ, როგორც ამონაგებს, რადგან პროდუქტისთვის ფული უკვე გადახდილია. ანგარიშ-ფაქტურა წარწერით „სრულად გადახდილია“ ახლავს ინტერნეტის მეშვეობით გაყიდულ ყველა გაგზავნილ საქონელს.

## მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)

კარლა წენის ყველა საფოსტო წერილს და მიღებულ გადახდებს (ჩეკებს) ცალკე აღავებს ბანკში შესატანად. როგორც წესი, ბანკში ფული შეაქვს სახლისკენ მიმავალ ჯავადს. შემდეგ კარლას გადახდის მონაცემები შეაქვს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში და თანხას უდარებს ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებულ თანხას.

ჯავადი ამზადებს მოთხოვნების ანგარიშების სიას გადახდის ვადების მიხედვით და სურაჯს გადასცემს განსახილველად.

90 დღეზე მეტი წნის გადაუხდელ მოთხოვნების ანგარიშებთან დაკავშირებით ყოველთვიურად ატარებენ სათანადო ზომებს და მოთხოვნების ანგარიშების სიას მიაწერენ კომენტარებს, თუ როდის შეთანხმდა მომხმარებელთან ნაშთის გადახდა.

იმ მომხმარებლებზე, რომელთა ნაშთი გადაუხდელია 90 დღეზე მეტის წნის განმავლობაში და კომპანიასთან არ შეუთანხმებიათ გადახდის სხვა ვარიანტი, შემდგომში პროდუქციას ყიდიან პროდუქტის მიწოდებისთანავე გადახდის პირობით.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

სამეცნიერო სუბიექტის დონისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები

ეს ფორმა მოიცავს ზემოთ განხილულ ოთხივე საფეხურს. მასში ასახულია გასათვალისწინებელი რისკები და ნაჩვენებია, როგორ უნდა აისახოს დოკუმენტაციაში გამოვლენილი კონტროლის საშუალებები და როგორ მუშაობს კონკრეტული კონტროლის პროცედურები.

სამეცნიერო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები	
გასათვალისწინებელი რისკები	შესაბამისი კონტროლის პროცედურები
<b>კონტროლის გარემო:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>აქცენტი არ კეთდება პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობაზე/აუცილებლობაზე.</li> <li>არ არსებობს კომპეტენტური თანამშრომლების დაქირავების ვალდებულება;</li> <li>არაეფექტურად ხორციელდება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მხრიდან ხელმძღვანელობის ზედამხედველობა;</li> <li>ხელმძღვანელობას არასათანადო დამოკიდებულება აქვს შიდა კონტროლის/ბიზნესის რისკების მართვისადმი;</li> <li>ორგანიზაციული სტრუქტურა არაეფექტური/შეუფერებელია დაგეგმვის, კონტროლისა და კომპანიის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით;</li> <li>არ არსებობს კადრების ეფექტური მართვის პოლიტიკა/პროცედურები.</li> </ul>	<p>რაჯი მუდმივად ამაზეილებს ყურადღებას პატიოსწინებისა და ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, თანამშრომლებთან ყოველდღიურ ურთიერთობებში და თავისი ქმედებით.</p> <p>მას სათანადო პოზიცია უკავია შედა კონტროლოთან მასართებით – რაჯიმ, შეძლებისძლებარად, გათვალისწინა და განახორციელა წარსულში აუდიტის შედეგად ჩვენ მიერ მიცემული რეკომენდაციები.</p> <p>არ არსებობს მართვის ფორმალური სტრუქტურა, მაგრამ რაჯი რეგულარულად ხდება სურაჯს და ჯავადს („დეფლა“).</p>
ამცირებს კონტროლის საშუალებები რისკის ფაქტორებს?	დასხ
აღწერეთ გამოკითხვების/დაკვირვებების შედეგები, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები ნამდვილად მუშაობს პრაქტიკაში.	<p>რუბიმ გასაუბრებისას დაადასტურა, რომ რაჯი მომზრდებლებს და კლიენტებს სამართლიანად და ეთიკურად ექცევა.</p> <p>ჩვენ განვიხილეთ ჯავადის მიერ მომზადებული ბოლო შეხვედრის ოქმი.</p>
რისკების შეფასება:	<p>ბიზნესგეგმა ყოველწლიურად მზადდება. რაჯი აკონტროლებს ფულადი სახსრების ყოველთვიურ ბრუნვას და გაყიდვების ტენდენციებს.</p>
ამცირებს კონტროლის საშუალებები რისკის ფაქტორებს?	დასხ
აღწერეთ გამოკითხვების/დაკვირვებების შედეგები, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები ნამდვილად მუშაობს პრაქტიკაში.	<p>განვიხილეთ ბიზნესგეგმის ასლი, საიდანაც გამოვლინდა რეალიზაციაზე გაონიშედების ზემოქმედების შესაძლებლობა.</p> <p>განვიხილეთ თვითური ფულის ბრუნვის ამსახველი ფაილი, რომელიც რაჯის გადაეცა. რაჯის მიერ ჩატარებული ბრუნვის მაჩვენებლების მიმოხილვა დასტურდება დოკუმენტზე მას მიერ მიწერილი შენიშვნებითა და შეთავაზებული ცვლილებებით.</p>

<b>სამეცნიერო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებები (გაგრძელება)</b>	
<b>გასათვალისწინებელი რისკები</b>	<b>შესაბამისი კონტროლის პროცედურები</b>
<p>ფინანსური ანგარიშების რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოვლენები და პირობები, რომლებიც არსებითია ფინანსური ანგარიშებისთვის, შეიძლება ვერ გამოვლინდეს ან ვერ აისახოს ბუღალტრულად;</li> <li>არადამაქმაყოფილებელია კონტროლი/ზედამხედველობა ფინანსური ანგარიშებიაზე, საბუღალტრო გატარებებზე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასების/განმარტებითი შეინშვნების მომზადებაზე, რამაც შეიძლება არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშებაში; და</li> <li>ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება არ ეცნობოს დირექტორთა საბჭოს ან გარეშე მსარეებს, მაგალითად ბანკებს, ან მარეგულირებელ ორგანოებს.</li> </ul>	<p>რაჯი ხვდება სურაჯს და კავალს („დეფტა“) ფინანსური ანგარიშებისა და ბიზნესგეგმების განსახილველად.</p> <p>რაჯი იხილავს ფინანსურ ანგარიშებას, მაგრამ მხოლოდ მაშინ ამოწმებს საბუღალტრო ჩანაწერებს (გატარებებს), როდესაც დრო აქვს (რისკი გაზრდილია იმის გამო, რომ მოვალეობები არ არის დანაწილებული და რუბის საშუალება აქვს ისეთი საბუღალტრო გატარებები გააკეთოს, რაც ვერ გამოვლინდება).</p>
<p>ამცირებს კონტროლის საშუალებები რისკის ფაქტორებს?</p>	<p>არა. შიდა კონტროლს ნაკლოვანება აქვს, რაც გამოისაზება ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნირირების რისკის არსებობასა და მოვალეობების დანაწილების არარსებობაში ასეთ ტკირე საწარმოში.</p>
<p>აღწერეთ გამოკითხვების/დაკვირვებების შედეგები, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები ნამდვილად მუშაობს პრაქტიკაში.</p>	<p>განვიხილეთ სურაჯისთვის გადაცემული ოვაური ფინანსური მონაცემების ელექტრონული ფაილი. თუმცა, ვერ აღმოვჩინეთ იმის მტკიცებულებები, რომ რაჯმა ნამდვილად განიხილა ანგარიშება.</p>
<p>თაღლითობის პრეცენტია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა, ან არ შეაფასა თაღლითობის რისკები (მათ შორის ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის პროცედურებიდან გადახვევის შესაძლებლობა).</li> </ul>	<p>რაჯი ნაღდ ფულს და ფასიან ქაღალდებს ჩაკეტილს ინახავს.</p> <p>რაჯი კომპანიის საქმიანობის ყველა ეტაპში მონაწილეობს, წარმოების ჩათვლით, ასე, რომ კომპანიის ყველა ოპერაციის ზედამხედველობა მინიმუმადე ამცირებს თაღლითობის რისკს.</p>
<p>ამცირებს კონტროლის საშუალებები რისკის ფაქტორებს?</p>	<p>არა. მუჟერავდ იმისა, რომ ფული უსაფრთხო არის შენახული, რაჯი მოცემული წლის განმავლობაში ხშირად არ იძყოფებოდა ადგილზე, რამაც შეამცირა ხელმძღვანელობის მხრიდან ზედამხედველობის გაწევის ხარისხი. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა, ბუღალტრების პირადი ფინანსური პრობლემები აქვს.</p>
<p>აღწერეთ გამოკითხვების/დაკვირვებების შედეგები, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები ნამდვილად მუშაობს პრაქტიკაში.</p>	<p>შევამოწმოთ ადგილი, საღაც ნაღდი ფული ინახება ჩაკეტილი და დაღასტურდა, რომ მხოლოდ რაჯს აქვს გასაღები.</p>

საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები	
გასათვალისწინებელი რისკები	შესაბამისი კონტროლის პროცედურები
<p>გასათვალისწინებელი რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>არ არსებობს პოლიტიკა/პროცედურები საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური მართვის, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამშრომელთა ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად;</li> <li>არ არსებობს კავშირი კომპანიის მიზნებს, რისკებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გეგმებს შორის;</li> <li>კომპანია ენდობა (ეფრდნობა) ისეთ სისტემებს/პროგრამებს, რომელიც არასწორად ამუშავებს მონაცემებს ან ამუშავებს არასწორ მონაცემებს; და</li> <li>მონაცემების უნგაროთვო ხელმისაწვდომობა. არსებობს მონაცემების განადგურების, შეუსაბამო ცვლილებების, არასანქცირებული ან არარსებული ოპერაციების, ან ოპერაციების არასწორად ჩაწერის შესაძლებლობა.</li> </ul>	<p>არ არსებობს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროცედურები. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები და კაპიტალური შესყიდვები წლიური ბიუჯეტის ნაწილია (თუ წინასწარ არის დაგეგმილი).</p> <p>რაჯო უზრუნველყოფს, რომ პროცედურები უზრუნველყოფა მუდმივად თანამდებროვე იყოს და რებიტ აწარმოოს მონაცემთა სარეზერვო ასლები.</p>
ამცირებს კონტროლის საშუალებები რისკის ფაქტორებს?	დაახ, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერაციები მცირე მოცულობისაა.
აღწერეთ გამოკითხვების/დაკვირვებების შედეგები, რათა დარწმუნდეთ, რომ გამოვლენილი კონტროლის საშუალებები ნამდვილად მუშაობს პრაქტიკაში.	განვიხილოთ წლიური ბიუჯეტი საინფორმაციო ტექნოლოგიებზე გათვალისწინებული ხარჯების კუთხით. ამ პერიოდისთვის დავუგდილი არ იყო მნიშვნელოვანი კაპიტალური შესყიდვები.

### ბიზნესპროცესის ანუ საოპერაციო კონტროლის საშუალებები

ქვემოთ მოცემული საილუსტრაციო ფორმა (ამონაგები, მოთხოვნები, ფულადი სახსრების მიღება) ეხება პროცესის ოთხი საფეხურიდან ორს. ფორმაში საოპერაციო რისკები დაკავშირებულია შესაბამის გამოვლენილ კონტროლის პროცედურებთან, ცალკეული მტკიცების მიხედვით. მისი გამოყენება ასევე შეიძლება კონტროლის საშუალებების დანერგვასთან შესაძარებლად.

**აუდიტის სურამისობის სტანდარტების გამოყენების საჯღმოვანელო მცირე და საშუალო საწარმოთ აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

სამეცნიერო სუბიექტი: „**კუმარი და კომპანია**“ საანგარიშგებო თარიღი: 20XX წლის 31 დეკემბერი

1. გამოავლინეთ ნებისმიერი საოპერაციო რისკი, რომელსაც სათანადო კონტროლის გარეშე შეუძლია არსებითი უზუსტობის გამოწვევა ფინანსურ გარიგებაში.

	1-ლი საფეხური: გამოავლინეთ არსებითი საოპერაციო რისკები (ამ ცხრილიდან ამოიღეთ რისკები, რომელებიც არ არის არსებითი)	მტკიცების რისკები	მე-3 საფეხური: აუდიტორის საპასუხო ქმედება (აღწერეთ ან მიუთითეთ აუდიტის გეგმა)	სდ-ის მითითება
1.	საქონლის გაგ ზავნა/შესრულებული მომსახურება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის გარეშე.	ს	იხ. ამონაგების გეგმა	700
2.	ამონაგები ბუღალტრულად აისახება ნაწილობრივ, ან საერთოდ არ აისახება (ე.ო. ნაღდ ფულზე გაყიდვები).	ს წ	იხ. ამონაგების გეგმა	700
3.	ანგარიშებში აისახება ფიქტიური გაყიდვები/კრედიტთ გაყიდვები.	ს პ	იხ. ამონაგების გეგმა	700
4.	არ იცავენ ამონაგების აღიარების პოლიტიკას.	ს პ წ	დამატებითი პროცედურები 700-ში	700
5.	ამონაგები/შემოსული ფულადი სახსრები არასწორ სააღრიცხვო პერიოდში აისახება.	წ	იხ. ამონაგების გეგმა	700
6.	შემოსული ნაღდი ფული ნაწილობრივ ან საერთოდ არ დებონირდება ბანკში, ან არ აისახება ბუღალტრულად.	ს წ	იხ. ამონაგების გეგმა	700
7.	არ იქნება ანარიცხები საეჭვო დებიტორული დავალიანების ნაშენებისთვის.	გ	იხ. ამონაგების გეგმა	700
8.	არ ხდება დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დადგენა.	ს პ წ	იხ. სდ 666	666
9.				

2. გამოავლინეთ შესაფერისი შიდა კონტროლის პროცედურები (ავტომატიზირებული და მანუალური), (პრ = პრევენციული ან აღ = აღმომჩენი და გამოსასწორებელი), რომელებიც ამცირებს 1-ელ საფეხურზე გამოვლენილ, კონკრეტული მტკიცების რისკებს (1-8). შემდეგ თითოეული მტკიცებისთვის შეაფასეთ, ამცირებს თუ არა გამოვლენილი შესაფერისი შიდა კონტროლის პროცედურები მტკიცებასთან დაკავშირებულ რისკებს.

მე-2 საფეხური: გამოავლინეთ შესაბამისი შიდა კონტროლის პროცედურები	მტკიცებები			
	სისრულე (ს)	არსებობა (ა)	სისწორე (წ)	შეფასება (გ)
<b>კონტროლის პროცედურები</b>				
1. აწარმოებენ შეკვეთების/საქონლის გაგ ზავნის ჩანაწერებს, სადაც ნაჩვენებია: შეკვეთის დეტალები, ინფორმაცია მიწოდების შესახებ, გაყიდული/გაგ ზავნილი საქონლის რაოდენობა, გაგ ზავნის თარიღი და გადახდილია თუ არა.	აღ	აღ	აღ	
2. აწარმოებენ რეალიზაციის ოპერაციების სარეგისტრაციო ფურნალს, სადაც ნაჩვენებია: კლიენტის სახელი, საქონლის გაგ ზავნის თარიღი, შეკვეთის დეტალები, ფასი და გადახდილი თანხის თდენობა.	აღ		აღ	

3.	რაჯი საქონლის გაგზვნის სარგებისტ-რაციო უკრნალის ჩანაწერებს უდარებს რეალიზაციის უკრნალის ჩანაწერებს ყოველ ძვირას, რათა დარწმუნდეს, რომ არ დარჩა გაუც ზავნელი საქონლი.	აღ			
4.	რაჯი იხილავს ყოველთვიურ გაყიდვებს, მოთხოვნების ანგარიშებსა და შემოსული ნაღდი ფულის სარგებისტრაციო უკრნალებს. (ცოტა მომხმარებლები, გაყიდვების უდიდესი ნაწილი „დეფაუტ“ მოდის).	აღ	აღ	აღ	აღ
5.	ცალკე ანგარიშებში იწერება რეალიზაციის ოპერაციები, რომლებიც ეხება „დეფაუტას“ და დაკავშირებულ კომპანიებზე საქონლის გაყიდვას.			აღ	
6.					
7.					
ამცირებს კონტროლის საშუალებები მტკიცების რისკს?		შ	შ	შ	შ

პირობითი ნიშნები:

შ = რისკი შემცირებულია;

ც = ცოტათი შემცირებულია.

არა = არსებითი ნაკლოვანება არსებობს.

### მე-3 საფეხური – ქვემოთ განხილულია კონტროლის მუშაობის შეფასება

საოპერაციო კონტროლის პროცედურების მუშაობა

ამონარიდი ამონაგების/მოთხოვნების ანალიზიდან

გამოკითხული პირები:

რუბი

თარიღი: 20X3 წლის 22 თებერვალი

რუბი

თარიღი: 20X3 წლის 22 თებერვალი

აღწერეთ მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით ჩატარებული პროცედურები. შეეხეთ ოპერაციის ინიცირებას, სანქცირებას, ბუღალტრულად ასახვას და ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენას.	სისტემა ისე მუშაობს, როგორც სისტემების დოკუმენტაციაშია აღწერილი. ი.ხ. სდ 535, სა-დაც ინახება დოკუმენტების ასლები, რომლებ-შიც აღწერილია მოქმედი შიდა კონტროლის საშუალებები.
აღწერეთ ნებისმიერი ინფორმაციის ერთი პირიდან (პროცესის მენეჯერი) მეორეზე გადაცემის პროცესი.	ინფორმაციის გადაცემა ხდება რეალიზაციის განყოფილებიდან ბუღალტერიაში. „თავიდან ბოლომდე გავლის ტესტის“ ჩატარებიდან გა-მოჩნდა, რომ ინფორმაციის გადაცემის პროცე-სი კარგად მუშაობს.
ჩატარეთ განხორციელებული შიდა კონტროლის პროცედურების სიხშირე და ჩატარების დრო.	ნაჩვენებია კონტროლის სტრუქტურის ძალის მიზრიცაში.
დაადგინთ საინფორმაციო ტექნოლოგიების ნებისმიე-რი საერთო კონტროლის საშუალებები, რომლებიც საჭიროა ოპერაციების მონაცემთა ფაილების დასა-ცავად და გამოყენებითი შიდა კონტროლის საშუა-ლებების სათანადო დონეზე ფუნქციონირებისთვის.	საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტ-როლის საშუალებები მინიმალურია, სამეურნეო სუბიექტის მცირე ზომის გამო.
აღწერეთ, რა პროცედურები არსებობს პერსონალის ავადმყოფობის ან შვებულების დროს მათი არყოფნის კომპენსაციისთვის. თუ შვებულება არ არის აღებული ბოლო 12 თვის მანძილზე, მიუთითოთ მიზეზი.	რუბი, როგორც არასრულ განაკვეთზე მომუ-შავე თანამშრომელი, ყველა საბუღალტრო სა-მუშაოს მაშინ ასრულებდა, როდესაც ოფისში მოდიოდა. თუ გავითვალისწინებთ ოპერაციების მცირერიცხოვობას, ეს საკმარისი იყო.

იყითხეთ და გაარკვიეთ წინა პერიოდში დაშვებული შეცდომების ხასიათი და სიდიდე.	შეცდომების უმეტესობა დაშვებული იყო შეკვეთის და გაგზავნილი საქონლის რაოდენობებში. ამგვარი შეცდომების გამოსავლენად საქონლის გაგზავნის სარგებისტრაციო უფრნალისა და რეალიზაციის უურნალის ჩანაწერების შეჯერებაზე კონტროლს ახორციელებს რაჯი. როგორც ამ პროცედურებზე თავიდან ბოლომდე გავლის ტესტის ჩატარებიდან გამოხდა, ეს პროცედურა კარგად მუშაობდა შეცდომების გამოვლენის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
იყითხეთ, იძულებული იყო თუ არა ვინმე გადაეხვია დოკუმენტირებული (დადგენილი) პროცედურებისგან.	არ გამოვლინდა ასეთი შემთხვევები.

#### მუ-4 საფუძური – ქვემოთ განხილულია შიდა კონტროლის დოკუმენტაცია

შენიშვნა: შიდა კონტროლის საშუალებები გამოსახულია შავი შრიფტით.

ამონარიდი ბიზნესპროცესის დოკუმენტაციიდან, რომელიც მომზადებულია თხრობითი აღწერილობის მეთოდით – „კუმარი და კომპანია“

ბიზნესპროცესი – ამონაგების/მოთხოვნების/ფულადი სახსრების მიღების სისტემა

##### რეალიზაციის ხელშეკრულებები

რეალიზაციის შეკვეთებს გამოწერენ ყველა მიღებული შეკვეთისთვის და შეაქვთ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს შეკვეთას რიგით ნომერს. გამონაკლის წარმოადგენს ავეჯი, რომელიც პირდაპირ მაღაზიდან იყიდება, ან მარაგში არსებული მცირე ზომის პროდუქცია.

რაჯი აწარმოებს შეკვეთების სარეგისტრაციო უურნალს, სადაც მითითებულია შეკვეთის თარიღი, თანხა, სახეობა, გაგზავნის შეთანხმებული თარიღი, ფასი და ა.შ. ის ასევე აწარმოებს რეალიზაციის ოპერაციების სარეგისტრაციო უურნალს, სადაც მითითებულია მომხმარებლის ვინაობა (სახელწოდება), შეკვეთის დეტალები, ფასი და სხვ. ყოველი თვის ბოლოს რაჯი ერთმანეთს უდარებს და აანალიზებს შეკვეთებისა და რეალიზაციის სარეგისტრაციო უურნალების მონაცემებს, ჩანაწერების სისტორის შესამოწმებლად

როდესაც პროდუქციის აწყობა დამთავრდება და მზად იქნება გასაყიდად, რუბი ამზადებს ანგარიშ-ფაქტურას (ინვოისს), რომელიც მომხმარებელს ეგზავნება შეკვეთასთან ერთად.

##### საცალო გაყიდვები

მაღაზიდან გაყიდული ყველა საქონლისთვის, ანგარიშ-ფაქტურებს (ინვოისები) გაყიდვისთანავე გამოსწერს რაჯი და შეაქვს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში. სისტემა ავტომატურად შექმნის ანგარიშ-ფაქტურის ნომერს თითოეული გაყიდული საქონლისთვის. ანგარიშ-ფაქტურები ეძლევათ მომხმარებლებს.

საცალო გაყიდვების უმეტესობა ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება, ამიტომ აქ მცირეა საკრედიტო რისკი.

##### მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)

რუბი ხსნის ყველა საფოსტო წერილს და მიღებულ გადახდებს (ჩეკებს) ცალკე ალაგებს ბანკში შესატანად. როგორც წესი, ბანკში ფული შეაქვს სახლისკენ მიმავალ რუბის. შემდეგ რუბის შე-

აქვს გადახდის მონაცემები ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში და შემოსულ თანხას უდარებს ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებულ თანხას.


რუბი ამზადებს მოთხოვნების ანგარიშების სიას გადახდის ვადების მიხედვით და განსახილველად გადასცემს რაჯს.

მოთხოვნების ანგარიშებს, რომელთა ნაშთი გადაუხდელია **90** დღეზე მეტი წნის განმავლობაში, ყოველთვიურად აკონტროლებს რუბი და სათანადო ზომებს ატარებს და მოთხოვნების ანგარიშების სიას მიაწერს კომენტარებს, თუ როდის შეთანხმდა მომხმარებელთან ნაშთის გადახდა.

## 13. ინფორმირება შიდა პროცესის ნაკლოვანებების შესახებ

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითოებები შიდა კონტროლში გამოვლენილი ისეთი ნაკლოვანებების ინფორმირების წესების შესახებ, რომლებიც, აუდიტორის მოსაზრებით, იმსახურებს ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ყურადღებას.	265

სქემა 13.01



### შენიშვნები:

- გაეცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტის მოითხოვთ.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

**პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან**

260.10	<p>ასს-ების მიზნებისთვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:</p> <p>ა) მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – პირ(ები)ი ან ორგანიზაცი(ები)ა (მაგ., კორპორაციული ტრასტი), რომლებსაც გააჩნიათ სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიულ მიმართულებაზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობა და სამეურნეო სუბიექტის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებანი. ამაში შედის ზედამხედველობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტში მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებში შეიძლება შედიოდეს ხელმძღვანელი პერსონალი, მაგალითად, კერძო ან სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტის მმართველი საბჭოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე-მმართველი. მმართველობის სტრუქტურების მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად იხ. პუნქტები გ1-გ8;</p> <p>ბ) ხელმძღვანელობა – პირ(ები)ი, რომლებსაც გააჩნიათ აღმასრულებელი პასუხისმგებლობა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის განხორციელებაზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტში ხელმძღვანელობაში შედის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ცალკეული ან ყველა პირი, მაგალითად, მმართველი საბჭოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე-მმართველი.</p>
265.6	<p>ასს-ების მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:</p> <p>ა) შიდა კონტროლის ნაკლოვანება – ნაკლოვანებას ადგილი აქვს, როდესაც:</p> <p>(i) კონტროლის პროცედურა შემუშავდა, დაინერგა ან ფუნქციონირებს ისეთნარიად, რომ ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშების უზუსტობების დროულად თავიდან აცილებას, ან გამოვლენასა და გამოსწორებას; ან</p> <p>(ii) არ არსებობს კონტროლის პროცედურა, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების უზუსტობების დროულად თავიდან ასაცილებლად, ან გამოსავლენად და გამოსასწორებლად.</p> <p>ბ) შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანება – შიდა კონტროლის ნაკლოვანება ან ნაკლოვანებათა ერთობლივია, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული მსჯელობით, იძლენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ყურადღებას.</p>
265.7	აუდიტორმა აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე უნდა განსაზღვროს, გამოავლინა თუ არა ერთი ან მეტი ნაკლოვანება შიდა კონტროლში. (იხ.: პუნქტები გ1-გ4)
265.8	თუ აუდიტორმა გამოავლინა ერთი ან მეტი ნაკლოვანება შიდა კონტროლში, აუდიტორმა აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე უნდა განსაზღვროს, წარმოქმნის თუ არა იგი, ცალკეული ან ერთობლივად, მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. (იხ.: პუნქტები გ5-გ11)
265.9	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს წერილობით დროულად უნდა აცნობოს აუდიტის განმავლობაში შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. (იხ.: პუნქტები გ12-გ18, გ27)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
265.10	<p>აუდიტორმა ასევე შესაფერისი პასუხისმგებლობის დონის ხელმძღვანელობას დროულად აცნობოს: (იხ.: პუნქტი გ19, გ27)</p> <p>ა) წერილობითი ფორმით შიდა კონტროლის იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომელთა შესახებ უკვე აცნობა ან აპირებს, რომ აცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, გარდა იმ შეთხვევებისა, როცა კონკრეტულ გარემოებებში მიზანმეტონილი იქნებოდა პირდაპირ ხელმძღვანელობის ინფორმირება; და (იხ.: პუნქტი გ14, გ20-გ21)</p> <p>ბ) აუდიტის განმავლობაში შიდა კონტროლში გამოვლენილი სხვა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთა შესახებ არ ყოფილა ინფორმირებული ხელმძღვანელობა მესამე მსარეების მიერ და, აუდიტორის პროფესიული განსჯით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს ხელმძღვანელობის ფურადლებას. (იხ.: პუნქტი გ22-გ26)</p>
265.11	<p>აუდიტორმა შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ წერილობით შეტყობინებაში უნდა შეიტანოს:</p> <p>ა) ამ ნაკლოვანებების აღწერილობა და მათი სავარაუდო ზემოქმედების განმარტება; და (იხ.: პუნქტი გ28)</p> <p>ბ) ისეთი საკმარისი ინფორმაცია, რომელიც მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებსა და ხელმძღვანელობას შესაძლებლობას მისცემს, გაიგონ ამ შეტყობინების კონტექსტი. კერძოდ, აუდიტორმა უნდა განმარტოს, რომ: (იხ.: პუნქტი გ29-გ30)</p> <p>(i) აუდიტის მიზანს წარმოადგენდა აუდიტორის მიერ ფინანსური ანგარიშების შესახებ მოსაზრების გამოთქმა;</p> <p>(ii) აუდიტი მოიცავდა ფინანსური ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის განხილვას ისეთი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად, რომლებიც კონკრეტული გარემოებების შესაფერისა და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოთქმის მიზნით; და</p> <p>(iii) ინფორმირებული საკითხები შემოიფარგლება მხოლოდ იმ ნაკლოვანებებით, რომლებიც აუდიტორმა გამოავლინა აუდიტის განმავლობაში და, აუდიტორის აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს მათ შესახებ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირებას.</p>

### 13.1 ზოგადი მიმოხილვა

აუდიტის მიმდინარეობისას შეიძლება გამოვლინდეს შიდა კონტროლის ნაკლოვანებები, კერძოდ, დამკვეთის შიდა კონტროლის შესწავლისა და შეფასების პროცედურების შედეგად (იხილეთ მე-2 ტომის მე-11 და მე-12 თავები), რისკების შეფასებისას, აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას ან აუდიტის ნებისმიერ ეტაპზე ჩატარებული სხვა სახის დაკვირვების შედეგად.

არ არსებობს რაიმე შეზღუდვა იმის შესახებ, თუ რა სახის ნაკლოვანებები შეიძლება ეცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებსა და ხელმძღვანელობას. თუმცა, როდესაც აუდიტორი გამოვლენილ ნაკლოვანებას მნიშვნელოვან ნაკლოვანებად მიიჩნევს, აუდიტორმა ის უნდა განიზილოს ჯერ ხელმძღვანელობასთან და მხოლოდ შემდეგ არის ვალიდებული საქმის კურსში ჩააყენოს მართვის უფლებით აღჭურვილი პირები წერილობითი ფორმით.

შემდეგ ცხრილში განხილულია ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული კონტროლის ნაკლოვანებები.

ცხრილი 13.1-1

შიდა კონტროლის პოტენციური ნაკლოვანებები	
<p><b>ყოვლისმომცველი</b> (სამეურნეო სუბიექტის დონის) <b>კონტროლის საშუალებები</b></p>	<p>სუსტი კონტროლის გარემო (სამეურნეო სუბიექტის დონი): კონტროლის საშუალებები, როგორიცაა არაეფექტური ზედამხედველობა, უარყოფითი დამოკიდებულება შიდა კონტროლის მიმართ, ან ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირებისა და თაღლითობის ჩადენის შემთხვევები.</p> <p>პერსონალის ცვლილება, რის შედეგადაც დაუკომპლექტებული დარჩა ძირითადი თანამდებობები, ან, როდესაც არსებული პერსონალი (მაგ., საბუღალტრო პერსონალი) არ არის კომპეტენტური დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.</p> <p>საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებებში გამოვლენილი ნაკლოვანებები.</p> <p>არაადეკვატური კონტროლის პროცედურების დანერგვა მნიშვნელოვან არატიპურ მოვლენებზე რეაგირებისთვის, როგორიცაა ახალი სააღრიცხვო სისტემის დანერგვა, ისეთი სისტემის ავტომატიზაცია, როგორიცაა რეალიზაცია, ან ახალი სამეურნეო სუბიექტის (ბიზნესის) შეძენა.</p> <p>ხელმძღვანელობის უუნარობა, ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესს. ეს შეიძლება გამოიხატებოდეს ისეთი ტიპის კონტროლის მექანიზმების არარსებობაში, როგორიცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საერთო მონიტორინგის კონტროლის პროცედურები (როგორიცაა, ხელმძღვანელობის ზედამხედველობა);</li> <li>• კონტროლის პროცედურები თაღლითობის თავიდან აცილებასა და გამოვლენაზე;</li> <li>• კონტროლის პროცედურები მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებაზე;</li> <li>• კონტროლის პროცედურები დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ მნიშვნელოვან ოპერაციებზე;</li> <li>• კონტროლის პროცედურები ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც სცილდება სამეურნეო სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;</li> <li>• კონტროლის პროცედურები საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესზე (მაგალითად, კონტროლის პროცედურები არატიპურ, არაგანმეორებად საბუღალტრო გატარებებზე).</li> </ul> <p>მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელთა შესახებაც ადრე უკვე ეცნობა ხელმძღვანელობას ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, მაგრამ ისევ გამოუსწორებელი რჩება გონივრული ვალის გასვლის შემდეგაც.</p>
<p><b>სპეციფიკური</b> (საოპერაციო) <b>კონტროლის საშუალებები</b></p>	<p>ხელმძღვანელობის არაეფექტური რეაგირება გამოვლენილ მნიშვნელოვან რისკებზე (მაგალითად, ამგვარ რისკზე კონტროლის პროცედურების არარსებობა).</p> <p>აუდიტორმა გამოავლინა ისეთი უზუსტობები, რომლებიც უნდა აღეკვეთა, ან გამოვლინა და გაესწორებინა სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლს.</p> <p>არსებული შიდა კონტროლის საშუალებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ იყო საკმარისი რისკის შესამცირებლად (ცუდი სტრუქტურა); ან/და</li> <li>• არ ფუნქციონირებდა ისე, როგორც დაგეგმილი იყო. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ პერსონალი არ არის სათანადო დონეზე მომზადებული ან არ არის კომპეტენტური, ან არსებული რესურსები არაადეკვატურია საჭირო დაგალებების შესასრულებლად.</li> </ul>

### 13.2 თაღლითობა

თუ აუდიტორმა მოიპოვა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ თაღლითობა არსებოს ან შეიძლება არსებობდეს, საკითხი უნდა ეცნობოს შესაფერისი დონის ხელმძღვანელობას, შეძლებისდაგვარად სწრაფად. ინფორმირება სავალდებულოა მაშინაც კი, როცა საკითხი შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს მიჩნეული.

ინფორმირებისთვის ხელმძღვანელობის შესაფერისი დონის განსაზღვრა აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია, მაგრამ ერთი საფეხურით ზემდგომი მანაც უნდა იყოს იმ პირებთან შედარებით, რომლებიც, სავარაუდოდ, თაღლითობაში მონაწილეობენ. აუდიტორის გადაწყვეტილებაზე ასევე გავლენას მოახდენს ფარული შეთქმულების ალბათობა და საეჭვო თაღლითობის ხასიათი და სიდიდე. როდესაც თაღლითობაში მონაწილეობს უფროსი რანგის ხელმძღვანელობა, ასევე სავალდებულოა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირებაც, რაც შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად ან წერილობით.

### მინიჭებულოვანი რჩევები

#### მესაკუთრე-მმართველის ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ ჩადენილი თაღლითობა

როდესაც თაღლითობა ჩადენილია ორგანიზაციის უმაღლეს დონეზე, არავინ იქნება ისეთი სამეურნეო სუბიექტში, ვისაც ამის შესახებ შეიძლება ეცნობოს. ასეთ სიტუაციაში, აუდიტორმა შეიძლება მიმართოს იურისკონსულტს, რათა განსაზღვროს, როგორ უნდა იმოქმედოს მოცემულ გარემოებებში. იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზანი იმის დადგენაა, თუ რა ზომების მიღება არის აუცილებელი გამოვლენილი თაღლითობის საზოგადოებრივი ინტერესების ასპექტების გასათვალისწინებლად.

უმეტეს ქვეყნებში აუდიტორის პროფესიულ მოვალეობაში შედის დამკვეთის ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს თაღლითობის შესახებ გარეშე მხარის-თვის ინფორმირებას. თუმცა, აუდიტორის იურიდიული პასეუზისგანმდებობით შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყოს და გარკვეულ გარემოებებში კონფიდენციალობის მოვალეობა შეიძლება დაირღვეს კანონმდებლობის მოთხოვნებით, ან სასამართლოს ძალით. ზოგ ქვეყანაში საფინანსო დაწესებულების აუდიტორის გააჩნია კანონმდებლობით მინიჭებული მოვალეობა, თაღლითობის ფაქტის შესახებ აცნობოს საზღამხედველო ორგანოებს. ასევე, ზოგ ქვეყანაში აუდიტორს გააჩნია მოვალეობა, გამოვლენილი უზუსტობების შესახებ აცნობოს გარკვეულ უფლებამოსილ ორგანოებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები არ ატარებენ გამოსასწორებელ ზომებს.

### 13.3 ნაკლოვანების სერიოზულობის, მნიშვნელობის შეფასება

ას 265-ში მნიშვნელოვანი ნაკლოვანება განმარტებულია შემდეგნაირად: შიდა კონტროლის ნაკლოვანება ან ნაკლოვნებათა ერთობლიობა, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული მსჯელობით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ფურადღებას.

რეკომენდებულია, რომ შიდა კონტროლის შეფასებისას (იხილეთ მე-2 ტომის მე-12 თავი) რისკის ფაქტორები, რომლებიც, სავარაუდოდ, არ გამოიწვევს არსებით უზუსტობას ფინანსურ ანგარიშგებაში, უგულებელყოს აუდიტორმა. თუ ამ სახელმძღვანელოს მიაღვნებთ თვალ-ფურს, ნახავთ, რომ აუდიტორის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლოვანება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იქნება.

კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ვადგენთ, ნაკლოვანება მნიშვნელოვანია თუ არა, ნებისმიერი სხვა სახის რისკის კრიტერიუმის მსგავსია (იხილეთ მე-2 ტომის მე-9 თავი). უზუსტობის მოხდენის ალბათობისა და მისი პოტენციური სიდიდის შეფასება ხდება პროფესიული მსჯელობის საფუძველზე. თუ უზუსტობა უკვე არსებობს, შეფასება დაეფუძნება ფაქტობრივი უზუსტობის სიდიდეს.

აუდიტის პროცესში შიდა კონტროლში შეიძლება გამოვლინდეს შედარებით ნაკლებად სერიოზული, ან უმნიშვნელო ნაკლოვანებებიც კი, მაგალითად, ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან გასაუბრებიდან, შიდა კონტროლის პროცედურების შესრულებაზე დაკვირვებიდან, დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით და აუდიტის მსვლელობისას მიღებული ნებისმიერი სხვა ინფორმაციიდან. გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ეს საკითხები იმდენად

მნიშვნელოვანი, რომ მათ შესახებ უნდა ეცნობოს ზელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, პროფესიული განსჯის საგანია.

შემდეგ ცხრილში განხილულია ზოგიერთი საკითხი, რომელიც აუდიტორმა შეიძლება გაითვალისწინოს ნაკლოვანების სერიოზულობის შეფასებისას.

#### **ცხრილი 13.3-1**

<b>მნიშვნელოვანი ნაკლოვანების დადგენა</b>	
<b>ნაკლოვანების შეფასების კრიტერიუმი</b>	იმ ნაკლოვანების აღბათობა, რომლებიც მომავალში ფინანსურ ანგარიშგებაში არსებით უზუსტობას გამოიწვევს.
	აქტივის ან ვალდებულების მიღრეკილება დაკარგვის ან თაღლითობისაკენ.
	სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრისთვის დამახასიათებელი სუბიექტურობა და კომპლექსურობა (სირთულე), როგორიცაა, მაგალითად რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასება.
	ფინანსური ანგარიშგების თანხები, რომლებზეც გავლენას ახდენს ეს ნაკლოვანებები.
	სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც შესრულდა ან შესაძლებელია შესრულდეს იმ ანგარიშის ნაშთთან ან ოპერაციების კატეგორიასთან მიმართებაში, რომლებზეც გავლენას ახდენს ნაკლოვანება ან ნაკლოვანებები.
	კონტროლის პროცედურების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესისათვის.
	შიდა კონტროლის ნაკლოვანებებით განპირობებული, გამოვლენილი გამონაკლისების მიზეზი და სიხშირე.
	შიდა კონტროლის მოცემული ნაკლოვანების ურთიერთქმედება სხვა ნაკლოვანებებთან.

#### **13.4 მცირე სამეურნეო სუბიექტები**

მცირე სამეურნეო სუბიექტებში კონტროლის ნაკლოვანებების შეფასებისას აუდიტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ ცხრილში განხილულ ფაქტორებს.

#### **ცხრილი 13.4-1**

<b>გაითვალისწინეთ</b>	
<b>შიდა კონტროლი მცირე სამეურნეო სუბიექტში</b>	მოქმედი კონტროლის საშუალები შეიძლება ნაკლებად ფორმალური იყოს და ნაკლები მტკიცებულებები არსებობდეს მათ შესრულებაზე, ვიდრე მსხვილ სამეურნეო სუბიექტებში.
	გარკვეული ტიპის კონტროლის მექანიზმები შეიძლება საერთოდ არ იყოს საჭირო. რისკები შეიძლება შემცირდეს უფრო რანგის ზელმძღვანელობის მიერ გამოყენებული კონტროლის მექანიზმებით (მაგ., სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის მექანიზმები, როგორიცაა კონტროლის გარემო, რომელიც თავიდან აიცილებს ან გამოავლენს ამა თუ იმ სპეციფიკურ შეცდომას).
	ცოტა თანამშრომელი იქნება დასაქმებული, რამაც შეიძლება შეზღუდოს მოვალეობის დანაწილების შესაძლებლობები. ამ ნაკლის კომპენსაცია შესაძლებელია მესაკუთრემართველის მიერ უფრო უფექტური ზედამხედველობის განხორციელებით (მაგ., სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის გარემო), ვიდრე ეს შესაძლებელია მსხვილ სამეურნეო სუბიექტებში.
	უფრო დიდი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ზელმძღვანელობა გვერდს აუვლის დადგენილ კონტროლის პროცედურებს.

გარდა ამისა, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთათვის ნაკლოვანებების შესახებ ინფორმირების პროცესი შეიძლება უფრო ნაკლებად ორგანიზებული იყოს, ვიდრე დიდი სამეურნეო სუბიექტების შემთხვევაში.

### **13.5 კონტროლის ნაკლოვანებების დოკუმენტირება**

ასე-ები არ ითვალისწინებს სპეციფიკურ მოთხოვნებს იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს კონტ-როლის ნაკლოვანებების დოკუმენტირება. დოკუმენტაციის მოცულობის განსაზღვრა პროცესიული განსჯის საგანია. თუ აუდიტის ჯგუფი ნაკლებად გამოცდილია, შეიძლება საჭირო იყოს უფრო დე-ტალიური დოკუმენტაციისა და ინსტრუქციების მომზადება, ვიდრე უფრო გამოცდილი პიროვნებები-საგან შემდგარი ჯგუფის დროს.

ქვემოთ განხილულია ნაკლოვანებების დოკუმენტირების შესაძლო მიდგომა. ამ დოკუმენტაციის გა-მოყენება შესაძლებელია:

- ნაკლოვანებების განსაზიდველად ხელმძღვანელობასთან;
- ნაკლოვანებების სერიოზულობის, მნიშვნელობის შესაფასებლად;
- დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარების აუცილებლობის დასადგენად ისეთ რის-კებზე რეაგირებისთვის, რომელთა შესამცირებლადაც სამეურნეო სუბიექტს არ გააჩნია კონტ-როლის მექანიზმები;
- ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების სავალდებულო ინ-ფორმირებისთვის ანგარიშის (მოხსენებითი ბარათის) მოსამზადებლად.

გთავაზობთ ამგვარი დოკუმენტაციის ნიმუშს (მაგრამ მასში მითითებული არ არის მხარდამჭერი და სხვა დაკავშირებული სამუშაო დოკუმენტები).

#### **ცხრილი 13.5-1**

რისკის ფაქტორი ან მტკიცება, რომელსაც რისკი უკავშირდება	გამოვლენილი ნაკლოვანების აღწერა	რაში გამოიჩატება პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე	მნიშვნელო- ვანია ნაკ- ლოვანება? (დახ/არა)	აუდიტორის რეაგირება
ხელმძღვანელობას არ განუხილავს, ან არ შეუ-ფასებდა თაღლითობის რისკები.	ხელმძღვანელი გუნდის წევრები ერთმანეთის ენდო-ბიან და არ სურთ ძვირად დირექტული პოლიტიკისა და პროცედურების და ა.შ. დანერგვა, რომელიც მი-მართული იქნება თაღლი-თობის რისკებზე.	ხელმძღვანელობას შეუძლია კონტრო-ლის მექანიზმების გვერდის ავლა და ფინანსური ანგარიშ-გების მანიპულაცია.	დახ	იხილეთ საეციფიკუ-რი პროცედურები, რომლებიც შესრუ-ლდა სბუღალტრო გატარებებთან, დაკა-ვშირებულ მხარეებ-თან და ამონაგების აღარებასთან მიმართებით.
რეალიზაცია/მომსა-ხურება აისახა არასწორ სააღრიცხვო პერიოდში.	არ არსებობს კონტროლის საშუალებები, რომელიც ამგვარ შემთხვევებს აღკვეთს და ელემენტების ტესტებით აღმოგეჩინეთ რამდენიმე შეცდომა დრო-ში გამიჯვნის პროცე-დურებში.	ფინანსურ ანგარიშ-გებაში ასახული ამ-ონაგები შეიძლება არსებითად მცდარი იყოს.	დახ	იხილეთ დამატებითი პროცედურები, რომ-ლებიც ჩატარდა დროში გამიჯვნის პროცედურებთან მი-მართებით.
არადამაქმაყოფილებულია ზედმეტედველობის პრო-ცესი სააღრიცხვო შეფა-სებების მომზადებასა და დოკუმენტირებაზე.	ფაქტორის გადასაზღვრა, დამკვეთს არა აქვს დოკუმენტები, საიდანაც გამოჩნდება, რის საფუძველზე განსაზღვრა სააღრიცხვო შეფასებები.	სააღრიცხვო შეფა-სების თანხობრივი სიდიდის გათვალის-წინებით, სააღრიცხ-ვო შეფასებაში დაშ-ვებულმა შეცდომაშ შეიძლება გამოიწვიოს არსებითი შეც-დომა ფინანსურ ან-გარიშგებაში.	დახ	მოვიპოვებთ მტკიცე-ბულებებს, რომლე-ბიც გაამაგრებს ხელმძღვანელობის მერ გამოყენებულ დაშვებებს და ჩენ თვითონ თავიდან ჩა-ტარეთ გამოთ-ვლებს.

## მიზანების რჩევები

### ერთ ადგილას ჩაწერეთ ნაკლოვანებები

გამოყავით აუდიტის ერთი კონკრეტული ფორმა, რათა ჩაწეროთ კონტროლის ნაკლოვანებების შესაფერისი დეტალები ისე, როგორც გამოვლინეთ. შესაბამისად, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანება ჩაწერილი გვენებათ თანმიმდევრულად და ერთ ადგილზე. თუ ისინი ფაილში სხვადასხვა ადგილას იქნება გაბნეული, შეიძლება გამოგრჩოთ ნაკლოვანებები. შედეგად, შეიძლება სრულყოფილი რეაგირება ვერ მოახდინოთ გამოვლენილ რისკებზე და, ამასთან, არასრული ინფორმაცია მიეწოდება ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებსაც.

### აღწერეთ ნაკლოვანებების გავლენა

ნაკლოვანებების დოკუმენტირებისას დრო დაუთმეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე ნაკლოვანებების გავლენისა („რა შეიძლება იყოს მცდარი“) და საგარაულო საპასუხო მოქმედებების აღწერას (თუ ასეთი არსებობს) იმ რისკთან მიმართებით, რომელიც ვერ შეამცირა შიდა კონტროლმა.

### რა არის რეკომენდებული მოქმედების კურსი?

ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების მიცემა გამოვლენილი კონტროლის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გასატარებელი ზომების შესახებ არ არის სავალდებულო მოთხოვნა. თუმცა, რეკომენდაციები შეიძლება გამოადგეს ხელმძღვანელობას გამოსასწორებელი ზომების განსაზღვრაში. როდესაც აპირებთ ხელმძღვანელობისთვის შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების მიცემას, ნაკლოვანებების აღწერასთან ერთად სამუშაო დოკუმენტებში დააფიქსირეთ თქვენი რეკომენდაციებიც. თუ ამის გაკეთებას გადადებთ, შეიძლება ზედმეტი დროის დახარვება დაგჭირდეთ შემდგომში ფაქტების გასახსენებლად.

## 13.6 სიტყვიერი განხილვები ხელმძღვანელობასთან

წერილობით ინფორმირებამდე, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა შედეგების სიტყვიერად განხილვა (მაგალითად, წერილის პროექტის განხილვა) შესაფერის პიროვნებასთან, ან შესაფერისი დონის ხელმძღვანელობასთან და შესაძლოა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთანაც. შესაფერისი პირი იქნება ის, ვისაც შეუძლია ნაკლოვანებების შეფასება და აუცილებელი გამოსასწორებელი ზომების გატარება. ამგვარი ქმედება აუდიტორს ეხმარება დარწმუნდეს, რომ მათი დასკვნები ნამდვილად სწორია და გამოვლენილი ნაკლოვანება სათანადოდ არის ფორმულირებული. გარდა ამისა, შეიძლება აუდიტორს საშუალება მიეცეს, წინასწარ მიიღოს მინიშნება იმის შესახებ, რა ზომების გატარებას აპირებს ხელმძღვანელობა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების ინფორმირებისთვის, ხელმძღვანელობის შესაფერისი დონე იქნება სამუშარენო სუბიექტის უმაღლესი საფეხური, მაგალითად, მესაკუთრე-მმართველი, მთავარი აღმასრულებელი პირი, ან მთავარი ფინანსური პირი (ან ანალოგიური თანამდებობის პირი). სხვა ტიპის ნაკლოვანებებისთვის შესაფერისი დონე შეიძლება იყოს ოპერატორი ხელმძღვანელობა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს განსახილველი კონტროლის პროცედურების შესრულებაში. მიაქციეთ ყურადღება, თუ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი იმავლროვლად მონაწილეობს სამუშარენო სუბიექტის მართვის პროცესში და ინფორმაცია უკეე მიაწოდეთ ხელმძღვანელობას, საჭირო აღარ არის იმავე ინფორმაციის განხეორებით მიწოდება იმავე პირთათვის, რომლებიც სამეურნეო სუბიექტის მართვის უფლებამოსილებითაც არიან აღჭურვილნი.

თუ ნაკლოვანება უშუალოდ ხელმძღვანელობას ეხება (მაგ., მის პატიოსნებას, ან კომპეტენციას), მიზანშეწონილი არ არის ამ საკითხის განხილვა უშუალოდ ხელმძღვანელობასთან. ასეთი საკითხები, როგორც წესი, განიხილება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან.

## მიზანების რჩევები

თუ გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება უკავშირდება მესაკუთრე-მმართველის ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა საქციელს ან კომპეტენციას, ცხადია სამეურნეო სუბიექტში არ იქნება უფრო მაღალი დონე, რომელსაც შეიძლება ეცნობოს გამოვლენილი ფაქტების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორმა უნდა განიხილოს, შეუძლია თუ არა მას აუდიტის გაგრძელება. ამისთვის შეიძლება დასჭირდეს იურისკონსულტის რჩევა.

ზელმძღვანელობასთან ერთად საკითხის განხილვით შესაძლებელი ხდება, რომ აუდიტორმა იქამდე გაარკვიოს საკითხი და შეიტყოს ზელმძღვანელობის სავარაუდო საპასუხო მოქმედებების შესახებ, სანამ თვითონ ჩამოაყალიბებს გამოვლენილ ნაკლოვანებას და წერილობით მოახსენებს მათ შესახებ, როგორც ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში.

### ცხრილი 13.6-1

სარგებელი	
<b>განხილვა</b> <b>ზელმძღვანელობასთან</b>	ზელმძღვანელობა დროულად იქნება გაფრთხილებული ნაკლოვანებების არსებობის შესახებ.  შესაძლებელი ხდება სათანადო ინფორმაციის მიღება შემდგომი განხილვისთვის, როგორიცაა, მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>• დადასტურება იმისა, რომ ნაკლოვანებისა და დაკავშირებული ფაქტების (მაგალითად, ფაქტობრივი უზუსტობის) აღწერა სწორია;</li> <li>• სხვა კომპენსაციური კონტროლის საშუალებების არსებობა;</li> <li>• ზელმძღვნელობის რეაქციისა და ფაქტობრივი ან საეჭვო ნაკლოვანებების მიზეზების გავება; და</li> <li>• ისეთი ნაკლოვანებებით განპირობებული გამონაკლისების არსებობა, რაც ზელმძღვანელობამ გამოავლინა; და</li> </ul> ზელმძღვანელობის წინასწარი რეაგირების გავება შედეგებზე.

### 13.7. წერილობითი ინფორმირება

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ ინფორმირება წერილობითი ფორმით უნდა მოხდეს. წერილში (მოხსენებით ბარათში) აისახება საკითხების მნიშვნელობა, რაც შეიძლება დაეხმაროს ხელმძღვნელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებაში.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების წერილობითი ფორმით ინფორმირების მოთხოვნა ვრცელდება ყველა ზომის სამეურნეო სუბიექტზე, მათ შორის ისეთზეც, რომელსაც მესაკუთრე-მმართველი ხელმძღვნელობს და ასევე ძალიან მცირე ზომის სამეურნეო სუბიექტებზეც. ასეთი საკითხების წერილობითი ფორმით მიწოდება უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ნამდვილად იქნებიან ინფორმირებულები პრობლემების შესახებ.

მას შემდეგ, რაც აუდიტორი დაასკვინს, რომ შიდა კონტროლის სისტემაში არსებობს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, აუდიტორმა, შეძლებისდაგრად სწრაფად უნდა განიხილოს საკითხი ზელმძღვანელობასთან და შემდეგ აცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს. მართალია, სავალდებულო არ არის, მაგრამ მოხსენებით ბარათში (ანგარიშში) შეიძლება შეტანილი იყოს ასევე აუდიტორის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები გამოსასწორებელი ზომების შესახებ. აუდიტორის ამგვარი ქმედებები ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს, დროულად გაატაროს გამოსასწორებელი ზომები.

### 13.8 ზელმძღვანელობის რეაგირება მოღებულ ინფორმაციაზე

ზელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მოვალეობაა, სათანადო რეაგირება მოახდინონ შიდა კონტროლში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებსა და გამოსასწორებელი ზომების შესახებ აუდიტორის მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებზე. რეაგირება შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი ფორმით:

- გამოსასწორებელი ქმედების დაწყება აუდიტორის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების გასასწორებლად;
- გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ არაფერს მომოქმედებენ. ზელმძღვანელობა შეიძლება უკვე საქმის კურსში იყოს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების არსებობის შესახებ, მაგრამ ამჯობინებს არ გაასწოროს იგი, დანახარჯებისა და სხვა მოსაზრებების გამო.

- საერთოდ არანაირი ქმედება და რეაგირება. ეს შეიძლება შიდა კონტროლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიმანიშნებელი იყოს, რაც გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშების დონეზე რისკის შეფასებაშე. ზოგ შემთხვევაში, ამგვარი უმოქმედობა შეიძლება თვითონ იყოს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება.

მოუხედავად იმისა, რა ზომებს გაატარებს ხელმძღვანელობა, აუდიტორი ვალდებულია, წერილობით აცნობოს მას ყველა მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ. ამ ნაკლოვანებებში შეიძლება შედიოდეს ისეთიც, რომელთა შესახებაც აუდიტორმა წინა პერიოდებში უკვე აცნობა მათ. აუდიტორის მოვალეობაში არ შედის იმის განსაზღვრა, ნაკლოვანების გამოსწორების დანახარჯი გადააჭარბებს თუ არა მისაღებ სარგებელს. თუმცა, ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილია, აუდიტორმა რეკომენდაციების მიცემისას გაითვალისწინოს სამეურნეო სუბიექტის ზომა და მიმართოს საღ აზრს.

იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდში ინფორმირებული ნაკლოვანება ისევ არსებობს, მიმდინარე პერიოდის საინფორმაციო წერილში აუდიტორს შეუძლია გაიმეოროს წინა შეტყობინებაში აღწერილი შიდა კონტროლის ნაკლოვანება, ან უბრალოდ მიუთითოს ადრინდელი წერილი.

თუ ნაკლოვანება მნიშვნელოვანი არ არის, აუცილებელი არ არის მის შესახებ ინფორმირება წერილობითი ფორმით, ან გამეორება მიმდინარე პერიოდის წერილში. თუმცა, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, აუდიტორმა სხვა ნაკლოვანებების შესახებ ხელახლა მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელობას ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შემთხვევაში, ან, როდესაც ახალი ინფორმაცია მიიქცევს აუდიტორის ყურადღებას.

### წერილობითი შეტყობინების შენარჩინები

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ წერილი, როგორც წესი, მოიცავს:

- თითოეული მნიშვნელოვანი ნაკლოვანების ხასიათისა და მისი პოტენციური გავლენის აღწერას; საჭირო არ არის ამ უკეთების რაოდენობრივად გამოსახული;
- რეკომენდაციებს ნაკლოვანებების გამოსასწორებელი ზომების შესახებ;
- ხელმძღვანელობის ფაქტობრივ ან შემოთავაზებულ საპასუხო ზომებს; და
- იმის განცხადებას, მიიღო თუ არა აუდიტორმა რამები იმის გადასამოწმებლად, განხორციელდა თუ არა პრაქტიკაში ხელმძღვანელობის საპასუხო ზომები

ინფორმირების მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები შესაძლოა ერთად დაჯგუფდეს, როდესაც ამის გაკეთება მიზანშეწონილია.

დამატებითი კონტექსტის სახით, წერილში შეტანილი უნდა იყოს აგრეთვე:

- მინიშნება იმის თაობაზე, რომ აუდიტორს შიდა კონტროლზე უფრო ინტენსიური პროცედურები რომ ჩატარებინა, შეიძლება გამოევლინა უფრო მეტი ისეთი ნაკლოვანება, რომელიც ინფორმირებას დაექვემდებარებოდა, ან დაესკვნა, რომ ზოგიერთი ინფორმირებული ნაკლოვანების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სინამდვილეში შეიძლება საჭირო არ იყო; და
- ასევე მინიშნება, რომ აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირების მიზანს ემსახურება და შეიძლება შესაფერისი არ იყოს სხვა მიზნებისთვის.

### ადგილობრივი საანგარიშებო მოთხოვნები

ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლოა კანონმდებლობა დამატებით მოთხოვნებს ადგენდეს აუდიტორისთვის, კერძოდ, აუდიტის დროს შიდა კონტროლში გამოვლენილი ერთი ან მეტი სპეციფიკური ტიპის ნაკლოვანების ინფორმირებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში:

- ას 265-ის მოთხოვნები ისევ ძალაში რჩება, თუნდაც კანონმდებლობა აუდიტორისგან ითხოვდეს სხვა სპეციფიკური ტერმინების თუ განმარტებების გამოყენებას; და
- აუდიტორმა ინფორმირების მიზნებისთვის უნდა გამოიყენოს დადგენილი ტერმინები და განმარტებები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

### 13.9 წერილობითი ინფორმირების დრო

აუდიტორი ვალდებულია, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს წერილობით დროულად აცნობოს აუდიტის განმავლობაში შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ინფორმაციის მიწოდების გაუმართლებელი დაგვიანება დაუკარგავს მას მნიშვნელობას?
- არის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი ფაქტორი, იმ თვალსაზრისით, რომ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს დაკისრებული საზედამშედველო მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა მისცეს?

თუ ადგილობრივი მოთხოვნები ინფორმირებისთვის ზუსტ ვადას არ ადგენს, წერილობითი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს აუდიტორის დასკვნის თარიღისა, ან მალევე მის შემდეგ. ეს აუდიტორს საშუალებას აძლევს, დროულად დაასრულოს აუდიტის საბოლოო ფაილის მომზადება (დაკომპლექტება).

### მნიშვნელოვანი რჩევები

როდესაც შესაძლებელია, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ საინფორმაციო წერილი გადაეცით აუდიტის სამუშაოების დასრულებამდე კარგა ხნით ადრე. ნაადრევი შეტყობინება ხელმძღვანელობას გამოსასწორებელი ზომების გატარების საშუალებას მისცემს, რაც აუდიტორს შეიძლება დაეხმაროს არსებითი უზუსტონის რისკის შეფასების შემცირებაში ფინანსური ანგარიშგების ან მტკიცების დონეზე. მაგალითად, არაკომპეტენტური ბუღალტრის სამსახურიდან გაშვების ან შეცვლის რეკომენდაციამ შესაძლოა მნიშვნელოვანი შეამციროს სამუშაო, რომელსაც აუდიტორები ატარებენ პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის მიმოხილვისთვის.

### 13.10 სასწავლო მაგალითები – შიდა კონტროლში გამოვლენილი ნაკლოვანებების ინფორმირება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – სასწავლო მაგალითების შესავალი.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებების გამოვლენა აუდიტის ყველა ეტაპზე ხდება (რისკის შეფასება, რისკზე რეაგირება და დასკვნის მომზადება) და აუდიტორმა ისინი უნდა დააგროვოს ხელმძღვანელობის ინფორმირებისთვის. შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდება მის სტრუქტურაში ან ფაქტორივ მუშაობაში, ხელმძღვანელობას ეცნობება ქვემოთ მოცემული საილუსტრაციო წერილის მსგავსი წერილის მეშვეობით.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“



Jamel, Woodwind & Wing LLP  
55 Kingston St., Cabetown, United Territories 123-53004

20X3 წლის 15 მარტი

სურავ დეფტას

„დეფტა ავეჯი“

(მისამართი)

საგანი: 20X2 წ. ფინანსური ანგარიშების აუდიტი

ბატონო სურავ

ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის მიზანი იყო, მიგველო დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშები არ შეიცავს არსებით უზუსტობას. აუდიტი განკუთვნილი არაა ისეთი საკითხების გამოსავლენად, რომელთა შესახებაც ინფორმაციას გაწვდით ამ წერილში. შესაბამისად, აუდიტი, როგორც წესი, ვერ გამოსავლენს თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხს და მიზანშეწონილი არ იქნება, თუ დაასკვნით, რომ სხვა ასეთი საკითხები არ არსებობს.

„დეფტა ავეჯის“ 20X2 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტის მსგლელობისას შიდა კონტროლში გამოვალინეთ შემდეგი ნაკლოვანებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია. შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად მიიჩნევა შიდა კონტროლის ნაკლოვანება, ან ნაკლოვანების ერთობლიობა, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული მოსახრებით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ყურადღებას.

უნგართვო საბუღალტრო გატარებები

ამჟამად კომპანიაში არ არსებობს არააირი კონტროლის პროცედურა მანუალურ საბუღალტრო გატარებებზე, რომლებიც კეთდებოდა პერიოდის მანძილზე. როდესაც მოვალეობები დანაწილებული არ არის და აუდიტორები ვერ ამოწმებენ საბუღალტრო გატარებებთან მიმართებით დანერგილ კონტროლის საშუალებებს, შეიძლება ვერ გამოვლინდეს ყველა შეცდომა, ან უზუსტობა. მართალია, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში არ გამოვლენილა ამგვარი არსებითი შეცდომები, ან უზუსტობები, მაგრამ ფინანსური ანგარიშების სისწორეს რისკს უქმნის ის ფაქტი, რომ ამჟამად კომპანიაში ყველა თანამშრომელს შეუზღუდავად და უკონტროლოდ მოუწვდება ხელი კომპანიის საბუღალტრო გატარებებზე.

ჩვენი რეკომენდაციაა, სათანადოდ დაანაწილოთ მოვალეობები თანამშრომელთა შორის, მათი ფუქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრით. გარდა ამისა, უნდა შემოიღოთ ფორმალური შემოწმების პროცესი. ყველა მნიშვნელოვან საბუღალტრო გატარებას უნდა ამტკიცებდეს ამ პასუხისმგებელი პირი, ხოლო ყოველთვიურად ხელმძღვანელობა უნდა ატარებდეს მისი სამუშაოს მიმოხილვას.

მარაგის არადამაკმაყოფილებელი კონტროლი

ამჟამად კომპანიაში მარაგთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მექანიზმები ძალიან შეზღუდულია. თუ მარაგზე სათანადოდ არ ხორციელდება კონტროლი, მარაგის ციფრი შეიძლება არ იყოს სრული, არ იყოს სათანადოდ შეფასებული, ან მარაგი დაიკარგოს.

„დეფტას“ ვურჩევთ, დანერგოს ფორმალური კონტროლის პროცედურები მარაგისთვის საინვენტარიზაციო ხომრების მინიჭებისა და მარაგის პერიოდული ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესზე. მარაგის სააღრიცხვო ჩანაწერები ყოველთვიურად უნდა უდარდებოდეს საწყობში არსებულ ფაქტობრივ პროდუქციას. ასევე ყოველთვიურად უნდა ტარდებოდეს დამველებული და დაზიანებული საქონლის ვიზუალური დათვალიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმის გარანტია, რომ მარაგის ჩამოწერა ბუღალტულად აისახება, საჭიროებისამებრ.

წინამდებარე წერილი მომზადდა მხოლოდ ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით და არააირ სხვა მიზანს არ ემსახურება. ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიღებთ არააირი მესამე მხარის წინაშე, რომელიც ამ ინფორმაციას გამოიყენებს.

პატივისცემით

Jamel, Woodwind & Wing LLP

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“



Jamel, Woodwind & Wing LLP  
55 Kingston St., Cabetown, United Territories 123-53004

20X3 წლის 15 მარტი

რაჯი კუმარს  
„კუმარი და კომპანია“  
(მისამართი)

საგანი: 20X2 წ. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ბატონო რაჯი

ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის მიზანი იყო, მიგვეღო დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. აუდიტი განკუთვნილი არაა ისეთი საკითხების გამოსავლენად, რომელთა შესახებაც ინფორმაციას გაწვდით. შესაბამისად, აუდიტი, როგორც წესი, ვერ გამოავლენს თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხს და მიზანშეწონილი არ იქნება, თუ დაასკვით, რომ სხვა ასეთი საკითხები არ არსებობს.

„კუმარი და კომპანიის“ 20X2 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტის მსვლელობისას შიდა კონტროლში გამოვალინეთ შემდეგი ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია. შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებად მიიჩნევა შიდა კონტროლის ნაკლოვანება, ან ნაკლოვანებების ერთობლიობა, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული მოსაზრებით, იძღვნად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს მართვის უფლებამოსილ პირთა ყურადღებას.

მოვალეობების დანაწილების არარსებობა

ამჟამად კომპანიაში მოვალეობები დანაწილებული არ არის. არასრულ განაკვეთზე მომუშავე ბუღალტერს შეუზღუდავად მიუწვდება ხელი კომპანიის საბუღალტო ჩანაწერებზე და ის აკონტროლებს მთლიანად მათ. თუ მოვალეობები არ განცალკევდება და არ განაწილდება სხვადასხვა თანამშრომელზე, არსებობს იმის რისკი, რომ ბუღალტერმა შეიძლება გაზრას ან უნებლიერ დაუშვას ისეთი შეცდომები, რომლებიც ვერ გამოვლინდება.

ჩვენი რეკომენდაციაა, „კუმარი და კომპანიამ“ განიხილოს არასრულ განაკვეთზე სხვა პიროვნების დაქირავების საკითხი, გამოს ბუღალტის ფუნქციები და მას გადაუნაწილოს. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია იმის გამო, რომ ორგანიზაცია მცირე ზომისაა და დანახარჯები შეზღუდული აქვს, მაშინ რაჯი კუმარს ვურჩევთ, უფრო მეტად ჩაერთოს კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში, რათა შეძლოს ბუღალტის სამუშაოს სათანადოდ გაკონტროლება.

წინამდებარე წერილი მომზადდა მხოლოდ ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით და არანაირ სხვა მიზანს არ ემსახურება. ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიღებთ არანაირი მესამე მხარის წინაშე, რომელიც ამ ინფორმაციას გამოიყენებს.


პატივისცემით

Jamel, Woodwind & Wing LLP

## 14. რისკის შეფასების ეტაპის დასრულება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
რისკის შეფასების ეტაპის დასრულება ფინანსური ანგარიშგებისა და ცალკეული მტკიცების დონეებზე შეფასებული რისკების დოკუმენტი-რებით.	315

სქემა 14.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგეგმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მთელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.25	<p>აუდიტორმა უნდა დაადგინოს და შეაფასოს არსებითი უზუსტობის რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ფინანსური ანგარიშგების დონეზე; და (იხ.: პუნქტები გ105-გ108)</li> <li>ბ) მტკიცების დონეზე ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების მიხედვით (იხ.: პუნქტები გ109-გ113),</li> </ul> <p>რათა შეიქმნას საფუძველი დამატებითი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრისა და ჩატარებისთვის</p>
315.26	<p>ამ მიზნით, აუდიტორმა უნდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გამოვლინოს რისკები სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, რისკებთან დაკავშირებული შესაბამისი კონტროლის პროცედურების შესწავლითა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გარკვეული კატეგორიების ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით; (იხ.: პუნქტები გ114-გ115)</li> <li>ბ) შეაფასოს გამოვლენილი რისკები და გაარკვიოს, ყოვლისმომცველი წომ არ არის ეს რისკები მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში და, სავარაუდოდ, ახდენს თუ არა გავლენას ბევრ მტკიცებაზე;</li> <li>გ) დაკავშიროს გამოვლენილი რისკები სავარაუდო შეცდომასთან მტკიცების დონეზე, აუდიტორის მიერ ტესტირების ჩასატარებლად გამიზნული შესაბამისი კონტროლის პროცედურების გათვალისწინებით; და (იხ.: პუნქტები გ116-გ118)</li> <li>დ) განიხილოს უზუსტობის ალბათობა, მათ შორის, მრავალჯერადი უზუსტობების დაშვების შესაძლებლობა და არის თუ არა სავარაუდო უზუსტობა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს.</li> </ul>
315.32	<p>აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის ჩატარებული განხილვა იმ საკითხების, რომელსაც მოითხოვს მე-10 პუნქტი და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები;</li> <li>ბ) შეძენილი ინფორმაციის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ეხება მე-11 პუნქტი მითითებულ სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს თითოეულ ასპექტს, ასევე მე-14–24-ე პუნქტებში მითითებულ შიდა კონტროლის თითოეულ კომპონენტს; საინფორმაციო წყაროები, რომლის საფუძველზეც აუდიტორმა შეისწავლა ეს საკითხები, ასევე ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურებით; და</li> <li>გ) ფინანსური ანგარიშგებისა და კონკრეტული მტკიცების დონეზე გამოვლენილი და შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკები, როგორც მოითხოვება 25-ე პუნქტით; და</li> <li>დ) გამოვლენილი რისკები და დაკავშირებული კონტროლის პროცედურები, რომელთა შესახებაც აუდიტორმა წარმოდგენა შეიქმნა 27-30-ე პუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე. (იხ.: პუნქტები გ131-გ134)</li> </ul>

#### **14.1 ზოგადი მიმოხილვა**

აუდიტში რისკის შეფასების ეტაპის ბოლო საფეხურია ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურების მიმოხილვა და შემდეგ არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება (ან, თუ უკვე შეფასებულია, შედეგების შეჯამება):


- ფინანსური ანგარიშგების დონეზე; და

- მტკიცების დონეზე, ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშების ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნების მიხედვით.

მიღებული შეფასებული რისკების სია იქნება აუდიტის შემდეგი ეტაპის საფუძველი, როდესაც აუდიტორი განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს შეფასებულ რისკებზე სათანადოდ რეაგირება და-მატებითი აუდიტორული პროცედურების საშუალებით.

შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია რისკის შეფასების ორი დონე:


#### ნახაზი 14.1-1



#### 14.2. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები

მოცემული თარიღისთვის რისკის შესაფასებელი პროცედურებით მოპოვებული მტკიცებულებები მოიცავს გამოვლენილ თანდაყოლილ რისკებსა და მათ შეფასებას და ამ რისკებზე რეაგირებისთვის განკუთხნილ შიდა კონტროლის საშუალებების სტრუქტურასა და მუშაობას. რაც რჩება, ის არის არსებითი უზუსტობა. მარტივად რომ ვთქვათ, არსებითი უზუსტობა არის თანდაყოლილი რისკების შესამცირებლად გამოყენებული შიდა კონტროლის საშუალებების ეფექტის მხედველობაში მიღების შემდეგ დარჩენილი რისკი. საილუსტრაციოდ იხილეთ შემდეგი ნახაზი.

### ნახაზი 14.2-1



**შენიშვნა:** ამ სქემაზე პორიზონტალური ფიგურების სივრცე მხოლოდ საილუსტრაციო მიზანს ემსახურება და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტში სხვადასხვანაირი იქნება.

შემდეგ ცხრილში ჩამოთვლილი აუდიტორული მტკიცებულებების წყაროები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ორი დონის რისკების შეჯამებისა და შეფასებისთვის.

### ცხრილი 14.2-2

აუდიტორული მტკიცებულებები	ტომი და თავები
აუდიტის საერთო სტრატეგია	ტ2-5
არსებითობა და ფინანსური ანგარიშების არსებითი სფეროებისა და განმარტებითი შენიშვნების დადგენა	ტ2-6
განხილვები აუდიტის ჯაფუში	ტ2-7
ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურების შედეგები	ტ1-4 და ტ2-3-14
თანდაყოლილი რისკის გამოვლენა და შეფასება	ტ2-8 და 9
მნიშვნელოვანი რისკები	ტ2-10
შიდა კონტროლის შესწავლა და შეფასება	ტ2-11 და 12
გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები	ტ2-13

### 14.3 სხვადასხვა რისკების შეფასებების შეჯამება (განზოვადება)

რისკების შეფასების მიზანია, აუდიტორმა შეიქმნას საფუძველი და ამოსავალი წერტილი იმის დასადგენად, რისი გაკეთებაა აუცილებელი იმისათვის, რომ სათანადო რეგირება მოახდინოს შეფასებულ რისკებზე, კარგად გააზრებული და ეფექტური დამატებითი აუდიტორული პროცედურების საშუალებით.

თუ გამოვლენილი რისკები უკვე დოკუმენტირებული და შეფასებულია რამე ლოგიკური ან სისტემური ფორმით, შედარებით ადვილი იქნება მათი გაანალიზება და განზოგადება.

შეფასებული რისკების შეჯამების პროცესში აუდიტორი ერთად უყრის თავს გამოვლენილ თანდა-ყოლილი რისკის ფაქტორებსა და ამგვარი რისკების შესამცირებლად შექმნილ შიდა კონტროლის საშუალებების შეფასებას, როგორც ნაჩვენებია 14.3-1 ნახაზზე.

**შენიშვნა:** ფინანსური ანგარიშგების დონეზე არსებობს საშუალო დონის რისკი, რომელიც მცირდება სამეურნეო სუბიექტის დონისა და სხვა შესაძლო ეფექტური კონტროლის საშუალებების მეშვეობით. შედეგად ფინანსური ანგარიშგების დონეზე რისკის დონის შეფასება იქნება „დაბალი“.

მტკიცების დონეზე შეფასებული რისკების შეჯამება გულისხმობს იმ თანდაყოლილი და კონტროლის რისკების შეფასებების გაერთიანებას, რომელიც ვრცელდება ფინანსური ანგარიშგების ინდივიდუალურ ნაშთზე, ოპერაციასა და განმარტებით შენიშვნაზე. ქვემოთ განხილულ შემთხვევაში, თანდაყოლილი რისკები საშუალოა და არ არსებობს შესაბამისი შიდა კონტროლის საშუალებები; ასე, რომ კონტროლის რისკი მაღალია. შედეგად ამ კონკრეტული მტკიცებისთვის გვექნება ნარჩენი რისკი „საშუალო“.

### ნახაზი 14.1-3

თანდაყოლილი რისკის შეფასება	კონტროლის რისკის შეფასება	არსებითი უზუ- სტრიქის რისკი
<b>რისკები ფ/ა-ის</b> <b>დონეზე</b> ფოლიამცცელი რისკების შეფასება	 რისკის შესამცირე- ბელი კონტროლის საშუალებების შეფასება	 = 
<b>რისკები მტკიცების</b> <b>დონეზე</b> კონკრეტული რისკების შეფასება ფ/ა-ის ცალკეული სფეროებისა და მტკიცების მიხედვით	 რისკის შესამცირე- ბელი კონტროლის საშუალებების შეფასება	 = 

ფ/ა = ფინანსური ანგარიშგება; მ = მაღალი რისკი; ს = საშუალო რისკი; დ = დაბალი რისკი.

### შენიშვნები:

- სანამ დაასკვნით, რომ არ არსებობს სპეციფიკური რისკები ფინანსური ანგარიშგების ცალკეული სფეროების ან განმარტებითი შენიშვნებისთვის, გაითვალისწინეთ სხვა შესაფერისი ფაქტორების არსებობა, როგორიცაა, მაგალითად, გასული პერიოდების შეცდომები, თაღლითობის ჩაღნის პოტენციალი აქტივებთან/ვალდებულებებთან მიმართებით, ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლის პროცედურების გვერდის ავლის შესაძლებლობა და წინა პერიოდების აუდიტის გამოცდილება.
- თუ აუდიტორი გეგმავს კონტროლის რისკზე დაყრდნობას, რომელიც შეფასებული აქვს, როგორც „დაბალი“ (მაგალითად, შეამციროს ძირითადი პროცედურების მოცულობა), მან უნდა ჩაატაროს შესაბამისი კონტროლის საშუალებების ფაქტორივი (ფუნქციონირების) ეფექტიანობის ტესტირება, ამგვარი შეფასების მხარდასაჭერად.
- ზოგიერთ შემთხვევაში, სამეურნეო სუბიექტს შეიძლება გააჩნდეს გარკვეული კონტროლის პროცედურები, მაგრამ აუდიტორმა ისინი არ მიიჩნიოს აუდიტის პოზიციიდან შესაფერისად და, შესაბამისად, არ მოახდენს მათ შეფასებას. ასეთ შემთხვევაში, კონტროლის რისკი შეფასდება როგორც მაღალი.
- საზოგადოდ, სპეციფიკური (საოპერაციო) კონტროლის პროცედურები ან მუშაობს (და ეს იწვევს რისკის შეფასებას „დაბალი“), ან არ მუშაობს (და იწვევს რისკის შეფასებას „მაღალი“).

ეს იმას ნიშნავს, რომ კონტროლის რისკის შეფასება არასდროს იქნება „საშუალო“. თუმცა, ზოგიერთი აუდიტორი კონტროლის რისკს აფასებს, როგორც „საშუალო“, როდესაც კონტროლის კონკრეტული პროცედურების მუშაობის საიმედობაში ეჭვი შეაქვს, მაგრამ ვარაუდობს, რომ უმეტესი დროის განმავლობაში ის მუშაობს. ასე ხშირად ხდება მცირე სამუშარეო სუბიექტების შემთხვევაში.

- ნარჩენი რისკის განსაზღვრა თანდაყოლილი და კონტროლის რისკების გაერთიანების შედეგად პროფესიული განსჯის საგანია. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს რისკის სხვადასხვა კომბინაციას, მაგრამ ეს მავალითი არ გამოდგება აუდიტორის პროფესიული განსჯის შემცვლელად, რაც ეჭდნობა კონკრეტული დამკვეთის კონკრეტული გარემოებების ანალიზს.

#### ცხრილი 14.3-2

თანდაყოლილი რისკი	კონტროლის რისკი	არსებითი უზუსტობის რისკი
მ	მ	მ
მ	ს	ს
მ	დ	ს ან დ
ს	მ	ს
ს	ს	ს
ს	დ	დ
დ	მ	ს/დ
დ	ს	დ
დ	დ	დ

პირობითი ნიშნები: მ – მაღალი; ს – საშუალო; დ – დაბალი

#### მნიშვნელოვანი რჩევები

##### რისკის შეფასებლად გამოყენებული არგუმენტების დოკუმენტირება

რისკების შეფასებების შეჯამებისას სამუშაო დოკუმენტში აუცილებლად აღწერეთ არგუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც შეფასეთ თითოეული რისკი, ან მიუთითეთ, რომელ დოკუმენტში შეიძლება ამ ინფორმაციის ნახვა. ეს ხშირად თვით შეფასებაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან გენერალური და დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური საპასუხო მოქმედებების განსაზღვრაში.

##### თანდაყოლილი რისკების შეფასება

გახსოვდეთ, თანდაყოლილი რისკების შეფასება ყოველთვის იქამდე უნდა განსაზღვროთ, სანამ მსედველობაში მიიღებთ მათ შესამცირებლად დანერგილ კონტროლის საშუალებებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ უინანსური ანგარიშების უმეტესი ნაწილებისთვის, რომელსაც აუდიტი უნდა ჩაუტარდეს, არსებითობა გადააჭარბებს საერთო არსებითობას, მოსალოდნელია, რომ (მეტ წილ შემთხვევებში) უზუსტობის თანდაყოლილი რისკი (შემდა კონტროლის გათავლისწინებამდე) მტკიცებების უდიდესი ნაწილისთვის მაღალი იქნება.

##### დაბალი რისკი ყველა მტკიცებისთვის

როდესაც ფინანსური ანგარიშების რომელიმე ნაწილს შეფასებთ, როგორც დაბალი რისკის მატარებელს ყველა მტკიცებისთვის, აუცილებელი არ არის ერთი და იმავე არგუმენტების გამეორება სამუშაო დოკუმენტებში ყოველი მტკიცებისთვის. თუმცა, ის კი აუცილებლად უნდა განმარტოთ სამუშაო დოკუმენტში, რატომ არის ყველა მტკიცებასთან დაკავშირებული რისკის შეფასება დაბალი.

#### 14.4 რისკების შეფასებების გადასინჯვა და შესწორება

რისკის შეფასება არ მთავრდება დროის რომელიმე მონაცემთში. აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტორმა შეიძლება მოიპოვოს ახალი ინფორმაცია, აუდიტორული პროცედურების ჩატარებამ შესაძლოა გამოავლინოს დამატებითი რისკები, ან ის ფაქტი, რომ შიდა კონტროლი დანიშნულებისამებრ ვერ ფუნქციონირებს. ასეთ დროს, რისკების თავდაპირელი შეფასება უნდა შესწორდეს და გათვალისწინებულ იქნეს რისკის ახალი შეფასების გავლენა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე.

#### 14.5 დოკუმენტაცია

შეფასებული რისკების დოკუმენტირება შესაძლებელია რამდენიმე გზით. ქვემოთ განხილულია სამი შესაძლო მიდგომა:

- **ცალკე დოკუმენტის შექმნა**

იქნება ცალკე დოკუმენტი, სადაც შეჯამებულია თანდაყოლილი და კონტროლის რისკების შეფასებები და რისკის კომბინირებული შეფასების ძირითადი არგუმენტები. ამ დოკუმენტის გამოყენება ასევე შესაძლებელია რისკზე რეაგირების მოქმედებების ზოგადად აღსაწერადაც.

- **აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაში ჩართვა**

აუდიტის გეგმის თითოეული განყოფილების (როგორიცაა დებიტორული დავალიანებები, კრედიტორული დავალიანებები და ა. შ.) პირველ ნაწილში შეიძლება მოკლედ იყოს აღწერილი რისკების შეფასებები და მათი გავლენა დაგეგმილ აუდიტორულ პროცედურებზე.

- **რისკების შეფასებების ჩართვა აუდიტორის დამატებითი პროცედურების დოკუმენტაციაში**

ამ შემთხვევაში, რისკების შეფასებები, აუდიტის გეგმები და შესრულებული სამუშაოს შედეგები შეიძლება ერთად იყოს დოკუმენტირებულ ერთ სამუშაო დოკუმენტში, რომელიც შედგენილი იქნება ფინანსური ანგარიშების თითოეული სფეროსთვის.

რისკების შეფასებების ამსახველი დოკუმენტაციის ფორმასა და მოცულობაზე გავლენას იქონიებს:

- სამურნეო სუბიექტისა და მისი შიდა კონტროლის ხასიათი, ზომა და სირთულე;
- სამურნეო სუბიექტის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; და
- აუდიტის მსვლელობისას გამოყენებული აუდიტის მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი სხვა ფაქტორებია:

- დოკუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები;
- მასში მითითებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტი, სადაც აღწერილია დაგეგმილი შესაფერისი საპასუხო პროცედურები და ინფორმაცია მათი შესრულების შესახებ;
- შესაძლებელი უნდა იყოს შემდგომ პერიოდებში დოკუმენტის განახლება; და
- ადვილი უნდა იყოს მიმოხილვა. მიმოხილვების უნდა შეეძლოს იმის დადგენა, გამოვლენილ იქნა თუ არა ძირითადი რისკები და შესაფერისი იყო თუ არა აუდიტის მსვლელობისას გატარებული საპასუხო ზომები.

კარგად დოკუმენტირებული შეფასებული რისკების მოკლე მიმოხილვა გამოსადევი იქნება შემდგომ პერიოდებშიც, ჯერ ასეთ საგეგმო შეხვედრებზე, სადაც შეიძლება განიხილებოდეს რისკებისა და აუდიტორული პროცედურების ხასიათი.

შემდეგ ცხრილში იღებული სტრატეგიული მიდგომა, როდესაც ზემოაღნიშნული მიზნებისთვის იქნება ცალკე დოკუმენტი, მაგრამ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული აუდიტის გეგმასთან. გაითვალისწინეთ, რომ დანართში გამოყენებულია ოთხი „კომბინირებული“ მტკიცება (რომელიც გამოყენებულია ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის), რომლებიც განმარტებულია 1-ლი ტომის მე-6 თავში.

ცხრილი 14.5-1

რისკების შეფასებული დონეები

		მტკიცებები	თრ	კრ	აურ	ასახეთ ძირითადი რისკები და რისკის შეფასებისას გათვალისწინებული სხვა ფაქტორები
						ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო დარცი სერთო გარდნას განიცდით. თუმცა, ჯერ რეალიზაცია ისევ სტაბილურია და სამუშაო სურნეო სუბიექტი ინვესტიციას დებს სამუცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტებში.
ფინანსური ანგარიშების დონე	ყო	ს	ჩ	ჩ		ხლმძღვანელობის დამოკიდებულება შედა კონტროლის კარგია. მისაკარ თანამდებობებზე კომპუტერური აღამანებია დასაქმებული.
						ხლმძღვანელობის მხრიდან შედა კონტროლის გერმანის ავღა შესაძლებელია, მაგრამ კომპანიის ახალმა პოლიტიკამ უნდა შეუცრებოს ყველაზე გავრცელებული ხერხების გამოყენება.
მტკიცების დონე						შარის მტკიცების დონეზე მართველი ორგანო რეაბილიტაციაში შედგება.
ფას ან განმარტებითი შენიშვნები						
1. რეალიზაცია	ს	მ	ჩ	ს		მესაკუთრეს სურს გადასახადებზე ფულის დაზოგვა. ამონაგები არასწორად არის აღიარებული.
		ა	ს	ჩ	ჩ	გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები. შესაძლებელია ამ მტკიცებისთვის შედა კონტროლის ტესტირება.
		ც	ს	ჩ	ჩ	გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები და არ არსებობს წარსული შეცდომების ისტორია.
		ჰ	—	ჩ	—	
2. დებიტორული დავალიანება	ს	ჩ	ჩ	ჩ		გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები და არ არსებობს წარსული შეცდომების ისტორია.
		ა	მ	ს	ს	გამოყვანილის პრემიება დამოკიდებულია ბუღალტრული ასახულ რეალიზაციაზე.
		ც	ჩ	ჩ	ჩ	გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები და არ არსებობს წარსული შეცდომების ისტორია.
		ჰ	მ	ს	ს	დებიტორული დავალიანების თანხების ამოღება შეიძლება პრობლემური გახდეს, დარგში შექმნილი კრიზისული ისტუციის გამო.
3. შარაგი	ს	ჩ	ჩ	ჩ		გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები და არ არსებობს წარსული შეცდომების ისტორია.
		ა	მ	მ	მ	მარაგის ქურდობა და არადამაკავშირებულების ფიზიკური შედა კონტროლი საწყობში.
		ც	ჩ	ჩ	ჩ	გამოყვანილა შესაბამისი კონტროლის საშუალებები და არ არსებობს წარსული შეცდომების ისტორია.
		ჰ	მ	მ	მ	ახალი ტექნოლოგიები დააძველებს არსებულ პროცესის ნაწილობრივ ან მთლიანად.

პირობითი ნიშნები:

- მ – მაღალი
- ს – საშუალო
- დ – დაბალი
- აღ – აღმოჩენი და გამოსასწორებული
- კონტროლის პროცედურა

თრ – თანდაყოლილი რისკი

კრ – კონტროლის რისკი

აურ – არსებითი უზუსტობის რისკი

(კომბინირებული რისკი)

ფას – ფინანსური ანგარიშების სფერო

– არ ეხება

ყო – ყოვლისმომცველი რისკი

ს – სისრულე

ა – არსებობა

ც – სისწორე

შ – შეფასება

შეფასებული რისკების დოკუმენტაციაში შეიძლება ასევე მითითებული იყოს:

- მნიშვნელოვანი რისკების შესახებ დეტალები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს; და
- რისკები, რომელთათვისაც მხოლოდ ძირითადი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

#### 14.6 სასწავლო მაგალითები – რისკის შეფასების ეტაპის დასრულება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

რისკის შეფასების პროცესის ბოლო ეტაპია არსებითი უზუსტობის რისკების კომბინირებული შეფასების განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეებზე.

რისკის შეფასება შეიძლება ქვემოთ განხილული მიდგომის გამოყენებით. დამხმარე ინფორმაცია (სადაც დოკუმენტირებული იყო თანდაყოლილი და კონტროლის რისკების შეფასებები) ნაჩვენები არ არის. პრაქტიკაში, ამ დოკუმენტზე მითითებული უნდა იყოს დოკუმენტ(ები), რომელშიც ასახულია მხარდაჭერი მონაცემები.

#### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

რისკების შეფასებული დონეები

		მტკი-ცებები	თრ	კრ	აურ	ასახეთ ძირითადი რისკები და რისკის შეფასებისას გათვალისწინებული სხვა ფაქტორები
						ხელმძღვანელობის დამტკიცებულება შედა კონტროლისადმი კარგად. მთავარ თანამდებობებზე კომპეტენტური აღამანებია დასაქმებული.
ფინანსური ანგარიშგების დონე	ყო	ს	დ	ჩ		ხელმძღვანელობის მხრიდან შედა კონტროლის ავლი შესძლებელია, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვავლინეთ ვერც ერთი ასეთი შემთხვევა, ხოლო ხელმძღვანელობის დამტკიცებულება შედა კონტროლისადმი კარგად.
მტკიცების დონე						შოგვროვეური შეჯერების ჩატარება შედებების მიმოხილვის უზრუნველყოფა ხელმძღვანელობისადმი გარკვეულ ანგარიშვალდებულებას.
ფას ან განმარტებითი შენიშვნები						
1. რეალიზაცია	ს	ბ	დ	ს		მონაცემის აღიარების პოლიტიკა შეუსაბამოა/არ არის თავსებადი.
		ა	დ	ჩ		მონაცემის აღიარების პოლიტიკა შეუსაბამოა/არ არის თავსებადი. ზეწოლა რეალიზაციის ციფრის მანიპულაციაზე/გადმიტაზე გამოწვეულია პროგრების სისტემით, რომელიც რეალიზაციის მოცულობას უყრდნობა და ასევე ბაზის ზეწოლით.
		ც	დ	ჩ		რეალიზაციის სისტემა კარგად ფუნქციონირებს.
		ჟ	—	დ	—	
2. დებიტორული დავალიანება	ს	დ	ჩ	ჩ		მიშვნელოვანი რისკები არ გამოვლენილა.
		ა	ბ	ს	ს	გამყიდველების პრემიები დამტკიცებულია ბუღალტრულად ასაწყლო რეალიზაციაზე.
		ც	დ	დ	დ	
		ჟ	ბ	ს	ს	შეხვდი საცალო ვაჭრობის ობიექტის დებიტორული დავალიანების მძიღვება შეიძლება პრობლემატური გახდეს, თუ თანხის გადაუხდელობა უკავშირდება პროდუქტის ხარისხს ან ნაყოფი საქმიანობის უკავ დაბრუნებას. გარდა ამისა, კონიამების გარღინის მოუხდავად, არ ტარდება მომზარებლის კრედიტურარანიბის შემოწმება კრედიტით საქმიანობის მფრდვის გადაწყვეტილების მოღებამდე.

##### პირობითი ნიშები:

- მ – მაღალი
- ს – საშუალო
- დ – დაბლი
- აღ – აღმოჩენი და გამოსასწორებელი
- კონტროლის პროცედურა

თრ – თანდაყოლილი რისკი

კრ – კონტროლის რისკი

აურ – არსებითი უზუსტობის რისკი  
(კომბინირებული რისკი)

ფას – ფინანსური ანგარიშგების  
სფერო

– არ ეხება

ყო – ყოვლისმომცველი რისკი

ს – სისრულე

ა – არსებობა

ც – სისწორე

ჟ – შეფასება

ამ ეტაპზე კარგი იქნება ხელმძღვანელობისთვის წერილის მომზადება, სადაც აღწერილი იქნება შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### რისკის შეფასების ეტაპის დასრულება რისკების შეფასებული დონეები

		მტკიცებები	თრ	კრ	აურ	ასახეთ ძირითადი რისკები და რისკის შეფასებისას გათვალისწინებული სხვა ფაქტორები
						ხელმძღვანელობას სათანადო დამოკიდებულება აქვს შიდა კონტროლთან მიმართებით და მთავარ თანამდებობებზე კომპუტერზე აღამასებია დასაქმებული.
ფინანსური ანგარიშების დონე				ს		ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლის გვერდის ავლა შესაძლებელია, ვინაიდან კომპანია ზეწოლას განიცდის: აუცილებლად უნდა დააგამყოფილოს ბანკის ხელშეკრულების პირობები და გადასახადები მინიჭებამდე უნდა შეამციროს. ბუღალტრის სამუშაოს რაჯი ყოველთვის არ აძირებდა მოცემული პერიოდის განმავლობაში. ბუღალტერი უკამყოფილო ჩანს და შეიძლება ციფრების დამასხინების ხელსაყრელი შესაძლებლობა ჰქონდეს. შესაბამსად, შეიძლება კერ გამოვლინდეს როგორც უნდა შეცდომა, ისე განზრახ ჩადენილი თაღლითობა.
						ფიცილური შეხედულების ჩატარება შედეგების მიმოხილვისთვის უზრუნველყოფს ხელმძღვანელობისადმი გარემოულ ანგარიშებალიგებულებას.
მტკიცების დონე						
ფას ან განმარტებითი შენიშვნები						
1. რეალიზაცია	ს	გ	დ	ს		ამ მტკიცებისთვის გამოვლინდა შესაფერისი კონტროლის საშუალებები.
		პ	გ	ს		ამ მტკიცებისთვის გამოვლინდა შესაფერისი კონტროლის საშუალებები, მაგრამ დაკავშირებულ მხარეთა თერაციები პრობლემას წარმოადგენს.
		ლ	გ	ს		ამ მტკიცებისთვის გამოვლინდა შესაფერისი კონტროლის საშუალებები, მაგრამ დაკავშირებულ მხარეთა თერაციები პრობლემას წარმოადგენს.
		ჟ	ს	ს	ს	დარგში შექმნილი სიტუაციის გამო, არსებობს რეალიზებული საქმინის უკან დაბრუნების შესაძლებლობა.
2. დებიტორული დავალიანება	ს	გ	დ	ს		დებიტორული დავალიანების ნაშთის უდიდესი ნაწილი გეუთვნის „დეფრას“. არ გამოვლინდა სხვა სპეციფიკური რისკები.
		პ	გ	ს		დებიტორული დავალიანების ნაშთის უდიდესი ნაწილი გეუთვნის „დეფრას“. არ გამოვლინდა სხვა სპეციფიკური რისკები.
		ლ	გ	ს		დებიტორული დავალიანების ნაშთის უდიდესი ნაწილი გეუთვნის „დეფრას“. არ გამოვლინდა სხვა სპეციფიკური რისკები.
		ჟ	გ	ს	ს	მკარე ზომის მომხმარებლებს შესაძლოა გაუჭირდეთ დავალიანების დაფარვა ამ როგორ გეონობის პრობლემა.

### პირობითი ნიშნები:

- მ – მაღალი
- ს – საშუალო
- დ – დაბალი
- აღ – აღმოჩენი და გამოსასწორებული
- კონტროლის პროცედურა

თრ – თანდაყოლილი რისკი


- კრ – კონტროლის რისკი
- აურ – არსებითი უზუსტობის რისკი
- (კომბინირებული რისკი)
- ფას – ფინანსური ანგარიშების სფერო

– არ ექნა

- ყოვლისმომცველი რისკი
- ს – სისრულე
- პ – არსებობა
- ლ – სისწორე
- ჟ – შეფასება

ამ ეტაპზე კარგი იქნება ხელმძღვანელობისთვის წერილის მომზადება, სადაც აღწერილი იქნება შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

## 15. რისკზე რეაგირება – ზოგადი მიმოხილვა



### შენიშვნები:

- გაუცანით ას 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგვეტვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მოელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
330.5	აუდიტორმა უნდა დაგევმოს და გაატაროს საერთო ხასიათის ღონისძიებები ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებისათვის (იხ. პ.პ. გ1-გ3).
330.6	აუდიტორმა უნდა დაგევმოს და ჩატაროს დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რომლის ხასიათი, ვალები და მოცულობა ეყრდნობა და მიესადაგება კონკრეტული მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებას (იხ. პ. გ4-გ8).

რისკზე რეაგირების ეტაპი მოიცავს შემდეგ სქემაზე განხილულ მოქმედებებს:

### სქემა 15.0-2




ქვემოთ ჩამოთვლილია რისკზე რეაგირების ეტაპთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები:

ტომი და თავები
შეფასებულ რისკებზე რეაგირება
დამატებითი აუდიტორული პროცედურები
სააღრიცხვო შეფასებები
დაკავშირებული მსარეები
შემდგომი მოვლენები
ფუნქციონირებადი საწარმო
სხვა ასს-ების მოთხოვნების მოკლე მიმოხილვა
აუდიტის დოკუმენტაცია

## 16. საკასური აუდიტის გეგმა

თავის შინარისი	შესაბამისი ასს-ები
როგორ უნდა დაიგეგმოს ეფექტური ადიტორული პროცედურები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის.	260,300,330,500

სექტემბერი 16.0-ი



შენიშვნა: 1. აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
260.15	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ზოგადი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების შესახებ (იხ.: პუნქტი გ11-გ15)
300.9	აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხების აღწერას: ა) რისკის შესაფასებელად დაგეგმილი პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასე 315-ის თანახმად; ბ) მტკიცების დონეზე დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასე 330-ის თანახმად; გ) სხვა დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები, რომელთა ჩატარება აუცილებელია, რათა გარიგება შეესაბამებოდეს ასს-ებს. (იხ.: პუნქტი გ12)
300.10	აუდიტორმა აუდიტის მსვლელობისას საჭიროებიდან გამომდინარე უნდა განახლოს და შეცვალოს აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა. (იხ.: პუნქტი გ13)
300.11	აუდიტორმა უნდა დაგეგმოს გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წელმდგრადობისა და ზედამხედველობის და მათი სამუშაოს მიმოხილვის ხასიათი, ვადები და მოცულობა. (იხ.: პუნქტი გ14-გ15)
300.12	აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა ასახოს: ა) აუდიტის საერთო სტრატეგია; ბ) აუდიტის გეგმა; და გ) აუდიტორული გარიგების მსვლელობისას აუდიტის საერთო სტრატეგიაში ან აუდიტის გეგმაში შეტანილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებები და ცვლილებების მიზეზები. (იხ.: პუნქტი გ16-გ19)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
330.5	აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და გაატაროს საერთო ხასიათის ღონისძიებები ფინანსური ანგარიშების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებისათვის. (იხ. პ.პ. გ3-გ3)
330.6	აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რომლის ხასიათი, ვადები და მოცულობა ყურდნობა და მიესადაგება კონკრეტული მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკებზე რეაგირებას. (იხ. პ.გ4-გ8)
330.7	დამატებითი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვისას, აუდიტორმა:
	<p>ა) თითოეული კატეგორიის ოპერაციის, ანგარიშის ნაშთის, ან განმარტებითი შენიშვნებისათვის უნდა გათვალისწინოს მიზეზები, რის გამოც კონკრეტული მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობის რისკებს მიანიჭა მოცემული შეფასება, მათ შორის:</p> <p>(i) არსებითი უზუსტობის ალბათობა, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშის ნაშთის ან განმარტებითი შენიშვნის კონკრეტული მახასიათებლებით (ე.ი. თანდაყოლილი რისკი); და</p> <p>(ii) გათვალისწინებულია თუ არა რისკის შეფასებაში სათანადო კონტროლის პროცედურები (ე.ი. კონტროლის რისკი), რისთვისაც აუდიტორმა უნდა შეკრიბოს საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის დასადგენად, კონტროლის პროცედურები მუშაობს თუ არა ეფექტურად (ანუ, აუდიტორი ძირითადი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დასადგენად აპირებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტურიანობაზე დაყრდნობას); და (იხ. პ. გ9-გ18)</p> <p>ბ) უფრო სარწმუნო მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს, რაც უფრო მაღალია რისკის აუდიტორისეული შეფასება. (იხ. პ. გ19)</p>
330.8	აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს კონტროლის ტესტები საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად სათანადო კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტურიანობის შესახებ, თუ: <p>ა) მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობის რისკების აუდიტორისეული შეფასება ითვალისწინებს იმის მოლოდინს, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტურად მუშაობს (ე.ი. აუდიტორი ძირითადი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დასადგენად აპირებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტურიანობაზე დაყრდნობას); ან</p> <p>ბ) მარტო ძირითადი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს საქმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კონკრეტული მტკიცების დონეზე. (იხ. პ. გ20-გ24)</p>
330.9	კონტროლის ტესტების დაგეგმვისა და ჩატარებისას აუდიტორმა მით უფრო მეტად სარწმუნო მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს, რაც უფრო მეტად აპირებს კონტროლის ეფექტურიანობაზე დაყრდნობას. (იხ. პ. გ25)
330.10	კონტროლის ტესტების დაგეგმვისა და ჩატარებისას აუდიტორმა:
	<p>ა) კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტურიანობის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, გამოკითხვებთან ერთად უნდა ჩატაროს სხვა აუდიტორული პროცედურებიც, მათ შორის, იმის დასადგენად:</p> <p>(i) რამდენად ეფექტურად მუშაობდა კონტროლის პროცედურები შესაფერის დროის მონაკვეთში, აუდიტს დაქვემდებარებულ საანგარიშებო პერიოდში;</p> <p>(ii) რამდენად თანამიმდევრულად გამოიყენებოდა ისინი; და</p> <p>(iii) ვინ ასრულებდა ამ პროცედურებს ან რანაირად, რა გზით. (იხ. პ. გ26-გ29)</p> <p>ბ) უნდა განსაზღვროს, ტესტირებისთვის გამიზნული კონტროლის პროცედურები დამოკიდებულია თუ არა სხვა კონტროლის პროცედურებზე (არაპირდაპირი კონტროლის პროცედურები) და თუ ასეა, აუცილებელია თუ არა აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება არაპირდაპირი კონტროლის პროცედურების ეფექტური მუშაობის განსამტკიცებლად. (იხ. პ. გ30-გ31)</p>

**აუდიტის საქრთვის მომსახურის სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცავე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მთათებები**

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
330.15	თუ აუდიტორი გეგმავს კონტროლის ისეთ პროცედურებზე დაყრდნობას, რომლებიც რომელიმე რისკს უკავშირდება და დაადგენს, რომ ეს რისკი მნიშვნელოვანია, აუდიტორმა ამგვარი კონტროლის პროცედურების ტესტირება უნდა ჩაატაროს მიმდინარე პერიოდში.
330.18	იმის მოუხედავად, როგორი იქნება არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება, აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს ძირითადი პროცედურები თითოეული არსებითი კატეგორიის ოპერაციისთვის, ანგარიშის ნაშთისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის. (იხ. პ. გ42-გ47)
330.19	აუდიტორმა უნდა განიხილოს, საჭიროა თუ არა გარეშე მხარეებთან დადასტურების პროცედურების, როგორც ძირითადი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. (იხ. პ. გ48-გ51)
330.20	აუდიტორის ძირითადმა პროცედურებმა უნდა მოიცვას ფინანსური ანგარიშგების დახურვის პროცესთან დაკავშირებული შემდეგი აუდიტორული პროცედურები: ა) ფინანსური ანგარიშგების შედარება ან შეჯერება შესაბამის ბუღალტრულ ჩანაწერებთან; და ბ) არსებითი საბუღალტრო გატარებებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გაკეთებული კორექტირებების შემოწმება. (იხ. პ. გ52)
330.21	თუ აუდიტორი დაადგენს, რომ ამა თუ იმ მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი მნიშვნელოვანია, მან უნდა ჩაატაროს ძირითადი პროცედურები, რომლებიც სპეციალურად ამ რისკზე რეაგირებისათვის იქნება განკუთვნილი. როდესაც აუდიტორი ირჩევს მნიშვნელოვანი რისკების მიმართ მხოლოდ ძირითადი პროცედურების ჩატარების მიღვომას, მნიშვნელოვან რისკებზე მიმართულმა აუდიტორულმა პროცედურებმა უნდა მოიცვას ელემენტების ტესტირება. (იხ. პ. გ53)
330.22	თუ აუდიტორი ძირითად პროცედურებს წინასწარ ატარებს რომელიმე შუალედური თარიღისთვის, აუდიტორმა დარჩენილი პერიოდის მოცვის მიზნით უნდა ჩაატაროს: ა) ძირითადი პროცედურები და კონტროლის ტესტები კომბინირებულად, შუალედურ თარიღსა და სააგარიშგებო თარიღს შორის პერიოდზე; ან ბ) მარტო დამატებითი ძირითადი პროცედურები, თუ გადაწყვეტს, რომ ეს საკმარისი იქნება, რათა შეიქმნას დასაბუთებული საფუძველი შუალედური თარიღისთვის გამოტანილი დასკვნების გასავრცელებლად საანგარიშგებო თარიღზე. (იხ. პ. გ54-გ57)
330.24	აუდიტორმა უნდა ჩაატაროს აუდიტორული პროცედურები, რათა შეაფასოს, შესაბამისობაშია თუ არა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში, მათ შორის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერის საფუძვლებთან. (იხ. პ. გ59)
500.6	იმისათვის, რომ მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, აუდიტორმა უნდა დაგეგმოს და ჩატაროს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები. (იხ. პ. გ1-გ25)
500.7	აუდიტორული პროცედურების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში, აუდიტორმა უნდა განიხილოს იმ ინფორმაციის შესაბამისობა და საიმედოობა, რომლის გამოყენებას-აც აპირებს აუდიტორული მტკიცებულებების სახით. (იხ. პ. გ26-გ33)
500.10	როდესაც აუდიტორი გეგმავს კონტროლის ტესტებსა და ელემენტების ტესტებს, მან ტესტირებისთვის მუხლების შესარჩევად ისეთი მეთოდები უნდა განსაზღვროს, რომლებიც ეფექტური იქნება მოცემული აუდიტორული პროცედურის მიზნის მისაღწევად. (იხ. პ. გ52-გ56)

## 16.1 ზოგადი მიმოხილვა

რისკზე რეაგირების ეტაპზე აუდიტორის მიზანია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შეფასებულ რისკებთან მიმართებით. ამისათვის აუდიტორმა უნდა განსაზღვროს და ჩაატაროს ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეებზე შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი შესაფერისი პროცედურები.

აუდიტორი ამ ამოცანას სხვადასხვა მხრიდან უნდა მიუდგეს. ასე, მაგალითად:

- თითოეულ შეფასებულ რისკს რიგრიგობით განიხილავს მათი ხასიათის მიხედვით (ე.რ. ეკონომიკის ვარდნა) და განსაზღვრავს შესაფერის ქმედებებს, დამატებითი აუდიტორული პროცედურების სახით;
- თითოეულ შეფასებულ რისკს განიხილავს ფინანსური ანგარიშგების იმ არსებითი სფეროს (ნაწილის) ან განმარტებითი შენიშვნის მიხედვით, რომელზეც ეს რისკი ზემოქმედებს. შემდეგ აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერის ქმედებებს დამატებითი აუდიტორული პროცედურების სახით; ან
- დაიწყებს ფინანსური ანგარიშგების თითოეული არსებითი სფეროსა და მტკიცების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების სტანდარტული სიის შედგენით და მოუსადაგებს მათ მოცემულ გარემოებებს (კერძოდ, გააერთიანებს, შეცვლის და ამოილებს სიიდან), რათა განსაზღვროს შესაფერისი ქმედებები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის.

შეფასებულ რისკებზე რეაგირება გულისხმობს არა მარტო აუდიტის სტანდარტული პროგრამის გამოყენებას, რომელიც შეიძლება ყველა მტკიცების აუდიტისთვის იყოს შესაფერისი, არამედ სპეციალურად დამუშავებულ პროგრამას, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული სფეროსთვის მტკიცების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის. საზოგადოდ, აუდიტის პროგრამები მორგებული უნდა იყოს (საჭიროების მიხედვით) სამეურნეო სუბიექტის რისკის დონესა და მის კონკრეტულ გარემოებებზე.

## 16.2 რისკებზე რეაგირების საწყისი წერტილი

ეფექტური საპასუხო აუდიტორული მოქმედებების განსაზღვრის მიზნით, პირველ რიგში, უნდა მიმართოთ შეფასებული რისკების სიას, რომელიც შეადგინეთ რისკის შეფასების ეტაპის ბოლოს (იხ. მე-2 ტომის მე-14 თავი).


რისკები გამოვლენილი და შეფასებული გექნებოდათ:

- ფინანსური ანგარიშგების დონეზე; და
- ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული მტკიცებისა და განმარტებითი შენიშვნების დონეზე.

შესაფერისი საპასუხო აუდიტორული პროცედურის შემუშავებისას შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების მცირე სფეროების დაჯგუფება და ერთ დიდ ნაწილად განხილვა.

1-ლი ტომის მე-9 თავში განხილულია შეფასებულ რისკებზე შესაძლო რეაგირების ორი დონე. შემდეგ ნახაზზე ილუსტრირებული მოთხოვნილი საპასუხო ქმედებების სახეები:

## ნახაზი 16.2-1



### 16.3 საერთო ხასიათის დონისმიებები

ფინანსური ანგარიშგების დონეზე ყოვლისმომცველ რისკებზე (როგორიცაა, არადამატაყოფილებელი კონტროლის გარემო და/ან თაღლითობის პოტენციალი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბევრ მტკიცებაზე) რეაგირება ხდება აუდიტორის მიერ საერთო ხასიათის დონისმიებების განსაზღვრითა და შესრულებით. ყოვლისმომცველ რისკებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-2 ტომის მე-8 თავი.

ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირებისათვის განკუთვნილი საერთო ხასიათის დონისმიებები შეიძლება მოიცავდეს:

- აუდიტის ჯგუფის წევრების ყურადღების გამახვილებას პროფესიული სკეტჩიზების შენარჩუნების აუცილებლობაზე;
- შედარებით გამოცდილი პერსონალის ან სპეციალური კვალიფიკაციის პერსონალის შეფანას ჯგუფში ან ექსპერტების სამუშაოს გამოყენებას;
- უფრო მეტი ზედამხედველობის გაწევას;
- ჩასატარებელი დამატებითი აუდიტორული პროცედურების შერჩევისას არაპროგნოზირებადობის ელემენტების გათვალისწინებას;
- გენერალური ცვლილებების შეტანას აუდიტორული პროცედურების ხასიათში, ვადებში ან მოცულობაში. მაგალითად, ძირითადი პროცედურების ჩატარება პერიოდის ბოლოს, შუალედური პერიოდის ნაცვლად; ან აუდიტორული პროცედურების ხასიათის შეცვლა უფრო მეტად სარწმუნო მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

### ცხრილი 16.3-1

რისკის შეფასება	შესაძლო საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებები
<b>ეფექტური კონტროლის გარემო</b>	<p>თუ აუდიტორის შეფასებით კონტროლის გარემო ეფექტურია, მას საშუალება ექნება, უფრო მეტად ენდოს შიდა კონტროლსა და სამურნეო სუბიქტის ფარგლებში მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების სამედოობას.</p> <p>საერთო ხასიათის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ზოგიერთ აუდიტორულ პროცედურასაც, რომელიც საანგარიშებო პერიოდის ბოლოს კი არ შესრულდება, არამედ შეუალებულ პერიოდში.</p>
<b>არაეფექტური კონტროლის გარემო (ნაკლოვანებები არსებობს)</b>	<p>ეს, ალბათ, აუდიტორისგან მოითხოვს გარკვეული დამატებითი სამუშაოს შესრულებას, როგორიცაა, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უფრო გამოცდილი აუდიტორული პერსონალის ჩართვა ჯგუფში;</li> <li>• უფრო მეტი აუდიტორული პროცედურების ჩატარება პერიოდის ბოლოს;</li> <li>• უფრო მეტი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ძირითადი პროცედურებიდან;</li> <li>• ცვლილებების შეტანა ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების ხასიათში, ვადებში ან მოცულობაში.</li> </ul>

### მიმღებელოვანი რჩევები

თუ შესაძლებელია, აუდიტის დაგეგმვის სტადიაზე განსაზღვრეთ რისკის საწყისი შეფასება ფინანსური ანგარიშების ღონებზე. ეს საშუალებას მოგცემთ, განსაზღვროთ საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებები სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად: რომელი თანამშრომლები უნდა შეიყვანოთ აუდიტის ჯგუფში (მათ შორის, სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირები), რა ღონის ზედამსედველობის განხორციელება იქნება საჭირო და რომელი აუდიტორული პროცედურები უნდა ჩატარდეს. რისკის საწყისი შეფასება განახლებას საჭიროებს აუდიტის მსვლელობისას და შესაბამისად უნდა შეიცვალოს დაგეგმილი საერთო ხასიათის საპასუხო ღონისძიებები.

თუმცა, ამის გაკეთება შეიძლება შეუძლებელი იყოს მცირე სამურნეო სუბიქტებში, რომლებსაც არ გააჩნიათ შეუალებური პერიოდის, ან ყოველთვიური ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც გამოიყენებთ ანალიზური პროცედურების ჩასატარებლად და არსებითი უზუსტობის რისკების გამოსავლენად და/ან შესაფასებლად. როდესაც შეუძლებელია აუდიტის დასაგეგმად შეზღუდული ანალიზური პროცედურების ჩატარება, ან ინფორმაციის მოპოვება გამოკითხვების შედეგად, აუდიტორს შეიძლება მოცდა დასჭირდეს, სანამ სამურნეო სუბიქტის ფინანსური ანგარიშების პროექტი არ გახდება ხელმისაწვდომი.

### 16.4 მტკიცებების გამოყენება ტესტის შემუშავებაში

ასე-ების თანახმად, არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება აუცილებელია ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების ღონებზე. მიზანი სათანადო საპასუხო ქმედებების მოფიქრებაა, რათა აუდიტორმა მტკიცებულებები მოიპოვოს რისკების შეფასებებთან მიმართებით, რომლებიც განსაზღვრა თთოეული შესაფერისი მტკიცებისთვის. მტკიცებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ 1-ლი ტომის მე-6 თავი.

როდესაც აუდიტორი მუშაობს კონკრეტული ოპერაციების ჯგუფისთვის საპასუხო პროცედურების განსაზღვრაზე რისკის შეფასების გათვალისწინებით, აუდიტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მტკიცებები ასევე უზრუნველყოფს ტიპურ კავშირს შიდა კონტროლის ტესტირებასა და ძირითად პროცედურებს შორის. ეს მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, როდის შეიძლება იყოს მიზანშეწონილი კონტროლის ტესტებისა და ძირითადი პროცედურების კომბინირებულად გამოყენება არსებითი უზუსტობის რისკების შესამცირებლად მისაღებ დაბალ დონემდე.

მაგალითად, მარავის „არსებობის“ მტკიცების აუდიტში აუდიტორული პროცედურები მიმართული იქნება მარაგის ნაშთის შემადგენლობაში უკვე აღრიცხული ელემენტების სისწორის ტესტირებაზე; ასევე იმ კონტროლის საშუალებების ტესტირებაზე, რომლებიც შეამცირებს იმის რისკს, რომ მა-

რაგის ნაშთში შეტანილი არ იქნება არარსებული ელემენტები (მარაგი). მარაგის „სისრულის“ მტკიცების ტესტირებაში ყურადღება გამახვილდება ისეთი ელემენტების შემოწმებაზე, რომლებიც შეტანილი არ არის მარაგის ნაშთში, მაგრამ შესაძლო მტკიცებულებებს უზრუნველყოფს გამოტოვებულ ელემენტებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს საქონლის შესყიდვის შეკვეთებისა და კონტროლის იმ საშუალებების ტესტირებას, რომლებიც შეამცირებდა მარაგის ნაშთში ელემენტების გამოტოვების რისკს.

### 16.5 არსებითობის გამოყენება ტესტის შემუშავებაში

აუცილებელი აუდიტორული პროცედურების მოცულობის განსაზღვრაში გასათვალისწინებელი მთავარი ფაქტორია სამუშაო არსებითობა, რომელიც უკვე განსაზღვრულ აქვს აუდიტორს. სამუშაო არსებითობა ეყრდნობა მთლიანად ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილ არსებითობას, მაგრამ შესაძლოა შეიცვალოს ამა თუ იმ კატეგორიის ოპერაციებთან, ანგარიშის ნაშთთან, ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებზე რეაგირების მიზნით.


აუცილებელი აუდიტორული პროცედურების მოცულობის განსაზღვრა ხდება სამუშაო არსებითობის, შეფასებული რისკისა და რწმუნების იმ დონის გათვალისწინების შემდეგ, რომლის მიღებასაც გაემავს აუდიტორი. საზოგადოდ, აუდიტორული პროცედურების მოცულობა (როგორიცაა ოპერაციებისა და ანგარიშების ნაშთების ელემენტების ტესტებისთვის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა, ან დეტალიზაციის აუცილებელი დონე ძირითად ანალიზურ პროცედურებში) გაიზრდება არსებითი უზუსტობის ზრდასთან ერთად. თუმცა, აუდიტორული პროცედურის მოცულობის გაზრდა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ თვითონ აუდიტორული პროცედურა კონკრეტული რისკის შესაფერისია. ტესტის შემუშავებაში არსებითობის გამოყენების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ 1-ლი ტომის მე-7 თავი და მე-2 ტომის მე-6 და მე-17 თავები.

### 16.6 აუდიტორის ინსტრუმენტების ნაკრები

აუდიტის დეტალური გეგმის შემუშავებისას აუდიტორი მიმართავს პროფესიულ მსჯელობას, შესაძლო აუდიტორული პროცედურების სახეებიდან შესარჩევად. დამატებითი აუდიტორული პროცედურების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 1-ლი ტომის მე-10–15 თავები.

აუდიტის ეფექტური პროგრამა ეყრდნობა შესაფერისი პროცედურების გარკვეულ ერთობლიობას, რომლებიც ერთობლივად აუდიტორულ რისკს შეამცირებენ მისაღებ დაბალ დონემდე. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, აუდიტორისთვის სელმისაწვდომი სხვადასხვა ტიპის აუდიტორული პროცედურები დაყოფილია ხუთ კატეგორიად, რაც ნაჩვენებია შემდეგ ნახაზზე.

ნახაზი 16.1-1



**შენიშვნა:** ტერმინები „საბაზისო“ და „გაფართოებული“ გამოყენებულია მხოლოდ წინამდებარე სა-  
ხელმძღვანელოს მიზნებისთვის.

### ცხრილი 16.6-2

პროცედურის ტიპი	აღწერა
ძირითადი – საბაზისო	<p>ტერმინი „საბაზისო“ გამოყენებულია ტიპური ძირითადი პროცედურების აღსანი- შნავად, რომლის ჩატარებასაც მოითხოვს ასს 330-ის მე-18 პუნქტი ყველა არ- სებითი კატეგორიის ოპერაციებისთვის, ანგარიშის ნაშთისა და განმარტებითი შენიშვნისთვის, იმის მიუხედავად, როგორი იქნება არსებითი უზუსტობის რის- კების შეფასება. საბაზისო პროცედურები ასახავს იმ ფაქტს, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტორისეული რისკის შეფასება განსჯის საგანია და, მაშასადამე, შეიძ- ლება არ ასახავდეს არსებითი უზუსტობის ყველა რისკს; და</li> <li>• შიდა კონტროლს ახასიათებს თანდაყოლილი შეზღუდვები, მათ შორის ხე- ლმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების შესაძლებლობა.</li> </ul> <p>როდესაც არსებითი უზუსტობის რისკი ძალიან დაბალია, საბაზისო პროცედუ- რები შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულე- ბების მოსაპოვებლად კონკრეტული მტკიცებისთვის. საბაზისო ძირითადი პრო- ცედურების მაგალითებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პერიოდის საბოლოო ნაშთის შემადგენელი ყველა ელემენტის სრული სის მო- ძიება;</li> <li>• მიმდინარე პერიოდის ნაშთის შედარება წინა პერიოდის ნაშთთან;</li> <li>• განსხვავების მიზეზების დადგენა; და</li> <li>• პერიოდის ბოლოს ჩატარებული, დროში გამიჯვნის ზოგიერთი პროცედუ- რის შესრულება აუდიტორის მიერ.</li> </ul>
ძირითადი – გაფართოებული	<p>სახელმძღვანელოში ტერმინი „გაფართოებული“ გამოყენებულია იმ დამატებითი სამუშაოს (საბაზისო პროცედურების გარდა) ხასიათისა და მოცულობის გამო- საყოფად, რაც აუცილებელია ისეთ სიტუაციებზე რეაგირებისთვის, როდესაც კონკრეტული მტკიცების დონეზე რისკების შეფასება საშუალო ან მაღალია. ასე მაშინ ხდება, როდესაც სპეციფიკური ან მნიშვნელოვანი რისკები არსებობს. გა- ფართოებულმა პროცედურებმა უნდა მოიცვას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროცედურები, რომლებიც სპეციალურად განკუთხილია კონკრეტულ რისკ- ის ფაქტორებზე (როგორიცაა, ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების შესაძლებლობა), სხვა ტიპის თაღლითობაზე, ან მნიშვნე- ლოვან რისკზე რეაგირებისთვის; და</li> <li>• პროცედურებს, რომლებიც საბაზისო პროცედურების მსგავსია, მაგრამ პრო- ცედურის ფარგლები გაზრდილია (მაგალითად, ელემენტების ტესტებისთვის – შერჩევითი ერთობლიობის გაზრდილი მოცულობა), რათა აუდიტორმა სა- თანადო დონემდე შეძლოს რისკის შემცირება.</li> </ul> <p>მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაფერისი საპასუხო აუდიტორული პროცედუ- რების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-2 ტომის მე-10 თავი.</p>

პროცედურის ტიპი	აღწერა
კონტროლის ტესტები	<p>როდესაც სამეურნეო სუბიექტში არსებობს ძირითადი კონტროლის საშუალებები (რომლებიც, სავარაუდო, ეფექტურად უნდა ფუნქციონირებდეს) გარეულ მტკიცებებზე რეაგირებისთვის, შეიძლება კონტროლის ტესტების ჩატარება ამ მტკიცების შესახებ აუცილებელი მტკიცებულებების შესაკრებად.</p> <p>რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად ჩატარებულმა კონტროლის ტესტებმა (რომლებიც ჩვეულებრივზე უფრო დიდი მოცულობის შერჩევით ერთობლიობას საჭიროებს), აუდიტორი შეიძლება უზრუნველყოს კონკრეტული მტკიცებისთვის საჭირო მტკიცებულებების უდიდესი ნაწილით. მეორე მხრივ, კონტროლის ტესტების გამოყენება შესაძლებელია რისკის საშუალო დონემდე შესამცირებლად (რისთვისაც საჭიროა ცოტათი უფრო მცირე მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საჭირო მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორი ერთსა და იმავე მტკიცებასთან მიმართებით, კონტროლის ტესტებთან ერთად ძირითად პროცედურებსაც ჩატარებს.</p> <p>გარეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, შიდა კონტროლის საშუალებების ტესტირება საჭირო იქნება ყოველ სამ აუდიტში ერთხელ. კონტროლის ტესტები განხილულია 1-ლი ტომის 10.5 თავში.</p>
ძირითადი – ანალიზური	<p>ანალიზური ძირითადი პროცედურები მოიცავს ფინანსური ინფორმაციის შეფასებას ფინანსურ და არაფინანსურ მონაცემებს შორის სავარაუდო კავშირ-უთიერთობების (თანაფარდობების) ანალიზის მეშვეობით. ანალიზური პროცედურები საჭიროებს გარეული თანხებისთვის (მაგ., რეალიზაციისთვის) ზუსტი მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრას, რომლის შედარება აღრიცხულ თანხებთან, ფაქტობრივად, საკმარისი იქნება უზუსტობის დასადგენად.</p> <p>ანალიზური პროცედურები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემების მარტივი შედარება, რაც, როგორც წესი, საბაზისო ძირითად პროცედურებში შედის. ჩვეულებრივ, ეს პროცედურები გაერთიანდება მტკიცების დონეზე ჩასატარებელ ლენტების ტესტებთან. თავისთვის, მარტო ზემოაღნიშნული პროცედურებით შეუძლებელია საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.</li> <li>• საპროგნოზო მოდელები, რომლებიც თავისთვის (ან კონტროლის ტესტებთან ან სხვა ძირითად პროცედურებთან კომბინაციაში) საკმარისი იქნება აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონეზე შესამცირებლად. მაგალითად, თუ პერიოდის განმავლობაში სამეურნეო სუბიექტში მუშაობდა 6 თანამშრომელი ფიქსირებულ განაკვეთზე, შესაძლებელია მაღალი დონის სიზუსტით განისაზღვროს პერიოდის ხელფასების მთლიანი ხარჯი. თუ ვივარაუდებთ, რომ თანამშრომელთა რაოდენობა და ხელფასების ინფორმაცია სწორი იყო, ეს პროცედურა მოგვცემს სრულყოფილ აუდიტორულ მტკიცებულებას ხელფასის ხარჯის შესახებ. შესაძლოა საჭირო აღარ იყოს სხვა ძირითადი (საბაზისო ან გაფართოებული) პროცედურების ჩატარება.</li> </ul> <p><b>შენიშვნა:</b> მნიშვნელოვან რისკთან მუშაობისას, აუდიტორი ვალდებულია, ანალიზური ძირითადი პროცედურები სხვა ძირითად პროცედურებთან ერთად გამოიყენოს, რომლებიც ელემენტების ტესტებსაც მოიცავს.</p>

## 16.7 აუდიტის გეგმის შემუშავება შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის

საჭიროა პროფესიული მსჯელობა და კარგად დაფიქრება, რათა გეგმა სათანადო მიესადაგებოდეს შეფასებულ რისკებს. სათანადო გეგმის შემუშავებაზე დახარჯული დრო თითქმის უდავოდ კომპენ-

სირდება: აუდიტი უფრო ეფექტურად და პროდუქტიულად ჩატარდება და თანამშრომლებს ნაკლები დრო დაეხარჯებათ.

გეგმის შემუშავება სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირებას (საერთო ხასიათის საპასუხო ღონისძიებები);
- სპეციფიკური პროცედურების განსაზღვრას, რომლებიც მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების არსებითი სფეროებისთვის; და
- იმის განსაზღვრას, რომელი აუდიტორული პროცედურები (აუდიტორის ინსტრუმენტების ნაკრებიდან) და რა მოცულობის ტესტირების ჩატარებაა საჭირო.

### **1-ლი საფეხური – ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირება**

პირველ საფეხურზე აუდიტორი განსაზღვრავს საერთო ხასიათის ღონისძიებებს ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის. ვინათდან ეს რისკები ყოვლისმომცველი ხასიათისაა, თუ აუდიტორისული რისკის შეფასება იქნება საშუალო ან მაღალი, ასეთ სიტუაციაში, ჩვეულებრივთან შედარებით, უფრო მეტი სამუშაოს შესრულება იქნება საჭირო ფინანსური ანგარიშგების თითქმის ყველა სფეროში. ეს საკითხები განხილულია ამავე თავში, 16.3 პარაგრაფში.

### **მე-2 საფეხური – სპეციფიკური პროცედურების განსაზღვრა, რომლებიც მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების არსებითი სფეროებისთვის**

შეფასებულ რისკებზე საპასუხოდ დეტალური პროცედურების შემუშავებამდე, აუდიტორმა შეიძლება სასარგებლოდ მიიჩნიოს (ფინანსური ანგარიშგების თითოეული არსებითი სფეროსთვის) შემდეგ ცხრილში განხილული საკითხების გათვალისწინება.

#### **ცხრილი 16.7-1**

	ფინანსური ანგარიშგების თითოეული არსებითი ან პოტენციურად არსებითი სფეროებისთვის
კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოთ, როდესაც მუშაობთ სათანადო საპასუხო ქმედებების განსაზღვრაზე	<p>არსებობს ისეთი მტკიცება, რომლის მიმართ საკმარისი არ იქნება მარტო ძირითადი ტესტების გამოყენება? თუ ასეა, მოითხოვება კონტროლის ტესტების ჩატარება.</p> <p>ასე შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ არსებობს დოკუმენტაცია, საიდანაც აუდიტორულ მტკიცებულებებს მოიპოვებთ ისეთი მტკიცების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, რეალიზაციის ოპერაციების სისრულე; ან</li> <li>• სამეურნეო სუბიექტი საქმიანობას წარმართავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ოპერაციების შესახებ დოკუმენტაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გარდა, სხვაგან არსად არ იქმნება და არსად არ იწარმოება ჩანაწერები.</li> </ul>
	სანდოა შესაბამისი კატეგორიის ოპერაციებთან/პროცესებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის საშუალებები? თუ ასეა, კონტროლის ტესტების ჩატარება შეიძლება შესაძლებელი იყოს, თუ ოპერაციების რაოდენობა იმდენად მცირე არ არის, რომ საკმარისი იქნება მარტო ძირითადი პროცედურები.
	შესაძლებელია ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარება (კერძოდ, დაკავშირებულ ოპერაციების ნაკადებთან მიმართებით)?
	საჭიროა არაპროგნოზირებადობის ელემენტის გათვალისწინება (თაღლითობის რისკებზე რეაგირებისთვის ა.შ.)?
	არსებობს „მნიშვნელოვანი რისკები“ (ე.ი. თაღლითობა, დაკავშირებული მხარეები, ა.შ.), რომლებიც სპეციალურ განხილვას საჭიროებს?

**მე-3 საფეხური – საჭირო აუდიტორული პროცედურების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრა**  
მესამე საფეხურზე პროფესიული მსჯელობის გამოყენება მიზანშეწონილი პროცედურების სათანა-  
დო ერთობლიობისა და ტესტირებების მოცულობის შესარჩევად, რაც აუცილებელი იქნება მტკიცე-  
ბის დონეზე შეფასებულ რისკებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.

ქვემოთ აღწერილია ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა, რომელიც გამოიყენება პროცედურების შესაფე-  
რისი ერთობლიობის დასადგენად, როდესაც მოთხოვნების თანხების არსებობის მტკიცებასთან და-  
კავშირებული რისკების შეფასება არის დაბალი, საშუალო ან მაღალი.

### მოთხოვნები – შეფასებული რისკის დონე „დაბალი“

სამუშაო არსებითობა = 12,000 ევრო

#### დაგეგმილი საპასუხო პროცედურები

შეფასებული რისკი არსე- ბობის მტკიცებისთვის	დაბალი	კომენტარები
ძირითადი პროცედურები – საბაზისო	✓	ეს პროცედურები, თავისთავად, ადეკვატურად მიიჩნევა შეფასებულ რისკზე რეაგირებისთვის. ისინი მოიცავს ოპერაციებისა და ნაშთების ელემენტების ტიპურ ტეს- ტებსა და მარტივ ანალიზურ პროცედურებს, რომლებიც ფაქტობრივად ტარდება მოთხოვნების ანგრიშების ნების- მიერ აუდიტში. აღნიშნული პროცედურები ხშირად შეტანილია მოთხოვნების ანგარიშების აუდიტის სტან- დარტულ პროგრამაში.

### მოთხოვნები – შეფასებული რისკის დონე „საშუალო“

სამუშაო არსებითობა = 10,000 ევრო

#### დაგეგმილი საპასუხო პროცედურები

შეფასებული რისკი არსებობის მტკიცებისთვის	საშუალო	კომენტარები
ძირითადი პროცედურები - საბაზისო	✓	ეს პროცედურები შესრულდება იმისათვის, რომ ზოგად- ად მოახდინოს რეაგირება არსებობის რისკზე.
ძირითადი პროცედურები - გაფართოებული	✓	<p>ეს პროცედურები განკუთვნილია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოთხოვნების არსებობასთან დაკავშირებულ, გამოვ- ლენილ კონკრეტულ რისკებზე რეაგირებისთვის (როგორიცაა თაღლითობის რისკი); და</li> <li>• ელემენტების საქმარისი ტესტების ჩასატარებლად შეფასებული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესა- მცირებლად.</li> </ul>

თუ სამუშაო სუბიექტს შიდა კონტროლის ისეთი პროცედურები გააჩნია (მაგ., რეალიზაციის ოპერა-  
ციებზე), რომლებიც მოთხოვნების არსებობაზე რეაგირებს, გაფართოებული პროცედურის შესრულების ალტერნატივა იქნება ასეთი კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი ეფექტურობის ტესტირება.

**მოთხოვნები – შეფასებული რისკის დონე „მაღალი“**

სამუშაო არსებითობა = 10,000 ევრო

**დაგეგმილი საპასუხო პროცედურები**

შეფასებული რისკი არსებობის მტკიცებისთვის	მაღალი	კომენტარები
ძირითადი პროცედურები - საბაზისო	✓	ეს პროცედურები შესრულდება იმისათვის, რომ ზოგადად მოახდინოს რეაგირება არსებობის რისკზე.
ძირითადი პროცედურები - გაფართოებული	✓	<p>ეს პროცედურები განკუთვნილია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოთხოვნების არსებობასთან დაკავშირებულ, გამოვლენილ კონკრეტულ რისკებზე რეაგირებისთვის (როგორიცაა თაღლითობის რისკი); და</li> <li>ელემენტების საემარისი ტესტების ჩასატარებლად შეფასებული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად.</li> </ul>
კონტროლის ტესტები (ფაქტობრივი ეფექტურობა)	✓	იმისათვის, რომ შევამციროთ ელემენტების ტესტებისთვის საჭირო შერჩევითი ერთობლიობის ის მოცულობა, რომელიც რისკს შეამცირებდა დაბალ დონემდე, უნდა ჩატარდეს არსებობის მტკიცებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის პროცედურების ტესტირება, რათა რისკი შემცირდეს საშუალო დონემდე. აღნიშნული კონტროლის ტესტები, ზემოთ აღწერილ ელემენტების ტესტებთან ერთად, შეფასებულ რისკს შეამცირებს მისაღებ დაბალ დონემდე.

ზემოთ განხილულ მაგალითში საჭირო მტკიცებულების უმრავლესობის მოპოვება შეიძლება ასევე შესაძლებელი იყოს კონტროლის ტესტის შესრულებით, რომელიც რისკს შეამცირებს მისაღებ დაბალ დონემდე. კონტროლის ტესტების ჩატარების შემდეგ შეიძლება საჭირო აღარ იყოს გარკვეული გაფართოებული ძირითადი პროცედურების ჩატარება.

როდესაც აუდიტორი მუშაობს კონკრეტული ანგარიშის ნაშთების ან ოპერაციებისთვის აუდიტის სტრატეგიის განსაზღვრაზე, მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მოცემული ოპერაციების ნაკადის სხვა ნაწილებზე შესრულებული სამუშაო.

მეორე მაგალითის სახით განვიხილოთ იმ სამეურნეო სუბიექტის რეალიზაციის ოპერაციების სისრულე, რომელიც ფლობს საცხოვრებელ კორპუსს და აქირავებს ბინებს.

**მოთხოვნები – შეფასებული რისკის დონე „საშუალო“**

სამუშაო არსებითობა = 6,000 ევრო

**დაგეგმილი საპასუხო პროცედურები**

შეფასებული რისკი არსებობის მტკიცებისთვის	საშუალო	კომენტარები
ძირითადი პროცედურები - საბაზისო	-	ქვემოთ აღწერილი ანალიზური ძირითადი პროცედურების გათვალისწინებით, ამ პროცედურების ჩატარება შეიძლება საერთოდ არ გახდეს საჭირო, ან შეიძლება შეზღუდულად გამოიყენოს აუდიტორმა გამოყენებული დაშვებების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად.
ანალიზური ძირითადი პროცედურები	✓	გასაქირავებელი ბინების ცნობილი რაოდენობა არის 64 და ქირა შეადგენს 1,000 ევროს თვეში 46 ორსამინებლი-ანი ბინისთვის და 800 ევროს – 18 ერთსამინებლიანი ბინისთვის.

	<ul style="list-style-type: none"> <li>საპროგნოზო საიჯარო ქირის შემოსავალი იქნება 724,800 ევრო.</li> <li>ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული ფაქტობრივი შემოსავალი იყო 718,800 ევრო, სხვაობა შეადგენს 6,000 ევროს.</li> </ul> <p>დამტკიცდა, რომ ეს განსხვავება სწორი იყო, რადგან 6 ორსაბინებლიანი ბინა წლის განმავლობაში ერთი თვით არ იყო გაქირავებული.</p>
--	---

## მიზანების რჩევები

სადაც შესაძლებელია, თავი აარიდეთ ტიპური ან სტანდარტული აუდიტორული პროცედურების გამოყენებას

ყველაზე ეფექტური აუდიტორული პროცედურა არის ის, რომელიც კონკრეტულად ავლენს შეფასებული რისკების მიზეზებს.

### ბევრი მტკიცება

სადაც შესაძლებელია, აირჩიეთ ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომლებიც რამდენიმე მტკიცების აუდიტის შესაფერისა. ამით შემცირდება ელემენტების ტექსტების გამოყენების საჭიროება.

### დაბალრისკიანი სფეროები

გამოიყენეთ არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებით მიღებული ინფორმაცია, რათა შეამციროთ ძირითადი პროცედურების გამოყენების საჭიროება დაბალრისკიან სფეროებში.

### გათვალისწინეთ კონტროლის ტესტების გამოყენება

გამოიყენეთ შიდა კონტროლის შესწავლით მიღებული ინფორმაცია, რათა გამოავლინოთ ძირითადი კონტროლის საშუალებები, რომლის ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტების ჩატარება შესაძლებელი იქნება. კონტროლის (საშუალებების) ტესტების (რომელთაგან ზოგიერთის ტესტირება შეიძლება მხოლოდ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იყოს საჭირო) ჩატარებას ხშირად გაცილებით ნაკლები სამუშაო სჭირდება, ვიდრე (ოპერაციებისა და ანგარიშების ნაშთების) ელემენტების გაფართოებული ტესტების შესრულებას.

### არ უგულებელყოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლის საშუალებები

ავტომატიზებული კონტროლის საშუალებების ტესტირებისთვის შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ ერთი ერთეულისგან შემდგარი შერჩევითი ერთობლიობის ტესტირება, რადგან, სავარაუდოდ, ავტომატიზებული კონტროლის საშუალებები ერთნაირად იმოქმედებს ნებისმიერ დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შერჩევითი ერთობლიობა გენერალური ერთობლიობის ყველა სხვა ელემენტის რეპრეზენტაციული იქნება. თუმცა, ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ეყრდნობა იმის ვარაუდს, რომ სამეურნეო სუბიექტს გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური საერთო კონტროლის საშუალებები.

### ორმაგი მიზნის ტესტები

როდესაც კონტროლის ტესტები დაგეგმილია იმავე კატეგორიის ოპერაციებზე, რომელთათვისაც ძირითადი ტესტებიც არის დაგეგმილი, გათვალისწინეთ ორმაგი მიზნის ტესტების გამოყენების შესაძლებლობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კონტროლის ტესტები ტარდება ელემენტების ტესტთან ერთად, ერთსა და იმავე ოპერაციაზე. მართალია, კონტროლის ტესტების მიზნი განსხვავდება ელემენტების ტესტების მიზნისგან, მაგრამ ორივე მიზნის მიღწევა ერთდროულად არის შესაძლებელი. მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურა შეიძლება შემოწმდეს იმის დასადგენად, დამტკიცებული იყო თუ არა (კონტროლის ტესტი) და სათანადოდ აისახა თუ არა საბუღალტრო ჩანაწერებში. (ელემენტების ტესტი)

### გათვალისწინეთ ოპერაციების ნაკადის ყველა ნაწილზე ჩატარებული სამუშაო

ისარგებლეთ ოპერაციების ნაკადის სხვა ნაწილებზე შესრულებული სამუშაოს შედეგებით. მაგალითად, რეალიზაციის სისრულეზე ჩატარებული კონტროლის ტესტები მტკიცებულებას უზრუნველყოფს მოთხოვნების სისრულის მტკიცებაზე.

## მითითებები რჩევები (გავრძელება)

დაგეგმვის სტადიაზე მიღეთ გადაწყვეტილება აუდიტის სტრატეგიისა და პროცედურების შესახებ როდესაც შესაძლებელია, ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების ხასიათი და მოცულობა განსაზღვრული აუდიტის დაგეგმვის სტადიაზე, მიღეთ როდესაც მთელ ჯგუფს შეუძლია შეთანხმება აუდიტში გამოსაყენებელ მიღვომაზე. შედეგად, უმცროს პერსონალს თვითონ აღარ მოუწევს აუდიტორული პროცედურების შემუშავება, ან პირდაპირ წინა წლის პროცედურების გადმოღება და ჩატარება.

### ა) დაგვიწყდეთ ანალიზური პროცედურების გამოყენება

ანალიზური პროცედურები აუდიტის ყველა ეტაპზე გამოიყენება.

- აუდიტის დასაწყისში ანალიზური პროცედურები გამოიყენება, როგორც რისკის შესაფასებელი პროცედურა.
- აუდიტის მსვლელობისას ანალიზური პროცედურები ტარდება მონაცემებში გამოვლენილი განსხვავებების გასაანალიზებლად და ოპერაციების გარკვეული ნაკადებისა და ანგარიშების ნაშთების დასასაბუთებლად.
- აუდიტის ბოლო ეტაპზე, აუდიტის დასრულებისას ანალიზური პროცედურები ტარდება იმის დასადგენად, შესაბამება თუ არა მთლიანობაში ფინანსური ანგარიშებება აუდიტორის მიერ სამეურნეო სუბიექტის შესახებ შექმნილ წარმოდგენას, ან თაღლითობით გამოწვეული ისეთი არსებითი უზუსტობის რისკის გამოსავლენად, რაც ადრე მხედველობიდან გამოგრჩათ.

## 16.8 თაღლითობის რისკზე რეაგირება

თაღლითობის რისკი (მათ შორის, ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების შესაძლებლობა) შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ სამეურნეო სუბიექტში და ამიტომ უნდა გაითვალისწინოთ აუდიტის გეგმის შემუშავების დროს. პირველ რიგში, უნდა შეაფასოთ თაღლითობის პოტენციური რისკი და შემდეგ შეიმუშაოთ შესაფერისი საპასუხო საერთო ხასიათის ღონისძიებები და კონკრეტული აუდიტორული პროცედურები.

**შენიშვნა:** აუდიტორს მოეთხოვება, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკები მიიჩნიოს მნიშვნელოვან რისკებად. მნიშვნელოვან რისკთან დაკავშირებით კი აუდიტორს ევალება:

- ნათელი წარმოდგენა შეიქმნას აუდიტისთვის შესაფერისი, სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებების შესახებ, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან; და
- ჩატაროს ძირითადი პროცედურები, რომლებიც კონკრეტულად ამ რისკზე რეაგირებას მიესადაგება.

როდესაც მნიშვნელოვანი რისკის მიმართ დაგეგმილი მიღვომა მხოლოდ ძირითადი პროცედურებისგან შედგება, ეს პროცედურები უნდა მოიცავდეს ელემენტების ტესტებსაც.

თაღლითობის პოტენციური რისკის შეფასებისა და თაღლითობაზე რეაგირებისთვის შესაფერისი პროცედურების განსაზღვრისას აუდიტორი ითვალისწინებს:

- საერთო ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია ფინანსური ანგარიშების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის;
- მტკიცების დონეზე შეფასებულ სხვა რისკებთან დაკავშირებით უკვე შემუშავებულ (დაგეგმილ) კონკრეტულ პროცედურებს;
- თაღლითობის სცენარებს, რომლებიც შემუშავდა (თუ შემუშავებული იყო) დაგეგმვის ეტაპზე ჯგუფში ჩატარებული განხილვების დროს;
- თაღლითობის რისკებს (ხელსაყრელი შესაძლებლობა, მოტივაცია (ზეწოლა) და რაციონალური ახსნა), რომლებიც რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარების შედეგად გამოვლინდა;

- ფინანსური ანგარიშების გარკვეული ნაშთებისა და ოპერაციების მგრძნობელობას თაღლი-თობის მიმართ;
- წარსულში ან მიმდინარე პერიოდში ჩადენილ ცნობილ თაღლითობის შემთხვევებს;
- ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების იგნორირების რისკს.

შემდეგ ცხრილში განხილულია რამდენიმე შესაძლო პროცედურა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ზემოაღნიშნულ რისკებზე რეაგირებისთვის.

#### ცხრილი 16.8-1

თაღლითობასთან დაკავშირებული საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებები	
<b>ყოვლისმომცველი რისკები ფინანსური ანგარიშების დონეზე</b>	<p>გაითვალისწინეთ საჭიროება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>გაძლიერებული პროფესიული სკეპტიციზმის – გარკვეული დოკუმენტაციის შემოწმებისას, ან ხელმძღვანელობის მიერ ოფიციალურ წერილში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) შემოწმებისას;</li> <li>სპეციალური უნარებით/ცოდნით აღჭურვილი პერსონალის, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები;</li> <li>სპეციული აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის – თაღლითობის არსებობის გამოსავლენად; და</li> <li>არაპროგნოზირებადობის ელემენტის – ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების შერჩევაში. გაითვალისწინეთ გარკვეული აუდიტორული პროცედურების ჩატარების გადების შეცვლა, აუდიტორული შერჩევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, ან პროცედურების ჩატარება მოულოდნელად.</li> </ul>

პოტენციურ თაღლითობის რისკებთან დაკავშირებული კონკრეტული საპასუხო ქმედებები	
<b>სპეციული რისკები მტკიცების დონეზე</b>	<p>გაითვალისწინეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის შეცვლა რისკზე რეაგირებისთვის. ასე, მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>მოიპოვეთ უფრო საიმედო და რელევანტური აუდიტორული მტკიცებულებები, ან დამატებითი დამადასტურებელი ინფორმაცია ხელმძღვანელობის მტკიცებების განსამტკიცებლად;</li> <li>გარკვეულ აქტივებზე ფიზიკური დაკვირვების ან დათვალიერების განხორციელება;</li> <li>მარაგის ინვენტარიზაციაზე (დათვლაზე) დაკვირვება მოულოდნელად; და</li> <li>მარაგის ჩანაწერების დამატებით შემოწმება, უზენალო მუხლების, მოულოდნელი რაოდენობებისა და სხვა ისეთი მუხლების გამოსავლენად, რომლებიც დამატებით გამოკვლევას საჭიროებს.</li> </ul> </li> <li>შეასრულეთ დამატებითი სამუშაო ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების, მათ გამოსათვლელად გამოყენებული მსჯელობისა და დაშვებების გონივრულობის შესაფასებლად;</li> <li>გაზარდეთ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა, ან ანალიზური პროცედურები ჩატარება უფრო დეტალურ დონეზე;</li> <li>გამოიყენეთ კომპიუტერული აუდიტის ტექნიკა, მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>უფრო მეტი მტკიცებულება შეაგროვეთ მნიშვნელოვან ანგარიშებში ან ელექტრონული ოპერაციების ფაილებში არსებული მონაცემების შეახებ;</li> <li>ჩატარეთ უფრო ფართო ტესტირება ელექტრონულ ოპერაციებსა და ანგარიშების ფაილებზე;</li> </ul> </li> </ul>

პოტენციურ თაღლითობის რისკებთან დაკავშირებული კონკრეტული საპასუხო ქმედებები (გარშემო)	
	<ul style="list-style-type: none"> <li>– ოპერაციების შერჩევითი ერთობლიობა შეარჩიეთ მთავარი ელექტრონული ფაილებიდან;</li> <li>– დაახარისხეთ ოპერაციები სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით; და</li> <li>– ტესტირება ჩატარეთ გენერალურ ერთობლიობაზე, შერჩევითი ერთობლიობის ნაცვლად;</li> <li>• მოითხოვთ დამატებითი ინფორმაცია გარეშე მხარეებისგან დასტურის მისაღებად, მაგალითად, მოთხოვნების ანგარიშების დადასტურებისას აუდიტორს შეუძლია დასტური მოითხოვოს რეალიზაციის ხელშეკრულების დეტალების, მათ შორის, ხელშეკრულების თარიღი, საქონლის დაბრუნების უფლებები და მიწოდების პირობები. თუმცა, გათვალისწინეთ, რომ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნამ შეიძლება საპასუხო აუდიტორული ქმედებების განხორციელების დრო მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს;</li> <li>• ძირითადი პროცედურების ჩატარების ვადები შეცვალეთ და შუალედური თარიღიდან საანგარიშებო თარიღის მახლობლად გადმოიტანეთ. ამასთან, თუ არსებობს განზრახი უზუსტობის ან მანიპულაციის რისკი, ეფექტური არ იქნება შუალედურ პერიოდში ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოტანილი დასკვნების გავრცელება საანგარიშებო თარიღზე.</li> </ul>

სელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირებასთან დაკავშირებული რისკი	
რისკის წყარო	გათვალისწინეთ:
საბუღალტრო გატარებები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტესტირების ჩასატარებლად საბუღალტრო გატარებები და კორექტირებები დაადგინეთ და შეარჩიეთ სამეურნეო სუბიექტის მიერ ფინანსური ანგარიშების მომზადებისთვის გამოყენებული პროცესისა და შიდა კონტროლის სტრუქტურის/ფაქტობრივი მუშაობის შესწავლით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.</li> <li>• გაითვალისწინეთ: <ul style="list-style-type: none"> <li>– თაღლითური (მაქინაციური) საბუღალტრო გატარებების, ან კორექტირებების მახასიათებლები;</li> <li>– კონკრეტული კატეგორიის საბუღალტრო გატარებებთან და კორექტირებებთან დაკავშირებული თაღლითობის რისკის ფაქტორების არსებობა; და</li> <li>– ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესში ჩართული პირების გამოკითხვა არასათანადო, ან უჩვეულო ქმედებების თაობაზე.</li> </ul> </li> </ul>
სელმძღვანელობის სააღრიცხვო შეფასებები	<p>განიხილეთ სპეციფიკურ ოპერაციებსა და ნაშთებთან დაკავშირებული სააღრიცხვო შეფასებები, რათა დაადგინოთ ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოებულობა. დამატებითი პროცედურები შეიძლება მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადად ყველა სააღრიცხვო შეფასების ხელახლა გადახედვას;</li> <li>• ხელმძღვანელობის მსჯელობის, მიღებული გადაწყვეტილებისა და გამოყენებული დაშვებების რესტროსპექტულ მიმოხილვას, რომელიც წინა პერიოდში გამოთვლილ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს უკავშირდება; და</li> <li>• იმის დადგენას, ხელმძღვანელობის სააღრიცხვო შეფასებების მიკერძოებულობის კუმულაციური შედეგი წარმოქმნის თუ არა ფინანსური ანგარიშების არსებით უზუსტობას.</li> </ul>

ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირებასთან დაკავშირებული რისკები (გავრძელება)	
<b>მნიშვნელოვანი ოპერაციები</b>	<p>გაარკვიეთ ყველა ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციის კომერციული მიზეზები, რომლებიც უჩვეულო ჩანს, ან სამეურნეო სუბიექტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს სცილდება. კერძოდ, უნდა შეაფასოთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობა უფრო მეტ ყურადღებას ხომ არ აქცევს რომელიმე კონკრეტული სააღრიცხვო მიღვომის გამოყენების საჭიროებას, ვიდრე ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსს;</li> <li>• მეტისმეტად როგორი ხომ არ ჩანს ამგვარი ოპერაციების ფორმა და მასთან დაკავშირებული შეთანხმებები;</li> <li>• ხელმძღვანელობამ იმსჯელა თუ არა ასეთი ოპერაციების ზასიათისა და მათი სააღრიცხვო მიღვომის შესახებ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან;</li> <li>• ხომ არ მონაწილეობენ ამ ოპერაციებში აქამდე დაუდგენელი დაკავშირებული მხარეები, ან ისეთი მხარეები, რომლებსაც არ გააჩნიათ ისეთი შესაძლებლობა, ან ფინანსური სიძლიერე, რომ განახორციელონ ეს ოპერაცია აუდიტს დაქვემდებარებული სამეურნეო სუბიექტის დახმარების გარეშე;</li> <li>• სათანადოდ განიხილეს და დაამტკიცეს თუ არა სამეურნეო სუბიექტის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა ოპერაციები, რომლებშიც მონაწილეობენ არაკონსოლიდირებული დაკავშირებული მხარეები, მათ შორის სპეციალური დანიშნულების სამეურნეო სუბიექტები;</li> <li>• არსებობს თუ არა ადეკვატური დოკუმენტაცია.</li> </ul>
<b>დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები</b>	<p>ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან საქმიანი ურთიერთობების შესახებ, რომლებიც შეიძლება მათ დაემყარებინათ პირდაპირ ან არაპირდაპირ სამეურნეო სუბიექტთან, მოიპოვეთ შემდეგი გზით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილების აღჭურვილ პირთა გამოკითხვა და მათთან ერთად საკითხის განხილვა;</li> <li>• დაკავშირებულ მხარეთა გამოკითხვები;</li> <li>• დაკავშირებულ მხარესთან დადგებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დათვალიერება; და</li> <li>• ინფორმაციის მოძიება წარსულის შესახებ, მაგალითად, ინტერნეტის ან კომერციული ინფორმაციის სპეციალურ მონაცემთა ბაზების მეშვეობით. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით:</li> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოვლინეთ და შეაფასეთ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკები;</li> <li>• დაკავშირებულ მხარესთან შესრულებული, თქვენ მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომლებიც სცილდება სამეურნეო სუბიექტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს, მიიჩნიეთ, რომ წარმოქმნის მნიშვნელოვან რისკებს; და</li> <li>• განსაზღვრეთ, რომელი ძირითადი აუდიტორული პროცედურების ჩატარებაა საჭირო კონკრეტულად გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის.</li> </ul> </ul>
<b>ამონაგების აღიარება</b>	<p>ჩატარეთ ანალიზური ძირითადი პროცედურები. გათვალისწინეთ კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენება, რათა გამოვლინოთ უჩვეულო ან მოულოდნელი შემოსავლები (და შესაბამისი ურთიერთობები), ან ოპერაციები.</p> <p>მომხმარებლებისგან მოიპოვეთ დასტური შესაფერისი ხელშეკრულების პირობებისა (კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც კომპანია არჩევს და ამტკიცებს მომხმარებლებს, მიწოდებისა და გადახდის პირობები) და სხვა „მეორადი“, არაძირითადი ხელშეკრულებების (როგორიცაა მომხმარებლისთვის საქონლის უკან დაბრუნების უფლების მიცემა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისთვავე) პირობების.</p>

## 16.9 უზუსტობის რისკი წარდგენასა და განმარტებაში

ზოგიერთი შეფასებული რისკი შეიძლება გამომდინარეობდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციისთვის ფასე-ებით დადგენილი მოთხოვნებიდან. შედეგად, შეიძლება საჭირო გახდეს სპეციფიკური პროცედურების შემუშავება ამ რისკებზე სათანადოდ რეაგირებისთვის.

აუდიტორულმა პროცედურებმა უნდა გამოავლინოს:

- არის თუ არ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება იმგვარად წარმოდგენილი, რომ ასახავდეს ფინანსური ინფორმაციის შესაფერის კლასიფიკაციასა და აღწერილობას;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ადეკვატურად არის თუ არა გაშუქებული არსებითი საკითხები და განუსაზღვრელობები. ეს გულისხმობს ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე დართული განმარტებითი შენიშვნების (მათ შორის, გამოყენებულ ტერმინოლოგიას) ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, მოცემული დეტალური ინფორმაციის რაოდენობას, ანგარიშგებაში ასახული მუხლების კლასიფიკაციასა და თანხების განსაზღვრისთვის გამოყენებულ საფუძვლებს (მეთოდებს); და
- გაამჟღავნა თუ არა ხელმძღვანელობამ გარკვეული საკითხები იმ გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც აუდიტორისთვის ცნობილი გახდა აუდიტის დასკვნაზე ხელის მოწერის მომენტში.

## 16.10 იმის დადგენა, არის თუ არა აუდიტის გეგმა სრულყოფილი

სანამ აუდიტორი გადაწყვეტილებას მიიღებს, რომ აუდიტი დასრულდა, მან უნდა განიხილოს, სათანადო დონეზე იყო თუ არა გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორები:

ცხრილი 16.10.-1

პროცედურის ტიპი	აღწერა
გეგმაში აისხა ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი სფერო?	ძირითადი პროცედურების დაგევმვა და ჩატარება საგალდებულოა ყველა არსებითი კატეგორიის ოპერაციებთან, ანგარიშების ნაშთებსა და განმარტებით შენიშვნებთან მიმართებით, იმის მიუხედავად, როგორი იქნება არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებები.
საჭიროა გარე დადასტურების პროცედურები?	განიხილეთ, საჭიროა თუ არა გარე დადასტურების პროცედურების, როგორც ძირითადი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>• ბანკის ნაშთებზე;</li> <li>• მოთხოვნებზე;</li> <li>• მესამე მხარესთან მყოფ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა (მარაგსა) და ინვესტიციებზე;</li> <li>• ვალებზე;</li> <li>• შეთანხმებების პირობებზე;</li> <li>• ხელშეკრულებებზე; და</li> <li>• სამეურნეო სუბიექტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის შესრულებულ ოპერაციებზე.</li> </ul> გარე დადასტურების პროცედურის გამოყენება ასევე შესაძლებელია გარკვეული პირობების არარსებობის დასადასტურებლადაც. მაგალითად, დასტურის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ არ არსებობს რაიმე „მეორადი შეთანხმება რეალიზაციაზე“, რომელიც გავლენას იქონიებდა ამონაგების აღიარების დროში გამიჯვნაზე.

პროცედურის ტიპი	აღწერა
შესაძლებელია წინა პერიოდებში მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება?	თუ მტკიცებულება არ ეხება მნიშვნელოვან რისკს და ამასთან დაკავილებულია სხვა კრიტერიუმებიც (მაგალითად, არ შეცვლილა კონტროლის საშუალებები და შიდა კონტროლის სისტემაში არ გამოიყენება მნიშვნელოვანი მანუალური ელექტრობები), შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტუანობის ტესტების ჩატარება შეიძლება საჭირო იყოს მხოლოდ ყოველ სამ აუდიტში ერთხელ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. 1-ლი ტომის 10.5 თავი).
საჭიროა აუდიტორის ექსპერტის მოშახურება?	არსებობს ისეთი სფერო, რომლის შესახებაც საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარდა სხვა ტიპის სპეციალური ცოდნა?
გათვალისწინებული იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადების დასრულების პროცესი?	შემდეგი ძირითადი პროცედურების ჩატარება სავალდებულოა ფინანსური ანგარიშგების დასრულების პროცესთან მიმართებაში: <ul style="list-style-type: none"><li>ფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანა ან შეჯერება; და</li><li>არსებითი საბუღალტრო გატარებებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გაკეთებული კორექტირებების შემოწმება.</li></ul>
მოხდა რეაგირება მნიშვნელოვან რისკებზე?	თითოეულ მნიშვნელოვანად მიჩნეულ შეფასებულ რისკთან მიმართებით აუდიტორი ვალდებულია, დაგემოს და ჩატაროს ძირითადი პროცედურები (შესაძლოა დამატებით კონტროლის ტესტების ჩატარებაც). არ შეიძლება მხოლოდ ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარებით დაკმაყოფილება – მათ უნდა დაემატოს ელემენტების ტესტებიც. როდესაც აუდიტორი გეგმავს მნიშვნელოვან რისკთან დაკავშირებულ კონტროლის პროცედურების ნდობას, მას ამგვარ კონტროლის საშუალებებზე ტესტების ჩატარება ევალება მიმდინარე პერიოდში.
განახლდა შუალედურ პერიოდში ჩატარებული ტესტირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულები?	განახლეთ (შეავსეთ) შუალედური პერიოდის ძირითადი პროცედურები დარჩენილი პერიოდის დაფარვის გზით. ამისათვის საჭიროა: <ul style="list-style-type: none"><li>ძირითადი პროცედურებისა და კონტროლის ტესტების კომბინირებულად ჩატარება შუალედურ თარიღსა და საანგარიშებო თარიღს შორის პერიოდზე; ან</li><li>ისეთი დამატებითი ძირითადი პროცედურების ჩატარება, რომელიც აუდიტორს შეუძინს დასაბუთებულ საფუძველს იმისთვის, რომ შუალედური თარიღისთვის გამოტანილი დასკვნები გაავრცელოს საანგარიშებო თარიღზე.</li></ul>
გათვალისწინებული იქნა პოტენციური თაღლითობის რისკი?	მაგალითად, აუდიტორული პროცედურების დაგემოვისას გამლიერებული პროფესიული სკეპტიციზმის აუცილებლობისა და არაპროგნოზირებადობის ელემენტის და ა.შ. გათვალისწინება. (იხ. მე-2 ტომის თავი 16.8.)

## 16.11 საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებებისა და აუდიტის დეტალური გეგმის დოკუმენტირება

საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებების დოკუმენტირება შესაძლებელია ცალკე დოკუმენტში, ან უფრო გავრცელებული მიღვომაა – აუდიტის საერთო სტრატეგიაში.

დეტალური გეგმა ხშირად წარმოდგენილია აუდიტის პროგრამის სახით, რომელიც მოიცავს პროცედურების ხასიათისა და მოცულობის და ასევე იმ მტკიცებების აღწერას, რომლის აუდიტიც ჩატარდება. პროგრამაში გამოიყოფა ადგილი, სადაც ჩაიწერება, ვინ და როდის შეასრულა თითოეული პროცედურა (ან მისი ნაწილი) და ასევე ტესტირების შედეგები.

## მნიშვნელოვანი რჩევები

### კადები

გაითვალისწინეთ ზოგიერთი დაგევმილი დამატებითი პროცედურისა და რისკის შესაფასებელი პროცედურების პარალელურად ჩატარების შესაძლებლობა.

### გეგმის შეცვლა

თუ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების ან სხვა მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით დაგევმილი პროცედურები შეცვლას საჭიროებს, განაახლეთ საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა და სამუშაო დოკუმენტში მიუთითეთ ცვლილების მიზეზები.

### მიმოხილვა

სანამ აუდიტს დასრულებულად მიიჩნევთ, დარწმუნდით, რომ აუდიტორული პროცედურები და შესაბამისი სამუშაო დოკუმენტები ხელმოწერილი და დათარიღებულია იმ პირთა მიერ, ვინც სამუშაო დოკუმენტი მომზადა და მიმოიხილა.

## 16.12 აუდიტის გეგმის გაცნობა ხელმძღვანელობისთვის

აუდიტის საერთო სტრატეგიისა და საერთო ხასიათის საპასუხო ქმედებების განსაზღვრა და აუდიტის გეგმის შედგენა მოლანად აუდიტორის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, ხშირად სასარგებლოა აუდიტის დეტალური გეგმის ელემენტების (მაგალითად, ვადების) განხილვა ხელმძღვანელობასთან. ასეთი განხილვა ხშირად გეგმის მცირეოდენ ცვლილებებს იწვევს, გარკვეული პროცედურების ვადების კოორდინირებისა და ჩატარების ხელშეწყობის მიზნით.

არ შეიძლება დაგევმილი პროცედურების ზუსტი ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დეტალურად განხილვა ხელმძღვანელობასთან ერთად, არც ცვლილებების შეტანა, ან პროცედურების (სამუშაოს) შეკვეცა ხელმძღვანელობის მოთხოვნით. ამგვარმა თხოვნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას აუდიტის ეფექტიანობას, აუდიტორული პროცედურები უფრო ადვილად პროგნოზირებადი გახადოს ან გამოიწვიოს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა.

ას 260-ში განსაზღვრულია რამდენიმე საკითხი, რომლებიც აუდიტორმა უნდა განიხილოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან (ასეთი საკითხების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის 5.3 თავი). ეს მოთხოვნები იმისთვისაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოს ეფექტური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორს და ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის.

## მნიშვნელოვანი რჩევები

აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მუდმივად ჰქონდეს (ანუ, განაახლოს) პერიოდული და რეგულარული კომუნიკაციის შესაძლებლობა ხელმძღვანელობასთან, რათა ინფორმაცია მიაწოდოს მათ წინასწარი შედეგების შესახებ, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, ითხოვოს დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, და/ან განიხილოს სხვა საკითხები.

ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აუდიტის გეგმაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებაც უნდა ეცნობოს.

## 16.13 სასწავლო მაგალითები – საპასუხო ქმედებების აუდიტის გეგმა

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

ქვემოთ განხილული სასწავლო მაგალითები მოიცავს იმ განხილვებსა და შესაძლო აუდიტორულ პროცედურებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მოთხოვნების ანგარიშების დეტალური აუდიტის გეგმის შემუშავებისას. ვინაიდან აუდიტის გეგმის მიზანია არსებითი უზუსტობის რისკის მისაღებ დაბალ დონეზე შემცირება, მნიშვნელოვანია, გადავხედოთ რისკის შეფასების ეტაპზე გამოვლენილ რისკებს ამონაგების/მოთხოვნების/ფულადი სახსრების მიღების ციკლისთვის.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

რისკის შეფასებასთან დაკავშირებით მე-2 ტომის 14.6 თავში განხილული სასწავლო მაგალითის მიხედვით, რომელიც ეხებოდა რისკის შეფასების ეტაპის დასრულებას, შეფასებული რისკები იყო:

შეფასებული რისკები ფ/ა-ის დონეზე (მაღალი, საშუალო ან დაბალი)	დაბალი
მტკიცებები (სისრულე, არსებობა, სისტორე და შეფასება)	ს ა ღ ჟ
შეფასებული რისკები მტკიცების დონეზე (მაღალი, საშუალო ან დაბალი)	დ ს ღ ს
ცვლილებები შეფასებულ რისკებში წინა პერიოდის შემდეგ. არავითარი.	

მოთხოვნების ანგარიშების აუდიტის გეგმის შემუშავებაში გასათვალისწინებული კითხვები:

დაგეგმვისას გასათვალისწინებული მოსაზრებები		საპასუხო ქმედებები
1. არსებობს ისეთი მტკიცებები, რომელთა აუდიტის ჩასატარებლად მხოლოდ ძირითადი პროცედურები არ იქნება საჭარისი?	რეალიზაციის სისრულის მტკიცებასთან მიმართებით ერთობლივად ჩავატარებთ კონტროლის ტესტებსა და ანალიზურ პროცედურებს. შენიშვნა მომდევნო წლისთვის: თუ ინტერნეტით რეალიზაცია ისევ ზრდას განავრციბს, შესაძლოა საჭირო განვითაროს დამატებითი კონტროლის ტესტების ჩატარება, ვინაიდან დაიკარგება დოკუმენტური (ქაღალდის მტკიცების) კვალი.	
2. სანდოა შესაბამისი ოპერაციების ნაკადთან/პროცესებთან დაკავშირებული შიდა კონტროლი? თუ ასეა, შესაძლებელია ამ კონტროლის საშუალებების ტესტირება სხვა ძირითადი პროცედურების საჭიროების/მოცულობის შესამცირებლად?	კონტროლის ტესტების გამოყენება შესაძლებელია მოთხოვნების ანგარიშებში სხვა ძირითადი პროცედურებთ (დადასტურება) შესაძლებელი რისკის დონის შესამცირებლად. მაგრამ ბოლომდე არ ვართ დარწმუნებულინი, რომ კონტროლი საიმედოდ მუშაობს. ამიტომ მხოლოდ ძირითად პროცედურებს ჩავატარებთ.	
3. შესაძლებელია ისეთი ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარება, რაც სხვა ძირითადი პროცედურების საჭიროებას/მოცულობას შეამცირებს?	არა.	
4. საჭიროა არაპროგნოზირებადობის ელემენტის ან დამატებითი აუდიტორული პროცედურების (მაგალითად, თაღლითობასთან, რისკთან ა.შ. მიმართებით) გათვალისწინება?	ზოგიერთი გაფართოებული აუდიტორული პროცედურა ჩატარდება ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის ივნირირების რისკებზე რეაგირებისთვის.	
5. არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს?	ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, არსებობს რამდენიმე შესაძლო თაღლითობის რისკი (ი.შ. მე-2 ტომის მე-9 თავი), რაზედაც რეაგირება ძირითადი „გაფართოებული“ პროცედურებით მოხდება. მოთხოვნების ანგარიშების შეფასება კიდევ ერთ სტუკურ რისკს წარმოქმნის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ჩავატარებთ დამატებით ანალიზსა და სანგარიშებო თარიღის შემდგომ პერიოდში გადახდილი დავალიანების თანხების მიმოხილვას. აუდიტის მსგლელობისას ყურადღება გვმართებს ადრე დაუდგენელ დაკავშირებულ მხარეთა ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც სცილდება სამურნეო სუბიექტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს.	

**აუდიტის სერთაშორისო სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

აუდიტორის პროფესიული მსჯელობის საფუძველზე აუცილებელია პროცედურების შესაფერისი კომბინაციის განსაზღვრა, არსებითი უზუსტობის რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად შესაბამისი მტკიცებებისთვის (რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნების ანგარიშების ნაშთებთან). შემდეგ ცხრილში განხილულია აუდიტორის საპასუხო ქმედებების ნიმუში, რომლებიც განკუთვნილია მოთხოვნების ანგარიშისთვის შეფასებული რისკის დონეზე რეაგირებისთვის.

დაგვეგმილი საპასუხო ქმედებების რეზიუმე				
(იხილეთ საბუღავის მტკიცებების შესაბამისი გრაფები)	ს	პ	ც	გ
ა) ძირითადი პროცედურები – საბაზისო	X	X	X	X
ბ) ძირითადი პროცედურები – გაფართოებული (აუდიტორული შერჩევა, თაღლითობა, მნიშვნელოვანი რისკები, ა.შ.)				X
გ) ანალიზური ძირითადი პროცედურები (ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა და ა.შ.)		X		
დ) კონტროლის ტესტები (ფაქტობრივი ეფექტიანობა)	X			
პროფესიული მსჯელობის საფუძველზე განსაზღვრეთ, ზემოთ აღწერილი პროცედურები საქმარისია შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის? (დიახ/არა). თუ არა, განმარტეთ ქვემოთ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
კომენტარები:				

აუდიტის პროგრამის ნიმუში, რომელიც გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვისაა განკუთვნილი, აღწერილია მე-2 ტომის 17.7 თავში, სასწავლო მაგალითების ნაწილში.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

რისკის შეფასებასთან დაკავშირებით მე-2 ტომის 14.6 თავში განხილული სასწავლო მაგალითის მიხედვით, რომელიც ეხებოდა რისკის შეფასების ეტაპის დასრულებას, შეფასებული რისკები იყო:

შეფასებული რისკები ფ/ა-ის დონეზე (მაღალი, საშუალო ან დაბალი)	დაბალი			
მტკიცებები (სისრულე, არსებობა, სისტორე და შეფასება)	ს	პ	ო	ჰ
შეფასებული რისკები მტკიცების დონეზე (მაღალი, საშუალო ან დაბალი)	დ	ს	ს	დ
ცვლილებები შეფასებულ რისკებში წინა პერიოდის შემდეგ არავითარი.				
დაკავშირებული მხარის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკებისა და რაჯის არყოფნით გამოწვეული შესაძლო თაღლითობის რისკების ზრდა.				

მოთხოვნების ანგარიშების აუდიტის გეგმის შემუშვებაში გასათვალისწინებული კითხვები:

დაგენერიკული გასათვალისწინებული მოსაზრებები	საპასუხო ქმედებები
1. არსებობს ისეთი მტკიცებები, რომელთა აუდიტის ჩასატარებლად მხოლოდ ძირითადი პროცედურები არ იქნება საქმარისი?	რეალიზაციის სისრულის მტკიცებასთან მიმართებით ერთობლივად ჩავატარებთ კონტროლის ტესტებსა და ანალიზურ პროცედურებს.
2. სანდოა შესაბამისი ოპერაციების ნაკადთან/პროცესებთან დაკავშირებული შიდა კონტროლი? თუ ასეა, შესაძლებელია ამ კონტროლის საშუალებების ტესტირება სხვა ძირითადი პროცედურების საჭიროების/მოცულობის შესამცირებლად?	კომპანიის მცირე ზომის გამო, შეზღუდული რაოდენობის კონტროლის საშუალებები გამოიყენება. ჩვენ შევისწავლეთ შიდა კონტროლი, მაგრამ არ ჩავატარებთ კონტროლის ტესტებს და არც შიდა კონტროლზე დაყრდნობას კვევმავთ.
3. შესაძლებელია ისეთი ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარება, რაც სხვა ძირითადი პროცედურების საჭიროებას/მოცულობას შეამცირებს?	არა.
4. საჭიროა არაპრონოზირებადობის ელემენტის ან დამატებითი აუდიტორული პროცედურების (მაგალითად, თაღლითობასთან, რისკთან ა.შ. მიმართებით) გათვალისწინება?	არ მივვაჩნია აუცილებლად, რადგან მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთი, ძირითადად, „დეფტასთან“ არის დაკავშირებული.
5. არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს?	ამონავების არასწორ აღთარებაზე ან თაღლითობის შესაძლებლობაზე რეაგირება „გაფართოებული“ ძირითადი პროცედურების საშუალებით მოხდება. აუდიტის მსვლელობისას ყურადღება გვმართებს ადრე დაუღვენელ დაკავშირებულ მხარეთა ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც სცილდება სამუშაო ხები-უქტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს.

შემდეგ ცხრილში განხილულია აუდიტორის საპასუხო ქმედებების ნიმუში, რომლებიც განკუთვნილია მოთხოვნების ანგარიშისთვის შეფასებული რისკის დონეზე რეაგირებისთვის.

დაგვეგმილი საპასუხო ქმედებების რეზიუმე (ინიციატივით სამართლებრივი მინისტრის მიერ გრაფიკი)	<i>ს</i>	<i>პ</i>	<i>ც</i>	<i>პ</i>
ა) ძირითადი პროცედურები – საბაზისო	X	X	X	X
ბ) ძირითადი პროცედურები – გაფართოებული (აუდიტორული შერჩევა, თაღლითობა, მნიშვნელოვანი რისკები, ა.შ.)	X	X	X	
გ) ანალიზური ძირითადი პროცედურები (ჯამური თანხების საკონტროლო გამოთვლა და ა.შ.)		X		
დ) კონტროლის ტესტები (ფაქტობრივი უფლებითობა)	X			
პროფესიული მსჯელობის საფუძველზე ზემოთ აღწერილი პროცედურები საკმარისია შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის? (დიახ/არა). თუ არა, განმარტეთ ქვემოთ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ


კომენტარები:  არავითარი.				
--------------------------------	--	--	--	--

აუდიტის პროგრამის ნიმუში, რომელიც გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვისაა განკუთვნილი,  
აღწერილია მე-2 ტომის 17.7 თავში, სასწავლო მაგალითების ნაწილში.

## 17. ტესტირების მოცულობის განსაზღვრა

თავის შინარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის აუცილებელი ტესტირების მოცულობის განსაზღვრაზე.	330,500,530

სქემა 17.0-1



შენიშვნა: 1. აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
330.12	<p>თუ აუდიტორი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ აუდიტორულ მტკიცებულებებს შეუაღებელ პერიოდში კრებს, მან უნდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მოიპოვოს აუდიტორული მტკიცებულებები ამ კონტროლის პროცედურებში შეაღებური პერიოდის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ; და</li> <li>ბ) განსაზღვროს სხვა აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეკრიბოს დარჩენილი პერიოდის შესახებ. (იხ. პ.გ 33-გ 34)</li> </ul>
330.13	<p>როდესაც აუდიტორი მსჯელობს, მიზანშეწონილია თუ არა კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე წინა პერიოდების აუდიტიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობა და გადაწყვეტს, რომ მიზანშეწონილია, ამასთან საზღვრავს დროის იმ ინტერვალს, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია არ ჩატარდეს ამა თუ იმ კონტროლის პროცედურის ხელახლა ტესტირება, აუდიტორი თვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) შიდა კონტროლის სხვა ელემენტების ეფექტიანობას, მათ შორის კონტროლის გარემოს, სამეურნეო სუბიექტში დანერგილ კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესსა და რისკის შეფასების პროცესს;</li> <li>ბ) კონტროლის პროცედურების მახასიათებლებიდან წარმოშობილ რისკებს, მათ შორის, კონტროლის პროცედურები მანუალურია თუ ავტომატიზებული;</li> <li>გ) საინფორმაციო ტექნოლოგიის საერთო ხასიათის კონტროლის საშუალებების ეფექტიანობას;</li> </ul>

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
330.13 (გაგრძელება)	<p>დ) მოცემული კონტროლის პროცედურის ეფექტიანობას და როგორ იყენებს მას სამეურნეო სუბიექტი, მათ შორის, მის გამოყენებაში გამოვლენილი გადახრების ხასიათსა და სიხშირეს, კონტროლის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე წინა პერიოდების აუდიტში ჩატარებული ტესტების მიხედვით; ასევე ადგილი ჰქონდა თუ არა პერსონალში იმგვარ ცვლილებებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს კონტროლის პროცედურის გამოყენებაზე;</p> <p>ე) წარმოშობს თუ არა რისკს ის ფაქტი, რომ ესა თუ ის კონკრეტული კონტროლის პროცედურა შეცვლილი არ არის შეცვლილი გარემოებების შესაბამისად;</p> <p>ვ) არსებითი უზუსტობის რისკსა და კონტროლის პროცედურაზე დაყრდნობის ხარისხს. (იხ. პ. გ35)</p>
330.14	<p>თუ აუდიტორი გეგმავს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ წინა პერიოდების აუდიტში შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების გამოყენებას, მან უნდა დაადგინოს, რომ მიმდინარე პერიოდშიც შესაფერისია ეს აუდიტორული მტკიცებულებები. ამ მიზნით, აუდიტორი აუდიტორულ მტკიცებულებებს კრებს იმის შესახებ, შეიცვალა თუ არა რამე წინა აუდიტის შემდეგ ამ კონკრეტულ კონტროლის პროცედურებში. ზემოაღნიშნული აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტორმა უნდა მოიპოვოს გამოკითხვების ჩატარებით, დაკვირვების ან დათვალიერების პროცედურასთან ერთად, რათა დაამტკიცოს კონკრეტული კონტროლის პროცედურების შესახებ მიღებული ინფორმაცია და:</p> <p>ა) თუ ცვლილებები ისეთია, რომ გავლენას ახდენს წინა პერიოდების აუდიტში მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების მიზანშეწონილობაზე მიმდინარე პერიოდისთვის, აუდიტორმა მიმდინარე აუდიტშიც უნდა ჩაატაროს აღნიშნული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტი. (იხ. პ. გ36);</p> <p>ბ) თუ კონტროლის პროცედურები არ შეცვლილა, აუდიტორმა ამგვარი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირება უნდა ჩაატაროს სულ მცირე ერთხელ მაიც ყოველ მესამე აუდიტში, ხოლო ზოგიერთი კონტროლის პროცედურის ტესტირება – ყოველ აუდიტში, რათა თავიდან აიცილოს იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე ერთ აუდიტში ჩაატარებს ყველა კონტროლის პროცედურის ტესტირებას, რომელიც დაყრდნობას აპირებს და მოძევნო რო პერიოდში არ ჩაატარებს არც ერთს (იხ. პ. გ37-გ39).</p>
530.5	<p>ასს-ების მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:</p> <p>ა) აუდიტორული შერჩევა (შერჩევა) – აუდიტორული პროცედურების გამოყენება გენერალურ ერთობლიობაში შემავალი მუხლების 100%-ზე ნაკლები მუხლების მიმართ, ისე, რომ ყველა შესარჩევ მუხლს ჰქონდეს ერთნაირი შერჩევის შანსი, რათა აუდიტორმა მიიღოს დასაბუთებული საფუძველი იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს დასკვნა იმ გენერალური ერთობლიობის შესახებ, საიდანაც შეარჩია შერჩევითი ერთობლიობა;</p> <p>ბ) გენერალური ერთობლიობა – მონაცემთა სრული სიმრავლე, საიდანაც ხდება შერჩევითი ერთობლიობის შედგენა და რომლის შესახებაც აუდიტორს სურს დასკვნების გამოტანა;</p> <p>გ) შერჩევის რისკი – რისკი იმისა, რომ აუდიტორის დასკვნა, რომელიც ეყრდნობა შერჩევით ერთობლიობას, შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ დასკვნისგან, რომელსაც აუდიტორი გამოიტანდა, თუ იმავე პროცედურებს გენერალურ ერთობლიობაზე ჩაატარებდა. შერჩევის რისკმა შეიძლება გამოიწვიოს ორი ტიპის არასწორი დასკვნის გაკეთება:</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასე-ებიდან
530.5 (გავრ-ძლება)	<p>(i) აუდიტორი კონტროლის ტესტის დროს დასკვნის, რომ კონტროლი იმაზე უფრო ეფექტურია, ვიდრე ეს სინამდვილეშია; ან, ელემენტების ტესტების შემთხვევაში დასკვნის, რომ არსებითი შეცდომა არ არსებობს მაშინ, როდესაც სინამდვილეში შეცდომა არსებობს. აუდიტორს უფრო მეტად აწესებს მსგავსი არასწორი დასკვნა, რადგან ეს მოქმედებს აუდიტის ეფექტიანობაზე და უფრო საგარაუდოა, რომ აუდიტორი არასწორ აუდიტორულ მოსაზრებას ჩამოაყალიბებს;</p> <p>(ii) აუდიტორი კონტროლის ტესტის დროს დასკვნის, რომ კონტროლი უფრო ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ეს სინამდვილეშია, ან ელემენტების ტესტების შემთხვევაში დასკვნის, რომ არსებითი შეცდომა არსებობს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში შეცდომა არ არსებობს. ასეთი ტიპის არასწორი დასკვნა მოქმედებს აუდიტის მწარმოებლურობაზე, რადგან ჩვეულებრივ მოითხოვს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას იმის დასადგენად, რომ თავდაპირველი დასკვნები არასწორი იყო.</p> <p>დ) არაშერჩევითი რისკი – რისკი იმისა, რომ აუდიტორი არასწორ დასკვნებს გამოიტანს ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც დაკავშირებული არ არის შერჩევის რისკთან (იხ. პუნქტი გ1);</p> <p>ე) ანომალია – უზუსტობა ან გადახრა, რომელიც აშკარად არ არის გენერალური ერთობლიობის უზუსტობის ან გადახრის რეპრეზენტაციული;</p> <p>ვ) შერჩევის ერთეული – გენერალური ერთობლიობის შემადგენელი ინდივიდუალური მუხლები (იხ. პუნქტი გ2);</p> <p>ზ) სტატისტიკური შერჩევა – შერჩევის ნებისმიერი მიღებომა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) შერჩევითი ერთობლიობის მუხლების შემთხვევითი შერჩევა; და</li> <li>(ii) ალბათობის თეორიის გამოყენება შერჩევითი ერთობლიობის შედეგების შესაფასებლად, მათ შორის შერჩევის რისკის გასაზომად;</li> </ul> <p>შერჩევის ისეთი მიღებომა, რომელსაც არ ახასიათებს (i) და (ii) ქვეპუნქტების ნიშნები, მიიჩნევა არასტატისტიკურ შერჩევად.</p> <p>თ) სტრატიგიკაცია – გენერალური ერთობლიობის ქვეერთობლიობებად დაყოფის პროცესი, როდესაც თითოეული ქვეერთობლიობა წარმოადგენს მსგავსი მახასიათებლების მქონე (ხშირად ფულადი ღირებულება) შერჩევის ერთეულების ჯგუფს;</p> <p>ი) ასატანი (დასაშვები) უზუსტობა – აუდიტორის მიერ დადგენილი ფულადი თანხა, რომელთან მიმართებაშიც აუდიტორი ცდილობს რისკის შემცირების სათანადო დონის მიღწევას ისე, რომ გენერალურ ერთობლიობაში ფაქტობრივად არსებული უზუსტობა თანხობრივად აუდიტორის მიერ დადგენილ ფულად თანხას არ აღემატებოდეს; (იხ. პუნქტი გ3)</p> <p>კ) გადახრის ასატანი (დასაშვები) დონე – შიდა კონტროლის დადგენილი პროცედურებიდან გადახრის დონე, აუდიტორის მიერ განსაზღვრული, რომელთან მიმართებაშიც აუდიტორი ცდილობს რისკის შემცირების სათანადო დონის მიღწევას ისე, რომ გენერალური ერთობლიობის ფაქტობრივი გადახრის დონე არ აჭარბებდეს აუდიტორის მიერ დადგენილ გადახრის დონეს</p>

## 17.1 ზოგადი მიმოხილვა

განსახილვები მუხლების შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შესაძლებელია რამდენიმე გზით:

ცხრილი 17.1-1

შერჩევა და შემოწმება	
გველა მუხლი (100%-იანი შემოწმება)	<p>ამგვარი მიდგომა მიზანშეწონილია, როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გენერალური ერთობლიობა მცირე რაოდენობის დიდი ღირებულების მქონე მუხლებისგან (ელემენტებისგან) შედგება;</li> <li>• არსებობს მნიშვნელოვანი რისკი და საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია სხვა გაზით; და</li> <li>• დიდი მოცულობის გენერალურ ერთობლიობაში განმეორებადი გამოვლების ან სხვა პროცესების ელექტრონულად შემოწმების მიზნით, შესაძლებელია კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენება.</li> </ul>
სპეციფიკური მუხლები	<p>ამგვარი მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მაღალი ღირებულების მქონე, ან ძირითადი მუხლების მიმართ, რომლებსაც ინდიკირულურად შეუძლიათ არსებითი უზუსტობის გამოწვევა;</li> <li>• დადგნილ ღირებულებაზე მეტი ღირებულების მქონე ყველა მუხლის მიმართ;</li> <li>• ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი უჩვეულო ან უზუსტობისკენ მიღრეკილების მქონე მუხლებისთვის, ან განმარტებითი ინფორმაციისთვის;</li> <li>• ნებისმიერი მუხლებისთვის, რომლებიც ძალიან ექვემდებარება უზუსტობის რისკს;</li> <li>• მუხლებისთვის, რომლებიც ინფორმაციას უზრუნველყოფს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამეურნეო სუბიექტის სპეციფიკა, ოპერაციების ხასიათი და შიდა კონტროლი; და</li> <li>• მუხლებისთვის, რომელთა ტესტირება ტარდება გარკვეული კონტროლის პროცედურების ფუნქციონირების შესამოწმებლად.</li> </ul>
გენერალური ერთობლიობის ელექტრონული რეპრეზენტაციული შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა	<p>ამგვარი მიდგომის მიზანია, მთელი მონაცემების (გენერალური ერთობლიობის) შესახებ დასკვნის გამოტანა გენერალური ერთობლიობის ელემენტებიდან შერჩევითი ერთობლიობის შერჩევითა და შემოწმებით.</p> <p>აუდიტორული შერჩევა აუდიტორს საშუალებას აძლევს, მოიპოვოს და შეაფასოს აუდიტორული მტკიცებულებები შესამოწმებელი მუხლების სპეციფიკური მახსასათხებლების შესახებ. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრა შეიძლება სტატისტიკური ან არასტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.</p>

აუდიტორის გადაწყვეტილება, რომელ მიდგომას გამოიყენებს, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ერთი, ან ერთობლივად რამდენიმე ზემოთ განხილული მეთოდის გამოყენება.

აუდიტორული შერჩევის გამოყენება ამა თუ იმ მტკიცებისთვის რისკის შემცირების აუცილებელი დონის მისაღწევად ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა რამდენიმე უპირატესობის გამო, რაც განხილულია შემდეგ ცხრილში.

### ცხრილი 17.1-2

სარგებელი	
<b>რეპრეზენტაციული შერჩევითი ერთობლიობის გამოყენება</b>	<p>შესაძლებელია დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. აუდიტორის მიზანია რისკის გონივრული შემცირების მიღწევა და არა აბსოლუტური რწმუნების.</p> <p>შესაძლებელია ტესტირების შედეგების გაერთიანება სხვა ტესტების შედეგებთან.</p> <p>შესაძლებელია ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულების დადასტურება სხვა წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებით, გაზრდილი რისკის შესამცირებლად.</p> <p>ყველა მონაცემის შემოწმება ვერ უზრუნველყოფს ასოლუტურ რწმუნებას. მაგალითად, აღურიცხავი ოპერაციები ვერასდროს გამოვლინდება.</p> <p>დანახარჯების ეკონომია. ბუდალტრული აღრიცხვის სისტემის ყველა საბუღალტრო გატარებისა და ყველა მხარდამჭერი მტკიცებულების შემოწმება არაეკონომიური იქნება.</p>

1-ლი ტომის მე-10 თავში განხილულია დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი და გამოყენება, ხოლო ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ ტესტირების მოცულობის განსაზღვრასა და აუდიტორული შერჩევის ტექნიკის გამოყენებაზე.

### აუდიტორული შერჩევის მეთოდები

სავალდებულო არ არის აუდიტორული შერჩევის გამოყენება აუდიტორულ პროცედურად, მაგრამ თუ აუდიტორი გადაწყვეტს მის გამოყენებას, გენერალური ერთობლიობის (როგორიცაა, მაგალითად, რეალიზაციის ოპერაციები ან მოთხოვნების ანგარიშების ნაშთები) ყველა შერჩევის ერთეულს შერჩევის (ანუ, შესაძლებელ შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის) ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ აუდიტორმა შეძლოს დასაბუთებული დასკვნების გამოტანა მთლიანი გენერალური ერთობლიობის შესახებ.

თუ შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა გენერალური ერთობლიობის 100%-ზე ნაკლებია, ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ უზუსტობა ვერ გამოვლინდება და უზუსტობამ შეიძლება გადააჭარბოს უზუსტობის ან გადახრის დასაშვებ (ასატან) დონეს. ამას შერჩევის რისკი ეწოდება.

შერჩევის რისკი შეიძლება შემცირდეს შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდით, ხოლო არაშერჩევითი რისკის შემცირება შესაძლებელია აუდიტის სათანადო დაგეგმვით, ზედამხედველობითა და მიმოხილვით.

საზოგადოდ, აუდიტში გამოიყენება ორი ტიპის შერჩევა, რაც განხილულია შემდეგ ცხრილში:

### ცხრილი 17.1-3

შერჩევითი ერთობლიობის ატრიბუტები	
<b>სტატისტიკური შერჩევა</b>	შერჩევითი ერთობლიობა შეირჩევა შემთხვევით. ეს იმას ნიშნავს, რომ გენერალური ერთობლიობის თითოეულ მუხლს გააჩნია ცნობილი (სტატისტიკურად შესაფერისი) შერჩევის შანსი.
	შესაძლებელია შედეგების მათემატიკურად გამოსახვა. შერჩევითი ერთობლიობის შედეგების შესაფასებლად შესაძლებელია ალბათობის თეორიის გამოყენება, მათ შორის შერჩევის რისკის გასაზომად.
<b>არასტატისტიკური ანუ მსჯელობაზე დაფუძნებული შერჩევა</b>	შერჩევის მიდგომა, რომელსაც არ ახასიათებს ზემოაღნიშნული ნიშნები, მიიჩნევა არასტატისტიკურ შერჩევად.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრისას აუდიტორმა უნდა განსაზღვროს გადახრის (გამონაკლისების) დასაშვები დონე, რომელიც მისთვის მისაღები იქნება.

- მირითადი პროცედურები**

სამუშაო არსებითობა (საერთო ან რომელიმე სპეციფიკური მუხლისთვის დადგენილი) დგინდება საერთო არსებითობასთან მიმართებაში. უზუსტობის დასაშვები დონე დგინდება სამუშაო არსებითობასთან მიმართებაში (საერთო ან რომელიმე სპეციფიკური მუხლისთვის). რაც უფრო მაღალია უზუსტობის დასაშვები დონე, მით უფრო მცირება შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა. რაც უფრო დაბალი იქნება უზუსტობის დასაშვები დონე (აუდიტორის მიერ დადგენილი), მით უფრო დიდი უნდა იყოს შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა. გათვალისწინეთ, რომ უზუსტობის დასაშვები დონე ხშირად ემთხვევა სამუშაო არსებითობას.

- კონტროლის ტესტები**

კონტროლის ტესტებისთვის გადახრის დასაშვები დონე, სავარაუდოდ, ძალიან პატარა იქნება. ხშირად დასაშვები იქნება არც ერთი გადახრა ან მხოლოდ ერთი. კონტროლის ტესტები მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმის შესახებ, მუშაობს თუ არა კონტროლის პროცედურები რეალურად. შესაბამისად, კონტროლის ტესტები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მოსალოდნელია, რომ კონტროლი საიმედოა.

## 17.2 აუდიტორული შერჩევის გამოყენება

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
530.6	აუდიტორული შერჩევითი ერთობლიობის ფორმირებისას აუდიტორმა უნდა გათვალისწინოს აუდიტორული პროცედურის მიზანი და იმ გენერალური ერთობლიობის მახასიათებლები, საიდანაც აიღება შერჩევითი ერთობლიობა. (იხ. პუნქტები გ4-გ9)
530.7	აუდიტორმა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა ისე უნდა განსაზღვროს, რომ საკმარისი იყოს შერჩევის რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად. (იხ. პუნქტები გ10-გ11)
530.8	აუდიტორმა შერჩევითი ერთობლიობისთვის მუხლები ისე უნდა შეარჩიოს, რომ გენერალური ერთობლიობის შემადგენელ თითოეულ მუხლს გააჩნდეს შერჩევის შანსი (იხ. პუნქტები გ12-გ13)
530.9	აუდიტორმა თითოეულ შერჩეულ მუხლზე უნდა ჩაატაროს მოცემული მიზნისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები.
530.10	თუ შერჩეულ მუხლთან მიმართებით მოცემული აუდიტორული პროცედურის გამოყენება მიზაბშეწონილი არ არის, აუდიტორმა პროცედურა მის შემცვლელ სხვა მუხლზე უნდა ჩაატაროს (იხ. პუნქტი გ14)
530.11	თუ აუდიტორს არ შეუძლია შერჩეულ მუხლთან მიმართებით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ან შესაფერისი აღტერნატიული პროცედურების გამოყენება, აუდიტორმა ასეთი მუხლი კონტროლის ტესტის შემთხვევაში უნდა მიიჩნიოს როგორც დადგენილი კონტროლიდან გადახრა, ხოლო ლეგენტების ტესტების შემთხვევაში კი – როგორც უზუსტობა (იხ. პუნქტები გ15-გ16)
530.12	აუდიტორმა უნდა გამოიყვალიოს წებისმიერი გამოვლენილი გადახრების ან უზუსტობების ხასიათი და გამომწვევი მიზანები, შეაფასოს მათი შესაძლო ზეგავლენა მოცემული აუდიტორული პროცედურის მიზანსა და აუდიტის სხვა სფეროებზე (იხ. პუნქტი. გ17)
530.13	ძალიან იშვიათ შემთხვევებში, როდესაც აუდიტორი მიიჩნევს, რომ შერჩევით ერთობლიობაში აღმოჩენილი უზუსტობა ან გადახრა ანომალიაა, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს მაღალი დონის რწმუნება, რომ მსგავსი უზუსტობა ან გადახრა არ არის რეპრეზენტაციული მოცემული გენერალური ერთობლიობისათვის. აუდიტორმა რწმუნების აღნიშნული დონე უნდა მოიპოვოს დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, რათა მიიღოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აღნიშნული უზუსტობა ან გადახრა გავლენას არ ახდენს გენერალური ერთობლიობის დანარჩენ ნაწილზე.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
530.14	ელემენტების ტესტების შემთხვევაში, აუდიტორმა შერჩევით ერთობლიობაში აღმოჩენილი უზუსტობების საფუძველზე უნდა განახორციელოს გენერალური ერთობლიობის უზუსტობების პროგნოზირება. (იხ პუნქტი გ18-გ20)
530.15	აუდიტორმა უნდა შეაფასოს: ა) შერჩევითი ერთობლიობის შედეგები; და (იხ პუნქტი გ21-გ22) ბ) აუდიტორულმა შერჩევამ შექმნა თუ არა იმ გენერალურ ერთობლიობაზე დასკვნების გამოტანის გონივრული საფუძველი, რომლის ტესტირებაც ჩატარდა. (იხ პუნქტი გ23)

### საფუძლის შექმნა

იმის მიუხედავად, აუდიტორული შერჩევის რომელ მიდგომას გამოიყენებს აუდიტორი – სტატისტიკურს თუ არასტატისტიკურს, მან უნდა გაითვალისწინოს და სამუშაო დოკუმენტებში ასახოს შემდეგ ცხრილში განხილული საკითხები.

#### ცხრილი 17.2-1

გასათვალისწინებელი ფაქტორები	კომენტარები
ტესტის მიზანი?	ტესტის ფორმირება იწყება ტესტის მიზნისა და იმ მტკიცებების განსაზღვრით, რომლის ტესტირებაც უნდა მოხდეს.
მტკიცებულების პირველ- ადგი წყარო?	თთოეული მტკიცებისთვის განსაზღვრულ, რომელია შესამოწმებელი მტკიცების პირველადი წყარო და რომელი – მეორადი. ამგვარი დიფერენციაცია დაგენერირებათ, სწორი მიმართულებით წარმართოთ სამუშაო.
წინა გამოცდილება?	თუ პირველი აუდიტი არ არის, როგორი იყო იყო წინა პერიოდებში მსგავსი ტესტების ჩატარების გამოცდილება? გაითვალისწინეთ ტესტის ეფექტუანობა და გადახრების (შეცდომების) არსებობა და ადგილმდებარეობა, რომელიც გამოავლინეთ შერჩეულ შერჩევით ერთობლიობაში.
რომელი გნერალური ერთობლიობა?	დარწმუნდით, რომ შესამოწმებელი მუხლების გენერალური ერთობლიობა შესაფერისია ტესტის მიზნების მისაღწევად. აუდიტორული შერჩევის მეშვეობით ვერ გამოვლინდება და ვერ ჩატარდება ისეთი მუხლების ტესტირება, რომლებიც არ შედის გენერალურ ერთობლიობაში. მაგალითად, მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევითი ერთობლიობა შეიძლება გამოიყენოთ მოთხოვნების არსებობის შესამოწმებლად, მაგრამ ასეთი გენერალური ერთობლიობა არ იქნება შესაფერისი მოთხოვნების სისრულის შესამოწმებლად.
შერჩევის რომელი ერთეული უნდა გამოვიყენოთ?	ასევე გაითვალისწინეთ გენერალური ერთობლიობის მოცულობა. ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სტატისტიკური დასკვნების გამოტანა, თუ შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა მეტისმეტად პატარაა იმისათვის, რომ მისგან შერჩევითი ერთობლიობა შეარჩიოთ.
შერჩევის რომელი ერთეული უნდა გამოვიყენოთ?	გაითვალისწინეთ ტესტის მიზანი და შესამოწმებელი მტკიცება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განსაზღვროთ, რომელი მუხლები უნდა შეიირჩეს ტესტირებისთვის, მაგალითად, რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურები, შესყიდვის შეავთები თუ მომხმარებლების ანგარიშის ნაშთები.

გასათვალისწინებელი ფაქტორები	კომენტარები
<b>სტატისტიკური თუ არასტატისტიკური?</b>	სტატისტიკური დასკვნების გამოტანა შესაძლებელია სტატისტიკური შერჩევითი ერთობლიობების ტესტირებიდან. პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა შესაძლებელია არასტატისტიკური შერჩევითი ერთობლიობების ტესტირების შედეგად. არასტატისტიკური შერჩევითი ერთობლიობები ხშირად გამოიყენება სხვა აუდიტორულ პროცედურებთან ერთად, რომელებიც იმავე მტკიცებაზე ტარდება.
<b>გადახრის განსაზღვრა</b>	თუ სწორად არ დაადგინეთ, რა მიიჩნევა გადახრად, ფუჭად დაიხარჯება თანამშრომელთა დრო ისეთი უმნიშვნელო გამონაკლისების განხილვაზე, რაც არ წარმოადგენს გადახრას. ასევე განსაზღვრეთ, რა უნდა მოიმოქმედონ აუდიტის ჯგუფის წევრებმა გამოვლენილი გადახრების მიზეზებსა და შედეგებთან მიმართებით.
<b>შესაძლებელია მაღალი ღირებულების მქონე მუხლების გამორიცხვა?</b>	თუ გენერალურ ერთობლიობაში არსებობს დიდი ოპერაციები ან ნაშთები, რომელებიც შეიძლება ცალ-ცალკე შეფასდეს, მაშინ შეიძლება გენერალური ერთობლიობის დარჩენილი მუხლებიდან შერჩეული შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა უფრო მცირე იყოს. ზოგ შემთხვევაში, დიდი ოპერაციების ან ნაშთების ტესტირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეფასება შეიძლება საჭარისი აღმოჩნდეს და საერთოდ აღარ იყოს საჭირო შერჩევის მიღომის გამოყენება.
<b>კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენება</b>	განიხილეთ, კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენება მოიტანს თუ არა უკეთეს ან უფრო ეფექტურ შედეგს. ბევრი ტესტისთვის კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია გენერალური ერთობლიობის 100%-ით შემოწმება (მხოლოდ შერჩევითი ერთობლიობის შემოწმების ნაცვლად) და ასევე აუდიტორისთვის საჭირო სპეციალური ანგარიშების მომზადება უჩვეულო მუხლების გამოსავლენად, რომლებსაც აუდიტორი დამატებით ცალკე გამოიკვლევს.
<b>შესაძლებელია გენერალური ერთობლიობის სტარტიფიკაცია?</b>	გაითვალისწინეთ, შეიძლება თუ არა გენერალური ერთობლიობის დაყოფა ისეთ ქვეერთობლიობებად, რომლებსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები. მაგალითად, თუ გენერალური ერთობლიობა შეიცავს ოამდენიმე მაღალი ღირებულების მქონე ოპერაციას, გენერალური ერთობლიობა (ელემენტების ტესტების მიზნებისთვის) შეიძლება დაიყოს ფულადი ღირებულების მიხედვით. ეს საშუალებას გვაძლევს, უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ და მეტი სამუშაო შევასრულოთ მაღალი ღირებულების მქონე მუხლებზე, რადგან ამ მუხლებში შეიძლება ყველაზე დიდი იყოს პოტენციური უზუსტობის ალბათობა, კერძოდ, მუხლების ღირებულების გადიდების თვალსაზრისით. გნერალური ერთობლიობა ასევე შეიძლება დაიყოს რომელიმე კონკრეტული მახასიათებლის (ნიშნის) მიხედვით, რომელიც მიუთითებს უზუსტობის მაღალ რისკზე. როდესაც საეჭვო ვალების ანგარიშების აღეკვატურობის ტესტი ტარდება (მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შეფასება) მოთხოვნების ანგარიშების ნაშთები შეიძლება ქვეერთობლიობებად დაიყოს ხანდაზულობის მიხედვით. როდესაც ქვეერთობლიობების ტესტები ცალ-ცალკე ტარდება, ცალ-ცალკე უნდა მოახდინოთ თითოეული მათგანისთვის უზუსტობების პროგნოზირება. შემდეგ შეიძლება გაერთიანდეს თითოეული ქვეერთობლიობისთვის პროგნოზირებული უზუსტობები, რათა გათვალისწინების შესაძლო გავლენა ანგარიშის ნაშთზე ან ამ კატეგორიის ოპერაციებზე.

გასათვალისწინებელი ფაქტორები	კომენტარები
<b>რა სიზუსტეა საჭირო?</b>	<p>დასაშვები უზუსტობა ხშირად განისაზღვრება სამუშაო არსებითობის საფუძველზე. სამუშაო არსებითობა ასევე გამოხატავს სტატისტიკური ტესტ-ის სიზუსტეს.</p> <p>სამუშაო არსებითობის დადგენილი დონე ისეთი უნდა იყოს, რომელიც ითვალისწინებს გამოუვლენელი და უმნიშვნელო უზუსტობების შესაძლო არსებობას და მათ აგრეგირებულ სიდიდეს.</p>
<b>რა დონის რწმუნების მიღწევაა საჭირო?</b>	<p>რწმუნება არის მისაღები დონე რისკისა (შეუმჩნევლობის რისკი), რომ ტესტი ვერ მოგვცემს ზუსტ შედეგებს. რა გვჭირდება: რწმუნების მაღალი დონე (რისთვისაც უფრო დიდი შერჩევითი ერთობლიობა უნდა შემოწმდეს), თუ რწმუნების დაბალი დონე (რისთვისაც უფრო პატარა შერჩევითი ერთობლიობა უნდა შემოწმდეს)?</p> <p>კონკრეტული ტესტისთვის აუცილებელი რწმუნების დონე განისაზღვრება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვა წყაროებიდან მოპოვებული მტკიცებულებები, როგორიცაა, მაგალითად, ანალიზური მიმოხილვა, სხვა ძირითადი პროცედურები და დაკავშირებული კონტროლის საშუალებების ფაქტობრივი უფლებითობა; და</li> <li>• ფინანსური ანგარიშების მტკიცების ან სტრიქონის მუხლის მნიშვნელობა საერთო არსებითობასთან შედარებით.</li> </ul> <p>მაგალითად, რწმუნების 95%-იანი დონე გვიჩვენებს, რომ თუ კონკრეტული ტესტი შესრულდა 100-ჯერ (რეპრეზენტაციული ოპერაციების შემთხვევითი შერჩევით), შედეგები ზუსტი იქნება (უზუსტობის ზღვრის ფარგლებში) 100 ტესტიდან 95-ის შემთხვევაში. ამასთან, არსებობს რისკი იმისა, რომ 100-დან 5 ტესტი არასწორ შედეგს მოგვცემს.</p>

როდესაც გეგმავთ სტატისტიკური შერჩევის გამოყენებას, ასევე უნდა განისაზღვროთ უზუსტობის, ან გადახრის ასატანი (დასაშვები) დონე.

### ცხრილი 17.2-2

გასათვალისწინებელი ფაქტორები	კომენტარები
<b>რამდენია უზუსტობის ან გადახრის დასაშვები დონე?</b>	<p>დასაშვები უზუსტობა გამოიყენება ელემენტების ტესტების შერჩევით ერთობლიობაში, რათა გათვალისწინებულ იქნეს რისკი იმისა, რომ ინდივიდუალურად უმნიშვნელო უზუსტობების ერთობლიობამ შეიძლება გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა ფინანსურ ანგარიშებაში და უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლო გამოუვლენელი უზუსტობებისთვის გარკვეული ზღვარი. დასაშვები უზუსტობა არის სამუშაო არსებითობის გამოყენება შერჩევის კონკრეტულ პროცედურაში. დასაშვები უზუსტობა შეიძლება იმავე სიდიდის იყოს, როგორიც სამუშაო არსებითობის დონეა, ან მასზე ნაკლები.</p> <p>გადახრის დასაშვები დონე გამოიყენება კონტროლის ტესტებისთვის, სადაც აუდიტორი განსაზღვრავს დადგენილი შედა კონტროლის პროცედურებიდან გადახრის გარკვეულ დონეს, რწმუნების სათანადო (სასურველი) დონის მისაღწევად. აუდიტორი ცდილობს რწმუნების სათანადო დონის მოპოვებას იმის შესახებ, რომ გადახრის დადგენილი (დასაშვები) დონე არ გადააჭარბებს გენერალურ ერთობლიობაში გადახრის ფაქტობრივ დონეს.</p>

### 17.3 ძირითადი პროცედურების მოცულობა (სტატისტიკური შერჩევის გამოყენება)

რაც უფრო დიდია არსებითი უზუსტობის რისკი, მით უფრო დიდი მოცულობის ძირითადი პროცედურების ჩატარება მოითხოვება. ძირითადი პროცედურების მოცულობის შემცირება შესაძლებელია შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირებით. თუმცა, თუ შიდა კონტროლის ტესტირების შედეგები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, მაშინ პირიქით, შეიძლება საჭირო განდეს ძირითადი პროცედურების მოცულობის გაზრდა.

#### შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრა – ფულადი ერთეულების მიხედვით შერჩევა

ელემენტების ტესტებისთვის შერჩევითი ერთობლიობის შესარჩევად, როგორც წესი, გამოიყენება ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, ტესტირებისთვის ამა თუ იმ მუხლის (მაგალითად, მოთხოვნების ანგარიშის ნაშთი) შერჩევის აღბათობა მუხლის ფულადი ღირებულების პირდაპირპროპორციულია. ამგვარად, მოთხოვნების ანგარიშის ნაშთს, 6,000 ევროს სამჯერ მეტი შანსი აქვს იმისა, რომ მოხვდება შერჩევით ერთობლიობაში, ვიდრე მოთხოვნების ანგარიშის ნაშთს, 2,000 ევროს. ამ მეთოდით მიზანშეწონილი არ იქნება ფიზიკური ერთეულების არჩევა, მაგალითად, ყოველი 50-ე ანგარიშ-ფაქტურა ან ოპერაცია.

მართალია, ფულადი ერთეულების მიხედვით შერჩევა შეიძლება იყოს შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელსაც აუდიტორები იყენებენ, მაგრამ არსებობს შერჩევის რამდენიმე სხვა მეთოდიც, რომლებიც შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს კონკრეტულ გარემოებებში. შერჩევის ზემოაღნიშნული მეთოდების განხილვა არ არის გათვალისწინებული ამ სახელმძღვანელოში.

#### სამედოობის ფაქტორების შერჩევა

ძირითადი ტესტის ფორმირებისას აუდიტორმა შეიძლება სასარგებლოდ მიიჩნიოს რისკის შემცირების სამი დონის გამოყენება: როგორიცაა მაღალი, საშუალო და დაბალი. ამ დონეებს შორის განსხვავება შეიძლება ეყრდნობოდეს შერჩევითი ერთობლიობის შერჩევისას გამოიყენებულ საიმედოობის ფაქტორს. რაც უფრო დიდია სამედოობის ფაქტორი, მით უფრო დიდია შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა და რისკის შემცირების მიღწეული დონე. ზემოაღნიშნული დამოკიდებულება ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში, რომელიც ასახავს ტიპურ რწმუნების დონეებს, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა რისკის შემცირების დაბალი, საშუალო და მაღალი დონე.

#### ცხრილი 17.3-1

რისკის შემცირების სასურველი დონე	რწმუნების დონე	სამედოობის ფაქტორი
მაღალი	95%	3.0
საშუალო	80-90%	1.6 - 2.3
დაბალი	65-75%	1.1 - 1.4

აუდიტორული პროცედურების ეფექტური ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია შეფასებულ რისკებსა და კონკრეტულ მტკიცებებზე რეაგირებისთვის, შეიძლება გულისხმობდეს კონტროლის ტესტებისა და ძირითადი პროცედურების გარკვეულ კომბინაციას.

შემდეგ ცხრილში მოცემულია სამედოობის ფაქტორთა არასრული სია რწმუნების სხვადასხვა დონისთვის. მაგალითად, თუ აუდიტორს სურს 90%-იანი რწმუნების მიღწევა რომელიმე ტესტში, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის დასადგენად გამოსაყენებელი სამედოობის ფაქტორი იქნება 2.3.

*ცხრილი 17.3-2*

რწმუნების დონე	საიმედოობის ფაქტორი
50%	0.7
55%	0.8
60%	0.9
65%	1.1
70%	1.2
75%	1.4
80%	1.6
85%	1.9
90%	2.3
95%	3.0
98%	3.7
99%	4.6

*შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა*

*ცხრილი 17.3-3*

ფულადი ერთეული	აღწერა
შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის პროცესი	გენერალური ერთობლიობიდან გამოთიშეთ მაღალი ღირებულებების მქონე და მთავარი მუხლები.
	გამოითვალიერებული შერჩევის ინტერვალი.
	შეარჩიეთ შემთხვევითი საწყისი წერტილი პირველი მუხლის შესარჩევად. შემთხვევითი საწყისი წერტილი შეგიძლიათ აირჩიოთ 1 ევროდან შერჩევის ინტერვალამდე მონაკვეთში არსებული ელემენტებიდან. ყველი მომდევნო მუხლის შერჩევა მოხდება – წინა შერჩევის ღირებულებას პლუს ერთი შერჩევის ინტერვალი – საფუძველზე.

**შენიშვნა:** დარწმუნდით, რომ შერჩევის პროცესი, მათ შორის შემთხვევითი საწყისი წერტილის არჩევის საფუძველი (შემთხვევითი რიცხვების კომპიუტერული პროგრამა ან პროფესიული მსჯელობა) სათანადოდ არის დოკუმენტირებული.

*1-ლი საფეხური – შერჩევის ინტერვალის გამოთვლა*

ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$\text{შერჩევის ინტერვალი} = \frac{\text{სამუშაო არსებითობა}}{\text{დასაშვები უზუსტობა}} \div \text{საიმედოობის ფაქტორი}$$

თუ შერჩევის ინტერვალი იყო 17,391 ევრო, პირველი ანგარიშის შეიძლება მოხდეს შემთხვევით, 1-დან 17,391 ევრომდე. ვთქვათ, ავირჩიეთ ანგარიში, რომელიც შეიცავს 10,000 ევროს. მეორე შერჩეული ანგარიში იქნება ის, რომელიც შეიცავს კუმულაციურ (ჯამურ) თანხას 27,391 ევროს (საწყის წერტილს + შერჩევის ინტერვალი = 10,000 ევრო + 17,391 ევრო). მესამე ანგარიში იქნება ანგარიში, რომელიც შეიცავს კუმულაციურ ჯამს 44,782 ევროს (27,391 ევრო + 17,391 ევრო). ეს პროცესი გაგრძელდება გენერალური ერთობლიობის ბოლომდე.

### მე-2 საფეხური – შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გამოთვლა

ფულადი ერთეულების მიხედვით შერჩევის მეთოდის დროს რეპრეზენტაციული შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა, როგორც წესი, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა = შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა ÷ შერჩევის ინტერვალზე.

შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობიდან უნდა გამოირიცხოს უჩვეულო (განსაკუთრებული) მუხლები და ცალკე უნდა მოხდეს მათი შეფასება.

### მე-3 საფეხური – შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა

გენერალური ერთობლიობიდან ამოიღეთ ნებისმიერი მაღალი ღირებულების მქონე და მთავარი მუხლი (ცალკე განსილვისთვის) და გამოითვალით შერჩევის ინტერვალი. (იხ. 1-ლი ნაბიჯი). შემდეგ შეარჩიეთ შემთხვევითი საწყისი წერტილი პირველი მუხლის შესარჩევად. შემთხვევითი საწყისი წერტილი შეიძლება იყოს ნებისმიერი, 1 ევროდან დაწყებული შერჩევის ინტერვალამდე. გამოითვალით გენერალური ერთობლიობის მუხლების კუმულაციური ღირებულებები. ყოველი მომდევნო მუხლის შერჩევა მოხდება – წინა შერჩევის ღირებულებას პლუს ერთი შერჩევის ინტერვალი – საფუძველზე, კუმულაციური ღირებულებებიდან.

საილუსტრაციოდ განვიხილავთ სამ მაგალითს.

#### 1-ლი მაგალითი – მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევა

ცხრილი 17.3-4

კითხვა	პასუხი
ტესტის მიზანი	მოთხოვნების არსებობაში დარწმუნება, მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევითი ერთობლიობის ტესტირებისა და დასტურის წერილების გაგზავნის გზით.
არსებითი უზუსტობის რისკი შესაბამის მტკიცებებში	არსებობა = მაღალი რისკი
შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა	მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთები.
გენერალური ერთობლიობის ფულადი ღირებულება	177,203 ევრო
ცალკე შესაფასებელი სპეციფიკური მუხლები	38,340 ევრო
კონტროლის ტესტების შედეგად მიღებული რისკის შემცირება	არავითარი
რისკის შემცირება სხვა პროცედურებით, როგორიცაა რისკის შესაფასებელი პროცედურები	შეზღუდული
გამოსაყენებელი საიმედოობის ფაქტორი (რისკის შემცირება სხვა წყაროებით მიღებული რისკის შემცირების სარჯზე)	არ არსებობს რისკის შემცირების სხვა წყაროები, ასე, რომ გამოვიყენებთ 95% რწმუნების დონეს ანუ 3.0 საიმედოობის ფაქტორს.
სამუშაო არსებითობა	15,000 ევრო
შერჩევითი ერთობლიობის საგარაუდო გადახრა	არავითარი

შერჩევის ინტერვალი = 15,000 ევრო/3.0 = 5,000 ევრო

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა =  $(177,209 \text{ ევრო} - 38,340 \text{ ევრო})/5,000 \text{ ევრო} = 28 \text{ ერთეული}$

ამ მაგალითში შერჩევის ინტერვალი იყო 5,000 ევრო, შესაბამისად, თუ პირველი შემთხვევით არჩეული მუხლი იყო 436 ევრო, შემდეგი შერჩეული ფულადი ერთეული მოხვდება იმ ოპერაციაში ან ნაშთში, რომელიც მოიცავს კუმულაციურ ჯამს 5,436 ევროს. მესამე შერჩეული ფულადი ერთეული იქნება იმ ოპერაციაში ან ნაშთში, რომელიც მოიცავს კუმულაციურ ჯამს 10,436 ევროს და ა.შ სანამ არ შევარჩევთ 28 ელემენტს.

**შენიშვნა:** მოსალოდნელია, რომ ტესტირებისთვის შერჩეული იქნება მაღალი ღირებულების მუხლები (იხ. ქვემოთ მოთხოვნების ნაშთების არასრული გენერალური ერთობლიობა).

ცხრილი 17.3-5

	მოთხოვნების ანგარიშის ნაშთი	კუმულაციური ჯამი	შერჩევის ინტერვალი	შევიტანოთ შერჩევით ერთობლიობაში?
მომხმარებელი A	4,750	4,750	436	დიახ
მომხმარებელი B	3,500	8,250	5,436	დიახ
მომხმარებელი C	1,800	10,050	10,436	არა
მომხმარებელი D	2,700	12,750	10,436	დიახ
მომხმარებელი E	950	13,700	15,436	არა
მომხმარებელი F	2,580	16,280	15,436	დიახ

მუ-2 მავალითი – მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევა

ცხრილი 17.3-6

კითხვა	პასუხი
ტესტის მიზანი	მოთხოვნების არსებობაში დარწმუნება, მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევითი ერთობლიობის ტესტირებისა და დასტურის წერილების გაგზავნის გზით.
არსებითი უზუსტობის რისკები შესაბამის მტკიცებებში	არსებობა = საშუალო რისკი
შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა	მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთები
გენერალური ერთობლიობის ფულადი ღირებულება	177,203 ევრო
ცალკე შესაფასებელი სპეციფიკური მუხლები	38,340 ევრო
კონტროლის ტესტების შედეგად მიღებული რისკის შემცირება	დაკავშირებულ კონტროლის საშუალებებზე დაგადგინეთ კონტროლის რისკის დაბალი დონე.
რისკის შემცირება სხვა პროცედურებით, როგორიცაა რისკის შესაფასებელი პროცედურები	შეზღუდული
გამოსაყენებელი საიმედოობის ფაქტორი (რისკის შემცირება სხვა წყაროებით მიღებული რისკის შემცირების ზარჯზე)	მტკიცებულებების სხვა წყაროების გათვალისწინებით, გამოვიყენებთ რწმუნების დონეს 70%-ს და შესაბამისად საიმედოობის ფაქტორს 1.2-ს.
სამუშაო არსებითობა	15,000 ევრო
შერჩევითი ერთობლიობის საგარაუდო გადახრა	არავითარი

შერჩევის ინტერვალი  $15,000 \text{ ევრო} / 1.2 = 12,500 \text{ ევრო}$

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა  $(177,203 \text{ ევრო} - 38,340 \text{ ევრო}) / 12,500 \text{ ევრო} = 12 \text{ ერთეული}$

### მე-3 მაგალითი – შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურების შერჩევა

ცხრილი 17.3-7

კითხვა	პასუხი
ტესტის მიზანი	შესყიდვების ოპერაციების არსებობასა და სისწორეში დარწმუნება, შერჩევითი ერთობლიობის შერჩევით შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურებიდან.
არსებითი უზუსტობის რისკები შესაბამის მტკიცებებში	არსებობა = დაბალი რისკი სისწორე = დაბალი რისკი
შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა	მოცემული პერიოდის შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურები
გენერალური ერთობლიობის ფულადი ღირებულება	879,933 ევრო
ცალკე შესაფასებელი სპეციფიკური მუხლები	46,876 ევრო
კონტროლის ტესტების შედეგად მიღებული რისკის შემცირება	არავითარი
რისკის შემცირება სხვა პროცედურებით, როგორიცაა რისკის შესაფასებელი პროცედურები	საშუალო დონეზე ეფექტური ანალიზური ძირითადი პროცედურები.
გამოსაყენებელი სამედოობის ფაქტორი (რისკის შემცირება სხვა წყაროებით მიღებული რისკის შემცირების ხარჯზე)	მტკიცებულებების სხვა წყაროების გათვალისწინებით, გამოვიყენებო რწმუნების დონეს 80%-ს და, შესაბამისად, საიმედოობის ფაქტორს 1.6-ს.
სამუშაო არსებითობა	15,000 ევრო
შერჩევითი ერთობლიობის სავარაუდო გადახრა	არავითარი

შერჩევის ინტერვალი  $15,000 \text{ ევრო} / 1.6 = 9,375 \text{ ევრო}$

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა  $(879,933 \text{ ევრო} - 46,876 \text{ ევრო}) / 9,375 \text{ ევრო} = 89 \text{ ერთეული}$

როგორც უკვე ვნახეთ, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა ძირითადი ტესტებისთვის შეიძლება გახდეს ძალიან დიდი, როდესაც ვამოწმებთ ოპერაციების ნაკადს. საჭირო მტკიცებულებების მოსაპოვებლად ხშირად უფრო ეფექტურია შიდა კონტროლის საშუალებების ტესტირება (სადაც შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა უფრო მცირეა), ან სხვა ტიპის აუდიტორული პროცედურების ჩატარება.

### უზუსტობების პროგნოზირება

უზუსტობების პროგნოზირების პროცესი აღწერილია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 17.3-8

უზუსტობების ოდენობის პროგნოზირების საფეხურები	
1.	გამოითვალით თითოეული მუხლისთვის უზუსტობის ხვედრითი წილი პროცენტებში. თუ აღმოჩენილი თანხა 50 ევრო, მაგრამ უნდა ყოფილიყო 60 ევრო, უზუსტობა შეადგენს 10 ევროს, ანუ 17%-ს (10/60).
2.	გამოითვალით უზუსტობების ხვედრითი წილების ალგებრული ჯამი.
3.	გამოითვალით უზუსტობების ხვედრითი წილის საშუალო ერთი შერჩეული მუხლისთვის, უზუსტობების მთლიანი ხვედრითი წილის გაყოფით შერჩევითი ერთობლიობის მუხლების (ყველა შერჩეული მუხლის) სრულ რაოდენობაზე (უზუსტობის მქონე და არმქონე).
4.	უზუსტობების ხვედრითი წილის საშუალო გაამრავლეთ გენერალური ერთობლიობის მთლიან ფულად ღირებულებაზე (საიდნაც ამოღებულია მაღალი ღირებულების მქონე და მთავარი მუხლები). ასე მივიღებთ პროგნოზირებულ უზუსტობას გენერალური ერთობლიობისთვის. ცხადია, ამ უზუსტობაში არ მოხვდება მაღალი ღირებულების მქონე და მთავარი მუხლების უზუსტობები, რომლებიც ადრე გამოვრიცხეთ გენერალური და, შესაბამისად, შერჩევითი ერთობლიობიდან.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ 50 ერთეულიანი შერჩევითი ერთობლიობა, რომელიც შევარჩიეთ 250,000 ევროს ღირებულების მქონე გენერალური ერთობლიობიდან, შეიცავდა შემდეგ სამ უზუსტობას:

ცხრილი 17.3-9

სწორი ღირებულება (ევრო)	აუდიტირებული ღირებულება (ევრო)	უზუსტობა (ევრო)	უზუსტობის ხვ. წილი (%)
500	400	100	20.00 %
350	200	150	42.86%
600	750	(150)	(25.00%)
შეცდომების მთლიანი % (უზუსტობების ხვედრითი წილების ალგებრული ჯამი)			37.86 %
უზუსტობების ხვედრითი წილების საშუალო: $37.86\% \div 50$ (შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა) =			0.7572 %
პროგნოზირებული უზუსტობა: $0.7572\% \times 250,000$ ევრო (გენერალური ერთობლიობა) =			1,893 ევრო

პროგნოზირებულ უზუსტობას ზოგჯერ „ყველაზე მეტად სარწმუნო შეცდომას“ უწოდებენ.

**მიმდინარეობა რჩევები**

**ანომალიები**

შეიძლება ზოგჯერ ცდუნდეთ და შერჩევით ერთობლიობაში გამოვლენილი ზოგიერთი უზუსტობა/გადახრა ანომალიად მიიჩნიოთ (ანუ, მიიჩნიოთ, რომ არ არის გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტაციული) და არ გაითვალისწიოთ ისინი გენერალური ერთობლიობის უზუსტობების პროგნოზირების დროს. თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ დამატებითი სამუშაოს შესრულება არის საჭირო იმის დასაღენად, არის თუ არა ესა თუ ის უზუსტობა/გადახრა გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტაციული:

- თუ გადახრა გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტაციულია, აუდიტორმა უნდა გამოიკვლიოს მისი ხასიათი და მიზეზი და შეაფასოს მისი შესაძლო გავლენა აუდიტორული პროცედურის მიზანსა და აუდიტის სხვა სფეროებზე;

### მითითებები რჩევები (გავრძელება)

- თუ გადახრას ანომალიად მიიჩნევს, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს მაღალი დონის რწმუნება იმის შესახებ, რომ ასეთი უზუსტობა ან გადახრა არ არის გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტაციული. აუცილებელი იქნება დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რათა აუდიტორმა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ უზუსტობა ან გადახრა გავლენას არ ახდენს გენერალური ერთობლიობის დანარჩენ ნაწილზე.

გათვალისწინეთი: როგორც ას 530.13-შია აღნიშნული, ანომალიები მხოლოდ უკიდურესად იშვიათ გარემოებებში გვხვდება.

### 17.4 ანალიზური ძირითადი პროცედურების ფარგლები

ანალიზური ძირითადი პროცედურები გამოიყენება ან როგორც ანგარიშის ნაშთის ძირითადი ტესტი, ან სხვა ტესტებთან, კერძოდ, ელემენტების ტესტებთან კომბინირებულად, რომელთა მოცულობა სათანადოდ შემცირდება.

1-ლი ტომის მე-10 თავი ეხება რისკის შემცირების ორ დონეს, რისი მიღწევაც შესაძლებელია ანალიზური ძირითადი პროცედურების ჩატარებით. რისკის ამგვარად შემცირება შეიძლება იყოს ძალიან ეფექტური (ე.ი. თუ ანალიზური პროცედურა პირველადი, ძირითადი ტესტია) და საშუალო დონეზე ეფექტური.

მარტივი ანალიზური პროცედურები (როგორიცაა გასული და მიმდინარე წლების შედეგების შედარება), თავისთავად, მცირე დამატებით აუდიტორულ მტკიცებულებებს უზრუნველყოფს, მაგრამ შეიძლება დაგეხმაროთ ისეთი საკითხის გამოვლენაში, რომელიც დამატებით გამოკვლევას საჭიროებს. ამ ტიპის ანალიზური პროცედურის გამოყენება შესაძლებელია სამეურნეო სუბიექტის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარებისა და საბოლოო ფინანსური ანგარიშების მიმოხილვის დროს.

ანალიზური ძირითადი პროცედურების შემუშავებისას აუდიტორმა უნდა:

- განსაზღვროს მოსალოდნელისგან გადახრის, სხვაობის ის სიდიდე (თანხობრივი), რომლის მისაღებად მიჩნევა შესაძლებელია დამატებითი გამოკვლევის გარეშე. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას იქონიებს არსებითობა და რისკის შემცირების სასურველ დონესთან შესაბამისობა;
- გათვალისწინოს იმის შესაძლებლობა, რომ კონკრეტული ანგარიშის ნაშთში, ოპერაციების კატეგორიაში ან განმარტებით შენიშვნებში არსებული უზუსტობების ერთობლიობამ შეიძლება მიუღებელ ოდენობას მიაღწიოს; და
- გაზარდოს რისკის შემცირების სასურველი დონე, არსებითი უზუსტობის რისკების ზრდის შესაბამისად.

#### ცხრილი 17.4-1

### ანალიზური ძირითადი პროცედურების მავალითი

კითხვები	პასუხი
აღწერეთ ჩასატარებელი პროცედურა და მოსალოდნელი შედეგი.	გაამრავლეთ ერთი ბინის ქირის საფასური გასაქირავებელი ბინების რაოდენობაზე, რათა განსაზღვროთ ბინებიდან მისაღები ამონავების საპროცენტო სიდიდე და შედეგი შეუდარეთ ამონავებს, რომელიც დაფიქსირებულია სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო ჩანაწერებში.
რა სიდიდისაა აღრიცხული თანხა ან კოეფიციენტი?	278,000 ლარი
რომელ მტკიცებებზე ტარდება ანალიზი?	სისრულე, არსებობა და სისწორე.
რამდენია გამოსაყენებელი სამუშაო არსებითობა?	10,000 ლარი

რა სიდიდის განსხვავება (აღრიცხულ თანხებსა და მოსალოდნელ ღირებულებებს შორის) იქნება მისაღები?	1%	
პროცედურის ჩატარების შემდეგ დარჩენილი არსებითი უზუსტობის რისკი (ე.ი. საშუალო ან დაბალი)	დაბალი	
აღწერეთ თითოეული მონაცემი, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი შედეგის გამოთვლაში (ე.ი. ფინანსური და არაფინანსური).	აღწერეთ პროცედურები, რომლებიც ჩატარდა თითოეული გამოყენებული მონაცემის საიმედოობის შესაფასებლად (გაითვალისწინეთ წყარო, შესადარისობა, ხასიათი, ტესტის მიზნისთვის შესაფერისობა და კონტროლის პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემის მომზადებასთან).	სლ #
გაქრავებული ერთეულები	გავეცანით შენობის სართულების გეგმებს და ფიზიკურად შევაძლებეთ შენობის ძირითადი ცვლილებები.	
2. ერთეულის ქირა	ჩვენ მიმოვინილეთ ფიარის ხელშეკრულებების შერჩევითი ერთობლიობა, რათა განგვესაზღვრა გადასახდელი ქირის ოდენობა.	
3.		
4.		
დოკუმენტებში ასახეთ გამოთვლების დეტალები, თქვენ მიერ გამოთვლილი მოსალოდნელი შედეგი და ასევე ბუღალტრულად ასახულ თანხასთან, ან კოეფიციენტთან შედარებით მიღებული შედეგები: გაქრავებული ერთეულების რიცხვი = 26; ერთეულის ქირა = 12,000 გვრო, წლიური გამოთვლა = $26 \times 12,000 = 312,000$ გვრო. საბუღალტრო ჩანაწერებში ასახულ რაოდენობასთან განსხვავება შეადგენს 34,000 გვროს.		
თუ მიღებული სხვაობა (აღრიცხულ თანხებსა და მოსალოდნელ ღირებულებებს შორის) აჭარბებს მისაღებ სიდიდეს, ახსენით, რა გამოკვლევა ჩატარდა და ასევე გამოკვლევის შედეგები (ე.ი. ხელმძღვანელობის გამოკითხვა, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება და სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარება).		
ჩვენ გამოვიკვლიუთ განსხვავება და დავადასტურეთ, რომ წლის განმავლობაში ყოველთვე საშუალოდ 2 ბინა (სხვადასხვა) ცარიელი იყო, ხოლო ერთი ერთეული არ ყოფილა გაქრავებული და გამოიყენებოდა შეხვერდებისთვის და შემთხვევაში სტუმრების დასაბინავებლად. ეს წარმოქმნის განსხვავებას 36,000 გვროს, ხოლო 2,000 გვრო რჩება აუსხველი განსხვავება. ეს თანხა ზემოთ აღწერილ მისაღებ ზღვარს ქვემოთ არის.		
დასკვნა: ტესტი წარმატებით დასრულდა.		

## მნიშვნელოვანი რჩევები

ძირითად ანალიზურ პროცედურაში არაფინანსური მონაცემების გამოყენებამ შეიძლება ხშირად გაამყაროს შედეგი. არაფინანსური მონაცემები შეიძლება შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა სახეზე მყოფ ადამიანთა (მომუშავეთა) დაოვლა, საცალო მაღაზიის ფართობი (კვ.მ) ან გაგზავნილი სპეციფიკური პროდუქტების რაოდენობა.

ანალიზური პროცედურების ჩატარებისას სავალდებულოა მოსალოდნელი მონაცემების გამოთვლა (მაგალითად, თანაფარდობა შესაბამის ნაშთებთან, წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები და ა.შ.) და მიღებული შედეგების შედარება ფინანსური ანგარიშების ინფორმაციასთან. თავი აარიდეთ საწინააღმდეგო მიღომას: არ დაიწყოთ ფინანსური ინფორმაციის ანალიზით და შემდეგ არ სცადოთ განსხვავებების ახსნა დამკვეთისა და მისი გარემოს შესწავლით მიღებული ცოდნის საფუძველზე. ანალიზური პროცედურები გაცილებით ძლიერია, როდესაც ეყრდნობა მოსალოდნელ შედეგებს, რომელსაც თქვენ გამოითვლით სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია ნებისმიერი არაფინანსური მონაცემების საიმედოობის დადგენა, სანამ გამოიყენებთ ძირითად ანალიზურ პროცედურაში.

## 17.5 კონტროლის ტესტები – ფაქტობრივი ეფექტიანობა

კონტროლის საშუალებების ტესტირებისთვის გამოყენებული აუდიტორული პროცედურები შედგება ერთი ან მეტი ქვემოთ განხილული ოთხი ტიპის პროცედურისგან.

ცხრილი 17.5-1

შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირებისთვის განკუთვნილი ტესტები	
პროცედურების ტიპები	შესაფერისი პერსონალის გამოკითხვა (გახსოვდეთ, მხოლოდ გამოკითხვა საკმარისი არ არის შიდა კონტროლის ფუნქციონირების ანუ ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირებისთვის).
	შესაბამისი დოკუმენტაციის დათვალიერება.
	სამეურნეო სუბიექტის ოპერაციებზე დაკვირვება.
	გამოყენებული კონტროლის პროცედურის ხელახლა შესრულება აუდიტორის მიერ.

## ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებები

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
315.14	<p>აუდიტორმა წარმოდგენა უნდა შეიქმნას კონტროლის გარემოზე. ამ მიზნით, სხვასთან ერთად, აუდიტორმა უნდა შეაფასოს:</p> <p>ა) ხელმძღვანელობამ, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობით, ჩამოაყალიბა და ინარჩუნებს თუ არა პატიოსნებისა და ეთიკური ქცევის კულტურასა; და</p> <p>ბ) კონტროლის გარემოს ელემენტების ძლიერი შხარები ერთობლივად უზრუნველყოფს თუ არა სათანადო საფუძველს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებისთვის და ამ სხვა კომპონენტებს ხომ არ მიაყენეს ზიანი კონტროლის გარემოში არსებულმა ნაკლოვანებებმა. (იხ.: პუნქტები გ69-გ78)</p>

ყოვლისმომცველი კონტროლის საშუალებების ტესტირება, რომელიც არსებობს სამეურნეო სუბიექტის დონეზე, უფრო სუბიექტური ხასიათისაა (როგორიცაა, მაგალითად, ხელმძღვანელობის კომპეტენტურობის ვალდებულების შემოწმება, ან მისაღები ქცევების შესახებ სამეურნეო სუბიექტის პოლიტიკის გაგება), ვიდრე კონკრეტული საოპერაციო კონტროლის საშუალებების. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული კონტროლის საშუალებები ერთობლივად ქმნის სათანადო საფუძველს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტებისათვის.

შემდეგ ცხრილში განხილულია ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებების ტესტირების რამდენიმე მეთოდი.

ცხრილი 17.5-2

კონტროლის გარემო	შესაძლო კონტროლის ტესტები
პატიოსნებისა და სხვა ეთიკური ღირებულებების ინფორმირება და ცხოვრებაში გატარება	<ul style="list-style-type: none"> <li>წაიკითხეთ სამეურნეო სუბიექტის განცხადება ვებგვერდზე, ასევე ქცევის კოდექსი ან მისი ანალოგიური დოკუმენტი.</li> <li>მიმოიხილეთ თანამშრომლების ინფორმირებისთვის გამოყენებული მეთოდები.</li> <li>გაესაუბრეთ თანამშრომელთა შერჩევით ერთობლიობას.</li> </ul>

კონტროლის გარემო	შესაძლო კონტროლის ტესტები
კომპეტენტურობის ვალდებულება	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმოიხილეთ თანამშრომელთა სამსახურში აყვანისა და დათხოვნის პოლიტიკა.</li> <li>მიმოიხილეთ სამუშაოთა აღწერილობები (თანამშრომელთა ფუნქციები) და დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია შერჩეული თანამშრომლების პირად საქმეებში.</li> </ul>
მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმოიხილეთ ნებისმიერი განხორციელებული თვითშეფასება.</li> <li>მიმოიხილეთ საბჭოს წევრების კვალიფიკაცია და საბჭოს სხდომის ოქმები.</li> <li>დაესწარით სხდომას, როგორც დამკვირვებელი.</li> </ul>
ხელმძღვანელობის მსოფლმხედველობა და მუშაობის სტილი	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმოიხილეთ ნებისმიერი დოკუმენტაცია.</li> <li>ჩაატარეთ შერჩეულ თანამშრომლებთან გასაუბრება.</li> </ul>
ორგანიზაციული სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>სტრუქტურა მიმოიხილეთ მოცემული ტიპის სამეურნეო სუბიექტების საუკეთესო პრაქტიკის ფორმები.</li> </ul>
უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დანაწილება	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმოიხილეთ ნებისმიერი დოკუმენტაცია, როგორიცაა, სამუშაოთა აღწერილობა.</li> </ul>
საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმოიხილეთ საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა და მათი დაცვის მდგომარეობა.</li> <li>მიმოიხილეთ თანამშრომელთა პირადი საქმეები მათი შეფასების, პრაქტიკული წვრთნის პროგრამებზე დასწრებისა და ა.შ. საკითხებზე წარმოდგენის შესაქმნელად.</li> </ul>

მსგავსი ტიპის კონტროლის ტესტები შეიძლება შემუშავდეს სხვა ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებებისთვისაც, როგორიცაა:

- რისკის შეფასება;
- საინფორმაციო სისტემები;
- მონიტორინგი;
- საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ანგარიშების დახურვის პროცესი; და
- თაღლითობის საწინააღმდეგო კონტროლის საშუალებები.

ყოვლისმომცველი კონტროლის საშუალებების ტესტების შედეგების დოკუმენტირება შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე საოპერაციო შიდა კონტროლის საშუალებების (მაგალითად, როდესაც ამოწმებთ, სანქციორებული იყო თუ არა გადახდა, ამის დოკუმენტირება შესაძლებელია მარტივად დაიახ/არა პასუხით). შედეგად, ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის და საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები) კონტროლის საშუალებები ხშირად დოკუმენტირდება აუდიტის ფაილში შესატანი მემორანდუმების სახით, შესაბამის მხარდაჭერ მტკიცებულებებთან ერთად.

მაგალითად, იმის შესამოწმებლად, ხელმძღვანელობამ ყველა თანამშრომელს მიაწოდა თუ არა ინფორმაცია პატიონსნებისა და ეთიკური ღირებულებების აუცილებლობის შესახებ, ასევე როგორ მოხდება მათი ცხოვრებაში გატარება, შეიძლება შეირჩეს თანამშრომელთა შერჩევითი ერთობლიობა გასაუბრებისათვის. მათ შეიძლება ჰკითხოთ, რა ინფორმაცია აქვთ მიღებული ხელმძღვანელობისგან, რა პოლიტიკა და პროცედურები არსებობს, რა ღირებულებების დემონსტრირებას ახდენს ყოველდღიურად ხელმძღვანელობა და სინამდვილეში მოქმედებს თუ არა ეს პოლიტიკა. თუ თანამშრომელთა საერთო პასუხი არის ის, რომ ხელმძღვანელობამ ნამდვილად აცნობა მათ პატიონსნებისა და ეთიკური ღირებულებების აუცილებლობის შესახებ და არსებობს შემთხვევები, რომელიც ამტკიცებს, რომ აღნიშნული პოლიტიკა ცხოვრებაში ტარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ტესტი წარმატებული იყო. თითოეული თანამშრომელის გასაუბრების დეტალები და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (როგორიცაა სამეურნეო სუბიექტის პოლიტიკა, თანამშრომელთა ინფორმირებისა და ამ პოლიტიკის აღმინისტრირების მეთოდები) შემდეგ ჩაიწერება ფაილში ჩასართავ მემორანდუმში, გამოტანილ დასკვნებთან ერთად.

## მითითებების რჩევები

### კადა

უმჯობესია ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებების ტესტი აუდიტის ადრეულ ეტაპზე ჩატარდეს. ამ ტიპის კონტროლის ტესტების შედეგები გავლენას იქონიებს სხვა დასაგეგმი აუდიტორული პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ ხელმძღვანელობის პოზიცია (დამოკიდებულება) შიდა კონტროლის მიმართ არც ისეთი კარგია, როგორც მოსალოდნელი იყო, საჭირო გახდება დამატებითი პროცედურების ჩატარება ანგარიშების ნაშთებისა და ოპერაციების კატეგორიებთან მიმართებით.

### დაგეგმვა

დრო დაუთმეთ ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) კონტროლის საშუალებების ტესტირებისთვის ყველაზე შესაფერისი გზის განსაზღვრას. გათვალისწინეთ გამოკითხვების, დაკვირვების, კონტროლის პროცედურების თქვენ მიერ თავიდან შესრულებისა და დათვალიერების პროცედურების ერთობლივად გამოყენება, სათანადო კომბინაციით.

### ღია კითხვების დასმა

თავი აარიდეთ ისეთი კითხვების დასმას, რომლის პასუხი უნდა იყოს დიაზ/არა. ამის ნაცვლად, დასვით ისეთი კითხვები, რომლის პასუხიდან შეიძლება შეიტყოთ თქვენთვის აქამდე უცნობი ინფორმაცია. მაგალითად, იკითხეთ „ოდესმე თუ უთხოვიათ თქვენთვის გადაგეხვიათ დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ან გაგეკეთებინათ ისეთი რამ, რის გამოც თავს უხერხულად იგრძნობდით?“ ასევე განსოვდეთ: ყურადღებით უნდა უსმინოთ პიროვნების პასუხს და დაკვირდეთ მისი სხეულის ენას, რათა შეამჩნიოთ უხერხულობა ან მღელვარება პასუხის გაცემის დროს.

### გადაუჭრელი საკითხების შემოწმება

თუ ხელმძღვანელობა ან თანამშრომელი უარს აცხადებს მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, ან თქვენ მოიპოვეთ მოულოდნელი ინფორმაცია, სათანადო შეამოწმეთ (გამოიკვლიეთ) ეს ინფორმაცია და აუცილებელი ცვლილებები შეიტანეთ აუდიტის საერთო სტრატეგიასა და დაგეგმილ პროცედურებში.

### კონტროლის საშუალებების მონიტორინგი დიდ სამეურნეო სუბიექტებში

ზოგიერთმა დიდმა სამეურნეო სუბიექტმა შეიმუშავა სამეურნეო სუბიექტის დონის მონიტორინგის კონტროლის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მტკიცებულებებს სამეურნეო სუბიექტის დონის კონტროლის საშუალებების მუდმივი მოქმედების თაობაზე. თუ ასეთ შემთხვევასთან გაქვთ საქმე, განიხილეთ, შესაძლებელია თუ არა ამგვარი კონტროლის საშუალებების ნდობა, სხვა აუცილებელი ტესტირების საერთო მოცულობის შესამცირებლად.

მართალია, ყოვლისმომცველი (სამეურნეო სუბიექტის დონის) და საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებების ტესტირება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებითა და პროფესიული მსჯელობის საფუძველზე ხდება, მაგრამ არ სებობს ისეთი სიტუაციებიც, როდესაც მიზანშეწონილია რეპრეზენტაციული შერჩევითი ერთობლიობის გამოყენება ტესტირებისთვის. ამის მაგალითია სიტუაცია, როდესაც არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ ყოველთვიურად იხილავენ ფინანსურ ანგარიშებს და სათანადო ზომებს ატარებენ.

### საოპერაციო კონტროლის საშუალებები – ატრიბუტული ნიშნებით შერჩევა

კონტროლის ტესტები მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმის შესახებ, რომ კონტროლი ეფექტურად ხორციელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორიცაა წელიწადი.

ვინაიდან საოპერაციო კონტროლის პროცედურები ან ეფექტურიანად მუშაობს, ან არა, აზრი არა აქვს კონტროლის ისეთი პროცედურის მუშაობის ტესტირებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, სანდო არ გამოდგება. არასამედრო ისეთი კონტროლის საშუალებები, სადაც გადახრის აღბათობა არსებობს. კონტროლის ტესტების შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა ხშირად მცირეა, რადგან თავად კონტროლის ტესტების ჩატარების საჭიროების მიღვომა ეყრდნობა გამონაკლისების არარსებობას. სხვაგვარად, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა გაცილებით დიდი იქნებოდა.

შემდეგ ცხრილში განხილულია კონტროლის საშუალებების სანდოობის შეფასებისას გასათვალისწინებელი რამდენიმე ფაქტორი.

### ცხრილი 17.5-3

კონტროლის ტესტების შემუშავება	
გასათვალისწინებელი ფაქტორები	შესაძლებელია, რომ დადგენილ პროცედურებს ხელმძღვანელობამ გვერდი აუაროს?
	კონტროლის პროცედურა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მანუალურ ელემენტს, სადაც დიდია შეცდომის ალბათობა?
	სუსტია კონტროლის გარემო?
	არადამაკაყოფილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების საერთო კონტროლის საშუალებები?
	არადამაკაყოფილებელია შიდა კონტროლის უწყვეტი მონიტორინგის პროცედურები?
	პერიოდის განმავლობაში განხორციელდა პერსონალის იმგვარი ცვლილება, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქნიებდა კონტროლის პროცედურების შესრულებაზე?
	კონტროლის პროცედურების შესრულებაში ჩართული თანამშრომელთა მცირე რიცხვის გამო, აზრი ხომ არ ეკარგება მოვალეობების დანაწილებას?
	გარემოებების ცვლილებამ ხომ არ გამოიწვია კონტროლის პროცედურებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა?

### არაპირდაპირ შიდა კონტროლის საშუალებებზე დაყრდნობა

გაითვალისწინეთ ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების აუცილებლობა, რომლებიც განამტკიცებს მნიშვნელოვანი არაპირდაპირი შიდა კონტროლის საშუალებების ეფექტიან მოქმედებას. არაპირდაპირი ისეთი კონტროლის საშუალებებია, რომელზეც დამოკიდებულია სხვა კონტროლის საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, ცალკეული პროცესების მიერ შექმნილი არაფინანსური ინფორმაცია, გამოვლენილი გადახრების (გამონაკლისების) მიმართ გამოყენებული მიღომა და მენეჯერების მიერ ამ ანგარიშების პერიოდული მიმოხილვა. იქ, სადაც არაპირდაპირი შიდა კონტროლის საშუალებები მნიშვნელოვანია, აუცილებელი იქნება მათი ფაქტობრივი მუშაობის ეფექტიანობის შესახებ მტკიცებულებების მოპოვება. თუ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელიმე მნიშვნელოვანია, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ძირითადი პროცედურების ჩატარება.

კონტროლის ტესტების შემუშავებისას აუდიტორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ მტკიცებულებაზე, რომელსაც მოიპოვებს შესაბამის განსახილველ მტკიცებებთან მიმართებით (ფინანსური ანგარიშების ადგილები, სადაც შეიძლება უზუსტობა არსებობდეს) და არა თავად კონტროლის პროცედურის სასიათზე. კონტროლის საშუალებები განკუთვნილია რისკების შესამცირებლად და, მაგალითად, რეალიზაციის ოპერაციების სისრულის უზრუნველსაყოფად.

კონტროლის ტესტების დაგეგმვას გააჩნია რამდენიმე პრაქტიკული უპირატესობა, რომლებიც, პირველ რიგში, მიმართულია განსახილველ მტკიცებაზე:

- ტესტირებული კონტროლის საშუალებები შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებთან;
- ვინაიდან ტესტის მიზანი დამოუკიდებელი არ არის კონკრეტულ კონტროლის საშუალებებზე, შეიძლება შემოწმდეს სხვა კონტროლის საშუალებებიც (ან კონტროლის მიზნები), რომლებიც იმავე რისკებზე რეაგირებენ. ამიტომ შესაძლებელი ხდება ტესტირებაში არაპროგნოზირებადობის ან ცვალებადობის ელემენტის გათვალისწინება; და
- უფრო ადვილია სამეურნეო სუბიექტის მიერ შემოღებული ახალი კონტროლის პროცედურების შეფასება და ტესტირება, რომლებიც ერთსა და იმავე მტკიცებებთან არის დაკავშირებული.

კონტროლის ტესტები ხშირად იმისთვისაა განკუთვნილი, რომ უზრუნველყოს კონტროლის რისკის დაბალი ან საშუალო დონე (რისკის შემცირების (რწმუნების) მაღალი ან დაბალი დონე) იმის შესახებ, რომ კონტროლის პროცედურა, რომლის ტესტირებაც ტარდება, ეფექტიანად მუშაობს.

კონტროლის ტესტების შემუშავებისას აუდიტორმა შეიძლება სასარგებლოდ მიიჩნიოს რწმუნების ორი დონის განხილვა, რომლის მიღებაც შესაძლებელია კონტროლის ტესტებიდან:

- რწმუნების მაღალი დონე (დარჩენილი რისკის დაბალი დონე). ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კონტროლის ტესტებიდან მიღებული მტკიცებულებაა მთავარი; და
- რწმუნების საშუალო დონე (დარჩენილი რისკის საშუალო დონე). ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კონკრეტულ მტკიცებასთან მიმართებით ერთობლივად ტარდება კონტროლის ტესტები და სხვა ძირითადი პროცედურები.

კონტროლის ტესტებში ხშირად გამოიყენება ატრიბუტული ნიშნებით შერჩევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდიც დროს გამოიყენება ძალიან მცირე მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გამოვლინდეს კონტროლიდან გადახრის ის დონე, რომელიც გადახრის დასაშვებ დონეს აჭარბებს.

#### **ცხრილი 17.5-4**

<b>უპირატესობები</b>	
<b>ატრიბუტული ნიშნებით/აღმოჩენი შერჩევა</b>	შიდა კონტროლის ფაქტორივი ეფექტიანობის ტესტირებისთვის იდეალურია ისეთი კონტროლის პროცედურების ტესტირება, რომლებიც აუდიტორმა უკვი შეაფასა ძალიან საიმედოდ, კონტროლის სტრუქტურისა და მუშაობის შეფასების დროს.
	თუ კონტროლის რომელიმე პროცედურის შესრულებაში მოსალოდნელია რაღაც დონის გადახრა, რეკომენდებულია, რომ აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაითვალისწინოთ სხვა შესაძლო მიღვომების გამოყენება.
	თუ ასეთ კონტროლის ტესტში, შერჩევით ერთობლიობაში გადახრა არ გამოვლინდება, აუდიტორს შეუძლია მიიჩნიოს, რომ კონტროლის პროცედურა ეფექტიანად სრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, უფრო ეფექტურად მიიჩნევა ამ პროცედურის შეჩერება და მის ნაცვლად სხვა, ძირითადი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. კონტროლიდან მხოლოდ ერთი გადახრაც კი, სავარაუდოდ, გამოიწვევს კონტროლის რისკის შეფასებული დონის შეცვლას. გადახრის აღმოჩენის შემდეგ ტესტის გასაგრძელებლად საჭირო იქნება შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდა შეიძლება სხვა გადახრები აღარც გამოვლინდეს.

#### **შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრა**

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა} = \frac{\text{საიმედოობის ფაქტორი}}{\text{გადახრის დასაშვები დონე}} \div \text{გადახრის დასაშვები დონე}$$

კონტროლის საშუალებების ფაქტორივი ეფექტიანობის ტესტირების დროს, როდესაც მინიმალური ნდობაა დაგეგმილი სხვა შესრულებულ სამუშაოზე, ხშირად გამოიყენება რწმუნების 90%-იანი დონე (შესაბამისი საიმედოობის ფაქტორი = 2.3) (იხ. საიმედოობის ფაქტორის ცხრილი 17.3-2).

გადახრის მაქსიმალური დასაშვები დონე შეიძლება იყოს 10%. ამ შემთხვევაში შერჩევითი ერთობლიობის უმცირესი მოცულობა იქნება 23 ერთეული, რაც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საიმედოობის ფაქტორი (2.3)} \div \text{გადახრის დასაშვები დონე (0.1)} = \\ = \text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობას 23-ს.}$$

თუ აუდიტორს ამა თუ იმ კონკრეტული მტკიცებისთვის მოპოვებული აქვს სხვა მტკიცებულებები (კერძოდ, ძირითადი აუდიტორული პროცედურებიდან მოპოვებული მტკიცებულებები), საიმედოობის ფაქტორი შეიძლება შემცირდეს ისე, რომ აუდიტორმა კონტროლის პროცედურის ფაქტორივი ეფ-

ექტიანობის ტესტირების გზით რისკი მხოლოდ საშუალო დონემდე შეამციროს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია რწმუნების 80%-იანი დონის გამოყენება (შესაბამისი საიმედოობის ფაქტორი = 1.61), რაც შერჩევითი ერთობლიობის მოცულობას 8-მდე შეამცირებს. ზოგიერთი აუდიტური ფირმა ოდნავ მაღალი დონის საიმედოობის ფაქტორებს იყენებს, რის შედეგადაც მიიღება შერჩევითი ერთობლიობის მინიმალური მოცულობა 10 ერთეული, რისკის შემცირების საშუალო დონის მისაღწევად და 30-ერთეულიანი შერჩევითი ერთობლიობა – რისკის შემცირების მაღალი დონის მისაღწევად.

### **შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა**

შემდეგ ცხრილში აღწერილია შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის პროცესი.

#### **ცხრილი 17.5-5**

<b>აუცილებელი ქმედებები</b>	
<b>შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა</b>	განსაზღვრეთ პროცედურის მიზანი და მტკიცებულება, რომელსაც იგი უზრუნველყოფს იმ მტკიცებების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს ტესტირებისთვის გამიზნული კონტროლის პროცედურის ატრიბუტულ ნიშნებს.
	შეარჩიეთ გენერალური ერთობლიობა, რომლის მუხლები ტესტირების მიზნის შესაფერისია. ტესტირებისთვის გამიზნული მტკიცების მიხედვით შესაფერისი გენერალური ერთობლიობა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურები შეგიძლიათ აირჩიოთ რეალიზაციის ოპერაციების არსებობის მტკიცების ტესტირებისთვის, მაგრამ ეს დოკუმენტები არ უზრუნველყოფს მტკიცებულებებს რეალიზაციის სისრულის მტკიცებაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უკეთესი არჩევანი იქნება მიღებული შეკვეთის ან საქონლის გაგზავნის დოკუმენტების მოძებნა და მათი შედარება ანგარიშ-ფაქტურასთან (ინვოისთან) და შემდეგ მოთხოვნების ანგარიშებთან.
	განსაზღვრეთ შერჩევითი ერთობლიობის უმცირესი მოცულობა, რომელიც აუცილებელია რისკის შემცირების საჭირო დონის მისაღწევად. შესამცირებელი რისკის დონე შეიძლება იყოს მაღალი ან საშუალო.

#### **კონტროლის პროცედურები, რომლებიც ყოველდღიურად არ მოქმედებს**

შერჩევითი ერთობლიობების შესარჩევად კონტროლის ისეთი პროცედურების ტესტირებისთვის, რომლებიც ყოველდღე არ ხორციელდება, შეიძლება დაგეხმაროთ შემდეგი მითიოებები. თუმცა, გახსოვდეთ, შერჩევითი ერთობლიობის რეალური მოცულობა ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ მსჯელობას.

#### **ცხრილი 17.5-6**

<b>კონტროლი მოქმედებს</b>	<b>შერჩევითი ერთობლიობის რეკომენდებული მინიმალური მოცულობა</b>	<b>პროცენტული დაფარვა ტესტით</b>
ყოველკვირეულად	10	19%
ყოველთვიურად	2-4	25%
კვარტალურად	2	50%
ყოველწლიურად	1	100%

## მითითებები რჩევები

როდესაც შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირებისთვის სტატისტიკური შერჩევის მეთოდი გამოიყენება, შერჩევითი ერთობლიობის საჭირო მოცულობა არ იზრდება გენერალური ერთობლიობის ზრდასთან ერთად. ძალიან მცირე მოცულობის, ვთქვათ, 30 ერთეულისგან შემდგარმა შემთხვევითმა შერჩევითმა ერთობლიობამ, რომელშიც გადახრა არ გამოვლინდება, შეიძლება მოვცეს მაღალი დონის რწმუნება იმის შესახებ, რომ კონტროლი ფუნქციონირებს ეფექტიანად.

როდესაც მუშაობთ კონტროლის ტესტების შექმნაზე, კარგად გაიაზრეთ და ზუსტად განსაზღვრეთ, მოცემულ ტესტში რა იქნება შეცდომა ან გადახრა. ამით დაზოგავთ დროს ტესტის შესრულებისას, ან შედეგების შეფასებისას და აღარ შეგაწუხებთ ეჭვები იმის დადგნაზე, რა იქნება კონტროლიდან გადახრა.

თუ კონტროლის რომელიმე პროცედურის შესრულებაში მოსალოდნელია რაღაც დონის გადახრა, რეკომენდებულია, რომ აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაითვალისწინოთ სხვა შესაძლო მიღვომების გამოყენება.

ქვემოთ მოცემულია მარტივი გეგმა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ატრიბუტული ნიშნებით შერჩევაში:

95% რწმუნების დონეზე დაყრდნობით (გადახრის დონე 5%) მიიჩნევა, რომ:

- 10-ერთეულიანი შერჩევითი ერთობლიობა, სადაც არ გამოვლინდება გადახრა, უზრუნველყოფს საშუალო დონის რისკის შემცირებას. თუ გადახრა გამოვლინდება, რისკი არ შემცირდება;
- 30-ერთეულიანი შერჩევითი ერთობლიობა, სადაც არ გამოვლინდება გადახრა, უზრუნველყოფს მაღალი დონის რისკის შემცირებას. თუ ერთი გადახრა გამოვლინდება, შესაძლებელია მხოლოდ საშუალო დონის რისკის შემცირება. თუ ერთზე მეტი გადახრა გამოვლინდება, საერთოდ არ შემცირდება რისკი;
- 60-ერთეულიანი და უფრო დიდი შერჩევითი ერთობლიობა, სადაც არ გამოვლინდება გადახრა, უზრუნველყოფს მაღალი დონის რისკის შემცირებას. თუ ორი გადახრა გამოვლინდება, შესაძლებელია მხოლოდ საშუალო დონის რისკის შემცირება. თუ ორზე მეტია გადახრა, კონტროლის ტესტებით ვერ მიიღწევა რისკის შემცირება.

### 17.6 გადახრების შეფასება

გადახრების შეფასების პროცესი აღწერილია შემდეგ ცხრილში:

#### ცხრილი 17.6-1

	აუცილებელი ქმედებები
გადახრების შეფასება	დაადგინეთ, რა მიიჩნევა გადახრად. შერჩევითი ერთობლიობის თითოეულ მუხლს მიანიჭეთ შემდეგი ორი კლასიფიკაციიდან ერთ-ერთი: „გადახრა” ან „არაგადახრა”.
	თითოეული გადახრის ხასიათი და მიზეზი ყურადღებით უნდა გამოიგვლიოთ. მაგალითად, ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლის იგნორირების ან შესაძლო თაღლითობის ნიშნები არსებობს, თუ პრობლემა გამოწვეული იყო პასუხისმგებელი პირის შვებულებაში ყოფნით?
	გაითვალისწინეთ შერჩევის რისკი. თუ გადახრები გამოვლინდა, განიხილეთ: კონტროლის ეფექტიანობაზე დაყრდნობის ხარისხი უნდა შემცირდეს, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა უნდა გაიზარდოს (იხილეთ ქვემოთ), თუ აღტერნატიული პროცედურები უნდა შესრულდეს.

## მიზანები რჩევები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზრი არა აქვს კონტროლის საშუალებების ტესტირებას, თუ მოსალოდნელია, რომ გადახრები გამოვლინდება. ამის მიზეზი ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო დონის რწმუნების მისაღწევად ერთადერთი გზაა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდა. შემდეგ, თუ სხვა გადახრა გამოვლინდება, საჭირო გახდება შერჩევითი ერთობლიობის კვლავ გაზრდა და ა.შ. გაცილებით უკეთესი იქნება აღტერნატიული პროცედურების შესრულება, ვიდრე შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდა.

ერთი შესაძლო გამონაკლის იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია კონკრეტული ტიპის გადახრის მიზეზის ზესტად დადგენა და გათვალისწინება ტესტის შემუშავებაში. მაგალითად, შესაძლებელია გარკვეული პერიოდის გამოვლობაში (ვთქვათ, მაშინ, როდესაც პიროვნება, რომელიც ჩვეულებისამებრ კონტროლის პროცედურას ასრულებს, შეგძლებაშია) გამოვლენილი გადახრების გამოკვლევა, ზოგიერთი ძირითადი პროცედურის შესრულების ნაცვლად.

შერჩევითი ერთობლიობის ტესტირების შედეგები შეიძლება შეფასდეს დასაშვები გადახრის მაქსიმალური დონის შედარებით ე.წ. გადახრის ზედა ზღვართან. გადახრის ზედა ზღვრის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$\text{გადახრის ზედა ზღვარი} = \frac{\text{კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი}}{\text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაზე}}$$

კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი ეყრდნობა გამოვლენილი გადახრების რიცხვს, როგორც ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში.

### ცხრილი 17.6-2

კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი გამოვლენილი გადახრების რიცხვის მიხედვით					
საჭირო რწმუნების დონე	1	2	3	4	5
95%	4.7	6.3	7.8	9.2	10.5
90%	3.9	5.3	6.7	8.0	9.3
80%	3.0	4.3	5.5	6.7	7.9
70%	2.4	3.6	4.7	5.8	7.0

მაგალითად, დავუშვათ, რომ ტესტირებისთვის შერჩეულია 30 მუხლი (რწმუნების დონე 90% და გადახრის მაქსიმალური დასაშვები დონე – 10%) და გამოვლინდა ორი გადახრა. გადახრის ზედა ზღვარი გამოითვლება შემდეგი ფორმულით.

$$\text{კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი (5.3)} \div \text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა (30)} = \text{გადახრის ზედა ზღვარი 17\%}$$

17% შედეგი გაცილებით მაღალია, ვიდრე გადახრის მაქსიმალური დასაშვები დონე 10%, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტროლის ეფექტიანობაზე ნდობა (დაყრდნობა) უნდა შემცირდეს. თუმცა, თუ გადაწყვეტი შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდას, იგი უნდა გაიზარდოს 60 მუხლამდე და სხვა გადახრები აღარ უნდა გამოვლინდეს. ამით გადახრის ზედა ზღვარი შემცირდება (როგორც უს ქვემოთ არის გამოთვლილი) მისაღებ დონემდე (ე.ი. მიუახლოვდება თავდაპირველ 10%-ის ზღვარს).

$$\text{კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი (5.3)} \div \text{შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა (60)} = \text{გადახრის ზედა ზღვარი 9\%}.$$

თუმცა, თუ კიდევ გამოვლინდება გადახრა, კიდევ ერთხელ საჭირო გახდება შერჩევითი ერთობლი-ობის მოცულობის გაზრდა, სასურველი შედეგის მისაღწევად. ეს, ალბათ, არ იქნება აუდიტის დროის ეფექტურად გამოყენება, რადგან შეიძლება კიდევ გამოვლინდეს გადახრა.

$$\frac{\text{კორექტირებული საიმედოობის ფაქტორი (6.7)}{\text{შერჩევითი ერთობლიობის მოცუ-}} \\ \text{ლობა (75)} = \text{გადახრის ზედა ზღვარი } 9\%.$$

## 17.7 სასწავლო მაგალითები – ტესტირების მოცულობა

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

#### **ტესტირების მოცულობის განსაზღვრა**

#### **დამატებითი პროცედურების შემუშავება – მოთხოვნების ანგარიშები**

შემდეგი ცხრილი ასახავს მოთხოვნების ანგარიშების აუდიტის პროგრამას. პროგრამა მოიცავს მოთხოვნების ანგარიშების სტატისტიკურ შერჩევით ერთობლიობას.

#### **„დეფტა ავეჯი“**

#### **მოთხოვნების ანგარიშები – აუდიტორული პროცედურები**

დამკვეთი: „დეფტა ავეჯი“

პროცედურები	განსახი-ლველი მტკიცებები	სამუშაო შესრულა (ინიცია-ლები)	სდ-ის მითი-თება	კომენტარები
<b>პროცედური</b>				
1. ანალიზური პროცედურები გამოითვალიეთ მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთებისთვის მოსალოდნელი შედეგები, სამეცნიერო სებიექტის შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.  გამოიკვლიეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები ან ტენდენციები: <ul style="list-style-type: none"> <li>• მოთხოვნების ანგარიშების ნაშთის;</li> <li>• ცალკეული კლიენტის მოთხოვნების ანგარიშების ასაკის;</li> <li>• მოთხოვნების ანგარიშების დღიური გაყიდვების;</li> <li>• მოთხოვნების ანგარიშების საკრედიტო ნაშთების;</li> <li>• სხვა მოულოდნელი გადახრების. ახსენით.</li> <li>• სხვა (არასაგაჭრო მოთხოვნების ანგარიშები)</li> </ul> შედეგები ასახეთ სამუშაო დოკუმენტებში.	საჭ	მაგ	C.120	მოთხოვნების ანგარიშების ნაშთი წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 60%-ით.  ასევე გაიზარდა დებიტორული დავალიანების აძღვების პერიოდი 39 დღიდან 45 დღემდე.

განსახი-ლებლი მტკიცებები	სამუშაო შეასრულა (ინიცია-ლები)	სდ-ის მითი-თება	კომენტარები
<b>2. მოთხოვნების სია</b> მოიპოვეთ მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთების სია: ა) შეამოწმეთ არითმეტიკული სიზუსტე და შეუდარეთ მთავარ წიგნს; ბ) შეამოწმეთ სახელწოდებები და თანხები დამსმარე (ანალიზური აღრიცხვის) წიგნთან შედარებით; გ) მოთხოვნების ანგარიშებთან დაკავშირებულ თანამშრომლებს გამოჰკითხეთ, ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც: • კლიენტს განსაკუთრებით მოექცნენ; • შეცვლილ იქნა რეალიზაციის პირობები; • ოპერაცია განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან; ან • როდესაც შიდა კრედიტის ლიმიტი მნიშვნელოვნად დაირღვა.	ა ბ ც	მაგ მაგ მაგ	C.110  არვანთან და კარ-ლასთან გასაუბრებიდან გავიგეთ, რომ რეალიზაციის პირობები სხვადასხვა კლიენტისთვის სხვადასხვანაირა, მაგრამ ამტკიცებს არვანი.
<b>3. საეჭვო ვალების ანარიცხები</b> დარწმუნდით, რომ საეჭვო ვალების ანარიცხები უკავშირდება კონკრეტულ ანგარიშებს და ადეკვატურია: ა) მიმოიხილეთ ხანდაზმული მოთხოვნების ანგარიშების საცდელი ნაშთი და შეუდარეთ წინა პერიოდებს.	ს.გ		C.120  გაიზარდა 60 დღეზე მეტი წნის მოთხოვნების ხვედრითი წილი წინა პერიოდის რეალიზაციასთან მიმართებით.  არვანთან ერთად განვიხილეთ გადაგუდაცილებული ანვარიშების სია და მოვაბევეთ ინფორმაცია საეჭვო ვალების ანარიცხების შესახებ.
ბ) მიმოიხილეთ საანგარიშებო პერიოდის დასრულების შემდეგ გადახდილი დავალიანების თანხები (თუ შესაძლებელია მოიპოვეთ ხანდაზმული ანგარიშის საბოლოო საცდელი ნაშთი და ნახეთ, გატარებულია თუ არა პერიოდის შემდეგ ამოღებული თანხა).	ც.გ	მაგ	
<b>4. დროში გამიჯვნა</b> შეასრულეთ და დოკუმენტებში ასახეთ დროში გამიჯვნის პროცედურები.	ც	მაგ	C.115  მოვიპოვეთ უკანდაბრუნებული გაყიდული საქონლის სია, როდესაც ვატარებდით დროში გამიჯვნის პროცედურების ტესტირებას. გასულ წელს რამდენიმე დოზი ღირებულების საქონლი იყო დაბრუნებული.

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

განსახი-ლებლი მტაცებები	სამუშაო შეასრულა (ინიცია-ლები)	სე-ის მითი-თება	კომენტარები
			<p>რეალიზაციის ტესტირების პროცესში გავიცანით ხელშეკრულების პირობებს საქონლის უკან დაბრუნების შესახებ. იხ. სდ 503.1.</p> <p>განვიხილეთ საანგარიშებო თარიღის მახლობელ პერიოდში გაკეთებული ყველა საბუღალტრო გატარება. იხ. სდ 626</p>
<b>მირითადი პროცედურები – შერჩევა</b>			
<b>მ1. გაფართოებული დადასტურება</b> აირჩიეთ მოთხოვნების ანგარიშების დადასტურების სიიდან 15 ანგარიშის დასტური.	A7	ავ	C.200
შეაჯამეთ შედეგები და განსხვავებები გამოიკვლიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებისა და გამოკითხვის საშუალებით.			
<b>პრენტრილის ტესტები</b>			არავითარი
<b>გავართოებული პროცედურები – გამოვლენილი საეციფიკაციო თაღლითობის რისკებისთვის</b>			
<b>გ1. მოთხოვნების ანგარიშების დადასტურება (თაღლითობის რისკი)</b>	A7		C.200
a) შეამოწმეთ მომხმარებლების შერჩევითი ერთობლიობისთვის სახელწოდებები, მისამართები და ფაქსის/ტელეფონის ნომრები ტელეფონით, ან სამეწარმეო რეესტრის მეშვეობით, რათა დაადასტუროთ, რომ ისინი ნამდვილი, რეგისტრირებული კომპანიებია.			შევამოწმეთ 5 მომხმარებლის სახელწოდება, მისამართი და ფაქსის ნომერი შერჩეული დასტურის წერილებიდან. შეუსაბამოები (გადახრები) არ გამოვლენილა.
b) გათვალისწინეთ მომხმარებლების ვებგვერდებისა და მათ შესახებ ინტერნეტის ქსელში არსებული სხვა ინფორმაციის მიმოხილვა, დასტურის მოთხოვნების გაგზავნის პარალელურად, რომელშიც მოითხოვთ ანგარიშის დეტალებისა და რეალიზაციის ვადების/პირობების დადასტურებას. იყოთხეთ, არსებობს თუ არა „არაძირითადი“ (მეორადი) შეთანხმებები, ან რაიმე სპეციალური ვადები/პირობები ხელშეკრულებაში.			დავრეკეთ 2 მომხმარებელთან, რათა შეგვეძომებინა და დაგვედასტურებინა რეალიზაციის ხელშეკრულების დეტალები და პირობები. შეუსაბამოები (გადახრები) არ გამოვლენილა.
g) მიიღეთ მხოლოდ ხელმოწერილი დასტურის ორიგინალები.			

განსახი- ლველი მტკიცე- ბები	სამუშაო შესრუ- ლა (ინიცია- ლები)	სდ-ის მითი- თება	კომენტარები
<b>გ2. საეჭვო ვალების ანარიცხები</b>	გ	C.121	შეუსაბამისები (გადახრები) არ გამოვლენილა.
ა) შეამოწმეთ საანგარიშგებო თარიღის შემ- დგომი პერიოდის გადახდების 10-ერთეუ- ლიანი შერჩევითი ერთობლიობა, ბანკის დეპოზიტებთან შედარებით.			საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხმარებლებზე გაცემულია 2 მაკორუქტირებელი ფაქტურა, მაგრამ ისინი არ იყო არსებითი. მომხმა- რებლებმა დააბრუ- ნეს საქონელი, რადგან მიღებისას დაზიანებული აღმოჩნდა. გაურკვე- ველია, საქონელი ტრანსპორტირების დროს დაზიანდა, თუ უკვე დაზია- ნებული გავზაგნეს ქარხნიდან.
ბ) მიმოიხილეთ საანგარიშგებო თარიღის შე- მდეგ მომხმარებლებზე უკანდაბრუნებული საქონლისთვის გაცემული ყველა მაკორუ- ქტირებელი ფაქტურა. გათვალისწინეთ მომხმარებლების ფაილების ან რეალიზა- ციის დამადასტურებელი დოკუმენტების მიმოხილვა, საჭიროებისამებრ.			
გ) მიმოიხილეთ საანგარიშგებო თარიღის შე- მდეგ მომხმარებლების ანგარიშებზე ჩამოწე- რილი ყველა თანხა, რათა დარწმუნდეთ, რომ ეს ანგარიშები წინა პერიოდში საე- ჭვო არ ყოფილა.			

### ძირითადი პროცედურები – შერჩევა

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სტატისტიკური შერჩევითი ერთობლიობის ტესტის ნიმუში, რომელიც განკუთვნილია მოთხოვნების ნაშთების არსებობისა და სისწორის დასადგნად. დასადასტურებლად შერჩეული მომხმარებლებისთვის პირველად დოკუმენტად ავირჩიეთ ანგარიშ-ფაქტურები, რადგან ზოგიერთმა საცალო მოვაჭრემ მიუთითა, რომ ისინი არ დაადასტურებენ დავალიანების ფაქტობრივ საბოლოო ნაშთებს.

შევამოწმებთ სტატისტიკურ შერჩევით ერთობლიობას (ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევის გამოყენებით) მოთხოვნების არსებობისა და სისწორის დასადგნად.

კითხვა	პასუხი
<b>ტესტის მიზანი</b>	მოთხოვნების არსებობასა და სისწორეში დავრწმუნდეთ მოთხოვნების ანგარიშების ნაშთებიდან შერჩევითი ერთობლიობის შერ- ჩევით და დასტურის მოთხოვნის წერილების გავზაგნით.
<b>არსებითი უზუსტობების რისკები შესაბამის მტკიცებებში</b>	არსებობა = საშუალო რისკი სისწორე = დაბალი რისკი
<b>შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა</b>	მოთხოვნების ანგარიშების საბოლოო ნაშთები.
<b>გენერალური ერთობლიობის ფულადი ღირებულება</b>	177,203 ლარი
<b>სპეციფიკური მუხლები, რომლებიც ცალკე შეფასდება</b>	38,340 ლარი

შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტურობის ტესტირებით მიღებული რისკის შემცირება	საშუალო
სხვა პროცედურებით (როგორიცაა რისკის შესაფასებელი პროცედურები) მიღებული რის- კის შემცირება	შეზღუდული
გამოსაყენებელი საიმედოობის ფაქტორი (შემ- ცირება სხვა წყაროებიდან მიღებული რისკის შემცირების გათვალისწინებით)	დაგვემიღები კონტროლის ტესტები ამონაგების/მოთხოვნების/ფულადი სახსრების მიღების ციკლისთვის. გამოვიყენებთ 75% რწმუნების დონეს, ანუ 1.4 საიმედოობის ფაქტორს.
არსებითობა	15,000 ევრო
შერჩევითი ერთობლიობის საგარაუდო გადახრა	არავითარი

### შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრა

სპეციფიკური მუხლები ცალკე შემოწმდება. არსებობს ორი დაკავშირებული მხარის, კალიანი  
დეფტასა და ვინჯე შარმას მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ნაშთები 28,340 ევრო  
და 10,000 ევრო, შესაბამისად, რომელთა დადასტურება ცალ-ცალკე უნდა ჩავატაროთ.

სავაჭრო მოთხოვნების დარჩენილი ნაშთი 138,863 ევრო (177,203 ევრო – 38,340 ევრო) უნდა  
შევამოწმოთ არსებობასა და სისწორეზე, მოთხოვნების ანგარიშების დადასტურებების პროცე-  
დურით. ვინაიდან ზოგიერთ მომხმარებელს არ შეუძლია ფაქტობრივი ნაშთების დადასტურება,  
მოთხოვნების ანგარიშების დადასტურების საფუძვლად გამოვიყენებთ დამადასტურებელ ანგარიშ-  
ფაქტურებს და შემდეგ:

- შერჩევის ინტერვალს:  
სიზუსტე (არსებითობა)  $\div$  საიმედოობის ფაქტორზე  
 $15,000 \text{ ევრო} \div 1.4 (75\%) = 10,714 \text{ ევრო}$

- შერჩევითი ერთობლიობის მოცულობას:  
შესამოწმებელი გენერალური ერთობლიობა  $\div$  შერჩევის ინტერვალზე.  
გამოვრიცხავთ ზოგიერთ მუხლს ცალკე შესაფასებლად.  
 $138,340 \text{ ევრო} \div 10,714 \text{ ევრო} = 13 \text{ ერთეული}$

ვინაიდან გენერალური ერთობლიობის შერჩევის ერთეული ანგარიშ-ფაქტურებია, დადასტურების  
პროცედურის ჩასატარებლად უნდა შევარჩიოთ 13 ანგარიშ-ფაქტურისგან შემდგარი შერჩევითი  
ერთობლიობა და ასევე 2 დაკავშირებული მხარის ოპერაციის ნაშთები, რომელიც ზემოთ  
მივუთითოთ.

### ტესტირებისთვის ანგარიშ-ფაქტურების შერჩევა

დასადასტურებელი ანგარიშ-ფაქტურებისა და მომხმარებლების შერჩევითი ერთობლიობის შესარ-  
ჩევად ანგარიშ-ფაქტურები უნდა შევარჩიოთ ფულადი ერთეულების მიხედვით შერჩევის მეთოდით.  
სავაჭრო მოთხოვნების დარჩენილი ნაშთის 138,340 ევროსთვის საწყის წერტილად შევარჩიეთ 913  
ევრო. შერჩევის ინტერვალის 10,714 ევროს გამოყენებით შევარჩიეთ 13 ანგარიშ-ფაქტურა.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

ტესტირების მოცულობის განსაზღვრა

დამატებითი აუდიტორული პროცედურები – მოთხოვნების ანგარიშები

აუდიტორული პროცედურების პროგრამა „კუმარისათვის“

ნაშთი – მოთხოვნების ანგარიშები (მა)

საბაზისო ძირითადი პროცედურები:

პროცედურები	მტკი-ცებები	სამუშაოს შემსრულებლისა და სდის მითითება	კომენტარები
<b>ანალიზური პროცედურები</b> ანალიზური პროცედურების ჩატარება მოთხოვნების ანგარიშის ნაშთზე, ხანდაზმულობასა და ძირითად კოეფიციენტებზე და ტენდენციებისა და შედეგების შედარება წინა პერიოდთან დაკავშირდება.	საჭ	C.110 ლფ	დებიტორული დაგალიანების ამოღების პერიოდი 2 წლის წინ არსებული 58 დღიდან 106 დღემდე არის გაზრდილი. როგორც ჩანს, დებიტორული დაგალიანების ამოღების პერიოდის ზრდა ძირითადად განპირობა „დეფტას“ მოთხოვნების ნაშთის ზრდა.
<b>სია</b> გადახდის ვადების მიხედვით მომზადებული მოთხოვნების ანგარიშების სიის მოპოვება და რიცხვების არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება, მთავარ წიგნთან შედარება და ამ სიის განხილვა რუბისთან ერთად, მათ შორის, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ნაშთების. ანგარიშების ხანდაზმულობის სისწორის შემოწმება 5 ანგარიშ-ფაქტურის განხილვით, რომელსაც შევარჩევთ პროფესიული მსჯელობის საფუძველზე და დავრწმუნდებით, რომ „კუმარის“ მიერ გადახდის ვადების მიხედვით მომზადებული მოთხოვნების ანგარიშების ანალიტიკური ანგარიში სწორია.	წ	C. 105 ლფ	სია ემთხვევა მთავარ საბუღალტრო წიგნს და შეცდომები არ გამოვლინდა არც ანგარიშების ასაკში და არც რიცხვების არითმეტიკული სისწორის შემოწმებისას.
<b>საეჭვო ვალების ანარიცხები</b> საეჭვო ვალების ანარიცხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება რაჯისებან და მათი ხანდაზმულობის განხილვა. 90 დღეზე მეტი წნის ნაშთების ამოღების შესაძლებლობის (ალბათობის) საკითხის განხილვა. საანგარიშებო პერიოდის დასრულების შემდეგ მიღებული, გადახდილი დავალიანების თანხების სიის მოპოვება შემდგომი მოვლენების ტესტირების ჩასატარებლად.	გ	C. 120 ლფ	სია განვიხილავ რაჯისთან ერთად. მხოლოდ 2 ანგარიშია 90 დღეზე მეტი წნის „დეფტას“ 90 დღეზე მეტი წნის გადაუხდელი ანგარიშ-ფაქტურების ჯამური ოდენობა შეადგენს 10,590 ევროს. რაჯის მიაჩნია, რომ ეს თანხა მოლიანად ამოღებადია და მაღალი გადაიხდიან. ზოგიერთი ანგარიშ-ფაქტურა გადახდილია საანგარიშებო პერიოდის დასრულების შემდეგ.

პროცედურები	მტკი-ცებები	სამუშაოს შემსრულებლისა და სდ-ის მითითება	კომენტარები
<b>დროში გამიჯვნა</b> საანგარიშგებო თარიღის წინა და შემდგომი პერიოდის 10 ანგარიშ-ფაქტურის შერჩევითი ერთობლიობისა და დროში გამიჯვნის სხვა პროცედურების დოკუმენტების მიმოხილვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ოპერაციები აღრიცხული იყოს სწორ (სათანადო) საანგარიშგებო პერიოდში. შერჩეული ოპერაციებისთვის შევამოწმებთ იმის მტკიცებულებებს, რომ საქონელი გაგზავნილი იყო პერიოდის დასრულებამდე.	7	C. 122 ლფ	შეცდომები არ გამოვლენილა აქ და ამონაგების დროში გამიჯვნის ტესტირებისას.  განვიხილეთ საანგარიშგებო თარიღის მახლობელ პერიოდში გაცემული ყველა საბუღალტრო გატარება და ტესტირების შედეგები დოკუმენტირებულია სდ 26-ში.
<b>დადასტურება</b> ყველა დაკავშირებული მხარის ოპერაციის ანგარიშების დადასტურება.  პროფესიული მსჯელობის საფუძველზე მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების შერჩევა (გარდა ზემოაღნიშნულ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ნაშთებისა) ისე, რომ ტესტით მოვიცათ მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების 60%. შერჩევითი ერთობლიობის ელემენტების სახელწოდებებისა და მისამართების შემოწმება დასტურის მოთხოვნების გაგზავნამდე, რათა დავრწმუნდეთ, რომ კომპანიის ინფორმაცია სწორია. ფაქსით მიღებული დასტურის წერილების ინფორმაციის გადამოწმება დარეკვით, მიღებული დასტურის დეტალების სისტორეში დასარწმუნებლად.  ალტერნატიული პროცედურების ჩატარება ისეთ ნაშთებზე, რომლებზეც არ მივიღებთ პასუხს.	18	C. 130 ლფ	დადასტურდა „დეფტას“ მოთხოვნების ანგარიშის ნაშთი და ასევე დაემთხვა „დეფტას“ სამუშაო დოკუმენტების ფაილის მონაცემებს.  მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების მხოლოდ 45%-ზე მოვიდა დასტურის პასუხები, ამიტომ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები.

### ძირითადი პროცედურები – შერჩევა

დადასტურებისთვის შერჩეული შერჩევითი ერთობლიობა გავზარდეთ რისკის საშუალო დონის მისაღწევად. ვენდეთ ძირითად პროცედურებს.


### გაფართოებული/სხვა ძირითადი პროცედურები

გავითვალისწინეთ რა ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების რისკი, გაგზავნილი დასტურის მოთხოვნების შერჩევითი ერთობლიობისთვის შევამოწმეთ სახელწოდებები და მისამართები. ფაქსით დაბრუნებული ყველა დასტურის წერილის დეტალები დავადასტურეთ დარეკვით, მათ სისტორეში დასარწმუნებლად.

## 18. შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია აუდიტის სამუშაო დოკუმენტების ფაილისთვის, აუდიტორის მიერ გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის ჩატარებული სამუშაოს შესახებ.	230, 500

სექტ 18.0-1



შენიშვნა:

- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
230.7	აუდიტორმა დროულად უნდა მოამზადოს აუდიტის დოკუმენტაცია.
230.8	<p>აუდიტორმა უნდა მოამზადოს აუდიტის ისეთი დოკუმენტაცია, რომ გამოცდილმა აუდიტორმა, რომელიც მანამდე არ ყოფილა დაკავშირებული მოცემულ კონკრეტულ აუდიტთან, გაიგოს: (იხ.: პუნქტები გ2-გ5, გ16-გ17)</p> <p>ა) იმ აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, რომლებიც ჩატარდა ასს-ებისა და მოქმედი საკონომდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით; (იხ.: პუნქტები გ6-გ7)</p> <p>ბ) ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგები და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები; და</p> <p>გ) აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შესახებ გამოტანილი დასკვნები და ამ დასკვნების გამოსატანად ჩატარებული მნიშვნელოვანი პროფესიული განხილვები. (იხ.: პუნქტები გ8-გ11)</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
230.9	<p>ჩატარებული აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დოკუმენტირების დროს, აუდიტორმა დოკუმენტებში უნდა ასახოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) იმ კონკრეტული მუხლების ან საკითხების საიდენტიფიკაციო მახასიათებლები, რომელთა ტესტირებაც ჩატარდება; (იხ.: პუნქტი გ12)</li> <li>ბ) ვინ შეასრულა აუდიტის სამუშაო და სამუშაოს შესრულების თარიღი; და</li> <li>გ) ვინ ჩატარა შესრულებული სამუშაოს მიმოხილვა, მიმოხილვის თარიღი და მასშტაბები. (იხ.: პუნქტი გ12)</li> </ul>
230.10	აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა ასახოს ხელმძღვანელობასთან, მართვის უფლება-მოსილებით აღჭურვილ პირებსა და სხვა პირებთან მნიშვნელოვან საკითხებზე ჩატარებული განხილვები, მათ შორის, განხილული მნიშვნელოვანი საკითხების ხასიათი და როდის და ვისთან ერთად ჩატარდა განხილვა. (იხ.: პუნქტი გ14)
330.16	როდესაც აფასებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობას, მან უნდა შეაფასოს, გვიჩვენებს თუ არა ძირითადი პროცედურებით გამოვლენილი უზუსტობები იმას, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტიანად არ მუშაობს. ამასთან, ის ფაქტი, რომ ძირითადი პროცედურებით არ გამოვლენილა უზუსტობები, არ წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ ტესტირებისთვის გამიზნულ მტკიცებასთან დაკავშირებული კონტროლი ეფექტურია (იხ. პ. გ40).
330.26	აუდიტორმა უნდა გამოიტანოს დასკნა, მოპოვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, აუდიტორმა უნდა განიხილოს ყველა სათანადო აუდიტორული მტკიცებულება, იმის მიუხედავად, ის ამტკიცებს თუ ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშების მტკიცებებს. (იხ. პ. გ62)
330.27	თუ აუდიტორს მოპოვებული არა აქვს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ფინანსური ანგარიშების რომელიმე არსებითი მტკიცების შესახებ, აუდიტორმა უნდა სცადოს დამატებითი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება. თუ აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, მან ფინანსური ანგარიშების შესახებ უნდა გამოთქვას პირობით მოსაზრება, ან დასკნაში უარი განაცხადოს მოსაზრების გამოთქმაზე.
500.8	<p>თუ ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც აუდიტორი აპირებს აუდიტორული მტკიცებულების სახით, მომზადებულია ხელმძღვანელობის ექსპერტის მიერ, აუდიტორმა, საჭიროებისამებრ, უნდა განსაზღვროს ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა აუდიტორის მიზნებისთვის. კერძოდ: (იხ. გ34-გ36)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) შეაფასოს ამ ექსპერტის კომპეტენცია, უნარიანობა და ობიექტურობა (იხ. პ. გ37-გ43)</li> <li>ბ) გაერკვეს ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში; და (იხ. პ. გ44-გ47)</li> <li>გ) შეაფასოს, შესაფერისია თუ არა ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო იმისათვის, რომ გამოიყენოს როგორც აუდიტორული მტკიცებულება სათანადო მტკიცებასთან დაკავშირებით. (იხ. პ. გ48)</li> </ul>
500.9	<p>როდესაც აუდიტორი სამურნეო სტანდარტის მიერ მომზადებულ ინფორმაციას იყენებს, მან უნდა შეაფასოს, საკმარისად საიმედოა თუ არა ეს ინფორმაცია აუდიტორის მიზნებისთვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში. ამისათვის, აუდიტორმა უნდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მოიპოვოს აუდიტორული მტკიცებულებები ამ ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულის შესახებ; და (იხ. პ. გ49-გ50)</li> <li>ბ) შეაფასოს, საკმარისად ზუსტი და დეტალიზებული არის თუ არა ეს ინფორმაცია აუდიტორის მიზნებისთვის. (იხ. პ. გ151)</li> </ul>

## 18.1 ზოგადი მთათებილება

აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აუდიტის ფაილის დოკუმენტაცია. იგი უზრუნველყოფს დოკუმენტურ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ სამუშაო ნამდვილად შესრულდა და ქმნის საფუძველს აუდიტორის დასკვნის მოსამზადებლად. გარდა ამისა, მას გამოიყენებენ ხარისხის კონტროლის შემოწმებისთვის, ასს-ების მოთხოვნებისა და შესაფერისი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვის მონიტორინგისთვის და შესაძლოა მესამე მხარეთა მიერ ჩატარებული შემოწმების დროსაც.

აუდიტის დოკუმენტაციის სპეციფიკური მოთხოვნები და ხასიათი ჩვენ განვიხილეთ 1-ლი ტომის მე-16 თავში და აქ აღარ გავიმეორებთ. შემდეგ ცხრილში განხილულია ზოგიერთი საკითხი, რაც უნდა გაითვალისწინოთ ფაილის დაკომპლექტებისას.

### ცხრილი 18.1-1

დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი მოსაზრებები	დას/არა
დაცულია დოკუმენტაციის შესახებ ფირმის მოთხოვნები, რაც ჩამოყალიბებულია ფირმის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოში?	
კარგად არის ორგანიზებული აუდიტის დოკუმენტაცია და სრულყოფილია, მათ შორის, ნათლად არის მითითებული სხვა დაკავშირებული დოკუმენტები იქ, სადაც მნიშვნელოვანი საკითხებია ასახული?	
ფაილის დოკუმენტაციაში მითითებულია:	
<ul style="list-style-type: none"> <li>ვინ შეასრულა სამუშაო და მისი დასრულების თარიღი?</li> <li>ვინ და როდის მიმოიხილა შესრულებული სამუშაო და რას მოიცავდა მიმოხილვა?</li> <li>ხელმძღვანელობასთან, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან და სხვებთან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვების შედეგები, მათ შორის, რომელი მნიშვნელოვანი საკითხები იყო განხილული, როდის და ვისთან მოხდა მათი განხილვა?</li> </ul>	
შეუძლია გამოცდილ აუდიტორს, რომელსაც ამ აუდიტთან აღრე შეხება არ ჰქონია, გაიგოს:	
<ul style="list-style-type: none"> <li>იმ აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, რომლებიც ჩატარდა სამართლებრივი, მარეგულირებული და პროფესიული მოთხოვნების დაცვით?</li> <li>აუდიტორული პროცედურების შედეგები და მოპოვებული მტკიცებულებები?</li> <li>წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების ხასიათი, გამოტანილი დასკვნები და ამ დასკვნების გამოსატანად ჩატარებული არსებითი ხასიათის პროფესიული განხილვები?</li> </ul>	
ფაილი შეიცავს დოკუმენტაციას, რომელიც ეხება:	
<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტის წინაპირობების არსებობას და ახალ გარიგებაზე დათანხმების ან არსებულის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღებას?</li> <li>აუდიტის საერთო სტრატეგიას?</li> <li>გარიგების ჯგუფში ჩატარებულ განხილვებს?</li> <li>სამეცნიერო სუბიექტის შესწავლის პროცესში მიღებულ მთავარ ინფორმაციას და შიდა კონტროლის 5 კომპონენტს ცალ-ცალკე, მათ შორის მოპოვებული ინფორმაციის წყაროებს?</li> <li>ჩატარებული რისკის შესაფასებელი პროცედურების შედეგებს?</li> <li>ფინანსური ანგარიშებისა და მტკიცებების დონეზე გამოვლენილ და შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკებს?</li> <li>აუდიტის დეტალურ გეგმას, რომელიც მიესადაგება შეფასებულ რისკებს?</li> </ul>	

დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი მოსაზრებები (გავრმელება)	დიახ/არა
<ul style="list-style-type: none"> <li>ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგებს, მათ შორის მოპოვებული მტკიცებულებების რელევანტურობასა და საიმედოობას, ასევე გამოვლენილ გამონაკლისებზე რეაგირების მიზნით ჩატარებულ პროცედურებს, მათ შორის რისკების შეფასებაში შესატან საჭირო ცვლილებებს?</li> <li>ინფორმაციას აუდიტის დროს გამოვლენილი თაღლითობის სიმპტომების შესახებ და მასზე რეაგირებისთვის ჩატარებულ პროცედურებს?</li> <li>მოპოვებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე არსებითობაში შეტანილ ცვლილებებს?</li> <li>საკმარის ინფორმაციას აუდიტორების მიერ ხელახლა ჩატარებული პროცედურების შესახებ, როდესაც ამის გაკეთება აუცილებელი იყო?</li> <li>მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას შეიტანეს აუდიტის საერთო სტრატეგიაში ან აუდიტის გეგმაში და ასეთი ცვლილების მიზეზებს?</li> <li>ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს და მათი გადაჭრის გზებს, როგორიცაა არსებითი ხსიათის განუსაზღვრელობა, პრობლემები ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილ სააღრიცხვო შეფასებებში, ასევე შემდგომ მოვლენებსა და სხვა საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გამიწვიოს აუდიტორული მოსაზრების მოღიფიცირება?</li> </ul>	
დოკუმენტირებულია ფირმის ფარგლებში და აუდიტორისა და ხელმძღვანელობის მიერ დაქირავებულ ექსპერტთან ჩატარებული კონსულტაციები?	
თუ ექსპერტის სამუშაო გამოიყენეთ, დოკუმენტირებულია ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს, როგორც აუდიტორული მტკიცებულების აღეკვატურობა?	
დოკუმენტირებულია ასს 600-ის მოთხოვების შესრულება, რომლებიც ეხება კომპონენტის აუდიტორთან კომუნიკაციას?	
შესრულებულია ყველა შესაფერისი ასს-ით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, რომელიც დოკუმენტაციას ეხება? (იხ. 1-ლი ტომის მე-16 თავი იმ ასს-ების გასაცნობად, რომლებიც მოიცავს დოკუმენტაციის შესახებ სპეციფიკურ მოთხოვნებს).	

### ფაილის საკუთრება

თუ კანონმდებლობით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული, აუდიტის დოკუმენტაცია აუდიტური ფირმის საკუთრებაა.

### სამუშაო სუბიექტის ჩანაწერების ასლები

აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტის დოკუმენტაციაში შეიძლება ჩართული იყოს სამუშაო სუბიექტის ჩანაწერების ასლები ან ამონარიდები (მაგალითად, მნიშვნელოვანი და სპეციფიკური ხელშეკრულებები და შეთანხმებები), თუმცა, სამუშაო სუბიექტის სააღრიცხვო ჩანაწერების ასლები არ გამოდგება აუდიტის შესაფერისი დოკუმენტაციის შემცვლელად.

### მნიშვნელოვანი რჩევები

#### დოკუმენტაციის მომზადების დროულობა

აუდიტის დოკუმენტაციის დროულად მომზადება ხელს უწყობს აუდიტის ხარისხის ამაღლებას და აადვილებს მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებისა და გამოტანილი დასკვნების ეფექტურ მიმოხილვასა და შეფასებას აუდიტორის დასკვნის მომზადების დასრულებამდე. აუდიტის დასრულების შემდეგ მომზადებული დოკუმენტაცია, სავარაუდოდ, ნაკლებად იქნება ზუსტი, ვიდრე დოკუმენტაცია, რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას მზადდება.

## მნიშვნელოვანი რჩევები (გავრძელება)

### დასრულებული აუდიტის ფაილი

აუდიტის დოკუმენტაცია შეძლებისდაგვარად გასაგები და ნათელი უნდა იყოს და არ უნდა საჭიროებდეს დამატებით ზეპირ ახსნას. მხოლოდ ზეპირი ახსნა არ წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ან გამოტანილი დასკვნების აღეკვატურ მტკიცებულებას. თუმცა, ზეპირი ახსნის გამოყენება შესაძლებელია აუდიტის დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის უფრო საფუძვლიანად ასახსნელად ან განსამარტავად.


### შეუსაბამობები

თუ მოპოვებული გაქვთ ისეთი აუდიტორული მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ გამოტანილ საბოლოო დასკვნას, ფაილს უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, სადაც ახსნილი იქნება, როგორ გადაჭრა აუდიტორმა გამოვლენილი შეუსაბამობები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუდიტორმა უნდა შეინახოს დოკუმენტაცია, რომელიც არასწორია ან სხვა დოკუმენტით არის ჩანაცვლებული.

## 19. ოფიციალური ტერიტორი

თავის შინაარსი	შესაბამისი ასე
მითითებები ხელმძღვანელობისგან ოფიციალური წერილების მოპოვების წესების შესახებ.	580

სექტ 19.0-1



შენიშვნა:

- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები

პუნქტი	ასე-ის მიზნები
580.6	<p>აუდიტორის მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ხელმძღვანელობისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისაგან ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, რომ მათ სჯერათ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან და აუდიტორისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესთან დაკავშირებით თავიანთი პასუხისმგებლობა შეასრულეს;</li> <li>ბ) ფინანსური ანგარიშგების ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული კონკრეტული მტკიცებების შესაფერისი სხვა აუდიტორული მტკიცებულებების განმტკიცება, ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის მეშვეობით, თუ აუდიტორი საჭიროდ მიიჩნევს ან მოითხოვება სხვა ასე-ებით; და</li> <li>გ) ხელმძღვანელობის და, საჭიროების შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ ინფორმაციაზე სათანადო რეაგირება, ან ხელმძღვანელობის და, საჭიროების შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ ინფორმაციის ოფიციალურად არწარდგენაზე სათანადო რეაგირება.</li> </ul>
580.09	აუდიტორმა ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა უნდა მოითხოვოს იმ ხელ-მძღვანელი პირებისაგან, რომლებსაც ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით შესაფერის პასუხისმგებლობა აკისრიათ და მოცემული საკითხები იციან. (იხ. პუნქტები გ2-გ6)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
580.10	აუდიტორმა ხელმძღვანელობისაგან უნდა მოითხოვოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის წარდგენა იმის თაობაზე, რომ მან შეასრულა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენასთან დაკავშირებული, რაც განსაზღვრულია აუდიტორული გარიგების პირობებით (იხ. პუნქტები გ7-გ9, გ14, გ22).
580.11	აუდიტორმა ხელმძღვანელობისაგან უნდა მოითხოვოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ: <ul style="list-style-type: none"> <li>ა) აუდიტორს სრულად წარდგენა შესაფერისი ინფორმაცია და მისთვის უზრუნველყო ყველანაირი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აუდიტორული გარიგების შეთანხმებული პირობების მიხედვით; და</li> <li>ბ) ყველა ოპერაცია აღრიცხული და ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. (იხ. პუნქტები გ7-გ9, გ14, გ22)</li> </ul>
580.12	ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ ოფიციალურ ინფორმაციაში ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აღწერილი უნდა იყოს მე-10 და მე-11 პუნქტებში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, იმგვარადვე, როგორც აღწერილია აუდიტორული გარიგების პირობებიში.
580.13	აუდიტორს სხვა ასს-ები აგალდებულებს, რომ ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა. თუ აუდიტორი დადგენს, რომ, მსგავსი მოთხოვნილი ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მტკიცებების შესაფერისი სხვა აუდიტორული მტკიცებულებების მხარდასაჭერად, მან უნდა მოითხოვოს მსგავსი ოფიციალური ინფორმაციის წარდგენაც. (იხ. პუნქტები გ10-გ13, გ14, გ22)
580.14	ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაციის წარილი, პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაზე შედგენილი აუდიტორული დასკვნის თარიღთან, მაგრამ არ უნდა იყოს აღნიშნული თარიღის შემდგომი რიცხვით დათარიღებული. ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს აუდიტორის დასკვნაში მითითებულ ყველა ფინანსურ ანგარიშგებასა და ყველა პერიოდ(ებ)ს (იხ. პუნქტები გ15-გ18).
580.15	ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ოფიციალური წერილის ფორმა, რომლის ადრესატია აუდიტორი. თუ კანონმდებლობით მოითხოვება, რომ ხელმძღვანელობამ ოფიციალური საჯარო წერილობითი განცხადება გააკეთოს თავისი პასუხისმგებლობის თაობაზე და აუდიტორი გადაწყვეტს, რომ მსგავსი განცხადები უზრუნველყოფს მე-10 ან მე-11 პუნქტებით მოთხოვნილ ოფიციალურ ინფორმაციას ან მის ნაწილს, წარდგენილ ოფიციალურ წერილში საჭირო აღარ არის იმ საკითხების ასახვა, რომლებსაც მოიცავს მსგავსი განცხადებები (იხ. პუნქტები გ19-გ21).
580.16	როდესაც აუდიტორს აეჭვებს ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა, პატიოსნება, ეთიკური ღირებულებები, მისი პროფესიული გულისხმიერება ან ზემოაღნიშნულთან ან მათ პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის ვალდებულების, ან ძალისხმევის საკითხი, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს აღნიშნული პრობლემების გავლენა წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის (ზეპირი თუ წერილობითი) და, ზოგადად, აუდიტორული მტკიცებულებების სამედოობაზე (იხ. პუნქტები. გ24-გ25).

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
580.19	<p>თუ ხელმძღვანელობა ოფიციალურად არ წარადგენს ერთ ან მეტ ინფორმაციას, აუდიტორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) საკითხი უნდა განიხილოს ხელმძღვანელობასთან;</li> <li>ბ) ხელახლა უნდა შეაფასოს ხელმძღვანელობის პატიოსნება და აღნიშნულის გავლენა წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის (ზეპირი თუ წერილობითი) და, ზოგადად, აუდიტორული მტაიცებულებების სამეცნიეროაზე; და</li> <li>გ) მიიღოს სათანადო ზომები, მათ შორის უნდა განსაზღვროს შესაძლო გავლენა აუდიტორის დასკვნაში გამოხატულ აუდიტორის მოსაზრებაზე, ას 705-ის შესაბამისად და წინამდებარე ასს-ის მე-20 პუნქტში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით.</li> </ul>
580.20	<p>აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოხატვაზე უარი უნდა განაცხადოს დასკვნაში ას 705-ის შესაბამისად, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) დაასკვნის, რომ ხელმძღვანელობის პატიოსნების შესახებ საკმარისი ეჭვი არსებობს იმისათვის, რომ მე-10 და მე-11 პუნქტებით მოთხოვნილი წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია საიმედო არ იყო; ან</li> <li>ბ) ხელმძღვანელობა არ წარადგენს მე-10 და მე-11 პუნქტებით მოთხოვნილ ოფიციალური ინფორმაციას (იხ. პუნქტები გ26-გ27).</li> </ul>

## 19.1 ზოგადი მიმოხილვა

ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პასუხისმგებლობა, რომელსაც აღიარებს აუდიტორული გარიგების წერილის ხელმოწერით (იხ. მე-2 ტომის მე-4 თავი), იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტის მსვლელობისას დააგმაყოფილოს აუდიტორის მოთხოვნა და ოფიციალურ წერილში დაადასტუროს აუდიტორ დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც აუდიტორი მოითხოვს მისგან.

აუდიტის მიმდინარეობისას ხელმძღვანელობა აუდიტორს ხშირად აწვდის სიტყვიერად ისეთ ინფორმაციას, რომლის გამოყენება შეიძლება აუდიტორულ მტკიცებულებად, რომელიც შეავსებს სხვა აუდიტორული პროცედურებიდან მიღებულ მტკიცებულებებს. აუდიტის დასრულებისას, ამგვარი სიტყვიერი ინფორმაცია უნდა აისახოს ხელმძღვანელობის ან, როდესაც შესაფერისაა, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ოფიციალურ წერილში და წარედგინოს აუდიტორს.

**შენიშვნა:** ზოგიერთი ას შეიცავს სპეციალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან უნდა მოითხოვოს ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია გარკვეულ საკითხებზე.

აღნიშნული ოფიციალური წერილი უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელსაც აუდიტორი ითხოვს და ასევე ხელმძღვანელობის მტკიცებას იმის შესახებ, რომ:

- მან შეასრულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობა; და
- აუდიტორისთვის მიწოდებული ინფორმაცია სრულყოფილი იყო.

ოფიციალური წერილის წარდების თარიღი, პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორული დასკვნის თარიღთან, მავრამ არ უნდა იყოს მისი შემდგომი რიცხვი. ოფიციალურმა წერილმა უნდა მოიცვას აუდიტორის დასკვნაში მითითებული ყველა ფინანსური ანგარიშგება და პერიოდ(ები). იყოს აუდიტორის მიმდინარეობის გამოყენება:

- სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარების შემცვლელად; ან
- მნიშვნელოვან საკითხებზე მტკიცებულებების ერთადერთ წყაროდ.

## მიზანების რჩევები

### ვინ აწერს ხელს წერილს?

გარიგებებში, რომლებიც მიიჩნევა მაღალი რისკის მქონედ, გაითვალისწინეთ ერთზე მეტი ხელმოწერის მოპოვება ოფიციალურ წერილზე. მაგალითად, ოფიციალურ წერილს შეიძლება ხელი მოაწეროს მესაკუთრე-მმართველმა და ხელმძღვანელი ჯგუფის სხვა წამყვანმა წევრებმა.

### ოფიციალური წერილი, როგორც მტკიცებულება:

მარტო ოფიციალური წერილები, თავისთავად, არ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც ეხება. არც ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელობამ აუდიტორის მიაწოდა სარწმუნო წერილობითი ინფორმაცია, ახდენს გავლენას სხვა აუდიტორული მტკიცებულებების ხასიათზე ან მოცულობაზე, რომელსაც აუდიტორი მოიპოვებს ამა თუ იმ კონკრეტული მტკიცების შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობამ შეასრულა თავისი ვალდებულებები.

## 19.2 განსახილველი საკითხი

ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს:

### • ზეპირი, აუდიტორის მიერ მოთხოვნილი, ან არა.

ასეთ ინფორმაციას, როგორც წესი, აუდიტორი იღებს აუდიტის მსვლელობისას.

### • წერილობითი

აუდიტის დასრულებისას აუდიტორს ევალება, ხელმძღვანელობისგან მოითხოვოს ოფიციალური წერილის წარმოდგენა, სადაც ის დადასტურებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ზემოთ ნახსენები სიტყვიერად მიწოდებული ინფორმაცია;
- ხელმძღვანელობამ შეასრულა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა;
- ყველა ოპერაცია ბუღალტრულად რეგისტრირებულია და აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში; და
- ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების განსამტკიცებლად.

### ცხრილი 19.2-1

ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის წარდგენის ფორმები	განხილვებზე მიწოდებული ინფორმაცია (საკითხები).
	ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაცია, მაგალითად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სატელეფონო შეტყობინებები (ქსელში დამახსოვრებული) და ტექსტური შეტყობინებები.
	სამურნეო სუბიექტის მიერ მომზადებული ცხრილები, ანალიზური მასალა და ანგარიშები, ასევე ამასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის შენიშვნები და კომენტარები.
	შიდა და გარე მემორანდუმი ან კორესპონდენცია.
	მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა შეხვედრებისა და ანაზღაურების კომიტეტის სხდომების ოქმები.

### 19.3 აუდიტის ჩატარებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები

სელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

სელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ინფორმაციის შეფასება	
გასათვალის-წინებელი მოსაზრებები	ინფორმაციის მომწოდებელ პირს შეუძლია იყოს ობიექტური და იცის მოცემული საკითხი?
	<p>ეს ინფორმაცია გონივრულია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორის მიერ სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლით მოპოვებული ინფორმაციის ფონზე?</li> <li>სხვა მოპოვებული მტკიცებულებების, მათ შორის სელმძღვანელობისგან მიღებული სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით?</li> <li>აუდიტის სხვა მიზნების მისაღწევად ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად მოპოვებული სხვა მტკიცებულებების ფონზე?</li> </ul>
	<p>რა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება იქნება საჭირო ამ ინფორმაციის დასადასტურებლად? სელმძღვანელობის განზრახვის დასადასტურებლად მტკიცებულებების მოსაპოვებლად გაითვალისწინეთ შემდეგი წყაროები: დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმები, საინვესტიციო კომიტეტის სხდომების ოქმები, იურიდიული დოკუმენტები ან შიდა კორესპონდენციები და ელექტრონული წერილები. მაგალითად, როდესაც აუდიტორი იხილავს სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მართებულობის გასამყარებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭიროა დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმების, იურიდიული დოკუმენტებისა და დაფინანსების ინფორმაციის განზიღვა და ა.შ</p> <p>როდესაც ამ თუ ინფორმაციის განსამტკიცებული მტკიცებულება სელმისაწვდომი არ არის, ხომ არა აქვს ადგილი აუდიტის შეზღუდვას?</p>
	<p>როდესაც სელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეწინააღმდეგება სხვა მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს სელმძღვანელობის პატიონებასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი? თუ ასეა, აუდიტორი ამ საკითხს განიხილავს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან და გაითვალისწინებს მის გავლენას რისკის შეფასებასა და დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარების აუცილებლობაზე;</li> <li>მისაღები და გამართლებულია ამის შემდეგ ნდობა სელმძღვანელობის მიერ მიწოდებულ სხვა ინფორმაციაზე?</li> </ul>
	<p>გაითვალისწინეთ ყველაზე შესაფერისი საშუალებები სელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის დოკუმენტირებისთვის. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორის მიერ შედგენილი მემორანდუმი;</li> <li>სამეურნეო სუბიექტის სელმძღვანელობის მიერ შედგენილი წერილობითი მემორანდუმი; და</li> <li>სელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში ჩართვა.</li> </ul>

#### 19.4 ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია

ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია აუდიტორული მტკიცებულების მნიშვნელოვანი წყაროა შემდეგი მიზეზების გამო:

- თუ ხელმძღვანელობა შეცვლის ინფორმაციას, ან წერილობით არ წარდგენს აუდიტორს მოთხოვნილ ინფორმაციას, ამან შეიძლება მიანიშნოს აუდიტორს ერთი ან რამდენიმე შესაძლო მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობაზე; და
- ინფორმაციის წერილობითი (და არა სიტყვიერი) ფორმით წარდგენის მოთხოვნამ შეიძლება აიძულოს ხელმძღვანელობა, უფრო გულდასმით განისილოს საკითხები, რითიც ამაღლდება ინფორმაციის ხარისხი.

ოფიციალურ წერილობითი ინფორმაციას აუდიტორი ითხოვს ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირებისგან, რომლებმაც იციან ეს საკითხები. ხშირად ეს იქნება სამეურნეო სუბიექტის მთავარი აღმასრულებელი პირი და ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელი მთავარი პირი, ან სხვა ეკვივალენტური პირი, მაგალითად, მესაკუთრე-მმართველი.

აუდიტორს ევალება, ხელმძღვანელობას მოსთხოვოს ოფიციალური წერილის წარდგენა იმის შესახებ, რომ:

- მან შეასრულა ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მიხედვით ფინანსური ანგარიშების მომზადებისთვის მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა;
- აუდიტორს მიაწოდა და მისთვის ხელმისაწვდომი გახადა მთელი შესაფერისი ინფორმაცია, როგორც შეთანხმებული იყო აუდიტორული გარიგების პირობებში.
- ყველა ოპერაცია ბუღალტრულად რეგისტრირებულია და აისახა ფინანსურ ანგარიშებაში; და
- ეს ინფორმაცია განამტკიცებს ფინანსური ანგარიშებისთვის შესაფერის სხვა აუდიტორულ მტკიცებულებებს (მაგალითად, რომლებიც მოითხოვება სხვა ას-ებით), ან ფინანსური ანგარიშების ერთ ან მეტ კონკრეტულ მტკიცებას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ას-ები, რომლებიც მოითხოვს ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის წარდგენას:

##### ცხრილი 19.4-1

ასს	სახელწოდება	პუნქტი
240	აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით	39
250	კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშების აუდიტის დროს	16
450	აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება	14
501	აუდიტორული მტკიცებულება – სპეციფიკური საკითხების გათვალისწინება შერჩეული მუხლებისათვის	12
540	სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი	22
550	დაკავშირებული მხარეები	26
560	შემდგომი მოვლენები	9
570	ფუნქციონირებადი საწარმო	16 (ე)
710	შესადარისი ინფორმაცია – შესაბამისი ციფრები და შესადარისი ფინანსური ანგარიშება	9

ოფიციალური წერილი ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც შემდეგ ცხრილშია განხილული.

ცხრილი 19.4-2

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	ხელმძღვანელობაში:
	<ul style="list-style-type: none"> <li>შეასრულა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მიხედვით (მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენასთან დაკავშირებული, რაც განსაზღვრულია აუდიტორული გარიგების პირობებით) და აუდიტორისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულეზე; და</li> <li>ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც გარიგების პირობები სხვა მხარეებთან არის შეთანხმებული), აუდიტორმა ხელმძღვანელობას შეიძლება ასევე სთხოვოს, ოფიციალურ წერილში მათ ხელახლა დაადასტურონ, რომ მათთვის ცნობილია და აღიარებენ ამ პასუხისმგებლობას.</li> </ul>
	აუდიტორს მიაწოდა და მისთვის ხელმისაწვდომი გახადა მთელი შესაფერისი ინფორმაცია, როგორც შეთანხმებული იყო აუდიტორული გარიგების პირობებში.
	ყველა ოპერაცია ბუღალტრულად რეგისტრირებულია და აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცხრილი 19.4-3

კონკრეტული ინფორმაცია	ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ:
	<p>სათანადოდ არის შერჩეული და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად.</p>
	<p>ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად არის აღიარებული, შეფასებული, წარდგენილი ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ხელმძღვანელობის გეგმები ან განზრახვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე;</li> <li>ვალდებულებები, როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი;</li> <li>აქტივების საკუთრების ან მათზე კონტროლის უფლება;</li> <li>აქტივების დაყადაღება და დაგირავება უზრუნველყოფის სახით; და</li> <li>კანონების, სხვა ნორმატიული აქტებისა და სახელშეკრულებო შეთანხმებების ასპექტები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის, ინფორმაცია მათი შეუსრულებლობის (დარღვევის) შესახებ.</li> </ul>
	აუდიტორებს აცნობეს შიდა კონტროლში არსებული ყველა ნაკლოვანების შესახებ, რაც ხელმძღვანელობისთვის იყო ცნობილი.
	აუდიტორებს აცნობეს სამეურნეო სუბიექტის არგუმენტაცია, რის გამოც არჩეულ იქნა ესა თუ ის კონკრეტული მოქმედების კურსი.
	მისი განზრახვა ამა თუ იმ საკითხთან [დააკონკრეტოს საკითხი] დაკავშირებით: [აღწეროს სამეურნეო სუბიექტის გეგმები ან განზრახვები].

## სხვა გასათვალისწინებელი საკითხები:

ცხრილი 19.4-4

კომენტარები	
სპეციალური ტექსტი	ზოგ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ შეიძლება ჩართოს სპეციალური ტექსტი თვითმეცნიერ წერილში, ასე, მაგალითად: ჩვენი ცოდნისა და რწმენის ფარგლებში ვადასტურებთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც განხილულია ქვემოთ.
უმნიშვნელო უზუსტობები	ასეთი ფორმულირება შეიძლება მიიღოს აუდიტორმა, თუ მას აკმაყოფილებს ის ფაქტი, რომ ამ განცხადებას აკეთებენ პირები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა წერილში მოცემულ ინფორმაციაზე და იციან ეს საკითხები.
წერილის თარიღი	აუდიტორის დასკნა არ უნდა იყოს დათარიღებული თვითმეცნიერ წერილზე დასმული თარიღის წინა რიცხვით, რადგან თვითმეცნიერი წერილი აუდიტორის მტკიცებულებების ნაწილი.
წერილის ადრე-სატი - აუდიტორი	აუდიტორის მიერ მოთხოვნილი წერილობითი ინფორმაცია უნდა აისახოს აუდიტორის სახელზე გაგზავნილ წერილში.
მართვის უფლება-მოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება	ასე 260 მოითხოვს, რომ აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აცნობოს ის საკითხები, რომლის წარდგენაც მან მოითხოვა ხელმძღვანელობისგან თვითმეცნიერ წერილში.
ხელმძღვანელობის მიერ სხვათა გამოკითხვა	თუ ხელმძღვანელობას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა, რომლის საფუძველზეც უნდა მოამზადოს თვითმეცნიერი წერილი (ინფორმაცია), მან შეიძლება გადაწყვიტოს იმ პირთა გამოკითხვა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ფინანსური ანგარიშებისა და მასში ასახული მტკიცებების მომზადება/წარდგენაში. ეს იქნება თანამშრომლები, რომლებსაც გააჩნიათ მოცემული საკითხების სპეციალური ცოდნა.

## ეჭვები მიწოდებული ან არმიწოდებული თვითმეცნიერი წერილობითი ინფორმაციის შესახებ

თუ არსებობს ეჭვი თვითმეცნიერი წერილობითი ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით, ან აუდიტორს ხელმძღვანელობამ არ მიაწოდა მოთხოვნილი წერილობითი ინფორმაცია, აუდიტორი ითვალისწინებს პრობლემის ხასიათს და მოქმედებს შესაბამისად.

ცხრილი 19.4-5

აუდიტორის სავალდებულო საპასუხო ქმედებები	
მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიეწოდა აუდიტორს	<ul style="list-style-type: none"> <li>• განიხილეთ საკითხი ხელმძღვანელობასთან;</li> <li>• ხელახლა შეაფასეთ ხელმძღვანელობის პატიოსნება და რა გავლენა შეიძლება იქნიოს ამან ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი თვითმეცნიერი ინფორმაციის (ზეპირი და წერილობითი) სანდოობაზე და, ზოგადად, აუდიტორულ მტკიცებულებებზე; და</li> <li>• გაატარეთ შესაფერისი ზომები, მათ შორის, განსაზღვრეთ, ამ სიტუაციის შესაძლო გავლენა აუდიტორის დასკვნაში მოცემულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.</li> </ul>

ეჭვები	აუდიტორის სავალდებულო საპასუხო ქმედებები
გამოვლენილი შეუსაბამოებები	<ul style="list-style-type: none"> <li>ჩაატარეთ დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რათა სცადოთ პრობლემის გადაჭრა.</li> <li>თუ პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება, ხელახლა განიხილეთ ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა, პატიოსნება, ეფიკური ღირებულებები, ან პროფესიული გულისხმიერება, ზემოაღნიშნულთან ან მათ პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის ვალდებულების, ან ძალისხმევის საკითხი და განსაზღვრეთ, რა გავლენას იქნიებს ეს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი (ზეპირი და წერილობითი) ოფიციალური ინფორმაციის და, ზოგადად, აუდიტორულ მტკიცებულებების საიმედოობაზე.</li> </ul>
ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობა, უპატიოსნება ან ეთიკური ღირებულებების არქონა	<ul style="list-style-type: none"> <li>განსაზღვრეთ, რა გავლენა შეიძლება იქნიოს ამგვარმა პრობლემებმა ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი (ზეპირი და წერილობითი) ოფიციალური ინფორმაციის და, ზოგადად, აუდიტორულ მტკიცებულებების საიმედოობაზე.</li> <li>აუდიტორმა აუდიტორის დასკვნაში უარი უნდა განაცხადოს ფინანსური ანგარიშების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე, როდესაც: <ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორი დაასკვნის, რომ საკმარისი ეჭვი არსებობს ხელმძღვანელობის პატიოსნების შესახებ და მოთხოვნილი წერილობითი ოფიციალური ინფორმაცია არ იქნება სარწმუნო; ან</li> <li>ხელმძღვანელობა აუდიტორს არ მიაწვდის მოთხოვნილ წერილობით ოფიციალური ინფორმაციას.</li> </ul> </li> </ul>

### შემავსებელი/დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ხელმძღვანელობის მიერ

მოთხოვნილი, სავალდებულო ოფიციალური ინფორმაციის გარდა, აუდიტორმა შეიძლება აუცილებლად მიიჩნიოს ფინანსური ანგარიშების შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა:

#### შემავსებელი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშებების შესახებ

შესაბამისად ამგვარი წერილობითი ინფორმაციის დამატება, მაგრამ ეს არ იქნება ასს 580.10-ით მოთხოვნილი წერილობითი ინფორმაციის ნაწილი. დამატებითი ინფორმაციის მაგალითებია:

- შესაბამისად იქნა თუ არა შერჩეული და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა; და
- ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად არის თუ არა აღიარებული, შეფასებული, წარდგენილი ან ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:
  - ხელმძღვანელობის გეგმები ან განზრახვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქნიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე;
  - ვალდებულებები, როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი;
  - აქტივების საკუთრების ან მათზე კონტროლის უფლება, დაყადალება და აქტივების დაგრავება უზრუნველყოფის სახით; და
  - კანონების, სხვა ნორმატიული აქტებისა და სახელშეკრულებო შეთანხმებების ასპექტები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქნიოს ფინანსურ ანგარიშებაზე, მათ შორის, ინფორმაცია მათი შეუსრულებლობის (დარღვევის) შესახებ.

#### დამატებითი ოფიციალური წერილობითი ინფორმაცია

ასს 580ის მე-11 პუნქტით მოთხოვნილი ოფიციალური ინფორმაციის გარდა, აუდიტორმა შეიძლება აუცილებლად მიიჩნიოს, ხელმძღვანელობას მოსთხოვოს დამატებით სხვა ოფიციალური ინფორმაციის წარდგენაც. ასე, მაგალითად:

- იმის დადასტურება, რომ ხელმძღვანელობამ აუდიტორს აცნობა, მისთვის ცნობილი შიდა კონტროლის კველა ნაკლოვანების შესახებ; და
- კონკრეტული მტკიცებები.

ზოგ შემთხვევაში, შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის გარეშე, სადაც ხელმძღვანელობა დაადასტურებდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ამა თუ იმ კონკრეტული მტკიცებების არგუმენტაციას, ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულ განხილვა-სა და მიღებულ გადაწყვეტილებებს და ასევე თავის განზრახვას (მიზანს). ამ კონტექსტში გა-სათვალისწინებული საკითხები მოიცავს:

- სამეურნეო სუბიექტის მიერ გაცხადებული განზრახვების განხორციელების ისტორიას;
- სამეურნეო სუბიექტის არგუმენტებს გარკვეული სამოქმედო კურსის არჩევისათვის;
- სამეურნეო სუბიექტის უნარს, არ გადაუხვიოს კონკრეტული სამოქმედო კურსიდან; და
- რაიმე სხვა ინფორმაციის არსებობას ან არარსებობას, რომელიც შეიძლება მოპოვებული იყო აუდიტის პროცესში და არ შეესაბამებოდა ხელმძღვანელობის განსჯას (გადაწყვეტი-ლებას) ან განზრახვას.

## მნიშვნელოვანი რჩევები

დღო დაუთმეთ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას, რათა აუხსნათ მოთხოვნილი ოფიციალური წერილის შინაარსი, დანიშნულება და დარწმუნდეთ, რომ ხელმძღვანელობა ბოლომდე აცნობიერ-ებს იმას, თუ რაზე აწერს ხელს.

### 19.5 ოფიციალური წერილის მაგალითი

ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ნიმუში, რომელიც შეტანილია სასწავლო მაგალითების მასალაში, შედგენილია ასს 580-ში მოცემული ფორმატის შესაბამისად.

### 19.6 სასწავლო მაგალითი – ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სას-წავლო მაგალითებისთვის.

#### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

##### ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია

გთავაზობთ სურაჯის მიერ აუდიტორებისთვის მიწოდებული ე.წ. ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაციის ნიმუშს და სხვა დამატებითი აუდიტორული პროცედურების მაგალითებს, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს ამ ინფორმაციასთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის ინფორმაცია	შეფასება
ინსტრუმენტები, რომლებიც ახალი მანქანა-დანადგარებით შეცვალეთ, გაუვასრულებული არ იყო. იმიტომ შეცვალეთ, რომ ინსტრუ-მენტები ტყდება; შესაბამისად, ძველი ინსტ-რუმენტები გამოვადგება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მანქანა-დანადგარები რემონ-ტი იქნება.	გამოპერიოდის შენჯერი და სხვები, რა-თა დაადგინოთ, ახალი ან ძველი ინსტრუმენტები და მანქანა-დანადგარები გამოიყენება თუ არა ამჟა-დ და სამუშაო ძვლობაშია თუ არა ისინი. ამის გარკვევა შესაძლებელია ფიზიკური დათვალი-ერებითა და ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ჩანაწერების შემოწმებით.
არა გვაქს დამატებითი ანარიცხი, რომელიც აუცილებელია მარაგის ინკუნტარიზაციის დროს გამოვლენილი უმნიშვნელოდ დაზიანე-ბული საქონლისთვის.	შეამოწმეთ, დაზიანებული საქონლი ნაძღვილად გაიყიდა თუ არა სამუშაოებით პერიოდის დამთავ-რების შემდეგ. გამოპერიოდის შენჯერის, საქონლის გაყიდვა ხდება ისეთივე ძვლობაში, როგორც არის, თუ გარემონტების შემდეგ (თუ ასეა, რა ფასად), თუ ფასდაკლებით იყიდება.

აუდიტის დასრულებისას ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორებისთვის მიწოდებული მნიშვნელოვანი  
ინფორმაცია უნდა აისახოს ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში, რომელსაც ხელს სურაჯ  
დეფტა და ჯავად კსაბი მოაწერენ.

ოფიციალურ წერილში შეიძლება აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია.

### „დეფტა ავეჯის“ სატიტულო ფურცელი

20X3 წლის 15 მარტი

ვის: Jamel, Woodwind & Wing, LLP  
55 Kingston St.  
Cabetown, United Territories  
123-50004

ბატონო ლი,

ეს ოფიციალური წერილი მოვამზადეთ თქვენ მიერ ჩატარებულ, „დეფტა ავეჯის“ 20X2 წ. 31 დე-  
კემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზა-  
ნია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგა-  
რიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვადასტურებთ, რომ:

#### ფინანსური ანგარიშგება

- შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას  
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ამას ითვალი-  
სწინებდა 20X2 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული აუდიტორული გარიგების წერილი. კე-  
რძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესა-  
ბამისად.
- სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ  
გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია.
- დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ურთიერთობები სათანადოდ არის აღრიცხული და გა-  
მჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური  
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოთხოვს ფინანსური ანგარიშგების  
შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.
- შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც  
ერთობლიობაში, არსებითი არ არის. შეუსწორებელი უზუსტობების სია თან ერთვის წინამდე-  
ბარე ოფიციალურ წერილს.
- კომპანიამ შეასრულა ხელშექრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსე-  
ბითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- შევასრულეთ მარეგულირებელი ორგანოების ისეთი მოთხოვნები, რომლის დარღვევასაც შეეძ-  
ლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომ-  
პანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა  
სახით, გარდა იმისა, რაც ფინანსური ანგარიშგების X შენიშვნაშია აღწერილი;
- არა გვაქს დაგეგმილი რომელიმე პროდუქციის სახის წარმოების შეწყვეტა, ან სხვა ისეთი  
განზრახვა, რომელიც გამოიწვევდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგის სიჭარ-  
ბეს ან დაძველებას. ამასთან, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი ასახულია  
ისეთი თანხით, რაც არ აღემატება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას;

- ადგილი არ ჰქონია არანაირი გრძელვადიანი აქტივების (ინსტრუმენტების) ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაუფასურებას, რომლის ფუნქციური შესაძლებლობები ახლა ჩანაცვლებულია ახალი მანქანა-დანადგარებით.
- ინფორმაციის მიწოდება აუდიტორებისთვის
- ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:
    - ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
    - თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და
    - კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
  - ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;
  - გაცნობეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;
  - გაგიმულავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა კომპანიაზე და რაშიც მონაწილეობდნენ:
    - ხელმძღვანელობა;
    - თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან
    - სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.  - გაგიმულავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარკეტინგებლმა ორგანოებმა და სხვებმა;
  - გაცნობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
  - გაგიმულავნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

პატივისცემით,

---

სურაჯ დეფტა

---

ჯავად კასაბი

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

### ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია

გთავაზობთ რაჯის მიერ აუდიტორებისთვის მიწოდებული ე.წ. ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაციის ნიმუშს და ზოგიერთი დამატებითი აუდიტორული პროცედურების მაგალითებს, რომელებიც შეიძლება ჩატარდეს ამ ინფორმაციასთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის ინფორმაცია	შეფასება
<p>საჭირო არ არის საეჭვო ვალებისთვის დამატებითი ანარიცხების შექმნა. „დეფტას“ ანგარიშის ნაშთი სრულად ამოღებადია, ხოლო სხვა დებიტორული დავალიანება არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ მისთვის ანარიცხები შევვექმნა.</p>	<p>გაუგზავნეთ „დეფტას“ დებიტორული დავალიანების დადასტურების მოთხოვნა.</p> <p>გამოჰკითხეთ რაჯი და რუბი, რათა წარმოდგენა შეიქმნათ სხვადასხვა მომხმარებლის დებიტორული დავალიანების ანგარიშებისა და მათი გადახდების ისტორიის შესახებ და ეძიეთ ტენდენციები. დაასაბუთეთ, რომ „დეფტას“ დებიტორული დავალიანების გარდა სხვა დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ამას დამკვეთი გარწმუნებით.</p> <p>მიმოიხილეთ საანგარიშებო თარიღის შემდეგი პერიოდის გადახდები, რათა დარწმუნდეთ დებიტორული დავალიანების ამოღების რეალურობაში.</p> <p>გაითვალისწინეთ „დეფტას“ აუდიტიდან მიღებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.</p>
<p>„დეფტა“ ისევ კმაყოფილია ჩვენგან შეძენილი საქონლის ხარისხით.</p>	<p>განიხილეთ დაბრუნებული გაყიდული საქონლის ისტორია და ეძიეთ ტენდენციები.</p> <p>განიხილეთ „დეფტას“ დებიტორული დავალიანების დადასტურების შედეგები, რათა მოსაზრება ჩამოაყალიბოთ საქონლის ხარისხის ან თანხების ამოღების შესაძლებლობაზე.</p> <p>დაათვალიერეთ მარავი და ეძიეთ დატველებული და უძრავი (დიდი ხნის) ელემენტები.</p> <p>გამოჰკითხეთ რუბი საქონლის ხარისხისა და ნებისმიერი ინფორმაციის შესახებ, რომელიც მას შეიძლება მიეღო „დეფტასგან“ იმ საქონლის ხარისხთან დაკავშირებით, რომელიც მათ შეძენილი აქვთ საანგარიშებო თარიღისთვის.</p>

აუდიტის დასრულებისას ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორებისთვის მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა აისახოს ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში, რომელსაც ხელს რაჯი კუმარი მოაწერს.

ამგვარი ინფორმაცია წერილში შეტანილი უნდა იყოს ისე, როგორც ეს ნაჩვენები იყო სასწავლო მაგალითში – „დეფტა ავეჯი“.


## 20. დასპანის მომზადება – მიმოხილვა

სექტა 20.0-1

მოქმედება

მიზანი

დოკუმენტირება<sup>1</sup>



შენიშვნები:

- გაუნით ას 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულფფოლი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგევმვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მოელი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.
- აურ = არსებითი უზუსტობის რისკები.

<b>პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან</b>	
200.11	<p>ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროს აუდიტორის საერთო მიზნებია:</p> <p>ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად; და</p> <p>ბ) დასკვნის შედგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ და აუდიტორის მიერ გამოვლენილ ფაქტებზე ინფორმაციის მიწოდება ასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.</p>
200.12	<p>ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება, ხოლო აუდიტორული დასკვნის რომელიმე შეპარობებული მოსაზრება საკმარისი არ არის კონკრეტულ გარემოებებში ფინანსური ანგარიშგების სავარაუდო მომზადებლებისთვის დასკვნის წარსადგენად, ასს-ები მოითხოვს, რომ აუდიტორმა უარი განაცხადოს დასკვნაში მოსაზრების გამოთქმაზე ან გამოვიდეს გარიგებიდან (ან გადადგეს აუდიტორობიდან), როცა გამოსვლა ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.</p>

აუდიტის საბოლოო ეტაპი მოიცავს:

სქემა 20.0-2



\* მუაპ = მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

დასკვნის მომზადების ეტაპზე დაგჭირდებათ შემდეგი საკითხების (ცნებების) ცოდნა.


ცხრილი 20.0-3

	<b>ტომი და თავები</b>
შემდგომი მოვლენები	ტ1 – 13
ფუნქციონირებადი საწარმო	ტ1 – 14
აუდიტის დოკუმენტაცია	ტ1 – 16
აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების ინფორმირება	ტ2 – 19
აუდიტორის დასკვნა	ტ1 – 17

## 21. აუდიტორული მტკიცებულებების შევასება

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები აუდიტორული მტკიცებულების საკმარისობისა და შესაფერისობის შესაფასებლად, რომლის მიზანია, აუდიტორმა შეძლოს დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, რომელსაც დაეყრდნობა აუდიტორული მოსაზრება.	220, 330, 450, 520, 540

სქემა 21.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანთ ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგევრგვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც მოვლი აუდიტის განმავლობაში გრძელდება.

პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან	
220.15	<p>გარიგების პარტნიორმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) აუდიტორული გარიგების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად; და (ის.: პუნქტები გ13-გ15, გ20)</li> <li>ბ) იმაზე, რომ აუდიტორული დასკვნა იყოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი.</li> </ul>

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და სტუდიო სწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
220.16	გარიგების პარტნიორმა პასუხისმგებლობა უნდა იყოს იმაზე, რომ მიმოხილვები ტარდება ფირმის მიმოხილვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. (იხ.: პუნქტები გ16-გ17, გ20)
220.17	აუდიტორის დასკვნის შედეგების თარიღისთვის ან მანამდე, გარიგების პარტნიორი, აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვისა და გარიგების შემსრულებელ ჯგუფთან ერთად მსჯელობის გზით, უნდა დარწმუნდეს, რომ მოპოვებულია საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები გამოტანილი დასკვნებისა და გასაცემი აუდიტორული დასკვნის განსამტკიცებლად. (იხ.: პუნქტები გ18-გ20)
220.18	გარიგების პარტნიორი:
	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) პასუხისმგებელია, უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ გარიგების შემსრულებელმა ჯგუფმა გაიარა სათანადო კონსულტაცია რთულ ან საკამათო საკითხებთან დაკავშირებით;</li> <li>ბ) დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებმა გაიარეს სათანადო კონსულტაცია გარიგების მსვლელობისას, როგორც გარიგების შემსრულებელი ჯგუფის ფარგლებში, ისე შესაფერისი დონის სხვა პირებთან ფირმის ფარგლებში ან მის გარეთ;</li> <li>გ) დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ასეთი კონსულტაციების ხასიათი და მასშტაბები და კონსულტაციის შედეგად გამოტანილი დასკვნები შეთანხმებულია კონსულტაციის გამწევ მხარესთან; და</li> <li>დ) ვალდებულია, დაადგინოს, რომ განხორციელდა ასეთი კონსულტაციების შედეგად გამოტანილი დასკვნები. (იხ.: პუნქტები გ21-გ22)</li> </ul>
220.19	კოტირებული სამურნეო სუბიექტების ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის და სხვა ისეთი აუდიტორული გარიგებისთვის, თუკი ასეთები იქნება, რომლისთვისაც ფირმა გადაწყვეტს, რომ საჭიროა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარება, გარიგების პარტნიორი ვალდებულია:
	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) დაადგინოს, რომ დანიშნულია გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი;</li> <li>ბ) გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველთან ერთად განიხილოს აუდიტორული გარიგების განმავლობაში წარმოშობილი მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, რომლებიც დაფიქსირდა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილვის პროცესში; და</li> <li>გ) არ შეადგინოს აუდიტორული დასკვნა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის დასრულებამდე. (იხ.: პუნქტები გ23-გ25)</li> </ul>
220.20	გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველმა ობიექტურად უნდა შეფასოს გარიგების შემსრულებელი ჯგუფის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი განხილვები და აუდიტორული დასკვნის შესადგენად გამოტანილი დასკვნები. ამ შეფასებაში უნდა შედიოდეს:
	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა გარიგების პარტნიორთან ერთად;</li> <li>ბ) ფინანსური ანგარიშებისა და შეთავაზებული აუდიტორული დასკვნის მიმოხილვა;</li> <li>გ) იმ შერჩეული აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვა, რომელიც ეხება გარიგების შემსრულებელი ჯგუფის მიერ ჩატარებულ მნიშვნელოვან განხილვებსა და გამოტანილ დასკვნებს; და</li> <li>დ) აუდიტორული დასკვნის შესადგენად გამოტანილი დასკვნების შეფასება და იმის განხილვა, შესაფერისია თუ არა შეთავაზებული აუდიტორული დასკვნა. (იხ.: პუნქტები გ26-გ27, გ29-გ31)</li> </ul>

## 21.1 ზოგადი მიმოხილვა

როდესაც დამთავრდება დაგენერილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, შემდეგ უნდა შეფასდეს მიღებული შედეგები. ეს მოიცავს აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვას, გარიგების შემსრულებელი ჯგუფის წევრებთან განხილვების ჩატარებასა და აუდიტის გეგმაში ცვლილებების შეტანას შესრულებული პროცედურების შედეგების გათვალისწინებით. შემდეგ ცხრილში განხილულია რამდენიმე გასათვალისწინებელი მოსაზრება.

### ცხრილი 21.1-1

<b>ზარისხის კონტროლი</b>	გარიგების პარტნიორი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ფაილის მიმოხილვა ჩატარდეს ფირმის მიმოხილვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად და აუდიტორული მოსაზრება იყოს ადეკვატური.
<b>კონსულტაცია</b>	გარიგების პარტნიორი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ: <ul style="list-style-type: none"> <li>• გარიგების ჯგუფმა მიღლოს შესაფერისი კონსულტაცია (როგორც ფირმის შიგნით, ისე მის გარეთ მესამე მხარეებთან) როგორც ან საკამათო საკითხებზე; და</li> <li>• ამგვარი კონსულტაციების შედეგად გამოტანილი დასკვნები დოკუმენტირებული იყოს და განხორციელდეს.</li> </ul>
<b>ფაილის ზარისხის მიმოხილვა (ან გარიგების ზარისხის კონტროლის მიმოხილვა)</b>	როდესაც ფირმის პოლიტიკა მოითხოვს გარიგების ზარისხის კონტროლის მიმოხილვას, გარიგების პარტნიორმა უნდა: <ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე გარიგების ზარისხის კონტროლის მიმომხილველის დანიშვნა;</li> <li>• განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები გარიგების ზარისხის კონტროლის მიმომხილველთან; და</li> <li>• არ დაათარიღოს აუდიტორის დასკვნა გარიგების ზარისხის კონტროლის მიმოხილვას დასრულებამდე.</li> </ul>

აუდიტორის მიზანია, დარწმუნდეს, რომ მოიპოვა საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები გამოტანილი დასკვნების გასამყარებლად და აუდიტორის დასკვნა შეადგინა სათანადო ფორმულირებით.

შემდეგ ცხრილში განხილულია მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების შეფასებისას გასათვალისწინებელი საკითხები.

### ცხრილი 21.1-2

<b>არსებითობა</b>	საერთო და სამუშაო არსებითობისთვის განსაზღვრული თანხობრივი სიდიდეები ისევ შესაფერისი რჩება სამურნეო სუბიექტის ფაქტობრივი ფინანსური შედეგების გათვალისწინების შემდეგაც?
	თუ შესაფერისია იმაზე უფრო დაბალი დონის არსებითობა (მთლინად ფინანსური ანგარიშების დონისთვის), რომელიც აღრე იყო დადგენილი, აუდიტორს მოეთხოვება, განსაზღვროს:
	<ul style="list-style-type: none"> <li>• აუცილებელია თუ არა სამუშაო არსებითობის დონის გადახედვა და შესწორება; და</li> <li>• ისევ მიზანშეწონილი რჩება თუ არა დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი და ვადები.</li> </ul>
<b>რისკი</b>	ისევ შესაფერისი რჩება კონკრეტული მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებები აუდიტის შედეგების გათვალისწინების შემდეგაც? თუ არა, აუდიტორმა უნდა გადახედოს და შეასწოროს რისკების შეფასებები და შეცვალოს დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურები.
<b>უზუსტობები</b>	გათვალისწინებულ იქნა გამოვლენილი უზუსტობებისა და შეუწორებელი უზუსტობების გავლენა აუდიტზე?

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოთ აუდიტი  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

	<p>განხილულ იქნა უზუსტობების/გადახრების მიზეზები? ეს მიზეზები შეიძლება მიგვანიშნებდეს ადრე გამოუვლენელი რისკის არსებობაზე, ან შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე.</p> <p>საჭიროა აუდიტის საერთო სტარტეგიისა და აუდიტის გეგმის გადახდვა და შესწორება? ამის გაკეთება მაშინ იქნება საჭირო, როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და მათი წარმოშობის გარემოებები მიგვანიშნებს, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა უზუსტობებიც, რომლებიც აუდიტის განმავლობაში დაგროვილ უზუსტობებთან გაერთიანებული შეიძლება არსებითი იყოს; ან</li> <li>• აუდიტის განმავლობაში დაგროვილი უზუსტობების აგრეგირებული სიდიდე უახლოვდება არსებითობის დონეს.</li> </ul> <p>ჩატარდა დამატებითი აუდიტორული პროცედურები იმის დასადგენად, რომ ისევ ხომ არ დარჩა ფინანსურ ანგარიშგებაში (რომელიმე კატეგორიის ოპერაციებში, ანგარიშის ნაშთში ან განმარტებით შენიშვნაში) უზუსტობები მას შემდეგაც, რაც ხელმძღვანელობას სთხოვეს უზუსტობების გასწორება?</p>
<b>თაღლითობა</b>	<p>ჩატარებული რისკის შესაფასებელი სხვა პროცედურებიდან და მასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოს შესრულების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ხომ არ მიგვანიშნებს, რომ არსებობს ერთი ან მეტი თაღლითობის რისკის ფაქტორი?</p> <p>საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს ჩატარებული ანალიზური პროცედურები, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებობს თაღლითობით გამოწვეული, ადრე გამოუვლენელი არსებითი უზუსტობის რისკი?</p> <p>შეფასდა გამოვლენილი უზუსტობები იმის დასადგენად, რომ რომელიმე უზუსტობა თაღლითობაზე მიგვანიშნებს?</p> <p>თუ ასეა, მაშინ აუდიტორმა უნდა შეაფასოს აუდიტის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით გამოვლენილი უზუსტობების შედეგი, კერძოდ, ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში მოცემული ინფორმაციის საიმედოობა. სავარაუდოდ, თაღლითობა არ იქნება იზოლირებული (ერთჯერადი) მოვლენა.</p> <p>აქვს აუდიტორს ეჭვის საფუძველი იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობა შეიძლება მონაწილეობდეს თაღლითორუ ქმედებაში, რომელმაც გამოიწვია არსებითი, ან არარსებითი უზუსტობები?</p> <p>თუ ასეა, აუდიტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკები და მათი გავლენა შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, ვალებსა და მოცულობაზე. როდესაც აუდიტორი აფასებს ადრე მოპოვებული მტკიცებულებების საიმედოობას, მან ასევე უნდა განიხილოს, გარემოებები ან პირობები ხომ არ მიანიშნებს შესაძლო შეთქმულების არსებობაზე, რომელშიც მონაწილეობენ ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან მესამე მხარეები.</p> <p>თუ დადგინდება თაღლითობის რისკების არსებობა, შეიძლება შესაძლებელი იყოს იმის დამტკიცება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის არსებითად მცდარი თაღლითობის შედეგად. თუ ამის დამტკიცება ვერ მოხსერდება, აუდიტორმა უნდა განიხილოს თაღლითობის რისკების გავლენა აუდიტზე, მათ შორის, ეჭვება ხომ არ დგება აუდიტის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>
<b>მტკიცებულებები</b>	<p>მოპოვებულ იქნა არსებითი უზუსტობის რისკების მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები? გაითვალისწინეთ დამატებითი პროცედურების ჩატარების საჭიროება.</p>
<b>ანალიზური პროცედურები</b>	<p>აუდიტის საბოლოო, შემაკერებელი მიმოხილვის სტადიაზე ჩატარებული ანალიზური პროცედურები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განამტკიცებს აუდიტის შედეგებს; თუ</li> <li>• ავლენს ადრე დაუდგენელ არსებითი უზუსტობის რისკებს?</li> </ul>

## 21.2 არსებითობის ხელახლა შეფასება

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
450.10	სანამ შეფასებს შეუსწორებელი უზუსტობების გავლენას, აუდიტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს ას 320-ის შესაბამისად განსაზღვრული არსებითობა, რათა დაადასტუროს, შესაფერისი იქნება თუ არა ის სამურნეო სუბიექტის ფაქტობრივ წლიურ შედეგებთან მიმართებითაც. (იხ. პ.გ11-გ12)

სანამ აუდიტორი შეფასებს ჩატარებული პროცედურების შედეგებსა და ამ პროცედურებით გამოვლენილ უზუსტობებს, აუდიტორმა, პირველ რიგში, ხელახლა უნდა შეაფასოს საერთო არსებითობისა და სამუშაო არსებითობის ადრე დადგენილი დონეები. ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან არსებითობის წინასწარი დონეები ხშირად ეყრდნობა სამურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგების წინასწარ, მიახლოებით შეფასებებს და შეიძლება ფაქტობრივი შედეგები განსხვავებული იყოს. არსებითობის შეცვლის საჭიროება შეიძლება განაპირობოს შემდეგმა ფაქტორებმა:

- შეიძლება თავდაპირველად განსაზღვრული არსებითობა აღარ იყოს შესაფერისი სამურნეო სუბიექტის ფაქტობრივ ფინანსურ შედეგებთან მიმართებით;
- შეიძლება აუდიტორისთვის ცნობილი გახდეს ახალი ინფორმაცია (მაგალითად, მოშხმარებლების მოლოდინები), რომელიც თავდაპირველად რომ ყოფილიყო მისთვის ცნობილი, აუდიტორი არსებითობის სხვა თანხას (ან თანხებს) დაადგენდა; და
- მოულოდნელი უზუსტობების გამოვლენა, რის გამოც კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების-თვის, ანგარიშის ნაშთისთვის, ან განმარტებითი შენიშვნისთვის შეიძლება საჭირო იყოს არსებითობის სიდიდის გაზრდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არსებითობის შესწორება აუცილებელია, აუდიტორი ვალდებულია, განიხილოს და დოკუმენტებში ასახოს ამ ცვლილების გავლენა შეფასებულ რისკებსა და საჭირო დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, მოცულობასა და ვალებზე.

თუ მთლიანად ფინანსური ანგარიშებისთვის აუცილებელი გახდება უფრო დაბალი დონის არსებითობის დადგენა, მაშინ აუდიტორმა ასევე უნდა განიხილოს, საჭირო ხომ არ არის სამუშაო არსებითობის დონეების გადახედვაც და შესწორებაც. თუ ასეა, უნდა განსაზღვროს, ისევ შესაფერისი რჩება თუ არა დაგეგმილი დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვალები და მოცულობა.

### მიმღებელობა რჩევები

თუ არსებითობა შესაცვლელია, ცვლილების შესატანად ნუ დაელოდებით აუდიტის დამთავრებას. თუ არსებითობის დონე უნდა შეამციროთ, შეიძლება საჭირო გახდეს რისკის შეფასებების შეცვლა და დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება.

## 21.3 რისკების შეფასებების შეცვლა

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
330.25	სანამ აუდიტის შესახებ დასკვნას გამოიტანს, აუდიტორმა ჩატარებულ აუდიტორულ პროცედურებსა და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს, შესაფერისი რჩება თუ არა კვლავ არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება კონკრეტული მტკიცების დონეზე. (იხ. პ. გ60-გ61)

მტკიცების დონეზე რისკის შეფასება ხშირად ეყრდნობა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. იმ დროის განმავლობაში, როდესაც ეს პროცედურები ტარდება, შეიძლება ცნობილი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევს რისკის თავდაპირველი შეფასების შეცვლის აუცილებლობას. მაგალითად, მარაგის აუდიტში, შეიძლება დაბალი იყოს სისრულის მტკიცებისთვის შეფასებული რისკის დონე, იმის ვარაუდით, რომ შიდა კონტროლი ეფექტურიანად მუშაობს. თუ კონტროლის ტესტებიდან გამოვლინდება, რომ შიდა კონტროლი ეფექტურიანად არ მუშაობს, საჭირო გახდება რისკის შეფასების შეცვლა და დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ ჩატარებულ აუდიტორულ პროცედურებზე, როდესაც შედეგები მოლოდინს არ ემთხვევა.

შემდეგ ცხრილში განხილულია ზოგიერთი საკითხი (მოსაზრება), რომელიც აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა რისკების თავდაპირველი შეფასებების შეცვლა. ცხრილი 21.3-1

<b>შიდა კონტროლი</b> <b>მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების ხასიათი</b>	<p><b>კონტროლის ტესტები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჩატარებული კონტროლის ტესტების შედეგები, განამტკიცებს რისკის შემცირების დაგეგმილ დონეს შიდა კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის გათვალისწინებით?</li> </ul> <p><b>ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ხელმძღვანელობა უგელტბულყოფს არსებულ შიდა კონტროლის პროცედურას?</li> </ul> <p><b>კონტროლის ნაკლოვანებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოტენციური უზუსტობა (უზუსტობები) გამოწვეულია შიდა კონტროლის ისეთი ნაკლოვანებით, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას?</li> </ul> <p><b>ახალი რისკის ფაქტორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მტკიცებულებები მიგვანიშნებს რაიმე ახალი ბიზნესის რისკების, თაღლითობის რისკის ფაქტორების, ან ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის გვერდის ავლის რისკების არსებობაზე?</li> </ul> <p><b>საპირისირო მტკიცებულებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოპოვებული მტკიცებულებები შესაბამისობაში არ მოდის სხვა საინფორმაციო წყაროებთან?</li> </ul> <p><b>საწინააღმდეგო მტკიცებულებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოპოვებული მტკიცებულებები წინააღმდეგობაში მოდის აუდიტორის მიერ სამეურნეო სუბიექტის შესახებ შეძნილ ცოდნასთან?</li> </ul> <p><b>სააღრიცხვო პოლიტიკა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს იმის მტკიცებულება, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა ყოველთვის უცვლელად არ გამოიყენება?</li> </ul> <p><b>მოულოდნელი თანაფარდობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოპოვებული მტკიცებულებები განამტკიცებს ფინანსურ და არაფინანსურ მონაცემებს შორის არსებულ თანაფარდობებს?</li> </ul> <p><b>თაღლითობა</b></p> <p>ტესტების ჩატარებიდან მოპოვებულია მტკიცებულებები რაიმე გამონაკლისების, წესებიდან გადახვევის, ან უცნაურობების არსებობაზე, რაც შეიძლება შესაძლო თაღლითობის (მათ შორის, ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების) მიმანიშნებელი იყოს?</p> <p><b>ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ინფორმაციის საიმედოობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ ეჭვებეჭვ დადგეს ხელმძღვანელობის, ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საიმედოობა?</li> </ul>
--	--

<p><b>უზუსტობების ხასიათი</b></p>	<p><b>სააღრიცხვო შეფასებების მიკერძოებულობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სააღრიცხვო შეფასებებსა და რეალურ ღირებულებაში გამოვლენილი უზუსტობები მიგვანიშნებს ხელმძღვანელობის შესაძლო მიკერძოებულობის მოდელზე?</li> </ul> <p><b>უზუსტობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უზუსტობები, ინდივიდუალურად, ან სხვა შეუსტორებელ უზუსტობებთან ერთად წარმოქმნის მთლიანად ფინანსური ანგარიშგების დონეზე არსებით უზუსტობას?</li> </ul>
-----------------------------------	---

როდესაც იცვლება რისკის თავდაპირველი შეფასება, სამუშაო დოკუმენტებში უნდა აისახოს ამის შესახებ ინფორმაცია და ასევე რისკების შეცვლილი შეფასებები. აქეე უნდა აისახოს, როგორ შეიცვალა აუდიტის დეტალური გეგმა რისკის შესწორებული შეფასების გათვალისწინებით. გეგმის ცვლილება შეიძლება გამოიხატებოდეს დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვა-დების, ან მოცულობის შეცვლაში, ან დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებაში.

## მნიშვნელოვანი რჩევები

აუდიტის ბიუჯეტში დრო გამოყავით იმისთვის, რომ ჯგუფის წევრებმა ერთმანეთთან განიხილონ შემოწმების შედეგები მთლიანობაში, თავიანთი სამუშაოს დასრულებისთანავე. ზემოთ მოცემულ ცხრილში შეტანილი საკითხები შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩასატარებელი განხილვის დღის წესრიგად. გახსოვდეთ, თაღლითობის გამოვლენა ხშირად ხდება წვრილმან და ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხებზე ნაწილ-ნაწილ მოპოვებული ინფორმაციის ერთ მთლიან სურათად გაერთიანების შედეგად.

### 21.4 უზუსტობების შედეგის შეფასება

პუნქტი	ასე-ის მიზნები
450.3	<p>აუდიტორის მიზანია, შეაფასოს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>გამოვლენილი უზუსტობების გავლენა აუდიტზე; და</li> <li>შეუსტორებელი უზუსტობების გავლენა, თუ ასეთი არსებობს, ფინანსურ ანგარიშგებაზე.</li> </ol>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასე-ებიდან
450.5	აუდიტორმა უნდა დააგროვოს აუდიტის პროცესში გამოვლენილი ყველა უზუსტობა, იმ უზუსტობების გარდა, რომლებიც აშკარად უმნიშვნელოა. (იხ. პ. გ2-გ3)
450.6	<p>აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის შესწორება, თუ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი და გარემოებები, რომლებშიც უზუსტობები განხორციელდა, იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება სხვა უზუსტობებიც არსებოდეს და აუდიტის პროცესში დაგროვილ უზუსტობებთან ერთად, შეიძლება არსებითი იყოს; ან (იხ. პ. გ4)</li> <li>აუდიტის პროცესში დაგროვილი უზუსტობების ჯამური სიდიდე უახლოვდება ასე 320-ის შესაბამისად განსაზღვრულ არსებითობის დონეს. (იხ. პ. გ5)</li> </ol>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
450.7	თუ აუდიტორის მოთხოვნით ხელმძღვანელობამ შეამოწმა ამა თუ იმ კატეგორიის ოპერაციები, ანგარიშის ნაშთი ან განმარტებითი შენიშვნა და შეასწორა აუდიტორის მიერ გამოვლენილი უზუსტობა, აუდიტორმა დამატებითი აუდიტორული პროცედურები უნდა ჩატაროს იმის დასადგენად, დარჩა თუ არა უზუსტობები. (იხ. პ. გ6)
450.8	აუდიტორმა დროულად უნდა აცნობოს აუდიტის პროცესში დაგროვილი ყველა უზუსტობის შესახებ ხელმძღვანელობის სათანადო დონეს, თუ ამას არ კრძალავს კანონმდებლობა. აუდიტორმა ხელმძღვანელობას უნდა სთხოვოს ამ უზუსტობების გასწორება. (იხ. პ. გ7-გ9)
450.9	თუ ხელმძღვანელობა უარს ამბოს ზოგიერთი ან ყველა უზუსტობის გასწორებაზე, რომლის შესახებაც აუდიტორმა აცნობა, აუდიტორმა უნდა გაარკვიოს უარის მიზეზები და გაითვალისწინოს ეს, როდესაც შეაფასებს, მოლინობაში ფინანსური ანგარიშება შეიცავს თუ არა არსებოთ უზუსტობას. (იხ. პ. გ10)
450.11	აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, არსებითია თუ არა შეუსწორებელი უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში. ამისათვის აუდიტორმა უნდა განიხილოს: ა) უზუსტობების სიდიდე და ხასიათი, როგორც კონკრეტული კატეგორიის ოპერაციებთან, ანგარიშების ნაშთებთან ან განმარტებით შენიშვნებთან მიმართებით, ასევე მოლიან ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებით, ასევე კონკრეტული გარემოები, რომლებშიც უზუსტობა განხორციელდა; და (იხ. პ. გ13-გ17, გ19-გ20); ბ) წინა პერიოდების შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა შესაფერისი კატეგორიის ოპერაციებზე, ანგარიშთა ნაშთებზე ან განმარტებით შენიშვნებზე და მოლიანად ფინანსურ ანგარიშებაზე. (იხ. პ. გ18)
450.12	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შეუსწორებელი უზუსტობებისა და იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება იქნიოს ამ უზუსტობებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, აუდიტორულ დასკვნაში მოცემულ აუდიტორის მოსაზრებაზე, თუ ამას არ კრძალავს კანონმდებლობა. აუდიტორის საინფორმაციო წერილში არსებითი ხასიათის შეუსწორებელი უზუსტობები ცალ-ცალკე უნდა იყოს იდენტიფიცირებული. აუდიტორმა უნდა მოითხოვოს შეუსწორებელი უზუსტობების გასწორება. (იხ. პ. გ21-გ23)
450.13	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ასევე უნდა აცნობოს წინა პერიოდების შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა შესაფერისი კატეგორიის ოპერაციებზე, ანგარიშთა ნაშთებზე ან განმარტებით შენიშვნებზე და მოლიანად ფინანსურ ანგარიშებაზე.
450.14	აუდიტორმა უნდა მოითხოვოს ოფიციალური წერილი ხელმძღვანელობისაგან და, სადაც ეს შესაფერისათ, მართვაზე პასუხისმგებელი პირებისაგან იმის შესახებ, დარწმუნებული არიან თუ არა, რომ შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, არსებითი არ არის მოლიან ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებით. ამგვარი მუხლების მოკლე მიმოხილვა უშუალოდ წერილში უნდა იყოს მოცემული, ან დაერთვოდეს ოფიციალურ წერილს. (იხ. პ. გ24)
540.18	აუდიტორმა აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე უნდა შეაფასოს, ფინანსურ ანგარიშებაში ასახული სააღრიცხვო შეფასებები გონივრულია თუ არა ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მოთხოვნების კონტექსტში, თუ არასწორია. (იხ. პუნქტები გ116-გ119)

უზუსტობების შეფასების მიზანია მათი გავლენის დადგენა აუდიტზე და ასევე საჭიროა თუ არა დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება.

აუდიტის სტრატეგიისა და აუდიტის დეტალური გეგმების შეცვლა შეიძლება აუცილებელი იყოს, როდესაც:

- გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი, ან გარემოებები მიგვანიშნებს, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა უზუსტობებიც, რომლებმაც უკვე ცნობილ უზუსტობებთან გაერთიანების შედეგად, შეიძლება გადააჭარბობს სამუშაო არსებითობის დონეს; ან
- გამოვლენილი და შეუსწორებელი უზუსტობების აგრეგირებული ოდენობა უახლოვდება, ან აჭარბებს სამუშაო არსებითობას.

## მიზანები რჩევები

გახსოვდეთ, რომ ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ გამოუვლენელი დარჩება ფინანსური ანგარიშების ზოგიერთი უზუსტობა. ამის მიზეზია აუდიტისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შექლუდვები, რომლის შესახებ საუბარი გვქონდა ამ სახელმძღვანელოს 1-ლი ტომის 3.1 თავში.

უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ადგილას, როგორც აღწერილია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 21.4-1

წყარო	აღწერა
უზუსტობები ან თაღლითობა	<p>ფინანსური ანგარიშების მომზადების დროს სამურნეო სუბიექტის პერსონალმა შეცდომები შეიძლება დაუშვას მონაცემების შეგროვების ან დამუშავებისას. აქ იგულისხმება აგრეთვე პერიოდის ბოლოს დროში გამიჯვნის პროცედურების დროს დაშვებული შეცდომებიც. კონკრეტული უზუსტობების გამოვლენის გარდა, აუდიტორს ასევე შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვროს კონკრეტულ გენერალურ ერთობლიობაში (როგორიცაა, მაგალითად, რეალიზაციის ოპერაციები) არსებული შეცდომების რაოდენობრივი სიდიდე, ფულადი ერთეულის მიხედვით აუდიტორული შერჩევის მეთოდის გამოყენებით. თუ შერჩეული შერჩევითი ერთობლიობა რეპრეზენტაციულია, შესაძლებელია უზუსტობების აგრეგირებული სიდიდის პროგნოზირება; და</li> <li>• გაითვალისწინოს გამოვლენილი უზუსტობების ხასიათი. თუ ბევრი უზუსტობა ახდენს გავლენას ამა თუ იმ კონკრეტულ ნაშთზე, ან სამურნეო სუბიექტის რომელიმე გეოგრაფიულად განცალკევებულ ქვედანაყოფზე, ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ფინანსური ანგარიშება მოიცავს თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.</li> </ul>
გამოტოვება ან თაღლითობა	შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ოპერაცია, შეცდომით ან განზრახ, არ იყოს ბუღალტრულად ასახული. ეს უკანასკნელი თაღლითობად მიიჩნევა.
მნიშვნელოვანი ოპერაციები	კომერციული თვალსაზრისით მიზანშეუწონელი მნიშვნელოვანი ოპერაციები (უჩვეულო, ან ისეთი, რომელიც სცილდება სამურნეო სუბიექტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს) შეიძლება გამზნული იყოს ფინანსური ანგარიშების მანიპულაციისთვის, ან აქტივების უკანონო მითვისების დასაფარად.
საბუღალტრო გატარებები	პერიოდის განმავლობაში ან პერიოდის ბოლოს შეიძლება გაკეთდეს არააღეკვატური, ან არასანქცირებული საბუღალტრო გატარებები და გამოყენებულ იქნეს ფინანსურ ანგარიშებაში ასახული თანხების მანიპულირებისთვის.
შეცდომები საღრიცხვო შეფასებებში	თუ სამურნეო სუბიექტის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებები მისაღებია დაიაპაზონს სცილდება, ხელმძღვანელობის სააღრიცხვო შეფასებები შეიძლება არასწორად იყოს გამოთვლილი, ან გამორჩენილი იყოს, ან შეიძლება არასწორი სააღრიცხვო შეფასება განპირობებული იყოს გარკვეული ფაქტების უგულებელყოფით ან არასწორი ინტერპრეტაციით, შეიძლება მცდარი დაშვებები იყოს გამოყენებული, ან რამე სხვა საშუალებით იყოს ტენდენციური (მიკერძოებული). სააღრიცხვო შეფასებები ასევე შეიძლება განზრახ იყოს დამახინჯებული ფინანსური ანგარიშების შედეგების მანიპულაციის მიზნით.

წყარო	აღწერა
შეცდომები რეალურ ღირებულებაში	შეიძლება აუდიტორი არ ეთანხმებოდეს ხელმძღვანელობის მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს გარკვეული აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ელემენტების რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა შეფასდეს ან განმარტებით შენიშვნებში აისახოს რეალური ღირებულებით ფასს-ების შესაბამისად.
სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება	შეიძლება აუდიტორი არ ეთანხმებოდეს ხელმძღვანელობას გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.
შეუსწორებული უზუსტობები საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში	წინა პერიოდის შეუსწორებელი უზუსტობები აისახება საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში. თუ ეს უზუსტობები არ გასწორდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს უზუსტობები მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაშიც.
ამონაგების აღიარება	ამონაგები შეიძლება გადიდებული, ან შემცირებული იყოს (მაგ., ამონაგების ნააღრევი აღიარება, ფიქტური ამონაგების ასახვა ან ამონაგების არასწორად გადატანა რომელიმე მომდევნო პერიოდში).
შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას შიდა კონტროლის მოულოდნელი ჩაშლის შედეგად. ეს ფაქტი აუდიტორმა უნდა განიხილოს ხელმძღვანელობასთან, ან აუდიტორების მიერ მომზადებული ანგარიშის მეშვეობით აცნობოს ხელმძღვანელობას და ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ დამატებითი სამუშაოს ჩატარება იქნება საჭირო სხვა შესაძლო უზუსტობების გამოსავლენად.
ინფორმაციის წარდგენა ან განმარტება ფინანსურ ანგარიშებაში	შეიძლება გამოტოვებული, არასრული ან არაზუსტი იყოს გარკვეული ინფორმაცია, რომელთა ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენა, ან შენიშვნებში განმარტება მოითხოვება ფასს-ებით.

### გამოვლენილი უზუსტობების აკრეგირება

აუდიტის დროს გამოვლენილი უზუსტობები, გარდა აშეარად უმნიშვნელო უზუსტობებისა, უნდა გაერთიანდეს. გარდა ამისა, უზუსტობები უნდა დახარისხდეს შემდეგ კატეგორიებად: ფაქტობრივი უზუსტობები, მსჯელობაში (გადაწყვეტილებაში) დაშვებული უზუსტობები და პროგნოზირებული უზუსტობები.

### მიღვენებულოვანი რჩევები

რაოდენობრივი უზუსტობების უმეტესობა შეიძლება გაერთიანდეს ისე, რომ შესაძლებელი გახდება ფინანსურ ანგარიშებაზე მათი მთლიანი გავლენის შეფასება. თუმცა, ზოგიერთი უზუსტობები (როგორიცაა, არასრული ან არაზუსტი ინფორმაციის გამუდავნება ფინანსურ ანგარიშებაში) და თვისებრივი სასიათის უზუსტობები (მაგ., შესაძლო თაღლითობის არსებობა) ვერ გაერთიანდება. ამგარი უზუსტობები ცალ-ცალკე უნდა ასახოთ სამუშაო დოკუმენტებში და ასევე ინდივიდუალურად უნდა შეაფასოთ.

იმისათვის, რომ შეძლოთ შეუსწორებელი უზუსტობების გაერთიანებული გავლენის შეფასება, ეს უზუსტობები ცენტრალიზებულად უნდა აისახოს სამუშაო დოკუმენტში. ამგარად, ერთად იქნება თავმოყრილი ყველა გამოვლენილი შეუსწორებელი უზუსტობა, რომლებიც არ არის უმნიშვნელო.

შეუსწორებელი უზუსტობების გაერთიანების პროცესს გააჩნია რამდენიმე სტადია, როდესაც შესაძლებელია გაერთიანებული უზუსტობების გავლენის განხილვა, როგორც ნაჩვენებია ცხრილში.

#### ცხრილი 21.4-2

გაერთიანებული უზუსტობების გავლენა	
განიხილეთ შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა	თითოეული კონკრეტული ანგარიშის ნაშთი, ან ოპერაციების კატეგორია.
	მთლიანი მიმდინარე აქტივები და მიმდინარე ვალდებულებები.
	მთლიანი აქტივები და ვალდებულებები.
	მთლიანი ამონაგები და ზარჯები (დაბეგვრამდე შემოსავალი).
წმინდა შემოსავალი.	

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია უზუსტობების აგრეგირების ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა.

**შენიშვნა:** უზუსტობების დონე (100 ევრო) მიჩნეულია უმნიშვნელოდ და, შესაბამისად, არ მოხდა მათი დაგროვება სამუშაო დოკუმენტში.

#### ცხრილი 21.4-3

გამოვლენილი უზუსტობების რეზიუმე.

აღწერა	მოხდენის გარემოებები	ს/დ-ის ინდ- ექსი	მეტობის (ნაკლებობის) ოდენობა (თანხა)				
			აქტივები	ვალდებუ- ლებები	შემოსავალი დაბეგვრამდე	საკუთარი კაპიტალი	შესწო- რდა?
დაურიცხავი საიჯარო ქირის ვალდებულებები.	ფაქტობრივი – უფრადლებობის შედეგი.			(5,500)	5,500	4,125	დიას
ადურიცხავი გაყიდვები.	პროგნოზირებული რეპრეზნტაციული შეჩერებითი ერთობლიობის საფუძველზე.		(12,500)		(12,500)	(9,375)	დიას
მოთხოვნები გაქვითულია ვალდებულებებით.	ფაქტობრივი – კლასიფიკაციის შეცდომა.		(5,500)	(5,500)			დიას
კაპიტალური მოწყობილობების სარჯებში ასახვა.	მსჯელობა – შეცდომა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში.		(13,500)		(13,500)	(10,125)	დიას
აუდიტის მსვლელობისას გამოვლე- ნილი უზუსტობების ჯამი.			(31,500)	(11,000)	(20,500)	(15,375)	
ხელმძღვანელობის მიერ შესწორებული უზუსტობები.			31,500	11,000	20,500	15,375	
შეუსწორებელი უზუსტობების ჯამი.		0	0	0	0	0	

გამოვლენილი უზუსტობები დროულად უნდა განიხილოთ ხელმძღვანელობასთან და სთხოვოთ მათი შესწორება. შესწორებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშების ნაშთებზე, ან გამოასწოროს არააღეკვატურად ფორმულირებული ფინანსური ანგარიშების შენიშვნები (შესაბამისი ინფორმაცია). შემდეგ ცხრილში განხილულია, რა გზით შეიძლება რეაგირება გამოვლენილ უზუსტობებზე.

ცხრილი 21.4-4

გამოვლენილ უზუსტობებზე რეაგირება	
არსებითობის ხელახლა შეფასება	სანამ შეაფასებთ შეუსწორებელი უზუსტობების გავლენას ფაქტობრივი ფინანსური შედეგების საფუძველზე, განიხილეთ, საჭირო წომ არ არის საერთო არსებითობის დონის შესწორება.
უზუსტობების მიზეზებისა და აუდიტის გეგმაზე მათი გავლენის განხილვა/გათვალისწინება	განიხილეთ აუდიტის დროს გამოვლენილი უზუსტობების მიზეზები: <ul style="list-style-type: none"> <li>პოტენციური თაღლითობის ნიშნები;</li> <li>სხვა უზუსტობების შესაძლო არსებობა;</li> <li>ადრე გამოუვლენელი რისკის არსებობა; ან</li> <li>შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანება.</li> </ul> ზემოაღნიშნული შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრეთ, საჭიროებს თუ არა აუდიტის საერთო სტრატეგია და გეგმა შესწორებას. ამის გაკეთება აუცილებელი იქნება მაშინ, როდესაც: <ul style="list-style-type: none"> <li>ვლინდება, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა უზუსტობები, რომლებიც აუდიტის დროს დაგროვილი უზუსტობებთან გაერთიანების შემთხვევაში, შეიძლება არსებოთი გახდეს; ან</li> <li>აუდიტის დროს დაგროვილი უზუსტობების აგრეგირებული სიდიდე უახლოვდება არსებითობის დადგენილ დონეს.</li> </ul>
სთხოვეთ ხელმძღვანელობას უზუსტობების გასწორება	სთხოვეთ ხელმძღვანელობას, შეასწოროს ყველა გამოვლენილი უზუსტობა, რომელიც არ არის აშკარად უმნიშვნელო.
სთხოვეთ ხელმძღვანელობას დამატებითი პროცედურების ჩატარება	თუ გენერალურ ერთობლიობაში არსებული უზუსტობების ზუსტი ოდენობა უცნობია (მაგალითად, გენერალური ერთობლიობისთვის პროგნოზირებული უზუსტობები, რომლებიც განსაზღვრული შერჩევითი ერთობლიობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი უზუსტობების საფუძველზე), სთხოვეთ ხელმძღვანელობას პროცედურების ჩატარება ფაქტურობრივი უზუსტობების სიდიდის დასადგენად და შემდეგ სათანადო ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშებიაში. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორს აუცილებლად მოუწევს გარკვეული დამატებითი პროცედურების ჩატარება იმის გასარკვევად, დარჩა თუ არა უზუსტობები ფინანსურ ანგარიშებიაში.
ხელმძღვანელობა უარის აცხადებს ყველა ან ზოგიერთი უზუსტობის გასწორებაზე	თუ ხელმძღვანელობა უარის აცხადებს ზოგიერთი ან ყველა უზუსტობის გასწორებაზე: <ul style="list-style-type: none"> <li>გაარკვით უარის მიზეზები და მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინეთ, როდესაც შეაფასებთ, ფინანსური ანგარიშებია არის თუ არა არსებითად მცდარი;</li> <li>აცნობეთ შეუსწორებელი უზუსტობების შესახებ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, მათ შორის მათი გავლენის შესახებ აუდიტორის დასკვნაში მოცემულ აუდიტორულ მოსაზრებაზე (თუ ეს კანონმდებლობით არ არის აკრძალული); და</li> <li>სთხოვეთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს იმ უზუსტობების გასწორება, რომლებიც ხელმძღვანელობამ არ შეასწორა.</li> </ul>

როდესაც აუდიტორი აყალიბებს დასკვნას იმის შესახებ, შეუსწორებელი უზუსტობების (ცალკალკე ან ერთობლივად) გამო, ფინანსური ანგარიშება მთლიანობაში გახდება თუ არა არსებითად მცდარი, აუდიტორი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

#### ცხრილი 21.4-5

გაითვალისწინეთ	
არსებობს არსებითი უზუსტობა?	<p>უზუსტობების სიდიდე და ზასიათი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>მთლიან ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებით;</li> <li>კონკრეტული კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშის ნაშთებისა და განმარტებით შენიშვნებთან მიმართებით; და</li> <li>კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში, რომელშიც უზუსტობა წარმოიშვა;</li> </ul> <p>მსჯელობისა და მსჯელობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების, ან სტატისტიკური ტესტირებისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვები. ყოველთვის არსებობს იმის აღბათობა, რომ ზოგიერთი უზუსტობა ვერ გამოვლინდება.</p> <p>რამდენად ახლოსაა შეუსწორებელი უზუსტობების აგრეგირებული სიდიდე არსებითის დონესთან (დონეებთან)? რაც უფრო უახლოვდება გაერთიანებული უზუსტობების ოდენობა არსებითობის ზღვარს, მით უფრო იზრდება არსებითი უზუსტობის რისკი.</p> <p>რაოდენობრივი მოსახრებები, ან თაღლითობის შესაძლებლიობა, როდესაც შედარებით მცირე სიდიდის უზუსტობებს შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშებაზე.</p> <p>წინა პერიოდებთან დაკავშირებული შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა.</p>

ხელმძღვანელობას ევალება ფინანსურ ანგარიშებაში კორექტირებების შეტანა, რათა გასწორდეს არსებითი უზუსტობები (მათ შორის, არაადეკვატური განმარტებითი შენიშვნები) და ნებისმიერი სხვა საჭირო ზომების გატარება.

#### უზუსტობების ხარისხობრივი განხილვა

ზოგიერთი უზუსტობა შეიძლება არსებითად იყოს მიჩნეული (ინდივიდუალურად, ან აუდიტის დროს დაგროვილ სხვა უზუსტობებთან ერთად) მაშინაც კი, როდესაც საერთო არსებითობის სიდიდეზე ნაკლებია. ქვემოთ განხილულია ასეთი შემთხვევების მაგალითები.

#### ცხრილი 21.4-6

უზუსტობები, რომლებიც:	აღწერა
ზემოქმედებს შესაბამისობაზე	მარეგულირებელი მოთხოვების, სესხის ხელშეკრულებების ან სხვა სახელშეკრულებო მოთხოვნების დარღვევა (შეუსაბამობა).
ნიღბავს ცვლილებებს	მაგალითად, ცვლილება ამონაგების ან სხვა ტენდენციებში, განსაკუთრებით საერთო-ეკონომიკურ და დარგის პირობებთან მიმართებით.
ზრდის ხელმძღვანელობის ანაზღაურებას	უზუსტობა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ დაკმაყოფილდება პრემიების ან სხვა ტიპის კომპენსაციის გაცემის მოთხოვნები.
გავლენას ახდენს სხვა მსარებზე	მაგალითად, გარეშე და დაკავშირებული მხარეები.
გავლენას ახდენს მომზმარებლის ინფორმირებულობაზე	ისეთი ინფორმაციის გამოტოვება, რომლის გამედავნებაც სპეციალურად არ მოითხოვება, მაგრამ, აუდიტორის პროფესიული მოსაზრებით, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მომზმარებლებმა წარმოდგენა შეიქმნან სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების ან ფულადი ნაკადების შესახებ.
აქციალ არაარსებითია, მაგრამ მნიშვნელოვანი განვითარება მომავალში	სააღრიცხვო პოლიტიკის არასწორად შერჩევა ან გამოყენება, რაც უმნიშვნელო გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაზე, მაგრამ, საგარაულოდ, არსებით გავლენას იქონიებს მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშებებზე.

უზუსტობები, რომლებიც:	აღწერა
გავლენას ახდენს ბანკის შეთანხმებებზე	შედარებით მცირე თანხა შეიძლება მაღაინ არსებითი იყოს სამეურნეო სუბიექტისთვის, თუ იგი იწვევს ბანკის ან სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევას.
გავლენას ახდენს ეფექტიანობის კოეფიციენტებზე	გავლენას ახდენს ეფექტიანობის კოეფიციენტებზე, რომლებიც გამოიყენებოდა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების ან ფულადი ნაკადების შესაფასებლად.

### ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეუსწორებელ უზუსტობებზე უნდა დამოწმდეს ხელმძღვანელობისგან ოფიციალური წერილის მოპოვებით. ამ წერილში აღნიშნული უნდა იყოს, რომ, ხელმძღვანელობის აზრით, არც ერთი შეუსწორებელი უზუსტობა (რომელთა სია დაერთვის წერილს, ან წერილის ტექსტში იქნება შეტანილი) არ არის არსებითი, არც ინდივიდუალურად და არც ერთობლიობაში. თუ ხელმძღვანელობა არ ეთანხმება უზუსტობების აუდიტორისეულ შეფასებებს, მან შეიძლება წერილს დაამატოს შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ ... ესა და ეს ... მუხლები მოიცავს უზუსტობებს, რადგან [მიზეზების აღწერა].“

**შენიშვნა:** როდესაც აუდიტორი მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აწვდის ინფორმაციას, მას მოეთხოვება, რომ შეუსწორებელი არსებითი უზუსტობები ინდივიდუალურად და დააფიქსიროს.

როდესაც ხელმძღვანელობის მიერ შეუსწორებელი უზუსტობების შესახებ უკნობება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს და უზუსტობები მაიც არ გასწორდება, აუდიტორი ვალდებულია, ანალოგიური წერილი მოიპოვოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისგანაც. ამ წერილშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებსაც სჯერათ, რომ შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის არსებითი, არც ინდივიდუალურად და არც ერთობლიობაში. ამ შემთხვევაშიც, ასეთი საკითხების სია (მოკლე მიმოხილვა) უნდა დაერთოს წერილს, ან წერილის ტექსტში უნდა იყოს შეტანილი.

### 21.5 საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
330.26	აუდიტორმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, მოპოვებული აქვს თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, აუდიტორმა უნდა განიხილოს ყველა სათანადო აუდიტორული მტკიცებულება, იმის მიუხედავად, ის ამტკიცებს თუ ეწინააღმდეგება ფინანსური ანგარიშგების მტკიცებებს. (ის. პ. გ62)
330.27	თუ აუდიტორს მოპოვებული არა აქვს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ფინანსური ანგარიშგების რომელიმე არსებითი მტკიცების შესახებ, აუდიტორმა უნდა სცადოს სხვა აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება. თუ აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, მან ფინანსური ანგარიშგების შესახებ უნდა გამოთქვას პირობითი მოსაზრება, ან დასკვნაში უარი განაცხადოს მოსაზრების გამოთქმაზე.

აუდიტის საბოლოო მიზანი არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება, რათა მისაღებ დაბალ დონემდე შემცირდეს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკები.

რა იქნება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, ამის განსაზღვრა პროფესიული განსჯის საგანია. მტკიცებულებების საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასება ძირითადად დაეყრდნობა დამატებითი აუდიტორული პროცედურების დამაკმაყოფილებლად ჩატარებას, რომლებ-

იც შემუშავდა არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით. ეს მოიცავს ნები-სმიერ დამატებით ან მოდიფიცირებულ პროცედურებს, რომლებიც შესრულდა რისკის თავდაპირვ-ელ შეფასებაში გამოვლენილ ცვლილებაზე რეაგირებისთვის. შემდეგ ცხრილში განხილულია ზო-გიერთი ფაქტორი, რომელიც აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასებისას:

### ცხრილი 21.5-1

აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასება	
გასათვალისწინებელი ფაქტორები	<p><b>უზუსტობების არსებითობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად მნიშვნელოვანია იმ მტკიცებაში არსებული უზუსტობა, რო-მლის აუდიტიც ტარდება და რამდენია იმის ალბათობა, რომ ის არსე-ბით გავლენას იქონიებს (ინდივიდუალურად ან სხვა პოტენციურ უზ-უსტობებთან ერთობლიობაში) ფინანსურ ანგარიშგებაზე?</li> </ul> <p><b>ხელმძღვანელობის რეაგირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ რეაგირებს ხელმძღვანელობა აუდიტის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე (შედეგებზე) და რამდენად ეფექტურია შიდა კონტროლი რისკის ფაქტორებზე რეაგირების კუთხით?</li> </ul> <p><b>წინა გამოცდილება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ჩატარებული იყო წარსულში მსგავსი პროცედურები და გამოვლინდა რაიმე უზუსტობები?</li> </ul> <p><b>ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგები განამტკიცებს პროცედურების მიზნებს და არსებობს რაიმე სიმპტომი თაღლითობის ან შეცდომის არსებობის?</li> </ul> <p><b>ინფორმაციის ხარისხი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>შესაფერისი და სანდოა ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყარო აუდი-ტორული დასკვნების გასამყარებლად?</li> </ul> <p><b>დამაჯერებლობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად დამაჯერებელია აუდიტორული მტკიცებულება?</li> </ul> <p><b>სამეურნეო სუბიექტის შესახებ შეძენილი ცოდნა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოპოვებული მტკიცებულებები მხარს უჭერს, თუ ეწინააღმდეგება რი-სკის შესაფასებელი პროცედურების შედეგებს, რომლებიც ჩატარდა სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, შიდა კონტრო-ლის შესწავლის პროცესში?</li> </ul>
	თუ ვერ ხერხდება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, აუდი-ტორი დასკვნაში გამოხატავს პირობით მოსაზრებას ან უარს აცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე.
	<b>21.6 საბოლოო ანალიზური პროცედურები</b>
პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
520.6	აუდიტორმა ანალიზური პროცედურები უნდა შეიმუშაოს და ჩატაროს აუდიტის ბოლო სტანდიტის დასრულებისას, რაც მას დაეხმარება საბოლოო დასკვნის გამოტანაში იმის შესახებ, შესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება აუდი-ტორის ცოდნას სამეურნეო სუბიექტის შესახებ. (იხ. პუნქტები გ17-გ19).

გარდა იმისა, რომ ანალიზური პროცედურები ტარდება რისკის შესაფასებლად და შემდეგ, როგორც ძირითადი პროცედურა, აუდიტორს ანალიზური პროცედურების ჩატარება მოეთხოვება აუდიტის დასრულებისას, ან მის მახლობელ პერიოდში, როდესაც აყალიბებს საბოლოო დასკვნას (ასე 520).

საბოლოო ანალიზური პროცედურების ჩატარების მიზანია:

- გამოვლინდეს აქამდე გამოუკლენელი არსებითი უზუსტობების რისკი;
- აუდიტორი დარწმუნდეს, რომ აუდიტის მსვლელობისას გამოტანილი დასკვნები ფინანსური ან-გარიშგების ცალკეული კომპონენტების, ან ელემენტების შესახებ შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული; და
- დაეხმაროს აუდიტორს საერთო, საბოლოო დასკვნის გამოტანაში ფინანსური ანგარიშგების სა-მართლიანობის შესახებ.

თუ ახალი რისკები ან მონაცემებს შორის მოულოდნელი თანაფარდობები გამოვლინდება, აუდი-ტორს შეიძლება დასჭირდეს დაგეგმილი ან ჩატარებული აუდიტორული პროცედურების ხელახლა შეფასება.

## **21.7 მნიშვნელოვანი შედეგები და საკითხები**

შეფასების პროცესის საბოლოო ეტაპია აუდიტის მსვლელობისას მიღებული ყველა მნიშვნელოვანი შედეგის, ან საკითხის დაფიქსირება გარიგების დასრულების ამსახველ დოკუმენტში, რომელიც შე-იძლება მოიცავდეს:

- ყველა საჭირო ინფორმაციას არსებითი შედეგების ან საკითხების გასაგებად; ან
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომი მხარდაჭერი სამუშაო დოკუმენტის მითითებას.

ეს დოკუმენტი ასევე შეიცავს აუდიტორის დასკვნებს, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან საკი-თხებთან დაკავშირებით გამოვლენილ ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შესაბამება, ან წინააღ-მდეგობაში მოდის აუდიტორის მიერ გამოტანილ საბოლოო დასკვნებთან. თუმცა, ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ისეთი დოკუმენტაციის შენახვაზე, რომელიც არასწორი ან შეცვლილია, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგების პრიექტი, რომელიც შეიძლება არასრული იყოს.

## **21.8 სასწავლო მაგალითები – აუდიტორული მტკიცებულებების შეფასება**

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სას-წავლო მაგალითებისთვის.

დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარების შედეგად ჩავინიშნეთ შემდეგი შეუსწორებელი უზუსტობები და საკითხები.

## სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

20X3 წლის 18 თებერვალი.

ამონარიდი შესაძლო შესწორებების საბოლოო სიიდან – „დეფტა“

აღწერა	მოხდენის გარემოებები	ს/დ	აქტივები	ვალდებულებები	შემოსავალი დაგვვრამდე	საკუთარი კაპიტალი	შესწორდა?
შეცდომები მარავის შევასების გამოთვლები.	ახალმა თანამშრომელმა დაუშვა შეცდომები.	D.300	(19,000)		(19,000)	(15,200)	დას
„დეფტას“ მეშვეობით გადახდილი პირადი ხარჯები, რომელიც დამატებული არ არის აქციონერის ანგარიშზე.	გამოვლინდა ხარჯების ტესტირების დროს. ამან გაძოიშვია გარკვეული დამატებითი სამუშაო, რათა გვეპოვა მსგავსი მუხლები.	550.8		(4,800)	(4,800)	(3,840)	დას
მომხმარებლის ანგარიში 90 დღეზე მეტი ხსნისაა და არ მომხდარა შემდგომი გადახდა.	მოთხოვნების ხანდაზმულობისა და შემდგომი გადახდების მიმოხილვა.	C.305	12,000		12,000	9,600	დას
აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილი უზუსტობების კამი.			(7,000)	(4,800)	(11,800)	(9,440)	
ხელმძღვანელობის მიერ შესწორებული უზუსტობები.			(7,000)	(4,800)	(11,800)	(9,440)	
შესწორებელი უზუსტობების კამი.		0	0	0	0	0	

ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში, სადაც შესრულდა დამატებითი სამუშაო, იქაც უნდა იყოს მითითებული შესაბამისი სამუშაო დოკუმენტი, რათა დაგრწმუნდეთ, რომ მსგავსი უზუსტობები სხვაგან არ არსებობს, ან გამოვლენილი უზუსტობები არ მიგვანიშნებს უფრო სერიოზულ პრობლემაზე, როგორიცაა ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირება.

ამონარიდი აუდიტის ფაილის მემორან, რომელიც ეხება აუდიტორული  
მტკიცებულებების შეფასებას

აუდიტის შედეგები	დაგევმილი საპასუხო ქმედებები
მარავის შეფასებაში დაშეგბულია რამდენიმე ხაკანცელარიო (მექანიკური) შეცდომა, რამც გამოიწვია მარავის ღირებულების შემცირება 19,000 ევროთი.	უნდა გააანალიზოთ შეცდომების ხასიათი, რათა გამოვლინდეს მიღდა კონტროლის ნაკლოვანებები. უნდა ჩაატაროთ დამატებითი სამუშაო იმაში დასარწმუნებლად, რომ კველა მნიშვნელოვანი შეცდომა გამოვლინდა. შეიტანეთ კომენტარი ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილ წერილში (ანგარიშში).
ხარჯების ტესტირების დროს აღმოჩნდა, რომ მოწყობილობის ტექმიმსახურებისა და რემონტის ხარჯები 4,800 ევრო უკავშირდებოდა სურაჯის პირადი მერსედესის მომსახურების ხარჯს.	უნდა ჩაატაროთ დამატებითი სამუშაო, რათა გამოავლინოთ სხვა პირადი ხასიათის ოპერაციები. თუ გამოვლინდება სხვა პირადი ოპერაციებიც, განიხილეთ, არის თუ არა ეს ხელმძღვანელობის უპატიონსებისა და შესაძლო თაღლითობის მიმანიშნებელი.
მოთხოვნების ანგარიშის ტესტირებისას გამოვლინეთ, რომ ზოგიერთი ანგარიში 90 დღეზე მეტი ხნის იყო და ამ ანგარიშზე განხორციელებული არ იყო არანაირი ვადახდა იმ დროისთვის, როდესაც ამ ანგარიშებს გამოწმებდით. მართალია, სურაჯმა დაგვარწმუნა, რომ ამ ანგარიშების ნაშთები ამოღებადია (რადგან მომხმარებელმა ნაშთი დაადასტურა), მაგრამ ჩვენ ამ თანხების ამოღება სარწმუნოდ არ მივაჩნია. ეს ფაქტი დოკუმენტებში დავაფიქსიროთ, როგორც შეუსწორებელი შეცდომა.	განავრდეთ მონიტორინგი ფულადი სახსრების მიღებაზე იმ დრომდე, როდესაც დავვგმილია შემდვომ მოვლენებზე ჩასატარებელი სამუშაოები. გაუკანით კლიენტებისგან თანხების ამოღების ისტორიას და სცადეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვოთ ამ კომპანიების შესახებ.
სააღრიცხვო ჩანაწერებში ასახული ზოგიერთი ინსტრუმენტი და მოწყობილობა უკვე აღარ გამოიყენება. შეძენილ იქნა ახალი მანქანა-დანადგარები, რომლებიც იმავე სამუშაოს ასრულებებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ხელმძღვანელობას ეს აქტივები მაინც ღირებულად მიაჩნია, რადგან მათი გამოყენება ისევ შესაძლებელი იქნება მანქანა-დანადგარის გაფუჭების შემთხვევაში.	გაარკვიეთ (გამოკითხვების მეშვეობით) რეალურად იყენებდნენ თუ არა გასულ პერიოდში ამ ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს. დავადგენთ ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების კამიტალური დანახარჯების ოდენობას და საჭიროა თუ არა მათი ჩამოწერა.

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

ამოანრიდი მემორან, რომელიც ეხება შესაძლო შესწორებების საბოლოო სიას

### მარაგი

მარაგის ინვენტარიზაციის დროს ჩვენ მიერ გაკეთებული მარაგის სია არ ჩართუს კომპანიის საბოლოო სიაში – მარაგის ღირებულება შემცირებულია 1,800 ევროთი, შემოსავალიც – 1,800 ევროთი; იხილეთ სდ D.108.

### საპასუხო აუდიტორული პროცედურა

შეცდომა გამოიწვა იმან, რუბიძ არ გამოიყენა მარაგის საბოლოო სია. ჩვენ გავაფართოვებთ დაგენერიკულ ძირითად პროცედურებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ინვენტარიზაციის დროს განხილული ყველა კორექტირება აისახა მარაგის საბოლოო სიაში.

### შეცდომა ვალდებულებების ანგარიშების დროში გამიჯვნის პროცედურებში

რუბიძ ბუღალტრულად არ ასახა სახარატო დაზვის კაპიტალური რემონტისა და ტექმომ-სახურების ხარჯი. ეს გამოვლინდა კომპანიის მიერ სანგარიშებო თარიღის შეძლევ გადახდილი თანხების ტესტირების დროს. იხ. სდ CC.110. ამ შეცდომის გავლენა ვალდებულებებსა და დაბუკრაძე შემოსავალზე შეადგენს 900 ევროს.

### საპასუხო აუდიტორული პროცედურა

უნდა გავაფართოვოთ კომპანიის დროში გამიჯვნის პროცედურების ტესტირების ფარგლები, რადგან, როგორც ჩანს, რუბიძ ძალიან დაკავებული იყო ამ პერიოდში და შეიძლება არ შეინახა ყველანაირი ხარჯის სია, რომელიც დაფარა სანგარიშებო პერიოდის დამთავრების შეძლევ, მაგრამ დაკავშირებული იყო 20X2 ფისკალურ წელთან. ტესტირების ზღვარი დავწიეთ 400 ევრომდე.

ხელმძღვანელობა დათანხმდა ამ უზუსტობების გასწორებას.

მოამზადა: ფა

თარიღი: 20X3 წლის 24 თებერვალი


მიმოიხილა: ლფ

თარიღი: 20X3 წლის 5 მარტი

## 22. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინციდენტები

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები იმის შესახებ, როგორ შეიძლება განხორციელდეს ეფექტური ორმხ- რივი კომუნიკაცია აუდიტორსა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირ- ებს შორის და აუდიტის შედეგად გამოვლენილი რომელი ინფორმაცია და სხვა რა საკითხები უნდა ეცნობოს მათ.	260, 265, 450

სქემა 22.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანით ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგემობა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი აუდიტის განმავლობაში.

პუნქტი	ასს-ის მიზნები
260.9	<p>აუდიტორის მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირება აუდიტორის პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური ანგარიშების აუდიტთან მიმართებაში და აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების მიმოხილვა;</li> <li>ბ) აუდიტორი დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისგან;</li> <li>გ) მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების დროული უზრუნველყოფა აუდიტის პროცესში გამოვლენილი ისეთი შენიშვნებით, რომლებიც მნიშვნელოვანია და შეესაბამება მათ პასუხისმგებლობას, ზედამხედველობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს; და</li> <li>დ) აუდიტორსა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა.</li> </ul>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ას-ებიდან
260.10	<p>ას-ების მიზნებისთვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:</p> <p>ა) მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – პირ(ებ)ი ან ორგანიზაცი(ები)ა (მაგ., კორპორაციული ტრასტი), რომლებსაც გააჩნიათ სამეურნეო სუბიექტის სტრატეგიულ მიმართულებაზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობა და სამეურნეო სუბიექტის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებანი. ამაში შედის ზედამხედველობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტში მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებში შეიძლება შედიოდეს ხელმძღვანელი პერსონალი, მაგალითად, კერძო ან სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტის მმართველი საბჭოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე მენეჯერი. მმართველობის სტრუქტურების მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად იხ. პუნქტები გ1-გ8.</p> <p>ბ) ხელმძღვანელობა – პირ(ებ)ი, რომლებსაც გააჩნიათ აღმასრულებელი პასუხისმგებლობა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის განხორციელებაზე. ზოგიერთ იურისდიქციაში ზოგიერთ სამეურნეო სუბიექტში ხელმძღვანელობაში შედის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ცალკეული ან ყველა პირი, მაგალითად, მმართველი საბჭოს აღმასრულებელი წევრები, ან მესაკუთრე მენეჯერი.</p>
260.11	აუდიტორმა უნდა განსაზღვროს ის სათანადო პირ(ებ)ი სამეურნეო სუბიექტის მმართველობის სტრუქტურაში, რომლებსაც მიაწვდის ინფორმაციას (იხ.: პუნქტები გ1-გ4)
260.12	თუ აუდიტორი ინფორმაციას აწვდის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ერთ-ერთ ქვეჯგუფს, მაგალითად, აუდიტის კომიტეტს, ან ცალკეულ პირს, მან უნდა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა ასევე მმართველი ორგანოს ინფორმირებაც. (იხ.: პუნქტები გ5-გ7)
260.13	ზოგ შემთხვევაში, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი მონაწილეობს სამეურნეო სუბიექტის მართვაში, მაგალითად, მცირე კომერციული საწარმო, სადაც მხოლოდ ერთადერთი მესაკუთრე მართავს სამეურნეო სუბიექტს და სხვას არავის გააჩნია მმართველობის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში, თუკი მოცემული ას-ით მოთხოვნილი საკითხების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების მქონე პირ(ებ)ს და ამ პირ(ებ)ს ასევე გააჩნიათ მმართველობის პასუხისმგებლობაც, ამ საკითხების შესახებ ინფორმაციის კვლავ მიწოდება აღარ არის საჭირო იმავე პირ(ებ)ისთვის, მათ მიერ მმართველობის ფუნქციის შესრულების დროს. ეს საკითხები განხილულია 16(გ) პუნქტში. მიუხედავად ამისა, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ხელმძღვანელი პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ის ინფორმირებით ხორციელდება ყველა იმ პირის სათანადო ინფორმირება, რომლებსაც სხვა შემთხვევაში აუდიტორი ისედაც მიაწოდებდა ინფორმაციას, მათ მიერ მმართველობის ფუნქციის შესრულების დროს. (იხ.: პუნქტი გ8)
260.14	<p>აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა გააცნოს აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებით, მათ შორის ის, რომ:</p> <p>ა) აუდიტორი პასუხისმგებელია იმ ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებასა და აუდიტორის დასკვნაში გამოთქმაზე, რომელიც მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მხრიდან ზედამხედველობით; და</p> <p>ბ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ათავისუფლებს ხელმძღვანელობას ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს მათი პასუხისმგებლობებისგან. (იხ.: პუნქტები გ9-გ10)</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
260.15	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ზოგადი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების შესახებ (იხ.: პუნქტები გ11-გ15)
260.16	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა გააცნოს: (იხ.: პუნქტი გ16) <ul style="list-style-type: none"> <li>ა) აუდიტორის შესედულებები სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ასპექტების შესახებ, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკა, სააღრიცხვო შეფასებები და ფინანსურ ანგარიშგებაში გასამჟღავნებელი ინფორმაცია. როდესაც შესაფერისია, აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა აუხსნას, რატომ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პრაქტიკა, რომელიც მისაღებია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების თანახმად, არ იქნება ამ სამეურნეო სუბიექტის კონკრეტული გარემოებებისთვის ყველაზე მიზანშეწონილი; (იხ.: პუნქტი გ17)</li> <li>ბ) ის მნიშვნელოვანი სირთულეები, რომლებსაც შესვდა აუდიტის განმავლობაში; (იხ.: პუნქტი გ18)</li> <li>გ) თუ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი არ მონაწილეობს სამეურნეო სუბიექტის მართვაში:               <ul style="list-style-type: none"> <li>(i) აუდიტის პროცესში წარმოჭრილი ის მნიშვნელოვანი საკითხები (თუკი იქნება), რომლებიც განხილულ იქნა ხელმძღვანელობასთან, ან ექვემდებარება ხელმძღვანელობის ინფორმირებას; და (იხ.: პუნქტი გ19)</li> <li>(ii) აუდიტორის მიერ მოთხოვნილი წერილობით წარსადგენი ოფიციალური ინფორმაცია; და</li> </ul> </li> <li>დ) აუდიტიდან გამომდინარე სხვა ისეთი საკითხები (თუკი იქნება), რომლებიც, აუდიტორის პროფესიული განსჯით, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესშე ზედამხედველობის გაწევისთვის. (იხ.: პუნქტი გ20)</li> </ul>
260.18	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა აცნობოს ინფორმირების ფორმების, ვადებისა და მისაწოდებელი ინფორმაციის ზოგადი შინაარსის შესახებ. (იხ.: პუნქტები გ28-გ36)
260.19	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს წერილობით უნდა აცნობოს აუდიტიდან მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ, თუ, აუდიტორის პროფესიული განსჯით, ზეპირი ინფორმირება არ იქნება ადეკვატური. აუცილებელი არ არის, რომ წერილობითი ინფორმირება შეიცავდეს აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილ ყველა საკითხს. (იხ.: პუნქტები გ37-გ39)
260.21	აუდიტორმა დროულად უნდა მოახდინოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირება. (იხ.: პუნქტები გ40-გ41)
260.22	აუდიტორმა უნდა შეაფასოს, აუდიტის მიზნებისთვის ადეკვატური არის თუ არა აუდიტორსა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის ორმხრივი საინფორმაციო კავშირი. თუ არ არის ადეკვატური, აუდიტორმა უნდა შეაფასოს გავლენა არსებითი უზუსტობის რისკების აუდიტორისუულ შეფასებასა და საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შესასტლებლობაზე და გაატაროს სათანადო ზომები. (იხ.: პუნქტები გ42-გ44).

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
260.23	იმ შემთხვევაში, როდესაც წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს კონკრეტული საკითხების შესახებ ინფორმირებას და ინფორმირება ხორციელდება სიტყვიერი ფორმით, აუდიტორმა ეს საკითხები უნდა შეიტანოს აუდიტის დოკუმენტაციაში, ასევე თუ ვის და როდის მიაწოდა ეს ინფორმაცია. თუ საკითხების ინფორმირება მოხდა წერილობით, აუდიტორმა ამ წერილის ასლი უნდა შეინახოს აუდიტის დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილის სახით. (იხ.: პუნქტი გ45)
265.09	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს წერილობით, დროულად უნდა აცნობოს აუდიტის განმავლობაში შიდა კონტროლში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. (იხ.: პუნქტი გ12-გ18, გ27)
450.12	აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შეუსწორებელი უზუსტობებისა და იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ უზუსტობებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, აუდიტორულ დასკნაში მოცემულ აუდიტორის მოსაზრებაზე, თუ ამას არ კრძალავს კანონმდებლობა. აუდიტორის საინფორმაციო წერილში არსებითი ხასიათის შეუსწორებელი უზუსტობები ცალ-ცალკე უნდა იყოს იღენტიფიცირებული. აუდიტორმა უნდა მოითხოვოს შეუსწორებელი უზუსტობების გასწორება. (იხ. პ. გ21-გ23)
450.13	აუდიტორმა მართვაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე უნდა აცნობოს წინა პერიოდების შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა შესაფერისი კატეგორიის ოპერაციებზე, ანგარიშთა ნაშთებზე ან განმარტებით შენიშვნებზე და მთლიანად ფინანსურ ანგარიშებაზე.

## 22.1 ზოგადი მიმოხილვა

ეფექტური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორსა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის ნებისმიერი აუდიტის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს საშუალებას იძლევა:

- აუდიტორმა აცნობოს მათ ასს-ებით მოთხოვნილი და სხვა საკითხების შესახებ; და
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა აუდიტორს მიაწოდონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად მისთვის მიუწვდომელი იქნებოდა. ეს ინფორმაცია აუდიტორს შეიძლება დაეხმაროს დაგეგმვასა და აუდიტის შეფასებაში.

## 22.2 მართვა

მართვის სტრუქტურები სხვადასხვანაირია სხვადასხვა იურისდიქციასა და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტში, რაც ასახავს განსხვავებულ კულტურულ გარემოსა და სამართლებრივ ბაზას, ასევე სამეურნეო სუბიექტის ზომასა და საკუთრების სპეციფიკას (სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას). უმტეს სამეურნეო სუბიექტებში მართვის ერთობლივი პასუხისმგებლობა ეკისრება მმართველ ორგანოს, როგორიცაა დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორები, მესაკუთრები, მართვის კომიტეტი, მმართველთა საბჭო, ნდობით აღჭურვილი პირები ან ანალოგიური სტატუსის მქონე სხვა პირები.

მცირე სამეურნეო სუბიექტებში მართვის უფლებამოსილება შეიძლება მხოლოდ ერთ პირს ჰქონდეს მინიჭებული, მაგალითად, მესაკუთრე-მმართველს, სადაც სხვა მესაკუთრები არ არსებობენ, ან ერთ ნდობით აღჭურვილ პირს. ასეთ შემთხვევაში, თუ მოითხოვება საკითხების ინფორმირება ხელმძღვანელობისთვის, საჭირო არ არის ერთსა და იმავე პირ(ებ)ს მეორედ ეცნობოს იმავე საკითხების შესახებ იმის გამო, რომ ისინი იმავდროულად მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებიც არიან. თუმცა, როდესაც ერთზე მეტი მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია სამეურნეო სუბიექტში (მაგალითად, ოჯახის სხვა წევრები), აუდიტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მათგანი სათანადოდ იყოს ინფორმირებული.

სხვა სამეურნეო სუბიექტებში, სადაც მართვა რამდენიმე ორგანოს ერთობლივ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, აუდიტორის ინფორმირება შეიძლება მიმართული იყოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ქვეჯგუფზე, როგორიცაა, მაგალითად, აუდიტის კომიტეტი. ასეთ დროს აუდიტორი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ასევე მთელი მმართველი ორგანოს ინფორმირების საჭიროებაც. ამ მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- ქვეჯგუფისა და მმართველი ორგანოს შესაბამისი პასუხისმგებლობებს;
- მისაწოდებელი საკითხის ზასიათს;
- შესაბამისი სამართლებრივ ან მარეგულირებელ მოთხოვნებს;
- აქვს თუ არა ქვეჯგუფს ზომების გატარების უფლებამოსილება მიწოდებულ ინფორმაციასთან მიმართებით და შეუძლია თუ არა, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციისა და ახსნა-განმარტებების მიწოდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია იმ შესაფერისი პირ(ებ)ის (რომლებიც ინფორმირებულნი უნდა იყვნენ) ზუსტად იდენტიფიცირება შესაფერისი სამართლებრივი ჩარჩოდან ან გარიგების სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, აუდიტორს შეიძლება დასჭირდეს იმ შესაფერისი პირ(ებ)ის კანდიდატურების განხილვა და შეთანხმება გარიგების დამდებ მხარესთან, რომლებიც უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

ინფორმირებისთვის სათანადო პირების შერჩევისთვის აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს სამეურნეო სუბიექტის მართვის სტრუქტურა და პროცესები, რის შესახებაც მან ინფორმაცია მოიპოვა სამეურნეო სუბიექტის სავალდებულო შესწავლის პროცესში. ის შესაფერისი პირ(ებ)ი, რომლებიც ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, შეიძლება სხვადასხვა იყოს იმის მიხედვით, თუ რა საკითხის ინფორმირებას აპირებს აუდიტორი.

როდესაც სამეურნეო სუბიექტი საწარმოთა ჯგუფის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ის შესაფერისი პირ(ებ)ი, ვისაც უნდა აცნობოს ამ კომპონენტის აუდიტორმა, დამოკიდებულია გარიგების გარემოებებსა და ინფორმირებისთვის განსაზღვრულ საკითხზე. ზოგიერთ შემთხვევაში, რამდენიმე კომპონენტი შეიძლება ეწეოდეს ერთსა და იმავე საქმიანობას შიდა კონტროლის ერთსა და იმავე სისტემაში და იყენებდეს ერთსა და იმავე სააღრიცხვო პრაქტიკას. როდესაც ამ კომპონენტების მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთი და იგივეა (მაგალითად, საერთო დირექტორთა საბჭო), ზემოხსენებული ინფორმირების მიზნებისთვის დუბლირების თავიდან აცილება შეიძლება ამ კომპონენტების ერთდროულად ინფორმირების გზით.

### **22.3 რა საკითხები ექვემდებარება ინფორმირებას?**

სამეურნეო სუბიექტის მართვის პოზიციიდან მნიშვნელოვანი საკითხები მოიცავს:

- აუდიტორის პასუხისმგებლობას ფინანსური ანგარიშების აუდიტთან მიმართებაში;
- აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებს; და
- აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან შედეგებს.

აუდიტორს არ ევალება სპეციალური აუდიტორული პროცედურების დაგეგმვა სამეურნეო სუბიექტის მართვის პოზიციიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოსავლენად, თუ ამას კონკრეტული ქვეყნის სტანდარტები ან კანონმდებლობა არ მოითხოვს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი მოთხოვნები და კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს კონფიდენციალობის ვალდებულებას, რომელიც აუდიტორის კომუნიკაციას ზღუდავს. აუდიტორი უნდა გაეცნოს ამგვარ მოთხოვნას, სანამ დაუკავშირდება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს.

### **მნიშვნელოვანი რჩევები**

იზრუნეთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებაზე. ეს დაგეხმარებათ მხარეებს შორის კომუნიკაციის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში.

## აუდიტორის პასუხისმგებლობები

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა ეცნობოთ იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობის გაწევაზე მათზე დაკისრებულ მოვალეობებთან (ფუნქციებთან). ეს მოიცავს ინფორმირებას იმის თაობაზე, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ათავისუფლებს ხელმძღვანელობას ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს მათი პასუხისმგებლობისგან; და
- აუდიტორის პასუხისმგებლობა მოიცავს:
  - მოსაზრების ჩამოყალიბებას და გამოხატვას აუდიტორის დასკვნაში იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოამზადა ხელმძღვანელობამ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ზედამხედველობით; და
  - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

იმ მოთხოვნის შესრულება ხმირად შეიძლება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის აუდიტორული გარიგების წერილის ასლის გადაცემით, შედეგად, ისინი ინფორმირებულები იქნებიან შემდეგი საკითხების შესახებ:

### ცხრილი 22.3-1

საკითხები	
გადაეცით აუდიტორული გარიგების წერილის ასლი	აუდიტორის პასუხისმგებლობა აუდიტის ასს-ების შესაბამისად ჩატარებაზე.
	ასს-ის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა ეცნობოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან გამომდინარე იმ მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგნის პროცესზე ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებასთან.
	ის ფაქტი, რომ ასს-ები აუდიტორს არ ავალებულებს სპეციალურად ისეთი პროცედურების დაგეგმვას, რომლის მიზანი იქნება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის მისაწოდებელი დამატებითი საკითხების დადგენა.
	აუდიტორის პასუხისმგებლობა (თუ ასეთი არსებობს), მიაწოდოს ინფორმაცია ისეთი კონკრეტული საკითხების შესახებ, რომლებიც მოითხოვება კანონმდებლობით ან სამეცნიერო სუბიექტთან დადებული შეთანხმებით, ან გათვალისწინება მოცემულ გარიგებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნებით, მაგალითად, ბუღალტერთა ეროვნული პროფესიული ორგანიზაციის სტანდარტებით.

## აუდიტის დაგეგმვის მასშტაბი და კადეტი

აუდიტის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზანია, აუდიტორსა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა. თუმცა, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო იმ თვალსაზრისით, რომ მათ არ მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია (მაგალითად, კონკრეტული აუდიტორული პროცედურების სპეციფიკისა და ჩატარების ვალების შესახებ), რათა ზიანი არ მიადგეს აუდიტის ეფექტურობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ზოგიერთი ან ყველა პირი მონაწილეობს სამეცნიერო სუბიექტის მართვაში.

განსახილველ საკითხებს განეცუთვნება:

აღწერა	
<b>აუდიტის გეგმა</b>	<p>ზოგადი ინფორმაცია აუდიტის გეგმის, მასშტაბისა და ვადების შესახებ.</p> <p>აუდიტში არსებითობის კონცეფციის გამოყენება.</p> <p>რა ზომები გატარდება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ მნიშვნელოვან არსებითი უზუსტობის რისკებზე.</p> <p>მიღვომა აუდიტის პოზიციიდან შესაფერის შიდა კონტროლთან მიმართებით.</p> <p>არსებითი ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში და სავარაუდო გაცლენა.</p>
<b>ინფორმაციის მოპოვება მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისგან (რომელაც შეიძლება გავლენა იქონიოს აუდიტის გვებზე)</b>	<p>მსჯელობა სამეურნეო სუბიექტის მიზნებსა და სტრატეგიებზე, მარეგულირებელ ორგანოებთან მნიშვნელოვანი საინფორმაციო კავშირის შესახებ და ამასთან დაკავშირებულ ბიზნესის რისკებზე, რომლებმაც შეიძლება არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს.</p> <p>რა სახის ზედამხედველობა ხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შიდა კონტროლის ადეკვატურობაზე, მათ შორის, თაღლითობის რისკებზე;</li> <li>ხელმძღვანელობის კომპეტენციასა და პატიოსნებაზე; და</li> <li>იმ ზომებზე, რომლებიც გატარდა აუდიტორის მიერ ადრე ინფორმირებულ საკითხებთან დაკავშირებით.</li> </ul> <p>საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს აუდიტში.</p> <p>თხოვნა აუდიტორის მიმართ, ჩაატაროს დამატებითი პროცედურები.</p> <p>სხვა საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშების აუდიტზე.</p>

#### **აუდიტის მსელელობისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები**

სამეურნეო სუბიექტის მართვის პოზიციიდან მნიშვნელოვანი ყველა საკითხი, გარდა ხელმძღვანელობის კომპეტენციასა და პატიოსნებასთან დაკავშირებული საკითხებისა, აუდიტორმა თავდაპირველად ხელმძღვანელობასთან უნდა განიხილოს. ამგარი საწყისი განხილვები ემსახურება აუდიტორისთვის საინტერესო ფაქტებისა და საკითხების განმარტებას, რაც ხელმძღვნელობას საშუალებას აძლევს, აუდიტორს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს.

ასე 260-ის დანართში (რომელიც მოყვანილია ქვემოთ) მოცემულია იმ სპეციფიკური საკითხების სია, რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს. ეს მოთხოვნები ამ სახელმძღვანელოს სხვა ნაწილშია განხილული.

#### **ცხრილი 22.3-3**

ასე	ინფორმირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები	
სტ 1	„ხარისხის კონტროლი ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“	30(ა)
ას 240	„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“	21, 38(გ)(i), 40-42

**აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცავე და საშუალო საწარმოს აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მოთხოვები**

ასს	ინფორმირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები	
ასს 250	„კანონმდებლობის გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს“	14, 19, 22-24
ასს 265	„მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისა და ხელმძღვანელობის ინფორმირება შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ“	9
ასს 450	„აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება“	12-13
ასს 505	„გარეშე მხარეების დადასტურება“	9
ასს 510	„პირველი აუდიტორული გარიგება – საწყისი ნაშთები“	7
ასს 550	„დაკავშირებული მხარეები“	27
ასს 560	„შემდგომი მოვლენები“	7(გ)-(გ), 9, 10(გ), 13(გ), 14(გ), 17
ასს 570	„ფუნქციონირებადი საწარმო“	23
ასს 600	„სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)“	49
ასს 705	„მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“	12, 14, 19(გ), 28
ასს 706	„მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“	9
ასს 710	„შესაძარისი ინფორმაცია – შესაბამისი ციფრები და შესაძარისი ფინანსური ანგარიშგება“	18
ასს 720	„აუდიტორის პასუხისმგებლობა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების შემცველ დოკუმენტებში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“	10, 13, 16

შემდეგ ცხრილში შეტანილია სამეურნეო სუბიექტის მართვის პოზიციიდან მნიშვნელოვანი ტიპური საკითხები, რომელთა შესახებაც შეიძლება ეცნობოს მათ (უკეთესია, თუ წერილობით).

#### ცხრილი 22.3-4

აუდიტის საკითხები	მოსაზრებები ინფორმირების შესახებ
სააღრიცხვო პოლიტიკა	ნებისმიერი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო მეთოდების არჩევა (ან შეცვლა), რომელიც სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ან შეიძლება მოახდინოს.
წინა პერიოდში ინფორმირებული საკითხები	სამეურნეო სუბიექტის მართვის პოზიციიდან მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებაც წინა პერიოდში მიეწოდათ ინფორმაცია და შეუძლია გავლენის მოხდენა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
არსებითი უზუსტობის რისკები	ნებისმიერი არსებითი რისკის პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე (როგორიცაა, დაუმთავრებელი სასამართლო პროცესი), რომელიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებას საჭიროებს.
არსებითი განუსაზღვრელობა	ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვის გამოწვევა სამეურნეო სუბიექტის უნარის შესახებ – განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

აუდიტის საკითხები	მოსაზრებები ინფორმირების შესახებ
პრობლემები	ეკონომიკური გარემო-პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტზე, მის ბიზნესგეგმებსა და სტრატეგიებზე და ამის გამო შესაძლოა გავლენას ახდენდეს არსებითი უზუსტობის რისკებზე. პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ხელმძღვანელობის მიერ საბუღალტ-რო ან აუდიტის საკითხებზე სხვა ბუღალტრებთან გავლილი კონსულტაცი-ებით.
აღმოჩენილი მნიშვნელოვანი სირთულეები	ეს შეიძლება მოიცავდეს: <ul style="list-style-type: none"><li>• აღრიცხვისა და აუდიტის რთული საკითხების გადაჭრას;</li><li>• აუდიტისთვის საჭირო დოკუმენტების არარსებობას;</li><li>• პერსონალის უუნარობას, უპასუხოს აუდიტორის კითხვებს;</li><li>• აუდიტის მასშტაბის შეზღუდვებსა და როგორ გადაიჭრა პრობლემა; და</li><li>• ხელმძღვანელობასთან უთანხმოება ისეთ საკითხებზე, რომლებიც, ინდი-ვიდუალურად ან ერთობლიობაში, შეიძლება არსებითი იყოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშებისთვის, ან აუდიტორის დასკვნის-თვის.</li></ul>
მოსაზრებები სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის შესახებ	ხელმძღვანელობის კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები: <ul style="list-style-type: none"><li>• შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები;</li><li>• ხელმძღვანელობის პატიოსნებასთან დაკავშირებული საკითხები;</li><li>• დაკავშირებულ მხარეებთან შესრულებული მნიშვნელოვანი ოპერაციები;</li><li>• უკანონო ქმედებები; და</li><li>• თაღლითობა ხელმძღვანელობის მონაწილეობით.</li></ul>
აუდიტორული კორექტირებები	აუდიტორული კორექტირებები, რომლებიც არ გასწორდა და გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშებაზე.
შეუსწორებელი უზუსტობები	შეუსწორებელი უზუსტობები (ძალიან უმნიშვნელო თანხების გარდა), რომ-ლებიც ხელმძღვანელობამ არაარსებითად მიიჩნია მთლიან ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებაში როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში.
აუდიტორის დასკვნა	აუხსენით ყველა მიზეზი, რის გამოც აუდიტორის დასკვნა შეიძლება იყოს მოღიფირებული.
შეთანხმებული საკითხები	ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შეთანხმებული იყო აუდიტორული გა-რიგების პირობებში.
სხვა საკითხები	სხვა საკითხები (თუ ასეთი არსებობს), რომლებიც წამოიჭრა აუდიტის მსვლელობისას და აუდიტორის პროფესიული მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესზე ზედამხდველობის კუთხით.

### მინიჭებულოვანი რჩევები

ინფორმაცია ყოველთვის წერილობით მიაწოდეთ, როდესაც ეს შესაძლებელია. წერილი, ან ანგა-რიში ორივე მხარისთვის იქნება დოკუმენტი, საიდანაც გამოჩნდება, რა საკითხების ინფორმირება მოხდა. თუ საჭირო ინფორმაციას სიტყვიერად აცნობებთ, მაშინ აწარმოეთ შეხვედრების ოქმები, რომლებსაც თქვენც და სამეურნეო სუბიექტიც გამოიყენებთ იმ ინფორმაციის სათანადოდ დოკუმე-ნტირებისთვის, რომელთა შესახებაც მიაწოდეთ ინფორმაცია.

## დოკუმენტები

როდესაც ასს-ებით მოთხოვნილ ინფორმაციას სიტყვიერად აცნობებთ, მოამზადეთ ჩანაწერები (შენიშვნები) ფაილისთვის, სადაც მიუთითებთ, ვინ და როდის მიაწოდა ამ საკითხების შესახებ ინფორმაცია. თუ წერილობით გააკეთებთ ამას, შეინახეთ წერილის (ანგარიშის) ასლი, როგორც სამუშაო დოკუმენტაციის ნაწილი.

### ინფორმირების დროულობა

უზრუნველყოფით, რომ აუდიტის პოზიციიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია დროულად მიაწოდოთ, რათა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა შეძლონ სათანადო ზომების გატარება.

### 22.4 სასწავლო მაგალითები – მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება

სასწავლო მაგალითების დეტალების გასაცნობად იხილეთ მე-2 ტომის მე-2 თავი – შესავალი სასწავლო მაგალითებისთვის.

### სასწავლო მაგალითი – „დეფტა ავეჯი“

მართვის პოზიციდან მნიშვნელოვანი აუდიტის საკითხები.

გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან, რომელიც ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს გაეგზავნათ:



Jamel, Woodwind & Wing LLP  
55 Kingston St., Cabetown, United Territories 123-53004

20X3 წლის 15 მარტი

მმართველ დირექტორს, ბატონ სურაჯ დეფტას  
„დეფტა ავეჯი“

2255 West Street  
North Cabetown  
United Territories  
123-50214

ბატონო დეფტა,

ამ მოხსენებით ბარათში გაცნობებთ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ანგარიშების აუდიტის მსვლელობისას და ეხება ისეთ ასპექტებს, რომელთა შესახებაც, ჩვენი აზრით, თქვენ აუცილებლად უნდა იყოთ ინფორმირებულები.

ჩვენ ძირითადად დავასრულეთ კომპანია „დეფტა ავეჯის“ ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარება სათანადო პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ვვარაუდობთ, რომ აუდიტორულ დასკვნას გამოვცემთ 20X3 წლის 20 მარტისთვის, როგორც კი თქვენგან მივიღებთ ხელმოწერილ ოფიციალურ წერილს.

ჩვენი აუდიტის მიზანია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. ამსოდეულური რწმუნების მოპოვება შეუძლებელია აუდიტისა და შიდა კონტროლისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვების გამო. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს გარდაუვალი რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხერხდეს ზოგიერთი არსებითი უზუსტობის გამოვლენა.

აუდიტის დაგეგმვისას ჩვენ ვითვალისწინებთ ფინანსური ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლს, რათა განვსაზღვროთ ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების

ხასიათი, მოცულობა და ვადები. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ უზრუნველყოფს რწმუნებას „დეფტა ავეჯის“ შიდა კონტროლის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. მეორე მხრივ, თუ აუდიტის პროცესში ჩვენ გამოვავლენთ შიდა კონტროლში გარკვეულ ნაკლოვანებებს, ამის შესახებ მოგახსენებთ. გთხოვთ იხილოთ ამ წერილის დანართი ა (სახლმძღვანელოში არ არის მოცემული).

ვინაიდან თაღლითობა წინასწარგანზრახული ქმედებაა, ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არსებით უზუსტობებს, თაღლითობას ან სხვა უკანონო ქმედებას, მაგრამ ისინი ვერ გამოვლინდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად.

გთავაზობთ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების მოკლე მიმოხილვას.

1. ჩვენ არ გამოგვივლენია ისეთი არსებითი საკითხები (გარდა ადრე გამოვლენილი და თქვენთან ერთად განხილული უზუსტობებისა, რომლებიც ამჟამად უკვე შესწორებულია), რომლებიც თქვენს ყურადღებას მოითხოვს.
2. აუდიტის მსვლელობისას კარგად ვითანამშრომლეთ ხელმძღვანელობასა და სხვა თანამშრომლებთან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩვენ ასევე სრულად მიგვიწვდებოდა ხელი სააღრიცხვო ჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც გვჭირდებოდა აუდიტის ჩასატარებლად. ჩვენ არ გვქონია რაიმე უთანხმოება ხელმძღვანელობასთან და დადებითად გადავჭრით აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამუღავნებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

თუმცა, ასევე გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე:

- ოფიციალურ პროფესიულ დოკუმენტებში პერიოდის განმავლობაში შესული ცვლილებები. იხ. დანართი ბ (აუდიტის მოცემული);
- სხვა გამოვლენილი საკითხები, რომლებმაც შესაძლოა ხელმძღვანელობა დააინტერესოს, იხ. დანართი გ (აუდიტის მოცემული).

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები არ მოითხოვს ჩვენგან სპეციალური პროცედურების დაგეგმვას მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთათვის საინტერესო საკითხების გამოსავლენად. შესაბამისად, აუდიტი, როგორც წესი, ვერ ავლენს ყველა ასეთ საკითხს.

ეს წერილი მომზადდა მხოლოდ და მხოლოდ ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით და რაიმე სხვა მიზანს არ ემსახურება. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ არანაირი მესამე მხარის წინაშე, ვინც ამ წერილს გამოიყენებს.

პატივისცემით,

სენგ ჩენ ლი

Jamel, Woodwind & Wing LLP

## სასწავლო მაგალითი – „კუმარი და კომპანია“

**მემო ფაილისთვის:** მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება

### აუდიტორული კორექტირებები და აუდიტის შედეგები

ჩვენ რაჯისთან ერთად განვიხილეთ მარაგის ნაშთსა და კრედიტორული დავალიანების ანგარიშებში შესატანი კორექტირებები. მან აღნიშნა, რომ ოჯახური პრობლემების გამო, ამ საანგარიშებო პერიოდში დიდი დრო ვერ დაუთმო რუბის ზედამხედველობასა და ოპერაციების დამტკიცებას; ამიტომ მას არ გაკვირვებია, რომ რაღაც ინფორმაცია გამოტოვებულია. ის დაგვპირდა, რომ რუბი შეამოწმებს საანგარიშებო პერიოდის დამთავრების შემდეგ გადახდილი თანხების ანგარიშებს, რათა მომდევნო პერიოდში უკეთ იყოს მოწესრიგებული აღრიცხვა.

ჩვენ მივუთითეთ, რომ გარდა ზემოაღნიშნული კორექტირებისა, აუდიტის დროს არ აღმოგვიჩენია სხვა არსებითი პრობლემები და რუბიც ძალიან დაგვეხმარა მუშაობაში.

### სხვა რეკომენდაციები:

საინფორმაციო ტექნოლოგიების კონტროლის საშუალებების განხილვისას, შევიტყვეთ, რომ რუბის არასდროს შეუმოწმებია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტის სარეზერვო ფაილების შექმნის ფუნქცია (ქვეპროგრამა); რაჯის ვურჩევთ მათ შემოწმებას, რათა დარწმუნდეს, რომ სააღრიცხვო ჩანაწერები დაცული იქნება. სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სააღრიცხვო ჩანაწერების დაკარგვა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მომავალში აუდიტის ჩატარების შესაძლებლობაზე.


მოამზადა: სლ

თარიღი: 20X3 16 მარტი.

## 23. აუდიტორის დასკვნის მოდიფიკაციები

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა გამოხატოს აუდიტორმა, საჭიროების შემთხვევაში, აღეპვატურად მოდიფიცირებული მოსაზრება.	705

სქემა 23.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანით ას 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვდა.
- დაგეგმვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი აუდიტის განმავლობაში.

პუნქტი	ასს-ის მიზნები
705.4	<p>აუდიტორის მიზანია შესაფერისად მოდიფიცირებული მოსაზრების ნათლად გამოხატვა ფინანსურ ანგარიშგებაზე, რაც აუცილებელია, როდესაც:</p> <p>ა) აუდიტორი მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაასკვნის, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას; ან</p> <p>ბ) აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დაასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.</p>

**პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან**

705.5	<p>წინამდებარე ასს-ების მიზნებისათვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) ყოვლისმომცველი – ტერმინი, რომელიც გამოიყენება უზუსტობების კონტექსტში, ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის აღწერისათვის ან ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების იმ შესაძლო გავლენის აღწერისათვის (თუ ასეთი არსებობს), რომელთა აღმოჩენა ვერ მოხერხდა საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობის გამო. ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობის ყოვლისმომცველი გავლენა არის გავლენა, რომელიც აუდიტორის განსჯით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) არ შემოიფარგლება ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული ელემენტებით, ან-გარიშებით ან მუხლებით;</li> <li>(ii) თუ შემოიფარგლება, წარმოადგენს ან შეიძლება წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს; ან</li> <li>(iii) განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულ ინფორმაციასთან მიმართებაში, გადა-მწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლების მიერ ფინანსური ანგარიშგების გაგებისათვის.</li> </ul> <p>ბ) მოდიფიცირებული მოსაზრება – პირობითი მოსაზრება, უარყოფითი მოსაზრება ან აუდიტორის უარი მოსაზრების გამოთქმაზე.</p>
705.6	<p>აუდიტორმა აუდიტორის დასკვნაში აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება უნდა განახორციელოს, როდესაც:</p> <p>ა) აუდიტორი მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაასკვნის, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას; ან (იხ. პუნქტები გ2-გ7)</p> <p>ბ) აუდიტორს არ შეუძლია საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულე-ბების მოპოვება, რათა დაასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. (იხ. პუნქტები გ8-გ12)</p>
705.7	<p>აუდიტორმა პირობითი მოსაზრება უნდა გამოხატოს, როდესაც:</p> <p>ა) მოიპოვებს რა საქმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, დაასკვნის, რომ უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ფინანსური ანგარიშგებისა-თვის არსებითა, მაგრამ არა ყოვლისმომცველი; ან</p> <p>ბ) არ შეუძლია საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპო-ვება, რასაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება, მაგრამ დაასკვნის, რომ ფინანსურ ან-გარიშგებაზე აღმოჩენებით უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი არსებობს) შეიძლება იყოს არსებითი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.</p>
705.8	<p>აუდიტორმა უარყოფითი მოსაზრება უნდა გამოხატოს, როდესაც მოიპოვებს რა საკ-მარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, დაასკვნის, რომ გამოვლენილი უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ფინანსური ანგარიშგებისათვის არსები-თიცაა და ყოვლისმომცველიც.</p>
705.9	<p>აუდიტორმა დასკვნაში მოსაზრების გამოთქმაზე უარი უნდა თქვას, როდესაც არ შე-უძლია საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რასაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება და დაასკვნის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე აღმოჩენებით უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი არსებობს) შეიძლება იყოს არსე-ბითიც და ყოვლისმომცველიც.</p>
705.10	<p>აუდიტორმა დასკვნაში მოსაზრების გამოთქმაზე უარი უნდა თქვას, როდესაც ძალიან იშვიათ შემთხვევებში, მრავალი განუსაზღვრელობა არსებობს და აუდიტორი დაასკვნის, რომ მოუხედავად იმისა, რომ თითოეულ განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აქვს მოპოვებული, შეუძლებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების ჩამოყალიბება, განუსაზღვრელობების შესაძლო ურთიერთქმედებისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი კუმულაციური გავ-ლენის გამო.</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
705.11	თუ გარიგებაზე დათანხმების შემდეგ აუდიტორისათვის ცნობილი გახდება, რომ ხელმძღვანელობამ შეზღუდა აუდიტის მასშტაბი, რაც აუდიტორის აზრით, სავარაუდოდ, წარმოქმნის ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი მოსაზრების გამოთქმის ან მოსაზრების გამოთქმაზე უარის საჭიროებას, მან ხელმძღვანელობას უნდა მოსთხოვოს აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა.
705.12	თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის მე-11 პუნქტში მითითებული შეზღუდვის მოხსნაზე, აუდიტორმა ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, თუ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები სამეურნეო სუბიექტის მართვაში არ მონაწილეობენ და უნდა განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა აღტერნატიული პროცედურების ჩატარება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად.
705.13	თუ აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, მან ზემოაღნიშნულის გავლენა შემდეგნაირად უნდა განსაზღვროს: ა) თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი არსებობს) შეიძლება არსებითი იყოს, მაგრამ არა ყოვლისმომცველი, აუდიტორმა უნდა გამოხატოს პირობითი მოსაზრება; ან ბ) თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი არსებობს) შეიძლება იყოს არსებითიც და იმდენად ყოვლისმომცველიც, რომ პირობითი მოსაზრება არააღეპატური იქნება არსებული მდგომარეობის ასახვისათვის, აუდიტორმა: (i) უარი უნდა თქვას აუდიტის გაგრძელებაზე, როდესაც ამის გაკეთება მიზანშეწონილია პრაქტიკული თვალსაზრისით და დაშვებულია კანონმდებლობით; ან (იხ. პუნქტები გ13-გ14) (ii) თუ აუდიტორის დასკვნის შედგენამდე აუდიტის გაგრძელებაზე უარის თქმა მიზანშეწონილი არ არის პრაქტიკული თვალსაზრისით, ან შესაძლებელი არ არის, მან მოსაზრების გამოთქმაზე უარი უნდა განაცხადოს დასკვნაში.
705.14	თუ აუდიტორი წყვეტს აუდიტორულ გარიგებას 13(ბ)(i) პუნქტში აღწერილ შემთხვევაში, სანამ ამას გააკეთებს, აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა აცნობოს აუდიტის პროცესში გამოვლენილი ყველა იმ უზუსტობის შესახებ, რომლებიც გამოიწვევს აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირებას. (იხ. პუნქტი გ15)
705.15	თუ აუდიტორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე უარყოფითი მოსაზრების გამოთქმა, ან მოსაზრების გამოთქმაზე უარი, არ შეიძლება, რომ მან ერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ან მის ერთ ან მეტ ელემენტზე, ანგარიშზე ან მუხლზე იმავე აუდიტორის დასკვნაში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის იმავე საფუძვლების გამოყენებით გამოთქმას არამოდიფიცირებული მოსაზრება. ასეთ ვითარებაში, იმავე აუდიტორის დასკვნაში არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩართვა წინააღმდეგობაში მოვა მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის უარყოფით მოსაზრებასთან ან მოსაზრების გამოთქმაზე უართან. (იხ. პუნქტი გ16)
705.16	როდესაც აუდიტორი მოდიფიცირებულ მოსაზრებას გამოთქმებს ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მან ასე 700-ით მოთხოვნილი სპეციფიკური ელემენტების გარდა, აუდიტორის დასკვნაში უნდა ჩართოს აბზაცი, რომელშიც აღწერილი იქნება მოდიფიცირების გამომწვევი საკითხი. აუდიტორმა აუდიტორის დასკვნაში ეს აბზაცი უნდა დაამატოს უშუალოდ მოსაზრების აბზაცის წინ და დაასათაუროს საჭიროებისამებრ: „პირობითი მოსაზრების საფუძველი,“ „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი,“ ან „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“. (იხ. პუნქტი გ17)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან			
705.17	თუ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ კონკრეტულ თანხებთან (მათ შორის რაოდენობრივ განმარტებით შენიშვნებთან), აუდიტორმა მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში უნდა აღწეროს აღნიშნული უზუსტობა და მისი ფინანსური გავლენის რაოდენობრივი შეფასება, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია. თუ, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელია ფინანსური გავლენის რაოდენობრივი შეფასება, აუდიტორმა ესეც უნდა აღნიშნოს მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში. (იხ. პუნქტი გ18)			
705.18	თუ არსებობს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობა, რომელიც დაკავშირებულია ტექსტურ განმარტებით შენიშვნებთან, აუდიტორმა მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში უნდა მოუთითოს, რატომ არის მოცემული განმარტებითი შენიშვნა მცდარი.			
705.19	თუ არსებობს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობა, რომელიც დაკავშირებულია ისეთი ინფორმაციის არგამულავნებასთან, რომლის განმარტებით შენიშვნებში ასახვაც მოითხოვება, აუდიტორმა:	a) აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან;	b) მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში უნდა აღწეროს გამოტოვებული ინფორმაციის ხსიათი; და	c) კანონმდებლობით თუ არ იკრძალება, ჩასვას გამოტოვებული ინფორმაცია, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია პრაქტიკული თვალსაზრისით და აუდიტორი მოიპოვებს საქმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, გამოტოვებული ინფორმაციის შესახებ. (იხ. პ. გ19)
705.20	თუ მოსაზრების მოდიფიცირება გამოწვეულია იმით, რომ აუდიტორმა ვერ შეძლო საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, მან ამის მიზეზები უნდა ახსნას მოდიფიცირების საფუძვლის ამსახველ აბზაცში.			
705.21	მაშინაც კი, როდესაც აუდიტორი ფინანსურ ანგარიშგებაზე უარყოფით მოსაზრებას გამოხატავს, ან მოსაზრების გამოთქმაზე უარს განაცხადებს დასკვნაში, აუდიტორმა მოდიფიცირების საფუძვლის ამსახველ აბზაცში უნდა აღწეროს მისთვის ცნობილი ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც, მისი აზრით, გამოიწვევდა მოსაზრების მოდიფიცირებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენის შეფასება. (იხ. პუნქტი გ20)			

### 23.1 ზოგადი მიმოხილვა

აუდიტორმა ნათლად უნდა გამოხატოს დასკვნაში სათანადოდ მოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ისეთ სიტუაციებში, რომლებიც შემდეგ ცხრილშია განხილული:

#### ცხრილი 23.1-1

სიტუაციები	
დასკვნის მოდიფიცირება აუცილებელია  (პირობითი, უარყოფითი, ან მოსაზრების გამოთქმაზე)	ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარია აუდიტორი მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დაასკვნის, რომ მთლიანად ფინანსურ ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას. ეს მოიცავს არსებით შეუსწორებელ უზუსტობებს, არააღეკვატური სააღრიცხვო პრინციპების გამოყენებას და ისეთი ინფორმაციის არგამულავნებას, რაც იწვევს არსებით უზუსტობას. საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა

	<p>აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ეს შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოებები, რომლებიც სამურნეო სუბიექტის კონტროლის ფარგლებს სცილდება;</li> <li>• აუდიტორის სამუშაოს ხასიათთან ან ვადებთან დაკავშირებული გარემოებები, როგორიცაა, მაგალითად, მარაგის ინვენტარიზაციაზე დასწრების შეუძლებლობა; ან</li> <li>• ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული შეზღუდვები, მაგალითად, როდესაც ხელმძღვანელობა აუდიტორს უფლებას არ აძლევს, მოიპოვოს გარეშე მხარეთა დასტური გარკვეული დებიტორული დავალიანებების შესახებ.</li> </ul>
--	--

### **23.2 აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირება**

მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების გამოხატვა მოითხოვება მაშინ, როდესაც:

- აუდიტორი მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არ არის არსებითი უზუსტობისგან; ან
- შეუძლებელია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რის საფუძველზეც აუდიტორი დასკვნიდა, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

არსებობს სამი ტიპის მოდიფიცირებული მოსაზრება: პირობითი, უარყოფითი და უარი მოსაზრების გამოთქმაზე.

შემდეგ ცხრილში (ამოღებულია ას 705.გ1 პუნქტიდან) ნაჩვენებია, რა გავლენას ახდენს აუდიტორის დასკვნაში გამოითქმულ მოსაზრების ტიპზე აუდიტორის პროფესიული განსჯა, რომელიც ეხება:

- მოდიფიკაციის გამომწვევი საკითხის ხასიათს; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი გავლენის, ან შესაძლო გავლენის ყოვლისმომცველობას.

	აუდიტორის განსჯა ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის ან შესაძლო გავლენის ყოვლისმომცველობის შესახებ	
მოდიფიცირების საჭიროების წარმომქმნელი საკითხების ხასიათი	არსებითი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი	არსებითი და ყოვლისმომცველი
ფინანსურ ანგარიშგება არსებითად მცდარია	პირობითი მოსაზრება	უარყოფითი მოსაზრება
საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა	პირობითი მოსაზრება	მოსაზრების გამოთქმაზე უარი

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სამი ტიპის მოდიფიკაციის აღეპვატურად გამოყენების წესები.

ცხრილი 23.2.-2

ტიპი	გამოყენება
პირობითი მოსაზრება	<p>როდესაც გავლენა არ არის ისეთი არსებითი და ყოვლისმომცველი, რომ მოთხოვებოდეს უარყოფითი მოსაზრების გამოხატვა, ან აუდიტორის დასკვნაში უარის გაცხადება მოსაზრების გამოთქმაზე. კერძოდ, პირობითი მოსაზრება გამოიყენება მაშინ, როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიტორი მოიპოვებს რა საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, დაასკვნის, რომ არსებობს უზუსტობები, რომლებიც ცალკალკე ან ერთობლივად ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითია, მაგრამ არ არის ყოვლისმომცველი; ან</li> <li>• აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რასაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება, მაგრამ დაასკვნის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი არსებობს) შეიძლება იყოს არსებითი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.</li> </ul>
ფორმულირებულია შემდეგი სახით:	„პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის (ან შესაძლო გაფლენის) გარდა ...“
უარყოფითი მოსაზრება	როდესაც უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითიც არის და ყოვლისმომცველიც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუდიტორი მოიპოვებს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, მაგრამ დაასკვნის, რომ უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითიცა და ყოვლისმომცველიც.
ფორმულირებულია შემდეგი სახით:	„ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს ...“
უარი მოსაზრების გამოთქმაზე	<p>როდესაც უზუსტობების შესაძლო გავლენა (თუ ასეთი იარსებებს) ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითიც არის და ყოვლისმომცველიც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რასაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება და დაასკვნის, რომ აღმოუჩენელი უზუსტობების შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე (თუ ასეთი იარსებებს) შეიძლება იყოს არსებითიც და ყოვლისმომცველიც.</p> <p>ეს ასევე ეხება იშვიათ შემთხვევებსაც, როდესაც აუდიტორს არ შეუძლია მოსაზრების ჩამოყალიბება არსებული მრავალი განუსაზღვრულობის შესაძლო ურთიერთქმედებისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი კუმულაციური გავლენის გამო. ეს პრინციპი გამოიყენება მაშინაც, როდესაც აუდიტორს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მოპოვებული აქვს თითოეულ განუსაზღვრულობასთან დაკავშირებით.</p>
ფორმულირებულია შემდეგი სახით:	„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძლით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.“

უარყოფითი მოსაზრების გამოთქმის, ან აუდიტორის დასკვნაში მოსაზრებაზე უარის გაცხადების ერთადერთი აღტერნატივა იქნება აუდიტორული გარიგებიდან გამოსვლა (თუ ამის გაკეთება ნებადართულია) და მოსაზრების (დასკვნის) არგაცემა.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაზრების მოდიფიცირება მოითხოვება, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლებს მიეწოდება ცალკე აბზაცში, სახელწოდებით „მოდიფიცირების საფუძველი“, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

### ცხრილი 23.2-3

<b>მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცი</b>	<p><b>მიზანი</b></p> <p>მოდიფიკაციის გამომწვევი მიზეზების ფორმულირება (შეძლებისდაგვარად, ერთგაროვნად) ცალკე აბზაცში, რომელიც განთავსდება მოსაზრების, ან მოსაზრების გამოთქმაზე უარის ამსახველი აბზაცის წინ. მისი სათაური იქნება: „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“, ან „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, საჭიროებისამებრ.</p> <p><b>ფორმულირება</b></p> <p>ამ აბზაცში მოცემული უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსაზრების მოდიფიკაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზების აღწერა;</li> <li>• თუ შესაძლებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი უზუსტობ(ებ)ის გავლენის რაოდენობრივი შეფასება, თუ იგი დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ კონკრეტულ თანხებთან (მათ შორის რაოდენობრივ განმარტებით შენიშვნებთან). აյ იგულისხმება უზუსტობის რაოდენობრივი გავლენის შეფასება კონკრეტული ანგარიშგების ნაშთიერზე, ოპერაციების კატეგორიებსა და განმარტებით შენიშვნებზე, ასევე გავლენა დაბეგრამდელ მოგებაზე, წმინდა შემოსავალსა და საკუთარ კაპიტალზე;</li> <li>• თუ, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელია უზუსტობების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება, აუდიტორმა ესეც უნდა აღნიშნოს მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში;</li> <li>• თუ არსებითი უზუსტობა დაკავშირებულია ტექსტურ განმარტებით შენიშვნებთან, აუდიტორმა უნდა ახსნას, რატომ არის მოცემული განმარტებითი შენიშვნა მცდარი;</li> <li>• გამოტოვებული ინფორმაციის აღწერა, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია. მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში გამოტოვებული ინფორმაციის შესახებ განმარტებითი შენიშვნების ასახვა, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეუძლებელი იქნება, თუ აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები არ მოუმზადებია ხელმძღვანელობას, ან სხვაგვარად არ არის ხელმისაწვდომი აუდიტორისათვის, ან აუდიტორის აზრით, აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები აუდიტორის დასკვნასთან მიმართებაში შეუსაბამოდ დიდი მოცულობისა;</li> <li>• ნებისმიერი ისეთი გამოვლენილი საკითხის აღწერა, რომელიც მოითხოვს აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირებას. უარყოფითი მოსაზრება, ან უარი მოსაზრების გამოთქმაზე, რომელიც დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ საკითხთან, არ ამართლებს აუდიტორს, მოდიფიცირების საფუძვლის აბზაცში არ ასახოს სხვა საკითხები, რომლებიც ასევე მოითხოვს აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირებას.</li> </ul>
<b>ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები</b>	აუდიტორის დასკვნაში აუდიტორი შეიძლება მიუთითებდეს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე შენიშვნაზე, სადაც მოცემული საკითხი უფრო ფართოდ არის განხილული.

### 23.3 ფინანსური ანგარიშება არსებითად მცდარია

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
450.4	<p>ასს-ების მიზნებისთვის, ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) უზუსტობა – განსხვავება, რომელიც არსებობს ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილი მუხლის თანხაში, კლასიფიკაციაში, წარდგენაში, ან მის შესახებ მომზადებულ განმარტებით შენიშვნაში და იმ თანხას, კლასიფიკაციას, წარდგენას, ან მის შესახებ მომზადებულ განმარტებით შენიშვნას შორის, რაც ამ მუხლისთვის მოითხოვება ფინანსური ანგარიშების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს შეცდომით ან თაღლითობით. (იხ. პ. გ1)</p> <p>როდესაც აუდიტორი მოსაზრებას გამოთქვამს იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშება სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ან ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, უზუსტობებში შედის აგრეთვე იმ თანხის, კლასიფიკაციის, წარდგენის, ან მის შესახებ მომზადებული განმარტებითი შენიშვნის კორექტირებაც, რაც, აუდიტორის აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშება წარდგენილი იყოს სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ან ასახავდეს უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს;</p> <p>ბ) შეუსწორებელი უზუსტობები – უზუსტობები, რომლებიც აუდიტორმა დააგროვა აუდიტის პროცესში და გასწორებული არ არის.</p>

ფინანსური ანგარიშება არსებითად მცდარია, როდესაც აუდიტორს მოპოვებული აქვს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, მაგრამ დასკვნის რომ უზუსტობები, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში არსებითია (საჭიროებს პირობით მოსაზრებას), ან არსებითია და ყოვლისმომცველი (საჭიროებს ურყოფით მოსაზრებას) ფინანსური ანგარიშებისთვის.

აუდიტორის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გამომდინარებდეს:

- შეუსწორებელი უზუსტობების აუდიტორისეული შეფასებიდან;
- ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის მართებულობიდან;
- შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებიდან; ან
- ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობიდან, ან ადეკვატურობიდან.

არსებითი უზუსტობის მაგალითები განხილულია შემდეგ დანართებში.

დანართი 23.3-1

### სააღრიცხვო პოლიტიკის არასწორად შერჩევა

შეფასება = არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

რეაგირება = პირობითი მოსაზრება

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

ზელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზელმძღვანელობა პასუხისმგებელია ...

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ...

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების X შენიშვნაშია აღწერილი, ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი ცვეთა არ არის დარიცხული. ჩვენი აზრით, ასეთი პრაქტიკა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. 20X1 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ცვეთის ანარიცხები უნდა იყოს XXX. ამასთან, ცვეთის დარიცხვა უნდა მომზდარიყო წრფივი მეთოდით, შენობა-ნაგებობებზე 5% ცვეთის წლიური ნორმით, ხოლო მანქანა-დანადგარებზე – 20% წლიური ნორმით. შესაბამისად, მირითადი საშუალებების ღირებულება უნდა შემცირებულიყო დარიცხული ცვეთის XXX თანხით, ხოლო საანგარიშგებო წლის ზარალი და საერთო დეფიციტის თანხა უნდა გაზრდილიყო შესაბამისად XXX და XXX-ით.

### პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დანართი 23.3-2

**ფინანსური ანგარიშგების არააღეპვატური განმარტებითი შენიშვნები**

შეფასება = არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

რეაგირება = პირობითი მოსაზრება

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ...

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ...

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

20XX წლის 15 იანვარს კომპანიამ გამოუშვა XXX თანხის ობლიგაციები წარმოების გაფართოების დასაფინანსებლად. ხელშეკრულება აღნიშნული ობლიგაციების შესახებ ზღუდავს 20XX წლის 31 დეკემბრის შემდეგ მიღებული მოგებიდან ფულადი დივიდენდების გაცემას. მივაჩნია, რომ ამ ინფორმაციის განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებში მოითხოვება... შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას....

დანართი 23.3-3

### შეილობილი კომპანია არ არის კონსოლიდირებული

შეფასება = არსებითია და ყოვლისმომცველი.

რეაგირება = უარყოფითი მოსაზრება

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ...

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ...

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების X შენიშვნაშია ახსნილი, კომპანიამ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ ასახა XYZ შეილობილი კომპანიის ოფორმაცია, რომელიც 20X1 წელს შეიძინა, რადგან ჯერ ვერ შეძლო ამ შეილობილი კომპანიის ზოგიერთი არსებითი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულებების დადგრანა შექმნის თარიღით. მგვარად, მოცემული ინვესტიცია აღრიცხულია თვითღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო ამ შეილობილი კომპანიის კონსოლიდირება, რადგან მას აკონტროლებს მოცემული კომპანია. თუ კომპანია XYZ კომპანიის კონსოლიდირებას განახორციელებდა, ეს არსებით გავლენას იქონიებდა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მრავალ ელემენტზე. არ განვისაზღვრავს, რა გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ის ფაქტი, რომ არ მოხდა XYZ კომპანიის კონსოლიდაცია.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს) ABC კომპანიის და მისი შეილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დანართი 23.3-4

### არსებითი განუსაზღვრელობის არაადეკვატური აჩვნა

შეფასება = არსებითია და ყოვლისმომცველი.

რეაგირება = უარყოფითი მოსაზრება

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების სერთაშორისო სტანდარტები.

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე  
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ...

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ...

### უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის დაფინანსების ხელშეკრულებების ვადები ამოიწურა და გადასახდელი თანხები უნდა დაფარულიყო  $20X1$  წლის 31 დეკემბერს. კომპანიამ ვერ შეძლო სესხის რეფინანსირება, ვერც დაფინანსების სხვა საშუალება გამოიძინა და აპირებს თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს. სესხებული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელიც მნიშვნელოვნად ეჭვებეშ აყნებს კომპანიის უნარს, მომავალში განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აგრეთვე მის უნარსაც, რომ შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პირობებში. ფინანსურ ანგარიშგებაში (და მასზე დართულ შენიშვნებში) აჩვნილი არ არის აღნიშნული ფაქტი.

### უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას  $20X1$  წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

## 23.4 საქმართვისა და შესაფერისა უადიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა

ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუდიტორი ვერ ახერხებს საქმართვისა და შესაფერისა უადიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომელსაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება და დაასკვნის, რომ გამოიცვლენდეს უზუსტობების შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე (თუ ასეთი იარსებებს) შეიძლება არსებითი იყოს (პირობითი მოსაზრება), ან არსებითი და ყოვლისმომცველი (უარი მოსაზრების გამოთქმაზე).

აუდიტორის მიერ საქმართვისა და შესაფერისა უადიტორული მტკიცებულებების მოპოვების უუნარობა (ასევე უწოდებენ აუდიტის მასშტაბის შეზღუდვასაც) შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

- გარემოებები, რომლებიც სამუშაო სუბიექტის კონტროლის ფარგლებს სცილდება, მაგალითად, როდესაც სამუშაო სუბიექტის სააღრიცხვო ჩანაწერები განადგურებულია (ჩანდრის, წყალდიდობის, ქურდობის, ან კომპიუტერული მონაცემების დაკარგვის შედეგად), ან დაყადაღებულია სახელმწიფო ორგანოს მიერ;
- აუდიტორული შემოწმების სამუშაოს ხასიათთან ან ვადებთან დაკავშირებული გარემოებები. მაგალითად, როდესაც აუდიტორის დანიშნა ისეთ დროს მოხდა, რომ შეუძლებელი იყო მარა-

**აუდიტის სერთაშორისონ სტანდარტების გამოყენების საჯლმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოსა აუდიტში  
ტომი 2 – პრაქტიკული მითითებები**

- გის ინვენტარიზაციაზე დასწრება, ან სააღრიცხვო ჩანაწერები არასრულია აუდიტის მიმდინარეობისას, ან, როდესაც აუდიტორი დაადგენს, რომ მხოლოდ მირითადი აუდიტორული პროცედურების გამოყენება საკმარისი არ არის, მაგრამ სამეურნეო სუბიექტის კონტროლის საშუალებები არ არის ეფექტური; ან
- ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული შეზღუდვები. ასე, მაგალითად, როდესაც ხელმძღვანელობა აუდიტორს უფლებას არ აძლევს, ჩატაროს გარეშე მხარეთა დადასტურების პროცედურა გარკვეული დებიტორული დავალიანებისთვის, ან უზღუდავს მთავარ პერსონალთან კონტაქტს, სააღრიცხვო ჩანაწერებით სარგებლობას, ან სამეურნეო სუბიექტის ზოგიერთ ქვედანაყოფში მისვლას. ასეთმა სიტუაციამ შეიძლება სხვა სახის გავლენაც იქონიოს აუდიტზე, მაგალითად, თაღლითობის რისკების შეფასებაზე და აუდიტორის გადაწყვეტილებაზე, უნდა გააგრძელოს თუ არა დავალების შესრულება. თუ ამგვარი შეზღუდვის შესახებ აუდიტორი ინფორმირებულია გარიგებაზე თანხმობის მიცემამდე, იგი, როგორც წესი, არ თანხმდება ასეთი ტიპის შეზღუდულ გარიგებას.
- სანამ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ საჭიროა მოდიფიცირებული მოსაზრების გაცემა, იგი:
- საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას ცდილობს ალტერნატიული პროცედურების ჩატარებით; და
  - საკითხს განიხილავს ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთნ, რათა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა საკითხის მოგვარება. თუ შეუძლებელია პრობლემის გადაჭრა, ამის შემდეგ აუდიტორი მათ აცნობებს თავის განზრახვას აუდიტორული მოსაზრების მოდიფიცირების შესახებ და გააცნობს დასკვნის სავარაუდო ტექსტს.

**დანართი 23.4-1**

**აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) ინვენტარიზაციაზე დასწრების შეუძლებლობა**

შეფასება = არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.  
რეაგირება = პირობითი მოსაზრება  
ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასპპარსავა**

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე  
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ...

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ...

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ გერ დაგაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარებულია 20XX წლის 31 დეკემბერს, რადგან ეს მოხდა კომპანიის აუდიტორებად ჩვენს დანიშვნამდე. კომპანიის მიერ წარმოებული სააღრიცხვო დოკუმენტაციის ხასიათის გამო, საშუალება არ გვქონდა დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგის რაოდენობის სისტორეში სხვა აუდიტორული პროცედურების საშუალებითაც. შესაბამისად, ვერ შევქლით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტორებების შეტანა მარაგის, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნაშთებში.

**პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას....

დანართი 23.4-2

**აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა – სელმძღვნელობა აწესებს შეზღუდვებს აუდიტის სამუშაოებზე**

შეფასება = არსებითია და ყოვლისმომცველი.

რეაგირება = უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები = ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

[შესაბამისი ადრესატი]

ჩავატარეთ ...

**სელმძღვნელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

**სელმძღვნელობა პასუხისმგებელია ...**

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

**მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი**

ჩვენ არ გვქონდა საშუალება დაგვეირგებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს და დაგვედასტურებინა მოთხოვნების ანგარიშები, კომპანიის მხრიდან ჩვენი სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვის გამო. ვერც სხვა აუდიტორული პროცედურების საშუალებით ვერ დავრწმუნდოთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგის რაოდენობისა და დებიტორული დავალიანების ანგარიშების (ან მოთხოვნების) ნაშთის სისწორეში 20XX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ბალანსში (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) ასახულია XXX და XXX თანხით, შესაბამისად. ამის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა რამე კორექტირებების შეტანა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგსა და მოთხოვნების ანგარიშების აღრიცხულ თუ აღურიცხვა ნაშთებში და ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნაშთებში.


**მოსაზრების გამოთქმაზე უარი**

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 24. მნიშვნელოვან გარემობათა და სხვა გარემობათა ამსახველი აბზაცები

თავის შინაარსი	შესაბამისი ასე-ები
მითითებები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ აუდიტორის დასკვნაში, რომლის მიზანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ფურადღების გამახვილება გარკვეულ საკითხებზე.	706

სქემა 24.0-1



შენაშენები:

- გაეცანით ას 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგვემვა (ას 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი აუდიტის განმავლობაში.

პუნქტი	ასე-ის მიზნები
706.4	<p>ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების ჩამოყალიბების შემდეგ აუდიტორის მიზანია აუდიტორის დასკვნაში, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის ასახვით მკითხველთა ყრადღების მიპყრობა შემდეგ საკითხებზე:</p> <p>ა) რომელიც შესაფერისად არის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ან ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლების მიერ ფინანსურ ანგარიშგების გაგებისათვის; ან</p> <p>ბ) საჭიროებისამებრ, ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შესაფერისა მომხმარებლების მიერ აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლობების ან აუდიტორის დასკვნის გაგებისათვის.</p>

**პუნქტი შესაბამისი ამონარიდები ასე-ებიდან**

706.5	<p>წინამდებარე ასე-ების მიზნებისათვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – აუდიტორის დასკვნაში ჩართული აბზაცი ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც შესაფერისად არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ან განმარტებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მაგრამ, აუდიტორის აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლებისთვის, ფინანსური ანგარიშგების გაგების თვალსაზრისით;</p> <p>ბ) სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი – აუდიტორის დასკვნაში ჩართული აბზაცი ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარდგენილი ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული, მაგრამ მომხმარებლებისთვის საჭიროა აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლობების ან აუდიტორის დასკვნის გასაგებად.</p>
706.6	<p>თუ აუდიტორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მკითხველთა ყურადღების მიპყრობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ან განმარტებით შენიშვნებში ასახული იმ საკითხის ან საკითხებისადმი, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს მომხმარებლების მიერ ფინანსური ანგარიშგების გაგებისათვის, აუდიტორმა აუდიტორის დასკვნაში მაშინ უნდა ჩართოს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, თუკი აუდიტორს მოპოვებული აქვს საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ ეს საკითხი ფინანსურ ანგარიშგებაში არ სებითად მცდარად არ არის წარდგენილი. მსგავსი აბზაცი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ან განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას. (იხ. პუნქტები გ1-გ2)</p>
706.7	<p>თუ აუდიტორი მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს ჩართავს აუდიტორის დასკვნაში, აუდიტორმა:</p> <p>ა) ეს აბზაცი უნდა განათავსოს აუდიტორის დასკვნაში უშუალოდ აუდიტორის მოსაზრების აბზაცის შემდეგ;</p> <p>ბ) უნდა გამოიყენოს სათაური „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი“, ან სხვა შესაფერისი სათაური;</p> <p>გ) ამ აბზაცში გარკვევით უნდა მიუთითოს საკითხი, რომელზეც ხდება ყურადღების გამახვილება და, როდესაც შესაფერისა, ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, სადაც სრულად არის აღწერილი საკითხი; და</p> <p>დ) უნდა მიუთითოს, რომ აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის იმ საკითხთან მიმართებაში, რომელზეც ხდება ყურადღების გამახვილება.</p> <p>(იხ. პუნქტები გ3-გ4)</p>
706.8	<p>თუ აუდიტორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც წარდგენილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში, ან განმარტებული არ არის ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, მაგრამ აუდიტორის აზრით, შესაფერისა მომხმარებლების მიერ აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლების ან აუდიტორის დასკვნის გაგებისათვის და ამის გაკეთება არ იქმანდება კანონმდებლობით, აუდიტორმა ამგვარი ინფორმაცია უნდა ჩართოს აუდიტორის დასკვნაში სპეციალურ აბზაცში, სათაურით „სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი“ ან სხვა შესაფერისი სათაურით. აუდიტორმა ეს აბზაცი უნდა დაამატოს აუდიტორის დასკვნაში უშუალოდ აუდიტორის მოსაზრების აბზაცისა და მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის შემდეგ, ან სადმე სხვა ადგილას, თუ სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის შინაარსი დასკვნის „სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობების“ განყოფილების შესაფერისა. (იხ. პუნქტები გ5-გ11)</p>
706.9	<p>თუ აუდიტორი ვარაუდობს, რომ აუდიტორის დასკვნაში ჩართავს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს ან სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცს, აუდიტორმა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა აცხობოს თავისი ვარაუდისა და ამგვარი აბზაცის შემოთავაზებული ფრაზების შესახებ. (იხ. პუნქტი გ12)</p>

## 24.1 ზოგადი მიმოხილვა

გარკვეულ სიტუაციებში აუდიტორმა შეიძლება მოისურვოს მომხმარებლების ფურადღების გამახვილება აუდიტორის დასკვნაში გარკვეულ საკითხებზე, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გაიგონ ფინანსური ანგარიშგება, ან თვითონ აუდიტის პროცესი და აუდიტორის პასუხისმგებლობები. ამის გაკეთება შესაძლებელია აუდიტორის დასკვნაში სპეციალური აბზაცის დამატებით.

შემდეგ ცხრილში განხილულია ორი ტიპის აბზაცი, რომელიც შეიძლება დაემატოს აუდიტორის სტანდარტულ დასკვნას.

ცხრილი 24.1-1

აბზაცი	გამოყენება
მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	<p>აუდიტორი მომხმარებლების ფურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკვე ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.</p> <p>ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, ან განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული საკითხ(ები), რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გაიგონ ფინანსური ანგარიშგება.</p>
მაგალითები	განსაკუთრებულ სასამართლო პროცესთან ან მარეგულირებელი ორგანოს ქმედებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, შემდგომი მოვლენები, სტიქიური უბედურება, სხვა სახის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა და შეუსაბამობები და ახალი სააღრიცხვო სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება (როდესაც ნებადართულია).
სხვა საკითხები (გარემოები)	მომხმარებელთა მიერ აუდიტის ფუნქციის გაგებისთვის მნიშვნელოვნი საკითხები, რომლებიც გამჟღავნებული არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი საკითხ(ები) (გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული საკითხებისა), რომლებიც შესაფერისია მომხმარებლების მიერ აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლობების და/ან აუდიტორის დასკვნის გაგებისათვის.
მაგალითები	აუდიტორის ქმედუუნარობა, გამოვიდეს გარიგებიდან, აუდიტორის დამატებითი პასუხისმგებლობები და ნებისმიერი სახის შეზღუდვა აუდიტორის დასკვნის გავრცელებაზე.

„მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი“ აბზაცი არ არის შემცვლელი:

- აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების, როდესაც ამის გაკეთება მოითხოვება;
  - ხელმძღვანელობის ქმედების, ფინანსურ ანგარიშგებაში გაამჟღავნოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
- როდესაც აუდიტორი ვარაუდობს აუდიტორის დასკვნაში მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის, ან სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის ჩართვას, მან ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა აცნობოს:
- ამ აბზაცის საჭიროების თაობაზე; და
  - მისი საგარაუდო ფორმულირება (ტექსტი).

## 24.2 მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი მიზნად ისახავს, აუდიტორმა საზი გაუსვას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს (რომლებიც უკვე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, ან განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში), რომლებიც აუცილებელია მომხმარებლისთვის ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

შემდეგ ცხრილში განხილულია მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის გამოყენებისთვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები:

### ცხრილი 24.2-1

პირობები	კომენტარები
საკითხი უკვე სრულად გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში	მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც უკვე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, ან გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში და არ წარმოადგენს ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემცვლელ ქმედებას. იგი არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ დეტალებს, რაც უკვე წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.
არ არსებობს არსებითი უზუსტობა	აუდიტორმა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ეს საკითხი არ არის არსებითად მცდარად წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.
განთავსებულია უშუალოდ აუდიტორის მოსაზრების აბზაცის შემდეგ	აღნიშნული აბზაცი მოსდევს აუდიტორის მოსაზრების აბზაცს, მაგრამ უსწრებს „სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობების“ ნაწილს. იგი დასათაურდება ასე „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი“.
არ ნიშნავს მოსაზრების მოდიფიცირებას	ამ აბზაცში აუდიტორი მიუთითებს, რომ აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული (პირობითი) არ არის მოცემული საკითხის გამო.

შემდეგი ასს-ები მოითხოვს, რომ აუდიტორმა ამ სტანდარტებით განსაზღვრულ გარემოებებში, აუდიტორის დასკვნას დაუმატოს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი.

### ცხრილი 24.2-2

ასს-ები	სახელწოდება	პუნქტი
210	„აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება“	19(δ)
560	„შემდგომი მოვლენები“	12(δ), 16
570	„ფუნქციონირებადი საწარმო“	19
800	„სპეციფიკური საკითხები – სპეციალური დანიშნულების საფუძვლების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“	14

შემდეგ დანართში ნაჩვენებია ამგვარი აბზაცის ტექსტის ფორმულირების ნიმუში.

### დანართი 24.2-3

#### არსებითი განუსაზღვრელობა – ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშების შესაფერისი განმარტებითი შენიშვნა აღუკვატურად არის ფორმულირებული – მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ტექსტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

##### მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

„ჩვენი მოსაზრება არ არის პირობითი, მაგრამ გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩერით ფინანსური ანგარიშების X შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 20X6 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ საანგარიშებო წელს კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა ZZZ; ასევე ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა გადააჭარბა მთლიან აქტივებს YYY-ით. როგორც აღნიშნულია X შენიშვნაში, ეს გარემოებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რომელიც საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ სამეურნეო სუბიექტი შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას მომავალში, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო“.

##### სხვა მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები – სასამართლო პროცესი

ფინანსური ანგარიშების შესაფერისი განმარტებითი შენიშვნა აღუკვატურად არის ფორმულირებული – მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ტექსტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

##### მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

„ჩვენი მოსაზრება არ არის პირობითი, მაგრამ გვსურს თქვენი ყურადღება გავამაზვილოთ ფინანსური ანგარიშების X შენიშვნაზე. კომპანია მოპასუხე მხარეა საპატენტო უფლებების დარღვევის, საავტორო პონორარების მითვისებისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე აღძრულ სასამართლო სარჩელზე. კომპანიამაც შეიტანა საპასუხო სარჩელი და ამჟამად მიმდინარეობს ორივე სარჩელის წინასწარი მოსმენა სასამართლო პროცესზე. ამ ეტაპზე შეუძლებელია სასამართლო პროცესის შედეგებზე მსჯელობა. ამასთან, არ არსებობს ვალდებულების არანაირი პირობა, რომლის შედეგების ასახვაც შეიძლებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში“.

### 24.3 სხვა გარემოებების ამსახველი აბზაცი

სხვა გარემოებების ამსახველი აბზაცის დამატება შეიძლება აუცილებელი გახდეს ისეთ საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად, რომელიც გამჟღავნებული არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნებოდა მომხმარებელთა მიერ აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლობების და/ან აუდიტორის დასკვნის გასაგებად.

სხვა გარემოებების ამსახველი აბზაცების გამოყენება შესაძლებელია ისეთი საკითხების ინფორმირებისთვის, როგორიცაა:

- შეზღუდვა აუდიტორის დასკვნის გავრცელებაზე – ვინაიდან ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საერთო დანიშნულების საფუძვლების გამოყენებით მომზადებული) ზოგჯერ სპეციფიკური მიზნისთვის მზადდება, სხვა გარემოებების ამსახველ აბზაცში აუდიტორს შეუძლია განაცხადოს, რომ აუდიტორის დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ გამიზნული მომხმარებლისთვის და არ უნდა გავრცელდეს, ან გამოიყენოს სხვა მხარეებმა;
- ყურადღების გამახვილება აუდიტორის დამატებით პასუხისმგებლობებზე – ამა თუ იმ იურის-დიქციაში კონკრეტული კანონით, ნორმატიული აქტით ან საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკით შეიძლება მოითხოვებოდეს ან წებადართული იყოს, რომ აუდიტორმა დეტალურად განმარტოს თავისი პასუხისმგებლობები აუდიტორის დასკვნაში; და
- გარიგებიდან გამოსვლის შეუძლებლობა – თუ აუდიტორს არ შეუძლია გარიგებიდან გამოსვლას, ან აუდიტორობიდან გადადგომა, სხვა გარემოებების ამსახველ აბზაც(ებ)ში მას შეუძლია ამის მიზეზების ახსნა.

შემდეგ ცხრილში განხილულია სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის გამოყენებისთვის შესა-  
ფერისი პირობები.

#### ცხრილი 24.3-1

პირობები	კომენტარები
საკითხი, რომელიც გამუშდავნებული არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში	ესება საკითხებს, რომლებიც არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში, ან გამუშდავნებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. გარდა ამისა, სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი არ უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომლის გამუშდავნებაც ხელმძღვნელობას ევალებოდა.
საკითხის გამუშდავნება არ არის აკრძალული	საკითხის გამუშდავნება არ იკრძალება კანონმდებლობით, ან სხვა პროცესული სტანდარტებით, როგორიცაა, ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებული სტანდარტები.
ინფორმაცია მნიშვნელოვანია მომსარტებლთათვის	ინფორმაცია მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთვის აუდიტის, აუდიტორის პასუხისმგებლობების, ან აუდიტორის დასკვნის გასაგებად.
დაპირისპირების არარსებობა	ამ აბზაციში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ეწინააღმდეგება აუდიტორის მოსაზრებას, ან ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ, ან განმარტებით შენიშვნებში გამუშდავნებულ საკითხებს. სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი გავლენას არ ახდენს აუდიტორის მოსაზრებაზე.
განთავსებულია უშუალოდ აუდიტორული მოსაზრების აბზაცის შემდეგ	სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი უშუალოდ უნდა მოსდევდეს მოსაზრების აბზაცს და, თუ არსებობს, მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს, ან სადმე სხვაგან უნდა განთავსდეს აუდიტორის დასკვნაში, თუ სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის შინაარსი მნიშვნელოვანია, აუდიტორის დასკვნის „სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობის“ ნაწილის გასაგებად.
განცხადება, რომ ამგვარი ინფორმაციის გამუშდავნება არ მოითხოვება	სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცი მითითებული უნდა იყოს, რომ არ მოითხოვება ამ საკითხის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში, ან გამუშდავნება განმარტებით შენიშვნებში.

შემდეგ ასე-ებში განხილულია სიტუაციები, როდესაც შესაძლებელია აუდიტორის დასკვნაში სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატება.


#### ცხრილი 24.3-2

ასე-ები	სახელწოდება	პუნქტი
560	„შემდგომი მოვლენები“	12(ბ), 16
710	„შესადარისი ინფორმაცია – შესაბამისი ციფრები და შესადარისი ფინანსური ანგარიშგება“	13-14, 16-17, 19

## 25. შესადარისი ინფორმაცია

თავის შინაარსი	შესაბამისი ასს-ები
მითითებები შესადარისი ინფორმაციის შესახებ საკმარისი და შესაფერის აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებისა და აუდიტორის საანგარიშგებო პასუხისმგებლობების თაობაზე.	710

სქემა 25.0-1



### შენიშვნები:

- გაეცანთ ასს 230-ს, რათა გაიგოთ იმ საკითხების სრულყოფილი მოცულობა, რომელთა დოკუმენტირებაც მოითხოვება.
- დაგევმვა (ასს 300) არის უწყვეტი და იტერაციული პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი აუდიტის განმავლობაში.

პუნქტი	ასს-ის მიზნები
710.5	<p>აუდიტორის მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შესადარისი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერის საფუძვლებში შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით მოცემული მოთხოვნების შესაბამისად; და</li> <li>ბ) დასკვნის შედგენა აუდიტორის საანგარიშგებო პასუხისმგებლობის შესაბამისად.</li> </ul>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
710.6	<p>წინამდებარე ასს-ების მიზნებისათვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მიიჰქვებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) შესადარისი ინფორმაცია – ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ ან მეტ გასულ პერიოდთან მიმართებით, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად ასახული თანხები და განმარტებითი შენიშვნები;</p> <p>ბ) შესაბამისი ციფრები – შესადარისი ინფორმაცია, როდესაც წინა პერიოდის თანხები და სხვა განმარტებები მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაშია ჩართული, როგორც მისი შემადგენელი ნაწილია და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის თანხებთან და სხვა განმარტებებთან (შემდგომში „მიმდინარე პერიოდის ციფრები“) კავშირში. შესაბამისი თანხებისა და განმარტებების დეტალიზების დონე, ძირითადად, დამოკიდებულია მიმდინარე პერიოდის ციფრებთან მის შესაბამისობაზე;</p> <p>გ) შესადარისი ფინანსური ანგარიშგება – შესადარისი ინფორმაცია, როდესაც წინა პერიოდის თანხები და სხვა განმარტებები ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან შესადარებლად, მაგრამ თუ აუდიტირებულია, მინიშნებულია აუდიტორის მოსაზრებაში. აღნიშნულ შესადარის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის დეტალიზაციის დონე მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების დონის შესადარისად.</p> <p>წინამდებარე ასს-ის მიზნებისათვის მითითება „წინა პერიოდზე“ აღქმულ უნდა იქნეს, როგორც „წინა პერიოდზე“, როდესაც შესადარისი ინფორმაცია ერთზე მეტი პერიოდის თანხებსა და განმარტებებს მოიცავს.</p>
710.7	<p>აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, ფინანსური ანგარიშგება მოიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლებით მოთხოვნილ შესადარის ინფორმაციას და აღნიშნული ინფორმაცია სწორად არის კლასიფიცირებული თუ არა. ამისათვის აუდიტორმა უნდა შეაფასოს:</p> <p>ა) შესადარისი ინფორმაცია შეესაბამება თუ არა წინა პერიოდში წარდგენილ თანხებსა და განმარტებებს, ან, როდესაც შესაფერისა, შესწორდა თუ არა ისინი; და</p> <p>ბ) შესადარის ინფორმაციაში ასახული სააღრიცხვო პოლიტიკა მიმდინარე პერიოდში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის თანმიმდევრულია თუ არა, ან თუ შეიცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა, სწორად განხორციელდა თუ არა აღნიშნული ცვლილებების აღრიცხვა და ადეკვატურად განხორციელდა თუ არა მათი წარდგენა და განმარტებით შენიშვნებში ასახვა.</p>
710.8	<p>თუ აუდიტორისათვის მიმდინარე პერიოდის აუდიტის დროს ცნობილი გახდება შესადარისი ინფორმაციის შესაძლო არსებითი უზუსტობის შესახებ, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს ისეთი დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რაც აუცილებელია არსებულ გარემოებებში საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა. თუ აუდიტორმა ჩაატარა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, აუდიტორმა უნდა დაიცვას აგრეთვე ასს 560-ის შესაფერისი მოთხოვნებიც. თუ ცვლილებები შევიდა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, შესადარისი ინფორმაცია შეესაბამება თუ არა აღნიშნულ შესწორებულ ფინანსურ ანგარიშგებას.</p>
710.9	<p>ასს 580-ის შესაბამისად, აუდიტორმა უნდა მოითხოვოს ოფიციალური ინფორმაციის წარდგენა აუდიტორის დასკვნაში მითითებულ ყველა პერიორმა კონკრეტული ოფიციალური ინფორმაცია უნდა მოიპოვოს წინა პერიოდის იმ ფინანსური ანგარიშგებების შესწორებების შესახებ, რაც გავლენას ახდენს შესადარის ინფორმაციაზე. (იხ. პუნქტი გ1)</p>

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
710.10	როდესაც ანგარიშგებაში წარდგენილია შესაბამისი ციფრებიც, აუდიტორის მოსაზრებაში ნახსენები არ უნდა იყოს შესაბამისი ციფრები, გარდა მე-11, მე-12 და მე-14 პუნქტებში აღწერილი გარემოებებისა. (იხ. პუნქტი გ2)
710.11	<p>თუ წინა პერიოდის აუდიტორის დასკვნა მოიცავდა პირობით მოსაზრებას ან მოსაზრების გამოთქმაზე უარს, ან უარყოფით მოსაზრებას და საკითხს, რომელმაც წარმოქმნა მოდიფიცირების საჭიროება, გადაჭრილი არ არის, აუდიტორმა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე უნდა შეადგინოს მოდიფიცირებული აუდიტორის დასკვნა. აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლის ამსახველ აბზაცში აუდიტორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) ყურადღება უნდა გაამახვილოს როგორც მიმდინარე პერიოდის ციფრებზე, ასევე შესაბამის ციფრებზეც, როდესაც აღწერს დასკვნის მოდიფიცირების გამომწვევ საკითხს, თუ ამ საკითხის გავლენა ან შესაძლო გავლენა მიმდინარე პერიოდის ციფრებზე არსებითია; ან</li> <li>ბ) სხვა შემთხვევებში ახსნას, რომ აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობის საკითხის გადაუკრელობის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო. (იხ. პუნქტი გ3-გ5)</li> </ul>
710.12	თუ აუდიტორი მოპოვებს აუდიტორულ მტკიცებულებებს იმაზე, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელზეც ადრე გაცემული იყო არამოდიფიცირებული დასკვნა და სათანადოდ არ შესწორდა შესაბამისი ციფრები, ან ეს ფაქტი სათანადოდ არ განიმარტა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, აუდიტორმა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულ აუდიტორის დასკვნაში უნდა გამოხატოს პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება, რომელიც მოდიფიცირებული იქნება ანგარიშგებაში ასახულ შესაბამის ციფრებთან დაკავშირებით. (იხ. პუნქტი გ6)
710.13	<p>თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი წინამორბედმა აუდიტორმა ჩატარა და აუდიტორს კანონმდებლობით არ ეკრალება აუდიტორის დასკვნაში წინამორბედი აუდიტორის დასკვნის მითითება შესაბამის ციფრებთან დაკავშირებით და აუდიტორი გადაწყვეტს ამის გაკეთებას, აუდიტორმა აუდიტორის დასკვნის სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) რომ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა;</li> <li>ბ) წინამორბედი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორული მოსაზრების (დასკვნის) ტიპი, ხოლო თუ მოდიფიცირებული იყო ეს მოსაზრება, აგრეთვე მოდიფიცირების მიზეზებიც; და</li> <li>გ) იმ დასკვნის თარიღი. (იხ. პუნქტი გ7)</li> </ul>
710.14	თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა, აუდიტორმა აუდიტორის დასკვნის სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს, რომ შესაბამისი ციფრები არ არის აუდიტირებული. თუმცა, მსგავსი აღნიშვნა აუდიტორს არ ათავისუფლებს იმ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მოთხოვნის შესრულებისაგან იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
710.15	როდესაც წარდგენილია შესადარისი ფინანსური ანგარიშგება, აუდიტორის მოსაზრებაში მითითებული უნდა ყველა ის პერიოდი, რომლისთვისაც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგება და რომელზეც აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას. (იხ. პუნქტი გ8-გ9)

პუნქტი	შესაბამისი ამონარიდები ასს-ებიდან
710.16	როდესაც აუდიტორი მიმდინარე პერიოდის აუდიტთან დაკავშირებით წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც იძლევა დასკნას და აუდიტორის მოსაზრება წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე განსხვავდება ადრე გამოხატული აუდიტორული მოსაზრებისაგან, აუდიტორმა ამ განსხვავებული მოსაზრების გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზები უნდა გაამჟღვნოს სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში ას 706-ის შესაბამისად. (იხ. პუნქტი გ10)
710.17	<p>თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი წინამორბედმა აუდიტორმა ჩაატარა, აუდიტორმა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმასთან ერთად, სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) რომ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა;</li> <li>ბ) წინამორბედი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორული მოსაზრების (დასკვნის) ტიპი, ხოლო თუ მოდიფიცირებულია ეს მოსაზრება, მოდიფიცირების მიზეზებიც; და</li> <li>გ) იმ დასკვნის თარიღი,</li> </ul> <p>თუ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამორბედი აუდიტორის დასკვნა ხელახლა არ უნდა გაიცეს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.</p>
710.18	თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, რომელიც გავლენას ახდენს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელზეც წინამორბედმა აუდიტორმა ადრე შეადგინა დასკვნა მოდიფიცირების გარეშე, აუდიტორმა აღნიშნული უზუსტობის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამისი დონის ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი მონაწილეობს სამეურნეო სუბიექტის მართვაში და უნდა მოითხოვოს, რომ ამის შესახებ უცნობოს წინამორბედ აუდიტორს. თუ ცვლილებები შევიდა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და წინამორბედი აუდიტორი თანხმდება წინა პერიოდის შესწორებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი აუდიტორული დასკვნის გაცემას, აუდიტორმა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე უნდა შეადგინოს დასკვნა. (იხ. პუნქტი გ11)
710.19	თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა, აუდიტორმა აუდიტორის დასკვნის სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს, რომ შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. თუმცა, მსგავსი აღნიშვნა აუდიტორს არ ათავისუფლებს იმ საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მოთხოვნის შესრულებისაგან იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 25.1 ზოგადი მიმოხილვა

სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შესადარისი ინფორმაციის ხასიათი დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების მოთხოვნებზე. მსგავს შესადარის ინფორმაციასთან მიმართებაში, აუდიტორის საანგარიშგებო პასუხისმგებლობები განისაზღვრება კანონმდებლობით ან გარიგების პირობებით.

არსებობს ორი განსხვავებული ზოგადი მიდგომა შესადარის ინფორმაციასთან მიმართებაში, რაც აღწერილია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 25.1-1

მიღობა	კომენტარები
შესაბამისი ციფრები	თანხები და სხვა წინა პერიოდის ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში შესულია, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და მათი წარითხვა უნდა მოხდეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის ციფრებთან (თანხებთან) და სხვა განმარტებით ინფორმაციასთან ერთად. აუდიტორის მოსაზრება შეეხება მხოლოდ მიმდინარე პერიოდს.
შესადარისი ფინანსური ანგარიშგება	ციფრები და წინა პერიოდის სხვა ინფორმაცია შესულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებისთვის, მაგრამ თუ აუდიტორის მოსაზრებაში, ცალკე გაინიჭილება აუდიტორის მოსაზრებაში. შესადარის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის დეტალიზაციის დონე მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების დეტალიზაციის დონის შესადარისია. აუდიტორის მოსაზრება შეეხება ყოველ პერიოდს, რომლისთვისაც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგება.

25.2 აუდიტორული პროცედურები

ცხრილი 25.2-1

ამოცანა	პროცედურები
მოიპოვეთ აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები	<p>მოიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმაზე, რომ შესადარისი ინფორმაცია აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი (გამოსაყენებელი) საფუძვლების მოთხოვნებს და ეს ინფორმაცია სათანადოდ არის კლასიფიცირებული. ამისათვის, აუდიტორმა უნდა შეაფასოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესადარის ინფორმაციაში ასახული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება თუ არა მიმდინარე პერიოდში გამოყენებულს, ან, თუ სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია, ეს ცვლილებები სათანადოდ არის თუ არა ასახული და ადეკვატურად წარდგენილი; და</li> <li>• შესადარის ინფორმაცია ემთხვევა თუ არა წინა პერიოდში წარდგენილ ციფრებს (თანხებს) და სხვა განმარტებით ინფორმაციას ან, სადაც მოითხოვება, გადანგარიშებულია თუ არა ადეკვატურად.</li> </ul>
გამოავლინეთ პოტენციური უზუსტობები	<p>შესადარის ინფორმაციაში არსებითი უზუსტობა შეიძლება გამოვლინდეს მიმდინარე პერიოდის აუდიტში. მაშინ აუდიტორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნდა ჩაატაროს ისეთი დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რაც აუცილებელია მოცემულ გარემოებებში არსებითი უზუსტობების არსებობის დასადგენად; და</li> <li>• თუ ცვლილებები შევიდა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, შესადარისი ინფორმაცია შეესაბამება თუ არა აღნიშნულ შესწორებულ ფინანსურ ანგარიშგებას.</li> </ul> <p>თუ აუდიტორმა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტიც ჩაატარა, აუდიტორს ასევე შეეხება ას 560-ის მოთხოვნები შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს საკითხები განხილულია 1-ლი ტომის მე-13 თავში.</p>
მოიპოვეთ ოფიციალური წერილები	ოფიციალური წერილები მოითხოვეთ ყველა პერიოდისთვის, რომელსაც აუდიტორის მოსაზრება ეხება. ეს გულისხმობს ოფიციალური წერილის მოპოვებას ნებისმიერ გადაანგარიშებულ (ან ახლებურად ფორმულირებულ ინფორმაციასთან) დაკავშირებით, რაც გაეციდა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული არსებითი უზუსტობის გასასწორებლად.

### 25.3 შესაბამისი ციფრები

შემდეგ ცხრილში განხილულია აუდიტორის საანგარიშგებო პასუხისმგებლობები.

ცხრილი 25.3-1

	პროცედურები
აუდიტორის მოსაზრებაში ნახსენები არ არის შესაბამისი ციფრები	<p>როდესაც ანგარიშგებაში წარდგენილია შესაბამისი ციფრებიც, აუდიტორის მო- საზრებაში ნახსენები არ უნდა იყოს შესაბამისი ციფრები, იმ შემთხვევის გარ- და, როდესაც წინა პერიოდის აუდიტორის დასკვნა მოდიფიცირებულია და მისი გამომწვევი პრობლემა გადაუჭრელია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუდიტორის მიმდინარე პერიოდის მოსაზრება მოდიფიცირებული უნდა იყოს და მან დასკვნ- ის მოდიფიცირების საფუძვლის ამსახველ აბზაცში:</p> <p>ა) ყურადღება უნდა გააძინოს როგორც მიმდინარე პერიოდის ციფრებზე, ასევე შესაბამის ციფრებზეც, თუ ამ საკითხის გავლენა ან შესაძლო გავ- ლენა მიმდინარე პერიოდის ციფრებზე არსებითია; ან</p> <p>ბ) ახსნას, რომ აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებულია, მიმდინარე პერი- ოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობასთან დაკავში- რებული გადაუჭრელი საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო.</p>
საჭიროა შესწორება?	<p>მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოითხოვება პირობითი ან უარ- ყოფილი მოსაზრების გაცემა, როდესაც წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშ- გებაში არსებითი უზუსტობა არსებობს, რომელზეც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადრე გაცემული იყო არამოდიფიცირებული მოსაზრება; და</li> <li>• სათანადოდ არ შესწორდა შესაბამისი ციფრები, ან ეს ფაქტი სათანადოდ არ განმარტა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.</li> </ul>
წინა პერიოდის ციფრების აუდიტი სხვა ფირმის მიერ არის ჩატარებული	<p>თუ აუდიტორს კანონმდებლობით არ ეკრძალება აუდიტორის დასკვნაში წინა- მორბედი აუდიტორის მითითება შესაბამის ციფრებთან დაკავშირებით და აუდი- ტორი გადაწყვეტს ამის გაკეთებას, მან აუდიტორის დასკვნის სხვა გარემოება- თა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს:</p> <p>ა) რომ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორ- ბედმა აუდიტორმა;</p> <p>ბ) წინამორბედი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორული მოსაზრების (და- სკვნის) ტიპი, ხოლო თუ მოდიფიცირებული იყო ეს მოსაზრება, აგრეთვე მოდიფიცირების მიზეზებიც; და</p> <p>გ) იმ დასკვნის თარიღი.</p>
წინა პერიოდის ციფრების აუდიტი ჩატარებული არ არის	<p>აუდიტორის დასკვნის სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში განაცხადეთ, რომ შესაბამისი ციფრები არ არის აუდიტორებული.</p> <p>თუმცა, ეს აუდიტორს არ ათავისუფლებს საქმარისი და შესაფერისი აუდიტო- რული მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულებისგან იმის შესახებ, რომ სა- წყისი ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, რომლებიც გავლენას მოახ- დენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუ გამოვლინდა არსები- თი უზუსტობა, საჭირო იქნება შესაბამისი ციფრების შესწორება და ამ ფაქტის ადეკვატურად განმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.</p> <p>თუ შეუძლებელია უზუსტობის გასწორება, ან ამგვარი განმარტების გაკეთება, აუდიტორული მოსაზრება მოდიფიცირებული უნდა იყოს ანგარიშგებაში ასახ- ულ შესაბამის ციფრებთან მიმართებით.</p>

#### 25.4 შესადარისი ფინანსური ანგარიშების

შემდეგ ცხრილში განხილულია აუდიტორის საანგარიშგებო პასუხისმგებლობები.

##### ცხრილი 25.4.1

	პროცედურები
დასკვნაში შეეხეთ თთოეულ წარდგენილ პერიოდს	აუდიტორის მოსაზრებაში მთთითებული უნდა იყოს თითოეული პერიოდი, რომელისთვისაც ფინანსური ანგარიშება არის წარდგენილი და რომელზეც აუდიტორი გამოხატავს მოსაზრებას.
საჭიროა წინა პერიოდზე გამოთქმული მოსაზრების შეცვლა	თუ აუდიტორის მოსაზრება წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაზე განსხვავდება ადრე გამოთქმული მოსაზრებისგან, სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში ახსენით ამ განსხვავების გამომწვევი ძირითადი მიზეზები.
წინა პერიოდის ციფრების აუდიტი სხვა ფირმის მიერ არის ჩატარებული	აუდიტორმა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაზე მოსაზრების გამოთქმასთან ერთად, სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში უნდა აღნიშნოს: а) რომ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა; ბ) წინამორბედი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორული მოსაზრების (დასკვნის) ტიპი, ხოლო თუ მოდიფიცირებული იყო ეს მოსაზრება – მოდიფიცირების მიზეზებიც; და გ) იმ დასკვნის თარიღი.
საჭიროა რაიმე შესწორებების შეტანა შესადარის ფინანსურ ანგარიშებაში?	თუ არსებობს არსებითი უზუსტობა, რომელიც გავლენას ახდენს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაზე, რომელზეც წინამორბედმა აუდიტორმა ადრე გასცა არამოღიფიცირებული მოსაზრება: • აცნობეთ ამ უზუსტობის შესახებ შესაფერისი დონის ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს; და • და მოითხოვთ წინა აუდიტორის საქმის კურსში ჩაყენება. თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშება შესწორდა და წინამორბედი აუდიტორი ეთანხმება ახალი აუდიტორიული დასკვნის გაცემას შესწორებულ ფინანსურ ანგარიშებაზე, აუდიტორმა დასკვნა უნდა გასცეს მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე.
წინა პერიოდის ციფრების აუდიტი ჩატარებული არ არის	აუდიტორის დასკვნაში სხვა გარემოებათა ამსახველ აბზაცში განაცხადეთ, რომ შესაძარისი ფინანსური ანგარიშება არ არის აუდიტირებული. თუმცა, ეს აუდიტორს არ ათავისუფლებს საქმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მოთხოვნის შესრულებისაგან იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაზე. თუ გამოვლინდა არსებითი უზუსტობა, საჭირო იქნება შესაბამისი ციფრების შესწორება და ამ ფაქტის აღეკვატურად განმარტება ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში. თუ შეუძლებელია უზუსტობის გასწორება, ან ამგვარი განმარტების გაკეთება, აუდიტორული მოსაზრება მოდიფიცირებული უნდა იყოს ანგარიშებაში ასახულ შესაბამის ციფრებთან მიმართებით.